ლეკიანობა

„ლეკიანობა ისეთივე
გამანადგურებელი მოვლენა იყო,
როგორც ყიზილბაშობა.
ამ საბედისწერო თავდასხმებმა
ათასობით სიცოცხლე შეიწირა
და ძირფესვიანად გააჩანაგა
სამეურნეო ცხოვრება.
ქართლ-კახეთის მოსახლეობა
ორას ათას სულამდე შემცირდა.
ისტორიის დასასრული რეალობად
იქცა. ლეკებზე სასტიკი და ვერაგი
მტერი ჩვენ თითქმის არ გვყოლია“.

საქართველო
& მსოფლიო

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘᲡ“

ლეკიანობა

„გატაცებულ ტყვეებს მთიელები მეურნეობაში ვერ იყენებდნენ, მეურნეობის დაბალი დონის გამო. ამიტომ ტყვეები მიჰყავდათ „ამანათებად“, ე.ი. იმ მიზნით, რომ ისინი დაეხსნათ პატრონებს. ასეთი მიზნით იტაცებდნენ ლეკები ტყვეებს იმ დრომდე, ვიდრე მათ ფართო გასაქანს მისცემდა ოსმალეთის ტყვეების ბაზარი...

ამიტომ მოზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოვლენას ვუწოდოთ „ლეკიანობა“, ანალოგიურად „ჭირიანობისა“, „შიშიანობისა“, „ომიანობისა“ და სხვ.“.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“
სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ©
თბილისი, 2011 წელი

© „ედუარდ შევარდნაძე“

წინათქმა

XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ტრაგიკულ ზღვარზე იმყოფებოდა, რეალურად გამოიკვეთა უაღრესად სახიფათო ალიანსი: ოსმალთა და ირანელთა აგრესიულ პოლიტიკას მხარი აუბეს ჩრდილოკავკასიელთა ტომებმა, რომლებმაც აქტიური საბრძოლო მოქმედებები გააჩაღეს ქართლ-კახეთისა და სხვა ქართული რეგიონების წინააღმდეგ. ეს ფართომასშტაბიანი რბევა-აწიოკება ჩვენს ისტორიაში **ლეკიანობის** სახელით არის ცნობილი. **ლეკიანობა ისეთივე გამანადგურებელი მოვლენა იყო, როგორც ყიზილბაშობა.** ამ საბედისწერო თავდასხმებმა ათასობით სიცოცხლე შეიწირა და ძირფესვიანად გააჩანაგა სამეურნეო ცხოვრება. ქართლ-კახეთის მოსახლეობა ორას ათასი სულამდე შემცირდა. ისტორიის დასასრული რეალობად იქცა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი ლეკიანობის პრობლემა. თავის დროზე ამ თემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. კაკაბაძემ და სხვა გამოჩენილმა მეცნიერებმა. ქვემოთ წარმოდგენილი მასალა სწორედ მათ ნააზრევზეა დაფუძნებული.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩრდილოეთ კავკასია ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია მსოფლიოში. ამავე დროს, ეს რეგიონი სულ უფრო ჩართული ხდება რუსულ-ქართულ ურთიერთობებში.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, მისი ხელმძღვანელობის ჩათვლით, მიაჩნიათ, რომ შეერთებული შტატები, ევროპაში თავის მოკავშირე ბრიტანეთთან ერთად, მიზანმიმართულად ატარებს კურსს რუსეთის დაშლაზე, ევრაზიის ენერგორესურსებზე საკუთარი კონტროლის დაწესების მიზნით. ასეთი მიდგომის თანახმად, მოსკოვს მიაჩნია, რომ რუსეთის დასაშლელად ზემოხსენებული მოკავშირეები მის ყველაზე სუსტ წერტილს — ჩრდილოეთ კავკასიას იყენებენ.

თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში

მიმდინარე მოვლენები აშშ-ის პირველხარისხოვან ინტერესებს განეკუთვნება, მაგრამ ფაქტია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ის ინტერესი რეგიონის მიმართ გაიზარდა. ახლო აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცება, ურთიერთობა ჩინეთთან, დაძაბულობა ირანთან და ბოლოს რუსეთთან გამოცხადებული გადატვირთვა გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ რუსეთის ადმინისტრაციას დღეს გაცილებით დიდი შანსი აქვს, რეგიონში არსებული სიტუაცია კონტროლს დაუქვემდებაროს. ასეთ დროს სულ უფრო ხშირად ისმის ექსპერტთა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება, შესაძლოა, თანამშრომლობის პერსპექტივა გახდეს.

საქართველოს პრობლემატიკის ნაწილი ჩრდილოკავკასიელების საქციელზეა დამოკიდებული. გავიხსენოთ, რა ხდებოდა 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში. საკმარისია, საქართველოს ხელისუფლება ან ადამიანთა ჯგუფები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად გააქტიურდნენ, რომ ჩრდილოკავკასიელები მაშინვე გამოჩნდებიან ჩვენი მოწინააღმდეგის დასახმარებლად სხვადასხვა ფორმით. ბოლო ომში ჩეჩნები ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ ორი სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში, მხოლოდ ჩეჩნები იყვნენ ამ ნაწილებში. ფაქტია, ისინი ყოველთვის ჩვენი მტრები იყვნენ.

მკაცრი ისტორიული რეალობაც ამაზე მეტყველებს: ქართველ ერს რომ ლეკებისგან სისხლი გვქონდა გამშრალი და მათი გადამკიდე ფიზიკური გადაშენების საფრთხე გვემუქრებოდა, ამიტომ მოგვიწია რუსეთისთვის დახმარების თხოვნა. **ლეკებზე სასტიკი და ვერაგი მტერი ჩვენ თითქმის არ გვყოლია ისტორიაში. სანამ მეფე ერეკლე ცოცხალი იყო, ყოველნაირად დაუცხრომლად ცდილობდა, ჭარბელაქნელები როგორმე შემოერიგებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.** თავის მოხუცებულობაში მან კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, ჭარბელაქნიდან სიღნაღში მოიპატიჟა მოხუცი, შუახნისა და ყმაწვილი კაცები და კარგადაც დაუხვდა. სადილის შემდეგ ყველას ხალათები უბოძა და უთხრა: **„ჩემის ყმაწვილობით აქამდისინ არ**

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

დავმცხრალვარ თქუენსა და ქართუელების გაერთებასა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევიძელ, ყოველი ჩემი ღონისძიება დავასრულე თქუენზე. არ არის კარგი, არ უნდა შვრებოდეთ ამას, რომ თქუენი ძმები — ქართუელები გამოგიმეტებიათ, გინდათ ძირიანად ამოთხაროთ და ჩუენ მაგიერათ ოსმალები დაასახლოთ საქართუელოში. ამისთანა საძაგელსა საქმეს არც ერთი გუარი არა იქს არსად ქუეყანაზედ, თქუენა ხართ ამისი პირუელი მაგალითი. თუ სარწმუნოებას იტყვით, თქუენ მაჰმადიანები ხართ, ოსმალებთან ერთი თანა მორწმუნე, ეს დიახ კარგი, ვინ შეეხება თქუენს სარწმუნოებასა? ვინც კი თავის სარწმუნოებაში აღზრდილია, იყავით იმ სარწმუნოებაზედ და ჩუენც ვიქნებით იმის პატივის მცემელი ჭეშმარიტად. კარგად დაიხსომეთ, რასაც მე ეხლა გეუბნებით, თუ ამ ჩემს რჩევას გაიგონებთ, თქუენც ბედნიერი იქნებით და ჩუენ, ქართუელებიც, და თუ კიდევ ასე მოჰყუებით, როგორც აქამდისინ აოხრებდით და აოხრებინებდით საქართუელოს ოსმალებსა, უნდა კარგათ იცოდეთ, თქუენი შვილები, ანუ თქუენი შვილიშვილები ასეთ ვაებაში ჩაცვივდებიან, რომ თქუენი დედაკაცები მწარედ ტიროდნენ, გლოვა და თავში ცემა ჰქონდესთ და მშუელელი კი აღარავინ იყოს იმათი. ამისთანა უწყალოება მოივლინება იმათზედ, ეს კარგათ იცოდეთ. მე რომ ეხლა მოხუცებული შუახნის კაცები და ყმაწვილები მოგიპატიჟეთ, მიზეზი ეს არის რომ მოხუცებულებმა ურჩიოთ თქუენს ჯამაათს, დასცხრენ, ნულარ მოდიან ჩუენზედ, ნულარც ოსმალებს მიეკარებიან და ჩუენთაც გაერთდნენ ერთ ძმათა. თქუენ შუახნისას კი ამას გეუბნებით, თვითონ თქუენა ხართ ამღელებელი მთელი თქუენი ხალხისა ჩუენზედ. გეუბნებით, კარგია, ამდენს ავკაცობაზედ ხელი აიღევით, თორემ ბოლო დროს ჭარბელაქანი ინანებს. მე ეს წინათვე მიწინასწარმეტყუელებია თქუენთვის და თქუენ, პატარა ყმაწვილებო (მასუკან იმათ მიუბრუნდება), ამას თქუენ, ნუ დაივიწყებთ, თუ ამ ჩემს სიტყუას ესენი არ დაისწავლიან და კიდევ თავისებურათ მოჰყვებიან ჩუენზედ, მაშინ მამიგონეთ, როდისაც თქუენს ცოლ-შვილში საშინელება იყოს უწყალოებისა“.

ჭარბელაქნელთა ფიცი ცრუ აღმოჩნდა. ამასთან, მისხალ-მისხალ აუხდათ და კვლავაც უხდებათ დიდი მეფის წინასწარმეტყველება.

დღეს საქართველოს აუცილებლად სჭირდება გარკვეული პოლიტიკა ჩრდილოეთ-კავკასიასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პოლიტიკა ორიენტირებული იყოს რუსეთის დაშლაზე. ზოგიერთ პილიტოლოგთა აზრით, ეს უნდა იყოს პოლიტიკა ორიენტირებული ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელების დაახლოებაზე.

© „ღონისძიებები ათასწლეულზე“

დ. მეგრელაძე

დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

„ლეკი“ (лезгин) საქართველოს მკვიდრისათვის დაღესტნის ტომების საერთო სახელი იყო. ამიტომ, როდესაც ქვემოთ ლაპარაკი იქნება ლეკ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ ლეკთა (ლაკების) ტომის ურთიერთობა ქართველებთან, არამედ საერთოდ — დაღესტნის ტომებისა.

ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთობა ამ ორ მეზობელს შორის სამტრო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ეს იყო მთისა და ბარის არამშვიდობიანი ურთიერთობის სამი სახეობა: 1. მტაცებლური ექსპედიციები, 2. ლაშქრობანი ტერიტორიის დაპყრობის მიზნით, 3. ლაშქრობანი მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით. ამ მტრული ურთიერთობის ორგანიზატორები უმთავრესად დაღესტნის ფეოდალები და ტომების ბელადები იყვნენ, რომელთა სახელები მრავლად შემოუნახავს ქართულ თუ არაქართულ წყაროებს: **თარღუს შამხალი, ნურსალ-ბეგი, ომარ-ხანი, ზუბეიდალა, ჩონ-ჩოლ-მუსა, კოხტა-ბელადი, ბენდა და ა.შ.**

დაღესტნელ ფეოდალთა და ბელადების მიერ მოწყობილი მტაცებლური ექსპედიციების აღსანიშნავად ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ცნება „ლეკიანობა“ ან „ლეკობა“. ამავე სახელითაა ცნობილი ეს მოვლენა ფეოდალური ხანის ნარატულ თუ დოკუმენტურ წყაროებში.

ამ ურთიერთობის აღსანიშნავად გამართლებულად მიგვაჩნია, ვიხმაროთ სიტყვა „ლეკიანობა“ და არა „ლეკობა“. თუ ვიხმარდით ცნებას „ლეკობა“, მაშინ უნდა გვევარაუდა ისეთი მოვლენა, როგორიც იყო: „არაბობა“, „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“ და ა.შ., მაშასადამე, ისეთი მოვლენა,

როდესაც მოსული უცხოელები თავისი წეს-ჩვეულებებით აქ ბატონობენ. ლეკთა ურთიერთობანი კი საქართველოს მიმართ ასეთ ხასიათს არ ატარებდა. ლეკთა თავდასხმები ჩვეულებრივად არ იყო ხანგრძლივი. ისინი, პატარ-პატარა რაზმებად დანაწილებულები, ხან ერთ მხარეს ესხმოდნენ თავს, ხან — მეორეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოვლენას ვუწოდოთ „ლეკიანობა“, ანალოგიურად „ჭირიანობისა“, „შიშიანობისა“, „ომიანობისა“ და სხვ.

„ლეკიანობამ“ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. ეს თავდასხმები ანადგურებდა მწარმოებელ საზოგადოებას, შლიდა მეურნეობას, აუდაბურებდა მთელ რიგ მხარეებს, ძლიერ გავლენას ახდენდა სოციალურ ურთიერთობაზე ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ეს მოვლენა მჭიდროდ უკავშირდებოდა ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთის აგრესიას. ამიტომაა, რომ რიგი კონკრეტული მოვლენა ფეოდალური ხანის საქართველოში შეუძლებელია აიხსნას დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე.

* * *

გატაცებულ ტყვეებს მთიელები მეურნეობაში ვერ იყენებდნენ, მეურნეობის დაბალი დონის გამო, ამიტომ ტყვეები მიჰყავდათ „ამანათებად“ ე.ი. იმ მიზნით, რომ ისინი დაეხსნათ პატრონებს. მხოლოდ ასეთი მიზნით იტაცებდნენ დაღესტნელები ტყვეებს იმ დრომდე, ვიდრე მათ ფართო გასაქანს მისცემდა ოსმალეთის ტყვეების ბაზარი.

საქართველოს განვითარებული მეურნეობა და მზარდი მოსახლეობა „ლეკებისათვის“, გარკვეული დროის განმავლობაში, საძარცვი საგნის განუწყვეტელი რეპროდუქციის წყაროს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, იმის მიზეზი, რომ დაღესტნელი ფეოდალები განაგრძობენ „ყაჩაღურ“ მეურნეობას, ის იყო, რომ მათ საქონელს — ტყვეს, დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა გამსაღებელი ოსმალეთის სახით.

კახეთის მეფის, დავით II-ს წერილებიდან ირკვევა, რომ „ლეკები“, ღამის გადიდებასა და აგრილებასთან ერთად, ე.ი. შემოდგომის დადგომისას, აძლიერებდნენ თავიანთ თავდასხმებს. ამის მიზეზი ის იყო, რომ „მეჯოგური მე-

© „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ“

ურნეობის“ მქონე დაღესტნელი ტომებისათვის აუცილებელი იყო საზამთრო საძოვრები. როგორც კი ზაფხული მიიწურებოდა, „ლეკები“ ზაფხულის საძოვრებიდან — იალაღებიდან ზამთრის საძოვრებისაკენ — ყიშლაღებისაკენ დაეშვებოდნენ. კახეთის ბარში შესანიშნავი საზამთრო საძოვრები იყო. გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში ამ საძოვრებით თვით საქართველოს მოსახლეობა სარგებლობდა. XVIII ს. დასაწყისისათვის კი, როგორც ჩანს, დაღესტნელები თავისუფლად ჩამოდიოდნენ კახეთის საზამთრო საძოვრებზე.

საზამთრო საძოვრებზე ჩამორეკილ საქონელს თან მოჰყვებოდნენ პატრონები — დაღესტნის ფეოდალები და ტომთა ბელადები. ამიტომ იყო, რომ შემოდგომის დადგომასთან ერთად ლეკების მხრივ საშიშროებაც მატულობდა. „იალაღიდან ჩამობრუნდნენ. ღამე გადიდდა და აგრილდა. ახლა ესენი („ლეკები“, — დ.მ.) ლაშქრობისაგან აღარ მოისვენებენ,“ — აცნობებდა კახეთის მეფე დავით II ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს.

როგორც აღნიშნული იყო, „ლეკების“ თავდასხმების ძირითადი მიზანი ტყვეების გატაცება იყო. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს მთიელები ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზრებზე ასაღებდნენ. **მოტაცებული ტყვეები ოსმალეთის ბაზარზე ლეკებს ორი გზით მიჰყავდათ: პირველი გზა ჭარ-ბელაქნიდან დაღესტანში გადიოდა, დაღესტნიდან კი — ყირიმში, მეორე — ახალციხიდან პირდაპირ ოსმალეთისაკენ, საიდანაც ტყვეები გაჰყავდათ ეგვიპტეში, ალჟირში, არაბეთსა და სხვა ქვეყნებში.** XVIII საუკუნის 30-იან წლებში სტამბოლში მყოფ კათალიკოს დომენტის უნახავს 50 ქართველი ტყვე, რომლებიც შემდეგ ალჟირნში, ეგვიპტესა და არაბეთში გაუყიდიათ. ლეკები ტყვეებს სპარსეთშიაც ყიდდნენ, მაგრამ ტყვეთა მთავარი გამსაღებელი მაინც ოსმალეთი იყო.

XVI საუკუნიდან ქართულ და რუსულ წყაროებში უკვე ჩნდება ცნობები დაღესტნელთა შემოტევების შესახებ. ამ დროიდან ლეკ-ქართველთა ურთიერთობა უკვე „ლეკიანობის“ ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაღესტნის მოსახლეობის პატარ-პატარა ჯგუფები ძარ-

ცვის მიზნით თავს ესხმიან საქართველოს მიწა-წყალს. ამ თავდასხმების ორგანიზატორები დაღესტნის მოსახლეობის პრივილეგირებული ფენები არიან: ხანები, უცმიები, ბეგები, შამხლები, „ბელადები“ და ა.შ.

XVI საუკუნისათვის დაღესტნელთა შემოტევები უმეტესად ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ქართველები ამ შემოტევებს იგერიებენ.

ვახუშტი ბატონიშვილს მოთხრობილი აქვს, რომ კახეთში ლევანის მეფობის დროს (1520-1574 წწ.) გაღმა მხარეს თავს დასხმია ლეკი და გაუტაცნია ძროხა. ლევანის სპა დასდევნებია და სასტიკად გასწორებია თავდამსხმელს, „რათა არა კადნიერ იქმნენ სხვანი კვალად კირთებად კახეთისა“.

XVI-XVII სს. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის უმთავრესად რუსული მასალაა. ამ დროისათვის საქართველოში ლეკიანობის ორგანიზატორი შამხალია. დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფეოდალური ერთეული საშამხალო ამ პერიოდისათვის ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „შამხალის მტრობა და თავდასხმა კახეთზე ნამდვილად იმავე ოსმალების პოლიტიკური და სამხედრო გეგმის შედეგი იყო და ერთგვარი ნიადაგის წინასწარი შემზადება მომავალი მოქმედების გასაადვილებლად“.

პირველ ხანებში ქართველები მთიელთა შემოტევებს დამოუკიდებლად იგერიებდნენ. საშამხლოში ოსმალეთის გავლენის გაზრდასთან ერთად გახშირდა და გაძლიერდა მთიელთა შემოტევებიც, რომლის წინააღმდეგ ბრძოლებში ქვეყანა უძლური აღმოჩნდა. ალექსანდრე კახთა მეფე იძულებული გახდა, ქვეყნის დასაცავად უცხო ძალისათვის მიემართა. მას საიმედო მოკავშირედ ამ შემთხვევაში რუსეთი მიაჩნდა. ძირითადი მოთხოვნები, რომელთაც ალექსანდრე რუსეთის კარს უყენებდა, ეს იყო შამხლისა და მთიელებისაგან დაცვა. მოსკოვის კარი კახეთის მეფეს ჰპირდებოდა, რომ მთიელებს დაიმორჩილებდა. **მაგრამ რუსეთის ლაშქრობებს საშამხლოს წინააღმდეგ (1591, 1594) ეფექტური შედეგები არ მოჰყოლია. პირიქით, შამ-**

© „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲕᲘ“

ხალმა სხვა მთიელებიც გააერთიანა და მეტი ენერგიითაც შემოუტია კახეთს. კახეთის მეფე იძულებულიც კი გამხდარა შამხლისათვის დასაშოშმინებლად მოსაკითხი გაეგზავნა.

1605 წ. რუსეთის ჯარმა წარმატებით შეუტია საშამხლოს. კახეთის მხრიდანაც მთიანეთზე გალაშქრება დროული ჩანდა, მაგრამ ამ სურვილებს წინ ეღობებოდა შაჰის ერთგული ქართველი უფლისწულის ზრახვები... 12 მარტს დატრიალებულმა ტრაგედიამ გამარჯვება კონსტანტინეს არგუნა. ეს გამარჯვება ირანის გამარჯვება იყო.

XVI ს. მიწურულს ირანის სახელმწიფოში ჩატარებულმა რეფორმებმა სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცე შესძინა. ირანის პოზიციების განმტკიცებამ საშამხლოს საკითხი გაამწვავა. შამხალმა რუსეთის წინააღმდეგ დახმარებისათვის ირანს მიმართა. ეს კავშირი კახეთისათვის სახიფათო ჩანდა. კახეთზე შამხლის ინიციატივით მოწყობილი თავდასხმები შაჰისათვის ხელსაყრელი იყო.

XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასმა ორი დიდი შაქრობა მოაწყო კახეთის წინააღმდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, **შაჰ-აბასი „ლეკებს“ შეუთანხმდა კახელების წინააღმდეგ: *„რამეთუ მნებავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა...“*,** „ლეკებს“ შაჰ-აბასი არ განუწყენებიათ, *„...არამედ ლეკთაცა უყვეს ეგრეთ* (მთებში შეხიზნულ კახელებს. — დ.მ.), *ვითარცა აღუთქვეს შაჰ-აბასს“.*

შაჰ-აბასის ლაშქრობებმა კახეთი ააოხრა. მოსახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლებში დაიღუპა, ნაწილმა კახეთს გაარიდა თავი — გაიხიზნა. რამდენიმე ათასი ქართველი ტყვე კი შაჰ-აბასმა ირანის დაცარიელებულ პროვინციებში გადაასახლა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა არარაობამდე დავიდა. გაძლიერდა „ლეკების“ შემოტევები. მთიელმა დაღესტნელებმა დაიწყეს ბარში ჩამოსახლება და შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ დაცარიელებული ადგილების დაკავება. **ამ ხანებიდან დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ახალი ეტაპი შეიძლება ვივარაუდოთ. თუ თავდაპირველად „ლეკების“ ექ-**

სპანსია თავდასხმებში გამოიხატებოდა, შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ „ლეკები“ ქართულ ტერიტორიას იკავებენ.

„საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ გვამცნობს, რომ „ლეკებს“ გაუმაჰმადიანებიათ დიდოეთი, ქისტეთი, ღლივი, ძურძუკი. ახლა კი სურთ, რომ თუშები, ფშავ-ხევსურეთი და ხევიც გაამაჰმადიანონ და შემდეგ მთელი მთიანეთი — ყირიმამდეო. ამ შემთხვევაში ოსმალეთის ხელი ჩანდა...

მათ იგივე მიზნები ჰქონდათ ქართული მოსახლეობის მიმართ. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით: „ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ეს პირველყოფილი მოახალშენეები ან „ძმებად შეიყრიდნენ“, ე.ი. გაამაჰმადიანებდნენ და თავიანთი თემის (ჯამაათის) წევრად მიიღებდნენ, ან „ურწმუნოებს“ მონებად დაჰყიდდნენ.

ასეთ პირობებში ყოველი მხრით დევნილი, სასომიხდილი ქართველი გლეხობა თანდათან გატყდა, მან „გალეკება“ დაიწყო“. უფრო გვიან „ახლომდებარე კახური სოფლები მათ კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს“, ამრიგად, „უბატონო თემები“ თანდათან მებატონე თემებად იქცნენ“.

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, *„ამ დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხებს ეწოდა ინგილო, განსხვავებით ტერმინ ლეკისაგან... ასე რომ, „ლეკი“ ან „ინგილო“ უფრო სოციალური შინაარსის ცნებებია, ვიდრე ეთნიკური“.*

ამრიგად, თუ დაღესტან-საქართველოს სამტრო ურთიერთობის ერთი სახეობა მძარცველური ექსპედიციები იყო, ამ შემთხვევაში სამტრო ურთიერთობის სხვა სახეობა გვაქვს, როდესაც დამპყრობელი დამორჩილებულს ადებს გადასახადს, მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.

ქართულ მიწა-წყალზე ჩამოსახლებული „ლეკების“ მიერ შექმნილი პუნქტები საიმედო დასაყრდენი გახდა დაღესტნის სოციალური ზედაფენისათვის საქართველოზე თავდასხმებისათვის.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კახეთში სპარსეთის

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ“

მოხელე — ხანი დაჯდა. სპარსეთისათვის კახეთის გაძლიერება ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ ქვეყნის მმართველებად გამოგზავნილი ხანები „ლეკებს“ იკავშირებენ და მათი საშუალებით კახეთის ძალის გატეხვას ცდილობენ.

1635 წ. მეფე თეიმურაზმა ელჩი მიავლინა მოსკოვის კარზე. ახლაც, როგორც 40 წლის წინათ, კახეთის მეფის სათხოვარი რუსეთის მეფის კარზე „ლეკებისაგან“ დაცვა იყო. ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. 1639 წ. თეიმურაზმა კვლავ მიმართა რუსეთს, იგი ამჯერადაც ლეკებზე ჯარის გამოგზავნას თხოულობდა და აღნიშნავდა, რომ ლეკებმა გაანადგურეს კახეთი, გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები. თეიმურაზს ლეკები უფრო დიდ მტრებად მიაჩნდა, ვიდრე — შაჰი.

1677 წ. ყარაღაჯში ბეჟან-ხანი დაჯდა (ყარაჯაღი სპარსელი ხანების საჯდომი ადგილი იყო). ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მან ნება დართო და დაეხმარა კიდეც — „ძალი“ მისცა ლეკებს კახეთზე თავდასხმებისთვის. ასევე მოუწოდა მან ჭარელებს და ჩამოსახლებულ თურქმანულ ტომებს: ***„ხანმა მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არ-თუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით...“.*** ასეთი მოქმედება ტიპიური იყო სპარსეთის პოლიტიკისათვის... კახელები წინააღმდეგობას უწევენ სპარსეთის ხელისუფალთ და, მიუხედავად სპარსელი მოხელეების ხელშეშლისა, „ლეკებზე“ (ჭარზე) ლაშქრობის გეგმას სახავენ.

კახელების ლაშქრობები ჭარზე (1695, 1706, 1712-13, 1715 წწ.) მარცხით მთავრდება. ყოველი დამარცხების შემდეგ „ლეკები“ ახალი ენერგიით უტევენ კახეთს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) იძულებული გამხდარა, „უბატონო თემებთან“ ზავი შეეკრა. ვახუშტის ცნობით, საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხდია მათთვის: ერთდროულად 50 თუმანი. „ჭარის ომების ქრონიკის“ ცნობით კი, ყოველწლიურად ასი თუმანი უნდა გაეღო მათვე სასარგებლოდ. რამდენად რეალურია ანონიმი ქრონიკის ეს ცნობა, არ ვიცით. ქართულ წყაროს შემოუნახავს ცნობა, ლეკების მცირე ხნით „დაწყნარებისა“, რაც 1715-16 წლებში უნდა მომხდარიყო. ეს „დაწყნარება“, ჩვენი ფიქრით,

ემთხვევა ანონიმი ქრონიკის ჩვენებებს, მაგრამ არც ეს „დაწყნარება“ ყოფილა ხანგრძლივი. ორი წლის შემდეგ „ლეკებს“ კვლავ დაუწყიათ თავდასხმები. ხშირმა თავდასხმებმა კახეთის მეურნეობა მოშალა, მოსახლეობა შეამცირა. ვახუშტის სიტყვებით, კახელებს „ხრიკი“ უხმარიათ: ლეკებისათვის მეგზურები მიუციათ და სარბევად ქართლისაკენ გადაუშვიათ, თვითონ კი მათთან ზავი შეუკრავთ.

* * *

ქართლს ლეკები პირველად 1717 წელს ეწვივნენ. ამ ამბის შესახებ ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერში. ლეკები ბოლნისსა და ქციის ხეობას შესევიან. ქართველები ლეკებს შებმიან და კიდეც დაუმარცხებიათ ისინი. მიუხედავად ამისა, ლეკთა ეს შემოტევა ქართლისათვის ავის მაუწყებელი იყო — ლეკიანობის ახალი ეტაპი იწყებოდა.

თუ შაჰ-აბასის ლაშქრობებამდე მხოლოდ მთიდან წამოსული ლეკები ესხმოდნენ თავს კახეთის სოფლებს და აოხრებდნენ, შემდეგ უკვე ქართულ მიწა-წყალზე ფეხმოკიდებული ლეკები უტევენ კახეთს. XVIII ს. პირველ ოცეულში კი მათ ქართლსაც შემოუტიეს. ამავე დროს, მიუხედავად დაზავებისა, ლეკები არც კახეთზე თავდასხმებს ანებებდნენ თავს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) მარტო ვეღარ ახერხებდა მათ გამკლავებას. დახმარებისათვის ქართლის მეფეს ვახტანგ VI მიმართა. ვახტანგ VI კარგად ხედავდა, რომ, თუ ლეკები დღეს კახეთის მიწას აოხრებდნენ, ხვალ ქართლსაც შემოადგებოდნენ, ამიტომ კახეთის მეფესთან ლეკების წინააღმდეგ კავშირი ქართლის მეფისათვისაც მისაღები ჩანდა. აქედან გამომდინარე 1720 წ. ქართლსა და კახეთს შორის კავშირი შეიკრა ლეკების წინააღმდეგ.

XVIII ს. პირველ ოცწლეულში, სარგებლობდნენ რა სპარსეთის შესუსტებით, ლეკები სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც უტევდნენ ამიერკავკასიაში. თუ პირველ ხანებში ირანის მოხელეები ლეკებს ქართველების წინააღმდეგ იკავშირებდნენ, მას შემდეგ, რაც ლეკებმა ამიერკავკასიაში სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც შეუტიეს, სპარ-

© „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ“

სეთმა ლეკების დამორჩილება განიზრახა. შაჰმა დასახმარებლად ქართველ მეფეებს მიმართა. კახეთის მეფე დავით II და ქართლის მეფე ვახტანგ VI სპარსეთის შაჰის მოხელეები იყვნენ, ამდენად ისინი მოვალენი იყვნენ, შაჰის სამფლობელოები გარეშე მტრისაგან დაეცვათ. ქართველი მეფეები ფიქრობდნენ, რომ ამ ლაშქრობით ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამდენად, ეს წინადადება ქართველი მეფეებისთვის მისაღები ჩანდა. ქართველები ლეკებზე სალაშქროდ მომზადებულან და ყიზილბაშთა ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ ამ დროს ირანის შაჰს ვახტანგისათვის ლაშქრობა დაუშლია. XVIII ს. ქართველი ისტორიკოსის, სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, თითქოს სპარსეთში ფიქრი მისცემოდათ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“.

საქმე ისაა, რომ XVIII ს. 20-იან წლებში ამიერკავკასიის სარბიელზე პეტრე I-ის რუსეთი გამოდის. სპარსეთში ყოფნის დროს ვახტანგ VI-ს (იგი შაჰის კარზე იყო რამდენიმე წელი) საშუალება ჰქონდა, სპარსეთის მდგომარეობა შეეფასებინა. ის ხედავდა, რომ სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების დრო დადგა, ამიტომ ჯერ საიდუმლოდ, ხოლო შემდეგ აშკარად პეტრე I-ის რუსეთს უკავშირდება. **შესაძლებელია, ლეკებზე სალაშქროდ მზადების პროცესში შაჰმა ცნობა მიიღო, რომ ვახტანგმა გეზი რუსეთისაკენ აიღო, რის გამოც შაჰმა ლეკებზე ლაშქრობა ორგულ ყმას ვერ ანდო. შესაძლებელია, შაჰი ფიქრობდა, რომ ვახტანგი კახეთსაც დაიჭერდა, ქვეყანას გააერთიანებდა და სპარსეთს ქრისტიანულ რუსეთს დაუპირისპირებდა**.

ვახტანგის ლაშქრობის მოშლის შემდეგ ყიზილბაშები დამარცხდნენ. ჭარელმა ლეკებმა ახლა მეტი ძალით შემოუტიეს კახეთს. ამჯერად მათ გადაღმელი თანამოძმეებიც მოიშველიეს.

რუსეთთან კავშირმა ვახტანგ VI მტრები გაუმრავლა, 1722 წ. შაჰმა კახეთის ტახტზე მაჰმადიანი კონსტანტინე დაამტკიცა და, ერთის მხრივ, რუსეთის ორიენტაციის მქონე ვახტანგს, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთს და-

უპირისპირა. კონსტანტინემ ქართლის წინააღმდეგ ლეკები შეიკავშირა და მათი დახმარებით თბილისიც აიღო. ამის შემდეგ ლეკიანობა მთელი ქართლისათვის სახიფათო შეიქნა. მეორე მხრივ, ქართლს ოსმალები უტევდნენ. რუსეთის დახმარება იგვიანებდა, ვახტანგ VI იძულებული გახდა, ოსმალეთის „პატრონობა“ ეცნო.

1723 წ. ქართლში „ოსმალობა“ დამყარდა, რის შემდეგაც ოსმალები ქართლს თავის საბატონო ქვეყნად თვლიდნენ და ქართლში შემოჭრილ ლეკებს „მტრად“ უცქერდნენ. ხშირად მათი შეჯახებები სისხლისმღვრელი ბრძოლებითაც მთავრდებოდა. ოსმალები ლეკებს უპირისპირდებოდნენ კახეთშიაც. სამაგიეროდ სპარსეთის ერთგული კონსტანტინე კახთა მეფე ლეკებს იკავშირებდა და მათ ოსმალებს უპირისპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ გაბატონებული ოსმალები ლეკებს უტევდნენ, ვფიქრობთ, **ეს შეჯახებები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ოსმალეთის მთავრობა ლეკებს შეურიგებელ მტრებად სრულიადაც არ თვლიდა და ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებისათვის ლეკებში ერთმორწმუნე მოკავშირეებს ხედავდა. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ოსმალეთის მთავრობამ გამოავლინა ლეკებისათვის მიცემულ ფირმანში. ამ ფირმანით ოსმალეთის სულთანი ჭარისა და თალას ლეკებს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მათ ოსმალეთის მთავრობის წინაშე გამოიჩინეს, სამუდამო მფლობელობაში უმტკიცებდა მათ მიერ დაკავებულ მიწებს.**

XVIII ს. 30-იანი წლებიდან სპარსეთი ამიერკავკასიაში მომაგრებულ ოსმალებთს უტევს. ამის მხილველმა ოსმალებმა სპარსეთის წინააღმდეგ ისევ შეიკავშირეს ლეკები.

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი სპარსელების დახმარებით „ოსმალობის“ მოსპობას ფიქრობდა, ამიტომ სპარსელების აქ დამკვიდრებას ხელს უწყობდა. 1735 წლიდან ქართლ-კახეთში „ყიზილბაშობა“ დამყარდა. როდესაც ქართველებმა ნახეს, რომ ყიზილბაშები ოსმალებზე ნაკლები დამპყრობლები არ იყვნენ, ქართული საზოგადოების ნაწილი მათ გადაუდგა და ყიზილბაშებს ლეკები დაუპირისპირა (გივი ამილახორი, შანშე ქსნის ერისთავი, ორბელიანები).

© „ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ“

ოსმალები ქართლის დაკარგვას ადვილად ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომ ქართლზე ლაშქრობას აწყობდნენ. ამ ლაშქრობაში ოსმალები ფულითა და საჩუქრებით დაღესტნის ტომებს იკავშირებენ. როდესაც სპარსელებმა ნახეს, რომ ლეკები აქტიურად ეხმარებიან ოსმალებს, დაღესტნის წინააღმდეგ ლაშქრობებს აწყობენ. ქართველები სიამოვნებით უერთდებიან ყიზილბაშების ამ ლაშქრობებს და ამჯერად სპარსელების დახმარებით ჭარის დამორჩილებას ფიქრობენ. **ჭარი საქართველოს მიწა-წყალზე თავდამსხმელ ლეკთა ბუდე იყო, ამიტომ მისი შემოერთების გეგმა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. ქართველებმა იცოდნენ, რომ ჭარის აღებით ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა.** ამიტომ ახლა, როდესაც ამის საშუალება ეძლეოდათ და დამხმარე ძალაც ძლიერი ჩანდა, ჭარზე ლაშქრობის დიდად მოხარულნი იყვნენ, მაგრამ ყიზილბაშებმა ჭარის დამორჩილება ვერ შეძლეს და საქართველოს წინაშე ჭარის საკითხი გადაუწყვეტი რჩებოდა. ლეკების პატარ-პატარა რაზმები კვლავ იჭრებოდნენ ქვეყანაში და დიდი ზარალი მოჰქონდათ. „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დროს ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში მეტად ძლიერი იყო, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ურთიერთბრძოლა ამიერკავკასიაში, ქართველთა ბრძოლა ოსმალობა-ყიზილბაშობის წინააღმდეგ განსაკუთრებით უწყობდა ხელს ლეკიანობის გაძლიერებას. ურთიერთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები იკავშირებდნენ თავდამსხმელ ლეკებს და მოწინააღმდეგის ქვეყნის საძარცვად მოუწოდებდნენ.

* * *

ლეკების სისტემატურ თავდასხმებს საქართველოში შედეგად ის მოჰყვა, რომ XVIII ს. 50-იანი წლებისათვის მათ საქართველოშივე — ზედაზენში, სამშვილდეში, წალკა-თრიალეთზე და სხვაგან გაიჩინეს ბინა. საქართველოში დაბუდებული ლეკები უტევდნენ საქართველოს მოსახლეობას და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მას.

გამეფებისთანავე ერეკლე II ენერგიულად შეუდგა ლეკიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარებას. იგი ხე-

დავდა, რომ, თუ „ლეკთა“ თარეშები არ შეწყდებოდა, მისი სამმართველო ქვეყნიდან აღარაფერი დარჩებოდა. მან მალე სამშვილდის ციხე აიღო. ამით ლეკებს ქვემო ქართლში თავშესაფარი მოუშალა, მაგრამ ლეკთა წვრილ-წვრილი თარეშები საქართველოში არ შეწყვეტილა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში მოღლილი ქვეყანა თავს ვეღარ იცავდა...

XVIII ს. 50-იან წლებში ქართველებმა კიდევ ერთხელ სცადეს ჭარის დამორჩილება, მაგრამ დამარცხდნენ. ამან ცხადყო, რომ „დიდი ჯარი“, „კაის ხელმწიფური რიგით და თადარიგით“ გამზადებული მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის სუსტი იყო...

ლეკებთან საუკუნოვან ბრძოლებში მოსახლეობამ ბრძოლისა და თავდაცვის ხერხები შეიმუშავა. შეიცვალა „ლეკების“ თავდასხმების ხასიათიც. თუ ადრე ისინი ქურდულად, მცირე რაზმებად დანაწილებულები ესხმოდნენ თავს მოსახლეობას, ახლა უკვე გამაგრებულ ადგილებზე მიაქვთ იერიში და თავდასხმებიც უფრო ორგანიზებული აქვთ. ამავე დროს ისინი შემთხვევას არ უშვებენ თავდაუცველ, თავისუფალ მოსახლეობაზე თავდასხმისათვის. თუ ამდენხანს „ლეკების“ თავდასხმების ძირითადი მიზანი მტაცებლური ექსპედიციები იყო, ნადავლის (ძირითადად — ტყვეების სახით) მოპოვების მიზნით, XVIII ს. მეორე ნახევრიდან ლაშქრობების ხასიათი იცვლება. **ამ დროიდან დაღესტნის მოსახლეობის სოციალური ზედა ფენა ლაშქრობებს იწყებს ტერიტორიების დაჭერის მიზნით.** 1754 წლისათვის მათ ქართლ-კახეთის მთლიანად დაჭერა განუზრახავთ. ხუნძახის ბატონს ნურსალ-ბეგს გაუერთიანებია დაღესტნის ტომები. *„რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი კაცები იყვნენ, თან გამოყოლოდენ და ამისათვის დიდი ჯარი შეყრილიყო. ეს ხუნძახის ბატონი კაის დიდებით წამოსულიყო, რაც ლეკობას გაეწყობოდა,“* — გადმოგვცემს პაპუნა. მისივე თქმით, ლეკები ქართლ-კახეთზე იმიტომ მოდიოდნენ, რომ ქვეყანა დაემორჩილებინათ: *„თუ ეს ქუნძახის ბატონი ქართველსა და კახ ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ და ვითაც მტერ-*

© „ღვანცარაძის ბიბლიოთეკა“

ნი იყვნენ, აგრევ ააოხრებდნენ, დაატყვევებდნენ... თავისთვის უნდოდათ“.

პაპუნა ორბელიანისათვის, როგორც ქართული ფეოდალური საზოგადოების წევრისთვის, წარმოუდგენელი იყო მთის ბატონობა განვითარებულ ბარზე. ამიტომაც იყო, რომ იქვე დასძენდა: „აოხრებულს ქვეყანას რას უზმედენ... — ის კი არ ვიცითო“. ე.ი. იგი ეჭვს გამოთქვამდა, რომ მთა პოლიტიკურად დაიმორჩილებდა ბარს, მაგრამ საქმე არც მთლად ასე იყო. ამ დროისათვის დაღესტნელებს ხელთ ჰქონდათ გაღმა მხარი და საბოლოოდ იქ დამკვიდრებასაც აპირებდნენ. ასეთივე მიზანი ჰქონდათ ამჯერად „ლეკებს“ უკვე ქართლ-კახეთის მიმართ — მათი პოლიტიკური ექსპედიცია ტერიტორიის დაკავებას ისახავდა მიზნად.

1754 წ. ქართველებმა მჭადიჯვრის ომში დაამარცხეს ლეკები. ამ ომს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერეკლე II. მარცხმა ხუნძახის ბატონს საქართველოზე ხელი ვერ ააღებინა. მან ხელახლა შემოიკრიბა ძალები. გარდა „ლეკებისა“, მან ამჯერად „ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი“ შეაკავშირა: აჯი-ჩალაბის შვილი, კაკის სულთანი, განჯის ხანი. კოალიციური ლაშქარი ყვარლის ციხეს მოადგა. აქაც, ერეკლე II-ს ბრწყინვალე ნიჭის წყალობით, ქართველებმა მტერი დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, წვრილ-წვრილი თავდასხმები არ წყდებოდა.

XVIII ს. 60-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთში წონასწორობა დამყარდა. არც ოსმალეთი და არც ქერიმ-ხან ზანდის სპარსეთი საქართველოსთვის უკვე საშიშნი არ ჩანდნენ, ლეკების საკითხი კი ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო.

1768 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ოსმალებმა დასახმარებლად ლეკებს მიმართეს. ქართველი მეფეები — ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონი ამ ომში რუსეთს მიემხრნენ. ამის გამო 1768 წ. შემდეგ „ლეკების“ შემოტევები ახალციხის მხრიდან გახშირდა. ამავე დროს „ლეკები“ ძველი გზიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც უტევდნენ საქართველოს და მთებიდან ჩამოსულები საქართველოს გავლით ოსმალეთის სამფლობელოებ-

ში გადადიოდნენ. ოსმალეთის კარი ხუნძახის ბატონის მიმხრობასაც ცდილობდა და საჩუქრებს უგზავნიდა მას იმ პირობით, რომ იგი ახალციხეს ჩასულიყო.

XVIII ს. 70-იანი წლებისათვის სპარსეთ-ოსმალეთი ურთიერთშორის ომისათვის ემზადებოდა. ერეკლე ოსმალეთისაკენ გადახრილა და 1774 წ. ახალციხის ფაშას დაზავებია კიდეც. ამის შემდეგ „ლეკთა“ შემოსევები ახალციხის მხრიდან შენელდა, მაგრამ დაირღვა თუ არა ზავი, ახალციხის მხრიდან ლეკების შემოტევები კვლავ გახშირდა.

ამავე საუკუნის 80-იან წლებში ერეკლეს წინაშე საგარეო ორიენტაციის საკითხი მწვავედ იდგა. სამი დიდი მეტოქის (რუსეთი, სპარსეთი, ოსმალეთი) შორის მათ ერთერთი უნდა ამოერჩია. ერეკლეს არჩევანი რუსეთზე შეჩერდა. 1783 წ. გიორგიევსკში რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რამაც შეაშფოთა როგორც ოსმალეთი, ისევე სპარსეთი. ტრაქტატის საპასუხოდ ოსმალებმა ლეკები შეაკავშირეს. **1785 წ. ოსმალეთის მიერ წაქეზებული და აღჭურვილი „ლეკების“ დიდი ლაშქარი ომარ-ხანის მეთაურობით საქართველოს მოადგა. რუსეთი ამჯერად იარაღით წამოეშველა საქართველოს და ჩრდილოეთის მხრიდან ჭარს მოადგა.**

1783 წ. ტრაქტატის მიზეზით იყო გამოწვეული აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის ლაშქრობაც. თავის მხრივ ლეკები სპარსეთმაც შეიკავშირა საქართველოს წინააღმდეგ, აღამაჰმად-ხანის ლაშქარში მრავლად იყვნენ ლეკები.

1801 წ. საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, თანდათან საფუძველი ეცლება ლეკიანობის ხელისშემწყობ პირობებს. რუს-ქართველთა ლაშქარმა ლეკების დასაყრდენი — ჭარ-ბელქანი აიღო, თანდათან ისპობა ძველი ქართული თავადური წყობილება. მთიანეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ახალი ეკონომიური პირობების გამო, სახეს იცვლის მთის მოსახლეობის მეურნეობაც. ამისდაკვალად თანდათან ქრება ლეკიანობა, თუმცა მას ეპიზოდური ხასიათი დიდი ხნის განმავლობაში შერჩა.

* * *

© „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“

„ლეკიანობის“ ხელისშემწყობი პირობები, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობასა და ქვეყნის შინაგან წინააღმდეგობებში უნდა ვეძებოთ.

XVI ს. მოყოლებული, კახეთი თავს იცავდა მთიელთა თავდასხმებისაგან. დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე კახელი გლეხობა წინააღმდეგობას უწევდა მთიელ თავდამსხმელებს. ამავე დროს, კახეთი შაჰის სახანოს წარმოადგენდა. გარეშე მტრებთან ბრძოლებში მოსახლეობის ნაწილი გაწყდა, ნაწილი კი ტყვედ იქნა წაყვანილი. როგორც წესი, ბრძოლებში ცუდად შეიარაღებული, ნაკლებად თავდაცული მწარმოებელი საზოგადოება მცირდება. ირღვეოდა პროპორცია მწარმოებელსა და მფლობელს შორის, ეს კი ფეოდალური ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა. შეთხელებულ მწარმოებელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვა ადგილობრივი ფეოდალური თუ უცხოელ დამპყრობთა მიერ დაკისრებული ვალდებულებანი და გადასახადები. კახელი გლეხი ამ მდგომარეობას ხშირად „გალეკებით“ იცილებდა თავიდან. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს: „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლევდა: **კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა.**

* * *

ლეკიანობასთან საუკუნოვან ბრძოლებში ქვეყანაში ბრძოლისა და თავდაცვის გარკვეული წესები და ხერხები გამომუშავდა. ლეკების თავდასხმები საერთოდ ომის ხასიათს არ ატარებდა. მათი თავდასხმების თავისებურება ის იყო, რომ ისინი პატარ-პატარა რაზმებად დანაწილებულები ხან ერთ მხარეს დაესხმოდნენ თავს, ხან — მეორეს. ლეკების თავდასხმების თავისებურებამ განსაზღვრა მის წინააღმდეგ შემუშავებული ბრძოლისა და თავდაცვის საშუალებებიც.

ლეკების თავდასხმებისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას ციხე-გალავნების აგება წარმოადგენდა. ციხეებს, პირველ რიგში, ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აგებდნენ, გალავნებს კი სოფლების გარშემო ან სოფლის გარკვეულ ნაწილში (უმთავრესად — ეკლესიების გარშე-

მო). **ომან ხერხეულიძის ცნობით, ერეკლეს მეფობაში ქართლ-კახეთში აშენდა ას სამოცამდე გალავანი და ბურჯი, ხოლო თვით ერეკლეს განუახლებია გორის ციხე, სიღნაღის, თელავის, ბოჭორმის, ყვარლის, საბუის, გრემის, პატარძეულის, ნორიოს და სხვა გალავნები.** ლეკთა თავდასხმების მოლოდინში მოსახლეობა სურსათით, საქონლით შედიოდა ციხე-გალავნებში და თავს აფარებდა გამაგრებულ კედლებს.

პაპუნას გადმოცემით, ლეკების ერთ-ერთი ლაშქრობის დროს: „ქართლისა და კახეთის ქვეყნები ასე აყრილიყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ აღარავინ იდგა“.

ლეკების თავდასხმების შესაჩერებლად ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აკეთებდნენ თხრილებს, აღრმავებდნენ მდინარის ფონებს, კაფავდნენ ლეკების სამალავ ტყეებს და ა.შ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო ძალას ენიჭებოდა.

ლეკებთან საბრძოლველად ერთ-ერთი საშუალებათაგანი იყო „ნაპირის ალაგას“ დგომა, „ნაპირის ალაგის“ გამაგრება და „მონაპირე ჯარის“ არსებობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო „ყარაულის“ დაყენება. ლეკების ჩამოსასვლელ გზებზე, ხიდებზე, ხეობებში და ა.შ. ყარაულების გამოყვანა სოფლის მოსახლეობისაგან ხდებოდა „შეწერით“. მორიგე ლაშქრის ჩამოყალიბების შემდეგ კი ყარაულების გამოყვანა „მორიგედან“ ხდებოდა. ყარაულები გამოყავდათ კახეთის ელიდანაც. ელიდან გამოსული ყარაულები გასამრჯელოს იღებდნენ — დღეში ორ-ორ აბაზს.

1796 წ. იულონ ბატონიშვილის ბრძანებიდან ხოვლელებისადმი ირკვევა, რომ არსებობდა „ყარაულების განწესება“, საიდანაც აშკარაა, რომ ყარაულობა შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში, პაპუნა ორბელიანის ცნობით, ქართლელებისა და კახელებისაგან ლეკების თავდასხმების წინააღმდეგ ჩამოყალიბებულა 1000-კაციანი ლაშქარი, რომელსაც ხელისუფლება ჯამაგირს უხდიდა. ამ ლაშქრის არსებობას კარგი შედეგი გამოუღია.

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ“

ლეკიანობასთან ბრძოლის ეფექტური საშუალება იყო ე.წ. მდევრობა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველები მუდამ მზადყოფნაში იყვნენ და შემოჭრილ მტერს უკან დაედევნებოდნენ ხოლმე. 1772 წ. კი ზემო ქართლისათვის მდევრობის კონკრეტული წესები ჩამოყალიბებულა და ზემო ქართლი სამდევრო ერთეულებად დანაწილებულა. მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება მაინც არ წარმოადგენდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურ საშუალებას. საჭირო იყო ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის გადახალისება. ასეთი იყო 1774 წ. ჩამოყალიბებული „მორიგე“ ლაშქარი, რომელიც სპეციალურად ლეკიანობასთან ბრძოლისათვის შეიქმნა. **„მორიგე“ ლაშქრის ჩამოყალიბება ლეკიანობის წინააღმდეგ შემუშავებული საშუალებების დაგვირგვინება იყო**. მასში ყოველთვიურად სამორიგეოდ გადიოდა საქართველოს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი თავისი ნუზლით, ისე, რომ მორიგეს სახით საქართველოში რეგულარული ლაშქარი შეიქმნა. **მორიგეს შექმნის შემდეგ ლეკთა თარეშები შესუსტდა. მაგრამ საუბედუროდ ლაშქარი მალე დაიშალა, რაც თავადური რეაქციის შედეგი იყო. *„მორიგე ჯარის გაუქმება ნიშნავდა თავადების გამარჯვებას და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა და პროგრესის სასარგებლო პოლიტიკის დიდ მარცხს“*.**

ლეკიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარება ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. **1798 წ. გიორგი XIII-მ ქიზიყელებს ლეკებთან საბრძოლველად განსაკუთრებული წესები დაუდგენია. ამ წესების თანახმად, მოთარეშე ლეკის მკვლელს საკუთრებაში რჩებოდა მოკლული ლეკის ცხენი, იარაღი და სხვ., ხოლო, თუ ცოცხალს დაიჭერდა, ლეკი დამჭერს ეძლეოდა საკუთრად, ე.ი. მებრძოლი დაინტერესებული იყო პირადად. მაგრამ ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის არც ეს წესები იყო რადიკალური.**

* * *

ლეკიანობის შედეგები საქართველოსათვის საბედისწერო იყო.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი იმ ადგილებში, სადაც ლეკები გზას ან

ბინას დაიდებდნენ. **1731 წ. სოფ. გომი *„ლეკმა და ოსმალმა ააოხრა და ლეკმა გზა იმაზე დაიჭირა და გლეხი ველარ დასახლდაო“,*** — გულისტკივილით აღნიშნავდა პატრიარქი ბესარიონ გაბაშვილი.

ლეკების ხშირი თავდასხმების გამო იშლებოდა მეურნეობა. მუდმივად იარაღის ქვეშ მყოფი გლეხი სამუშაოდ ვერ იცლიდა. „ამდენი ომი და ხმალს ქვეშ ყოფნა, თქუენც მოგეხსენებათ, კაცისაგან არ გეიძლება... გლეხმა კაცმა სამუშაოდ ველარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს, ისინი (ლეკები. — დ.მ.) სწვენ,“ — სწერდა კახეთის მეფე დავითი ვახტანგ VI-ს.

XVIII ს. საქართველოში მყოფი რუსი მოხელე ბურნაშოვი აღნიშნავდა, რომ ლეკების თავდასხმების გამო მესაქონლეობა დაცემულია.

„ლეკისაგან ილაჯი აღარა გვაქვს... გავღარიბდით. მოსავალი აღარ მოგვდის, საქონელი ლეკისაგან არ შეგვრჩა, წყალი არ გვეძლევა,“ — წერდნენ 1770 წ. ურბნელები. ეს დოკუმენტი შესანიშნავ სურათს იძლევა ლეკიანობის შედეგებისას: **მოსახლეობა გაღარიბებულია, საქონელი ლეკებს დაუტაცნია, მოშლილია ირიგაცია, მოსავალი აღარ მოდის.**

ასეთ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას უკანასკნელ ღონეს აცლიდა ადგილობრივი „სათხოვარი“. *„გამოსაღების სურსათს ნუ გვაწერთ, თორემ... სული იქით ილაჯი აღარა გვაქვსო,“* — სწერდნენ გადამხდელები ერეკლეს.

ყველა ამ ძნელბედობის შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სავსებით დაიცალა (თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, გუჯარეთი, სომხითი, საბარათიანო), სხვაგან კიდევ ძლივს ბოგინობდა შეთხელებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ომებს შეეხოცა; სხვები ბოლომოუღებელი ომების თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდმა ნაწილმა კიდევ მიატოვა ეს გაჯოჯოხეთებული სამშობლო და ახლობელ ქვეყნებს შეეხიზნა.

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

მფლობელთა კლასი კარგად ხედავდა, რომ, თუ გადამჭრელი ღონისძიება არ იქნებოდა მიღებული, მისი აღსასრული დადგებოდა. ერთ-ერთი ღონისძიებათაგანი იყო 1765 წელს ერეკლეს მიერ გამოცემული **ბრძანება ტყვეობიდან მოსულის თავისუფლების შესახებ.** ამ კანონით ერეკლემ დააინტერესა გატაცებული ტყვეები. ტყვეობიდან დაბრუნებულს უფლება ეძლეოდა, თავისი სურვილით ამოერჩია ბატონი. ამით დაბრუნებულ ყმას არჩევანი ექნებოდა, თავი ნაკლები ექსპლოატაციის უღელში ჩაება (ჩვეულებრივად ტყვეობიდან დაბრუნებულები არჩევდნენ მეფის ან ეკლესიის ყმობას, რის გამოც მებატონეები პრეტენზიებს აცხადებდნენ).

სამშობლოში ტყვეების დაბრუნებაზე ზრუნავდნენ, აგრეთვე, ერეკლეს მემკვიდრეები — გიორგი და ლევანი.

1774 წელს ლევანი ნიკიტა პანინს სწერდა, რომ რუსეთის იარაღით ყირიმიდან განთავისუფლებული ტყვე ქართველების ნაწილი საქართველოში დაბრუნდა, ნაწილს კი აიძულებდნენ, დასახლებულიყვნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. ლევანი სთხოვდა პანინს, რომ გამოიჩინოს მოწყალება და ბრძანოს დანარჩენ ქართველთა სამშობლოში დაბრუნება.

ქვეყნის მესვეურთა ცდებმა შედეგები გამოიღო და XVIII ს. ბოლოსათვის უკვე სოფლის ნუსხებში ვხვდებით „ტყვეობიდან მოსულებსა“ და „ნალეკრებს“. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები ვერ ანაზღაურებდა იმ კოლოსალურ ზარალს, რაც ლეკიანობამ ფეოდალურ საქართველოს მოუტანა.

* * *

კავკასიაში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ თანდათან საფუძველი ეცლება დაღესტნელთა საქართველოზე ლაშქრობების ხელისშემწყობ პირობებს. რუსეთის მიერ კავკასიის შეერთების შემდეგ, მთიანეთი მსოფლიოს საქონელბრუნვაში ჩაება. ამან გავლენა მოახდინა დაღესტნის როგორც ეკონომიურ, ისევე სოციალურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, საქართველოში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, ისპობა ის შინაგანი პირობები, რაც ხელს უწყობდა დაღესტნელთა თავდასხმებს.

ერეკლე მეორე

წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ

კადნიერება ესე თქვენდამი მიმაღებინა უმეტესმან მწუხარებამან, ვინადგან ძმა ჩემი, კათალიკოსი ანტონი და ძე ჩემი ლეონ უმაღლესსა კარს ყოვლად უმდაბლესად ვაახელ რომლისა სასურველისა ჩემის მოხსენებულის უდიდებულებისა და ყოვლად უგანათლებულესისა, და სრულიად აღუსტას ჩემის მოწყალის ხელმწიფისად სავედრებელისა საქმისათვის, და აქამომდესაც ვერ მივემთხვივე მოწყალების რეზოლუციასა, რომელისათვისცა კვალად მარადის ვარ მავედრებელი არა მე მხოლოდ, არამედ სრულიად ესე ჩვენი საქრისტიანო ქვეყანა წინაშე თქვენის მაღლის ფრაღობის ბრწყინვალებისა დაუგვიანებლობისათვის უმაღლესისა ბრძანებისა.

თუმცა ამის მაღალ კეთილშობილებას და ვექილს სახელმწიფოსა საქმესა შინა, ივანე ლვოვს ვკითხავთ ხოლმე, — ეგების ამას უმაღლესისა კარისაგან მოწყალებით მოსცემოდეს რამე რეზოლუცია, მაგრამ პასუხს მაძლევს, რომ ჯერ არაფერი მოხსენებულისა თქვენის ბრწყინვალებისათვისა ბრძანება არა მომსვლია რა, — და არც უიმისოა, რომ სწუხს. ამ ჟამებში ასტრახნიდამ ძმასა ჩემსა, კათალიკოზს ანტონის და ძესა ჩემსა ლეონს ჩემთან თავისი კაცი გამოეგზავნათ, და როდესაც გამოსულიყო

© „ᲙᲝᲚᲮᲗᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“

სამზღაურს ამა ქვეყანასა — არ მოეცადნა თანწამოსაყოლნი კაცნი, რათა წარმოეყვანათ ფრთხილად და მშვიდობით, თავის თავად საჩქაროდ წამოსულიყო ჩემთან, და გზაზე დახვედროდნენ ახალციხიდამ თავის საქმისთვის წარგზავნილნი დაღისტანში მცირე რაიმე ქურდნი ლეკნი და დაეჭირათ, და შთავარდა მტრის ხელში თავისის ყოვლის წიგნებით, და აწცა არ ვიცით, მართლად საითკენ წაუყვანიათ; და მხოლოდ ესე ვცანით იმ ქვეყნის კაცთაგან, რომელიც იმას ჩვენი ქვეყანა გამოევლო, რომ ჩვენთან მომავალებულიყო. ის ჩემის ძმისა და ძის იმ ამბავით და წიგნებით, რომ ვითამ უმაღლესის კარიდამ მოსვლიყოთ მოწყალების ბრძანება, რათა ასტრახნიდამ ეგენი თვით პეტერბურხს ჩემს ყოვლად მოწყალეს და სრულიად აღუსტას ხელმწიფეს უმდაბლესად ხლებოდნენ, და ჯერაც არ ვიცით მართალი, იმ კაცის მოუწევნელობისათვის, თუ სად იმყოფებიან ეგენი.

კვალად, რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა ზედა სრულიად უმაღლესსა რუსეთის ტახტს და ჩემს ყოვლად მოწყალეს, და სრულიად აღუსტას ხელმწიფეს შევვედრებ თავსა ჩემსა და ამ ქრისტიანეთა ქვეყანასაც, რათა მოწყალებით მიიღოს, და თქვენი უმაღლესი ღრაფობის ბრწყინვალება საქმესა შინა შუამდგომელ გვექმნას, რომელს ჭეშმარიტად უეჭველად კიდეც ვსასოებთ დაუგდებლობასა ყოველსა კეთილსა საქმესა შინა თქვენგან, და ვგონებთ არა უმეცნიერნი იქმნებით, ვითარ ჟამითი ჟამად გვემატების ბარბაროზთა თესლთაგანნი ქრისტიანეთა ნათესაობის მტერნი და მარადის გვაყვედრებენ უგუნურობითა თვისითა წარმართნი მეზობელნი ჩვენნი, რომ დაგდებულნი ვიქმნებით რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა რუსეთის ტახტისაგან, და წარმოგზავნილნი ჩემგან ძმა და ძე ჩემი იმყოფება აქამომდისაც ასტრახანს და შეწყნარებულიცა არ იქნებიანო — ერთბაშად ხედვენ ვითარ ეგ იყოს მის ნიშანი.

ეგრეთვე აქაურნი ამბავნი, ჩვენი და ლეკთ, და ახალციხელთაგან ურთიერთადმი მტრობა და ჩვენის ქვეყნის შეწუხება, და თურამ აქაურნი მოსახსენებელნი საქმენი არიან, ვგონებ, ყოვლიფერი უფალ ლეიბ ღვარდიის კაპიტანი

იოანნე ლვოვის მიერ წიგნით წვრილად უმდავბლესად მოგხსენდესთ.

სხვა კვალადცა უმეტესის სიმდაბლის ვედრებით თავს გაწყენთ ჩვენის მოხსენებულის წარმართებას: თქვენი მაღალი ღრაფობის ბრწყინვალება ნებისაებრ ყოვლად დიდებულის და ჩემის სრულიად აღუსტას მოწყალის ხელმწიფისას ეცადოს, ჩვენ და ჩვენის ქვეყნის ამდენი სულნი ქრისტიანენი ბარბაროზთ უღლისაგან გამოიხსნას, და გვამყოფოს უმდაბლესი ყმა და მოსამსახურე, მოხსენებულისა მოწყალებით რეზოლუცია დაგვმართოს, და რომელიც წარმოგზავნილნი ძმა და ძე ჩემი არიან, ეგენი მიიღოთ, და რაც მაგათაც ჩვენი დაბარებული საქმე ჰქონდესთ, მოწყალებით ჩამოართოთ და მიიღოთ.

(1773).

А. Цагарели

Грамоты..., II, I стр. 89-90

© „ღვთისმეტყველება ისტორიაში“

წარდგინება რუსეთის იმპერატორ პავლე პირველისადმი

პავლე პირველი

ვითარცა მე, ეგრეთცა წინაპართაცა ჩემთა ჰქონდათ სურვილი და ადრითგანვე ვართ შემოვედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა თქვენისა, რომელიც განფენილ და განცხადებულ არს ყოველსა ქვეყანასა ზედა, რომლისათვის ჩვენც სარწმუნოდ მოიმედენი ვართ, რომ თქვენი უდიდებულესობა ჩვენ საფარველს არ მოგვაშორებს; მარამ ახლა მესმა, რომ რადგანაც რუსეთის ძლევამოსილის მხედრობით სპარსეთში ლაშქრობა ამჟამად დაყენებულა, რაც ჩვენს მფარველად თქვენის იმპ. დიდ. ჯარი აქ იმყოფება, ამათაც წასვლა ეგულვებათ, რომელმაც დიდსა შერყევასა და მწუხარებაში შეგვიყვანა. მოეხსენება თქვენს იმპ. დიდ. თუ ვითარი დაქცევა შეამთხვია აღამაჰმადხანმა თბილისსა, და მრავალი სული ქრისტიანე დაატყვევა, ამისათვის, რომელ იცოდა საქართველოსი ჭეშმარიტის ერთგულობითი ყოფა თქვენის იმპ. დიდ. საფარველ ქვეშე, და ჩვენ, რადგანც თქვენის უმაღლესის ტახტისადმი უმეტესად მტკიცე შეკრულება გვქონდა, ღმრთის მადლობის მირთმევით, ყველა მოვითმინეთ. ყოვლად უაღვისტესო ხელმწიფევ, უმეტეს პირველისა ჩვენს სამტეროდ მოქადულ და განძვინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაც მოწერილი მუქარის წიგნი აწ თქვენს უდი-

დებულესობას მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა თქვენი უმაღლესი საფარველი ჩვენზედ ადვილად ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოგებული კაცნი მყვანდნენ, ისინიც მტერ მექმნებიან. და უეჭველია, რომ საქართველო წახდება, ეკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე დატყვევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ და უმონებრიესად მუხლდადგმით გევედრები, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ, გარდმოხედე სიმაღლისაგან ტახტისა თქვენისათა და შეიწყალე თქვენს საფარველს ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი ქრისტიანე მტერთა წარწყმედისაგან, და ინებეთ მფარველად ჩვენდა ბოძება ეგოდენისა ძლევამოსილისა მხედრობისაგან ოთხი ათასი კაცი ორსა ან სამს წლამდე, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა თქვენის იმპერატორების დიდებულების ნება აღსრულდეს, — რა ერთიც ინებოს, იმდენი დაარჩინოს, და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს თქვენგანაც სამსახური გამოგვეცხადოს, და აწ ჩვენ გვებძანოს; რომ მოგახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარული იქმნება და მოწყალებად მივიღებთ. ნუ დაგვაგდებ თქვენის ყოვლად მოწყალების მოიმედეთა, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შემდგომად ღმრთისა, უსაკუთრესად მონდობილ არის თქვენს მოწყალებაზედ.

სხვანიცა ჩვენნი ვითარებანი უმდაბლესად მოხსენდება უმაღლესს კარსა დესპანისა ჩემის, კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, რომელიც უწინარეს ამისსა, თებერვლის 5, წარმოგზავნილ არს.

(1797).

А. Цагарели

Грамоты..., II, I стр. 132

© „ღონისძიებები ათასწლეულზე“

თ. ბოცვაძე

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII ს.ს.)

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ეს ურთიერთობა, თავის მხრივ, განპირობებული იყო არა მარტო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარებით, არამედ მათი ურთიერთობითაც გარე სამყაროსთან — რუსეთთან, თურქეთ-ყირიმხანსა და ირანთან. აღნიშნული ურთიერთობანი ერთმანეთს ხშირად უპირისპირდებოდა, მაგრამ დროდადრო პარალელურადაც ვითარდებოდა, თუმცა ისინი არსებითად არასოდეს არ დაცილებია ერთმანეთს.

დაღესტნის მოსახლეობა, მიუხედავად მრავალხალხოვნებისა და მრავალეროვნებისა, ქართული წყაროებისა და ქართული საზოგადოებრიობისათვის უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე ცნობილი იყო უმეტესად ერთი საერთო კრებითი სახელით — ლეკები, ხოლო ქვეყანა — ლეკეთად (შუა საუკუნეებში — დაღესტნად). დაღესტნის ხალხების ეპონიმის სახელი ლეონტი მროველთან სწორედ ასეთნაირად გვხვდება: ***„პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“. „ხოლო მას ჟამსა იყო ვინმე ლეკეთს, კაცი მგრძნებელი, ნათესავი ხოზანიხიზისი და მან გრძნებითა თვისითა დააბრმო ქეკაჰოს მეფე და სპა მისი, და ვერ შევიდა ლეკეთს, უკუმოიქცა“.***

ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ (1453 წ.), XV საუკუნის 60-70-იან წლებში ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობამ, ვენეცია-გენუის კოლონიების მოშლამ და ბო-

ლოს ყირიმის სახანოს ჩამოყალიბებამ და მისმა ვასალობამ ოსმალეთს საშუალება მისცა, უშუალოდ გამეზობლებოდა კავკასიას (ერთის მხრივ, საქართველოს — ამიერკავკასიაში; ხოლო მეორე მხრივ, ადიღე-ჩერქეზეთს — იმიერკავკასიაში). ამიერიდან ოსმალეთი დამაბრკოლებელ ზღუდედ გადაიქცა ევროპის პროგრესის გავრცელებისათვის აღმოსავლეთსა და კავკასიაში; განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო; მით უფრო, რომ მას სამხრეთით კიდევ ერთი მაჰმადიანური ქვეყანა — სეფევიდების ირანი მეზობლობდა. დასავლეთ ევროპის ინტერესების ჩამოცილება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან „ახალ საუკუნეთა“ ეპოქაში საქარველოსთვის დიდი უარყოფითი მნიშვნელობის ფაქტი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ქართველებს ყოველგვარი იმედი გაუქრათ, დასავლეთ ევროპის მიერ საქართველოს მონაწილეობით ე.წ. ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისა კონსტანტინეპოლის მუსლიმანური დამპყრობლების წინააღმდეგ, იგი მეტად რთულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში მოხვდა. საქართველოს პოლიტიკის მესვეურთა წინაშე აქტუალურ ამოცანად იდგა არა მარტო ქვეყნის „მაჰმადიანური გარემოცვისაგან“ გამოხსნა, აღმოსავლეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენა-ბატონობისაგან თავის დაღწევა, არამედ — ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებაც.

მოვლენების შემდგომი განვითარებით ამ მტრული გარემოცვიდან საქართველოს თავის დაღწევის სამი გზა დაისახა: საკუთარი ძალებით, თურქეთ-ყირიმხანის ან ირანის ვასალობით და ერთმორწმუნე რუსეთის ან კათოლიკური ევროპის მფარველობაში შესვლით.

საკუთარი ძალებით ქვეყნის გაერთიანება და შემდეგ ამ მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი გახდა, საამისო არც სოციალურ-ეკონომიკური პირობები იყო და მითუმეტეს — არც პოლიტიკური.

თურქეთ-ყირიმხანის ან ირანის გენოციდური პოლიტიკის წყალობით, გამორიცხული იყო მათი ვასალობაც.

რუსეთის გამოჩენამ ჩრდილოეთ კავკასიაში საქართ-

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ“

ველოსთვის შექმნა მტრული გარემოცვის გარღვევის რეალური შესაძლებლობა.

რუსეთის დახმარებით დაღესტანთან გამწვავებული ურთიერთობის მოგვარება საქართველოსთვის ორ კარდინალურ საკითხს წყვეტდა: ერთის მხრივ, დაღესტანი და შემდეგ მისგან განშტოებული ჭარ-ბელაქანი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას უშიშარყოფდა შაქ-შარვანთან და კასპიის ზღვაზე; მეორე მხრივ კი, თითქოს ბოლო მოეღებოდა იმ მუდმივ თავდასხმებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მიმართ XVII-XVIII საუკუნეებში. ასე რომ, საქართველოს წინაშე მწვავედ იდგა დაღესტნის საკითხი.; მეორეს მხრივ კი, რუსეთ-დაღესტნის ურთიერთობათა დამყარების წინააღმდეგ, განსაკუთრებით თურქეთ-ყირიმხანი ცდილობდა დაღესტნის ფეოდალთა წყალობით საქართველოსთვის მტრული გარემოცვის რკალის შეკვრას და შიგ „ქართველების“ მოხრჩობას.

ქართველ პოლიტიკოსთა მიზანი ნათელი იყო: რუსეთთან დაახლოება, მისი დახმარებით ქვეყნის გაერთიანება, თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის ძალმომრეობის აღკვეთა და დაღესტნის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. ამას კი თავისთავად მოჰყვებოდა საქართველოს გასვლა ვოლგა-ასტრახანის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე.

რუსეთთან ურთიერთობით დაღესტანი რამდენიმე საკითხის მოგვარებას ცდილობდა. ჯერ ერთი, იგი ამით თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის თვალში თავის ხვედრით წონას ზრდიდა და ამით გარკვეულ შეღავათს მოელოდა; მეორეც, რუსეთთან ურთიერთობით იგი მის წინააღმდეგ იმ აქტიურობის განელებას აპირებდა, რომელსაც რუსეთი იჩენდა ყაბარდო-საქართველოს გამო.

საქართველოს ინტერესები მით უფრო თურქეთ-ირანის ურთიერთობაში არ თავსდებოდა, რადგან ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი, მათ შორის იმ დიდი ომებისა, რომლებიც XVI ს. 40-იან წლებში დაიწყო და თითქმის ასი წელი გაგრძელდა, ის იყო, რომ, დროისა და ძალის შესაბამისად, ერთი მათგანი საქართველოს ან სრულად დაპყრობას, ან კიდევ ხელმეორედ განაწილებას უპირებდა.

ამის ნათელი დადასტურებაა მათ შორის პერიოდულად დადებული ზავები: 1555, 1592, 1612, 1618 წლებში და ბოლოს 1639 წელს, როდესაც საქართველო რამდენიმეჯერ იქნა გადანაწილებული. ოსმალეთსა და ირანს შორის 1639 წელს დადებული ზავი კი თითქმის ასი წლის მანძილზე აღარ დარღვეულა და, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის განაწილების ამ ბოლო ვარიანტმა ორივე მხარე რამდენადმე დააკმაყოფილა. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, საქართველოს ცდებიც თურქეთ-ირანის კარზე უშედეგოდ დამთავრდებოდა.

თეიმურაზის საგარეო პოლიტიკის უკუღმართობა მისი პირადი უუნარობის ბრალი არ იყო. მან ყველაფერი სცადა, რაც შეიძლებოდა რუსეთის, ირანისა თუ თურქეთის კარზე მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამდენად, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ი. ცინცაძეს თეიმურაზის პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებაში, რომ... **„იგი „პოლიტიკაში მოლექსე“ კი არ იყო, არამედ — საქართველოს პროგრესული მოწინავე წრეების სათავეში მყოფი ხელისუფალი, ფეოდალური საქართველოს დაჩიხული მდგომარეობიდან გამოსავალი გზების შეუდრეკელი მაძიებელი, მოწინავე საქართველოს მეთაური, საქართველოს ჯიქურ გასპარსელების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, საქართველოს მოამაგე მწერალი, რომელმაც ერთ ხანს ირანის სამეფო კარის საქართველოს მიმართ წარმოებული პოლიტიკის შეცვლა შეძლო“.**

მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა როსტომ ქართლის მეფეც, რომელმაც არანაკლებ დიდი წვლილი შეიტანა „ქართველობის“ გადარჩენაში. საქმე ისაა, რომ ირანის სამეფო კარის მიერ „კულტურულ-მშვიდობიანი“ გზით „საქართველოს გასპარსელების“ პოლიტიკის გატარებისას, როსტომმა თავისი კულტურულ-სამეურნეო მოღვაწეობით შეძლო სპარსულ-ყიზილბაშურ გარესამოსელში „ქართველობის“ ძირითადი ბირთვის, შეიძლება ითქვას, არათუ შენახვა, არამედ — მომძლავრებაც. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, როდესაც XVII ს. მეორე ნახევარში საქართველო „აღდგომისათვის“ ძალას იკრებდა და საამისოდ ირაზმებოდა, თავისი ეკონომიკურ-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

ქართლის მეფე როსტომი (ხოსრო მირზა)
კრისტოფელ კასტელის ნახატი

პოლიტიკური მდგომარეობით სწორედ ქართლმა შეძლო, შეესრულებინა ამ დიდ საქმეში წამყვანი როლი.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ჩაეყარა საფუძველი საქართველოსთვის ერთ დიდ განსაცდელსაც; სპარსეთისა და ოსმალეთის ხელშეწყობით ქართულ მიწაზე შემოიხაზა მომავალი კონტურები ახალი პოლიტიკური ერთეულებისა — ე.წ. უბატონო, ლეკური თემების. კერძოდ, ჭარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოს სახით. აღნიშნული ერთეულები საბოლოოდ XVII-XVIII სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა. ისინი ირან-თურქეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელისშემშლელ გარემოებად იქცა.

ირანის კარი საქართველოს მიმართ უკვე მესამეჯერ ცვლიდა თავის პოლიტიკას. საქმე ისაა, რომ ქართველების ჯიქურ გასპარსელების უხეშმა პოლიტიკამ და გასპარსელების „კულტურულ-მშვიდობიანმა“ გზამ საბოლოოდ მას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა: პირიქით, ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, კახელები ***„...მოსრულთა მალე ექმნებოდიან და მოსვრიდიან, ვინადგან ამ ჟამებთა აღივსებოდა ქართლიდამ კაცით კახეთი და აშენდებოდა მრავალნი უშენნი დაბნები და აგარაკები“.***

ამიტომ იყო, რომ კახეთის მმართველი ყიზილბაში ხანები (1677 წ. ბეჟან-ხანი, 1683 წ. აბაზ-ყული ხანი, 1692 წ. ქალბალი-ხანი და სხვ.) მეტად მტრულად მოეკიდნენ კა-

ხეთის გაძლიერებასა და იქ ქართველთა მომრავლებას. შაჰის აშკარა მხარდაჭერით, ხანები კვლავ დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ ქვეყნის თურქმანებით დასახლებას, ძირითადად გამოიყენეს დაღესტნელები და უკვე მომძლავრებული ჭარ-ბელაქნელი ლეკები. შექმნილ ვითარებაში ლეკთა „უბატონო თემები“ კავკასიის პირიქით დაღესტნელ-ლეკთა სადგურად და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ურდოების გამტარ არტერიად გადაიქცა.

შაჰ-სულეიმანისთვის უცნობი არ უნდა დარჩენილიყო არც ის, რომ ამხანად არჩილ მეფე კვლავ რუსეთში მიდიოდა და ისიც ენერგიულად ამოქმედდა. შაჰმა ამჯერადაც საშამხლოთი დაიწყო, რათა ამით მოეჭრა გზები ძმების — გიორგისა და არჩილისათვის და თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი გართულებები. მართლაც, ვახუშტის სიტყვით, „მიუგზავნა ნიჭი დიდი ყეენმან შამხალსა“, წინადადებით „ვინადგან გიპყრავს გზა“, რუსეთს მიმავალი არჩილ მეფე „შეიპყარ და წარმომივლინეო“. შამხალი დაჰყვა შაჰის ნებას და დაარღვია გიორგი მეფისათვის მიცემული „ფიცი და პაემანი“. ვახუშტითვე, მან „მოიბირა ყილჩიყო ჩერქეზ ბატონი ყეენის გამო, რათა შეიპყრას არჩილ და მისცეს ყეენსა“. მაგრამ, როგორც ცნობილია, შამხალმა არჩილი ხელთ ვერ ჩაიგდო.

შამხლის ღალატმა, ბუნებრივია, გიორგი მეფის მიერ მომზადებულ შეთქმულებასაც გამოაცალა საფუძველი. ვახტანგი, რომელიც საშამხლოში მიდიოდა მძევლად და რომელსაც ამ ამბავმა ხევში მოუსწრო, ვახუშტის სიტყვით, „წამოვიდა და მოვიდა გორს“. ქრონოლოგიურად ეს ამბები 1692-1693 წწ. თავსდება.

ასე რომ, **გიორგის ცდა — კახეთის აჯანყებითა და შამხლის დახმარებით ბოლო მოეღო ირანის ბატონობისათვის, მარცხით დამთავრდა.** ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, საშამხლოს პოლიტიკა არასტაბილური და მერყევი იყო. ასე, მაგალითად, 1685-1686 წწ. მუდაი შამხალმა, რომელიც თითქოს რუსეთს ქვეშევრდომობდა, არჩილ მეფეს საიდუმლო წერილი მისწერა და შემოუთვალა, რომ მას და მის წინაპრებს მოსკოვის მეფეთაგან

ᲐᲠᲩᲘᲚ II (1647-1713)

წყალობა და სარგებლობა არასდროს არ მიუღიათ და ამიტომ სჯობს, რომ არჩილმა ისევ მასთან (შამხალთან) დაიჭიროს კავშირი და ერთად სცნონ ერთი ხელმწიფე. „ერთი ხელმწიფე“ თურქეთის სულთანი უნდა იყოს, რაზეც თითქოს უნდა მეტყველებდეს ერთი ასეთი ფაქტი: 1689-1690 წწ. არჩილი დავით თურქესტანიშვილს აგზავნის თურქეთის სულთანთან, ალბათ, იმერეთის ტახტზე ასვლის სანქციის მისაღებად. ყირიმის სახანოში მიმავალი დავითი შამხალმა შეიპყრო, მაგრამ ნაცვლად მისი გაძარცვისა და დატყვევებისა მან, პირიქით, ყირისიმ ხანთან უშუამდგომლა მას და ამდენადვე, შეიძლება ითქვას, — სულთნის წინაშეც. „მივიდა დავით შეწევნითა შამხლისათა ყირიმის ხანისთანა და იგი აღძრულიყო შეწევნად არჩილისად წინაშე ხონთქრისა“. შამხლისა და ყირიმის ხანის შუამდგომლობას გაუჭრია სულთანთან, რადგან მან „წარმოავლინა ყაფუჩი თვისი და დავით მისთანა“... და „შთაიცვა არჩილ ხალათი ხონთქრისა და დაემორჩილნენ იმერნი“ (1690 წ.). 1692-1693 წწ. კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შამხალმა ირანის შაჰს გაუწია სამსახური და შეეცადა, რუსეთს მიმავალი არჩილი შეეპყრო კიდეც და შაჰისათვის გაეგზავნა.

1695 წ. შაჰმა კახეთის მმართველად ქალბალი ხანი გამოგზავნა, რომელიც, მსგავსად წინამორბედი ყიზილბაში ხანებისა, თანმიმდევრულად შეუდგა ირანის პოლიტიკის გატარებას. მის დროს მდგომარეობა კიდევ უფრო

გართულდა. ჭარ-ბელაქნელი ლეკები, გარდა იმისა, რომ თვით „უმეტესად მძლავრობდნენ ელისენ გაღმა-მხარესა“, ამავე დროს „იყუნენ მესადგურე ეტიკნი დაღისტნელთა“ და, **ვახუშტის სიტყვით, *„იყო ამათ მიერ ტყვევნა, ოხრება და კლვანი კაცთა, მზირობით, ავაზაკობითა და პარვით“.*** თავმობეზრებულმა კახელებმა ქალბალი ხანს სთხოვეს, „რათა ნება სცეს ჭარელთა ზედა და შემოსრონ იგინი“. სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ კახელებმა მართლაც დალაშქრეს ჭარი, მაგრამ კარგად დაწყებული ბრძოლა წააგეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალბალი ხანმა „განიხარა. ვინადგან ენება დამდაბლება კახთა“, ვახუშტის სიტყვით, რომ ვთქვათ, „ამის შემდეგ იწყეს უმეტესი კირთება, ტყვევნა და რბევა კახეთისა ლეკთა“. ასე რომ, ხანი, აშკარად თუ ფარულად, ჭარ-ბელაქნელ ლეკთა და კახელთა ურთიერთობაში შეგნებულად ლეკთა მხარეზე იდგა. ***„მარადის იყოფოდნენ წარჩინებულნი კახნი მის წინაშე და ევედროდენცა შეწევნასა ლეკთა ზედა, არამედ იგი უზრუნველ იყო, რამეთუ აძლევდნენ მას ხარკსა და მორჩილებდნენ და კახთა ეტყოდა ტკბილად და იჭვიდა მრავლითა“.***

1703 წელს დასრულდა ყიზილბაშ ხანების თითქმის 30-



© „ღვთისმეტყველება ათასწლეულზე“

წლიანი მმართველობის ხანა კახეთში, როდესაც შაჰმა კახეთის ტახტი გამაჰმადიანებულ ქართველს, მაგრამ მაინც ქართველ მეფეს დავით II იმამ სელი ხანს ჩააბარა.

კახეთში ყიზილბაშ ხანების 30-წლიანმა მმართველობამ, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, მდგომარეობა არსებითად შეცვალა. ირანის კარზე ამჯერად თავის ერთ ძირითად მიზანთაგანს მიაღწია — კახეთის დასუსტებას. ამასთან, მან ეს მოახერხა არა მარტო ყიზილბაშთა ჯარითა და მომთაბარე თურქმანების დახმარებით, არამედ დაღესტნელ და ჭარ-ბელაქნელ ლეკთა საშუალებითაც. ირანის მეორე ძირითადი მიზანთაგანიც აღსრულდა თითქოს, — ეს იყო აღმოსავლეთ კახეთის „გალეკება“, ნაცვლად გათურქმან-გაყიზილბაშებისა. „გალეკება“ კი ირანის შაჰისათვის იმდენად იყო ხელსაყრელი, რამდენადაც ეს ამ მხარისა და მოსახლეობის გამუსლიმანებასაც ნიშნავდა.

ყიზილბაშ ხანთა მმართველობა, თუ მისი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად დავით II-ს მოღვაწეობისა, ინერციით XVIII ს. 10-იან წლებამდე გაგრძელდა, „ვიდრე ლეკთა დაიპყრეს ელისენი და იწყეს ლაშქრობა“; და როდესაც „დაუტევა იმამ-ყული-ხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თვისი თელავს და მანავს და იყოფიდა მუნ“. სწორედ 1710 წ. ახლო ხანებში მიიჩნევს ა. ბაკიხანოვიც ჭარული თემების წახურულ თემებთან გაერთიანებას! ანუ ჭარ-ბელაქნისა და ელისენის საბოლოოდ ლეკთა მიერ გაახალშენებას.

ძირითადად ამით დასრულდა თითქოს დაღესტნელ მოახალშენეთა ფეხის მოკიდების პროცესი ქართულ მიწა-წყალზე. ამიერიდან საქართველო-დაღესტნის ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება: თუ აქამდე საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა შემოისაზღვრებოდა საქართველო-„პირიქითა“ დაღესტნის ურთიერთობით და თავდასხმებიც უპირატესად და ძირითადად იქიდან მომდინარეობდა, ამიერიდან საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა დამატებით მოიცავს, აგრეთვე, ასე ვთქვათ, პირაქეთა „დაღესტანსაც“ — ჭარ-ბელაქანს; ქართულ მიწა-წყალზე შემოტევებსაც, ძირითადად, უკვე ეს ჩამო-

სახლებული წახურელ-ავარიელი „ლეკები“ — ჭარელები ახორციელებენ.

ამიერიდან დაიწყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ასწლიანი ლეკური ომი“, რომელიც თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის ხელშეწყობით, საქართველოს აღდგენა-მოშენებისათვის სათანადო პირობებს განუხრელად და თანმიმდევრულად სპობდა. თუ ამ პირობებს მაინც ჰქონდა ადგილი თათარ-მონღოლთა ბატონობისა და თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ, ამიერიდან ასეთი პირობები რამდენადმე ხანგრძლივი ვადით უკვე ვეღარ იქმნებოდა. საქმე ისაა, რომ ეს ადრეული შემოსევები თუ ბრძოლა-ომები და ამის შედეგად გაბატონება მაინც დროის კონკრეტულ მონაკვეთში თავსდებოდა და, ქვეყნის საერთო ძალების მობილიზების შემთხვევაში, მისი უკუგდებაც შედარებით ხანგრძლივი ვადით ხერხდებოდა. ასე რომ, საერთო ჯამში აღნიშნული ბრძოლა-ომები იყო, ასე ვთქვათ, მომენტალური, ხოლო თავსმოხვეული ბატონობა კი — დროებითწყვეტილი, რომლის შუა პერიოდებში გაცილებით ადვილად ახერხებდა ერთიანი საქართველო აღდგენა-მოშენებას. დროდადრო ამას დაშლილი საქართველოს თვით ცალკეული სამეფო-სამთავროებიც კი ახერხებდნენ, ვიდრე მათ შაჰ-აბასის ხმალი არ მისწვდა.

შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ, კახეთის აოხრებით და-

ლეკები ნადავლით ტოვებენ სოფელს

ღესტნელებს გზა გაეხსნათ. ამიერიდან, ზემოთ მოყვანილი დებულების თვალსაზრისით, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქმე ისაა, რომ ლეკთა თავდასხმები წინა პერიოდთან შედარებით გახშირდა და გამსხვილდა; ამასთან, სწრაფი ტემპით დაიწყო ქართულ მიწა-წყალზე პირიქითა კავკასიის ლეკურ მოახალშენეთა კომპაქტურად ჩამოსახლებისა და დამკვიდრების პროცესი, რასაც, თურქეთ-ირანის ხელშეწყობით, XVII-XVIII სს. მიჯნიდან მოჰყვა ამ ლეკური მოსახლეობის ზედა ფენისა და დაღესტნის ფეოდალთა თითქმის განუწყვეტელი „ასწლიანი ლეკური ომი“ და ამის შესაბამისად — „დროშემოუსაზღვრელი“ ბატონობა, ვიდრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. მდგომარეობა, აღდგენა-მოშენების თვალსაზრისით, კიდევ იმით მძიმდებოდა, რომ ამის პარალელურად თვით თურქეთი და ირანი ამყარებდნენ, აგრეთვე, თავიანთ უშუალო ბატონობას „ოსმალობისა“ თუ „ყიზილბაშობის“ სახით.

„ასწლიანი ლეკური ომის“ დედაარსი ასეთი იყო: „ლეკნი მოსრნიან, ტყვენი და საქონელნი წარიყვანიან: ხოლო კახნი ეწეოდნენ მდევრობით, ხან მათ სძლიონ და ოდესმე ამათ და არა მარად-დღოვანი ესე ვითარ ხდომა. გარნა დაზავდიანცა და კვალად იწყიან უძვირესი სხდომანი“. როცა რაკი „ლეკური ომი“ და კულტურული მეურნეობა-მიწათმოქმედება, ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, შეუთავსებელი მოვლენები იყო, თავისთავად გასაგებია, თუ რაოდენ გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო იგი ქართული საწარმოო ძალების განვითარებისათვის; მეტიც, მან ერთი პირველთაგანი როლი შეასრულა ამ ძალების სტაგნაციისა და თვით სტაგნაციის პერიოდის გახანგრძლივებასა და ამდენადვე საქართველოს ჩიხში ყოფნის საქმეში.

ძნელია დაღესტნური ტომების მოსახლეობის საქართველოს, კერძოდ, კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, გაჩენის, განვითარებისა და საბოლოოდ ჩამოყალიბების მთელი პროცესის თანმიმდევრულად წარმოდგენა, თვით ამ ჩამოსახლების სპეციფიურობისა და ამავე დროს საბუთების უქონლობის გამო, მაგრამ მისი ძირითადი მო-

მენტების გაცნობა რამდენადმე მაინც უნდა იძლეოდეს ამის შესაძლებლობას.

პერიოდი XVI ს. 80-იანი წლებიდან XVII ს. 10-იან წლებამდე, ლეკურ-დაღესტნური ტომების ქართულ მიწა-წყალზე ჩამოსახლების თვალსაზრისით, შეიძლება ერთგვარ გარდამავალ პერიოდად მივიჩნიოთ, ანუ პერიოდად, როდესაც, ალექსანდრე კახთა მეფის სიტყვით, „ათასწლოვანმა ყმებმა“ გავლენა-მორჩილებიდან დაიწყეს გამოსვლა და თანდათან მოაწვნენ ბარს. განსხვავებით წინარე ხანასთან, ახლა დამახასიათებელია შეიარაღებული ლეკურ-დაღესტნური დიდი ჯგუფების ცდა, რათა დაიკავონ ქართველებით დასახლებული ხეობები და სხვ.

თუ XVI ს. 80-იან წლებამდე კახეთის სამეფო მაინც ახერხებდა მტკიცე ხელით და შედარებით ადვილად აელაგმა მთიელი აბრაგები და ლეკურ-დაღესტნური ტომების მეთაურები რამდენადმე მორჩილებაშიც ჰყოლოდა, ამიერიდან ბრძოლა მათ წინააღმდეგ ძალზედ გაძნელდა. შეიძლება ქართველებს მეტი წარმატებისათვის მიეღწიათ, რომ არა თურქეთ-ირანის შემოტევა, განსაკუთრებით ირანისა, შაჰ-აბასის მეთაურობით. **შაჰ-აბასმა თავისი პოლიტიკით დიდად შეუწყო ხელი ლეკურ-დაღესტნური ტომების ბელადებსა და ფეოდალებს თავიანთი მიზანი რამდენადმე მაინც განეხორციელებინათ**. 1561 წ., მიუხედავად იმისა, რომ წახური ჯერ კიდევ კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შემოდიოდა, შაჰ-თამაზმა წახურის მფლობელ ადიკურკულუბეგს საგანგებო ფირმანი უბოძა, სადაც აღნიშნავდა, რომ *„ეს მფლობელი ჩვენი ერთგული ყმათაგანია. მისადმი ჩვენი მონარქიული მოწყალების გამო, მის მიწებს ნურავინ შეეხება საქართველოს სამეფოს მოხელეთაგან, ერიდონ მის ჩივილსა და უკმაყოფილებას. საქართველოს მთავარს, ლევან-ხანს ევალება, რომ თვალყური ადევნოს ამ ჩვენი ბრძანების აღსრულებას“.*

ირანის შაჰს არც თურქეთის სულთანი ოსმან II ჩამორჩა და მანაც იმავე ადიკურკულუბეგს, როგორც ერთგულ ყმას, სამემკვიდრეოდ მთელი რიგი სოფლები დაუმტკიცა 1592 წელს.

© „ღამისფრთიანი ისტორიები“

1603 წელს, ერევნის აღების შემდეგ, შაჰ-აბასმა „მიუღო ალექსანდრეს კაცი და მის წილ მოსცა შვიდასი თუმანი ყოველ წელსა“. შაჰმა ალექსანდრეს ჩამორთმეული მიწები გამაჰმადიანებულ ქართველ თავად ვახვახიშვილს უწყალობა და იგი სულთნის პატივშიც აიყვანა. ასე ჩაეყარა საფუძველი ელისუს სასულთნოს.

ირანს ამჯერადაც არ ჩამორჩა თურქეთი. 1607 წ. ოსმან II წახურელ ალი სულთანს ერთგული სამსახურის საფასურად სოფლები: კახი, მუშაბაში, ზერნა, ლექეთი, ყუმი და ალაგიოზი უწყალობა.

თურქეთ-ირანის ასეთი ხელშეწყობით და დახმარებით, რასაკვირველია, კახეთისათვის მოიშალა დაღესტნური „დარიალის კარი“, ხოლო ლეკურ-დაღესტნური ტომებისათვის კი იგი ფართოდ გაიხსნა. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ბუტურლინის საშამხლოდაღესტანზე ლაშქრობასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ფაქტი: კახეთში მყოფი რუსი ელჩები ივანე ნაშჩოკინი და ივანე ლეონტიევიჩი 1605 წ. იანვარში ბატონიშვილ გიორგის მოახსენებენ, რომ ყუმიკელები, რომლებიც გამოექცნენ დიდ ხელმწიფის ჯარებს, მის სამფლობელო მიწებზე ძეგამთან ახლოს დასახლებულან, ხოლო სხვები კი თავისი ცოლებით, შვილებით და სხვა ნათესავებით ძეგამში ცხოვრობენო. არ არის გამორიცხული სხვა მსგავსი მოვლენებიც. ცნობილია, მაგალითად, რომ მთა-თუშეთში დასახლებულ ბარის ქართველებთან ერთად, რომლებიც ბატონ-ყმობას ანდა სპარსელებისა და თურქების ბატონობას გამოექცნენ, დიდი რაოდენობით იყვნენ, აგრეთვე, ჩრლილოკავკასიელი მთიელები, კერძოდ, დიდოელები, ხუნძები, ლეკები, ქისტები და სხვ. (დართლოში, ფარსმანში, გირევში და სხვ.).

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XVII ს. ბოლო მეოთხედში, როდესაც დაიწყო ლეკთა „უბატონო თემების“ საბოლოო ჩამოყალიბება და რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა ქართველ ფეოდალთა მიწისმფლობელობის საკითხი.

ამიერიდან ლეკთა ჩამოსახლება დაუნდობელ სამამულო ბრძოლაში გადადის, რამდენადაც მათი ქართულ მი-

წა-წყალზე დასახლების წინაპირობა უკვე ფეოდალური მიწისმფლობელობის დარღვევა იყო, რაც, თავისთავად ცხადია, მეტად მტკივნეულად მოქმედებდა ქართველ ფეოდალთა ინტერესებზე.

ქართველი თავადაზნაურობა თავს არ ზოგავს ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც ისინი ყმა-მამულის აშკარა დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგნენ. ამან იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ, ერთ-ერთი ქრონიკის ანონიმური ავტორის მოხდენილი თქმით, ***„კახეთში თავადები აღარ დარჩნენ, ჭარში კი — ვაჟკაცები“.***

XVIII ს. 20-იან წლებში ლეკებმაც თითქმის მთელი კახეთი დაიპყრეს, ვიდრე, რასაკვირველია, გლეხებმა, იმამ ყულიხანის თქმით, „თავისი თვალით“ არ ნახეს საბოლოო შედეგი ლეკებთან მათი გაერთიანებისა. ეს ფაქტორი თავის მხრივ კი იმით განპირობდა, რომ „უბატონო თემებმა“ მათში ფეოდალიზაციის განვითარება-გაღრმავებასთან დაკავშირებით, ქართული სოფლები ნელ-ნელა დაბეგრეს და ამისდაშესაბამისად თანდათან მებატონე თემებადაც იქცნენ.

ასე რომ, ამიერიდან ყოფილი „უბატონო თემების“ მებატონე ლეკური ზედაფენა, მიწებისა და ყმების შეძენის მიზნით, კახელ ფეოდალებს არა მარტო შეებრძოლა, არამედ მას მებატონეობაშიც შეეცილა, ეს კი კახელი გლეხისათვის მიუღებელი იყო, რამდენადაც კახელი გლეხი უბატონობისათვის იბრძოდა და არა ძველი მებატონის ახლით შეცვლისათვის.

ტენდენცია გლეხთა მიერ ლეკებისათვის „პირის მიცემისა XVIII ს. პირველი მეოთხედის დასასრულამდე მაინც შემორჩა, რის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მოსული ლეკის წინააღმდეგ გაერთიანდა გლეხი და თავადი, რადგან „ლეკიანობა“ მათ ერთნაირად ანადგურებდა. ასე რომ, კახეთის გლეხობის მომხრობა ლეკურ-დაღესტნური ტომებისადმი მათი კომპაქტურად ჩამოსახლების პერიოდში, გამოწვეული იყო არა „გლეხი კაცის უჭკუობით“, არამედ ბატონყმური ძარცვის ნიადაგზე გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობით; ყოველივე ამან კი, თავის მხრივ, რამდენადმე განაპირობა კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჭარ-ბელაქნისა და ელისუს

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲜᲘᲡ“

სასულთნოს პოლიტიკური ერთეულების საბოლოოდ და წარმატებით ჩამოყალიბება.

* * *

მას შემდეგ, რაც წახურელ და ავარელ ლეკთა, ანუ ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემები“ საბოლოოდ ჩამოყალიბდ-ნენ დამოუკიდებელ ერთეულებად, მათი პოლიტიკური ხვედრითი წონა უკვე მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით გაიზარდა, რამდენადაც ჭარელებმა დაღესტნელ მოძმე-ებთან ერთად „ლეკურ ომში“, კახეთის გარდა, საქართ-ველოს სხვა კუთხეებიც და მასთან ერთად თითქმის მთე-ლი სომხეთ-აზერბაიჯანიც ჩაითრიეს. ასე, მაგალითად, 1710 წ. ასურელებთან გაერთიანებლმა ჭარელებმა შარ-ვანი დალაშქრეს, ბეგლარბეგი ჰასან-ალი ხანი მოჰკლეს და შემახაც აიკლეს.

ჭარელთა ეს თავდასხმა შარვანზე ერთგვარად დასაწყი-სი აღმოჩნდა სეფევიდების ბატონობის წინაღმდეგ უკვე მომწიფებული აჯანყებისათვის. მართალია, ეს აჯანყება თავდაპირველად ანტიფეოდალური და ანტიირანული იყო, მაგრამ ჩქარა გაბატონებულმა კლასმა, თურქეთის აშკარა მხარდაჭერით, მას მხოლოდ ანტიირანული ხასი-ათი მისცა. აჯანყების სათავეში დაღესტნის სუნიტური სასულიერო წოდების წარმომადგენელი ტაბასარანელი ჰაჯი-დაუდი ედგა, რომელსაც მიემხრო, აგრეთვე, ყაზი-ყუმუხის მფლობელი სურხაი-ხანი და ყაიტაღის ახმედ-ხა-ნი. აჯანყებას მეტად აქტიურად დაუჭირეს მხარი გლეხ-თა ფართო მასებმა. 1712 წ. ჰაჯი-დაუდიმ, სურხაი-ხანმა და ახმედ-ხანმა შემახა აიღეს და სასტიკად გაძარცვეს. მოკლეს შარვანის ახალი მმართველი ჰუსეინ-ალი-ხანი და 300-ზე მეტი რუსი ვაჭარი, რომელთაგანაც გაიტაცეს 400 ათასი თუმნის საქონელი. 1721 წლამდე აჯანყებულებმა ხელთ იგდეს თითქმის მთელი აზერბაიჯანისა და დაღეს-ტნის ირანელ მმართველთა რეზიდენციები და ფაქტობ-რივად, დაღესტან-აზერბაიჯანი გაათავისუფლეს სეფე-ვიდების ბატონობისაგან. საშიშროება მათ მხრივ იმდე-ნად დიდი იყო, რომ დერბენტის ირანელი მმართველი მთელი თავისი ოჯახით ირანში გადაიხვეწა. 1721 წ. აგ-ვისტოში აჯანყებულებმა საბოლოოდ აიღეს შემახა და ამ-

ჯერადაც დახოცეს და გაძარცვეს რუსი ვაჭრები.

აჯანყებულთა ამ საერთო წარმატებას დიდად შეუწყო ხელი თვით ირანში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა კრიზისმა და ავღანელების თავდასხმებმა ირანზე.

დაღესტნისა და ჭარის ფეოდალები, მართალია, რამდენადმე მონაწილეობდნენ თითქოს ამ ანტიირანულ აჯანყებაში, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა 1710-1721 წწ. კვლავ განაგრძობდა შეიარაღებულ თავდასხმებს კახეთის სოფელ-ქალაქებზე: განჯაზე, ბარდაზე, შარვანზე და სხვ.

1719 წ. დაღესტნელები მარტო კახეთს აღარ დასჯერდნენ და ქართლსაც ეწვივნენ. ამ წელს, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ქართლ-დაღესტნის ერთ-ერთი დიდი გაერთიანების ყაზი-ყუმუხის მფლობელი სურხაი დასხმია თავს და ბოლნის-მარნეულის მხარე „წაუხდენია". მომხვდურებთან პირველად შებმისას ქართველებს გაუმარჯვიათ, ხოლო ბოლოს „გაემარჯვათ ლეკთა".

მართალია, დაღესტნელი მფლობელები თითქოს ირანის შაჰის — ჰუსეინის ყმები იყვნენ, მაგრამ ისინი თურქეთის წაქეზებით სულაც არ მორიდებიან ირანის ყმადნაფიც თუ არაყმადნაფიც ქვეყნებში თავდასხმების მოწყობას, მეტადრე — ქართლ-კახეთში, შაქ-შარვანსა და ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში. ასე რომ, **„ასწლიანი ლეკური ომი", ანუ „ლეკიანობა", ვ. დონდუას სამართლიანი შენიშვნით, იყო საერთო საამიერკავკასიო საკითხი, რომელიც საქართველოსთან ერთად ერთგვარად აღელვებდა მოძმე აზერბაიჯანის, სომხეთის გლეხებს, ვაჭრებს, ეკლესია-მონასტრებს და სხვ.** რაკი „ლეკიანობა" კახეთის გარდა ქართლსაც მოედო, კახეთის მეფე დავით II იმამყულიხანისათვის ეს, ალბათ, იმდენად იყო საინტერესო, რომ ახლა თითქოს შესაძლებელი ხდებოდა მაინც ქართლ-კახეთის ძალების გაერთიანება და მისი წარმართვა „ლეკების" წინააღმდეგ: ამას მოწმობს დავით II კახთა მეფისა და ვახტანგ VI ქართლის მეფის მიმოწერა 20-იან წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც კახელ გლეხთა დახმარებით „ლეკებს" თითქმის მთელი კახეთი ჰქონდათ დაპყრობილი და, დავითისვე სიტყვით, ***„მათ ახლა მწვედ ძალიანად მტერობა და ქვეყანას ცემა დაუწყეს"***, რომ ***„ამის***

უფრო საქმის გაჭირება აღარ იქნება“... „დღე ძვირად გავა, რომე ომი და ცემა არსად იქნასო“.

1750 წ. პირიქითა და პირაქეთა ლეკები ორივე „გამოვიდნენ ჭარიდამ და ქისიყს ცემა დაუწყეს“. ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა აჯი-ჩალაბმა და ყაზიყუმუხელთა მთავარმა სურხაი-ხანმაც. ჩანს, მოერიდნენ ამხანად გაძლიერებულ თეიმურაზ-ერეკლესთან შებმას. ლეკების ეს რაზმები ქართველებმა დაამარცხეს, მაგრამ მას, რასაკვირველია, წერტილი არ დაუსვია. მომავალ 1751 წელსაც იგივე გაგრძელდა. „ლეკთა, — წერს პაპუნა, — ქართლისა და კახეთის მტრობა არ მოიშალეს, გარდმოყვანდეს ჯარი დაღისტნიდამ, უსადგურიან, ბელადი მისციან და აოხრებდიან მუდმისად ქართლს და კახეთს“. რაკი ჭარი ჩანდა ასეთ დიდ ინიციატორად ქართლ-კახეთზე თავდასხმებისა და მის გარდა, როგორც პაპუნა აღნიშნავს, „პირაქეთ ბატონს ჩვენს, მტერი აღარავინ ჰყვანდათ“, ბუნებრივია, რომ თეიმურაზ-ერეკლემ გადაწყვიტეს, „კაის ხელმწიფურის რიგითა და თადარიგით“ მასზე ლაშქრობა და სრულ მორჩილებაში მოყვანა. თეიმურაზ-ერეკლემ თან ყმადნაფიცთა ჯარიც იახლეს. ჭარელებმა სათანადოდ შეაფასეს ქართლ-კახეთის ეს დიდი ლაშქრობა და ისინიც საამისო სამზადისს დროზე შეუდგნენ. მათ თავისთან დაიყოლიეს შაქ-შარვანის მფლობელი აჯი-ჩალაბი, კაკის სულთანი და საერთოდ „იმ ძირობის ლეკის ქვეყნები“.

თეიმურაზ-ერეკლეს 1751 წ., ასე ვთქვათ, გენერალური შეტევა ჭარზე **აგრისთან** სასტიკი მარცხით დამთავრდა, და მდგომარეობაც ქართლ-კახეთში მეტად კრიტიკული შეიქნა. „ამ ამბავს უკან, — წერს პაპუნა, — ასტყდა ლეკის ჯარები“... „ჩამოდგნენ ქართლსა და კახეთში“... „წამოთამამდნენ ყიზილბაშნი და მოინდომეს მტრობა ქართლისა“.

1751 წ. საქართველოზე წამოსულ თავრიზის მფლობელ და ირანის შაჰის ტახტის მაძიებელ აზატ-ხანზე ყირბულახთან ბრწყინვალე გამარჯვებამ თეიმურაზსა და ერეკლეს კვლავ დაუბრუნა ძლევამოსილების რწმენა და მათაც, როგორც ჩანს, სცადეს ცხელ გულზე ჭარის საკითხის მოგვა-

რებაც, რამდენადაც ისინი აშკარად ხედავდნენ, რომ, ვიდრე ჭარი თავის ნებაზე იყო, მათი პირველობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყოველთვის სათუო იქნებოდა.

ჭარზე წარმატებით ლაშქრობისათვის საჭირო იყო ჯერ მისი დიდი კოალიციონერის, შაქ-შარვანის მფლობელის — აჯი-ჩალაბის მოთოკვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი იქნებოდა მათი გაერთიანებული და დაღესტნის მხარდაჭერილი ჯარების დამარცხება. თეიმურაზ-ერეკლეს მიერ ზემოაღნიშნული ეს დიდი ლაშქრობა 1752 წ. გაზაფხულზე შედგა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მან თავის საწინააღმდეგო დიდი კოალიცია შექმნა. აჯი-ჩალაბმა სასწრაფოდ მიიმხრო აზერბაიჯანის სხვა მაჰმადიანური სასულთნო-სახანოები და ამასთან ერთად — დაღესტნის რიგ გაერთიანებათა მფლობელები. ასე, მაგალითად, ყარაყაიტაგის, ხუნძახისა და სხვ. ერევნის, განჯის ყაზახ-შამშადილუსა და ბორჩალოს ხანების ღალატის წყალობით, რომლებიც საიდუმლოდ ყოფილან აჯი-ჩალაბთან შეკრულნი, თეიმურაზ-ერეკლემ განჯასთან ეს მეორე დიდი ომიც წააგეს, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა, როგორც წესი, ლეკთა არნახული თარეში.

თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, რომლებმაც ყველაზე მეტად იწვნიეს, „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ პერიოდში თუ რას ნიშნავდა მტრული გარემოცვის რკალი, ახლაც კარგად დაინახეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ამჟამადაც მის ძირითად მომჭიმველად დაღესტნის ფეოდალები გამოდიოდნენ ყირიმის ხანთან ერთად, ისე, როგორც ეს იყო ადრე. ასეთ სიტუაციაში მაშველი ძალა ისევ ჩრდილოეთიდან უნდა მოსულიყო. ასე რომ, თეიმურაზსა და ერეკლეს, როგორც ჩანს, მიუხედავად ჯერ არცთუ შედეგიანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საუკუნე-ნახევრის ისტორიისა, ირან-თურქეთის გარემოცვისა და ლეკიანობის პირობებში რუსეთთან კავშირის განახლება მაინც უკეთეს გამოსავლად მიუჩნევიათ. ამის ნათელი დადასტურებაა, სწორედ მათ მიერ 1752-1754 წწ. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის გაგზავნა რუსეთის სამეფო კარზე.

კახთა მეფეებმა ელისაბედს ჯერ ალექსი მიხეილის ძის

წყალობის სიგელით შეახსენეს თავი, რომ ერეკლე I, თეიმურაზ II-ს მამა საშვილიშვილოდ შეწყალებული ჰყავდა რუსეთის მეფეს, მერე კი თავისი ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობა აღუწერეს: ***„ესრეთნი მოუთმენელნი ჭირნი

ღესტან-ჭარის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, **რამდენადაც რუსეთ-ყაბარდო ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ, ამდენად, თეიმურაზ-ერეკლეს აზრით, მათ მტრებს ყაბარდოელთა საქართველოში ჩამოსვლა საქართველოსათვის რუსეთის დახმარებად უნდა მიეღოთ, რასაც, თავის მხრივ, დიდი მორალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.** ნიშანდობლივია, სხვათა შორის, ამ მხრივ ს. მაყაშვილის მოხსენებითი ბარათი კანცლერ ა.პ. ბესტუჟევ-რიუმინისადმი, სადაც იგი ყაბარდოელთა შესახებ წერს: ***„ქართლში მეფეებმა თითონ დაიბარეს ჩერქეზების ჯარი და მოვიდნენო... და რომ „ჩვენმა მტერმა ნახეს, დიდი შიში შეექნათ და ეგონათ ისინი რუსეთის ხელმწიფისაგან***“.

თეიმურაზ-ერეკლე საფუძვლიან მზადებას შეუდგნენ აჯი-ჩალაბისა და მისი მოკავშირე დაღესტნელ-ჭარელების წინააღმდეგ; მათ დიდი რაოდენობით გადმოიყვანეს პირიქითა კავკასიელი მთიელები, განსაკუთრებით — ყაბარდოელები და ჩამოსულ სხვა ჯარებთან ერთად ყაზახ-შამშადილუს საზღვრის მიდამოებში შაქ-შარვანელთა და ლეკთა გაერთიანებული ჯარი სასტიკად დაამარცხეს.

ამ გამარჯვების მიუხედავად, ჭარელთა და მათი მოკავშირე დაღესტნელი ფეოდალების თარეში მაინც არ შეწყდა, პირიქით, 1754-60 წწ. იგი უფრო გაინტენსიურდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალში არც კახელები რჩებოდნენ. ასე რომ, ურთიერთმიხტომას და რბევას ბოლო არ უჩანდა. ო. თუმანოვის სიტყვით, „კახეთს რასაც ლეკნი, ჭარელები ქურდობენ და ახდენენ, კახელებიც პასუხს უშვრებიან ქურდობით და ცხადათ დაკლებას ცდილობენ“.

ლეკთა შემოსევების აღნიშნულ სერიებს შორის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია დაღესტნის ერთ-ერთი დიდი ფეოდალური გაერთიანების, ხუნძის ბატონის — ნურსალ ბეგის ორგზის ლაშქრობა 1754-1755 წწ., რომელიც თავისი ხასიათით აშკარად განსხვავდებოდა ლეკთა ყველა ადრინდელ შემოსევათაგან. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით დ. მეგრელაძეს, რომ **დაღესტნელი ფეოდალების ლაშქრობებს თუ XVIII ს. მეორე ნახევრამდე მხოლოდ**

მტაცებლური ექსპედიციების ხასიათი ჰქონდა, ამიერიდან უკვე მათ მიზანს ქართლ-კახეთის ტერიტორიების სამემკვიდროდ დაჭერა შეადგენს, რის ფაქტობრივ დადასტურებას, სხვათა შორის, სწორედ ნურსალ ბეგის ორგზის ლაშქრობა წარმოადგენს.

1754 წ. ივლისში ნურსალ ბეგი საკმაოდ დიდი ჯარით გადმოვიდა ქართლ-კახეთის დასაპყრობად. პაპუნას სიტყვით, „ჯერ ამისთანა ლეკთა ჯარი ქართლსა და კახეთში არ ჩამოსულა“. ჯარის ასეთი სიმრავლე გასაკვირი არაა, რადგან, პაპუნასვე სიტყვით, რაც რომ „დაღისტანში ბელადები და უფროსი კაცები იყვნენ“, ყველა ისინიც ნურსალბეგს თან ახლდნენო. მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქნა. მართალია, ჭარელნი, კაკის სულთანი, აჯი-ჩალაბი, შარვანელი ფანა-ხანი, განჯის ხანი და სხვ. ჯერ თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდნენ, მაგრამ საამისოდ კი მზად იყვნენ, თუ, რასაკვირველია, „ეს ხუნძახის ბატონი, — როგორც პაპუნა წერს, — ქართველსა და კახ ბატონზე გაიმარჯვებდა“. ერეკლემ სასწრაფოდ აფრინა მსტოვრები კავკასიის მთიანეთში ჯარების ჩამოსაყვანად, ხოლო ადგილობრივი მთელი მოსახლეობა ციხე-გალავნებში შეხიზნა.

ნურსალბეგის ამ დიდ ლაშქარს ერეკლემ მჭადისჯვართან საოცრად დიდი გაბედულებით შეუტია და სასტიკად დაამარცხა კიდეც. ეს იყო 1754 წ. აგვისტოში.

ნურსალბეგს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ქართლ-კახეთის დაპყრობა და ამიტომ მომავალ 1755 წ. მან საამისოდ უფრო დიდი კოალიცია შექმნა. ლაშქრობის წინ მან მოწოდებით მიმართა დაღესტნის ფეოდალებსა და ტომთა ბელადებს: „სულ მე გამომყევით, ქართლსა და კახეთს დავიჭერ და ამდენს ტყვესა და საქონელს გაშოვნინებთ, რომ შვილით შვილამდის გეყოსთ“. მას შეუერთდნენ შამხალი, სურხაი-ხანი, კაკის სულთანი, აჯი-ჩალაბის შვილი, განჯის ხანი, ჭარელები და სხვ. პაპუნას სიტყვით, „პირიქითი და პირაქეთი რაც ლეკი იყო, ყველას ჯარი გამოართოო“. ნურსალბეგი ამ გაერთიანებული ჯარით ყვარლის დიდ ციხე-გალავანს შემოადგა და თავისი მიზნის განხორციელებას შეუდგა.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ყვარლის ციხისთვის ბრძოლამ თეიმურაზ-ერეკლესათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა მიიღო, პაპუნას სიტყვით, თუ ისინი ამ ციხეს აიღებდნენ, მაშინ მათ გაღმა-მხარიც დარჩებოდათ, მთელ კახეთსაც ადვილად დაიპყრობდნენ და დასუსტებული ქართლისაკენაც ვერაფრით ვერ შეამაგრებდნენ. ამის გამო იყო, რომ თეიმურაზ-ერეკლემ თითქმის ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადეს და ამასთან, სათანადო ჯილდოებიც კი დააწესეს (მათ შორის საკომლო მამულის გაცემა, სათარხნის მიცემა და სხვ.). პაპუნა წერს: მეფეებმა „იარაღის ამღები აღარავინ დააგდო შინა გლეხი, თორემ თავადი და აზნაურთაგანი ვინ დაეკლებოდაო. ერეკლემ თავისი იშვიათი სამხედრო მოხერხებულობით ყვარელთან ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია და ამით ნურსალბეგს ხელი ააღებინა თავდაპირველ განზრახვაზე. **ყვარლის ციხის ბრძოლა, თავისი მნიშვნელობის გამო, „ასწლიანი ლეკური ომის“ პირობებში, თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ მარტყოფად თუ ბახტრიონად.**

ნურსალ ბეგი გაერთიანებული ჯარით ყვარლის ციხეს შემოადგა

© „ᲥᲝᲜᲘᲡᲬᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲡᲬᲐᲤᲝ“

1756 წელს, ნურსალბეგის ინიციატივით, მასსა და თეიმურაზ-ერეკლეს შორის ზავი დაიდო, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის საპასუხო დარტყმებით. ასე, მაგალითად, 1757 წ. პაპუნა წერს: „შეიყარნენო გაღმა-მხარის კახნი და თუშნი, გადაუხდენ დაღისტნის სოფლებსა და მრავალი ცხვარი და ძროხა წამოიღეს“-ო, ან „აგრევე მიუხდენ ქისიყელნი, ააოხრეს ჭარელნი, სოფლები, წამოიღეს ნაშოვარი“ და სხვ. ჩანს, ასეთსავე მოვლენებს ადრეც ჰქონდა ადგილი, რამაც ნურსალბეგი აიძულა, დაზავებაზე წასულიყო. მართალია, „ყვარლის ომმა“ ლეკებს ხელი ააღებინა ქართლ-კახეთის დაპყრობაზე, მაგრამ წვრილ-წვრილ თავდასხმებს ისინი კვლავაც ახორციელებდნენ.

ხუნძახმა დაარღვია ზავი. 1758 წ. მისმა ერთ-ერთმა მფლობელმა ჩონჩოლ მუსამ კვლავ დაძრა 4000 ჯარი ქართლ-კახეთისაკენ. თეიმურაზ-ერეკლეს დახმარება სოლომონ იმერთა მეფისათვის უთხოვიათ და ისიც წამოსულა, მაგრამ ცოტა უფრო დაგვიანებით. ჩონჩოლ-მუსამ შეძლო რბევა-რბევით ქართლ-კახეთის გავლა და დიდი ნადავლით ახალციხის ფაშასთან მისვლა.

ქართლში ჩამოსულ სოლომონსა და თეიმურაზ-ერეკლეს შორის პირობა დადებულა — მსგავსი შემთხვევებისას ურთიერთს ლაშქრით მიშველებოდნენ. ასეთი სამხედრო შეთანხმება, რასაკვირველია, არ მოსწონდა ახალციხის ფაშას, რადგან იგი არ გამორიცხავდა მისი იმერეთზე თავდასხმისას იმერეთისადმი ქართლ-კახეთის დახმარებას. ფაშა თავისთან მისულ ჩონჩოლ-მუსას ჯამაგირს შეჰპირდა. ლეკებმა იმერეთი ააოხრეს, შემდეგ ახალციხეში ჩამოვიდნენ, შეპირებული მიიღეს და ასე მძიმე ნადავლით კვლავ დაღესტანში დაბრუნდნენ. 1759 წ. „გარდმოვიდნენ კვალად დაღისტნის ბელადი კოხტა და ჩონჩოლ-მუსა დაღისტნის ჯარებით“. ქართლ-კახეთის მოსაშველებლად სასწრაფოდ გადმოვიდა სოლომონ იმერთა მეფე. ლეკები, როგორც ჩანს, მოერიდნენ დიდ შეტაკებას და საქართველოს გაეცალნენ. ასეთი დახმარებით, ბუნებრივია, სოლომონ მეფემ თავისი საქმეც გააკეთა, რადგან შეიძლებოდა კვლავ განმეორებულიყო 1758 წ. ამბავი.

სოლომონ I, იმერთა მეფე

ძნელია აღწერა ლეკთა ყველა იმ თავდასხმისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XVIII ს. 50-60-იან წლებში; ეს თავდასხმები იმდენად ინტენსიური იყო, რომ თითქმის გაბმული ბატონობა „ლეკობა“ დამყარდა, მსგავსად „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობისა“.

მთელი ამ პერიოდისათვის მეტად ტიპიურია ქართველ მემატიანეთა ცნობები: „***გამოვიდა ცხენოსანი ლეკი, ზოგნი მიუხდენ ახალციხესა ქვეყანათა და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიღეს... ზოგნი დაიფანტნენ საქართველოსა შინა და იყო ცემა და ტაცება, ყოველგან ხოცა და ტყვეთა წასხმა“, „მუდამ იყვის ლეკი ორბელიანთ მამულში და აოხრებდენ. ასე რომ, არაფერი მიწის ნაყოფიერება აღარ ააღებინეს“;*** „მოვიდა ლეკი, მკის დრო იყო და მრავალი მუშა და საქონელი წაასხეს“; „დაესხნენ ლეკნი, ცოტა რა საქონელი მინდვრიდან გაიტაცეს“... „თრიალეთზე დიდი ქარავანი წაახდინეს“; „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში, აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს“; და ბოლოს: „ქართლი მტრით სავსე იყო, რომ ალაგი აღარ იყო, რომ

ლეკი არ იდგა“; ასე რომ, რასაც, ვთქვათ, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი, ნადირ-შაჰი და სხვ. ერთი ან ორი დიდი ლაშქრობით აკეთებდნენ და მიჰყავდათ ერთ ჯერზე 100 ათასობით ტყვე, საქონელი და სხვადასხვა ქონება-ნადავლი, ამასვე აკეთებდნენ დაღესტნელი ფეოდალები და ტომთა ბელადები უფრო მცირე მასშტაბებით და გაბმულად. ასე რომ, საბოლოო ჯამში ყველაფერი ეს მაინც დიდად არ ჩამოუვარდებოდა ზემოთ აღნიშნულს. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ქართველ გლეხობას, ისე, როგორც ადრე უცხოელ მოძალადეთა სასარგებლოდ, ახლაც ისეთი ფულადი გამოსაღები დაედო, როგორც იყო, მაგალითად, „სალეკო“, მსგავსად მალისა, სათათრო საურისა, მალუჯათისა და სხვ. ლეკების წინააღმდეგ „საკუთარი სისუსტის ღონედ“ დაქირავებული თუ მოწვეული „გარეშე ძალის“ ხარჯიც ძირითადად ისევ გლეხობას აწვებოდა და ტეხდა მას წელში. საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ დამხმარე ძალების შესანახად, რომლის შედეგად „უკუდგა მტერნი და აღარსად გამოჩნდეს“ (საუბარია ლეკების წინააღმდეგ ბაყარდოდან ჩამოყვანილი რაზმების შესახებ. — თ.ბ.), პაპუნას სიტყვით, „ღარიბნი დაზარდენ, რომ ხარჯი ბევრი უნდებოდათ“.

მუდმივმა თავდასხმებმა, როგორც ოსმალო-ყიზილბაშების, ისე დაღესტნელი ფეოდალებისა და ტომთა ბელადების მხრიდან, XVIII ს. 50-60-იანი წლებისათვის თვალსაჩინოდ დაარღვია თანაფარდობა მფლობელებსა და მწარმოებლებს შორის უკანასკნელთა საზიანოდ, რაც უაღრესად რეგრესული მოვლენა იყო. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, დაირღვა ბატონყმობის რიგი“ და ბეგარის ძირითადი სახეობის — „თავი ბეგარას“ გვერდით ფეხი მოიკიდა „სხუაი ბეგარამაც“ და ბატონყმური ექსპლოატაციის ყველაზე მახინჯმა ფორმამაც — „უდების დადებამ“. ყოველივე ამან გაახანგრძლივა საქართველოს „ჩიხში“ ყოფნა.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, თეიმურაზ-ერეკლესთვის ერთ უმთავრეს საზრუნავთაგანს „ლეკური საკითხიც“ შეადგენდა. პაპუნა პირდაპირ აღნიშნავს, რომ ***„მეფე თეიმურაზსა, ფიქრი აღარა-ვისი ჰქონდა, თვინი-***

ერ ლეკის მეტისაო“. ამასვე ადასტურებს ოთარ თუმანოვის პატაკიც ასტრახანის გუბერნატორისადმი 1760 წ. ნოემბერში, სადაც იგი წერს, საქართველო უკიდურეს გასაჭირშია ლეკების თავდასხმებისგანო. იმჟამინდელი ქრონიკის ერთ-ერთი ავტორიც ასე აღწერს ამ ამბავს: „თეიმურაზი რუსეთს წაბრძანდაო, რათა მუნიდამ ჯარი გარდმოიყუანოს და ლეკის აოხრებისაგან ქართლი და კახეთი გამოიხსნასო“.

საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის განახლებისას, როგორც წესი, მუდმივად მისი პირველი მაბიძგებელთაგანი „ლეკური საკითხი“ იყო. ამის ფაქტობრივი დადასტურება 1760 წ. რუსეთის სამეფო კარზე ქართლ-კახეთის, ასე ვთქვათ, ელჩად თვით თეიმურაზ II-ს გამგზავრებაა. თეიმურაზმა, როგორც ვიცით, ერთის მხრივ, რუსული ჯარი ან ჯარის დასაქირავებელი თანხა მოითხოვა, რათა ამ საშუალებით, უპირველეს ყოვლისა, ალაგმულიყო დაღესტნელთა თავდასხმები, ხოლო, მეორე მხრივ, ირანზე ერთობლივი ლაშქრობა შესთავაზა, რომ იქ არსებული ხელისუფლება დაემხოთ და ტახტზე მათთვის სასურველი პიროვნება, ვინმე შაჰ-რუხი დაესვათ.

1762 წ. თეიმურაზ II გარდაიცვალა და ქართლის სამეფოს სადავეებიც მისი შვილის, კახთა მეფის — ერეკლე II-ს ხელში გადავიდა. ქართლ-კახეთი გაერთიანდა.

ერეკლეს, რომელსაც საქართველოს „აღდგომისა“ და „გამოხსნის“ დიდი საბრძოლო გეგმა ჰქონდა დასახული, რასაკვირველია, სურდა ამ ომით, რამდენადაც შეიძლებოდა, ერთის მხრივ, მტერთა მიერ „წართმეული მამულების“ — სამცხე-საათაბაგოსი და ჭარ-ბელაქნის შემოერთება, ანუ „აღდგომა“, ხოლო, მეორე მხრივ, — საერთოდ საქართველოს „გამოხსნა“ აზიელ დამპყრობთა პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მაინც ჭარ-ბელაქანს ჰქონდა, რადგან სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ქართველთა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ის იყო ყველაზე ხელისშემშლელი. ამიტომაც იყო, რომ, ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „გამოხსნა“-„აღდგომისათვის“ მებრძოლი საქართველო

ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტას ამ ბრძოლის წარმატების წინაპირობად თვლიდა. მაგრამ მისი მოგვარება არცთუ ისე ადვილი იყო, რადგან ჭარ-ბელაქნის საკითხი უშუალოდ უკავშირდებოდა საქართველოს დამოკიდებულებას დაღესტანთან, ორივე კი — დაღესტან-ჭარი, საქართველო-თურქეთის ურთიერთობას. ასე რომ, ერეკლე II-ს რუსეთ-თურქეთის დიდ ომში მონაწილეობის მიღება ისტორიულად სავსებით გამართლებული ჩანდა.

ოსმალეთი მთელი ენერგიით შეეცადა კავკასიის ფრონტზე რუსეთ-საქართველოსათვის ახალციხის საფაშოსთან ერთად დაღესტან-ჭარიც დაეპირისპირებინა და შეედგინა მათგან, ასე ვთქვათ, დამრტყმელი ძალა. ამიტომაც მოხდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, განსაკუთრებით 1770 წ., ძალზედ გახშირდა თურქეთზე ორიენტაციის მქონე დაღესტნელი ფეოდალებისა და ჭარელების თავდასხმები საქართველოზე როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე სამხრეთიდან. **ერეკლე II ნ. პანინს პირდაპირ სწერდა, რომ ლეკთა ამ აშლილობის მიზეზი ოსმალეთიაო, რომელმაცო „...მრავლის მიცემითა და ქადებითა, ხუნძახის ბატონის გარდა და იმის ამყოლის კაცს გარდა, რაც დაღესტნის უფროსნი და ავაზაკნი ქურდნი ლეკნი არიან, ჩვენს ქუეყანაში აგვისიეს“; მეფე იმასაც აღნიშნავდა, რომ რუსებმა „დაღისტნელი უფროსები და ქვეყნები“, რომლებიც მათი გავლენის ქვეშაა, „დააკავონ და აღარ გამოუშვან საქართველოზე სარბევად“. ხოლო რაკი ჭარელნი „ფრიადის წადიერებით არიან ოსმალთ მიდგომილნი“ და რომ ისინი „ოსმალთა და დაღისტნელთა შეერთების დიდნი მიზეზნი არიან და შემწენი“, ერეკლე, ბუნებრივია, ყოველნაირად ცდილობდა, რათა მათზე რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობისათვის მიეღწია.**

1774 წ. რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით. ი. ცინცაძის სამართლიანი შენიშვნით, თურქეთისათვის საზავო პირობებზე ხელის მოწერა, „უფრო დიდი მარცხი იყო, ვინემ ბრძოლის ველზე განცდილი“.

ყირიმის დამოუკიდებელ ერთეულად გამოცხადება, ყაბარდოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების ცნო-

ბა და საქართველოზე ოცდამესამე მუხლის მიღება — ყველაფერი ეს იყო თურქეთის დიდი კავკასიური პოლიტიკის კრახის დასაწყისი. რუსეთმა კი, გარდა იმისა, რომ მოიპოვა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში გასვლის უფლება, სამუდამოდ გადაკეტა თურქეთისათვის ჩრდილოკავკასიური გზაც, ერთის მხრივ, — კასპიის ზღვისპირეთში გასაჭრელად, ხოლო მეორე მხრივ, — ამიერკავკასიაში შემოსასვლელად.

ამ გარემოებამ, თავის მხრივ, რუსეთ-საქართველოს შორის ხევ-ყაბარდოს გზით თავისუფლად მიმოსვლის გარანტია შექმნა და აქედან გამომდინარე, ვ. მაჭარაძის შენიშვნით, — რეალური შესაძლებლობაც 1783 წ. გიორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოსაწერად.

ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის 23-ე მუხლი თავისი ქვეტექსტებით რუსეთის დიპლომატიამ თურქეთის დიპლომატიისათვის მეტად ოსტატურად დაქარგა. ძირითადი აზრი ის იყო, რომ რუსეთი ამიერიდან ოფიციალურად გამოდიოდა საქართველოს ინტერესების დამცველად ამიერკავკასიაში და თურქეთიც რუსეთის ამ უფლებას ცნობდა. ი. ცინცაძის დამატებითი შენიშვნაა 23-ე მუხლისადმი, რომ მისი ხელშეკრულებაში შეტანაზე თანხმობა თურქეთის მხრიდან ნაწილობრივ იმერეთზე რუსეთის უფლებების აღიარებაც იყოო.

ასე რომ, 1774 წ. კუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში 23-ე მუხლის შეტანით რუსეთმა, ასე ვთქვათ, წინასწარგათვლილი მრავალსვლიანი კომბინაციის პირველი სერიოზული სვლა გააკეთა. საქართველო რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში პირველხარისხოვანი ქვეყანა გახდა.

მართალია, ომისშემდგომ პერიოდში საკუთარი ძალის ამარა ერეკლემ ერთგვარად თითქოს მოაწესრიგა ურთიერთობა განაწყენებულ თურქეთ-ირანთან და მორიგე ჯარის შექმნით კი — „ლეკური საკითხიც“, მაგრამ იგი სულ მალე დარწმუნდა, რომ თავის დაცვა და გადარჩენა, ყველასაგან დამოუკიდებლად სულ უფრო ძნელი ხდებოდა. ერეკლეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, „აქილევსის ქუსლი“ მეტად ფართე და

ადვილმისაგნები ჰქონდა — „ლეკიანობით“ გავერანებული ქვეყანა“. ერეკლე კარგად ხედავდა, რომ ოსმალეთი და მასთან ერთად გადაგვარებული თავადურ-ბატონყმური წყობილება გარდაუვალს ქმნიდა ლეკთა თარეშს და ამასთან, ლეკიანობას იგი ასევე ჰკვებავდა, როგორც ტყვეთა სყიდვას — დასავლეთ საქართველოში.

მორიგე ჯარის მოშლამ, რომელიც თავისთავად უკვე ცოცხალი გამოხატულება იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისისა, ერეკლე ღრმად დაარწმუნა საკუთარი ძალის სისუსტეში. ასეთ პირობებში კი, რასაკვირველია, ჭარ-ბელაქნის სახელმწიფოს მოშლისა და იქ „ქართველობის“ აღდგენის საკითხი ის ერთადერთი იყო, რომელსაც არა მარტო ისტორიული სამართლიანობა, არამედ კატეგორიულად საქართველოს გადარჩენის ამოცანაც მოითხოვდა. ერეკლესათვის საკუთარი ძალებით მისი გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქნა. იგი კარგად ხედავდა, რომ **80-იანი წლების ლეკიანობა თავისი გაქანებით ქართველთათვის ყოველგვარ კონტროლს დაუქვემდებარებელ მოვლენად იქცა და, მოსალოდნელი „ოსმალობის“ ან „ყიზილბაშობის“ შემთხვევაში, ან გარკვეულ ვითარებაში, სულაც და მათგან დამოუკიდებლად, შეიძლებოდა ის საქართველოს პოლიტიკური გაქრობის ერთ-ერთი ფაქტორთაგანიც გამხდარიყო.**

ამიტომ მოხდა, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველო-რუსეთის, საქართველო-თურქეთის, საქართველო-ირანისა და საქართველო-დაღესტან-ჭარის ურთიერთობებმა აუცილებლობით მოითხოვა მათთან საქართველოს მომავალი დამოკიდებულების საკითხის კარდინალურად გადაჭრა. **მეტად მკაცრმა სინამდვილემ ერეკლეს წინაშე ალტერნატივა დასახა: ერთის მხრივ, საქართველო ან ჩაყლაპული უნდა ყოფილიყო შაჰის სპარსეთის მიერ და გასპარსებულიყო, ან — სულთნის თურქეთის მიერ და გათურქებულიყო, ან — დაღესტან-ჭარის ფეოდალთა მიერ და გალეკებულიყო, ან არა და, მეორე მხრივ, სულაც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ გადასულიყო.**

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გალეკება ნიშნავდა არა XVII-XVIII სს. მიჯნის გალეკებას, როდესაც

სოციალურ-ეკონომიური მოტივებით ქართული გლეხობა გალეკებაში უბატონობასა თუ თავისუფლებას ეძებდა, არამედ გამაჰმადიანებას. ქართველებისათვის სარწმუნოების შეცვლას კი „ქართველობის“ წარხოცვაც უნდა მოჰყოლოდა, ანუ გარკვეული ცვლილებები უნდა განეცადა მათ ზნე-ჩვეულებებს, ენას, მეურნეობას, ხუროთმოძღვრებას, ტანსაცმელს და მრავალ სხვას. ამისი ცოცხალი მაგალითი კი გვერდზე იყო — საინგილო.

ერეკლე ორი ბოროტებისაგან უფრო ნაკლები ბოროტების არჩევის, ანუ უმცირესი ბოროტების გზას დაადგა, რამდენადაც, მისი აზრით, ამ უმცირეს ბოროტებას დიდი ბოროტების წინააღმდეგ, შედარებით მაინც, სიკეთე უნდა მოეტანა საქართველოსათვის. რუსეთზე არჩევანის შეჩერებისათვის კი ერეკლეს გარკვეული სიღრმისეული ძალები ამოძრავებდა.

ერეკლეს არჩევანი, მარტო შექმნილი მომენტის ნაყოფი კი არა, არამედ რუსეთ-საქართველოს და საქართველო-თურქეთ-ირანის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა შეფასება იყო, რომელსაც თვით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები განაპირობებდა.

მუსლიმანური თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის გენოციდის პოლიტიკამ ქართველების მიმართ, ბუნებრივია, რომ საქართველოს მხრიდან გამოიწვია ერთმორწმუნე მოკავშირის ძებნა, ეს იქნებოდა მართლმადიდებელი რუსეთი თუ მართლმადიდებელი ან კათოლიკური ევროპა. საქართველოსთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „მის სულიერ საზრდოს“ გზა არ გადაკეტვოდა და გარემოცვიდანაც თავი დაეღწია.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, გარდა წმინდა რელიგიური განწყობისა, საფუძვლად ედო, აგრეთვე, ამ ორი მხარის „მონათესავეობა“, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, განსხვავებით, რასაკვირველია, აღმოსავლურ-ბარბაროსული და ჩამორჩენილი ფეოდალიზმისაგან (თურქეთ-ირანი);

XVI-XVIII სს. თურქეთ-ირანის მხრივ გამუდმებული აგრესიისას, რუსეთი, რომელიც თავისთავად გამოდიოდა

თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ მებრძოლ მხარედ, არ შეიძლებოდა ქართველებს არ მიეჩნიათ ერთ-ერთ საიმედო მოკავშირედ.

დაბოლოს, „ლეკური საკითხის“ მოგვარებაში საქართველოსათვის ერთადერთ რეალურ დამხმარე ძალად იგივე რუსეთი ჩანდა; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რუსეთი თავისი ინტერესებისათვის დაღესტანს საქართველოს წინააღმდეგ ისე არ იყენებდა, როგორც, მაგალითად, თურქეთ-ყირიმხანი ან ირანი; მეორე, რამდენადაც თვით რუსეთი ცდილობდა დაღესტნის შემოერთებასა თუ მორჩილებაში მოყვანას, ამდენად, საქართველო-რუსეთის ინტერესებიც ერთმანეთს ემთხვეოდა. ამიტომ იყო, რომ „ლეკურმა საკითხმა“ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობისათვის თავიდანვე უდიდესი მიზიდულობის ძალა მიიღო. ვინაიდან რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები თანმიმდევრულად და პროგრესულად ვითარდებოდა, რეგრესიის გზაზე დამდგარ თურქეთ-ყირიმხანისა და ირანთან შედარებით, ამიტომ, ბუნებრივია, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველ პოლიტიკოსთა ორიენტაციაც მის მიმართ, მიუხედავად კავკასიაში დროდადრო წარუმატებლობისა და დროდადრო თურქეთ-ირანის აღმავლობისა, მაინც ერთგვარად ურყევი იყო.

ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი ერეკლეს მთელი მცდელობა იმაში მდგომარეობდა, რომ როგორმე მიეღწია რუსეთთან შეთანხმებისთვის, რაც რამდენადმე და, ამასთან ერთად, იურიდიულადაც გააფორმებდა რუსეთის ვალდებულებებს საქართველოს წინაშე.

1783 წ. მფარველობითი ტრაქტატის შესახებ ქართულ, რუსულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში უამრავი ლიტერატურა და მოსაზრებები არსებობს. ჩვენ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, **„არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთად ერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით... წაეყვანა“. „მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა, დაემარცხებინა რეაქციის**

ძალები და უზრუნველეყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგომის საქმის გამარჯვება“.

1801 წ. ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა და მისი „მარად მაწუხებელი და მაშფოთებული“ ლეკური საკითხიც მემკვიდრეობით მას გადასცა.

ასე რომ, თურქეთის საუკუნოვანი ცდა, ყირიმის ხანისა და დაღესტნელი პროთურქული ორიენტაციის ფეოდალების საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ მტრული გარემოცვის რკალი საბოლოოდ შეეკრა და შიგ „ქართველობა“ მოეხრჩო, მარცხით დამთავრდა. ასევე მარცხით დამთავრდა ამ მიმართებით ირანის ცდებიც.

© „ღონისძიებები ათასწლეულზე“

ვ. ითონიშვილი

უცხოტოელთა ავაზაკობა საქართველოში

ლეკიანობის აღმკვეთი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი

ლეკიანობა რომ უბედურების მომასწავებელი მოვლენა იყო საქართველოს მოსახლეობისათვის, ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეორე აზრი არ არსებობს, რომ ლეკებად წოდებულ დაღესტნელთა თარეშის ასპარეზს წარმოადგენდა არა მარტო დაღესტნის მოსაზღვრე კახეთი და თუშეთი, არამედ მთელი საქართველოს ტერიტორია მისი აღმოსავლეთიდან ახალციხემდე. ლეკიანობამ ესოდენ ვრცელი ტერიტორია მოიცვა განსაკუთრებით თურქეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის ოკუპაციისა და ახალციხის საფაშოს შექმნის დროიდან. სწორედ ახალციხე იყო მოთარეშე დაღესტნელთა პლაცდარმი, სადაც მათი ბაზირება და იქიდან უკან სვლისას საქართველოს ტერიტორიის გავლა კვლავაც ძარცვა-რბევით ხორციელდებოდა. თვით დავით გურამიშვილიც ხომ ასეთი მარშრუტით გავლისას დაატყვევეს.

საქართველოს სამეფო ხელისუფლება მათი თარეშის აღმკვეთ სამხედრო ოპერაციებს შეძლებისამებრ ახორციელებდა, მაგრამ დაღესტნელი ურდოები მაინც არ ცხრებოდნენ და ქართული მოსახლეობის აწიოკებას დიდი გულმოდგინებით განაგრძობდნენ. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თუშეთი, რომლის დაცვას სამეფო ხელისუფლება შეიარაღებული ძალით ვერ უზრუნველყოფდა და მტრის მოგერიებისათვის თვით თუშთა შეიარაღებული რაზმები მდევარშიც მიდიოდნენ მოტაცებული ადამიანებისა და საქონლის დასახსნელად, ხოლო ხელსაყრელ ვითარებაში თუშეთის მოსაზღვრე დაღესტნის სოფლებსაც ესხმოდნენ თავს, რი-

სი შედეგიც იყო მტრის ხოცვა-ჟლეტა, ხალხის დატყვევება და ალაფით უკან დაბრუნება. ამგვარი ვითარება გრძელდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც, რისი დამადასტურებელიცაა პრესის მონაცემები, თვითმხილველთა მოგონებები თუ ხალხური გადმოცემები.

XIX საუკუნის 50-იან წლებში განსაკუთრებით გამოუჩენია თავი შეთე გულუხაიძეს, რომლის საარაკო გმირობას სპეციალური სტატია მიუძღვნა რაფიელ ერისთავმა. თუშთა შემართებას და შეუპოვრობას აღტაცებით აღნიშნავდა კავკასიის 25-წლიან ომში მონაწილე გრიგოლ ორბელიანიც, როდესაც თავის მეგობარს სვიმონ შალიკაშვილს ფრონტიდან აუწყებდა: *„ჩვენს თუშებსა ძალიან გაუმარჯვნიათ: სამს ადგილას დახვედრიან ლეკებსა და სამსავე ადგილას დაუმარცხებიათ და ხელები უჭრიათ“.*

გრ. ორბელიანის მრწამსით, სავსებით გამართლებული იყო ქართველ მებრძოლთა აქტიური მონაწილეობა მრავალგზის გაწამებული მოსახლეობის სულისკვეთებითა და შურისძიების მოთხოვნილებით. საამისოდ ხელსაყრელი ვითარება კი შეიქმნა კავკასიის ომში, როდესაც ქართველ მეომარს მოთხოვნილებად გაუჩნდა დაღესტნელთა აწიოკება და ხოცვა-ჟლეტა. ამგვარი მოთხოვნილებით იყო შთაგონებული თვით გრ. ორბელიანი, როდესაც ბრძოლაში მორიგი გამარჯვებისა და დაღესტნელთა მასობრივი ჟლეტის შესახებ 1846 წლის 16 აგვისტოს თავის ძმას, ილიას სწერდა: *„მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია“.* ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის შედეგად მომხდარი ხოცვა-ჟლეტის, დატყვევებისა და სოფლების განადგურების აღწერასთან დაკავშირებითაც იგი 1857 წლის 10 სექტემბერს ყაფლან ორბელიანს აუწყებდა: *„დღეგრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე“.*

ამგვარი განწყობილების საფუძველი იყო დაღესტნელთა ზღვარდაუდებელი თარეში, რაც მათი ცხოვრების წესის პრიორიტეტად ქცეულიყო. მრავალ სხვა დოკუმენტთან და ხალხურ გადმოცემასთან ერთად ამას გვიჩვენებს თვით გრ. ორბელიანის შემდეგი სიტყვები: *„აქაურისა ხალხისა რა*

© „ღვანლისმეტყველი“

გითხრა. შინ ზარმაცნი, ზანტნი, დიდროან ტყაპუჭებში დათ-ვების მსგავსნი ჰყრიან ამ დღით გარეთა. აბა, ესენივე ნახე მაშინ, როცა დაიძახებენ ჰარაის! იმ წამს საიდამ ეძლევათ ის სიმარდე, ის სიმკვირცხლე, დაუღალაობა სირბილში? აბა, გაასწარ ცხენით. აბა, იმ დროსვე წადი შენც მდევარ ზე, რამ-დენს დედაკაცს ნახავ მოწინაურედ წასულს! ჭიუხში იმ ზაფხულს, ყობიტმაჰმადის ჯარსა პირველად ორმოცმა ყმაწვილთ დედაკაცებმა და გოგოებმა ხანჯლებით შეუტი-ეს; მასუკან, რა უნდა ექმნათ, კაცებიც გამოვიდნენ სოფ-ლიდამ და მისდიეს უკან თავის ცოლებსა და ქალებსა“.

ძმის, ილიასადმი 1843 წ. გამოგზავნილი ეს წერილი ცხა-დად გვიჩვენებს დაღესტნელთა ცხოვრების წესს, რო-გორც საფუძველს ქართველთადმი თავსდატეხილი უბე-დურებისა, რამაც შურისძიების გრძნობა გაუღვივა არა მარტო რიგით მოსახლეობას, არამედ ჰუმანისტ პოეტსაც. ამდენად სავსებით გამართლებული იყო ქართველების, მათ შორის თუშების, აქტიური ბრძოლა სამაგიეროს გა-დახდის სულისკვეთებით.

ყოველივე ეს XIX საუკუნემდეც ცნობილი იყო საქართ-ველოს ხელისუფლებისთვის, რომელიც შექმნილ ვითარე-ბასთან დაკავშირებით გამოსავალს მარტოდენ შეუპოვარ ბრძოლაში როდი ხედავდა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მიჩნეული იყო, აგრეთვე, მდგომარეობის ნორმალიზაცია ურთიერთშორის პირობების განსაზღვრისა და აღსრუ-ლების მიზნით. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქ-ცევს 1786 წლის 17 მაისს შედგენილი დოკუმენტი (განჩი-ნების დადება ქართველთა, თუშთა და ანწუხელთათვის, „ქართული სამართლის ძეგლები“, VI, 1977, გვ. 731-733, გამოსცა ი. დოლიძემ).

ამ დოკუმენტის მიხედვით ქართველთა და დაღესტნელ-თა შორის მშვიდობის დასადგურების უცილობელ პირო-ბას წარმოადგენდა დაღესტნელ მთიელთა შემორიგება და თუშების მხრიდან შემწყნარებლობა, რაც ასეა ფორმული-რებული: ***„დღეის იქით თუშებმა ასე წყნარად უნდა და-იცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულს ლეკს ანწუხელ-სა, კაპუჭელსა თუ სხუას ნურას აწყენენ და ნურცარას მოჰპარვენ“.***

გრიგოლ ორგელიანი

სახელმწიფო ხელისუფლებამ იმიტომ ამჯობინა შემრიგებლური პოლიტიკა, რომ მეტისმეტად ჭირდა დაღესტნელი ურდოების ბრძოლით ალაგმვა. მართალია, ვალში არც თუშები რჩებოდნენ, მაგრამ ბრძოლაში გამარჯვებაც ხომ დიდი მსხვერპლისა და მატერიალურ ფასეულებათა განადგურების ფასად ხდებოდა. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებამ აფიქრებინა სამეფო ხელისუფლებას შერიგების მცდელობა, მაგრამ იმაზედაც ფიქრობდნენ, რომ, ასეთ ღონისძიებათა მიუხედავად, არც დაღესტნელები დაცხრებოდნენ და მათ ქმედებას არც თუშები დატოვებდნენ უპასუხოდ. სამეფო ხელისუფლებას რაკი სჯეროდა, რომ ურთიერთშორის მტრობა მაინც გაგრძელდებოდა, სამაგიეროს გადახდისათვის ხმალშემართულ თუშებს საბრძოლო ოპერაციის რეკომენდაციას სთავაზობდა: *„თუ თუშთ ბელექნისაკენ ჯარით სამტროთ წასვლა მოინდომონ, თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთ ზედ. თუ ნებავსთ, ისინიც გაჰყვებიან; თუ არა, თვითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად ყვარელსა და გავაზზე ნუ წავლენ. და გაღმაზე ქიზიყიდამ და საიდამაც უნდოდესთ, იქიდამ წავიდნენ“*. ფაქტობრივად, ანალოგიური ხასიათის რჩევა მეორდება განჩინების მესამე მუხლშიც: *„თუ თუშთ ბელექნისაკენ წასვლა მოინდომონ საყაზახოდ, მარტო თითონ ნუ წავლენ, ერთი ორი კაცი ყვარლიდამ და ან გავაზიდამ წაიყვანონ და ისე წავიდნენ. თუ იქიდამ ვერ იშოვნონ თანგამყოლი კაცნი, ქიზიყს ჩავიდნენ, ვეჯინს, გურჯაანს და იქიდამ იშოვნონ კაცნი,*

იქიდამ წავიდნენ და თავის მტერს იქიდამ უმტრონ. ზაფხულშიაც ისე ქნან და ზამთარშიაც“.

ეს რეკომენდაცია ითვალისწინებდა ორგანიზებულ მეკობრეობას (საყაზახოდ წასვლას), რაც საჭიროებდა სალაშქრო მარშრუტების შერჩევასა და კახეთიდან დამხმარე მეგზურების გამოყენებას. თავის მხრივ, ამგვარი რჩევა ნაკარნახევი იყო იმის ღრმა რწმენით, რომ დაღესტნელი მთიელები შეჩერებას არ აპირებდნენ და თუშებიც ადეკვატურ ქმედებაზე ფიქრობდნენ. ხოლო იმის გამო, რომ მეკობრეობას სასურველი შედეგი მოჰყოლოდა, სამეფო ხელისუფლებაც შესაბამის რეკომენდაციას იძლეოდა.

დამოწმებული რეკომენდაციისაგან განსხვავებით, რაც შურისძიების მოტივით ნაკარნახევ სამეკობრო ლაშქრობას უკავშირდებოდა, სამეფო ხელისუფლება, მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, თუშებს მეზობელ მხარესთან ურთიერთობის გამწვავებაზე თავის შეკავებასაც ურჩევდა: *„კართუბანსა და კართუბანს ჩასწვრივ ალაზნამდინ თუშნი ნუღარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროთ, ნურც სამტროთ და ნურც გზის შესაკრავათ ნუღარ გაივლიან“.*

სისხლიანი შეტაკების აღკვეთის მიზნით, სამეფო ხელისუფლება არ დაკმაყოფილებულა მარტოდენ თუშების გაფრთხილებით და კომპოზიციის გამოყენებით მკაცრი სასჯელებიც დაუწესებია ყველა დამნაშავის მიმართ, რისი დამადასტურებელიცაა განჩინების **მეხუთე პუნქტი**: *„სისხლი პირველათ თორმეტი თუმანი იყო, მეორეთ ოცდაოთხ თუმნათ გავხადეთ; და კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ ხოცდნენ და ახლა ოცდაათ თუმნათ გაგვიხდია, რომელიც მოჰკლავს თუში თუ ანწუხელი, თუ ქართველი, ეს სისხლი უნდა მისცენ“.*

როგორც განჩინების ამ პუნქტიდან ჩანს, მესისხლეობის აღკვეთის მიზნით, სამეფო ხელისუფლებამ დიდი სასისხლო საზღაური დააწესა, რომლის ღირებულების თანდათანობითი ზრდა ურთიერთშორის მტრობის გაგრძელების მიზეზით იყო ნაკარნახევი. **სასისხლო საზღაური ეკისრებოდა არა მარტო უშუალოდ მკვლელს, არამედ,**

მისი მოუხელთებლობის შემთხვევაში, მის ნათესავებს ან თანასოფლელებს. ამგვარი ღონისძიება დამნაშავედ აღიარებდა მთელ საზოგადოებას და ზრდიდა მის წევრთა პასუხისმგებლობას სახელმწიფო კანონის წინაშე.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ფიცით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობა. როგორც ზემოთ ითქვა, ხელისუფლებამ ფიცის აღსრულების პირობა წაუყენა თუშებს, მაგრამ განჩინებაში ვალდებულების დაცვის პირობა ჩაიწერა ანწუხელთა მიმართაც: *„ანწუხელთ კიდევ ეს პირობა უნდა მოგვცენ, რომ: ან თვითონ და ან სხვამ, თავიანთმა კაცმა სხუა დაღესტნის კაცი არ მოიყვანონ თავიანთ ბინაზედ და არც სხვის ოსტატობით და არც თავიანთი გაქცეული კაცი მიუშვან, რომ ანწუხელთ ცოდნით იმათ კახეთში არა დააშაონ რა“.*

ანალოგიური შინაარსისაა **მე-12 მუხლიც**: *„ანუ თუშეთზე და ან კახეთ ზე თუ რომ ანწუხელთ შეიტყონ იმ უცხოს კაცისა კახეთ ზედ მომავლობა სამტროთ, ის გავა ზელთ და ყვარელთ უნდა შეატყობინონ, რომ ისინი სხუათ შეატყობინებენ“.*

განჩინების ორივე პუნქტი იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთი მეთემე დამნაშავეს მფარველობდა და ამდენად ისიც ქართველთადმი მტრობის მონაწილედ ითვლებოდა, ამიტომ ამგვარ ქმედებათა აღსაკვეთად **სახელმწიფო კანონი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა მოსალოდნელი დანაშაულის ხელშემწყობ პიროვნებას. თავის მხრივ, განჩინების ეს მუხლები იმაზედაც მეტყველებენ, რომ მკვლელთა და ყაჩაღთა ინდივიდუალური ქმედებაც ლეკიანობის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.**

განჩინების მიხედვით, კიდევ უფრო დიდ საფრთხეს ქმნიდა ყაჩაღთა ბრბოს ჯგუფური თარეში, რომლის ალაგმვის მიზნით ხელისუფლება ანწუხელებს ავალდებულებდა დაღესტნის მხრიდან მოსალოდნელი შემოსევის შეტყობინებასა და ტყვეების დახსნაში დახმარებას: *„ეს ხომ ყოველთვის აძევსთ ანწუხელებს: ჩვენი ტყვე რომ მოჰყვანდესთ სხვას ლეკებს, თუ დიდი ჯარი არ არის და მოერეოდნენ, უნდა წაართვან და მოგვცენ. და რაც ჭეშ-*

მარიტი ამბავი იცოდნენ დაღისტნის ჯარისა, უნდა შეატყობინონ ყვარელთა და გავაზელთა და ჩვენც გვაცოდინონ, ამის მოვალენი არიან“.

ანწუხელთ პასუხი მოეთხოვებოდა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მთელი თოხუმობა (ნათესაური გაერთიანება, საზოგადოება) განზე გადგომით ჩაიდენდა დანაშაულს. იმის შესახებ კი, თუ რა ხასიათისა იყო ეს განზე გადგომა და ასეთ შემთხვევაში რანაირი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ მათ საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინაშე, განჩინებაში აღინიშნა: *„ამას გარდა, თუ ანწუხელი თოხუმობით უკუდგეს ვინმე, და იმან ან თუში და ან კახი კაცი მოკლან და ან მოიპარონ რამე, ანწუხელთ თემობით უნდა მოგვცენ პასუხი. როგორც თუშთ მოუციათ პირობა, აგრეთვე, ანწუხელთ უნდა მოგვცენ პირობა ფიცით და მუჩალგით“.*

ლეკიანობისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა ქურდობაც, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ორგანიზებული თავდასხმის გარეშეც. მაგრამ ყველა ვითარებაში, ქურდი ლეკი იქნებოდა თუ ქართველი, კანონით სასტიკად ისჯებოდა. ისეთ შემთხვევაში კი, თუ ქურდის დაჭერა ვერ მოხერხდებოდა, მომხდარ დანაშაულზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მის ნათესავებსა და თანასოფლელებს, რაზედაც გვაუწყებს განჩინების მე-15 მუხლი: *„ქურდობისაც ასე უნდა იქნას: რომლისაც მხრიდან ქურდობა მოხდეს, თუ ის ქურდი ვერ ჩავიგდევით ხელში, იმისმა ნათესავმა და იმის სოფლის კაცმა უნდა მისცენ პატრონს ერთიორად მოპარული და სამთხრობლოც, თუ გასვლია“.*

მომდევნო მუხლის თანახმადაც ქურდის გაცემა მის თემსაზოგადოებას ევალებოდა, ხოლო მეთემენი თუ ქურდს არ დაიჭერდნენ, ნაქურდალის ანაზღაურება მათ ეკისრებოდათ: *„ან ის ქურდი ანწუხის ჯამაათმა და თუშთ უნდა მოგვცენ. და ან იმ ქურდის ნათესავმა და სოფლის კაცმა უნდა მისცენ ნაქურდალი ერთიორად და სამთხრობლოცა, რაც გასვლოდეს. ორისა მხრივ ასე უნდა იქნას“.*

1786 წელს დაწერილი განჩინების მიმოხილვის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმო-

ადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველწყაროს ლეკიანობის ხასიათის შესწავლისთვის. **ეს დოკუმენტი განსაკუთრებული ღირებულებისაა იმ მხრივ, რომ იგი გვაცნობს არა მარტო ლეკიანობის არსს, არამედ იმ ღონისძიებებსაც, რომელთაც საქართველოს სამეფო ხელისუფლება კანონის გამოყენებით ახორციელებდა. ამგვარი საშუალებით სამეფო ხელისუფლება ცდილობდა ქართველთა და დაღესტნელთა შორის მტრობის თუ ბოლომდე აღკვეთას არა, მის შენელებას მაინც.** ამ მიზნით ხელისუფლება ერთნაირ პასუხისმგებლობას აკისრებდა დაპირისპირებულ მხარეებს და, შურისძიებით მოსალოდნელ უბედურებათა ნაცვლად, სასჯელის ნორმებს აწესებდა. ხელისუფლებისთვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ რბევა-აწიოკების ინიციატორები დაღესტნელი მთიელები იყვნენ, ხოლო თუშები და კახელები მათ მოგერიებას ადეკვატური საშუალებების გამოყენებით ცდილობდნენ, მაგრამ სამეფო ხელისუფლება ქართულ მხარესაც არ უწონებდა აქტიურ მეკობრეობას.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ლეკიანობის ალაგმვა სამეფო ხელისუფლებას ურთულესი ამოცანის წინაშე აყენებდა და ვითარების ნორმალიზაციის ერთ-ერთ საშუალებად თვლიდა კანონის ამოქმედებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლეკიანობა, როგორც იდიოზური მოვლენა, განხილული განჩინების შექმნის შემდეგაც გრძელდებოდა.

© „ღვინისგზისწვნი ალბასგაფრე“

პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი

1783 წელს რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულიდან საბოლოოდ განდევნა ოსმალეთი, შეიერთა ყუბანის მხარე და მფარველობაში აიყვანა ქართლ-კახეთის სახელმწიფო. ეკატერინე მეორეს მთავრობამ ამავე დროს კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ბატონობა ყაბარდოში და ამიერკავკასიას უშუალოდ შემოადგა. ამის შემდეგ იმპერიის დიპლომატები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანელთა განდევნაზე ფიქრობდნენ. 1783 წ. 2 ნოემბერს საზეიმოდ მორთული თბილისი აღტაცებით შეხვდა რუსთა ორ ბატალიონს, რომლებიც ტრაქტატის საფუძველზე ერეკლე მეფის განკარგულებაში გამოგზავნეს. ჯარს რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბურნაშოვი მიუძღოდა. ამ აქტით რუსეთის იმპერიის დიპლომატები თითქოს იწყებდნენ „დიდ ექსპერიმენტს“, რომელიც, როგორც ეს შემდეგში ცხადი გახდა, ამიერკავკასიის მოქიშპე ძალთა თანაფარდობის მოსინჯვას ისახავდა მიზნად. ჯარის გამოჩენას ხომ უშუალო გამოძახილი მოჰყვებოდა და პრაქტიკულად გაირკვეოდა, თუ როგორ შეხვდებოდნენ ამ მოვლენას ირანი, ოსმალეთი და მათი ხელდებული ქვეყნები, მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიაში. რუსთა ჯარის შემოყვანიდან ორიოდე თვის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამფარველო ტრაქტატის საბოლოო გაფორმება-დამტკიცების მიზნით, საქართველოში საჩუქრებით დატვირთული პოლკოვნიკი ტამარა მოავლინა. მისი ჩამოსვლა 1784 წ. 22 იანვარს თბილისელებს რუსული ზარბაზნების გრიალით (101 ბათქი) აუწყეს. მეორე დღეს ტამარამ ერეკლესა და მისი სამეფო სახლის წარმომადგენლებს იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და საჩუქრები გადასცა. იქვე მიიღო ერეკ-

ეკატერინე მეორე

ლემ სამფარველო სიგელი. ამასთან დაკავშირებით ისევ 101-ეჯერ დაიქუხა რუსულმა ზარბაზნებმა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის განხორციელება. ამავე დღეს საზეიმო ცერემონია გაგრძელდა სიონის ტაძარში, სადაც ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებული ტრაქტატის ტექსტების გაცვლა მოახდინეს, ხოლო ერეკლე მეორემ ამ ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ერთგულებაზე დაიფიცა. ნიშანდობლივი იყო იმ დღეს ქრისტიანთა „მფარველი“ ეკატერინე II-ს სახელის ხსენებასთან დაკავშირებით ატეხილი ზარ-ზეიმი თბილისის ეკლესიებში. რუსული ზარბაზნის ხმაურის ექო თბილისიდან ქართლის მეზობლებს მისწვდა. ამიერკავკასიის ფარგლებსაც გასცდა და შორეულ კონსტანტინოპოლში სულთნის მთავრობაც შეაშფოთა. ეს ხმა ირანსაც მოედო, მაგ-

© „ღონისძიებები ათასწლეულზე“

რამ იგი იმ დროს ისეთ ბებერ ლომს მიაგავდა, რომელსაც მღელვარე ამბებზე რეაქციაც კი დაჰკარგვოდა. შიში დაეუფლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მმართველ ხანებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის ოფიციალური ისტორიკოსის, აკად. ნ. დუბროვინის შენიშვნით, 1783 ტრაქტატს მტრულად შეხვდნენ და ყოველ ზომას ხმარობდნენ რუსეთის „დამპყრობლურ გეგმათა წინააღმდეგ“. დროთა განმავლობაში ხანები ცდილობდნენ, საერთო ენა გამოენახათ მეფის რუსეთის მთავრობასთან და მის საფარველში შესვლის გზით აეცდინათ მოსალოდნელი საფრთხე. როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი, ცალ-ცალკე, ცდილობდა, მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა ღონემიხდილი ირანის ვასალებთან, მაგრამ ასეთ შეჯიბრში მაშინ ოსმალეთს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, რაც უმთავრესად სარწმუნოებრივი ნათესაობის ნიადაგით აიხსნებოდა. ერთხანს ოსმალეთი საჭიროდაც კი თვლიდა, რომ ხელი გაეწოდებინა „ერთმორწმუნე“ ირანისათვის, სადაც რუსეთის გავლენა თანდათანობით უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

ევროპის სახელმწიფოებიც შურის თვალით უყურებდნენ რუსეთის წარმატებას კავკასიაში. 1783 წ. ტრაქტატს ინგლის-საფრანგეთში განიხილავდნენ როგორც რუსეთის დიპლომატიის ტრიუმფს აღმოსავლეთში. განსაკუთრებით აქტიურობდა საფრანგეთი, რომელიც, თურქეთთან ერთად, ყოველ ზომას ხმარობდა, რათა ჩაეშალა რუსეთის კავშირი ისპაჰანის მფლობელ ალი მურად-ხანთან და უკუეგდო რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში. ქართლ-კახეთში რუსთა ჯარების გადმოყვანის გამო ოსმალეთის სახელმწიფოს შეშფოთება სავსებით გასაგები იყო. რუსეთის მიერ მრავალგზის დამარცხებულ, ყირიმიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოდევნილ ოსმალეთს ახლა მისი უშუალო თუ მინატაცებ-დაპყრობილი მიწების დაკარგვა მოელოდა. ძლიერმა რუსეთმა კავკასიონის მთაგრეხილი უომრად გადმოლახა, უშუალოდ დაუმეზობლდა სულთნის სამფლობელოებს და მას საქართველოდან „მეორე ფრონტი“ გაუხსნა (პირველი და ტრადიციული ფრონტი ბალკანეთის მიმართულებით იყო), რითაც დაემუქრა ანატოლიის ჩრდილოეთ პროვინციებს. ოსმალეთი

თავის პოლიტიკას ამიერკავკასიაში უმთავრესად ახალ-ციხის ფაშას მეშვეობით ახორციელებდა. ახალციხელ ფა-შა სულეიმანს არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ ერეკ-ლე რუსეთის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა მიერ მი-ნატაცები სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. სულეიმან ფაშამ, როგორც ვიცით, თავის თავს „საათაბაგოს — სა-ქართველოს ამ ძველი პროვინციის — მემკვიდრე-მფლო-ბელად თვლიდა“. სამფლობელოს დაკარგვის შიშით და სულთნის მთავრობის დავალებით, „განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა“. ახალციხის საფაშო ამიერიდან ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ოსმალეთის ფარული თუ აშკარა შეტევის ბაზად იქცა და იქიდან წამოსული მძარ-ცველური რაზმები განსაკუთრებული აქტივობით არბევ-დნენ ქართლის სოფლებს. ქართლ-კახეთის განადგურე-ბისათვის ბრძოლის მეორე ფრონტი ჭარ-ბელაქანზე გა-დიოდა. ახალციხის საფაშო, ჭარ-ბელაქანი და დაღესტა-ნი მაშინ ერთი მთლიანი ღერძი იყო, რომელსაც სათავე კონსტანტინოპოლში ჰქონდა. ამიერიდან საქართველოს წინააღმდეგ შემოსევებმა უფრო ორგანიზებული და სის-ტემატური ხასიათი მიიღო.

რუსეთის მთავრობა დიპლომატიური დემარშებით ცდი-

ლობდა ქართლ-კახეთის გადარჩენას. მრავალგზის მოაგონეს სულთნის მთავრობას, რომ თავდასხმები იმ ქვეყანაზე, რომელიც რუსეთის საფარველში შევიდა, ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო ურთიერთობას არ შეეფერებოდა. 1784 წ. 8 იანვარს (1783 წ. 28.XII) რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების საფუძველზე ოსმალეთმა პირობა დადო, რომ ერეკლეს სახელმწიფოს ოსმალეთის მხრიდან აღარ შეავიწროვებდნენ. ამის შესახებ ახალციხის ფაშასაც მისწერეს, მაგრამ ფაშამ, როგორც ჩანს, „აუხსნა“ სულთნის მრჩევლებს, რომ საქართველოს „გაძლიერება“ ყოვლად მიუღებელი იყო. ამრიგად, ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა ისევ გრძელდებოდა, ხოლო რუსეთი კვლავაც პასუხს მოითხოვდა კონსტანტინოპოლელი ელჩის მეშვეობით.

1784 წ. დეკემბერში ეგვიპტის საქმეებზე შეკრებილ სულთნის საბჭოს ისევ განუხილავს რუსეთის პროტესტი. მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა პასუხი გაეცათ მისთვის. საბჭოს აღუნიშნავს, რომ ოსმალეთი არ ცნობდა რუსეთის ხელისუფლებას „თბილისის ხანზე“, რომ იგი ქართლ-კახეთს, ისევე, როგორც იმერეთს, თავის სამფლობელოდ თვლიდა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოსმალეთის პრეტენზიას ქართლ-კახეთზე რაიმე არსებითი საფუძველი არ ჰქონია. მართალია, 1778 წ. ერეკლე მეფე ოსმალეთს შეუთანხმდა, მოურიგდა მას, რათა 1768-1774 წლებში რუსეთის მხარეზე მონაწილეობის გამო ამ სახელმწიფოსთან სამშვიდობო ურთიერთობა აღედგინა, მაგრამ ერეკლეს ამით თავის სუვენერულ უფლებებზე ხელი არ აუღია და იგი სავსებით დამოუკიდებლად განაგებდა სამეფოს.

სულთნის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება იმის მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახალი ომისათვის პირობები იქმნებოდა. ერეკლეს, როგორც ჩანს, არ გამოჰპარვია, რომ რუსეთის სახელმწიფო კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ ძლიერ ლაშქრობას ამზადებდა. ჯარის ერთი ნაწილი ყიზლარიდან დარუბანდში უნდა შეჭრილიყო და იქაური ძლიერი მფლობელი ფათალი-ხანი შეეპყრო. ამის მერე უნდა დაეკავებინათ კასპიის ნაპირები ვიდრე გილანამდე. რუსთა ჯარების მეორე

კორპუსი ქართლის მიმართულებით უნდა წამოსულიყო. ვარაუდობდნენ სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოების აღდგენას, რა თქმა უნდა, რუსეთის მფარველობით. ამასთან დაკავშირებით 1783 წ. 3 მაისს პავლე პოტიომკინისათვის გაგზავნილ წერილში ერეკლე აყენებდა „საქართველოს გაძლიერების“ გეგმას. მისი აზრით, ძლიერ საქართველოს „შეეძლო, დახმარებოდა რუსეთს მისი დამპყრობლური მიზნების განხორციელებაში“. მაგრამ განხორციელება არ ეწერა როგორც სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოთა აღდგენის გეგმებს, ისე ერეკლეს ცდებს თვითმპყრობელობის დახმარებით საქართველოს გაძლიერებისათვის. საქართველოს „გაერთიანება-გაძლიერებისა“ თუ „განთავისუფლების“ ე.წ. გეგმები არსებითად იმპერიის საზღვრებისა და გავლენის გაფართოებას გულისხმობდა. ეს იყო მეფის რუსეთის დიპლომატიის ბრძოლა საქართველოს „მშვიდობიანი“ გზით მითვისებისათვის. რუსეთის მთავრობის დავალებით, 1784 წ. სექტემბერში, გენ. პავლე პოტიომკინი ერეკლეს ესტუმრა. მან 22 დღე დაჰყო საქართველოში. ეს გენერალი მაშინდელი საქართველოს სისუსტეს „მმართველობის მექანიზმის მოშლაში“ ხედავდა. გასაგები იყო, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს მოხელეს ფეოდალური ქართლ-კახეთის მაშინდელი მმართველობის სისტემა არ მოეწონებოდა.

რუსეთის მთავრობის მიერ 2 ბატალიონი ჯარის აქ გადმოსხმის გამო ოსმალეთმა და მისმა მოკავშირეებმა განგაში ატეხეს, რუსეთს კი ომის კერის შემდგომი გაფართოება მაშინ, როგორც ჩანს, არ შეეძლო. თვით ოსმალეთი ნამდვილად ძალიან სუსტი იყო და რუსთა ჯარების დამარცხებას ვერ შეძლებდა, თუმცა იგი ჯარებს მაინც აგროვებდა საქართველოსა და სომხეთის მისადგომებთან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა თუ დაღესტანში მზარდი ანტირუსული მოძრაობით გამხნევებული. რაც შეეხება ირანს, იქ შაჰის ტახტისათვის ბრძოლა გრძელდებოდა და მას ჯერჯერობით რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო.

ქერიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ზენდებს შორის ატეხილი ბრძოლა ალი მურად-ხანის გამარჯვებით

© „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲓᲠᲘᲡ“

დასრულდა, მან ისპაჰანში თავი შაჰად გამოაცხადა. ამავე დროს ირანის ჩრდილოეთში, მაზანდერანსა და ასტრაბადში, აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი გაძლიერდა. იგი ზენდების წინააღმდეგ დაუნდობელ ომს განაგრძობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატიამ „მეგობრობის“ ხელი გაუწოდა ალი მურად-ხანს, რომელიც ამ დახმარებით დაინტერესებული იყო და კასპიის ზღვის ნაპირებსაც კი უთმობდა მას, ოღონდ რუსეთის მთავრობას იგი შაჰად ეცნო და მხარი დაეჭირა მისთვის. მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა და მათ შესაბამისად იცვლებოდა თვითმპყრობელობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში. 1785 წ. 7 თებერვალს ალი მურად-ხანი გარდაიცვალა და გამარჯვების სასწორი უკვე აღარ-მაჰმად-ხანის მხარეზე იხრებოდა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მდგომარეობა დღედღეზე უარესდებოდა. რუსთა ორი ბატალიონის დახმარება ვერაფრით ამსუბუქებდა მის მდგომარეობას. ამიტომ იყო, რომ განსაცდელში ჩავარდნილი ერეკლე თავის მფარველს დამატებითი ჯარების გამოგზავნას სთხოვდა, მფარველი კი ისმენდა და ყურს არ იბერტყავდა— ხელსაყრელ სიტუაციას ელოდა ადრე დასახული მიზნების განხორციელებისათვის.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ყმადნაფიცები და მოკავშირეებიც ალმაცერად უყურებდნენ, ერეკლეს და ოსმალეთს უკავშირდებოდნენ. ერზერუმის, ყარსისა და სხვ. ფაშები მოციქულებს გზავნიდნენ ერევნის ხანთან და მას რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდებდნენ. მერყეობდა ყარაბაღის ხანი იბრეიმიც.

ყარაბაღის ხანსა და რუსეთს შორის მაშინ უთანხმოება გარდაუვალი იყო. რუსეთი ყარაბაღელ სომეხ ქრისტიანებს მფარველობდა. ასევე მფარველობდა მათ ერეკლე მეფეც, თუმცა, იგი, ამავე დროს, იბრეიმ-ხანთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. ეს გარემოება ერეკლეს მიმართ ყარაბაღელი მელიქების ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. ბუნებრივია, რომ „სომეხთა მეფის“ ტიტულისათვის მებრძოლი ერეკლე თავის მხრივ კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდა სომხური სამეფოს ცალკე გამო-

ყოფის იდეას. უკეთეს შემთხვევაში თვით სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ მფარველად აღიარებული ერეკლე, რა თქმა უნდა, ამჯობინებდა, რომ სომეხთა მფარველობის საქმეში მას მეტოქე არ ჰყოლოდა. სწორედ აქ იჩენდა თავს რამდენადმე შენიღბული წინააღმდეგობა ერეკლესა და რუსეთის მთავრობას შორის.

რუსთა რეგულარული ჯარის შემოსვლამ და მის მომარაგებასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა რამდენადმე მოადუნეს ქართლ-კახეთის მესვეურთა ზრუნვა „მორიგე ჯარის“ აღდგენაზე, რომელიც, ფაქტობრივად, 80-იანი წლების დამდეგიდან მოიშალა. იგი კვლავაც მორიგეობაზე დამყარებული საყარაულო სამსახურით შეიცვალა. მართალია, ერეკლეს დროს თავისუფალ მოლაშქრეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ქვეყნის დაცვისათვის ეს საკმაო არ იყო. საგარეო მტრების მოგერიება უმთავრესად საჭიროების მიხედვით გაწვეულ ფეოდალურ ლაშქარს ეკისრებოდა. ქართლ-კახეთს უკვე ლეკ-ოსმალთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარები უტევდნენ. მათ წინააღმდეგ ახლა ქართველები და რუსები ერთად გამოდიოდნენ. ერთობლივი ბრძოლა 1784-1785 წწ. მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა. ქართლ-კახეთის მსხვერპლი კი ამ ბრძოლაში განუზომელი იყო. 1784 წ. რუსთა და ქართველთა ჯარებმა დაღესტნური შემოსევების პლაცდარმს — ჭარ-ბელაქანს შეუტიეს. მუღანლოსთან 5-საათიან ბრძოლაში მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. ლეკთა მხრიდან 200 კაცი დახოცილა, რუსებსა და ქართველებს კი 40-მდე კაცი დაუკარგავთ. ამ წარმატების შემდეგ ერეკლემ განჯის სახანოზე თავისი შერყეული ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლა გააჩაღა. 1785 წ. დასაწყისში ერეკლეს ჯარი განჯის „გუბერნატორ“ ანდრონიკაშვილისა და შამშადილის ალი სულთნის სარდლობით განჯას მიადგა. განჯელები ციხეში გამაგრდნენ. ერეკლე განჯასთან ყარაბაღელი ხანის მაშველ ლაშქარს მოელოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ფათ ალი-ხანი წამოვიდა. მაშინ ერეკლემ მას თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით სცადა შეჩერება. გამოირკვა, რომ ფათ ალი-ხანს

ერეკლესთან ერთად სურდა, გაენაწილებინა თავისი ბატონობა ყარაბაღის სახანოზე და ამ პირობით იღებდა ხელს განჯაში ბატონობაზე. ერეკლე არ აჰყვა ცბიერ ფათ ალი-ხანს, მაგრამ იძულებული გახდა, განჯის ალყა მოეხსნა და იქ მებრძოლი ლაშქარი ყარაბაღის ხანის საშველად გადაეყვანა. ამით განჯელებმა ისარგებლეს და ერეკლეს მაჰმადიანური ქვეშევრდომები მოიმხრეს. ფათ ალი-ხანი ახლა განჯის ხანს თავის მფარველობას აღუთქვამდა და ამხნევებდა. ასეთ რთულ ვითარებაში ერეკლეს საშველად ამოძრავდნენ რუსთა ასეულები და მეფემ, ბოლოს და ბოლოს, შეძლო განჯაზე ძველი ბატონობის აღდგენა, მაგრამ ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. განჯის ამბებს ლეკ-ოსმალთა ახალი შემოსევა მოჰყვა. მუღანლოსთან დამარცხების შემდეგ ლეკ-ოსმალთა მოზრდილი ლაშქარი ახალციხის მხრიდან გამოჩნდა. ეს იყო 1785 წ. 23 მარტს, როცა მძარცველები სოფ. დურნუკის (თბილისიდან 25 კილომეტრზე) შეესივნენ. 20 კაცი მოკლეს და 200 დაატყვევეს. ამის შესახებ გარსევან ჭავჭავაძე ოფიციალურად სწერდა გრიგოლ პოტიომკინს, რომ თითქოს ერეკლე მეფე საპასუხო მოქმედებისაგან თავს იკავებდა, რათა სახელმწიფოებს (ოსმალეთსა და რუსეთს) შორის „შფოთის მიზეზი“ არ გამხდარიყო. როგორც ეტყობა, გარსევანი რუსეთისადმი ერეკლე მეფის მოკრძალებასა და ერთგულებას ასაბუთებდა იმ მიზნით, რომ ყოვლისმძლე პოტიომკინისაგან ქართლისათვის უფრო მეტი დახმარება გამოეთხოვა. რა თქმა უნდა, მძარცველთა დაუსჯელობის მიზეზი აღნიშნული „მორიდება“ არ ყოფილა. მათი დასჯა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. დურნუკის აოხრების შემდეგ, 28 მარტს, სოფ. ტაბახმელას „მოუხდა ჯარი ლეკი და თათარი ცხენოსანი 1000“, რომელნიც ერეკლეს ლაშქარმა დაამარცხა. 1785 წ. 16 აპრილს ახალციხის ფაშამ ისევ გამოისტუმრა „ათას ხუთასი ლეკი და ხუთასი თათარი ქართლის წასახდენად“. 600 ტყვითა და სხვა ალაფით დატვირთულ მტრებს რუსებმა და ქართველებმა მტკვრის ნაპირზე, სურამის ახლოს, გზა შეუკრეს და სასტიკად დაამარცხეს. ამ ბრძოლას სარდლობდა მაიორი სენენბერგი, რომელმაც თავისი ჯარით „ოთხი საათის ბრძოლასა

შინა ამოწყვიტა და დაარჩო მდინარესა შინა ათას ხუთასამდინ“ მოწინააღმდეგე. აღნიშნული წლის მაისში ლეკოსმალებმა ძველი მარცხის გამოსწორება სცადეს, მაგრამ ქართველებმა და რუსებმა კვლავ დაამარცხეს ისინი. მიუხედავად აღნიშნული ეპიზოდური გამარჯვებისა, ქართლ-კახეთი ფიზიკური დაუძლურებისა და ეკონომიური გაჩანაგების გზით მიდიოდა. გამუდმებული ბრძოლა აურაცხელ მსხვერპლს ითხოვდა. თავდამსხმელები ზოგჯერ იმარჯვებდნენ კიდეც და ხშირად ნაძარცვით დატვირთულები ქვეყნის საზღვრებს ისე გასცდებოდნენ რომ ქართლის მეომრები მათთან შებრძოლებას ვერც ასწრებდნენ.

ასეთ მძიმე პირობებში ერეკლე ისევ და ისევ მოაგონებდა რუსეთის მთავრობას, რომ დამატებითი ჯარის მოშველიება აუცილებელი იყო. ახლა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ბურნაშოვიც ამასვე მოითხოვდა, მაგრამ მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. 1785 წ. დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა და რუსეთის მთავრობას ჯარის გამოგზავნაზე უარის სათქმელად ახალი მიზეზი გაუჩნდა. საჩაჩნოში დაიწყო მაჰმადიანურ-რელიგიური მოძრაობა, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობას „საღვთო ომს“ უცხადებდა. იგი, როგორც ჩანს, თურქეთის წაქეზებით ატყდა და მისივე დახმარებით ვითარდებოდა. ცრუწინასწარმეტყველ შეიხ მანსურის ქადაგებას ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილი აჰყვა. „ახლა ოცდაათი ათასზე მეტი ჯარი ყავს... ჩერქეზი ნახევარზე მეტი გადაუდგა რუსს, სულ იმასთან მოვიდნენ, იანვარში გამოჩნდა“. რუსთა სარდლობა იძულებული გამხდარა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი ჯარის ნახევარი მოზდოკსა და ნურში დაეგროვებინა. „ამათაც ეშინიათ, ვნახოთ, ღმერთი რას მოახდენს“, — სწერდა იოანე ბერძენი იმ დროს რუსეთში იმერთა მეფის ელჩად მყოფ ზურაბ წერეთელს, 1785 წ. 27 ივნისს. 1785 წ. მარტიდან „საღვთო ომი“ სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. შეიხ მანსურთან (უშურმასთან) კავშირი დაამყარა ომარ-ხან ავარიელმა, რომელიც ამ დროს დიდ ლაშქრობას ამზადებდა საქართველოს წინა-

© „ღამისფრთიანი ფანტასტიკა“

აღმდეგ. ომარ-ხანის წერილებიდან შეიხ მანსურისადმი კარგად ჩანდა, რომ სულთანი საჩუქრებსა და ფულს არ ზოგავდა აღნიშნული ლაშქრობის მოსაწყობად. ომარ-ხანს ეხმარებოდნენ, აგრეთვე, ყაზიყუმუხელი ფეოდალები და სხვ. დაღესტნელები. მათი მთავარი მიზანი ერეკლეს სამეფოს განადგურება იყო, რადგან მასში რუსეთის მხრიდან საშიშროებას ხედავდა. რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობას ამიერკავკასიის სახანოების უმრავლესობა უჭერდა მხარს.

მანსურის მეთაურობით გაჩაღებულმა მოძრაობამ საფრთხე შეუქმნა რუსეთის გეგმებს ამიერკავკასიაში. ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს მდგომარეობაზე. ოსმალეთის აგენტმა ომარ-ხანმა საქართველოში დიდი ლაშქრობისათვის უაღრესად ხელსაყრელი დრო შეარჩია; შეიხ მანსურმა წინა კავკასიაში რუსთა ჯარების დიდი ნაწილი ბრძოლაში ჩაითრია, ხოლო რუსეთ-საქართველოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ერთეულები, ოსმალეთის სახსრებით თუ სხვა დაპირებებით გამხნევებულები, იარაღს ისხამდნენ. 1785 წ. დაღესტნელები ახალციხის ფაშას სწერდნენ, რომ მალე ომარ-ხანი დიდძალი ჯარით საქართველოს შეესეოდა, მაგრამ ფაშა მის მხარეზე თითქოს აშკარად გამოსვლას ვერ ბედავდა, რადგან ეშინოდა, რომ ერეკლე გამარჯვე-

მდინარე ივრის ხეობა

ბის შემთხვევაში მას დასჯიდა. თუმცა, ქვემოთ დავინახავთ, ფაშას ეს „შიში“ დაუძლევია და ქართლის განსაცდელის ჟამს კვლავაც გაუხსნია მისთვის მეორე ფრონტი. ომარ-ხანმა 11 თუ 20 ათასი მეომრისაგან შემდგარი „რჩეულთა ჯარით“ 1785 წ. ყარაჯაღთან მდ. ალაზანი გადმოლახა, იგი ცეცხლითა და მახვილით მოიწევდა ქართლისაკენ. 17 სექტემბერს უკვე მდ. იორიც უკან მოიტოვა და სიღნაღში შეგროვილ ქართველთა ჯარს ზურგიდან მოუარა. როცა ავარიის ხანმა მდ. ალაზანი გადმოლახა, ერეკლე სიღნაღისაკენ გაეშურა. მისი ჯარი იქ იკრიბებოდა. მაშინ სწორედ მოსავლის აღების დრო იყო და ჯარის შეყრა გაძნელდა. დაღესტნელთა ქვეითი ლაშქარი ალაზნის ნაპირებს მოედო, ცხენოსანი კი ნუკრიანის ციხისკენ წავიდა. მტერი უკვე იორზე გადმოსულიყო, როცა ერეკლე მის შესაბმელად გაემართა. — „მივდიოდით დღისით და ღამითაც“, მაგრამ არტილერია და ყუმბარები სწრაფად მავალ ლაშქარს დროულად ვერ მოაშველეს. 18 სექტემბერს დაღესტნელები უკვე ბორჩალო-ბაიდარში იყვნენ, 19-ში კი ახტალას ალყა შემოარტყეს. ერეკლეს ჯარი მათ მისდევდა, 20 სექტემბერს იგი მარნეულს ჩავიდა, მაგრამ ვერ მიაღწია. იმავე დღეს მტერმა ახტალა აიღო და დაანგრია. ახტალის დამცველებმა ხელჩართულ ბრძოლაში 300-მდე თავდამსხმელი მოკლეს, მაგრამ მრავალრიცხოვანმა მტერმა გაიმარჯვა — 845 ტყვე წაიყვანა, ბევრი ფული, ვერცხლი, სპილენძი და სხვა ნივთები გაიტაცა.

21 სექტემბერს ერეკლეს ლაშქარი სადახლოში ჩავიდა, მაგრამ ავარიელთა მძარცველური რაზმები ქართელებთან პირდაპირ ბრძოლას მოერიდნენ და ახალციხის საფაშოსაკენ გაეშურნენ. ყოველივე ამის შესახებ ერეკლე მოახსენებდა პავლე პოტიომკინს და ჯარითა და ფულით დახმარებას მოითხოვდა. ამ მოთხოვნის არსებითი საფუძველი, ერეკლესავე განცხადებით, ის იყო, რომ მისი ქვეყანა ასეთ „განსაცდელში ადრე არ ჩავარდნილა“. XVIII ს. 40-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე (1785 წ. ნოემბერი) „ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“, — სწერდა გარსევან ჭავჭავაძე გ. პოტიომკინს და თავისი ქვეყნისათვის ფულად დახმარებას მოითხოვდა. ომარ-ხა-

ნის მიერ ახტალის საბადოების განადგურებით ქართლ-კახეთის სახელმწიფომ 100 ათასი მანეთის ზარალი განიცადა. ამავე დროს, იგი იძულებული გახდა, რომ ომარ-ხანისათვის ყოველწლიური ჯამაგირის დანიშვნით ეყიდა მშვიდობა და ამ გზით დაეცვა დარბეული ქვეყანა. პავლე პოტიომკინმაც, თავის მხრივ, 1000 ჩერვონეცი გაუგზავნა ვერაგ ხანს და საქართველოს აწიოკებაზე ხელის აღება მოსთხოვა.

„საქართველო უკიდურესად ნადგურდება, — წერდა ბურნაშოვი, — იმის გამო, რომ გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია. მის უმაღლესობას (ერეკლე მეფეს) არ შეუძლია შეგროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არ აქვს, მისი შემოსავალი თითქმის გაქრა...“

მრისხანე XVIII საუკუნე: ყიზილბაშობა და ლეკიანობა

XVIII საუკუნეში საქართველოს წინაშე ერთი, მეტად მძიმე, საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ამიერკავკასიის ბარისა და, უპირველეს ყოვლისა, „საქრისტიანო“ საქართველოს რბევისაგან ხელის აღება ლეკებს არ სურდათ და ადვილად არ შეეძლოთ: უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე დაღესტნის ხალხთა მეურნეობაში ნადავლს (უმთავრესად ეს იყო ტყვე), მეტად დიდი ადგილი ეჭირა. ვერც ირანმა და ვერც ოსმალეთმა ლეკებს ამ „საქმისაგან“ ხელი ვერ ააღებინეს, თუმცა, უნდა ითქვას, ამ სახელმწიფოთა მმართველი საზოგადოების ინტერესები არც კი მოითხოვდა ლეკთა ამ „მეურნეობის“ საბოლოოდ აკრძალვას.

ისინი თვითონ იყვნენ „ლეკური საქონლის“ (ტყვის) პირველი მომხმარებლები. მეორე მხრივ, საქართველოს გასანადგურებლად მიმართულ ბრძოლაში აგრესორები ლეკებს თავიანთ მოკავშირეებად უყურებდნენ. საქართველოსთვის კი ლეკთა საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მის გადაჭრაზე დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს მომავალი განვითარება.

XVI-XVIII საუკუნეთა განმავლობაში ლეკთა საკითხი საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მაგრამ არც კახეთისა და ქართლის თავადური სინამდვილე, არც ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობა და არც ირანისა და ოსმალეთის ბატონობა ამ საკითხის გადაჭრის საშუალებას არ იძლეოდა.

1749-1750 წლების ქართლ-კახეთის წარმატებებმა ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემები“ შეაშფოთეს. ქართველთა გაძლიერებაში ისინი თავიანთ უშუალო საფრთხეს ხედავდნენ. და მართალიც იყო: **ლეკთა საკითხის გადაჭრისათვის ქართველებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობა და მათი ისევ კახეთისათვის შემოერთება. „უბატონო თემების“ მოციქულებ-**

მა ადვილად დაარწმუნეს თავიანთი მთიელი თანამოძმეები საქართველოს წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის საჭიროებაში. ჭარ-ბელაქნის დაპყრობით საქართველო დაღესტნელებს ამიერკავკასიაში მთავარ საოპერაციო ბაზას მოუსპობდა და „თუ ჩვენ არ გადავალთო, ქართველთა ჯარი აქ, დაღესტანში გადმოვაო“, — შიშობდნენ ლეკები.

ლეკთა დიდი ჯარი (შვიდი ათასი მხოლოდ მხედარი იყო, ქვეითი კიდევ სხვა იყო) 1750 წელს ჭარში ჩამოვიდა. მათ აქ ჭარელები შეუერთდნენ და საქართველოზე გაემართნენ. ჯარის ერთი ნაწილი კახეთს დაეცა: მთავარი ძალები კი ყაზახს შეესივნენ და სასტიკად დაარბიეს. ერეკლემ კახელებით მთელ რიგ ბრძოლებში უკუაგდო ისინი. ამის შემდეგ ის ფიცხლივ ქართლს მიეშველა. ქართველთა ჯარი აედევნა ნადავლით დატვირთულ ლეკთა მთავარ ძალას და დანღინს (ალაზან-იორის შესართავთან) აიძულა ის, ბრძოლა მიეღო. ლეკები დამარცხდნენ. მათ დიდძალი დაჭრილ-დახოცილი თუ ტყვე და ათასობით ცხენი დატოვეს და ილტვოდნენ.

ქართველი ჯარი ჭარს გავიდა. ქვეყანა სულ გახიზნულიყო. აქ გამოირკვა, რომ აჯი-ჩალაბი ხანს შექი-შირვანი და მთელი პირაქეთი ლეკობა ფეხზედ დაეყენებინა. ქართველებმა ჭარს თავი დაანებეს და აჯი-ჩალაბს მიმართეს. მტრის სამხედრო ხერხმა (ჯარის ნაწილის ჩასაფრება), ფეოდალური ჯარის უდისციპლინობამ და განჯის ხანის ბრძოლის ველიდან მოღალატურად გაქცევამ ომის ბედი გადაწყვიტა. მძიმედ დაზარალებული ქართველები უკან დაბრუნდნენ (თებერვალი, 1751 წ.).

ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება. ამასთანავე, გამოირკვა, რომ **ლეკთა საკითხის გადაჭრა გაცილებით უფრო მძიმე და რთულია, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ.**

გამარჯვებამ ლეკები გაათამამა. მარბიელთა დასტები მოედვნენ ქვეყანას. ასე რომ, „ქართლი მტრით სავსე იყო, ალაგი არ იყო, რომ ლეკი არ იდგა“.

ლეკთა ამ გამარჯვებამ მხოლოდ ლეკები როდი გაათამამა. „წამოთამამდნენ ყიზილბაშნი და მოინდომეს მტე-

რობა ქართლისა“. მაგრამ რადგან განჯა და ერევანი ქართველთ ბატონის „მოდგომილი იყვნეს, ჯერ იმ ქვეყნების დაჭერა მოინდომეს“.

ამავე დროს აზერბაიჯანის მფლობელმა აზატ-ხანმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დამორჩილება განიზრახა. მან ნახჭევნის სახანო დაიპყრო და თეიმურაზ მეფის ყმა ბაამან-ხანი ქართველთა რაზმით ნახჭევნიდან გამოაძევა. ამის შემდეგ მან ლაშქარი მისცა ამას წინათ ქართველების მიერ დამარცხებულ და ერევნიდან განდევნილ მაჰმად-ხანს და კვლავ ერევნის სახანოს დასაპყრობად გამოისტუმრა.

...რუსეთი სულ უფრო და უფრო მეტი აქტივობით გამოდიოდა და ჩამორჩენილ მეტოქეებთან ბრძოლაში ახალ-ახალ პოზიციებს მტკიცედ იპყრობდა. ამიერკავკასიის ხალხებში ეს მესამე ძალა, დიდი ხანია, მოკავშირეებს დაჟინებით ეძებდა. ახლაც პეტერბურგის დიპლომატები ირან-ოსმალთა დამპყრობლებისაგან განთავისუფლებასა და მფარველობას აღუთქვამდნენ კავკასიის ყველა ხალხს (და უპირველეს ყოვლისა, — ქრისტიანებს).

რუსეთის გამოსვლა კავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე ადგილობრივ ძალთა გადაჯგუფებას იწვევდა. ირანელი „ფოცხვერისა“ და ურუმელი „ბაბრის“ თანაბრად მოძულე ქართველები, ბუნებრივია, ამ ახალ ძალაში თავიანთ მოკავშირეს ხედავდნენ.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იწყებოდა. ჩრდილოელი მოკავშირე ამიერკავკასიიდან ჯერ კიდევ ერთობ შორს იყო.

...მეფეები მოკავშირეებს აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ გალაშქრებას შეეპატიჟნენ. შექი-შირვანის მფლობელი აჯი-ჩალაბი ხანს საკუთარი ლაშქარი და, აგრეთვე, პირაქეთელი ლეკის ჯარი ფეხზე დაეყენებინა და მტრის დასახვედრად ენერგიულად ემზადებოდა.

მდინარე ალაზანი ადიდებულიყო. „მოკავშირეთა“ ლაშქრობა შეყოვნდა. ამასობაში აჯი-ჩალაბის აგენტები მაჰმადიან ხანებს შორის ქართველების ღალატს წარმატებით სთესდნენ. ირანის სახელმწიფო საქმეთა მოგვარების გაბედულმა გეგმამ, თეიმურაზ-ერეკლემ რომ გაუზიარეს

თავიანთ „მოკავშირეებს“, უკანასკნელთ შორის შეშფოთება და შიში გამოიწვია. ერეკლე მეფეს ირანში გახელმწიფების სურვილი შესწამეს. ერეკლეს აგენტებმა ჩქარა გამოარკვიეს, რომ ხანებს შექის მფლობელთან მიმოწერა გაემართათ და ქართველთა საღალატოდ ემზადებოდნენ. ასეთ პირობებში ლაშქრობაზე ფიქრი აღარ შეიძლებოდა.

* * *

თეიმურაზ-ერეკლემ მოღალატე ხანების დაპატიმრება და თბილისს დაბრუნება გადაწყვიტეს. ხანები, გარდა ერევნის ხანისა, დააპატიმრეს და ის იყო წამოვიდნენ, რომ ანაზდეულად აჯი-ჩალაბი ხანი მთელი თავისი ძალით ქართველებს წინ დაუდგა. ომი 12 აპრილს მოხდა. მეტად ცხარე ბრძოლაში ორივე მხრივ მრავალი დაიხოცა. შუა ომში ერეკლემ ერევნის ხანს მისი ჯარით მტერზედ მისვლა უბრძანა. ეს ხანიც მოღალატე აღმოჩნდა. მან უომრად მტერს ზურგი შეაქცია და ილტვოდა. ამან ქართველთა მწყობრები არია. ქართველები მძიმედ დამარცხდნენ. ლტოლვილები მრავლად ძარცვეს და ხოცეს შამშადილუს თურქმანებმა. მეფეები ძლივს გადარჩნენ დატყვევებას და დიდის გაჭირვებით თბილისში დაბრუნდნენ.

გამარჯვებულმა შექი-შირვანის მფლობელმა ტყვე ხანები გაათავისუფლა და ერთგულებაზე შემოიფიცა ისინი. აჯი-ჩალაბმა განჯაში თბილელი ვაჭრები გაძარცვა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ახალ ძალებს იკრებდა და საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა. ახლა საქართველოს წინააღმდეგ აჯი-ჩალაბი ხანმა მაჰმადიანთა გაერთიანება დაიჩემა. შექის ხანმა მოუწოდა ქართლ-კახეთში მცხოვრებ მაჰმადიანებს და მათ ქრისტიანი მეფეების ურჩობა უბრძანა. ყაზაჯის, ბორჩალოს, ბაიდარის და დემურჩი-ასანლუს თურქმანებმა შექის ხანს ერთგულება შეჰფიცეს, თავიანთ ქვეყნებში ამ ახალი მფლობელის მოხელეები მიიღეს და ქართველთა წინააღმდეგ მტრული მოქმედება იწყეს.

საქართველოს გართულებული მდგომარეობით მყისვე ისარგებლა აზატ-ხანმა. ქართველების მოღალატე ერევნის ხანი თვით ეახლა მას. აზატ-ხანმა ერევანში მის ნაც-

ვლად ვინმე ასან ალი-ხანი გამოგზავნა, რომელმაც ერევანი დაიჭირა და სახანოც აზატ-ხანს დაუმორჩილა.

* * *

ამავე დროს ლეკები მრავლად მოედვნენ ქართლ-კახეთს. მდგომარეობა მეტად გართულდა. თეიმურაზ-ერეკლემ აჯი-ჩალაბთან შერიგება სცადეს. გამარჯვებულმა ქართლ-კახეთის მეფეებს მძიმე პირობები დაუდო: ქართლ-კახეთის მაჰმადიანური მოსახლეობა შექის ხანის ქვეშევრდომი უნდა დარჩეს; თეიმურაზ-ერეკლე ამიერკავკასიის მაჰმადიანი ხანების საქმეებში ამიერიდან არ უნდა ჩაერიონ. ეს პირობები იმას ნიშნავდა, რომ საქართველო ამიერკავკასიაში აჯი-ჩალაბის ჰეგემონიას აღიარებდა. ზავი არ მოხდა და შექის მფლობელი ქართლზედ წამოვიდა.

ამავე დროს მეფებმა რუსეთში მიავლინეს ელჩები მიტროპოლიტი ათანასე და თავადი სიმონ მაყაშვილი და ატეხილი მტრების წინააღმდეგ დახმარება ითხოვეს (1752 წ. მაისის 30).

ამასობაში აჯი-ჩალაბი ხანის შვილი აღა-ქიში და განჯის ხანი შავერდი ქართლის საზღვრებში შემოვიდნენ. ქართლის მაჰმადიანური მხარეების უფროსი კაცები მტერს მიუვიდნენ. აღა-ქიში ბაიდარში დადგა და ქართლის სოფლებს მარბიელები გაუსია. შექის მპყრობელს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს, თუ მთლად არ დაიპყრობდა, თავისი ნებისამებრ დაიმორჩილებდა და დიდ ხარკსაც გადაახდევინებდა.

მაგრამ სწრაფად მიღებულმა ენერგიულმა ღონისძიებებმა ქართლ-კახეთის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა შეანელა (გივი ამილახორი და კონსტანტინე მუხრანბატონი წარმატებით ებრძოდენ შიდა ქართლში ლეკთა ბელადის — ბუზეიდულას დასტებს. თბილისსა და მის გარშემო სოფლებს ლეკთა და ყიზილბაშ მძარცველებისაგან მხნედ იცავდნენ მოქალაქეთა რაზმები. კახთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ჯარი თეიმურაზ მეფეს ახლდა აღა-ქიშის წინააღმდეგ). **ერეკლე მეფე ამ დროს ხევს იყო და ამიერკავკასიაში ჯარების დაქირავების საქმეს წარმატებით ხელმძღვანელობდა. ამავე წლის აგვისტოს დასასრული-**

სათვის მან უკვე ოთხი ათასი მეომარი გადმოიყვანა საქართველოში.

ლეკთა საკითხი კი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

* * *

პეტერბურგის კარზედ ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩების ვედრებით მისვლას იქ ინტერესი და კმაყოფილება უნდა გამოეწვია. ელჩმა სიმონ მაყაშვილმა დაწვრილებით მოახსენა კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინს თავისი ქვეყნის გასაჭირი და მეფეების სახელით ითხოვა, რათა ხელმწიფემ „ხელი დასდოს“ (ე.ი. მფარველობის ქვეშ აიყვანოს) თეიმურაზ-ერეკლეს. **მეფეები ჯარის მიშველებას სთხოვდნენ ხელმწიფეს. მაგრამ, თუ ამჟამად საკუთარ ჯარს ვერ მიაშველებს, ხელმწიფემ თავის ქვეშევრდომ ჩერქეზებსა და ყაზახებს უბრძანოს, რათა ესენი გადაეშველნენ მოაჯეებს, ხოლო „რუსეთის ულუფის მჭამელ“ გადამთიელ ლეკებს ხელმწიფემ აუკრძალოს საქართველოს რბევა.** თეიმურაზსა და ერეკლეს ოცი ათასი მეომარი ჰყავთ, მაგრამ სულ ერთთავად ომში არიან. მეფეებს საშუალება არა აქვთ, ჯარი მუდამ მზად ჰყავდეთ, „რომ ხარკის მიცემა არ შეუძლიათ“, ხოლო, თუ ხელმწიფე ჯარს მიაშველებს, — ურთავდა მაყაშვილი, — მეფეებს შეუძლიათ მეზობელი სპარსეთის ქალაქებიც დაიჭირონ.

ელჩებისაგან რუსეთის სამეფო კარმა სხვა საჭირო ცნობებიც მიიღო. ერთ-ერთი ელჩთაგანი — ათანასი თბილელი — ვახტანგ მეფის მემკვიდრეთა მომხრე უკან არ დაბრუნდა. 1754 წელს საქართველოში ორი წლით „სამუშაოდ“ მოვლინებულ იქნა საიდუმლო აგენტი ოთარ თუმანიშვილი, რომელსაც სხვა საქმეების გვერდით განსაკუთრებით ევალებოდა, გაეგო და საგარეო საქმის კოლეგიისათვის შეეტყობინებინა, თუ როგორ მიიღეს თეიმურაზმა და ერეკლემ რუსეთის კარის პასუხი და საჩუქრები, დარჩებიან მეფეები რუსეთის მოიმედეებად თუ ოსმალეთის მფარველობის მოპოვებას შეეცდებიან.

* * *

დაღესტნელ ფეოდალთა მიერ მოწყობილი წვრილ-წვრილი თავდასხმები საქართველოს ბარის (ძირითადად — კახეთის, ქართლის) მოსახლეობაზე მიზნად ისახავდა

ქონების, საქონლის, ჭირნახულისა და ტყვეების გატაცებას, მოგვიანებით — დასახლებული ტერიტორიების დაპყრობას და დამორჩილებული მოსახლეობის დახარკვას.

დაღესტნელთა შემოსევები XVI საუკუნიდან დაიწყო და თავდაპირველად ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. აბას I-ის ლაშქრობათა შემდეგ დაღესტნელებმა აღმოსავლეთ კახეთის დაცარიელებულ მიწებზე იწყეს ჩასახლება. **აქ, ჭარის, ბელაქნისა და თალის რაიონებში, მათ შექმნეს „უბატონო თემები“, რომლებიც თავისებურ პლაცდარმად იქცნენ შემდგომი თავდასხმებისათვის.** ქართლში მთიელ ფეოდალთა შემოსევები XVIII საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, უფრო გაძლიერდა „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დროიდან. XVIII საუკუნის II ნახევრიდან წვრილ-წვრილი თავდასხმები ტერიტორიების დასაპყრობად გამიზნულმა ლაშქრობებმა შეცვალა. ამ მიზნით 1754 წელს მოწყობილი ხუნძახის მფლობელის — ნურსალ-ბეგის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა (მჭადიჯვრის ბრძოლა), ასევე დამარცხდნენ ლეკები 1755 წელს ყვარლის ბრძოლაში. 1785 წელს ომარ-ხანის ლაშქრობის დროს ქართველები დამარცხდნენ. **საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ლეკიანობა შესუსტდა, ხოლო რუსეთის მიერ დაღესტნის შეერთების შემდეგ საბოლოოდ შეწყდა.**

„ლეკიანობას“ ხელს უწყობდა ფეოდალური დაქსაქსულობა საქართველოში. ლეკთა რაზმები ხშირად მოჰყავდათ მეფეებს ფეოდალებთან ან ტახტის პრეტენდენტებთან საბრძოლველად, ფეოდალებს — ერთმანეთის წინააღმდეგ, მათ იყენებდნენ ოსმალები, ყიზილბაშები.

ოსმალეთი ხშირად აძლევდა ლეკებს თავშესაფარს თავის ტერიტორიაზე, ამიტომ ისინი ახალციხის მხრიდანაც ესხმოდნენ თავს საქართველოს. ოსმალეთის ტყვეთა ბაზარი გზას უხსნიდა ტყვეებით ვაჭრობას.

ფეოდალური ექსპლოატაციით შევიწროებული გლეხი გაურბოდა მებატონეს და თავს აფარებდა „უბატონო“ ლეკებს, იყენებდა მათ საკუთარ მებატონეთა წინააღმდეგაც. ქართველი გლეხი ლეკდებოდა, რადგან „გალეკება“ მისთვის უბატონობას ნიშნავდა. ქართლისა და კახეთის

მეფეები ენერგიულად იბრძოდნენ „ლეკიანობის“ ასალაგმავად, მაგრამ ეს ბრძოლა უშედეგო იყო. „ლეკიანობასთან“ საუკუნოვან ბრძოლებში თავდაცვის გარკვეული წესები და ხერხები გამომუშავდა. აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აკეთებდნენ თხრილებს, აღრმავებდნენ მდინარის ფონებს, კაფავდნენ ლეკების სამალავ ტყეებს და ა.შ. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც სამხედრო ძალას ენიჭებოდა, ასეთი საშუალება იყო „ნაპირის ალაგას“ დგომა, „ნაპირის ალაგის“ გამაგრება, ყარაულის დაყენება გზებზე, ხიდებზე, ხეობებში, დაქირავებული ჯარი, „ნოქარი“, ე.წ. „მდევარი“ და რეგულარული ლაშქარი — მორიგე ჯარი. „ლეკიანობამ“ აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა საქართველოს: მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სრულიად დაიცალა, კულტურული მეურნეობა დაეცა.

* * *

ქართლს ლეკები პირველად XVIII საუკუნის ოციან წლებში ეწვივნენ. აქ ისინი კახეთზე გამოვლით შემოვიდნენ. დასუსტებულმა კახეთმა ვეღარ შეიკავა თავდასხმელები. ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაჭრა, მაგრამ კახეთის მეფისა და ირანის შაჰის ვახტანგისადმი უნდობლობამ ჩაშალა მეფის ეს ლაშქრობა და „უბატონო თემები“ საშიშ განსაცდელს გადაარჩინა.

„ოსმალობის“ დროს ქართლში ლეკთა თარეში განსაკუთრებით გაძლიერდა. ქართლი კიდევ უფრო უძლური იყო ლეკებთან ბრძოლაში. ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ თავადებს მრავლად მოჰყავდათ ლეკთა რაზმები. თავის მხრივ ოსმალთა ფაშებიც ხელს უწყობდნენ ლეკებს აჯანყებულ თავადთა მამულების რბევაში. ლეკები კი თანასწორის ხალისით აოხრებდნენ ქართლის ოსმალურს თუ მის მოწინააღმდეგე ნაწილებს.

* * *

XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში მთელი ქართლი ლეკთა ბრბოებით იყო მოცული. ქვეყნის ზოგიერთი მხარე სავსებით დაიცალა მოსახლეობისაგან. მწარმოებელი მოსახლეობა გაწყდა, დატყვევდა ან გაიხიზნა:

მეურნეობა ყოვლად შეუძლებელი გახდა. სხვაგან კიდევ ციხე-გალავნებსა და მათ გარშემოღა ბოგინობდა სიცოცხლე.

მდგომარეობა არც „ყიზილბაშობისას“ გაუმჯობესებულა. მართალია, ნადირ-შაჰი არ სწყალობდა ლეკებს, მაგრამ ახლა ოსმალეთი ეხმარებოდა მათ. ქართველი აჯანყებულებიც (შანშე ერისთავი, გივი ამილახორი და სხვ.) მრავლად ქირაობდნენ ლეკთა რაზმებს და ყიზილბაშთა მომხრე მეფისა თუ თავადების ქვეყნებს არბევინებდნენ მათ. ლეკები გადაურჩნენ მრისხანე ნადირ-შაჰს. ინდოეთის დამპყრობელმა ვერ გატეხა თავისუფალი დაღესტანი. ჭარ-ბელაქანიც გადაურჩა ყაენის რისხვას.

„ყიზილბაშობა“ გათავდა, ქართლ-კახეთში „ქართველობა“ აღდგა. ქვეყნის წინაშე ლეკთა საკითხი ისევ გადაუჭრელი იდგა. თეიმურაზ-ერეკლე შეეცადნენ ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, მაგრამ საკითხი ერთობ მძიმე აღმოჩნდა. XVIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჭარ-ბელაქნისა და საერთოდ ლეკების დამხმარედ შექის ხანი გამოვიდა, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ლეკები გაიერთიანა. თეიმურაზ-ერეკლემ ბოლოსდაბოლოს შექის ხანს სძლიეს, მაგრამ ლეკთა შემოსევანი ქართლ-კახეთში ამის შემდეგ ოდნავადაც არ შემცირებულა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში მათ „გამაერთიანებელიც“ გაუჩნდათ, რომელმაც ქართლ-კახეთის ერთიანად წატყვინვა მიზნად დაისახა.

უცხო დამკვირვებლები თუ ქართველი თანამედროვენი თანხმობით აღნიშნავდნენ, რომ **ლეკები ქართველებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ.** ეს გასაგებიცაა: ისინი ხომ ჩვეულებრივ საომრად და ქვეყნის დასაპყრობად არ მოდიოდნენ. მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწორდებოდნენ. არც გმირობის სტიმული გააჩნდათ. ამიტომაც მსხვილ ომებში ისინი ჩვეულებრივად მარცხდებოდნენ.

მთებიდან ჩამოსვლის უმალ ლეკები წვრილ გუნდებად იყოფოდნენ, უღრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერან ადგილებს ირჩევდნენ ხოლმე სადგურებად და ასეთი ბუ-

ნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წვრილად ტყვევნა-ძარცვას ეწეოდნენ. „სამოქმედოდ“ ლეკები სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გამოსულიყო. ხვნა-თესვის, მკის თუ რთველის დროს მოედებოდნენ ხოლმე ისინი მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა:

ადამიანები, ოთხფეხა საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი. ამავე დროს მიუხდებოდნენ ხოლმე ლეკები უკაცოდ დარჩენილ სოფლებს და თავიანთი ქვეყნისაკენ მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ნახირს. ნაშოვრით დატვირთულები, ლეკები ვერანა ადგილებით, ტყის ბილიკებით, უგზო ველებით გაუდგებოდნენ ხოლმე დაღესტნისაკენ. მიდიოდნენ ღამით, დღისით კი მიუვალ ხევხუვებსა და ტყეებში ბანაკობდნენ. ჭარ-ბელაქანს გასულნი ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ. აქ ჩვეულებრივ სტოვებდნენ ნატყვინარს, როცა მას საკმაოდ არ სთვლიდნენ და საშოვრისათვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნდებოდნენ. **დაღესტანში გადაყვანილ ტყვეებს უმთავრესად ყირიმელი ვაჭრები იძენდნენ. სხვებიც მრავლად ყიდულობდნენ ამ საქონელს. თვით ჭარში მრავლად მოდიოდნენ ტყვეებით მოვაჭრენი შირვან-ირანიდან. XVIII საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართველი ტყვეებით ვაჭრობის სხვა პუნქტებიც მრავლად იყო. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის ახალციხე იყო.** აქ მოჰყავდათ ტყვეები საქართველოს ყოველი კუთხიდან. მოჰყავდათ არა მარტო ლეკებს ან თურქ მარბიელებს, არამედ — ტყვეებით მოვაჭრე ქართველებსაც. ტყვეებს აქ უმთავრესად თურქულ თუ ევროპულ საქონელზე ცვლიდნენ. საქონელი უხვად შემოჰქონდათ ოსმალეთიდან. იმდროინდელი ცნობებით, ახალციხე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ეს იყო საქართველოს გავერანების ხარჯზე; უმთავრესი საქონელი, იქ საქართველოდან რომ მიდიოდა, მშვიდობიანი შრომისა და წარმოების წარმატების ნაყოფი კი არ ყოფილა, არამედ თვით ეს მშრომელ-მწარმოებლები ტყვეები იყვნენ. ახალციხის

ფაშა ფარულად მუდამ, ხოლო საქართველოსთან ომისა თუ უთანხმოების შემთხვევაში, აშკარად ნებას რთავდა და ხელს უწყობდა აქ ქართველი ტყვეებით ვაჭრობას. **XVIII საუკუნის სამოციანი წლებიდან ახალციხე დაღესტნელ ლეკთა მთავარი სადგური შეიქმნა. აქედან ისინი „მარჯვედ“ აჩანაგებდნენ საქართველოს ყოველ კუთხეს, მის აღმოსავლეთს თუ დასავლეთს.**

ლეკები არ იყვნენ წინააღმდეგი, რომ ტყვეები თავიანთ პატრონებს დაეხსნათ. ამისთვის საჭირო იყო სათანადო სახსარი (თვით ეს ტერმინი „სახსარი“ ანალოგიურ დროშივე, უფრო ძველად შექმნილი ჩანს, ლეკისათვის ეს უფრო ხელსაყრელი იყო. ერთის მხრივ, „საქონელს“ ადვილად „ანაღდებდა“ და, მეორე მხრივ, ეს „საქონელი მისი „სამოქმედო“ სარბიელის შიგნით რჩებოდა და, მაშასადამე, ამავე საქონლის კვლავ მოპოვება შეიძლებოდა... და ქართველებიც, ვისაც საამისო სურვილი და შეძლება ჰქონდა, აძლევდნენ ხოლმე ლეკებს სახსარს და თავიანთ ტყვეებს გამოიხსნიდნენ ხოლმე. მარტო ერეკლე მეფემ თავისი მეფობის განმავლობაში საკუთრად დაიხსნა არა ნაკლებ ათი ათასი სული ადამიანისა, რისთვისაც მან ოთხასი ათას მანეთამდის სახსარი გაიღო.

მრავალი შემოსევა განუცდია საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მრავალი დამპყრობელი მისდგომია მის კარს. არაერთხელ უტარებია ქართველ ხალხს აგრესორთა მძიმე უღელი. სხვადასხვაგვარად განუცდია ჩვენს ქვეყანას მოძალადე-დამპყრობელთა ექსპლუატაცია. ყველა ესენი, ზოგი უფრო მეტად, ზოგი უფრო ნაკლებად, აფერხებდნენ საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებას. მაგრამ არც ერთი შემოსევა ლეკიანობას არ ჰგავდა.

XVIII საუკუნეში სამჯერ დაიცალა მოსახლეობისაგან სომხით-საბარათიანო (ხსენებული საუკუნის დასაწყისს, ლეკიანობამდის, აქ სულ მცირე 8000 კომლი გლეხი ცხოვრობდა). 1770 წელს, როცა ერეკლე მეფის დაუცხრომელი მეცადინეობით ლეკთა თარეში საქართველოში შედარებით შენელებული იყო, ქართლის ნახევარი შემდეგ სურათს წარმოადგენდა (თვით ერეკლეს მოხსენებიდან): „ქ.

© „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ“

არს აოხრებული და უმკვდროქმნილი თრიალეთი, ადგილი ვრცელი და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელი მრავალი: ქ. არს აოხრებული ტაშირი; ქ. არს აოხრებული გუჯარეთი; ქ. არს აოხრებული ყაიყული; უმკვიდრო ქმნილი, ქვეყანა ფრიად კეთილი და სოფელი მრავალი და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი თუ დარჩომილა ერთმანეთში არიან ხიზნად; ქ. აგრეთვე არს საბარათაშვილო აოხრებული, ქვეყანა დიდი და კეთილი. ამის კაცი ასისგან ერთი (ე.ი. 1% - ნ.ბ.) თუ დარჩომილა სადმე. ერთმანეთში არიან ხიზნად“.

ეს ის ადგილებია, სადაც ლეკების „მოღვაწეობა“ სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

„ლეკიანობის“ ნათლად წარმოსადგენად საკმარისია, გავეცნოთ საქართველოში ლეკთა თარეშის ხუთწლედს — 1754-1758წწ. (ცნობები ჩაუწერია ქართლში რუსეთიდან წარმოგზავნილ ოთარ თამანიშვილს მისი აქ „მოღვაწეობის“ დროს, 1754-1756 წლებში. „სურათის“ სისრულისათვის ჩვენ თანამედროვე მწერლის ცნობებსაც მოვიშველიებთ).

1754 წელს ქართლ-კახეთის მეფეებსა და აზატ-ხანს შორის შერიგება მოხდა. აზატ-ხანმა მეფეებს ქართველი ელჩების ხელით საჩუქრები გამოუგზავნა. „დავარდა ამის ხმა ყოველგან: ერანის ქვეყნიდან დიდი ხაზინა მოდისო. ტყუილი არ იყო, მაგრამ, რომ ეგონათ გარემოსთა ქვეყნების კაცთა, იმდენი კი არ იყო. წამოვიდა ორ-სამ პირად ლეკის ჯარი. ერთი წავიდა ერევნის მხარეს, მეორე — სომხეთის მხარეს, მესამე ჯარი — ზემო ქართლისაკენ“. მეფეებმა გააფრთხილეს თავრიზიდან მომავალი ქართველი ელჩები და ერევანს დადგომა უბრძანეს. ლეკების დასტები კი „ამოქმედდნენ“: „ერევნისაკენ რომ ლეკის ჯარი წავიდა, იმან წაახდინა სადარაგი, უყვეს ყათლამი, წამოიღეს საქონელი, ტყვე იმდენი, რომ სიმრავლისაგან ძლივ მოჰქონდათ. ჩაიარეს ყაზახზე და წავიდნენ ნაშოვრით სავსე. ყაზახის ჯარიც თან გაჰყოლოდა ამ ლეკის ჯარს, იმათაც ბევრი ნაშოვარი მოიტანეს.

აბრძანდნენ ორივე მეფენი ქართლისა და კახეთის ჯარით, მიეშველნენ ზემო ქართლს. გაგზავნეს ჩაფარი და

მდივანბეგი და ზაალ ორბელიანი (ესენი იყვნენ აზატ-ხანისაგან მომავალი ქართველ მეფეთა ელჩები), დაიბარეს: — მაგ აზატ-ხანის კაცსა და საქონელს გამოუძეხითო, ურემის ქვეყანაზე (ე.ი. ახალქალაქ-ახალციხე ხეობაზე) გამოიარეთო და ზემო ქართლში შემოგვეყარენითო". პაპუნა ორბელიანი აქვე ხსნის, თუ რატომ უბრძანეს მეფეებმა ერევანს მდგომ ელჩებს ასეთი მარშრუტით მგზავრობა: „რადგან სომხით-საბარათაშვილოს ალაგები ხარაბა იყო და მტრით სავსე, იქით მშვიდობისათვის დაიბარეს".

ნაჩვენები გზით ელჩები მშვიდობით მოვიდნენ და ცხინვალს მეფეებს შეეყარნენ.

სწორედ ამ დროს ლეკები ეწვივნენ ზემო ქართლს. 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მცირე გუნდებად დაიყო და სოფლებს მოედო. 13 ივნისს ერთ-ერთი გუნდი ხიდისთავს დაეცა. სოფელი აიკლეს. ციხეში გამაგრებული ათი კაცი ცეცხლში გამოსწვეს. შემდეგ ლეკის ჯარმა „წაახდინა ტანისხიდი და მივიდნენ, შემოადგნენ დირბის ციხეს". ცხინვალიდან მეფენი მიეშველნენ დირბს. „პირველსავე მისვლაზე იგრძნეს ლეკთა, მოეგებნენ, შემოებნენ. შეიქმნა ომი ფიცხელი. სძლიეს ლეკთა ზედა... გააქცივეს, ამოწყვიტეს ლეკნი. გაემარჯვათ მეფეთა. გაიქცნენ ლეკნი. მივიდნენ ციხესა ნალკისასა".

დირბის ომში 42 ქართველი, ხოლო 140 ლეკი მოიკლა. აოხრებული, უმკვიდრო თრიალეთი ლეკებმა თავიანთ ბუნაგად გაიხადეს. იქ წალკის ციხეში, მიჰქონდათ ნარბევ-ნატყვენარი ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან.

ამ დროს (1754წ.) კახეთიდან ამბავი მოვიდა: „ხუნძახის ბატონი დიდის ჯარით შილდის თავს ამოვიდაო, კახეთზე მოდისო, იმუქრებოდა — ქართლსა და კახეთს დავიჭერო. ჯარიც ასეთი ჰყავსო, რომ ჯერ ამისთანა ლეკის ჯარი ქართლსა და კახეთში არ ჩამოსულაო". მეფეთა და დარბაისელთა რჩევა მოხდა. თეიმურაზი „ისევ ქართლის ჯარით იქავ ქართლში დადგა და კახი ბატონი კახეთის ჯარით კახეთს მიეშველა. პირობა ასე დადეს: თუ კახეთს გაუჭირდებოდა, ქართველი ბატონი მიეშველებოდა. თუ თავისთავად პასუხი შეეძლოთ, ეს ქართლს გაამაგრებდა, ის

© „ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“

— კახეთსა“. ერეკლემ კახეთს მიაშურა. თელავს დადგა.

კახეთის მოსახლეობა ერეკლემ სულ ციხეებში შეიყვანა და კახეთის ჯარი კი თვითონ შემოიყარა. ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი კი „იდგა შილდის თავში და ყოველდღე ემატებოდა დაღისტანიდან ჯარი ლეკისა“.

ქართლი თეიმურაზმა სულ ერთიანად დახიზნა.

დაღესტნელმა სარდალმა საქართველოს წინააააღმდეგ ამიერკავკასიის ხანების გამოყვანაც სცადა. საქართველოს ამ მეზობლებს ნურსალბეგის გამარჯვებისა, როგორც ჩანს, არა სწამდათ დაპამპულასათვის ასეთი ახირებული „პირი მიეცათ“: „თუ ეს ხუნძახის ბატონი ქართველსა და კახს ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი (ე.ი. ჭარი, კაკის სულთანი, შექის ხანი, შირვანის ხანი, ფანა-ხანი, განჯის ხანი) სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ და, ვითაც მტერნი იყვნენ, ეგრე აოხრებდნენ, და ატყვევებდნენ და მერე აოხრებულს ქვეყანას რას უზამდნენ, თავისთვის უნდოდათ, ის კი არ ვიცით“. თეიმურაზმა და ერეკლემ გაგზავნეს კაცი იმიერ კავკასიაში ჩერქეზთა, ოსთა და სხვათა რაზმების მოსაწვევად.

ამასობაში წალკას მდგომმა ლეკებმა დრო მოიცეს. **„წამოვიდის, თრიალეთის წალკას რომ ლეკის ჯარი იდგა. გამოვიდის საციციანოზე, დაარბივის ზემო ქართლის ქვეყანა და მიიტანის ციხესა წალკისასა. გამოუდგის ქართველი ბატონი მეფე თეიმურაზ, უპასუხის და ზოგჯერ წაიღიან და ველარ მოეწევიან ქართველნი. ამით დიაღ შეაწუხეს ქვეყანა ქართლისა“.** მეორე მწერალი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს ლეკთა ამ თარეშს: „დაიწყეს კვალად რბევა და ოხრება ქართლისა დაღისტანელთა ქურდულად, ვიდრე ასობით, ორასობით და უმეტესობითცა ვლიდენ მრავალთა ადგილთა ცალ-ცალკე და ამით დიდად შეაჭირვეს ქართლი“.

და სწორედ იმ დღეებში, როცა „გამოიარა ხუნძახის ბატონმა გაღმა მხარეზე, დაწვა ზოგიერთი ალაგები, გამოვიდა ალაზანს, მოვიდა, დაწვა რუისპირი, აიყარა, ავიდა, დაწვა ახმეტა, გაიარა, ავიდა ძაგნაკორას“, ამ დროს წალკიდან წამოსული ლეკები დაეცნენ წყნეთს (ორმოცი ტყვე იშოვეს და სოფლის ნახირი სრულიად); შემდეგ — რუისს,

სურამს (შვიდი ტყვე იშოვეს და დიდძალი პირუტყვი), ბეკამს (ოცი ტყვე იშოვეს)...

XVIII საუკუნის საქართველოს წინაშე ლეკიანობა ის საკითხი იყო, რომლის ასე თუ ისე გადაჭრაზე დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ამას კარგად გრძნობდნენ ქართლ-კახეთის პოლიტიკის მესვეურნი და ამიტომაც იყო, რომ ამ საკითხს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. მრავალი მოვლენა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სარბიელზე XVIII საუკუნეში სწორედ ლეკიანობასთან დაკავშირებით ხდება გასაგები, მის ნიადაგზე აიხსნება. ისე, როგორც დავით აღმაშენებლის დროს თურქობა იყო ის, რაც დიდად განსაზღვრავდა იმ დროის სამეფო პოლიტიკას, აქაც ლეკიანობა იყო ერეკლე II-ს საშინაო და საგარეო ღონისძიებათა ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი მომენტთაგანი.

ერეკლე ჯარის სიმცირის გამო ნურსალბეგს ვერ შეება. ხუნძახის ბატონმა კახეთის დარბევას ქართლის დარბევა არჩია. ლაშქარი ოთხ დიდ გუნდად დაჰყო და არაგვის საერისთავოში შემოვიდა. ერეკლემ მტრის მოძრაობა სწრაფად თეიმურაზს აცნობა, თვითონ კი მომხდურს უკან აედევნა. თეიმურაზი ახალგორს ავიდა. ნურსალბეგის ჯარებმა არაგვის საერისთავო „დასწვეს, აიკლეს, ააოხრეს, ანანურს აქეთ აღარსადრა გაუშვეს წაუხდენელი. მივიდნენ დუშეთს, დასწვეს სასახლე ერისთავთა, შეაბილწეს მონასტერი, ჩამოხდენ აქ დიდის ნაშოვნით“. დუშეთიდან ხუნძახის ბატონი მუხრანისაკენ წამოვიდა და მჭადისჯვრის ციხეს გარს შემოადგა. ერეკლე დუშეთს მოვიდა. თეიმურაზიც იქ მივიდა. მტრის ჯარი მეტი იყო ქართველისაზე. მეფეებს იმიერკავკასიიდან მეშველი ჯარი ეხმოთ, მაგრამ ის ჯერ არ ჩანდა. მჭადისჯვრის მეციხოვნენი კი დიდ გასაჭირში იყვნენ. ლეკებს ზედიზედ მიჰქონდათ ციხეზე იერიში. ამ მაგარი ციხის გატეხა ლეკებს კიდევ უფრო გაათამამებდა, ქართველებს კი მორალურად დასცემდა. ზემო ქართლს თუ ავიდოდა, ნურსალ-ბეგი ახალ დამხმარეებს იშოვიდა. წალკას მდგომი ლეკთა დასტები მას შეუერთდებოდნენ. ამიტომაც ქართველებმა ისევ შებმა არჩიეს. სასტიკი ომი მოხდა. სიმრავლეს მინდობილი ლე-

© „ღვასტამსწრე“

კობა გულსრულად იბრძოდა. ლეკთა ქვეითობამ სძლია ქართველების ქვეით ჯარს. ომი ლეკთა სასარგებლოდ წყდებოდა, მაგრამ ერეკლეს სიმხნემ და სამხედრო ნიჭმა იხსნა ქართველები დამარცხებისგან. „*რა გასჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა. გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: — ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული სჯულისაო. — დაიქვეითეს ქართველთა და კახთა, შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩანდა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალობასა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკნი და ზარბაზანნი, გააქცივეს ერთი დასი ჯარი ლეკისა. ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა. აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ. შეუტივეს ხმალდახმალ (ქართველებმა), დაერივნენ შიგ, რომ, ვითა კატა, ეგრე ხოცდენ ლეკთა. თითონ მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ. მიყვნენ ხოცნით არაგვამდის“. ეს ბრძოლა 16 აგვისტოს მოხდა. აქ ოთხას სამოცი ლეკი მოიკლა. „წავიდა, — განაგრძობს თანამედროვე მწერალი, ეს დამარცხებული ჯარი, გაიარა, დახვდნენ კაცნი და დაუმარ-*

მეგრძოლები

ცხეს. მივიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეული დაღისტანში“.

ლეკთა ლაშქრობა დამარცხდა, მაგრამ ქართველთა გამარჯვების სიხარულს ერთობ აქარწყლებდა ლეკების გამუდმებული თარეში. ბრძოლა მათ წინააღმდეგ გაცილებით უფრო ძნელი ჩანდა. ტყე, კლდე, ხევი, ნანგრევები — ყველა მათ საბუდრად იყო ქცეული.

წალკასა და სომხით-საბარათიანოში დაბუდებული ლეკები მოედნენ ქართლს, ჭარელები — კახეთს. აგვისტოს ოცდაერთს ლეკები დაეცნენ ნავკისს, მოკლეს ხუთი კაცი, წაიყვანეს ხუთი ტყვე; აგვისტოს ოცდასამს დაეცნენ ვერეს. აქ ერეკლე გავიდა მათ წინააღმდეგ. ლეკები გაიქცნენ. აგვისტოს ოცდაათს დაეცნენ სხალტბას; თოთხმეტი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის სამს დაეცნენ ტაბახმელას, ოთხი კაცი მოკლეს, ორი ტყვე იშოვეს. ამავე დღეს მტკვარზე ოთხი ტივი წაახდინეს. სექტემბრის ექვსს წყნეთს მიუხდნენ; სამი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის თოთხმეტს დიღომს მიუხდნენ; ერთი ტყვე იშოვეს, ამავე დღეს ვერეს მიუხდნენ; ორი ტყვე მოიტაცეს, ამავე დღეს ხოვლეს მიუხდნენ; 14 ტყვე იშოვეს. სექტემბრის თექვსმეტს წავკისს მიუხდნენ; ერთი ტყვე იშოვეს. ამავე დღეს მოხისს მიუხდნენ; ორი გუთნეული და ორი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის ოცს საავალიშვილოს დაეცნენ. ბრძოლაში სამი ქართველი დაიჭრა, ხუთი ლეკი მოიკლა, ვერაფერი წაიღეს. სექტემბრის ოცდახუთს ხაშმზე ქარავანს დაეცნენ, სულ აიკლეს. ამავე დღეს ყოშა-ქილისას დაეცნენ; ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ხუთი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის ოცდაექვსს მცხეთას დაეცნენ; პირუტყვი წაასხეს. იმავე დღეს ავჭალას დაეცნენ; პირუტყვი წაასხეს. სექტემბრის ოცდაშვიდს ბოლნისს მიუხდნენ; ბრძოლაში ერთი ლეკი მოიკლა, ხელცარიელი გაბრუნდნენ. ოქტომბრის პირველს ნუნისს დაეცნენ და სააბაშოს სხვა სოფლებსაც შეესივნენ; ნუნისში ოცი ტყვე იშოვეს, დანარჩენი სოფლებიდან კიდევ ორმოცი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს სოღანლუღს მიუხდნენ; შვიდი ტყვე იშოვეს. ამავე დღეს თელათგორს დაეცნენ და ნახირი სულ წაასხეს. ოქტომბრის სამს ბოლნისის გზაზედ ორი შებმული

ურემი და ორი ტყვე იშოვეს. ოქტომბრის ხუთს გორის მიდამოდან ერთი შებმული გუთნეული, ერთი ტყვე და ოცი ცხენი მოიტაცეს. ოქტომბრის შვიდს ღოუბანს და მონასტერს დაეცნენ; მოკლეს ხუთი კაცი, მოიტაცეს სამი ტყვე. ოქტომბრის ათს ალგეთზე წისქვილებს დაეცნენ; ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ოთხი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს საფალავანდიშვილოს შეესივნენ; აქედან ორმოცი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს საგარეჯოს დაეცნენ; სამოცი ტყვე იშოვეს, მაგრამ მტაცებლებს მარტყოფელები დაუხვდნენ და ომით ტყვეები დააყრევინეს. ამავე დღეს მანავს დაეცნენ; ბრძოლაში ხუთი ლეკი მოიკლა; ცარიელი წავიდნენ. ამავე დღეს ქისტაურს მიუხდნენ: ორი კაცი მოკლეს, ექვსი გუთნეული მოიტაცეს და ორი ტყვე. ამავე დღეს შილდას მიუხდნენ; სამი კაცი მოკლეს, ოთხი ტყვე მოიტაცეს.

საპასუხო რბევით კახელები ჭარს შეესივნენ. ოქტომბრის ათს ლეკები კუმისს დაეცნენ. ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ოთხი ტყვე მოიტაცეს და ხუთასი ცხვარი. ოქტომბრის ხუთმეტს ისევ კუმისს დაეცნენ; ცხრა ტყვე მოიტაცეს. ოქტომბრის თექვსმეტს ვერეს მიუხდნენ; ბრძოლაში სამი ლეკი მოკვდა. ცარიელი წავიდნენ. ოქტომბრის ოცს წყნეთს დაეცნენ; სამი ტყვე და შებმული ურმები მოიტაცეს. იმავე დღეს კოდას მიუხდნენ; ორი ტყვე მოიტაცეს. ოქტომბრის ოცდარვას ქალაქელი მეშეშეები მოიტაცეს სამი. ოქტომბრის ოცდაათს ქალაქს მიმავალი ოთხი მგზავრი მოიტაცეს. ოქტომბრის ოცდათერთმეტს ქალაქელი მეშეშეები მოიტაცეს ხუთი და ორმოცი ვირი. ნოემბრის პირველს ბოლნისს დაეცნენ; ორი კაცი მოკლეს, ორმოცი ხარი მოიტაცეს. ნოემბრის ხუთს ქალაქელი მეშეშეები წაიყვანეს ცხრა. ამავე დღეს არაგვის პირის სოფლებიდან თერთმეტი ტყვე დაპირებისამებრ დაქირავებულ ჯარს უბოძეს მისაცემელი და „რომელთა ოსთა ჰქონდათ ძველათვე ბაგრატიონთაგან ჯამაგირის წიგნი, განუახლეს“.

1755 წელს ლეკთა თარეში საქართველოში ოდნავადაც არ შემცირებულა. ბაამან ნახჭავნის ხანყოფილმა, რომელმაც აჯი-ჩალაბთან კავშირით ვერაფერი გააწყო თე-

იმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ, ახლა ლეკების საშუალებით სცადა თავისი საქმის გამოსწორება. ლეკთა ბელადებს ის მრავალი ტყვისა და საქონლის შოვნას შეჰპირდა. წამოუძღვა ლეკთა ჯარს და ყაზახ-ბორჩალოსა და სომხითის ტყეში დაიდო ბინა. ბაამან-ხანს ცოლშვილი ქართლში ჰყავდა, მათ წაყვანას ცდილობდა. ხანმა ამ საგანზე მოლაპარაკება გამართა ქართველებთან. აღჯა-ყალის ციხეში ბაამან-ხანის მოციქულები, ხუთი ლეკი-ბელადი ქართველებმა დაატყვევეს, ხოლო ხანის წინააღმდეგ თვით ერეკლე მეფე თავისი ჯარით გავიდა. ლეკები გაიქცნენ. ბაამან-ხანი განჯას შეეფარა.

ლტოლვილ ლეკებს განჯაში ახალი დასტები შეეყარნენ. შეერთებული ჯარი ისევ ქართლისაკენ წამოვიდა, „დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა-იქ და დადგა გზებზე. მრავალი მიმსვლელ-მომსვლელი ქარავანი წაახდინა. ქართველთა ლაშქრის მისვლაზე ლეკები სომხითს გაეცალნენ. ჯავახეთის მთებში ავიდნენ და იქ დაიდეს ბინა“. შეკრეს ჯავახეთიდან ქართლს მომავალი გზები და ქურდული თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ ქართლისა და ჯავახეთის გლეხობას.

ამ წვრილ თარეშებს 1755 წელს კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ხუნძახის ბატონს მჭადიჯვარს დამარცხების სირცხვილი ვერ მოენელებინა. ქართლ-კახეთის ერთის დაკვრით წახდენის „იდეა“ მას მოსვენებას არ აძლევდა. წინა წლის გამოცდილების გამოყენებით ის ახლა საგანგებოდ ემზადებოდა. მისი კაცები მოედნენ მთელ დაღესტანს და ყველას საქართველოში სალაშქროდ იწვევდნენ. *„ყველას დაჰპირდა დაღისტნის ლეკთა: სულ მე გამომყევით, ქართლსა და კახეთს დავიჭერო და ამდენს ტყვესა და საქონელს გაშოვნინებო, რომ შვილით-შვილამდე გეყოსთო“*. ნურსალ-ბეგმა დიდძალი ლეკი შეყარა. შამხალიცა და სურხაი-ხანიც კი გამოჰყვნენ. ამ დიდი ლაშქრით ხუნძახის ბატონი გადმოვიდა და ყვარლის თავს დადგა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა ჭარს, შექს, კაკენისელს, განჯას და ყველას ლაშქრობაში მონაწილეობისათვის მოუწოდა. შექის ხანს, კაკის სულთანს, განჯის ხანს და ჭარელებს, ჩანს, ნურსალ-ბეგის ლაშქრის სიმრავლე

© „ᲙᲝᲚᲮᲗᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘ“

იმედს აძლევდა, რომ ამჯერად ლეკები დაამარცხებდნენ ქართველებს. შექის ხანი და კაკის სულთანი თავიანთი ლაშქრით ხუნძახის ბატონს ეახლნენ. ჭარელებიც სწრაფად შემოეყარნენ. განჯის ხანს ყარაბაღელი ფანახისა ეფიქრებოდა, ამიტომ მცირე მეშველი ჯარი გამოუგზავნა დაღესტნელ სარდალს.

ქართველებისათვის ნურსალ-ბეგის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი რომ არ ყოფილიყო, ამიტომ სათანადო ზომებიც დროულად მიიღეს. მეფეებმა მთელი ქართლისა და კახეთის მოსახლეობა ოთხი თვის მარაგით განსაკუთრებით საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხევებში დახიზნეს. ჯარიც ქვეყნიდან მაქსიმალურად გამოიყვანეს და თან იახლეს. ერეკლე თელავს დადგა, თეიმურაზი — ანანურს.

ნურსალ-ბეგმა ამხელა საქმე კახეთიდან დაიწყო. ის ყვარლის ციხეს შემოადგა. ქართლის ჯარიც ანანურიდან თელავს მივიდა.

თეიმურაზსა და ერეკლეს იმიერკავკასიიდან მეშველი ჯარი ეხმოთ. რამაზ ანდრონიკაშვილს მეტად მცირე გუნდები ჩერქეზისა, ყალმუხისა და ოსისა გამოყოლოდნენ. იასე მაჩაბელი კი ჩერქეზეთიდან ხელცარიელი დაბრუნდა. არავინ გამოჰყვა. იქაც გაეგოთ, რომ საქართველოზე „მთელი დაღისტანი წამოვიდა“. ფიქრობდნენ, რომ ქართველები დამარცხდებოდნენ, ამიტომ ასეთ საქმეში მოხალისეობა სახიფათოდ ეჩვენებოდათ.

ამ დროს საქართველოში გადმოიხვეწა ფანა-ხან ყარაბაღელის მიერ შევიწროებული სომეხი მელიქი უსუფბეგი. სიღნაღელები ქალაქში კლდისუბანს დააყენეს, ხოლო თვით მელიქი თავისი რაზმით მეფეებს ეახლა თელავს.

ნურსალ-ბეგმა ლეკთა ერთი რაზმი ქართლს გაუსია, ჭარელებს კიდევ ქიზიყის დარბევა უბრძანა. დაღესტნელი სარდალი ფიქრობდა, რომ მეფეები ლაშქარს გამოჰყოფდნენ ამ მოთარეშე რაზმების წინააღმდეგ, რითაც თავიანთ მთავარ ძალას შეასუსტებდნენ. 500 კაცისაგან შემდგარმა ლეკთა რაზმმა ამოიარა ავჭალა, კავთისხევი, ხანდაკი „და ის შეყოლება, რაც რომ ციხეებს გარეთ დაახელეს, წაახდინეს, წაიღეს ნაშოვარი და ავიდნენ ატენის

მთაში. აქიდამ დაუწყეს რბევა გორისა გარეშემოთა“. თეიმურაზ-ერეკლე მტრის განზრახვას კარგად მიუხდვნენ, ჯარი არ მოიკლეს და მოთარეშეებს არ დაედევნენ, არამედ მთელის ძალით უდგნენ ლეკთა მთავარ ძალას.

ჭარელი მომხდურები ქიზიყელებმა დაამარცხეს. ყვარლის ციხე ერთ-ერთი ციხე-გალავანი იყო გაღმა მხარეში, მას შეფარებოდა გაღმამხრელთა დიდი ნაწილი. ამ ციხის აღებით, ასე ფიქრობდნენ მაშინ, მტერი მთელს გაღმა მხარს დაიჭერდა „და რახან გაღმამხარს იშოვნიან, კახეთის შოვნაც გაუადვილდებოდათ“ და „მერე დასუსტებულ ქართლს რითღა შევიმაგრებთო“.

1 სექტემბერს ოცი ათასი მეომრისგან შემდგარი მტრის ჯარი შემოესაფრა ყვარლის ციხეს, საჭირო იყო სწრაფად მიშველება, რომ ციხე არ გატეხილიყო. მეციხოვნეებს უჭირდათ. მტერს ციხის გალავნის გარშემო ისეთი მაღალი საფრები (სიბა) შეეკრა, რომ შიგ ციხეში თოფს ჩაისროდნენ.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შებმა ქართველებმა შესაძლებლად ვერ დაინახეს: მტრის ჯარი რიცხვით დიდად სჭარბობდა ქართველებისას და მათი ბანაკიც ძნელად მისადგომი იყო. გადაწყდა ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნა. ციხეს მჭიდრო ალყა ჰქონდა შემორტყმული და მისი გარღვევა მეტად საძნელო საქმე ჩანდა. ვინც ამ სავაჟკაცო-საგმირო საქმის მოხალისედ გამოვიდოდა, მეფეები ჰპირდებოდნენ: *„თავადისშვილს თავის შესაფერს სახელოს (ე.ი. თანამდებობას) და რომელსაც თავის მუნასიბსა (ე.ი. შესაფერისს) სამსახურსა და მამულს შემოგვიკვეთს, წყალობას უზამთო და აგრეთვე აზნაურშვილს და გლეხკაცს კაც ზე ოთხს თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სითარხნეს მივსცემთო“.*

საგმირო საქმეზედ ასსამოც კაცამდის გამოვიდა (ცხრა თავადიშვილი, ორი აზნაურიშვილი, ერთი ხუცესი და ასორმოცდაათამდის გლეხი, ამათგან — ასოცდაათი ქიზიყელი). ვაჟკაცები ღამით გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ ლეკ ყარაულებს და ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ. გმირებმა თოფის წამლის დიდი მარაგი შეიტანეს ციხეში. იმედმოცემულმა მეციხოვნეებმა

მოახერხეს ციხის გალავნის გარშემო ლეკთა საფრების დაწვა. ნურსალ-ბეგის ლაშქარს მერყეობა დაეტყო: ციხის ჩქარა და ადვილად აღება საეჭვო ჩანდა.

ქართველთა მიერ თელავს მიღებული სამხედრო მოქმედების გეგმის განხორციელება წარმატებით დაიწყო. ამ გეგმის თანახმად, თეიმურაზ მეფე თელავს დარჩა, ერეკლე კი ქიზიყის მხრიდან მოქმედებდა. ყვარლის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერეკლემ „აარჩივა კაცნი გულოვანნი და კარგ ცხენოსანნი ქიზიყელნი“ და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. ყვარლის ციხის ალყად მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ. ხუნძახის ბატონმა ამხელად ძლივს შეიმაგრა ისინი. მაშინ ერეკლემ კიდევ უფრო მოქმედ დემონსტრაციას მიმართა. ახლა მარბიელი რაზმი კი არა, ქართლელთა და კახთა მოზრდილი ჯარი გაგზავნა ჭარისაკენ. ყვარელს მდგომი ჭარელები ფიცხლავ წამოვიდნენ ქართველებთან შესაბმელად. ქართველები, ბრძანებისამებრ, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ: ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოხრებლად ემუქრებოდა. ქართველთა სამხედრო ხერხმა გაჭრა. ჭარელებმა გადაწყვიტეს, ყვარლის ციხეს მოშლოდნენ და თავიანთი სახლებისათვის მიეხედათ. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა. ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ და ურთიერთი მრავლადაც ხოცეს. ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულთანიც: ქართველი მარბიელები არც მის ქვეყანას უქადდნენ მშვიდობას. ამის დანახვაზე აჯი-ჭალაბის შვილმაც შექი-შირვანს მიაშურა. ასე რომ, მოალყეთა ჯაროის ერთი მხარი სავსებით მოიშალა. ამის შემდეგ დაღესტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. კიდევ მეტი, საჭირო იყო თავდაცვაზეც ზრუნვა: გამხნევებული ქართველები, საცა იყო, დაესხმოდნენ და „ყალთამს დამართებდნენ“ დასუსტებულ მტერს. ასეთ პირობებში სურხაი-ხანიც გამოეშალა „საერთო საქმეს“ და დაღესტნის გზას გაუდგა. ოცდარვა სექტემბერს ნურსალ-ბეგიც და შამხალიც მოეცალნენ ყვარლის ციხეს.

ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ხუნძახელმა სარდალმა ახლა ისევ ქურდ-ავაზაკობა აირჩია.

დიდმა საფრთხემ გაიარა. საქართველოს ერთბაშად მოთხრის გეგმა მტერს ჩაეშალა. ლეკთა ბრბოების მეთაურს, თუნდაც ამიერკავკასიის ხანების დახმარებით, რა თქმა უნდა, იმის შესრულება არ შეეძლო, რაც თვით შაჰ-აბასმაც კი ვერ შეძლო. ამის მოქადულ ნურსალ-ბეგს ყველაზედ უკეთ უხდება და, ალბათ, მას ჰგულისხმობს ხალხური ლექსი:

„პამპულაი შეეკაზმა თოფითა და ჯინჯილითა:

— უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხოცო შიმშილითა.

ეს რომ ერეკლემ შეიტყო, გადაბრუნდა სიცილითა...“

მაგრამ ლეკთა მიერ საქართველოს ერთის დაკვრით მოთხრა თუ „პამპულობა“ იყო „ლეკიანობა“ მისი „ჩვეულებრივი“ სახით, მართლაც, რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას.

დაღესტნელი აბრაგები ყვარელთან მარცხის შემდეგ თავიანთი „მოქმედების“ ძველსა და ნაცად „მეთოდს“ დაუბრუნდნენ. ის იყო მეფეებმა პირიქითელთა ლაშქარი თავიანთ ქვეყნებში გაისტუმრეს, საკუთარი ჯარის დიდი ნაწილიც დაითხოვეს, მოსახლეობა ციხე-სიმაგრეებიდან სოფლებში გავიდა და მშვიდობიან შრომას შეუდგა, რომ ლეკები, თითქოს ამას ელოდნენო, მოედნენ სოფლებს: *„დაიფანტა ჯარები ლეკთა ყაზახობით და დაუწყეს ცემა და მოიცვეს ყოველნი ალაგნი... შევიდნენ ლეკნი კლდეთა და ტყეთა სომხითისა და საბარათაშვილოსათა, იქიდამ დაუწყეს რბევა ქალაქისა გარეშემოთა სოფლებთა. ასეთსა კლდესა შეიტანიან ნაშოვარი, რომ ქართველთა ჯარი იქ ვერ მიუდგიან“*. და არა მარტო სომხით-საბარათიანოს და თბილისის გარშემო სოფლებს, **ლეკები მოედნენ, აგრეთვე, მთელ ქართლს. სოფლებს გარდა დაეცნენ ციხეებს: ბაიდარს, ერტისს, სამწევრისს, ბოლნისს, კუმისს, ნიჩბისს. ზოგი აიღეს, აიკლეს, ზოგან დამარცხდნენ; შეესივნენ სათარხნოს სოფლებს...** *„შეიკრა გ ზები მტრისაგან, რომ მგ ზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და ახალციხის ქვეყნიდან ქარავანი. ამით ქალაქ თბილისს ძვირობა შეიქნა და ხალხი დიაღ შე-*

წუხდენ“. თეიმურაზ მეფე მცხეთას ავიდა. აქ ქსნისა და არაგვის ჯარები დაიბარა. გზებზედ რაზმები დააყენა. ერეკლე ბაიდარ-ბორჩალოს გავიდა. კახეთის ჯარი იახლა. **ყაზახ-ბორჩალოს თათრებში ბევრი იყვნენ, რომ საიდუმლოდ და ზოგჯერ ცხადადაც ლეკს ემხრობოდნენ. მეგზურობდნენ მათ და სხვაგვარადაც ხელს უწყობდნენ. ზოგჯერ ეს თათრები ლეკებთან ერთად არბევდნენ ერევნის, ყარსის თუ ახალციხის ქვეყნებს.** მეფემ თავისთან დაიბარა ყაზახ-ბორჩალოს ხანები და ქედხუდები. ერეკლემ „*განაგო საქმე ყაზახის ქვეყნისა და ბორჩალუსი და გაისტუმრა ხანები ქვეყანათა თვისთა*“. შესაფერის ადგილებში ერეკლემაც განაწესა რაზმები. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად „უკუდგა მტერი“. „მიჰმართეს მტერთა და ნაპრალთა“. გზები გაიხსნა.

1756 წელს დაღესტნიდან ახალი სამი ათასი ლეკი წამოვიდა „საშოვარზე“. ამათგან ზოგი სამცხე-ჯავახეთს მიუხდა, ზოგი კიდევ ქართლში დაიფანტა. ამ წელს ლეკებმა შიდა ქართლი განსაკუთრებით მიზანში ამოიღეს. ეს იმიტომ, რომ ლეკებისათვის უფრო ადვილად მისადგომი სომხით-საბარათიანო თანდათან იცლებოდა და მოსახლეობა შიდა ქართლში იხიზნებოდა. ხიზნებს ლეკებიც მოჰყვნენ.

მკათათვე იყო. ლეკები ტყეებში ჩასხდნენ და აქედან სამკალში გასულ გლეხებს და უკაცოდ დარჩენილ სოფლებს დაერივნენ: „იყო ცემა და ტაცება, ყოველგან ხოცვა და ტყვეთა წასხმა“.

ერეკლე კახთა ჯარით ქართლს მოეშველა. მეფეებმა ლეკთა ერთი რაზმი ნიჩბისის ციხესთან დაახელეს და მრავლად გაწყვიტეს. თეიმურაზი და ერეკლე გორს დადგნენ. ქართლის ჯარი შემოიყარეს და ახალდაბას ავიდნენ. ამ დროს ლეკები კარალეთს შემოადგნენ. გალავანი აიღეს. დიდძალი საქონელი და ტყვე იშოვეს. ნაშოვრით ლეკები საციციანოს მთებისკენ გაუდგნენ. აქ დაედოთ ბინა. ქართველები სწრაფად წამოვიდნენ ახალდაბიდან და აბრაგებს გზა გადაუჭრეს. ბრძოლა სკრის ნასოფლარში მოხდა. ლეკები დამარცხდნენ, მრავალი დაეხოცათ, ტყვე და საქონელი დაჰყარეს. მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც ტყეში შეასწრო.

ნაომარი ქართველები დირბის ბოლოს ისვენებდნენ. ამ დროს ლეკთა სხვა გუნდი ქართლს დაეცა. მინდვრიდან საქონელი და ტყვე გაიტაცა. ქართველები გამოუდგნენ. ლეკებმა ტყვე და საქონელი დაყარეს, თვითონ კი ტყეში შეასწრეს.

რაკი ძალა დაინახეს, „უკუდგნენ ლეკნი და წავიდნენ ქართლისა ქვეყნიდამ“.

ამ დროს დაღესტნიდან ლეკთა ახალი რაზმი გამოვიდა. მათ შეიტყვეს, რომ ერეკლე მეფე კახთა ჯარით ქართლს იყო. ამიტომაც ლეკებმა დასარბევად კახეთი აირჩიეს. რაზმმა გომბორის მთიდან წამოუარა კახეთს, რუისპირს დაეცა, ააოხრა და რბევით შიგნით კახეთი ჩაიარა. ლეკებს კახი და ქიზიყელი მდევრები აედევნენ, ბრძოლა ყარაღაჯს მოხდა, ქიზიყის ბოლოს. კახელები დამარცხდნენ.

ერეკლე სწრაფად კახეთს გაჩნდა. დაარჩია კახი და თუში ვაჟკაცები და თუშთ მოურავის სარდლობით დაღესტანს გაისტუმრა. *„გარდუხდნენ დაღესტნის სოფლებს, წამოიღეს მრავალი ცხვარი და ძროხა, ვინა ლეკნი მოეწივნენ, დახოცნეს და უვნებლად ნაშოვარი კახეთში გარდმოსხეს. ამავე დროს ქიზიყელები მეფემ ჭარს გაუძახა. მიუსხდნენ ქიზიყელნი, ააოხრეს ჭარული სოფლები, წამოიღეს ნაშოვარი, მოიტანეს ქიზიყში“.*

ამავე წელს დაღესტნიდან საქართველოში ლეკთა კიდევ ერთი ჯარი წამოვიდა და ქართლში დაიფანტა. ერთმა გუნდმა თავის სადგურად ღართისკარი აირჩია. შიდა ქართლიდან თბილისისაკენ მთავარი გზა აქ გამოივლიდა. ლეკებმა შეკრეს გზა. ხელთ იგდეს შიდა ქართლიდან ქალაქს მომავალი ქარავანი, დახვდნენ მუხრანის ბატონს, სახლთუხუცესს კონსტანტინეს, ლაშქარი დაუმარცხეს და თვით მოკლეს. კონსტანტინე სახლთუხუცესი ფრიად ენერგიული და თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკის ერთგული ფეოდალი იყო. მისი სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო.

ღართისკარიდან ლეკები უხვი ნაშოვრით დაღესტნის გზას გაუდგნენ. კახეთში, ლალისყურის ბოლოს, ერეკლე თუშებითა და კახებით გადაუდგა მათ და ისე ამოხოცა, „რომ მოამბე არ წასვლიათ, დაერივნენ კახნი და თუშნი ხმალდახმალ შიგა და ყათლამი დამართეს“.

1757 წლისთვის *„დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბულახის-შვილები სამშვილდესა შინა. იყო ცემა და ოხრება საქართველოსა შინა. გავიდიან მეფენი ქალაქით, შეებიან, ზოგჯერ გაემარჯვისთ ლეკზე და ზოგჯერ წაიღიან ფრიადი“.* ლეკთა თარეშის მრავალი შემთხვევიდან წყაროები ამ წელს მხოლოდ ერთს სცნობენ აღნიშვნის ღირსად. ლეკის ჯარი ათასი კაცისაგან საავალიშვილოს მოუხდა. ყვიბისის ციხე აიღეს. ტყვე და საქონელი იშოვეს. შემდეგ ჭობისხევის ციხეს შემოადგნენ. თეიმურაზ მეფემ სურამიდან ქართლის ჯარი მიაშველა მეციხოვნეებს. ლეკები გაეცალნენ. წავიდნენ და ჯავახეთი დაარბიეს.

1758 წელს „სურათი“ არ შეცვლილა. მეფეები მცირე რაზმით წვრილ ლეკის ჯარებს სდევნიდნენ ზემო ქართლში. ზაფხული იყო. ცხინვალს იდგნენ. ამ დროს ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ლეკის ჯარი ჩონჩოლმუსას მეთაურობით ცხინვალს მიადგა. მეფეები საფრთხეში ჩავარდნენ. მცირე ამალა ახლდათ. შებმა არ ეგებოდა. ციხეში გამაგრდნენ. ამავე დროს იმერეთს ქსნის ერისთავი გაგზავნეს და სოლომონ მეფეს დახმარება სთხოვეს. სოლომონი სწრაფად გამოვიდა, მაგრამ ლეკებს ვეღარ მოუსწრო. ჩონჩოლ-მუსამ საეჭვო საქმეს თავი დაანება. ჩქარა მოეცალა გამაგრებულ ციხეს და მეორე დღეს ალს დაეცა. აიღო ის და დიდი ტყვითა და საქონლით ახალციხისკენ უვნებლად წავიდა. იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა კავშირი დადვეს: *„შერიგდნენ პირითა მტკიცითა: რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“.*

ქართლიდან ლეკის ჯარი ახალციხეს ავიდა. სოლომონ იმერეთს დაბრუნდა, თეიმურაზ-ერეკლე — თბილისს.

ამ დროს სოლომონ მეფე გმირულად ებრძოდა ოსმალეთის ბატონობას და ოსმალთა აგენტ ზოგიერთ თავადს თავის ქვეყანაში. ახალციხის ფაშა ოსმალეთის ჟანდარმი სოლომონის დაღუპვას ცდილობდა. ფაშამ დიდის პატი-

ვით მიიღო ლეკი მძარცველები. დაიქირავა ისინი და იმერეთს გაუსია. მცირე ჯარით სოლომონი ვერ შეება ლეკებს. ვერც ქართლ-კახეთის მეფეთაგან დახმარების თხოვნა მოასწრო. **ლეკებმა დაარბიეს იმერეთის მრავალი სოფელი, გაძარცვეს გელათი და დიდი ტყვითა და საქონლით დაბრუნდნენ ახალციხეს. ამ სამსახურისათვის ფაშამაც ბევრი მისცა მათ და დაღესტანს გაისტუმრა.**

ადვილი გასაგებია, რომ ასე წარმატებით დასრულებული ექსპედიცია მისაბაძი მაგალითი აღმოჩნდა დაღესტნელი აბრაგებისათვის: *„ეს ნაშოვარი ნახეს ლეკთა, წამოვიდა დაღესტნიდან ქვეითი და ცხენოსანი, აივსო ზემო ქართლის ქვეყნები ლეკით, აოხრდნენ და მიქონდათ ურიცხვი“.*

გამარჯვებულ ჩონჩოლ-მუსას ახლა კოხტა-ბელადიც შეუერთდა. 1759 წელს ორივენი რვა ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით ზემო ქართლს ეწვივნენ. ლეკის ჯარი აქ ორად გაიყო. ჩონჩოლ-მუსამ არადეთი აიღო. ლიახვი შევლო, სამაჩაბლოს ოსები დაარბია, დაბრუნდა და ავნევს შემოადგა. ამასობაში კოხტა-ბელადი ატოცის ციხეს ადგა.

თეიმურაზ-ერეკლემ ქართლ-კახეთის ჯარები შემოიყარეს. სოლომონ მეფესაც აწვიეს. უკანასკნელი სწრაფად გადმოვიდა. ქართველები ყორნისიდან გავიდნენ და პირველად ატოცს მდგომ ლეკებს თავს დაესხნენ. სასტიკ ბრძოლაში ლეკები დამარცხდნენ და ილტვოდნენ. ახლა ქართველთა ლაშქარი ავნევისკენ წავიდა. ჩონჩოლ-მუსა, რა კოხტა-ბელადის დამარცხება შეიტყო, ავნევს მოეცალა და დვანის ციხეში შევიდა. ქართველებიც აქ მივიდნენ. ღამით ლეკები გაიპარნენ. ლტოლვილებს ქართველთა ლაშქარი ვერ ეწია.

ამრიგად, ლეკთა ეს მესამე მსხვილი შემოსევა მათი მარცხით დამთავრდა.

ლეკთა ხუთი წლის „მოღვაწეობის“ ამ სურათიდან შეგვიძლია კარგად წარმოვიდგინოთ ის აუტანელი პირობები, რომლებშიც ქართველი ხალხი XVIII საუკუნეში ლეკიანობისას იმყოფებოდა. ასეთი ლეკიანობა კი მაშინ, სამწუხაროდ, ერთობ ხშირი იყო. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შემცირდა და დაეცა სოფლის მეურნეობა, ხელოს-

ნობა, აღებ-მიცემობა. მრავალი სოფელი და კუთხე დაიცალა. მიწყდა სიცოცხლე, კულტურული მეურნეობა. „ნაოხარი“, „პარტახი“, „ხარაბა“, „ვერანა“, „ცარიელი“ და „უმკვიდრო“ იქმნა მევენახეობა-მეხილეობის, მეაბრეშუმეობა-მებამბეობის, ბრინჯისა და ხორბლეულის ქვეყანა. „მკვიდრი“ და „სრული ბეგრის გამომღები“ გლეხი „ხიზნად“ და „ბოგანოდ“ იქცა. მაგარსა და დაცულს ადგილებს შეეფარნენ ისინი. ღარიბ-ღატაკებს აქ შიმშილი და ჭირი დაერევა და ლეკზედ უარეს დღეს გაუთენებს. დაცარიელებული მიწები გაჩალისფასდა: *„თუ ოხრად არ უყურებდნენ ან სასოლაღაშვილოს ვინ გაჰყიდის, ან კიდევ სხვათა, მაგრამ ვინღაა მყიდველი; ყველას საქმე უჭირს და რას ხედვენ ქვეყნისას რომ მოეჭიდნენ?“* მეურნეობაზე კი არა, დაკარგვაზე ფიქრობენ: *„ავი დრო იყო. ყოველდღე დამხობას მოველოდით, ლეკებისაგან აკლებასა, საქართველოს სრულიად დაჭერასა. კარგი არა ჩანდა რა მეფის ჭკუისა და ღუთის მიწოლის მეტი. ყოველდღე დიდ ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალეკასა და ჩვენს აკლებასა და დატყვევებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა, თუ რუსეთს დავიკარგებოდით“.*

ლეკთა საკითხის გადაჭრა XVIII საუკუნის ქართლ-კახეთისთვის გადაუდებელი ამოცანა იყო. აღმოჩნდა კი, რომ ეს საკითხი გადახლართულია მთელ რიგ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებთან, რომელთა მოგვარების გარეშე ლეკთა საკითხის გადაჭრაც საეჭვო იყო.

„ᲫᲐᲛᲘ ᲮᲡᲜᲘᲡᲐ“, ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

მოხსენებითი ბარათი რუსეთის მხედართმთავრის გრ. პოტიომკინის მიმართ

გრიგორი პოტიომკინი

უგანათლებულესო კნიაზო, მოწყალეო ხელმწიფევ!

ახალციხეს დასვათ რუსეთის კონსული, რათა შეიძლოს ოთომანის კარმან დაფარული მტერობა, არცა გარეგნით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა.

ბათომს გურიის ნავთსაყუდელზედ და ფოთს ოდიშის ნავთსაყუდელზედ სიტყუა ითქუას და თუმცა ნებით გაუშვან უმჯობესია ჩვენთვის და თუ არა იმ ორ ადგილსაც რუსეთის კონსულნი დასვათ, რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და ეგრეთვე სავაჭრო რუსეთის ნავები მოვიდნენ ამ ხსენებულს ნავთსაყუდელზედ.

აფხაზეთი დაიდუას თავისუფლად, რომელნიც ოსმალეთის ხმლით დაპყრობილნი არიან და ნება მიეცეს მათ, რომელთაც საქმე ჩვენ ვიცით, რომ მალე აღირჩევენ ქრისტიანობას და ისიც როგორც ჩვენ საფარველსა ქვეშე რუსეთისასა შემოვლენ და უხმლოდ მორჩილებას მიიღებენ. და ესეც დაიდუას, რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდლებზედაც რუსეთის ნავებმა ივაჭრონ, რომელითაც თქუცნ მალე ნახავთ სარგებელსა არა მცირესა.

უკეთუ უმაღლესმან კარმან რუსეთისამან დასდუას ახლავ მფარველობა იმერეთზედ ის უმჯობესი იქმნება. და უკეთუმცა რომელისამე საქვეყნიეროს გასინჯვით ახლა განცხადება ამისი არ ამჯობინოს, მაშა საიდუმლო შეკ-

© „ღვანლისმეტყველი ათანასეული“

რულება დაიდუას დრომდინ იმერეთსა და რუსეთს შუაზედ, რათა სარგებლობა ორთავე დრომდინ საიდუმლოდ და დაფარულად მუშაკობდეს.

და ესეც თუ ამჯობინოთ, რათა აქვნდეს მეფესა იმერეთისასა თვით უფლება ვითარცა შვენის თვითმპყრობელსა და რათა აქვნდეს მას შეკრულებისა და გახსნისა ნება ომისათვის მაჰმადიანთა ზედა. რამეთუ მიზეზითა ამით რუსეთი იმერეთიდამ დაფარულს ძალას შეიმატებს ოსმალთა ვნებათა ზედა და არც ექნება ვისმე მიზეზი, როგორც ოთომანის კარს ეგრეთვე სხუათა ქვეყანათა, რომლითაც მთელი ქუეყანა რუსეთს ვერ უსაყვედურებენ და ამ სახის დადებით იმერეთის ძალით ადვილად წაერთმევის ხსენებული იგი ბათომიცა და ფოთიც. თქუენის უგანათლებულესობის ჩემის მოწყალის ხელმწიფის მონა იმერეთის დესპანი და მესაიდუმლოე მდივანი კნიაზი ბესარიონ გაბაოანელიძე. ქრისტეს აქათ ჩღპთ, დეკემბრის ე.

(1789 წ. 5 დეკემბერი)

ი. ცინცაძე

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი,

გვ. 293-294.

ლეკიანობა კახეთში

XVIII საუკუნეში ლეკიანობა აშკარა განადგურებით დაემუქრა კახეთის მოსახლეობას. მობილურ რაზმებში გაერთიანებული ლეკები უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ გარეშე მტრების მიერ ისედაც აწიოკებულ ქვეყანას. ანა დრანსეს მიერ მოთხრობილი მძიმე თავგადასავალი თავად ჭავჭავაძეთა ოჯახის დატყვევებაზე მოგვითხრობს. საქმე ეხება პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის — დავითის ოჯახის ბედს, რომელიც შამილის მარბიელი რაზმის მსხვერპლი აღმოჩნდა.

თვით ანა დრანსე ფრანგული წარმოშობის ქალბატონი იყო. იგი ჭავჭავაძეთა სახლში ბავშვების აღმზრდელად ყოფილა მიწვეული. უკუღმართმა ბედისწერამ ანა დრანსეც ტყვეობის მწარე ხვედრს აზიარა, რის შესახებაც იგი შთამბეჭდავად მოგვითხრობს თავის წიგნში **„შამილის ტყვე ქალები“.**

შამილის ტყვე ქალები

(ნაწყვეტი)

მეოდუქნე

1 ივლისს გლეხებმა გვაცნობეს, თელავის მიმართულებით მინდვრები ცეცხლის ალშია გახვეულიო. დაეჭვება აღარ შეიძლებოდა — მტერი ვაკეზე იყო ჩამოსული და წინ გამალებით მოიწევდა, გვამცნობდა რა თავის გზასა და მიმართულებას მის მიერ გაჩაღებული ხანძრების მიხედვით. ყველამ გაამახვილა ყურადღება იარაღის გამართულობაზე. წინანდლელი გლეხები მოდიოდნენ კნეინასთან და ურჩევდნენ აუცილებლად გახიზნულიყო ტყეში, მაგრამ იგი არ დასთანხმდა. მაშინ მათ დააწყვეს მთელი თავიანთი ავლა-დიდება ურემზე და ქალებიცა და ბაშვებიც ზედ შესხეს. ხანძარი პარასკევსაც ბობოქრობდა. დღისით მოვიდა თელავის მედიკოსი გორლიჩენკო.

© „ღვასკამაძეგნი ათასფაფიე“

— ლეკები, — თქვა მან, — დაბანაკებული არიან ალაზნის იქითა მხარეს. ამჟამად ვერ შეძლებენ მდინარის გადმოლახვას. თელავშიც მშვიდობიანობაა — თბილისიდან ჯარს ელოდებიან.

დარბაზში იმყოფებოდა, აგრეთვე, კნეინა თინია, თავად ჭავჭავაძის გადაბერებული დეიდა, ისეთი მხდალი, სულ უმნიშვნელო საშიშროების ჟამსაც რომ განგაშს ტეხდა, მაგრამ ახლა, თითქოსდა ჯიბრზე, სრულიად დამშვიდებულად გრძნობდა თავს და აი რატომ:

— ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის დროიდან გამუდმებით მესმის, — უთხრა მან ექიმს, — ლეკები წინანდალზე თავდასხმისათვის ემზადებიან, მაგრამ ეს ხმები არასოდეს არ გამართლებულა და რაღა ახლა გამართლდებაო.

— როგორც არ უნდა იყოს, — დაუმატა კნეინა ჭავჭავაძემ, — უნდა დაველოდოთ, რას მომწერს ქმარი.

ამასობაში ყველა გლეხი გაიხიზნა. მეზობელი მემამულეებიც მოდიოდნენ და გვარწმუნებდნენ, მათთან ერთად გავსულიყავით ტყეში. იმათ უპატრონოდ დაეგდოთ თავიანთი ავლა-დიდება და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზეღა ზრუნავდნენ, მაგრამ ქალბატონი ამჯერადაც ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ, არ შემიძლია მეტისმეტი გულდაჯერებულობისათვის არ ვუსაყვედურო. როგორ შეიძლებოდა ყურად არ ეღო ასეთი დაჟინებული შეგონებანი? მაშინ რომ მასთან ასე ახლო ნაცნობობა მქონოდა, როგორიც ახლა მაქვს, ჯერ კიდევ პარასკევს დავითანხმებდი გაქცევის საჭიროებაზე, მაგრამ იმ დროისათვის მასთან მხოლოდ ნახევარი წელიწადის ნაცნობობა მაკავშირებდა, ამასთანავე, არც ადგილმდებარეობაზე მქონდა რაიმე წარმოდგენა და მეშინოდა, სასაცილოდ სულმოკლე არვის ვჩვენებოდი.

ხანძარი შაბათსაც ძველებურად ბობოქრობდა. ცხადი გახდა, საშიშროება კარს იყო მომდგარი, რამაც, ალბათ, კნეინა შეაფიქრიანა. დაიწყეს ვერცხლის, ძვირფასი ქვებისა და სხვა ნივთების ჩალაგება. თავადის გულადი გლეხი ზურია კნეინასთან გამოიძახეს, რათა საქმის ნამდვილი ვითარების შესატყობად წასულიყო, ადგილები დაეზვერა.

კნეინა დასთანხმდა და იგი გაემართა იმ ადგილების დასათვალიერებლად და შესამოწმებლად, საიდანაც ხანძრების შუქი მოდიოდა. გამოხდა ცოტა ხანი. ზურია უკან დაბრუნდა. ტანსაცმელი ტყვიებისაგან დაცხრილული ჰქონდა, თვითონ კი ცოცხალი იმის გამო გადარჩენილიყო, რომ შორიდან ნასროლ ტყვიებს იმდენი ძალა აღარ შერჩენოდათ. ოღონდ ზურია, ასე რომ გადადო თავი ბატონებისათვის, ჩვეულებრივ ლოთობდა ხოლმე და ამიტომაც მის ნაამბობს სერიოზული ყურადღება არავინ მიაქცია.

ის ის იყო, ეს გლეხი დასაზვერად წავიდა, რომ გამოგვეცხადა ვიღაც სომეხი, რომელიც თავს მედუქნედ ასაღებდა. მან ღამის გათევინება გვთხოვა და გვითხრა, სადღაც, თურმე, ფული უნდა მიეტანა, მაგრამ ამ ადგილებში რომ გამოიარა, ლეკებს შეეფეთა და იძულებული გახდა, იმავე გზით უკან წამოსულიყო. მისი სიტყვები სარწმუნოდ ჟღერდა, მაგრამ ამ კაცის სახე კნეინას არასაიმედოდ ეჩვენა, რის გამოც მაშინვე უბრძანა მსახურს:

— ეგ კაცი არსად არ გაუშვათ, იარაღი აჰყარეთ და, თუ გაქცევა დააპიროს, ესროლეთ!

ეს სიმკაცრე სხვადასხვა გარემოებით იყო გამოწვეული; თუმცა ქალბატონმა მისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით მაშინვე დაუმატა:

— მიხედეთ და აჭამეთ!

მოგეხსენებათ ქართველის ბუნება: მსახურმა შეასრულა მხოლოდ ბოლო მოთხოვნა, ხოლო პირველი სავსებით გადაავიწყდა, რამაც ავი კვანძის გახსნა დააჩქარა.

ამ კაცის მოსვლა, ზურიას მიერ მოტანილი ცნობები, ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ხიფათი გარდაუვალი იყო. თუმცა ხსნის იმედი ჯერ კიდევ არ გადაგვწურვოდა. გვქონდა მსუბუქი საზიდრები, რომლებიც სწრაფი მგზავრობისათვის სნორედ რომ მისწრება იყო. კნეინამ თელავში ერთიმეორის მიყოლებით დაუხანებლად გაგზავნა ორი შიკრიკი, რათა ცხენები იმავე საღამოს მოეყვანათ. სადგურზე კი მათ აუხსნეს, რომ ცხენები მხოლოდ მომდევნო დილის, ე.ი. კვირისათვის, ეყოლებოდათ. ამასობაში მოახლეები განაგრძობდნენ სკივრებში ყველაფრის ჩალაგებას, რისი თან წაღებაც კი შეიძლებოდა. გლეხები კვლავ მოვიდ-

ნენ და გვთხოვეს ტყეში გავხიზნულიყავით. კეთილი ზურია განსაკუთრებით მე გადამეკიდა — მაგრამ განა შემეძლო საზიზღარი სიმხდალე გამომეჩინა და ჩემი აღსაზრდელები — სალომე და მარია ამ ყოფაში მიმეტოვებინა?

როგორც იქნა, ყოველგვარი მზადება დასრულდა. საღამოს კნეინა ორბელიანის საწოლ ოთახში მოვიყარეთ თავი. ბავშვები იატაკზე დაგებულ ნოხებზე დავაწვინეთ და, როდესაც ჩაეძინათ, სანთლები დავაქრეთ, აივანზე გამოვეფინეთ და მყუდროების დაურღვევლად, მდუმარედ შევსცქეროდით მტრის მიერ აგუზგუზებულ კოცონებს, რომლებიც თანდათან გვიახლოვდებოდა. ახლომახლო მიმობნეულ საგნებზე მთვარე სასწაულებრივად მქრქალ შუქს აფრქვევდა, მაგრამ იგი ჩვენთვის სულაც არ იყო სასარგებლო, რადგან ლეკებს, დაბრკოლებათა მიუხედავად, შეეძლოთ წინ წამოწეულიყვნენ და ბოლოს მთლიანად მოეჭრათ ჩვენთვის თავის დასახსნელი გზა. კნეინა თინია კი ისევ თავისას გაიძახოდა:

— ლეკები წინანდალში მოსვლას ვერ გაბედავენ!

ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომელსაც ვერ უწოდებ ვერც სიფხიზლეს, ვერც ძილს. ღამის 4 საათზე გავარდა თოფი, რამაც ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. ხიფათისა და შიშის გრძნობა ძვალსა და რბილში გაგვიჯდა. თავს ძალას ვატანდით — კიდევ რაიმე რომ გაგვეგონა... მაგრამ ამაოდ. და, რადგან კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, ვიფიქრეთ: ალბათ, ეს გასროლა შემთხვევითი იყოო. ბაღში ჩავედი და ვაზის ფოთლებში ჩიტის ბუდესავით ჩაკარგული ეკლესიისაკენ გავეშურე. აქ დიდხანს ვლოცულობდი და ვგრძნობდი, რა თანდათანობით მიბრუნდებოდა ძალა. ამ ვრცელ ბაღში ყველაფერი გარინდებულიყო. ანგარიშმიუცემლად სიარული დავიწყე. მაღალი ხრამის კიდეზე მდებარე კორომს რომ მივატანე, შევნიშნე კაცი, რომლის აქ ყოფნამაც დამაფრთხო: მართალია, თავადის ყველა გლეხს არ ვიცნობდი, მაგრამ ქართველთა სახის ნაკვთები გონებაში ცხადად მქონდა ჩარჩენილი — ისინი სიკეთეს გამოხატავენ, ხოლო ამ ადამიანის სახეს ზედ ეწერა რაღაც უკეთურება. თუმცა მას ჩემთვის არაფერი უთქვამს, ისე გაემართა სახლის ეზოსაკენ. შევნიშნე, რომ

იარაღი ესხა. რაც შემეძლო, სწრაფად გავეშურე სახლისაკენ. ხრამს რომ გავხედე, დავინახე: ხევის ძირას მიმდინარე ღელეში წყალი თითქმის მთლიანად დახაპულიყო და ორი კაცი ლაგამწაყრილი ცხენებით ფრთხილად გადადიოდა მეორე ნაპირზე.

ლეკები. ტყვეობა

ეს მდგომარეობა წარმოსახვას მეტისმეტად მიღიზიანებდა და ამის გამო ყველაფერი, რასაც იმჟამად ვხედავდი, საშინელ სასოწარკვეთაში მაგდებდა. გავიქეცი, რათა კნეინებისათვის მეამბნა არასასიამოვნო ნიშნების შესახებ, მაგრამ შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდნენ ისინი, მიპასუხეს: — კნეინა ორბელიანი ლოცულობს, ხოლო კნეინა ჭავჭავაძეს სძინავსო.

გავიდა ერთი საათი. კნეინა ანამ თავისთან მიხმო. საბოლოოდ გავემზადეთ გასამგზავრებლად. კორსეტში შევიჩურთე რამდენიმე წერილი და თმის ღერები — ნივთები, რომლებიც ყველა სხვა ნივთზე უძვირფასესი იყო ჩემთვის. სახელდახელოდ ამოკერილ ჩანთაში ჩავაწყვე ფრანგული ენის გრამატიკა და მეორე პატარა წიგნი სათაურით: „ღმერთი არს სიყვარული“. ეს წიგნი ერთ-ერთმა თბილისელმა ნაცნობმა მისახსოვრა. მოამზადეს ჩაი — ვითარებაც რომ მეტად შესაფერისი გამონახეს კნეინას მომსახურებისათვის — ყველაფერი ისე კეთდებოდა, თითქოს დრო თავზე საყრელი გვქონოდა. თელავიდან კვლავ ამოვიდა ექიმი და საათზე მეტი ხნის განმავლობაში არწმუნებდა კნეინას, დაუყოვნებლივ გავდგომოდით გზას... მოხუცი ძიძების ჯიუტობამ და უდარდელობამ, რომლებიც მიჩვეულნი არიან, არავის შეეპუონ, ყველაფერი სხვაგვარად დაასრულა. ის ის იყო, საზიდარზე კნეინას ალმასები უნდა დაეწყოთ, რომ გაისმა ძახილი: ლეკები!

დილის რვა საათი იყო. კეთილი ექიმი გორლიჩენკო (ერთადერთი კაცი, ვის წინაშეც თავს სამუდამოდ ვალდებულად ვრაცხთ მისი მართლაც რომ გმირული თავდადებისათვის), რომელსაც ხელში სასროლად გამზადებული იარაღი ეჭირა, გვთხოვდა, სადმე დავმალულიყავით. კნეინამ თქვა, რომ ამისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი

© „ღვასკვამაძეგნი ათასკაფი“

ბელვედერი იქნებოდა. მან ლეკთა განზრახვა არ იცოდა და ფიქრობდა, ისინი აქეთ არ წამოვიდოდნენ. ბავშვები, ძიძები, გადიები, მსახურები, ფარეშები და ყველა ქალი, ვინც კი სახლში იმყოფებოდა, უკან გამოგვიდგნენ. არასოდეს დამავიწყდება ის საბედისწერო წუთები, როდესაც კნეინა ჭავჭავაძე, ყოველთვის გულთბილად რომ იყო ჩემდამი განწყობილი, მომეხვია და სინანულის გრძნობით აღვსილმა მითხრა:

— ეჰ, ეს რა მომივიდა, მადამ? ძალიან გთხოვთ, მომიტევოთ იმ უბედურებისათვის, რაც ჩემი მიზეზით შეგემთხვათ. ღმერთო ჩემო! რატომ არ დაგატანეთ ძალა, გაქცეულიყავით?

— ქალბატონო, — ვუპასუხე მე, — არ ვიცი, რა ხვედრი მელის, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, მზადა ვარ სიცოცხლე განაცვალოთ.

— ვილოცოთ, — განაგრძო მან, — სიკვდილი კარს მოგვდგომია.

მალე, მართლაც, ნათლად გავარჩიეთ მოახლოებულ მთიელთა ნაბიჯების ხმა. მათ ჩვენი სამალავისაკენ მოუძღვებოდა ბავშვების ყვირილი და ქალების წივილ-კივილი. ყველა ჩვენგანის სულში რაღაც ენით აუწერელმა სევდამ დაისადგურა. ას წელიწადს მიტანებულ დედაბერს, რომელსაც ოდესღაც თავად ჭავჭავაძის მამაც გაეზარდა, სავსებით დავიწყებოდა საკუთარი თავი და გულმხურვალედ ლოცულობდა თავისი კეთილი ბატონის შვილების გადარჩენისათვის. გიორგი ორბელიანის გამდელს, ვისაც ქმარ-შვილი თბილისში ჰყავდა დატოვებული, გულამოსკვნილი ქვითინისაგან თავი ვერ შეეკავებინა. კატერინა, კნეინა ორბელიანის მოახლეც, ასევე გულამომჯდარი ზლუქუნებდა, გამოხატავდა რა წუხილს არა საკუთარი თავის, არამედ თავისი ქალბატონის შვილების გამო, რომლებიც უსაზღვროდ უყვარდა. გადამღრძვალმა კნეინა თინიამ, ვინც აქამდე ასე უშიშრად გრძნობდა თავს, ახლა გონება სავსებით დაკარგა: იმ წუთებში, როცა ყოველგვარი მატერიალური საკუთრება უსარგებლო გახდა, გამუდმებით ითხოვდა, მიეტანათ მისთვის საჩაიე ფინჯნები: შიშობდა, მძარცველებს არ ჩავარდნოდა ხელში. თა-

ვად ჭავჭავაძის ძიძა მხურვალედ ლოცულობდა იმ არაჩვეულებრივი მიმიკისა და ჟესტიკულაციის გამოყენებით, რაც ლოცვისას ასე დამახასიათებელია უბრალო ქართველებისათვის.

საშინელი არევ-დარევით შეშინებული სალომე და მარია ვერხვის ფოთლებივით თრთოდნენ და მეკვროდნენ. მე მათ ვთხოვდი, არ ეტირათ. გაისმა ლეკთა გააფთრებული შეძახილები. მათი დარტყმებისაგან მინები აზრიალდა და ჩაიმსხვრა, აჭრიალდა ავეჯი, სკივრებში აწკრიალდა ვერცხლი. ბოლოს ჩვენამდე მოაღწია ორი ფორტეპიანოს ერთმანეთში არეულმა ხმებმა. ველურები კლავიშებზე ხელებს ბოროტად უტყაპუნებდნენ. ბელვედრიდან ხელისგულზე გადაშლილივით ჩანდა მთელი ბაღი. ვხედავდით, თუ როგორ გაივსო იგი ჩალმიანი მხედრებით. თავდაპირველად ორმოცდაათამდე კაცი თუ იქნებოდა, მაგრამ შემდეგ უსაზღვროდ ბევრნი მოზღვავდნენ. ღელე, რაც ერთადერთი გზა გახლდათ სახლში შემოსასვლელად, მთლიანად დაფარეს. საწყალ წინანდლელებს სრული გაღატაკება და გაჩანაგება ელოდათ.

ღრმად დაფიქრებული კნეინა ჭავჭავაძე დიდხანს ხმას ვერ იღებდა. შემდეგ ლიდია აიყვანა და მკლავზე გადაიწვინა. მხოლოდ ზოგიერთს გარდა, რომლებიც დაკეტილ კარს მთელი ძალით აწვებოდნენ და ამაგრებდნენ, ყველანი მუხლებზე ვიყავით დაჩოქილი. ლეკებს გაუკვირდათ, წინააღმდეგობას რომ ვერსად წააწყდნენ. ეს იოლი გამარჯვება მათ კიდევ უფრო ააფთრებდათ. დარბოდნენ ოთახებში, აკაკუნებდნენ კედლებზე და ფიქრობდნენ, რომ რაიმე საგანძურს იპოვიდნენ... და ასე მოგვიახლოვდნენ... მხოლოდ კნეინა ორბელიანი იყო მშვიდად. ჯერ თავისი საყვარელი გიორგი დალოცა, მერე ძიძას გადასცა, მივიდა კარებთან, რომლებსაც მთიელები ძლიერ აწვებოდნენ და ასე ურყევად მდგარი დაელოდა თავის ხვედრს. შესაძლოა, სურდა, პირველი დაცემულიყო, რათა შემდეგ აღარ ეხილა შვილის, დის, მულისშვილისა და დისშვილების წვალება... მაგრამ შეიძლება თავისი პირადი მაგალითით სურდა, საბედისწერო დარტყმის წინ ჩვენთვის მხნეობა ჩაენერგა.

© „ᲙᲝᲚᲘᲥᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲘᲡ“

კარმა რამდენიმე წუთს გაუძლო... მთიელები გაცოფდნენ... ბოლოს და ბოლოს შემოანგრიეს... შეიქმნა საშინელი ორომტრიალი: შემოგვაწყდა ადამიანთა ბრბო... ერთმანეთში აირია გამხეცებულთა შეძახილები და უმწეოთა კივილი... თითოეული ჩვენგანი უცებ აღმოჩნდა რომელიმე მტაცებლის ხელში, წინააღმდეგობის გაწევა კი სრულიად უნაყოფოა... მთიელი (მისი სახის გახსენება დღესაც ტანში მზარავს) მბოჭავს და მივყავარ, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობ მისგან გათავისუფლებას. ბელვედერიდან რომ გადიოდი, კარებში უნდა დახრილიყავი, მაგრამ ჩემს მომტაცებელს ამისთვის არა სცხელოდა და მაგრად ვარტყამ თავს კარის ამყოლზე...

კაცი, რომელსაც მე ვხვდი წილად, ფეხს ადგამს კიბეზე. გაისმის ავისმომასწავებელი ჭახანი, რასაც თან ახლავს შეშინებული შეძახილები... კიბე მტაცებელთა და მათ მსხვერპლთა სიმძიმეს ვეღარ უძლებს და ტყდება... ამ საშინელ წუთს კნეინას რომელიღაც მოახლე ჩემი პალტოს კალთას ჩააფრინდა... მთიელი სწრაფად უბიძგებს მას და ისიც ქვევით მიფრინავს თავპირისმტვრევით. საფეხური, რომელზეც ვდგავართ, შეირყა; სწორედ იმ წამს მთიელი ძალუმად მიჭერს ხელებს და აკეთებს განწირულ ნახტომს მესამე სართულიდან. ჩვენ ვეცემით ეზოში მიმობნეულ ნამსხვრევებს შორის.

მიწაზე დავეცით თუ არა, ერთი ჩალმიანი მძარცველი მოვარდა და ბღლარძუნითა და ერთი ვაი-უშველებელით ცდილობდა, ჩემი თავი გამოეგლიჯა ხელიდან იმისათვის, ვისაც თავდაპირველად ვერგე. ეს კი არ ანებებს... იელვეს ხანჯლებმა... ვიფიქრე, ჩემი მოსპობა განუზრახავთ-მეთქი და დავიყვირე: — მე ფრანგი ვარ! მაგრამ ეგ ძახილი ამაო გამოდგა. ჩემს გამტაცებელს ცალი ხელით ვეჭირე და ამგვარად, ნებაუნებლიეთ მონაწილეობა უნდა მიმეღო ორი ბოროტმოქმედის ქიშპობაში, ჩემს დანარჩუნებას რომ ცდილობდნენ. დაიღვარა სისხლი და მე გადავედი ჩალმიანის ხელში. ჩემმა ახალმა მეპატრონემ, რომელიც ჩაცმულობისა და განსაკუთრებით კი მისი მხეცური შესახედაობის გამო ჩეჩნად ჩავთვალე, წინა ეზოთი გამიყვანა და ორ ნუკერს ჩამაბარა. მისი ლაპარაკი ისე არ

მესმოდა, როგორც მას — ჩემი. მან გადმომცა ორი ცხენი აღვირით დასაჭერად, ხოლო, როცა მოძრაობაზე შემატყო, დავალების შესრულებას თავს ვარიდებდი, მათრახი დასარტყმელად მომიღერა. სირცხვილით გავწითლდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ აუცილებელი იყო ბედს დავმორჩილებოდი.

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ. ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

დიდი სურვილი მქონდა, დამენახა საყვარელი მეგობარი ქალები და ჩემი საცოდავი მოსწავლეები. ჩვენი ეზო, რომლის მოთვალიერებაც დავიწყე, საშინელი სანახავი გახლდათ: ცხენები, ხარები, კამეჩები, აყირავებული საზიდრები, აქვითინებული, ტანსაცმელშემოფლეთილი და გაწეწილთმიანი ქალები... ძალდატანების კვალი ყველაფერს ემჩნეოდა! ჩემი პატარა მარია მეძახდა, მთელი ძალით გაჰყვიროდა; მინდოდა მიმერბინა მასთან, მაგრამ ნუკერებმა დამაკავეს... ვიგრძენი საკუთარი უმწეობა და, რადგან ამ უბადრუკ არსებათა უნებართვოდ ვერ ვბედავდი ფეხის გადადგმას, ვტიროდი და ვეხვეწებოდი, ჩემს საყვარელ პაწაწასთან მისვლის ნება დაერთოთ, მაგრამ არც ცრემლებმა და არც მუდარამ არ გაჭრა! თუმცაღა მალე, რაღაც ბედზე, ცხენზე მჯდარი მარია ჩემ გვერდით აღმოჩნდა; გადავკოცნე და ის-ის იყო, უნდა გამემხნევებინა, რომ ჩემგან შორს წაიყვანეს.

აქეთ-იქით ვიმზირებოდი, იქნებ თვალი წავკრა კეთილ კნეინა ჭავჭავაძეს-მეთქი, და ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე... დავინახე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ყოფაში! მიწაზე გაშხლართულიყო. საბრალო ლიდია მკერდზე მიკვროდა! მშვენიერი თმები გასჩეჩვოდა და, თუ ამოქარგულ კოფთას არ ჩავთვლით, რაც მცირედ უფარავდა სხეულს, მთელს მის ტანსაცმელს შეადგენდა შიდა საცვლები და ქვედაკაბა. მის პატარა გოგონას, ვისაც ძუძუთი კვებავდა, ეცვა მხოლოდ პერანგი: არც სახვევებში იყო გამოკრული და არც რაიმე საბურველი ეფარა, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვილის ნაზი სხეულისათვის. მძარცველებს ცხენები კნეინას ირგვლივ ისე მეტისმეტად ახლოს დაეყენებინათ, რომ ანგარიშმიუცემლად მივიჭერი მას-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

თან, რათა გამეფრთხილებინა, მაგრამ მან თავი წამოწია და იმგვარად დამიქნია, თითქოს მეუბნებოდა, რომ მისთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო, რომ ამ ქვეყანას მაინც აღარ ეკუთვნოდა.

— ბავშვები! ბავშვები! — წამოილაპარაკა მან.

— მარია აი, იქ არის, სალომე კი უფრო იქით, — ვუთხარი მე.

უცებ ვიღაცამ ხელზე ძლიერ მომქაჩა. კნეინას მიტოვება არ მეწადა, მაგრამ ტყვე ქალს ხომ არ შემეძლო, ჩემს ნებაზე ვყოფილიყავი და მაშინვე საკუთარ ადგილს მივაშურე. ამის შემდეგ ჩემ თვალწინ დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია, რამაც მთელი სხეული ამითრთოლა: კნეინას ახლოს გაიმართა საშინელი შეტაკება. თუმცა ქალბატონი ოდნავადაც არ შერხეულა, რათა მოსალოდნელი საფრთხე აეცილებინა. შეტაკება კი მისი მითვისების მიზნით მოხდა. მტაცებელთაგან ბევრი ხვდებოდა, რომ კნეინა ძვირფასი ნადავლი უნდა ყოფილიყო და მის გამო ერთი მეორეს გააფთრებით უტევდა. ბოლოს და ბოლოს ჩხუბი დასრულდა და კნეინა, ჩემს მსგავსად, ერთ-ერთ მეპატრონეს მიეკუთვნა, რომელიც დაიხარა და ჰკითხა:

ჭავჭავაძეთა სასახლე წინანდალში

— შენ ხარ კნეინა ჭავჭავაძე?

— დიახ, — უპასუხა ქალბატონმა და შემდგომ ამისა, თვალებით ძებნა დაუწყო თავის შვილს. ვიღაცამ, ქართულად მოლაპარაკემ, ბავშვზე მიუთითა. მაშინ კნეინამ ყურებიდან მდიდრული საყურეები მოიძრო, გადასცა ისინი ამ კაცსა და შემდეგ კვლავ უგონო მდგომარეობაში ჩავარდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი თვალი მომეკრა კნეინა ორბელიანისათვის; მისი მულიშვილი კი, თავადის ასული ნინო, ჩემს შორიახლო საუკეთესო ცხენზე იჯდა. მეტისმეტად გაკვირვებული დავრჩი, მის მომხიბვლელ ქართულ ჩაცმულობას რომ დავაკვირდი — იგი სრულ წესრიგში იყო და სულაც არ დაჭმუჭვნოდა. მას იცავდა და უფრთხილდებოდა ახალგაზრდა, რომლის სახის გამომეტყველებაც იმდენად სასტიკი არ იყო, როგორც სხვა მტაცებლებისა. სამაგიეროდ სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა კნეინების ღრმად მოხუცი დეიდა. მას ტანსაცმელი შემოსძარცვოდა, ჭაღარა თმები კეთილშობილ სახეზე ჩამოშლოდა, ხოლო ზეცისაკენ ზეაპყრობილი ხელებით თითქოს შესთხოვდა უფალს, დაესაჯა უღირსი არსებანი, რომლებიც არც მის ჭაღარას სცემდნენ პატივს და არც ებრალებოდათ. საცოდავი ასი წლის მოხუცი ქალიც თითქმის ასევე იყო გაშიშვლებული; მთიელები მას მეტისმეტად მკაცრად მოეპყრნენ — ხეზე მიაკრეს. იგი მხოლოდ მეორე დღეს გაათავისუფლეს. რაც შეეხება კნეინა თინიას, ჩვენი წასვლის შემდეგ გაიქცა ტყეში, სადაც გლეხები იმალებოდნენ. აქ მას გადააცვეს მამაკაცის ტანსაცმელი და თელავს წაიყვანეს. ეს ორი უკანასკნელი მსხვერპლი ლეკებმა მიატოვეს: მათი ფიქრით, ისინი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ.

ამასობაში დაიწყო სასახლის ძარცვა: სკივრები, ჭურჭლეული, ვერცხლი, მაქმანები, ბრილიანტები, ძვირფასი შალეული — ყველაფერი ხარბი მტაცებლების ხელში გადადიოდა, თუმცა მათ არც ფასი იცოდნენ მათი და არც იმ ნივთთა იშვიათობისა გაეგებოდათ რაიმე, რომლებსაც პირველად შეეხნენ თავიანთ ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ერთი ამსხვრევდა ვერცხლის სინებს, რათა ტომარაში მოხერხებულად მოეთავსებინა, მეორე მიწიდან იღებ-

© „ღვინისგამოცდა ათასგაფიე“

და ძველ ხელთათმანს ანდა იტაცებდა ძველ ჩვეულებრივ შანდალს, რა თქმა უნდა, იმ ფიქრით, რომ მანაც ძვირფასი ნადავლი იგდო ხელთ. თითოეული ცდილობდა, მოემარაგებინა შაქარი, ყავა, ჩაი. ვიღაც ქილაში მდგარ ფერუმარილს გემოს უსინჯავდა, ვიღაცა კი ყლაპავდა აბუსალათინის ზეთს, რომელსაც ჩვენი სამზარეულოს სურსათ-სანოვაგის ნაწილად მიიჩნევდა. აღმოჩნდა ისეთიც, ვინც ცდილობდა, ჩემთვის ცარცის ნატეხი შეეჭმევინებინა, რათა გაეგო, გემრიელია თუ არა? მთელი ეს სანახაობა გულისამრევი და საშინელი იყო. უხამსობამ აქ მთელი თავისი სახე გამოაჩინა.

ძარცვამ საათზე მეტხანს გასტანა. ბოლოს გამოგვიყვანეს ეზოდან და გზას გაგვიყენეს. მე ფეხით მივდიოდი; ნუკერები კი ამხედრებულნი მგზავრობდნენ. გზის სივიწროვის გამო ერთი წინ მიდიოდა, მეორე უკან მომდევდა. მალე ჩალმიანი მთიელი შემოგვიერთდა. თავზე წასაკრავად ჩვარი მესროლა, რომლითაც სამზარეულოში ჭურჭელს წმენდდნენ და ცხენზე ერთ-ერთი ნუკერის უკან კაცივით შემსვა. სხვა ტყვე ქალებიც ზუსტად ამგვარად მოემგზავრებოდნენ.

ალაზანი

გზამ მდინარესთან მიგვიყვანა. მდინარის პირას უკვე იდგა თავადის ეკიპაჟები. მათი შორს წაყვანა რომ შეუძლებლად ცნეს, ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

ფონზე ცხენებით გავედით. მხოლოდ ერთადერთი კნეინა ჭავჭავაძე მოდიოდა ფეხით. მას მკლავზე გადაწვენილი პატარა ლიდია მოჰყავდა, მაგრამ მდინარის შუაგულს რომ მიაღწია, ნაკადს ვეღარ გაუძლო და ბავშვიანად წყალში ჩავარდა. ლეკებმა მაშინვე ნაპირზე ამოიყვანეს და უკვე სავსებით არაქათგამოლეული ცხენზე შესვეს. აქედან დაიწყო კნეინას ახალი წამებანი. თავისი მომტაცებლის უკან მჯდარს ცალი ხელით ლიდია უნდა მიეკრა მკერდზე, ხოლო მეორე ხელი მაგრად ჩაეჭიდა მხედრისათვის, რათა არ გადმოვარდნილიყო. საცოდავი პატარა, რომელსაც მხოლოდ პერანგი ფარავდა და ცუდად იჭერდა დაღლილი ხელი, ძლიერ ეხეთქებოდა უნაგირს. უბედური, თვალცრემ-

ლიანი დედა ამაოდ ევედრებოდა მასთან მიმავალ მთიელს — მიეცა რაიმე ქსოვილი, რითაც ბავშვს ტანზე მიიკრავდა... მაგრამ იგი ქალის საწყალობელ ვედრებას და საშინელ წვალებას აინუნშიაც არ აგდებდა!

კნეინა ორბელიანი საკუთარ თავს უწყრებოდა, რატომ თვითონ არ დაიტოვა ლიდია; თუმცა ეს იმიტომაც მოხდა, რომ მისი და თვითონვე აწოვებდა ძუძუს გოგონას, და, რადგანაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თითოეულ ჩვენგანს ბედი სად გადაისვრიდა, ასეთ ვითარებაში დედაშვილის განშორება და განცალკევება არაგონივრული იქნებოდა. მართალია, ალექსანდრე ჭავჭავაძე ძიძას ხელიდან გამოსტაცეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩააბარეს საიმედო ხელებს — კნეინას მოახლე ლუციას, რომელიც, როდესაც საშუალება არ ჰქონდა რაიმე საკვები ეშოვა, ბავშვს თოვლს აჭმევდა (ტყვეებს ხშირად უხდებოდათ ალპურ ზონაში სიარული, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა მწვანე მოლი და ფითქინა თოვლის საფარი.) და ასე გადაარჩინა იგი სიკვდილს. სამაგიეროდ ამ შემთხვევაში გიორგი ორბელიანი უფრო იღბლიანი გამოდგა. მისმა ჯანსაღმა სხეულმა და მკვრივმა აგებულებამ მთიელთა ყურადღება მიიქცია: იგი დაუტოვეს თავის ძიძას, რომელ-

ალაზნის ხეობა

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

საც ტომარაც მისცეს და მანაც საიმედოდ მიიკრა ბავშვი სხეულზე.

ჩემი მოსწავლეები ზოგჯერ ჩემთან საკმაოდ ახლოს მოდიოდნენ. მაშინ შესაძლებლობა მეძლეოდა მათთან მელაპარაკა და ყმაწვილები დამემშვიდებინა. სალომე, რომლის ქცევაშიც უკვე კეთილშობილური სიამაყე იგრძნობოდა, ხმამაღლა წყრებოდა მასთან მჯდომ კაცზე და თავისი პატარა მჯიღით ემუქრებოდა. იმით შეშფოთებული, რომ ცუდად არ მოქცეოდნენ, ყოველნაირად ვცდილობდი, დამეწყნარებინა. რაც შეეხება მარიას, თავისი სილამაზითა და თავაზიანობით მოიგო. პირველად ბევრს ტიროდა, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ ვაშლი მიაწოდა, რასაც ჭამა დაუწყო და ჩაჩუმდა. მალე გლეხის პატარა ბიჭუნა და თავადის ნებიერი — ელო მიუახლოვდა მარიას. ამის შემდეგ უდარდელმა ბავშვმა ცელქობა და სიცილი დაიწყო.

ნაჭრებად და ნაფლეთებად ქცეული ჩვენი ტანსაცმელი, შლაპები და სხვა ნივთები ამშვენებდნენ ცხენებსა და მთიელთა თავებს. ერთ მათგანს ტრიუმფით მიჰქონდა ჩემი ქოლგა: მთიელებსაც ისევე, როგორც არაბებს, ქოლგა კეთილშობილების ნიშანი ჰგონიათ.

გრძელი გზის გავლის შემდეგ ჩვენი გამტაცებლები დასასვენებლად შეჩერდნენ მოზრდილ მდელოზე. საქმის კეთილად დაგვირგვინების ნიშნად რამდენიმეჯერ კიდეც გაისროლეს. ამ სიგნალზე შემოკრბა მრავალი ჩეჩენი და ლეკი, რომლებიც წინანდლის ძარცვის მოსამთავრებლად იყვნენ გაგზავნილი.

მომიახლოვდა ერთ-ერთი მთიელი, მაჩვენა თავადის სასახლიდან მოტაცებული ფრანგული წიგნი სათაურით „ქრისტიანობის სული“. იგი უმეცრის ხელს დაემახინჯებინა; ძლიერ მომინდა მქონოდა მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნი, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ, სავსებით შესაძლებელი იყო, სხვა ვეღარც კი მეხილა ვეღარასოდეს! მთიელმა მკითხა, თუ რა იყო ეს? რუსული ენა არ ვიცოდი და ერთი სიტყვით ვუპასუხე — კარგია. ამ დრო იწყეს წასასვლელად მზადება. მთიელმა აიღო თავისი წიგნი და გამეცალა.

თამარი, თავად ჭავჭავაძის სამი წლის გოგონა, ხმამაღლა ტიროდა, რადგან მთიელებს ეწადათ, იგი ძიძისათვის

წაერთმიათ. მისმა ჩხავილმა თავი მოაბეზრა მტაცებლებს. ამის გამო ბავშვი ტომარაში მოათავსეს. როცა პატარა მთიელთა საშიშარ სახეებს ვეღარ ხედავდა, ტირილი შეწყვიტა და ჩაიძინა.

მიგვაცილებდა სამიათასკაციანი ჯგუფი. ამ მიზეზით ხშირად ერთურთისაგან შორი-შორს მივდიოდით. ბოლოს კნეინები და მათი ბავშვები მხედველობის არედან სავსებით დამეკარგნენ. ნაღველი, რომ ცოტათი მაინც გამეფანტა, მინდვრებს ყურადღებით თვალიერება დავუწყე. შემენანა საუცხოო ყანები, რომლებსაც მთიელები ასე უმოწყალოდ თელავდნენ თავიანთი ცხენებით. პირწავარდნილი ბარბაროსები! ამით სურდათ, საბოლოოდ დაეგვირგვინებინათ ასე წარმატებით წამოწყებული საზიზღარი გაჩანაგება-გავერანება.

როგორც იქნა, ალაზანს მივაღწიეთ. მრისხანე მზერა შემოგვაგება ამ მდინარემ. იგი ნაწვიმარზე ღვარებისაგან სულ მთლად გადარეულიყო და ნაპირზე გადმოსულიყო. ნუთუ, — გავიფიქრე, — მეკობრეთა განუსჯელობა იქამდე მივა, რომ ისინი მართლა გაბედავენ გახელებულ მდინარეზე გადასვლას? მათ ეს მართლაც გაბედეს და, უნდა ითქვას, ისე მარჯვედ და მამაცურად განახორციელეს მდინარის გადალახვა, გაოცებული დავრჩი. მანამდე ამის მსგავსიც კი არაფერი მენახა. ბავშვები რომ არ დასველებულიყვნენ, ცხენების ქედზე დასვეს და ხელებით აგვიხსნეს, ამ მდგომარეობაში ისინი რაც შეიძლება მაგრად გვჭეროდა. შემდგომ ამისა, უცებ შეაგდეს ცხენები წყალში; რაც არ უნდა მაღლა აეწიათ თავები ცხენებს, წყალი მაინც ზედ ყურებთან ადგებოდათ. თუმცა, უნდა გენახათ, რა საშინელი დაძაბულობით ცდილობდნენ მტრულად დაპირისპირებული სტიქიის დაძლევას! მდინარის შუაწელს რომ მივატანეთ, მარიამ დაიყვირა: „მადამ, კაბა გეკარგებათ!“ სამწუხაროდ, ეს ასეც მოხდა და მდინარის გადალახვის შემდეგ ჩემს ტანსაცმელს მხოლოდ პერანგი და კორსეტი შეადგენდა. სიცივემ ამაძაგძაგა, მაგრამ ერთერთ მთიელს შევეცოდე და ნაბადი მომახურა.

ალაზანგაღმა გასულები რამდენსამე წუთს შევდექით. ჩემმა გამყოლმა ჯიბიდან სიმინდის ფქვილი ამოიხვეტა და

© „ღვასკვამსწრეგნი ათასკაფი“

ამ ღარიბულ საჭმელზე დამიწვია. მომაწოდა მოხარშული კამეჩის ხორცის ნაჭერი, რომელიც სიმაგრით მხოლოდ ქვას თუ ჩამოუვარდებოდა. გახევებული ნაჭერი უკანვე დავუბრუნე და წყალი ვსთხოვე. ამ დროს ჩალმიანი მთიელი მომიახლოვდა, თითიდან წამგლიჯა მის მიერვე დატოვებული უკანასკნელი ბეჭედი. მეორე ბეჭედი და სხვა ძვირფასეულობანი მან ჯერ კიდევ სასახლის ეზოში ამართვა. მერე ნუკერებს რაღაც უბრძანა და გაგვშორდა. შემდგომ ამისა, ხარ-კამეჩებიანი ჩემი გამცილებელი სხვა გზით წავიდა, თუმცაღა ეს გზა ძალიან არ შორდებოდა იმას, რომლითაც მოდიოდნენ ჩემი ძვირფასი თანამგზავრი ქალები.

თავდასხმა. ლიდიას სიკვდილი

ამასობაში ჩვენს ახლოს დიდი განგაში ატყდა. ქართველთა უმნიშვნელო რაზმი ჩვენს გათავისუფლებას ცდილობდა. იგი მოულოდნელად თავს დაეცა ბადრაგს და სროლა აუტეხა. მთიელები რიცხობრივად დიდად სჭარბობდნენ მათ, მაგრამ შიშობდნენ, ამ პატარა ჯგუფს დიდი ძალებიც არ მოჰყოლოდა და, გადაგვაფარეს რა თავზე ნაბდები, გაიქცნენ. ისინი ყურადღებასაც არ აქცევდნენ ყანებს, ხევ-ღრანტეებს, თხრილებსა და სხვა წინააღმდეგობებს. ჰაერი შეძრა ძახილმა: „იმამი შამილი! იმამი შამილი!“. მათრახითა და ყიჟინით გაფიცხებული ცხენები ისეთი საშინელი სისწრაფით მიჰქროდნენ, რომ სუნთქვა გვეკვროდა.

ეს ჯოჯოხეთური ჭენება საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მხოლოდ შებინდებისას მიუშვეს ცხენები ჩორთით. გზა ჭაობიან ადგილებში გაწვა. ლიანები და ეკალ-ბარდები, ღიჭი და ბრული ყოველწამს გვიღობავდა გზას. კნეინა ჭავჭავაძემ ახლოს ჩამიარა. იგი მწუხარე და ფერდაკარგული ჩანდა... თან აღარ ჰყავდა ლიდია, რამაც ძლიერ ამაფორიაქა. რა იქნა ჩვენი პატარა ქალბატონი? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს, მაგრამ არავის შეეძლო ეს ჩემთვის აეხსნა და საშინელი გამოცანის ამოხსნის მოლოდინში იძულებული ვიყავი, მოთმინებით აღვჭურვილიყავი.

ბევრი ქართული სოფელი გავიარეთ. სოფელთა მთელი წყება ცეცხლის ალში იყო გახვეული. თითქმის ყველა ცეცხლწაკიდებული სახლიდან გამოჰყავდათ ტყვეები და

ჩვენს ჯგუფს უერთებდნენ. მცირე ბორცვს გადავადექით. ამ დროს თვალთა მზერა მომტაცა უზარმაზარი ხანძრის ლაპლაპმა... შეძრწუნებულმა წამოვიყვირე. ლეკებმა ამიხსნეს, რომ ეს წინანდლის სასახლე იწვოდა.

უბედური თავადი! ისიც ხედავს ამ ავისმომასწავებელ ანაშუქს. ყველაფერი, რაც კი რამ ძვირფასი აბადია, იქ არის: ცოლი, შვილები, დაი, დისშვილი, მეგობრები, დიდი სიმდიდრე, რაიც რამდენიმე საათში არარაობად იქცეოდა... სისხლი ყელში აწვება, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობა ნებას არ აძლევს, თავისი ადგილი მიატოვოს. ასეთ ვითარებაში რა უნდა გააწყოს? მხოლოდ ის, რომ იტიროს როგორც ქმარმა, მამამ, ნათესავმა... გამძვინვარებული ცეცხლი კი არავითარ იმედს არ უტოვებს; იგი, რა თქმა უნდა, ფიქრობს, რომ ჩვენ, ყველანი დავიღუპეთ.

ყველა არა, მაგრამ ლიდია კი აღარ იყო ამქვეყნად! უკვე აღვნიშნე, თუ რა სისწრაფით გარბოდნენ მტაცებელნი, უფრთხოდნენ რა მდევარს... კნეინა ჭავჭავაძეს კი ძალა სავსებით გამოელია. ხელი, რომლითაც დილიდან მოყოლებული ეჭირა ბავშვი, დაუბუჟდა. მოულოდნელი ბიძგისაგან კნეინას ბავშვი ხელიდან უვარდება; ჩვილი ეცემა ბალახზე. უბედური დედა შემაძრწუნებლად კივის და ცდილობს, ცხენიდან გადმოეშვას, ნორჩი აიტაცოს, მაგრამ მთიელი თავისი რკინის ხელით ბოჭავს, ყურადღებასაც არ აქცევს მის კივილსა და ცრემლებს. მათ უკან თავქუდმოგლეჯით მსრბოლმა ცხენებმა კი ჩვილი გადათქერეს... ხოლო რომელიღაც ჩეჩენმა ხანჯლის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

კნეინა ამ დროისათვის უკვე შორს იყო და ეს მხეცური მოქმედება არ დაუნახავს. იგი თავს დიდხანს იმ რწმენით იმშვიდებდა, რომ ბავშვს ვიღაც მადლიანი აიყვანდა. და, თუმცა ძალზე დიდი იყო მისი დედური შეშფოთება, მაინც, მსგავს ბარბაროსობას თუ ჩაიდენდნენ, აზრადაც არ მოსვლია. უკვე საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ მომხდარი ამბის მესამე დღეს ლიდიას სხეული უპოვიათ იმავე ადგილას, სადაც დავარდა და მამისათვის მიუტანიათ.

პატარა ადამიანი ახლა წინანდლის მომცრო ეკლესიაში განისვენებს.

© „ღვინისმცოდნე ათინათელი“

იმავდროულად იმავე ადგილას უპოვიათ, აგრეთვე, სამოცი მსხვერპლის გვამიც. მათგან სამი წინანდლელი იყო: ლიდია, თავადის მოურავის მეუღლე დარეჯანი და მღვდლის ცოლი. ბევრს თავდაპირველად ფოფოდია მე ვეგონე, რის გამოც მრავალმა ფრანგულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ცნობა ჩემი სიკვდილის თაობაზე და თავიანთი უნებლიე შეცდომით ძლიერ დაამწუხრეს ჩემი მშობელი და ნათესავები.

ღამე ტყეში. ჰაჯი-ქერიმი

დადგა სრული ღამე. მეტად დაბურულ ტყეში შევედით და გზის გასაგრძელებლად ტოტები და ლიანები განუწყვეტლივ უნდა გვერღვია. ამ მიზეზით ძალიან ნელა მივიწევდით წინ. ჩვენი პატრონები ჩქარობდნენ, მალე გასცლოდნენ ქართულ მიწებს. ამიტომაც, მიუხედავად გზის სიძნელისა, ძალიან დიდხანს შეუსვენებლივ მივდიოდით, წუთითაც არსად შევმდგარვართ. ხან აქ, ხან იქ გაისმოდა ქალების კივილი, როცა მათი თმები ხეებს გამოებლანდებოდა ანდა ფეხებში ეკალი შეერჭობოდათ. დღესაც სისხლი მეყინება, იმ შემაძრწუნებელ პირველ ღამეს რომ ვიხსენებ!

აქამდე საკმაოდ ბედნიერი, ვიმყოფებოდი ველურის, მაგრამ მაინც საკმაოდ ადამიანური მთიელის ზედამხედველობის ქვეშ; და რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ უფრო საშინელი ახალი პატრონის ხელში მოვხვდებოდი და უფრო მეტი წვალების ატანა მომიხდებოდა. ჰაჯი-ქერიმის (ასე ერქვა ჩალმიან მთიელს — ორი ნუკერისა და ჩემს გამგებელს) ბრძანებით, ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავი, დამებრუნებინა ნაბადი, რომელიც ალაზნის გადალახვის შემდეგ მომახურეს, და ასე მივყოლოდი ჩემს მფლობელს.

ჩვენ წინ ნუკერები ნაალაფარ ხვასტაგს მიერეკებოდნენ და გზას გვიკვალავდნენ. კნეინებს მოშორებული ვიყავი. უკვე კარგა ხანი გავიდა, რაც მთაზე ასვლა ვიწყეთ. თუმცა ჯერ კიდევ ვერ გამეგო, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ამ შეღმართს. არაქათი თანდათან გამომელია და დავეცი. წარმოიდგინეთ, რა სირცხვილსა და სასოწარკვეთაში ჩავვარდებოდი, როცა უმწეო მსხვერპლს მათრახი დამიშინეს! თავს დატეხილი უბედურების გადა-

სატანად დიდი მოთმინებით აღვიჭურვე, მაგრამ განა შემეძლო წინდაწინ განმეჭვრიტა და მცოდნოდა ყველა განსაცდელი და წამება, რაც კვლავ მელოდა?

ამაოდ ვატანდი თავს ძალას, გზა რომ გამეგრძელებინა. ღამეული ტყის წინააღმდეგობებმა სულ დამაძაბუნა... მეორედ დავეცი. ჰაჯი-ქერიმმა კვლავ დამარტყა. ავდექი, მაგრამ მან ბრაზიანად დამცა მიწაზე... მომეჩვენა, ჩემი მოკვლა მოისურვა-მეთქი. ცალი ხელი რომ პირზე დამაფარა, მეორე მკერდზე მთხლიშა. ეს ხელი კორსეტში შეჩურთულ ჩემი შვილის პორტრეტს მოხვდა. და მთიელიც ახალი ენერგიით მეძგერა: რამდენიმე პატარა ხატსა და წერილებთან ერთად მკერდიდან ჩამომგლიჯა შვილის პორტრეტი, რომელსაც, როგორც სანუკველ განძსა თუ თილისმას, ისე ვუფრთხილდებოდი და ვინახავდი. ყაჩაღს ხატები თითებიდან დაუცურდა. მთიელს ის ფული ეგონა და მოინდომა, უსათუოდ მოეძებნა. სულდაუთქმელად მირტყამდა ხან მათრახსა და ხან კიდევ მჯიღებს, რათა მეც დავხმარებოდი ძებნაში, მაგრამ ჩემი და მისი ცდა ამაო გამოდგა და გავუდექით გზას ორივე უკმაყოფილო — იგი თავისი დანაკარგით, მე კი მისი სასტიკი მოპყრობით.

მალე კოცონები შევნიშნეთ და იქითკენ გავემართეთ. სიარულმა და სიცივემ ფეხები სრულიად გამიხევა. საშინელი წყურვილიც მკლავდა. დაჟინებით ვსთხოვდი ჩემს ჯალათს, წყალი დაელევინებინა და, რადგან მეჩვენებოდა, რომ ჩემი არ გაეგებოდა რა, ვუთითებდი თუნგებზე (სპილენძის დოქებზე). ეს ჭურჭლები იმ ცხენებზე იყო გადაკიდებული, რომელთა შორიახლოსაც შევჩერდით. ჰაჯი-ქერიმმა ბრძანება გასცა, მისთვის მიწაზე ნაბდები გაეშალათ; ერთი ნაბადიც მისივე მითითებით ჩემთვის დაეფინეს, ოღონდ დაჯდომაზე უარი განვაცხადე: მერჩივნა, ერთ-ერთ ცხენს ჩამოვყრდნობოდი, რომლისაც ისე არ მეშინოდა, როგორც ამ ორფეხა ბარბაროსისა. იგი აქ ორ საათს მაინც იჯდა. მე კი ძლიერ მაწამებდა სიცივე და წყურვილი. ბოლოს მთვარეს ახედა, ნაბადი კვლავ ცხენზე მოათავსა და ისევ გავაგრძელეთ გზა. ფეხები დამისისხლიანდა; რაც უფრო წინ მივინევდით, გზა მით უფრო უარესდებოდა; ყოველნაირად ვფრთხილობდი, მაგრამ

© „ღვასკამსწრგნგ ათსსფაფეი“

წვეტიანი ქვები და ეკალბარდები მთელ სხეულს მისახიჩრებდა. ჩემი ცემა-ტყეპა გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობდი, ის არ დამემსახურებინა. გზის გაგრძელება ვეღარ შევიძელი, მიწაზე დავეცი და, ჩემს ტანჯვა-წამებას რომ ბოლო მოღებოდა, ღმერთს სიკვდილი შევსთხოვე. ჰაჯი-ქერიმმა კი საუბარი გამიბა. მისი სიტყვებიდან მხოლოდ ეს გავიგე:

— შენ კნეინა ხარ?

ამ შეკითხვით მან უკვე რამდენიმეჯერ მომმართა. რასაკვირველია, უნდოდა შეეტყო, ჩემში რა გამოსასყიდს მიიღებდა. აზრადაც არ მომსვლია მეთქვა, კნეინა ვარ-მეთქი, თორემ ამას, შესაძლებელია, ბევრჯერ დავეხსენი აუტანელი მოპყრობისაგან.

— მე გუვერნანტი ვარ.

ჰაჯი-ქერიმს ფრანგული არ ესმოდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, კაცთმოყვარეობა გამოეჩინა. ჩემგან საკმაოდ ფასეული ნივთები წაიღო და ამის შემდეგ მას ვერც წარმოედგინა, რომ მე, შესაძლოა, უბრალო გლეხის ქალი ვყოფილიყავი. ამიტომაც მკითხა:

— შენ ქალბატონი (ქალბატონი ხარ)?

— დიახ, ვუპასუხე მე.

ბოლოს ერთ-ერთი ნუკერი იხმო და მხრებში შემიდგნენ. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიფე, რათა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადამედგა.

როგორც იქნა, ავაღწიეთ მთის მწვერვალს და თავქვე დავეშვით. არ შემიძლია განვსაზღვრო, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ძნელი გადასვლა. სამივენი ერთდროულად არაერთგზის დავეცით. მაშინ ჰაჯი-ქერიმი შმაგდებოდა და თავის მარცხში ბრალსა მდებდა. ივანე, პირიქით, ყოველთვის ალერსიანად მეპყრობოდა: როცა, მაგალითად, ჩემი შემაგრება ან წამოყენება უხდებოდა, ამას აკეთებდა ფაქიზად, უხეშობის გამოუვლენლად. ჩვენი მეპატრონე პირწავარდნილი ჯალათი გამოდგა. და, თუ სიცოცხლეს არ გამომასალმა, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა, ჩემში დიდ გამოსასყიდს მიიღებდა — მან ხომ არ იცოდა, ვინ ვიყავი!

საბოლოოდ, როგორც იქნა, გავივაკეთ. აქ ივანემ ჰაჯი-ქე-

რიმის უკან ცხენზე შემსვა, მაგრამ უნაგირში მავთულები იყო ამოჩრილი და აუტანელ ტკივილს მაყენებდა. არაერთხელ აღმომხდა მკერდიდან თავშეუკავებელი კივილი. თუმცა ჰაჯი-ქერიმი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ეს მიმითითა: მის ქამარს მაგრად ჩავჭიდებოდი. ყველაფერ ამასთან ერთად, წარმოიდგინეთ ჩემი საშინელი მდგომარეობა, როცა საკუთარი თავის გადასარჩენად იძულებული ვიყავი შევხებოდი ჩემს ჯალათს, მოწყვეტილი ვიყავი ყველა ახლობელს და ვიმყოფებოდი ორ უცხო კაცს შორის, რომელთაგან ერთი შიშის ზარსა მცემდა, ხოლო მეორეს, პირველის ნების უენო შემსრულებელს, არ შეეძლო რაიმეთი დამხმარებოდა, კიდევაც რომ მოესურვებინა.

როდესაც რომელიღაც ნაკადული გადავლახეთ, მიბრძანეს ჩამოვქვეითებულიყავი და მოხერხებულ ადგილზე გავჩერებულიყავი. წყურვილისაგან გული მიღონდებოდა და უკვე ისიც აღარ შემეძლო, წყალი ხვეწნა-მუდარით გამომეთხოვა. რუ კი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მიჩხრიალებდა. გადავწყვიტე, მივსულიყავი მასთან, მაგრამ ივანემ დამაკავა. დღემდე ვერ ამიხსნია, რა იყო ამის მიზეზი! მან მიწაზე ნაბადი დააფინა და მანიშნა, დავმჯდარიყავი. უმალ დავემორჩილე. ჰაჯი-ქერიმმა აიღო ხალიჩა, რომელიც მის უნაგირს ეფარა და რუს პირას გაშალა. შემდგომ ამისა, ჩემთან მოიტანა თავისი იარაღები და ჩემს სხეულზე დაალაგა — ნიშნად იმისა, რომ მე მისი მონა ვიყავი. თავი მოიშიშვლა და ღელეს მიუახლოვდა, დაიჩოქა იმ ადგილზე, საიდანაც კარგად მოჩანდა მთვარე და დიდხანს ლოცულობდა. მეც ვლოცულობდი — ღმერთს ვემუდარებოდი: ან დავებრუნებინე კნეინებთან, ანდა სიკვდილი ერგუნებინა...

ჰაჯი-ქერიმმა ლოცვა მოათავა და მომიახლოვდა. ივანემ ნაკადულიდან აღებული წყალი მიაწოდა. მანაც შესვა და თუნგი მე გადმომცა, რომელშიც ივანემ რაღაც თეთრი საგანი ჩააგდო: გემოთი მივხვდი — შაქარი უნდა ყოფილიყო. ხარბად დავეწაფე წყალს, თუმცა წყურვილი მაინც ვერ მოვიკალი.

ამ დროს ჰაჯი-ქერიმმა ჯიბიდან ამოიღო ჩემგან წაღებული ძვირფასეულობანი, რომელთა შორის გახლდათ ჩემი შვილის პორტრეტიც. მან არ იცოდა, რა გამოსახულება

© „ღამისფრთიანი“

იყო ეს და დიდად უკვირდა. ვცდილობდი, მისთვის გამეგებინებინა, რომ ჩემი ბავშვის სურათი იყო, თან ვთხოვდი, უკანვე დაებრუნებინა. ამ სიტყვების წარმოთქმისას მივუთითე მთვარეზე და წარმოვსთქვი ალლა იია (ღმერთი არს), ორადორი არაბული სიტყვა, რომლებიც ვიცოდი. ამან იგი განაცვიფრა. მაშინვე საუბარი გამიმართა, მაგრამ მისი არაფერი მესმოდა. მგონი სწორედ ამ წუთიდან დამიწყო თანაგრძნობით ცქერა და მეტად აღარ ვუცემივარ.

ძიძა

გზა ამხედრებულებმა გავაგრძელეთ. უწინდებურად კვლავ ჰაჯი-ქერიმს ვეჯექი უკან. მან ჟესტებით ამიხსნა, თუ როგორ ჩამეჭიდა მისთვის ხელი. ამან მიმახვედრა, რომ ჩვენ სწრაფად ვივლიდით. მართლაც, ცხენები ჩორთით მიუშვეს და ასე დიდხანს გაგრძელდა. ივანე წინ საკმაოდ დიდ მანძილზე მიაჭენებდა. შორს რაღაც საგანი შევნიშნეთ, რომელიც მიწას თანდათან გამოეყო. საგანი მოგვიახლოვდა და მალე გავარჩიეთ ადამიანის ფიგურა. ეს ლეკი მწყემსი აღმოჩნდა, ვისაც ძონძები სხეულს ძლივს უფარავდა. იგი ჰაჯი-ქერიმს მიუახლოვდა, რაღაც ბეჭედი აჩვენა, რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს და გაშორდნენ. არ ვიცოდი, მთიელთა შორის რა ავტორიტეტით სარგებლობდა ჩემი განმგებელი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მის ნაიბურ მედლებს, საფიქრებელია, რომ საკმაოდ წარჩინებული კაცი იყო. გზაზე, რაც მივარდნილ ადგილებში გადიოდა, ბევრ მღვიმეს ვხედავდი. ისინი კოცონებს გაენათებინა. ცეცხლს ირგვლივ მწყესები შემოსხდომოდნენ. ეს ამტკიცებდა, რომ ამ ადგილებში მშვიდობით შეიძლებოდა მგზავრობა და სულაც არ იყო მოსალოდნელი რუსთა თავდასხმა.

განთიადისას შესასვენებლად ჭაობიან ადგილზე გავჩერდით. მეპატრონემ განკარგულება გასცა, ცხენიდან გადმოვსულიყავი. ამ დროს გაოცებით შევნიშნე რამდენიმე ქართველი ქალი, რომელთაც მთიელები ჰყარაულობდნენ. ამ უკანასკნელთ ჭაობიდან ჯღდეთა ძირკვები დაეთრიათ, გროვად დაეხვავებინათ და წვავდნენ. ის-ის იყო, გასართობად კოცონთან მისვლა დავაპირე, რომ ვი-

ღაცის ალერსიანმა ხმამ გულთბილად წარმოთქვა ჩემი სახელი. იმ მხარეს მივიხედე, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა და, წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როდესაც ქართველ ქალთა შორის შევნიშნე საყვარელი კნეინა ორბელიანი. იგი მიწაზე დაფენილ რამდენიმე ნაბადზე იჯდა. მაშინვე მასთან მივირბინე. როდესაც შენიშნა, ფერმკრთალი და გამხდარი ვიყავი, მომეხვია; ცდილობდა გავეთბე.

— ოჰ, ქალბატონო! გუშინ რამდენი გეძებეთ...

— რა მოუვიდა ჩემს შვილს? — იკითხა მან.

— გიორგი სწორედ ტყეში შემოსვლის წინ დავინახე, მის შეუპოვარ ძიძას ეჭირა.

ამ ცნობამ საბრალო დედა ცოტათი დაამშვიდა. შემდეგ მოვუთხრე ჩემ მიერ გადატანილ ტანჯვა-წამებაზე. მალე ჩემს წასაყვანად ჰაჯი-ქერიმმა მოგვაკითხა.

— ეგ ფრანგი გენერლის ცოლია, — უთხრა მას კნეინამ, — მინდა ჩემთან დარჩეს.

გენერლის ცოლი არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ კნეინას სურდა, ამით ჩემდამი ჰაჯი-ქერიმის პატივისცემა გამოეწვია.

— შენ კი თავად ვინღა ხარ, ასე რომ ლაპარაკობ? — იკითხა მან.

— მე კნეინა ბარბარე ორბელიანი ვარ.

— განა დიდ გამოსასყიდს მომცემენ მაგისათვის? — აგრძელებდა შეკითხვებს ჰაჯი-ქერიმი და თან ჩემზე უთითებდა, — წინააღმდეგ შემთხვევაში მე მას ჩემთან დავიტოვებ.

შემდეგ ქალბატონს ჩემთვის წართმეული წერილები უჩვენა:

— ეს ქაღალდის ფული ხომ არ არის, ასე უხვად რომაა რუსეთში? — შეეკითხა იგი.

— არა, ეს ფული არაა, — მიუგო კნეინამ.

— მაშ, რა არის?

— ნათესავების წერილებია.

— თვითონ ქალია თუ ქალწული?

— ის არის დედა.

— ბავშვები ჰყავს?

— ერთი შვილი ჰყავს.

— რუსია თუ ქართველი?

© „ღვასკვამსწრეგნე ათინასკაფრე“

— არც რუსია და არც ქართველი. ფრანგის ქალია. მისი სამშობლო აქედან ძალიან, ძალიან შორს მდებარეობს.

ამით ჰაჯი-ქერიმმა თავისი შეკითხვები დაასრულა, მაგრამ, ჩვენგან რომ მიდიოდა, ჩემი წერილები ცეცხლში მოისროლა. უნდა გამოსცადო მთელი ჩვენი ტანჯვა-წვალება, რომ მიხვდე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილისათვის გულით საყვარელი ადამიანებისაგან მოწერილ ბარათებს. სწორედ ამიტომაც ჰაჯი-ქერიმის მოქმედებამ — თვალისდახამხამებაში რომ გაანადგურა ჩემი უძვირფასესი განძი, მეტისმეტად გამანაწყენა.

ეს კაცი მალე კვლავ დაბრუნდა, ჩოხა გაიხადა და კნეინა ორბელიანს მიუგდო დასაკემსავად. მისი მოქმედება არ მომეწონა და ქალბატონს სამოსი ხელიდან გამოვსტაცე. ჰაჯი-ქერიმი ამას სულაც არ გაუნაწყენებია. ჯიბიდან მშვიდად ამოაძვრინა რაღაც ფუტლარის მსგავსი, რომელშიც ნემსი და ძაფი ჰქონოდა, და იგი კნეინას გადასცა. ჩემი განაწყენების მიუხედავად, კნეინა მაშინვე შეუდგა საქმიანობას. რამდენადაც შემეძლო, ხელს ვუწყობდი. ამ დროს მთიელებმა წინანდალში ნაძარცვი ჩაის სმა გააჩაღეს. არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც სიბრალულის გამო, ჩვენთვისაც შეეთავაზებინა ფინჯანი ჩაი.

ერთი საათის შემდეგ კნეინა ჭავჭავაძის ბავშვების ძიძა — ალექსანდრა მოგვიახლოვდა. მისმა დანახვამ ყველა დაგვაშინა და აგვაფორიაქა, რადგან უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა: თავი სამ ადგილას გაეჩეხათ ხმლით და, ეტყობა, ხშირმა თმამ უშველა — სიკვდილისაგან დაიფარა. მთელი ზურგი გადატყავებული და დასისხლიანებული ჰქონდა; მარცხენა ხელი დასახიჩრებული, ხოლო ერთ-ერთი თითი — თითქმის მთლიანად მოკვეთილი, ხელის მტევანზე ძაფით მიმაგრებულივით ეკიდა. აღარ ვიცოდით, რითი დავხმარებოდით ამ უბედურს — მთიელნი ხომ არაფერს არ გვაძლევდნენ. საბედნიეროდ, კნეინა ორბელიანს გადაენახა თავისი უბრალო ქვრივის კაბა. მან მყისვე მოახია მას სახელო და ალექსანდრას ხელი შეუხვია, მაგრამ რა უნდა გვეღონა თავზე არსებული იარების მოსარჩენად? ქალს თავზე სისხლი შეხმობოდა, ჩვენ კი უმწეონი ვიყავით, რაიმე გაგვეხერხე-

ბინა. ამიტომაც კნეინა მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ავადმყოფს თავი საკუთარი თავსაფრით შეუხვია.

ამასობაში ჩოხის წასაღებად ჰაჯი-ქერიმი მოვიდა. იგი, როგორც ჩანს, ნახელავით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ეს ჩვენ მხედველობიდან გამოგვეპარა, ვინაიდან მთელი ყურადღება დახეიბრებულ ძიძაზე გვქონდა გადატანილი...

დავიძარით. ცხენზე მჯდარი კნეინა წინ მიდიოდა, მე და ალექსანდრა ფეხით უკან მივლასლასებდით, რომელიღაც ადამიანის სახიანი ურჩხული წამდაუწუმ ურტყამდა სისხლის დაკარგვითა და ტკივილებით სავსებით მისუსტებულ, უბედურ დაჭრილს. იგი მოითხოვდა, არ მიმეტოვებინა. სამწუხაროდ, ვერაფრით ვეხმარებოდი, მაგრამ დიდად ანუგეშებდა ის, რომ გვერდით ჰყავდა არსება, რომელიც თანაუგრძნობდა. ბოლოს, როდესაც იმდენად მოუძლურდა, რომ სიარული გაუჭირდა, მთელი ძალით დაუწყო ძახილი კნეინა ორბელიანს შემდეგი სიტყვებით: დედი! დედი! მეც ავყევი. კნეინამ გაიგონა ჩემი ყვირილი და, მიუხედავად გამყოლის ძლიერი შეწინააღმდეგებისა, ცხენი შეაჩერა. დიდის ვაი-ვაგლახით მივლასლასდით მასთან და ჩვენი გამყოლის სისასტიკის შესახებ მოვახსენეთ. კნეინამ გარშემოჯარულ მთიელებს ამის შესახებ აუწყა, მაგრამ იმათ ჩვენი თხოვნა-მუდარა ყურად არ იღეს. საბოლოოდ ქალბატონმა მაინც აიძულა ისინი, დაჭრილი ცხენზე შეესვათ, მისთვის ხელი რომ არ შეეშალა ტალახს, რის გამოც იწყო ჩამორჩენა. ეს რომ მთიელებმა შენიშნეს, აიძულეს ცხენზე ძიძასთან ერთად დამჯდარიყო, მაგრამ ამ ქალს, მეტისმეტად სუსტად რომ გრძნობდა თავს, ცხენზე თავის შემაგრება უჭირდა და იძულებული იყო, კნეინას დაყრდნობოდა; ამასთან, იგი ზონზროხა ტანისა გახლდათ და კნეინამ იმდენი ძალა მიახარჯა ცხენზე მის შემაგრებას, რომ ბოლოს გული შეუღონდა. მაშინ მთიელებმა გადაწყვიტეს, რომელიმე მათგანს მისთვის ცხენი დაეთმო. გრძნობაზე მოსული კნეინა შეჯდა ახალ ცხენზე და გზა განაგრძო.

ამ დროს ივანეს ვეჯექი უკან. ალაგ-ალაგ გვხვდებოდნენ ჩვენს ბედში მყოფი ქართველი გლეხის ქალები. ჩვენსა და მათ შორის მხოლოდ ერთადერთი განსხვავება იყო — ისინი ფეხით მოდიოდნენ. შევედით რომელიღაც განუ-

© „ღვინისფერი ცისფერი“

ზომლად ვრცელი ტყის სიღრმეში. ამ ტყის მყუდროება, ალბათ, არასოდეს დარღვეულა. მიწას სქელი ხავსი მოსდებოდა, ხოლო ასწლოვან ხეებს თვალს ძლივს აუწვდენდი. აქა-იქ ტოტიდან ტოტზე დაფრთხიალებდნენ ცისფერ და წითელფრთიანი ჩიტები, სხვადასხვა მიმართულებით დარბოდნენ ხვლიკები. ისინი ხავსისაგან თავიანთი მწვანე შეფერილობით გამოირჩეოდნენ. ამ ტყისათვის თავისუფლად შეგეძლოთ გეწოდებინათ უღრანი. ამ ტყეში ჯერჯერობით ბილიკიც არვის გაეკვალა.

ნაკადულის პირას, რომელთანაც ის-ის იყო მივედით, შევეყარეთ წინანდლიდან გატაცებულ ახალგაზრდა ქალიშვილს. მთიელებს მისი დედა გარდაცვლილი ჰგონებოდათ და ამიტომაც ხელი არ ეხლოთ. ქალიშვილთან იმყოფებოდა მისი ღრმად მოხუცებული ბებია და ერთ-ერთი ძმა, რომელსაც ხელში ეჭირა ლიდიასავით ოთხიოდე თვის გოგონა. პაწაწა უდედოდ და ურძეოდ დარჩენილიყო.

მდინარის გადალახვისას, რაც ისე ადვილი საქმე გახლდათ, საცოდავი ალექსანდრას თანხლება არავინ ისურვა. მე, ჩემის მხრივ, ივანეს ვსთხოვე, დახმარებოდა საბრალოს, მაგრამ იმანაც უარი განაცხადა. მაშინ ჩვენმა კეთილმა ანგელოზმა, კნეინა ორბელიანმა, ნება გამოსთხოვა მთიელებს, რათა დაჭრილი ქალი იმისთვის შემოესვათ ცხენზე. რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოედგინა, თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ამას. ცხენმა იგრძნო, რომ მას სუსტი ხელი მართავდა და შუაგულ მდინარეში შედგა. კნეინა ამაოდ ჯახირობდა პირუტყვის დაძვრას. ბოლოს ივანე და მეორე მთიელი ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქალბატონი თავისი ცხენიანად ნაპირზე გაიყვანეს. მაგრამ, რა წამსაც ფეხი დაადგეს მიწას, ალექსანდრა იმ წამსვე უმოწყალოდ ჩამოაგდეს ცხენიდან.

ფოხალის კოშკი

მალე ფოხალის კოშკის შეღმართებს შევუდექით. ბილიკი, რომელსაც მივუყვებოდით, თავისი უთავბოლო მისახვევ-მოსახვევით არაფრით ჩამოუვარდებოდა არიადნას ძაფს. აღმართმა ხუთ საათს შეგვიყოლია. ახლა მხოლოდ კნეინა მოდიოდა ცხენზე მჯდარი. მართალია, ივანემ მეც

შემომთავაზა ცხენზე დავმჯდარიყავი, მაგრამ ჩვენი გზა ისეთ სახიფათო ადგილებზე გადიოდა, ფეხით სიარული ვარჩიე.

როცა საკმაოდ მაღლა ავაღწიეთ, დავინახეთ ფოხალის კოშკი. იგი აღმართულია ფრიალო კლდეზე, თავბრუდამხვევი უფსკრულის პირას. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა კამეჩების, ხარებისა და ცხენების ნახირი, დატვირთული მდიდრული ნადავლით. შამილის კარვები მიმობნეული იყო კოშკის ძირას. ამ ადგილებში ვხედავდით მწყემსებს, რომლებიც ყვიროდნენ და კლდიდან კლდეზე თხებივით დახტოდნენ, არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდნენ მათ სიმკვირცხლეში. ისინი გვაცქერდებოდნენ გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობით: ჩვენმა გამოჩენამ ეს მივარდნილი ადგილი გამოაცოცხლა.

რაც უფრო მაღლა მივიწევდით, მით უფრო მდიდარი ხდებოდა მცენარეული საფარი. ნისლი თანდათანობით სქელდებოდა და მთათა წვეროკინები იფარებოდა მასიური ღრუბლებით, რომელთა ალაგ-ალაგ გაცრეცილ, თხელ მარმაშში მკრთალად მოჩანდა სხვა მთათა თოვლიანი სიმაღლეები. გზა იმდენად ძნელი სავალი იყო, იძულებული ვიყავით, ხშირად შეგვესვენა. უკანასკნელი შესვენებისას მინდოდა რითიმე მადლობა გადამეხადა ივანესათვის იმ სამსახურის გამო, რაც მე და კნეინას გაგვიწია. გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ მქონდა შერჩენილი საყურეები, რომლებიც ჰაჯი-ქერიმის ხარბი მზერისაგან დაფარული იყო სწორედ იმ ჩვრით, რაც მან თავზე მოსახვევად მესროლა. საყურეები სიამოვნებით მივეცი ივანეს. იგი კმაყოფილი დარჩა საჩუქრით და, რამდენადაც შეეძლო, განაგრძობდა ჩვენზე მზრუნველობას.

კოშკს მიახლოებულებმა დავინახეთ ათი ათას კაცზე მეტი. ისინი იდგნენ ორ წყებად. ჩვენ მათ შორის უნდა გაგვევლო. მთელი ეს ხალხი თითქმის შიშველ-ტიტველი იყო. ჩვენ მათი განსაკუთრებული გაოცებისა და ცნობისმოყვარეობის საგნად გადავიქეცით: საკუთარი სახლის კედლებს მიღმა უჩადროდ გამოსული ქალები არასოდეს ენახათ, და ახლა ირგვლივ ირეოდნენ, რათა ჩვენი სახეები დაენახათ. ყველაფერი, რაც კი აქ გზადაგზა გვხვდებოდა, გვაოცებდა თა-

© „ღვინისფხოსნის ეროვნული“

ვისი ველურობით. აქა-იქ შამფურის მაგივრად გრძელ მარგილებზე ხარები წამოეგოთ და კოცონებზე წვავდნენ, იქვე სისხლიანი ტყავები გამოჰყავდათ. როდესაც ცნობისმოყვარენი გზას მეტისმეტად მჭიდროდ გვიღობავდნენ, მაშინ მათ, როგორც ძაღლებს, მათრახის ცემით ერეკებოდნენ.

ამ აღვირახსნილ ურდოთა შორის წყვილ-წყვილად მივდიოდით. მათ რიგებში იმყოფებოდა რამდენიმე ნაიბი. ისინი სხვა მთიელთაგან მედლებით გამოირჩეოდნენ. ჩვენ გველოდებოდა ხაჯი, შამილის მოურავი, მისი ერთ-ერთი უერთგულესი მიურიდი. ძლიერ გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ ჩვენს შემხედვარეს თვალები ცრემლით აევსო.

ფოხალის კოშკში გამჭოლ კიბეს შევყავდით. ამ კიბით ავედით. შემდეგ განვვლეთ რამდენიმე მიწისქვეშა სართული და ბოლოს ნახევრად წყვდიადში აღმოვჩნდით. ერთმანეთის გარჩევა მხოლოდ კარგა ხნის გასვლის შემდეგ შევძელით. ჩვენ შორის იმყოფებოდნენ, აგრეთვე, გიორგი ორბელიანი, თამარი, სალომე და ალექსანდრე ჭავჭავაძე. რამდენიმე საათის შემდეგ მობრძანდა კნეინა ჭავჭავაძე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, სულიერად და ფიზიკურად რა განადგურებული გამოიყურებოდა! ქალბატონს განსაკუთრებით უკლავდა გულს საყვარელი ლიდიას გაურკვეველი ხვედრი. საბედნიეროდ, ტყვეობის დასასრულამდე არაფერი ვიცოდით ამ პაწაწინას ბედის შესახებ, და ეს ცოტათი მაინც გვაიმედებდა, რომ ბალღი გადარჩებოდა. ჩვენ შორის იმყოფებოდა პატარა ევა, სწორედ ის უბედური ბავშვი, ვისი დედაც მთიელებმა მკვდრად ჩათვალეს და მიატოვეს. კნეინა ჭავჭავაძემ მას ძუძუ აწოვა და ამას მანამ აკეთებდა, სანამ ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

ცოტ-ცოტაობით ერთად მოვიყარეთ თავი, რაც ჩვენთვის, ჭეშმარიტად, სასიხარულო იყო. ჩვენი ჯგუფიდან გამუდმებით აღავლენდნენ ღვთის სამხვეწრო ლოცვას. მალე ამ მიწისქვეშეთში ჰაჯი-ქერიმი შემოვიდა და კნეინა ჭავჭავაძეს მიმართა:

— გინდა შამილთან მიგიყვანო?

— მე მას არ ვეახლები, თვითონვე შეუძლია აქ მობრძანდეს.

— მაგრამ მას სურს, თავისთან მოგელაპარაკოს.

— ნუ წახვალთ, კნეინა, ეს კაცი ტყუის, — ვთქვი მე.

— ყოველ შემთხვევაში, თუ მაინცდამაინც წახვალ, — დაუმატა კნეინა ორბელიანმა, — თან წაიყოლიე რამდენიმე ქალი.

თავადი ილიკო ორბელიანი

კნეინა ჭავჭავაძე მტკიცე უარზე იდგა და შამილთან წასვლას არ აპირებდა. ამასობაში კნეინა ორბელიანისა და მისი ვაჟიშვილის სანახავად მოვიდნენ ნაიბები. ორბელიანთა გვარი მათთვის კარგად იყო ცნობილი, განსაკუთრებით კნეინას მეუღლის მამაცობის შემდგომ. რამდენიმე წლის წინათ თავადი ილიკო ორბელიანი შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა. როცა ვედენოში მიიყვანეს, იმამმა განკარგულება გასცა, იგი მისთვის წარედგინათ.

— იმპერატორ ნიკოლოზს წერილი მისწერე, რათა დამიბრუნოს შვილი ჯემალ-ედ-დინი, — მოსთხოვა შამილმა ტყვეს. თხოვნას თუ შემისრულებენ, იმწამსვე გაგათავისუფლებ.

— ამას იმპერატორს არაფრის გულისათვის არ ვსთხოვ, — უპასუხა თავადმა. — უმჯობესია ამ იმედს გამოემშვიდობო. მე არ შემიძლია მისი განხორციელება.

შამილს არაფერი უპასუხია. გავიდა ექვსი თვე. თავადი ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. ჩააგდეს ხაროში. ამ სახის ორმოები ითხრება ვიწროდ და მისჯილნი მასში კიბით ჩადიან. სურსათ-სანოვაგის მიწოდება ხდება სამ-ოთხ დღეში ერთხელ. ჰაერი ხაროში იმ ხვრელიდან აღწევს, საიდანაც მისჯილი ჩადის. ეს ორმოში მსხდომთა ნელ და მტანჯველ სიკვდილს იწვევს.

შამილი დაჟინებით სთხოვდა თავადს, მისი წადილი შეესრულებინა, მაგრამ — ამაოდ. საბოლოოდ იმამს ამბავი მიუტანეს: ტყვე უკიდურესად არის დაუძლურებულიო. მაშინ შამილმა ბრძანა, იგი ორმოდან ამოეყვანათ. სუფთა ჰაერზე ამოყვანილი თავადი ძლივსღა სუნთქავდა. იმამმა ერთ-ერთ უერთგულეს მსახურს დაავალა ყველაფერი ეღონა თავადის დასაყოლიებლად, მაგრამ ვერც მან მოახერხა რაიმე. ამან შამილი წარმოუდგენლად გააღიზიანა, ბრძანა, თავადი მასთან სასახლეში მიეყვანათ.

© „ღვინისფერი ბინისფერი“

თვითონ სერალის ერთ-ერთ ოთახში დაიმალა, საიდანაც ტყვის თვალთვალი ადვილად მოსახერხებელი იყო. ამის შემდგომ თავადს მიუახლოვდა ნაიბი შეიარაღებული ხალხის თანხლებით:

— ილიკო ორბელიანო! — უთხრა იმან, — შენ მალე უნდა დატოვო ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ შამილი პატივს სცემს შენს მამაცობას და ამიტომაც ნება დაგრთო, აირჩიო სიკვდილის საშუალება. ნება შენია — როგორი სიკვდილი გირჩევნია?

— ყველაზე სწრაფი, — უპასუხა თავადმა.

შეაყენეს ჩახმახები, ზოგიერთმა თოფი კიდეც დაუმიზნა და მხოლოდ ბრძანებასღა ელოდებოდნენ. ამ დროს გამოვიდა შამილი.

— ილიკო ორბელიანო, — უთხრა მან და ხელი გაუწოდა, — უშიშარი ყოფილხარ. ამის გამო არ შემიძლია პატივი არ გცე. ფარულად თვალს ვადევნებდი შენს გამომშვიდობებას სიცოცხლესთან. წარბიც არ შეგიხრია, არც ერთი მოძრაობით სიმხდალე არ გამოგიმჟღავნებია, არ შემდრკალხარ. დღეიდან ჩემს პირობით ტყვედ გთვლი, ვენდობი შენს ვაჟკაცობას.

დაიწყეს მოლაპარაკება თავადის გადასაცვლელად იმ ტყვე მთიელებზე, რომლებსაც შამილი, აგრეთვე, დიდად აფასებდა. თავად ილიკოს ტყვეობა 9 თვეს გაგრძელდა და მისმა გამგზავრებამ გულწრფელად დაამწუხრა ყველა ნაიბი. შამილიც იზიარებდა მათ გრძნობებს, რისი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის გახლდათ, რომ კნეინა ორბელიანსა და მის ვაჟს უდიდეს პატივს სცემდა.

ამგვარად, თავადი ილიკოს მარტო სახელის ხსენებაც კი მფარველობას გვიწევდა. გვეწვივნენ შამილის არმიის უმთავრესი სარდლები, გარს შემოერტყნენ კნეინა ორბელიანს.

— კნეინა! შენი ქმარი კარგი ვაჟკაცია, — ეუბნებოდა ერთი იმათგანი.

— კნეინა, სადაა თქვენი შვილი? გვაჩვენე! — სთხოვდა მეორე და სიამოვნებით სინჯავდნენ მშვენიერ გიორგის. მრავალი მთიელი ცდილობდა, დაერწმუნებინა კნეინა ორბელიანი, რომ მისი ქმარი არ მომკვდარა, რომ იგი თურ-

ქებმა ტყვედ იგდეს ხელთ და გარკვეული დროის შემდეგ დააბრუნებდნენ. ეს გაუთავებელი მისვლა-მოსვლა გულს უწყალებდა და მძიმე ტვირთად აწვა კნეინებს. იმ დროს, როცა მათ ესოდენ მწუხარე ფიქრები უფორიაქებდნენ გულსა და გონებას, იძულებულნი იყვნენ მოთმინებითა და თავაზით ეპასუხათ დაუსრულებელ შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა თვითონ მათ, მათს ბავშვებს, მე. მიუხედავად ამისა, კნეინა ორბელიანი ყველას ყურადღებითა და თავაზით, მაგრამ ღირსების სრული დაცვით ეპყრობოდა მან არაერთხელ იკითხა, თუ რის მიღებას მოისურვებდა შამილი მისი ოჯახის საფასურად, მაგრამ ყველაზე მეტად ცდილობდა, გაეგო, თუ რა პირობებს წამოაყენებდა შამილი კნეინა ჭავჭავაძისა და მისი ბავშვების გათავისუფლებისათვის. როგორც იქნა, მოვიდა იმამის რწმუნებული და შემდეგი გამოგვიცხადა: იმამის სურვილია, იმპერატორმა ნიკოლოზმა დაუბრუნოს მას შვილი და თავადმა ჭავჭავაძემ გადაუხადოს უშველებელი თანხა. თავისუფლებას მხოლოდ ამის შემდეგ მივაღწევდით.

© „ღვთისმეტყველება“

კათოლიკე მისიონერები საქართველოში

გამანადგურებელი საგარეო საფრთხის პირისპირ მდგარი ქართველი მეფეები დახმარებისთვის ხშირად მიმართავდნენ კათოლიკურ ევროპას. მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათელს ჰფენს მფარველისა თუ მოკავშირის ძიების მტკივნეულ პროცესს, რაც საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა. რომის პაპები, არსებითად, საქართველოში მისიონერების გამოგზავნით კმაყოფილდებოდნენ. მათ შორის იყვნენ დონ კრისტოფერი დე კასტელი და არქანჯელო ლამბერტი, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. პირველს ეკუთვნის ფრიად საინტერესო ნაშრომი „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, მეორეს კი — „სამეგრელოს აღწერა“. ეს წიგნები მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ჩვენი ისტორიის ამ უმძაფრესი პერიოდების სოციალურ-პოლიტიკური და ეთნოგრაფიული თავისებურებების შესახებ. ცხადია, მათში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში გავრცელებულ ისეთ მანკიერ სენზე, როგორი იყო ტყვეთა სყიდვა.

არქანჯელო ლამბერტი

არქანჯელო ლამბერტი (Lamberti), იტალიელი მისიონერი, თეატინელთა ორდენის ბერი, ქ. ნეაპოლის მკვიდრი. 1630-1649 წლებში რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ოდიშის სამთავროში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1655, გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც მოცემულია XVII საუკუნის შუა წლების ოდიშის სამთავროსა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა. არქანჯელო ლამბერტის ნაშრომი ამ სახის პირველი თხზულებაა საქართველოს შესახებ. იგი XVII საუკუნის საქარ-

თველოს ისტორიის პირველხარისხოვანი წყაროა და მკვლევართა დიდი ყურადღებით სარგებლობს. არქანჯელო ლამბერტს ეკუთვნის, აგრეთვე, ნაშრომი „წმინდა კოლხიდა“, რომელშიც ავტორი ეხება ოდიშის სამთავროს სარწმუნოებრივ მდგომარეობას. ეს წიგნი ქართულად არ თარგმნილა. ზოგიერთი ცნობით, არქანჯელო ლამბერტი თავისი დროისათვის საკმაოდ დახელოვნებული ექიმი და მხატვარიც ყოფილა.

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერა“

ბაზრობაზე ბევრი ხალხი იკრიბება; ზოგჯერ შეიყრება ოცი ათას კაცამდე. სექტემბრის პირველ ოთხშაბათს გზავნიან წინდაწინ კაცებს წკნელისაგან კარვების გასაკეთებლად, რათა ხალხს თავშესაფარი ადგილი ჰქონდეს, ხუთშაბათს კი მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით, სომხებს მოაქვთ აქ ნაირ-ნაირი შეღებილი და სახეებიანი ტილოები და სპარსულ-ოსმალური შალები, რომლის საფასურად იღებენ ყოველნაირ საქონელს, რასაც აძლევენ, ოღონდ კი დიდად სახეირო იყოს.

ოსმალთა გემების მოსვლის დროს მეგრელები უფრო ეტანებიან უცხო საქონლის შეძენას ადგილობრივი საქონლის გაცვლით. ოსმალებს მოაქვთ კონსტანტინეპოლიდან ოდიშში შემდეგი საქონელი: მშვენიერი ნაირ-ნაირი ხალები, საბნები, ოსმალური ტყავები, უნაგირები და ყოველივე ცხენის იარაღი, შვილდ-ისრები, შალები და მაუდები ყოველ-ნაირ ფასისა, რკინა, თითბერი, ქვაბები, მატყლი, შეღებილი და სახეებიანი ტილოები, დამარილებული თევზები, ხიზილალა, დანები, საკმეველი, პილპილი, შაქარი და მარილი. სამაგიეროდ მეგრელებისაგან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წვავის ტყავს, სელის თესლს, ბზის ხეებს და ტყავებს. ბზის ხეებში ოსმალები ძალიან იგებენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდზე მეტი ღირს. თითო ნავზე აწყობენ ხუთ-ექვს ათას ხეს და კონსტანტინე-

© „ღვთისმეტყველება ათონიტურად“

პოლში ჰყიდიან თითო სკუდად თითო ხეს. სხვა საქონელშიც დიდი მოგება აქვთ, განსაკუთრებით ტყვეებში. რადგან ტყვეები ბევრს არ იწონიან, რამდენსაც იშოვნიან, იმდენს ჩაჰყრიან ნავში. მეგრელებიც დიდის სიამოვნებით ჰყიდიან ტყვეებს, რადგან ერთ ტყვეში აიღებენ ყველა საქონელს, რაც სახლში ეჭირვებათ. ხოლო რა სამწუხარო სანახავია, როცა ქრისტიან პატრონებს მიჰყავთ ასიოდე ქრისტიანი ბიჭი ოსმალებზე გასასყიდად. ოსმალები, როგორც კი იყიდიან ამათ, მაშინვე ოსმალურად ჩააცმევენ, და ნიშნად მათის შემცდარის რჯულის მიღებისა, ააწევინებენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევინებენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიან ოსმალთა რჯულის წესს და რიგს. ამას სჩადიან ქრისტიანთა წინაშე და ქრისტიანთა ქვეყანაში, ვიდრე კონსტანტინეპოლში წავიდოდნენ! აგრევე იქცევიან ქალების შესახებ, რომელთა სასყიდლად ოსმალები ფულს არ ზოგვენ, ოღონდ ქალი ლამაზი იყოს. მეგრელის ქალები ხომ უმეტესად ლამაზები არიან. ზოგჯერ თითო ქალში იძლევიან სამას თუ ოთხას ცეკკინოს.

ყიდულობენ, აგრეთვე, ჰასაკში შესულ კაცებსაც. ამათ მეგრელები ჰყიდიან რაიმე დანაშაულობისათვის, უფრო კი ქურდობისთვის. ჩვენში ასეთებს დასასჯელად კატორღაში გზავნიან და მეგრელები კი ოსმალებზე ჰყიდიან.

გარდა ამისა, ზოგი ბატონი ისეთი ულმობელი და სასტიკია, რომ არ ასწონ-დასწონის თავისი ყმების ღირსებანაკლულევანებას და ისე ჰყიდის მათ ოსმალებზე. იყო ერთი უპირველესი დიდებულთაგანი ოდიშში გვარად ჭილაძე, რომელიც შეჩვეული იყო ტყვეების გაყიდვას. და ამას ერთ წელიწადს ოსმალთა გემების მოსვლის დროს დასჭირდა ათი-თორმეტი ტყვე ოსმალებზე გასასყიდად, რათა სამაგიეროდ ეყიდნა მათგან სხვადასხვა საქონელი, რომელიც სახლში სჭირდებოდა. ეს შეუტყეს მისმა ყმებმა და თავს უშველეს გაქცევით, რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ მას და თავისუფლება არ დაჰკარგვოდათ. ხოლო ჭილაძემ ეს ხერხი იხმარა საჭირო კაცების მახეში გასაბმელად. გამოაცხადა, რომ ამ და ამ დღესასწაულს დიდებული წირვა უნდა გამოვიხადოო და ერთ-ერთ ჩვენი კარის ეკლესიაში უნდა მოვიდნენ მღვდლებიო, რომელსაც

წირვის შესრულებისათვის უხვად დავასაჩუქრებ და მდიდრულ ნადიმს გავუმართავო. ამ ცრუ დაპირებამ შეაცდინა მღვდლები და დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა. მათ დიდებულად შეასრულეს წირვა, რომელსაც დიდის ღვთის მოსაობით დაესწრო ჭილაძე. წირვა რომ შეასრულეს და მღვდლებს იმედი ჰქონდათ, რომ თავადი თავის დაპირებისამებრ დაგვასაჩუქრებს და ნადიმს გაგვიმართავსო, — ჭილაძემ ეკკლესიის კარები დააკეტინა, ჯაჭვები მოატანინა, თორმეტივე მღვდელი ჯაჭვებში ჩასვა, თმები და გრძელი წვერები მოაპარსვინა და პირდაპირ წაიყვანა ოსმალთა გემებზე გასასყიდად. ამ რიგად ჭილაძემ გადასცა ოსმალებს სამუდამო ტყვედ თორმეტი მღვდელი და ფასად აიღო ათასი სკუდის სხვა და სხვა საქონელი. ეს საქციელი ჭილაძისა ღირსია საუკუნო ძაგებისა, რადგან ანგარებით დაბრმავებულმა იმოდენი სისასტიკე გამოიჩინა წინააღმდეგ თავისი სამღვდელოებისა, რომელსაც პატივსა სცემენ ქვეყნიერების ყველა ერნი, დაჰგმო ყოველივე კანონი და მის მაგიერ, რომ აესრულებინა თავისი დაპირება და დაესაჩუქრებინა ის მღვდლები, სამუდამოდ მოუსპო მათ თავისუფლება.

მე ჩემის თვალით ბევრჯერ მინახავს, რომ ქმარს თავისი ცოლი გაუყიდია ოსმალებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ეჭვი ჰქონდა მის კუდიანობაზე, რასაც მეგრელები მრუშობაზე უფრო სდევნიან. ამ შემთხვევაში ფასი მარტო ქმარს როდი რჩება, არამედ გაანაწილებენ სამად და ერთი წილი ერგება ბატონს, რომლის ყმად ითვლება ქალი, მეორე — ქმარს და მესამე — ქალის მშობლებს. აქედან ჩანს, რომ ამ საქმეში ბევრს აქვს სარგებლობა და ამიტომაც ხშირია ასეთი ყიდვა-გაყიდვა.

ამაზე უფრო დიდი ბოროტება მოხდა ქართლში, როცა შემოვიდა სპარსეთის ჯარი, დაახლოვებით 1633 წელს. ერთ აზაკურს მოეწონა ერთი მშვენიერი სპარსული ცხენი და რადგან სხვა არაფერი არ ჰქონდა, რომ ეყიდნა ეს ცხენი, ფასად თავისი დედა მისცა ცხენის პატრონს, რომელიც იყო ოსმალო. ამნაირად ამ აზნაურმა დაჰგმო თვით ბუნების კანონი და ღვიძლ დედას, რომელმაც მიანიჭა მას თვით სიცოცხლე, თავისუფლება მოუსპო მხოლოდ იმიტომ, რომ

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲜᲘᲡᲬᲐᲛᲘᲗᲘ“

შეეძინა პირუტყვი. ცხადია, რომ იმან პირუტყვებზე უფრო დიდი ლმობიერება გამოიჩინა, რადგან პირუტყვები მხოლოდ ინსტინქტის შემწეობით თავის მშობლებს ყოვლად ლმობიერად ეპყრობიან, რამდენადაც შეუძლიათ.

ყველა ეს ხალხი, როგორც კი მათ ჩაიყვანენ ოსმალეთში, მოკლე ხანში მაჰომეტის ცრუ სარწმუნოებას იღებს და ქრისტეს რჯულს სტოვებს. ასეთს საქმეს სჩადის ეშმაკი ამ ქვეყნებში ოსმალთა შემწეობით. ოსმალები ისეთ ერთგულებას იჩენენ ამ საქმეში, რომ არ ჰზოგავენ არც ჯაფას და არც ფულს, ოღონდ კი შეიძინონ ტყვეები. მართლაც, მათ მიჰყავთ მრავალი ტყვე არა მარტო სამეგრელოდან, არამედ ჩერქეზეთიდან, აფხაზეთიდან, ალანეთიდან და ჯიქეთიდან. გარდა ამისა, თათრები ხშირა შედიან რუსეთში და პოლონეთში და იქ ეძებენ მრავალ ტყვეს, რომელსაც ჰყიდიან ოსმალებზე. მართლაც, თითქმის ყოველ დღე დაინახავთ კონსტანტინეპოლში, რომ შავი ზღვით შემოდის მრავალი გემი, დატვირთული ქრისტიანი ტყვეებით. განსაკუთრებით დროშებით იცნობენ ხოლმე, რომ ამ გემებით ტყვეები მოჰყავენო. ეს ტყვეები ყველანი მაჰომეტის სარწმუნოებას იღებენ. რომ ეს სარწმუნოება მიაღებინონ, ზოგს მათგანს აცდენენ საჩუქრით და ზოგს კი იმ ჯაფის შიშით, რომელიც ტყვეს მოელის.

„რუსმა მოგზაურმა პ.ა. ლევაშოვმა 1789 წელს კონსტანტინოპოლში „იასირ-ბაზარი“ (იგივე ტყვეთა ბაზარი) ნახა, სადაც ძირითადად არაბი და ქართველი ტყვეებით ვაჭრობდნენ. ინგლისელმა ლორდმა ორი ქართველი ქალი იყიდა...

საბრალო ტყვეები, განსაკუთრებით კი ქალები, ისე ჰყავდათ დახლებზე „მოთავსებული“, როგორც გალიაში გამომწყვდეული გასაყიდი ჩიტები. მყიდველები მათ თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდნენ როგორც შესაძენ ნივთს.

და როცა ნაკლს ვერ უპოვიდნენ, ფულს გადაიხდიდნენ და შინ მიჰყავდათ. სხვებისაგან განსხვავებით ტყვე ქალი მისი გარეგნული სილამაზის შესაბამისად ოცდაათჯერ ან უფრო მეტჯერ ძვირად ფასობდა“.

„მოგზავრობა აღმოსავლეთში ეკატერინე II-ის ეპოქაში“. მ., 1995, გვ. 42-43.

კრისტოფორო დე კასტელი
(XVII საუკუნის I ნახევარი)

კრისტოფორო დე კასტელი

იტალიელი მისიონერი, პატრი, თეატინელთა ორდენის წევრი. მოღვაწეობდა XVII საუკუნის პირველ ნახევარსა და შუა წლებში. საქართველოში 1628 წელს ჩამოვიდა პატრანტონიო ჯარდინასა და ბერ კლაუდიოსთან ერთად. მისიონერები მივიდნენ ქალაქ გორში თეიმურაზ პირველთან, ხოლო 1634 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსის — მაქსიმე მაჭუტაძის მიწვევით გურიაში გადავიდნენ. 1640 წელს ვახტანგ II გურიელმა ისინი განდევნა. იტალიელი მისიონერები ოდიშში ჩავიდნენ. კრისტოფორო კასტელი 1652 წელსაც საქართველოშია, შემდეგ კი იტალიაში ბრუნდება. ამ პერიოდში მან მრავალი საინტერესო ჩანახატი გააკეთა, რომელიც ორ ალბომში იყო შესრულებული, ერთი ალბომი კრისტოფოროს იტალიაში დაბრუნებისას განადგურდა, მეორე კი დაცულია ქალაქ პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში და 500-ზე მეტ ჩანახატს შეიცავს. ამ ჩანახატების ნაწილი გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა, მანვე ჩამოიტანა საქართველოში ჩანახატების ნაწილის ფოტოფირები. 1977 წელს კასტელის ალბომი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. გიორგაძემ. კასტელის რედაქცია, ჩანახატები და მათზე მინაწერები ძვირფას ცნობებს იძლევა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიისათვის.

ქვემოთ გთავაზობთ ხსენებულ მისიონერთა ჩანაწერებს, რომლებშიც ადამიანებით ვაჭრობის შემზარავი ფაქტებია გადმოცემული.

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ

ზღვისპირა ქალაქში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართება ყველა ჯურისა და ასაკის ბავშვთა, კაცთა და ქალთა გასაყიდად. აქედან გადიან კონსტანტინოპოლისაკენ ქრისტიანების მიერ თურქებზე გაყიდული ბავშვებით დატვირთული სავსე გემები, მათი ბავშვების სულები ხომ სამუდამოდ დაკარგულია!

აქ შვილი მამასა და დედასა ჰყიდის, რაც ფაქტია: მამები და დედები თავიანთ შვილებს ჰყიდიან, რადგან ფულს უფრო აფასებენ, ვიდრე საკუთარ სისხლს.

* * *

ბავშვების ბაზარი ქობულეთის მოედანზე, გურიის პროვინციაში. მატუტა ჩენსერია საკუთარ დედას ჰყიდის. ჩვენებმა მას ჰკითხეს: ასეთ დიდ ცოდვას რატომ სჩადიხარ? მან გვიპასუხა: ეს ცოდვა კი არ არის, პირიქით, დიდი შემბრალებლობაა. პირველყოვლისა, რადგან დედაჩემი მიდის თურქების ქვეყანაში, ამით თავის მდგომარეობას იუმჯობესებს. აქ რომ ყოფილიყო, თავისი ლაპარაკით ამიმხედრებდა საქონელს, ოჯახსა და შვილებს, ახლა კი ჩემი ცოლი დამშვიდდება და დაწყნარდებაო.

* * *

გურიის პროვინციის ერთ-ერთ ქალაქში, რომელიც მდებარეობს შავ ზღვასთან, მოედანზე მოდიან, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად თურქები და ყიდულობენ ქრისტიან ტყვეებს. მრავალი ათასი სული მიჰყავს დემონს აღმოსავლეთის ამ ქვეყნიდან, რადგან ყოველწლიურად საუკეთესო არსებანი გაჰყავთ... კორონტის ნავით შავი ზღვით, რომელიც... ტბას წარმოადგენს, და ჯოჯოხეთში მიჰყავთ ბავშვები. ბავშვებით დატვირთული ხომალდი მიდის ჯოჯოხეთში. ჩემი სიცოცხლისათვის უბედური დრო დამიდგა ამ სოფელში. ვტიროდი მრავალი სულის დაკარგვას, რადგან თურქეთში მიერეკებოდნენ ამ საცოდავ ქრისტიანებს. ამ ხალხისათვის ბევრი მოწყალება გამიღია და ავადმყოფობის დროს... მიმკურნალია მათთვის, თანაც მოვმსახურებივარ სხვადასხვა საქმეში.

დონ კრისტოფორო დე კასტელი

რუსეთის ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში

XIX საუკუნის 40-იან წლებში მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებისათვის. მაგრამ 1831 წელს მიღებულმა აღმკვეთმა ღონისძიებებმა ხელისუფლების იმედები ვერ გაამართლა. ამან ტრანზიტის ამიერკავკასიიდან ტრაპზონში გადატანა გამოიწვია. მთავრობა იძულებული გახდა 1846 წლის 14 დეკემბერს გამოეცა ახალი „დებულება“ რეგიონში შეღავათიანი ვაჭრობის თაობაზე.

1842 წლის 28 მაისს გენერალი ანპელი გენერალ ჩერნიშევისადმი გაგზავნილ პატაკში ხაზს უსვამდა შეღავათიანი ვაჭრობის სარფიანობას, კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის სავაჭრო კავშირების ზრდასა და განვითარებას. ამის ნათელ მაგალითად მას მოჰყავდა სავაჭრო ხელშეკრულება, ერთის მხრივ, გურულებსა და, მეორეს მხრივ, სარდინიელ პაოლო ბოზოსა და ინგლისელ იაკობ მარინის შორის. ხელშეკრულება მუხის ხეების გადამუშავებას ეხებოდა. ფიქრობდნენ, მუხის მოჭრა თანდათანობით გამოათავისუფლებდა დიდ ტერიტორიას, გაჩნდებოდა გზები, ამოშრებოდა ჭაობები და გაუმჯობესდებოდა კლიმატი. და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარი იყო თვითმმართველობისათვის, ადგილობრივი მოსახლეობა თანდათან დაუახლოვდებოდა რუსებს; დროთა განმავლობაში გაუმჯობესდებოდა აბორიგენების მატერიალური მდგომარეობა. „ექნებათ რა მათ შემოსავლის სხვა წყაროები, თანდათანობით შეიცვლიან თავიანთ აგრესიულ განწყობას“. ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით, გოლოვინი საჭიროდ მიიჩნევდა, ნოვოროსიისკში შექმნილიყო შავი ზღვის სანაპიროს აქციონერთა საზოგადოება, რომლის კარიც ყვე-

© „ღასსამბლეგ ანსაფაფეფ“

ლასათვის ღია უნდა ყოფილიყო. მისი წევრები კი ყოველ-გვარ პრივილეგიებს მიიღებდნენ.

იმავდროულად გარკვეული ღონისძიებები გაატარეს შიდაბაზრის განვითარებისთვის. 30-იან წლებში საქართველოს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ეწყობოდა ყოველწლიური ბაზრობები, რაც ასევე ხელს უწყობდა შიდაბაზრის ეკონომიკურ განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

ხელისუფლების მიერ გატარებულ ამ და სხვა ღონისძიებებს უდავოდ ჰქონდა პრევენციული მნიშვნელობა ადამიანებით ვაჭრობისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ. მაგრამ ამ ეტაპზე მიღწეულად უფრო სამხედრო და ამკრძალავი ღონისძიებების შედეგები ჩაითვლებოდა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა და სოციალური ცვლილებები. ამ დროისათვის შავი ზღვის სანაპირო კარგად იყო დაბლოკილი და დაცული გარეშეებისაგან. რუსეთის საბრძოლო ხომალდები სისტემატურად მიმოდიოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს გასწვრივ. სანაპირო სი-

ლევაშოვის თვალით დანახული ისლამური სამყარო

მაგრეებს შორის არსებულ სივრცეს კი აზოვის კაზაკთა ფლოტი აკონტროლებდა. მსგავსი ღონისძიებების წყალობით 40-იან წლებში თურქეთის ტყვეთა ბაზრებზე უფრო და უფრო ცოტა კავკასიელს ხვდებოდნენ. 1844 წელს რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლიდან ატყობინებდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს „დიდი ვეზირის“ საჩივრის თაობაზე, რომ სერალ სულთანს ძველებურად ვეღარ „ამარაგებენ“ კავკასიელი ქალებითო.

1846 წელს გურიაში გამოავლინეს დამნაშავეთა ორგანიზებული ბანდა, რომელიც სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან ერთად საქართველოდან და სამეგრელოდან ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს იტაცებდა და თურქეთში ჰყიდდა; ამ საქმეში ჩართულნი იყვნენ თავადები: სიმონ და კოხტა ჭყონიები, ნიკო გოგობერიძე, ივანე ჟღენტი; გლეხები: დიანოზ კურნალიძე, ოსიკელა გულაბერიძე, ოთარ კობახიძე, ოსიკელა ტუღუში, ლევან კომახიძე, ბოჩია მერკვილაძე. ბორტმოქმედთა ამ ჯგუფის გამოვლენის შემდეგ მეფისნაცვალი ვორონცოვი 1846 წლის აგვისტოში თავის პატაკში წარსულ დროში წერდა ადამიანებით ვაჭრობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დანაშაული აქა-იქ ზოგჯერ მაინც ხდებოდა.

1848 წლის თებერვალში მეფისნაცვალმა უბრძანა გუბერნატორს, სასწრაფოდ დაემთავრებინა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის საქმის გამოძიება. სასამართლო 1848 წლის მარტში შედგა. საქმე განიხილა შავი ზღვის სანაპირო ხაზის №2 ბატალიონის სამხედრო სასამართლოს კომისიამ. ბანდის ორგანიზატორებს სიმონ ჭყონიასა და გლეხ-დამნაშავეებს ციმბირში გადასახლება და კატორღული სამუშაოები მიესაჯა. შესაბამისად დაისაჯნენ სხვა დამნაშავეებიც, სულ 18 კაცი.

1846 წლის ერთი ცნობის თანახმად, მსგავსი ვაჭრობა კვლავაც ორგანიზებულად მიმდინარეობდა აფხაზეთში. აქ ამ სფეროში მონოპოლია ეპყრა თურქ ყარა ჰასანს, რომელიც თავად მიხეილ-ბეი შარვაშიძის კაცი იყო. მისი ოჯახის წევრები ზოგი ოჩამჩირეში იმყოფებოდა, ზოგი კი, უფროსი ვაჟიშვილის მეთაურობით, კონსტანტინოპოლში, სადაც ის მოტაცებულ და ნაყიდ ახალგაზრდებს აგზავნიდა.

© „ღვანლებმოსილნი“

საყურადღებოა ისიც, რომ თვითონ მიხეილ შარვაშიძე თავის ყმებს — ახალგაზრდებსაც და ზრდასრულ მამაკაცებსაც — დანაშაულისა თუ შეცდომისთვის იმით „სჯიდა“, რომ გასაყიდად თურქეთში აგზავნიდა, ზოგს კი — ჩერქეზ თავადებთან და ქობულეთის ბეგთან. ამგვარად, 1846 წელს შარვაშიძემ 160 კაცამდე „შეაგროვა“ და საზღვარგარეთ გაყიდა.

1847 წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა სამურზაყანოში ტყვეებით მოვაჭრეთა ლიკვიდაციისათვის.

1847 წლამდე შარვაშიძე ფლობდა ნავმისადგომებს (ოჩამჩირე, კელასური, გუდავი), საიდანაც პირდაპირ თურქეთში გაჰყავდათ ტყვეები. 1847 წლის 6 მაისს შარვაშიძეს ჩამოართვეს ეს ნავმისადგომები ოჩამჩირის გარდა. კელასურსა და გუდავში სამხედრო პოსტები გააკეთეს. მ. შარვაშიძეს კომპენსაციის სახით 9500 მანეთი, ხოლო მის ძმას დიმიტრის (კელასურის მფლობელს) 2500 მანეთი მისცეს. ისინი მოვალენი იყვნენ, თავიანთ სამფლობელოებში არ დაეშვათ ადამიანებით ვაჭრობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე კომპენსაცია აღარ გაიცემოდა.

შამილი და ლეკთა თავდასხმები

შამილი

იმამ შამილი (1797-1871) იყო კავკასიელი მუსლიმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი, წარმოშობით დაღესტნელი. შამილის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ — მიურიდიზმმა დაღესტანი და ჩეჩნეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გააერთიანა. დაღესტნელი და ჩეჩენი ხალხები მას, როგორც ზეგარდმო შთაგონებულ სულიერ წინამძღოლს, მოწიწებით იმამს ეძახდნენ.

შამილი თავის ბრძოლაში რელიგიურ, ადმინისტრაციულ და სამხედრო ძალაუფლებას იყენებდა. ბატონიშვილი ილია ორბელიანი (გამოჩენილი ქართველი პოეტისა და სამხედრო მეთაურის ძმა), რომელმაც შამილის ტყვეობაში რვა თვე გაატარა, თავის წიგნში „რვა თვე შამილის ტყვეობაში“ წერდა: „შამილი თავისი გამჭრიახობით, მტკიცე ხასიათით, ვაჟკაცობითა და პიროვნული თვისებებით გამოირჩევა“. შამილის წინამორბედები — გაზი მუჰამედი, მოლა და ჰამზათ ბეგი — 1832-1834 წლებში მოკლეს. მოლა რუსებზე თავდასხმისას დაიღუპა, ხოლო ჰამზათ ბეგი ნაიბმა (ადგილობრივმა ლიდერმა) დაღესტანში მოკლა. შამილის პოპულარობა დაღესტნელთა შორის დღითიდღე იზრდებოდა.

მისი ავტორიტეტი არც მაშინ შელახულა, როდესაც 1835-1836 წლებში რუსეთის არმიასთან რამდენიმე სამხედრო მარცხი იწვნია, მაგრამ 1837 წელს წარმატებით წარმოებულმა მომდევნო სამხედრო კამპანიებმა მას სა-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

ხელი კვლავ გაუთქვა. მისი გავლენა ჩეჩნეთშიც და კავკასიის სხვა მუსლიმანურ ქვეყნებშიც ვრცელდებოდა, სადაც მას „მთიელ არწივს“ უწოდებდნენ.

ანტიპათია, რომელიც შამილს რუსების მიმართ გააჩნდა, რუსეთის იმპერიის საზღვრებს შიგნით მცხოვრებ ქრისტიან ქართველებზეც ვრცელდებოდა. შამილის საბოლოო მიზანს სრულიად კავკასიის დაპყრობა და ისლამური რჯულის დამკვიდრება წარმოადგენდა, ხოლო მისი ცენტრი საქართველოს დედაქალაქი თბილისი უნდა ყოფილიყო. ამ „ღვთიური“ მისიის მისაღწევად შამილს თურქეთი უჭერდა მხარს; ამ ქვეყნის სულთანმა მის დასახმარებლად ჯარებიც კი გამოგზავნა.

შამილის რაზმები ხშირად ესხმოდნენ თავს საქართველოს, მათი ყველაზე სასურველი სამიზნე კი კახეთი იყო. ლეკების (მუსლიმანური რწმენის ჩრდილოეთ კავკასიელები) მცირე მოცულობის რაზმები კახეთის სოფლებს რეგულარულად უტევდნენ; ისინი ანადგურებდნენ მოსახლეობის ქონებას და იტაცებდნენ როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, ასევე დიდგვაროვნებსაც, რათა ისინი, თავიანთი პატიმრების გამოსყიდვის მიზნით, რუსებთან სავაჭროდ გამოეყენებინათ.

შამილი მძევლების აყვანას ნაწილობრივ იმ იმედით აწარმოებდა, რომ ისინი რუსებისათვის საკუთარი ვაჟის, ჯემალ ედ-დინის სანაცვლოდ შეეთავაზებინა. 1839 წელს, როდესაც ჯემალ ედ-დინი ექვსი წლის იყო, უმოწყალო ბრძოლის დროს შამილმა იგი რუს გენერალს, ალექსანდრე გრაბეს მძევლად ჩააბარა, რათა თავისი მებრძოლები და ოჯახის სხვა წევრები გადაერჩინა. შემდგომში ჯემალ-ედ-დინი რუსეთში ქართველი არისტოკრატის მიერ აღიზარდა. იგი წლების მანძილზე პეტერბურგის ელიტაში ტრიალებდა და კარგი განათლების მქონე ევროპელის ცხოვრებით ცხოვრობდა. მან ქრისტიანობა მიიღო და ვარშავაში, პოლონეთში, დაბანაკებული რუსული ჯარის ოფიცერი გახდა. 1855 წლის მარტში შამილმა მიზანს მიაღწია, როდესაც თავისი ვაჟი ქართველების — ჭავჭავაძეების ოჯახის წევრებზე გადაცვლის შედეგად დაიბრუნა, ხოლო ეს ოჯახი შამილის მებრძოლებმა მძევლად ცხრა თვით ადრე აიყვანეს.

შამილი მხოლოდ 1859 დანებდა რუსებს, მას შემდგომ, რაც მისი და მისი ოჯახის წევრებისადმი ღირსეულად მოპყრობის დაპირება მიიღო. თავდაპირველად იგი დაღესტანში, გუნიბში ჰყავდათ, მაგრამ მალე სანკტ-პეტერბურგში, ხელმწიფე ნიკოლოზ II-სთან შესახვედრად წაიყვანეს; ამის შემდეგ იგი მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში, კალუგაში გადაასახლეს. მოგვიანებით მას უფლება მისცეს, გაცილებით უფრო სახარბიელო კლიმატურ პირობებში, კიევში დასახლებულიყო, სადაც რუსეთის ხელისუფლებამ მდიდრული საცხოვრებელი მოუწყო. 1869 წელს მას უფლება მიეცა, მექაში მომლოცველად წასულიყო. იგი მედინაში, წმინდა წინასწარმეტყველის ქალაქში, გარდაიცვალა, როდესაც იქ 1879 წელს ჩავიდა. მისი ცოცხლად დარჩენილი ვაჟებიდან ორი რუსეთის არმიის ოფიცერი გახდა, ხოლო დანარჩენი ორი – თურქეთის არმიაში მსახურობდა.

წინანდლის ალყა

1845 წლის ივლისში შამილმა თავის 10.000 ჯარისკაცს უბრძანა, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში, შეჭრილიყვნენ, მძევლებად აეყვანათ ჭავჭავაძეების დიდგვაროვანთა ოჯახი, რომელიც რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, და წინანდლის მამული (სადაც ევროპელი არისტოკრატები ხშირად სტუმრობდნენ) გაენადგურებინათ. ზოგიერთ სამხედრო ნაწილს ურჩიეს, რომ ტყვეებთან ერთად დაღესტანში დაბრუნებულიყვნენ, ხოლო ჯარების დანარჩენ ნაწილს ნაბრძანები ჰქონდა, საქართველოს დედაქალაქ თბილისში მყოფ თურქეთის ელჩთან, სეიდ-აჰმად-ემინ-ბეისთან კავშირი განემტკიცებინა.

შეტევის დღეს დავით ჭავჭავაძე, კახეთის პოლკის მხედართმთავარი და წინანდლის მფლობელი, გადაუდებელ საქმეზე მეზობელ რაიონში, ყვარელში, იყო წასული, მამულში კი მხოლოდ ქალები, ბავშვები და მსახურები იმყოფებოდნენ. წინანდალზე შეტევის დაწყებამდე ლეკებმა ახლომდებარე სოფლები აიკლეს და განსაკუთრებით შილდა დააზარალეს. ანა დრანსი, დავით ჭავჭავაძის შვი-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

შამილის მოლაპარაკება გენერალ-ფელდმარშალ ბარიატინსკისთან, — მხატვარი გოტფრიდ ვილევალდი

ლების გუვერნანტი ქალი, ოჯახის იმ წევრებთან ერთად იმყოფებოდა, რომლებიც შამილის მებრძოლებმა გაიტაცეს. მან ეს თავდასხმა თავის მოგონებებში აღწერა:

„წინანდლის გლეხებმა ქალბატონ ჭავჭავაძეს შესთავაზეს, რომ შვილებთან ერთად ტყეს შეეფარებინა თავი, რამდენადაც სოფელი გადაწვეს და საფრთხე ნამდვილად განუზომლად დიდი იყო. ოჯახის წევრმა ქალებმა დაიწყეს ძვირფასეულობის შეფუთვა, მაგრამ უკვე ღამდებოდა; ქალებმა და ბავშვებმა მხოლოდ ისღა მოასწრეს, რომ სასახლის გადასახედ აივანზე დამალულიყვნენ, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. სულ მალე აივანი ტურბანებით თავშებურული მებრძოლებით გაივსო. პირველად მათი რიცხვი ორმოცდაათამდე თუ იქნებოდა, მაგრამ მათი რაოდენობა მალე საგრძნობლად გაიზარდა; ცხენებიდან ჩამოხტომისთანავე ისინი სასახლეში შევარდნენ, ერთ-ერთი თავიანთი თანამებრძოლის გვამს გადაალაჯეს და საზა-

რელი ყვირილით სასახლეში შემოცვივდნენ. რამდენადაც ქართველებს მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისინი უფრო შეგულიანდნენ და სასახლის 22 ოთახს ძვირფასეულობის პოვნის იმედით დაურბინეს. მათ ყველაფერი მიჰქონდათ, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ: სამკაულები, ფაიფური, შალეულობა და მაქმანი, თუმცა ამ ნივთების შესახებ მათ ადრე არაფერი იცოდნენ და არც ოდესმე ენახათ. რაც ვერ მიჰქონდათ, ადგილზევე ანადგურებდნენ. წაიღეს ყველაფერი: შაქარი, ჩაი, ყავა; ამ ნახევრადველურებმა ქილებიდან კანის კოსმეტიკური საცხი ამოჭამეს და ზოგიერთმა მათგანმა ქაფურის ზეთიც კი დალია, რადგან ის ქართული სამზარეულოს ინგრედიენტად მიიჩნიეს. ერთ-ერთმა მათგანმა ამ ყველაფერს ცარციც დააყოლა. ეს ყოველივე ამაზრზენ და საზიზღარ სანახაობას წარმოადგენდა.

ღრიალითა და ტრიუმფალური შეძახილებით, ლეკები ჩვენი აივნისაკენ მოიწევდნენ და იმდენად მოგვიახლოვდნენ, რომ უკვე მათი ნაბიჯების ხმა გვესმოდა; ამან უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩაგვაგდო. ყველამ დავიჩოქეთ,... ლეკებ-

გენერალ ფონ კლიუგენაუს შეხვედრა შამილთან, 1837წ., მხატვარი გრიგოლ გაგარინი

მა კარი შემოამტვრიეს და შენობის თავზე პატარა კოშკისაკენ გაექანნენ; შეხლა-შემოხლა დაიწყო. მსხვერპლთა კივილი და მომხდურების ღრიალი ერთმანეთში აირია. აივანი საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა ასაღებად, რადგან ქალებმა მძვინვარე წინააღმდეგობა გასწიეს. მაგრამ ისინი ამაოდ დაშვრნენ. ლეკებმა ისინი აივნიდან გადმოათრიეს. კიბემ ვერ გაუძლო ხალხის სიმძიმეს და ჩაინგრა. ყველანი გაგვრეკეს ეზოში, რომელიც საზარელ მდგომარეობაში იყო; საქონელი ერთმანეთში ირეოდა, ურმები ამოეტრიალებინათ, თმაგაწეწილ და მოქვითინე ქალებს ტანსაცმელი ჰქონდათ შემოხეული; ძალადობის შედეგი თვალნათლივ ჩანდა; ამის შემდეგ ჩემ თვალწინ საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ლეკ მებრძოლებს შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ანასათვის, დიდბატონის მეუღლისათვის. მათ კარგა ხანი მოუნდათ იმის გასარკვევად, თუ რომელი იყო ანა. საბოლოოდ, იგი წაიყვანა სასტიკი გამომეტყველების მქონე შავულვაშიანმა ლეკმა, რომელსაც ხელში თოფი ეკავა. ის ტყვეებს ანაწილებდა და თან ბრძანებებს იძლეოდა, რომ ჩვენზე თვალი კარგად დაეჭირათ, ხოლო ვინც გაქცევას შეეცდებოდა, ადგილზევე დაეხვრიტათ“.

შემდგომ ანა დრანსი გვიყვება იმ გაჭირვების, შეურაცხყოფისა და ტანჯვის შესახებ, რაც მათ ლეკებმა დაღესტნის მთებში მოგზაურობისას მიაყენეს; ეს გაგრძელდა მანამ, სანამ მათ გუნიბის პლატოზე მდებარე შამილის ციხესიმაგრეს მიაღწიეს. დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილი, ისევე, როგორც ოჯახის სტუმრები (რომლებიც ტყვეობაში სრულიად შემთხვევით მოხვდნენ), ლეკებისთვის საკმაოდ ღირებული ნადავლი აღმოჩნდა. მათ სანაცვლოდ შამილი თავისი ვაჟის, ჯემალ ედ-დინის დაბრუნებას, დაახლოებით ასიოდე კავკასიელი ტყვის განთავისუფლებასა და ერთი მილიონი მანეთის გამოსასყიდს მოითხოვდა.

ანა დრანსის მიხედვით, ტყვეებს ასე თუ ისე ნორმალურ პირობებში ინახავდნენ. მათი ტყვეობა ცხრა თვის განმავლობაში გაგრძელდა და ამ პერიოდის მანძილზე ისინი შამილს რამდენიმეჯერ შეხვდნენ, მაგალითად, როდესაც ანას დაევალა, გამოსასყიდის თაობაზე ქმრისთვის წერილი მიეწერა.

ცხადია, დავითს, რომლის მთელი ქონება თავდასხმების დროს განადგურდა ან დატაცებულ იქნა, გამოსასყიდის გადახდის საშუალება არ გააჩნდა და, თავდაპირველად არც რუსეთის მთავრობისაგან ჯემალ ედ-დინის გადაცემის უზრუნველყოფა შეეძლო. შამილი უკან არ იხევდა და დავითმაც მოახერხა, რომ სხვადასხვა წყაროებიდან, ნათესავების ჩათვლით, 35.000 ვერცხლისა და 5000 ოქროს ფული შეეგროვებინა. რამდენიმე უნაყოფო მცდელობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შამილი დაარწმუნეს, რომ გამოსასყიდად ეს თანხა მიეღო, ხოლო რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე II დათანხმდა, რომ ჯემალ ედ-დინი მამისათვის დაებრუნებინა. დავითს უთხრეს, რომ ქართველი მძევლების შამილის ვაჟზე გადაცვლა დაღესტნის სოფელ ქასავ-იურტაში შედგებოდა. 1855 წლის მარტში ტყვეთა გაცვლა მდინარე მიჩიკის ნაპირას განხორციელდა.

***

ჯემალ ედ-დინის სამშობლოში დაბრუნებას ტრაგიკული ეპილოგი მოჰყვა. ჯემალ ედ-დინი ურბანულ, ცივილიზებულ ცხოვრებას იყო მიჩვეული და კავკასიის მთებში ცხოვრება მისთვის აუტანელი გახდა. იგი იმ შეზღუდვებითაც იყო შეწუხებული, რომლებიც მას დაუწესეს. მალე ავად გახდა და გარდაიცვალა. ამ მოვლენიდან ძალიან მალე რუსულმა არმიამ, გენერალ ბარიატინსკის მეთაურობით, დაიწყო სამზადისი ვედენოში შამილის ციხესიმაგრის ასაღებად და მის შესაპყრობად ფულადი ჯილდოც გამოცხადდა. 1859 წლის ზაფხულში კავკასიის მთებში სისხლიანი ბრძოლების მთელი სერია ჩატარდა, რამაც ორივე მხრიდან უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ უკეთესი სამხედრო ტაქტიკის წყალობით გამარჯვება მაინც რუსებს დარჩათ და მათმა დაპირებებმა, რომ შამილის ოჯახს გადასახლების ღირსეულ პირობებს შეუქმნიდნენ, ხოლო დაღესტანში მშვიდობა დაისადგურებდა, იმამი დაარწმუნა, რუსებს დანებებოდა.

დეა სვანიძე,

ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, 2011 წ, №5

© „ღვინისფერი ალბატროსი“

ჰაჯი-მურატი და მ. ს. ვორონცოვი

შამილის მიერ დაწინაურებულთა შორის ბევრი ნათელი პიროვნება იყო.

1851 წელს, თორმეტი წლის განმავლობაში მოპოვებული წარმატებების შემდეგ, რუსების მხარეს გადავიდა იმამ შამილის ერთ-ერთი საუკეთესო ნაიბი — ჰაჯი-მურატი. მან შამილისაგან ბრძანება მიიღო, საუკეთესო მიურიდების ჯგუფთან ერთად (დაახლოებით 600 კაცი) კაიტახსა და ტაბახარანში წასულიყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიურიდიზმის სწავლებისა და დერბენტის შემოგარენზე თავდასასხმელად რაზმის ორგანიზებისთვის, ასევე, თემირ-ხან-შუროსთან კავშირის გაწყვეტის მიზნით.

შამილის ჩანაფიქრით, ამ ექსპედიციის წარმატებას შეეძლო კიურინის, აკუშისა და კაზიკუმიხის სახანოებში რუსების წინააღმდეგ აჯანყება გამოეწვია.

ჰაჯი-მურატი შეიჭრა კაიტახსა და ტაბასარანში, ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი რაზმის წინააღმდეგ ააბუნტა, მაგრამ წარმატების შენარჩუნება ჰაჯი-მურატმა ვერ მოახერხა. საომარ სიტუაციებს გადაჩვეულ მოსახლეობას წინააღმდეგობა უკიდურეს ზომებამდე არ მიუყვანია. რუსებთან ორ ბრძოლაში დამარცხებული ჰაჯი-მურატი, დაკარგა რა გზაში ბევრი მეომარი და ცხენი, მთებში გაიქცა.

შამილმა ჰაჯი-მურატი სილაჩრეში დაადანაშაულა და ავარიის ნაიბის თანამდებობა ჩამოართვა. რამდენიმე თვის შემდეგ ჰაჯი-მურატმა გადაწყვიტა, რუსებთან გაქცეულიყო.

ნოემბრის მეორე ნახევარში მან შეატყობინა ციხესიმაგრე ვოზდვიჟენში, რომ სურს, ჩაბარდეს, თუკი სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ. ვოზდვიჟენში არსებული ეგერთა პოლკის უფროსმა, პოლკოვნიკმა, თავადმა ს. მ. ვორონცოვმა (მეფისნაცვლის ვაჟმა) წაიყვანა რამდენიმე ასეული ციხესიმაგრიდან და ტყის გადაკვეთაზე შეხვდა კავ-

კასიის ომების ცნობილ გმირს, შემდეგ კი იგი ციხესიმაგრე გროზნოში გაგზავნა, იქიდან კი — თბილისში.

ჰაჯი-მურატი თბილისში 1851 წლის 8 დეკემბერს ჩავიდა. მეორე დღეს მან გაიცნო მ. ს. ვორონცოვი. დაახლოებით ცხრა დღის განმავლობაში ისინი ჰაჯი-მურატის მომავალ ცხოვრებასა და მისი ოჯახის ბედზე საუბრობდნენ, რომელიც შამილის ხელში იყო დარჩენილი. ძვირფას ადამიანებზე ვერაფერს რომ ვერ იგებდა, ჰაჯი-მურატმა ძილი და მოსვენება დაკარგა, თითქმის არაფერს ჭამდა, გამუდმებით ლოცულობდა და ხანდახან რამდენიმე კაზაკის თანხლებით ჯირითობდა.

ის ყოველდღე მოდიოდა ვორონცოვთან, რათა გაეგო, ხომ არაფერი შეუტყვია მისი ოჯახის შესახებ. ამასთან, სთხოვდა მეფისნაცვალს მისი ოჯახის წევრების შამილისაგან გამოხსნას, თუნდაც ყველა ტყვე გაეცვალა მათში (გარკვეული ოდენობის თანხის დამატებით). ჰაჯი-მურატი გულმხურვალედ ევედრებოდა მეფისნაცვალს:

„გადაარჩინეთ ჩემი ოჯახი და შემდეგ უფლება მომეცით, გემსახუროთ (უფრო მეტად ლეკების ხაზზე) და, თუკი ერთ თვეში დიდ სამსახურს ვერ გაგიწევთ, დამსაჯეთ, როგორც გენებოთ“.

ვორონცოვი თვლიდა, რომ ჰაჯი-მურატის ოჯახი რუსებთან უნდა ყოფილიყო, ამიტომ გადაწყვიტა, ყველაფერი ეღონა — ჩვენს საზღვრებში არსებული ტყვეები შეეკრიბა, რადგან უფლება არ ჰქონდა, მთიელის ოჯახის გამოსასყიდად მას ფულით დახმარებოდა.

ვორონცოვს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ერთის მხრივ, მას არ შეეძლო, აბსოლუტური ნდობა გამოეცხადებინა ჰაჯი-მურატისთვის; მისი დაპატიმრება კი რუსებისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული მოსახლეობის ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა.

„სამსახურსა და ასეთ აბურდულ საქმეებში, ძნელია, რომ არ თქვა, შეუძლებელიაო და იარო ერთი სწორი გზით, არ გარისკო, რომ არ შეგეშალოს და არ აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. რაკი გზა სწორად გეჩვენება, უნდა გაუყვე მას, რაც იქნება, იქნება“, — წერდა ვორონცოვი ერთ თავის წერილში, რომელიც 1851 წლის 20 დეკემბერს მისწერა ა. ი. ჩერნიშევს.

© „ღვინისგამსაღები“

მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა გაეთავისუფლებინა ჰაჯი-მურატის ოჯახი. ვორონცოვს იგი შამილის საუკეთესო მებრძოლად მიაჩნდა, ადამიანად, რომელმაც არ იცის შიში, ამავე დროს არის ბუნებით ცბიერი და კარგად იცნობს მთელს დაღესტანს.

ჰაჯი-მურატი ვორონცოვთან მასპინძლის ხარჯზე ცხოვრობდა. ვორონცოვის მიერ მიცემული ფულიდან ჰაჯი-მურატმა სერიოზული თანხა შეაგროვა, რითაც უნდოდა იმამისაგან მთებში დაბრუნებისას მოწყალება მიეღო.

ერთ-ერთი თანამედროვე, ვინც კარგად იცნობდა ჰაჯი-მურატს, მასზე ამბობდა:

„რომ თქვა, ის იყო ყოჩაღი და უშიშარი ყველაზე გაბედულებს შორის, — ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი თქვა მის დასახასიათებლად: ჰაჯი-მურატის უშიშრობა გასაოცარი იყო თვით კავკასიაშიც კი. მაგრამ მისი გამორჩეულობა მხოლოდ ეს არ იყო. ის გახლდათ კავალერიის არაჩვეულებრივი ბელადი, მიხვედრილი, ბრძოლაში წინდახედული და უკანდახევისას მოუხელთებელი“.

თანამედროვეები თვლიდნენ, რომ ჰაჯი-მურატს ნებისმიერი ევროპული ქვეყნის არმიაში შეეძლო მაღალი წოდების მიღება.

1852 წელს ჰაჯი-მურატი რამდენიმე ამხანაგთან ერთად რუსებისგან გაიქცა. რამდენიმე საათში ის ყარაბახის, ნუხინის მილიციისა და ლეკთა ალყაში მოექცა.

„ჰაჯი-მურატი გარდაიცვალა თავზეხელაღებულ ვაჟკაცად, ისეთად, როგორადაც ცხოვრობდა; ალყაში მოქცეულმა მიატოვა რა ცხენები, რომელიღაც ორმოში ამხანაგებთან ერთად დაიმალა, ხელებით თხრიდა მიწას და გინებით პასუხობდა დანებების მოთხოვნას; როცა მას თვალწინ ორი ამხანაგი მოუკლეს, იგი, ოთხი ტყვიით დაჭრილი, მისუსტებული და სისხლისაგან ლამის დაცლილი, გაბედულად ეტაკა მოწინააღმდეგეს და სწორედ მაშინ იყო, რომ მოკლეს“, — წერდა მ. ს. ვორონცოვი წერილში, რომელიც 1852 წლის 25 აპრილს პეტერბურგში გაგზავნა.

ჰაჯი-მურატის ცხოვრება მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ამავე სახელწოდე-

მიხეილ ვორონცოვი

ბის ნაწარმოებით. ჰაჯი-მურატის ცხოვრების უკანასკნელმა ეტაპმა კავკასიაში სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდა მწერლის ახლოს გაიარა. ნაწარმოების ერთ-ერთ ვარიანტში ტოლსტოი წერდა: „იმ ხალხისთვის, ვინც კავკასიაში შამილთან ჩვენი ომის დროს არ ყოფილა, ძნელია, წარმოიდგინოს ის მნიშვნელობა, რომელიც მაშინ ჰაჯი-მურატს ჰქონდა მთელი კავკასიის თვალში“.

ტოლსტოისთვის ჰაჯი-მურატის პიროვნება სიმბოლოა თავზეხელაღებული მთიელი ხალხისა.

* * *

1859 წლის 22 აგვისტოს თავადმა ბარიატინსკიმ იმპერატორს შეატყობინა: „კასპიის ზღვიდან საქართველოს სამხედრო გზამდე კავკასია თქვენი ძალაუფლების ქვეშაა. ორმოცდარვა ქვემეხი, ყველა ციხესიმაგრე და მოწინააღმდეგის გამაგრება თქვენს ხელთაა“.

27 აგვისტოს პოლკოვნიკმა ტრამპოვსკიმ პეტერბურგში წაიყვანა ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამი.

მთელი გზა შამილს ეგონა, რომ ციმბირში მიჰყავდათ და კომპასს აკვირდებოდა.

დილით, 15 რიცხვში, შამილი წარდგა რუსეთის ხელმწიფის წინაშე.

„მოხარული ვარ, — უთხრა იმპერატორმა, — როგორც იქნა, რუსეთში ხარ. დასანანია, რომ ეს ადრე არ მოხდა! ცხადია, ჩამოსვლას არ ინანებ. მე შენ მოგაწყობ და ერთად მეგობრულად ვიცხოვრებთ!“

ამასთან, ხელმწიფე მოეხვია შამილს და გადაკოცნა.

მიღების შემდეგ შამილი ჩვენებაზე წაიყვანეს. მას განსაკუთრებით მოეწონა დრაგუნთა, ულანთა და ჰუსართა ჯირითი.

16 რიცხვში იმპერატორი ხარკოვში ჩავიდა. მას გაჰყვა შამილი. ის ცხენებით სეირნობდა, აღფრთოვანებული იყო ქალაქით, ცირკმა გააოცა, ფიქრობდა, რომ საცირკო ჩვენება — ეს ჯადოქრობაა.

საღამოს მაღალი საზოგადოების ბალი გაიმართა. „როცა ის ბალზე წაიყვანეს და ბრწყინვალე კოსტუმებში გამოწყობილი ქალები დაინახა, ელდანაკრავივით რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ლოცვა დაიწყო. ის, ასევე, გაოცებული იყო განათებითა და დარბაზის სისუფთავით.

„კავკასიის ლომს“ უკან ბრბო დაჰყვებოდა“.

როცა მეფე გაემგზავრა, შამილმა მემამულეთა წარმომადგენელს უთხრა: „ყველაფერმა, რაც მე აქ ვნახე, ძალიან აღმაფრთოვანა, განსაკუთრებით კი იმან, თუ როგორ უყვართ თავიანთი ხელმწიფე!“

იმყოფებოდა რა მოსკოვში, შამილი შეხვდა ა. პ. ერმოლოვს, დაათვალიერა კრემლის სასახლე და სხვა ღირსშესანიშნაობები; თეატრში დაესწრო ბალეტს „ნაიადა“.

26 სექტემბერს შამილი სანკტ-პეტერბურში ჩავიდა. მისი ჩასვლიდან მეოთხე დღეს დაათვალიერებინეს ისაკიევსკის ტაძარი. იქედან გამოსულმა გულზე ხელი მიიდო და ქრისტიანული სიწმინდეებისადმი მოკრძალების ნიშნად თავი დახარა.

შამილმა დაათვალიერა საჯარო ბიბლიოთეკა და „კუნსტკამერა“. სამხედრო-ტოპოგრაფიულ დეპოში მას კავკასიის რელიეფური მოდელი უჩვენეს. შამილი იტალიურ ოპერაშიც წაიყვანეს, ბალეტებზე „კატარინა“ და „პერი“. ის იყო, ასევე, ალექსანდროვის ფოტოგრაფიაში, სადაც ფოტოც გადაუღეს.

შამილი არ იყო ისეთი ფანატიკოსი, როგორადაც ის ზოგიერთებს წარმოუდგენიათ, რის დამამტკიცებლად მისი რელიგიური თავშეკავებულობა გამოდგება. მან უფლება მისცა მთებში გაქცეულ რასკოლნიკებს, აეშენებინათ ახალი საგუშაგოები, დაეცვათ უძველესი ტაძრები და თავი-

სუფლად მოეხდინათ შიგ ღვთისმსახურება.

„დარწმუნებული იყო, რომ ის რელიგიაა ჭეშმარიტი, რომელსაც შეუძლია, ადამიანი მთელი თავისი არსებით მიიზიდოს“.

რუსეთში შამილმა ყველა გააოცა თავისი კომუნიკაბელურობით, არაჩვეულებრივი ტაქტით. დაღესტნის მრისხანე მბრძანებელი ყველას აოცებდა თავისი არისტოკრატულობითა და ყურადღებიანობით.

გუნიბიდან პეტერბურგამდე შამილის მოგზაურობისას საზოგადოების ყურადღება ამ ბრწყინვალე პიროვნებისკენ იყო მიპყრობილი.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეს წარმომადგენელი ისეთ ისტორიულ ფიგურებს განეკუთვნება, რომელნიც გულგრილს ვერ ტოვებენ მხატვრებს, პოეტებს, მწერლებს, კომპოზიტორებს. ჩვენამდე მოღწეულია შამილის გამოსახულება, შესრულებული ისეთი ცნობილი ოსტატების ფუნჯით, როგორებიც იყვნენ: ფ. რუბო, ტ. გორშელტი, ე. ლანსერე, გ. გაგარინი, ვ. ვერეშჩაგინი, ნ. სვერჩკოვი, ვ. ტიმი და სხვ.

შამილის ისტორია აღელვებდა უცხოელ მხატვრებსაც, რომლებიც ქმნიდნენ იმამის პორტრეტებს მხოლოდ წარმოსახვით. მასზე და მის საქმეებზე მონათხრობის მიხედვით, იმით, რაც კავკასიაში ხდებოდა და რაზეც წერდნენ უცხოური გაზეთები და ჟურნალები. 1854 წელს პარიზულ „საყოველთაო ილუსტრირებულ ჟურნალში“ გამოქვეყნდა ე. ტექსეს სტატია „შამილი“, მალე ტექსემ გამოსცა წიგნი „შამილი“ სერიით „აღმოსავლეთის ომის ადამიანები“.

1854 წლის 26 ივლისს პარიზის თეატრ „სენ-მარტინში“ შედგა პრემიერა ხუთმოქმედებიანი ფრანგული დრამისა „შამილი“, რომლის ავტორი იყო პოლ მერისი. სპექტაკლის მუსიკა ეკუთვნოდა კომპოზიტორ მ. გონდიუსს, მთავარ როლს ასრულებდა მ. მელინგე. მოქმედება პიესაში 1834 წლის აპრილ-ოქტომბერში ხდება, უფრო ზუსტად, შამილის იმამად არჩევის წელს.

შამილის რუსეთში ჩამოსვლის ადგილად თავდაპირველად დანიშნული იყო კალუგა. 10 ოქტომბერს შამილი ჩამოვიდა ქალაქში და მოუთმენლად ელოდა ოჯახთან შეხ-

© „ღვინისფერი“

შამილის ტყვედ ჩავარდნა

ვედრას. იმამმა აქ მიიღო ყველა სტუმარი და შემოიარა კალუგის უფროსები, მაგრამ დროთა განმავლობაში საღამოებს უფრო ხშირად შინ მარტოობაში ატარებდა. დღითიდღე მას უფრო და უფრო ენატრებოდა თავისი ოჯახი. ბოლოს და ბოლოს დადგა დღე შამილის ნათესავებთან შეხვედრისა. მისი ოჯახი კალუგაში ჩამოსვლისას 22 სულისაგან შედგებოდა, მათ შორის იყვნენ მოსამსახურეებიც. მალე შამილი ოჯახთან ერთად კიევში გადასახლდა, ხოლო 1870 წელს მას უფლება მიეცა, მექაში გამგზავრებულიყო.

კავკასიის გმირმა სურვილი შეისრულა: მოინახულა მუჰამედის საფლავი და 1871 წლის 4 თებერვალს სიცოცხლე წმინდა ქალაქში დაასრულა. შამილი დასაფლავებულია მედინში, დშანატ-ემ-ბაკის სასაფლაოზე.

რუსეთის პროტესტები პორტასადმი ლეკ-ოსმალთა ქართლზე თავდასხმის გამო

ი. ბულგაკოვმა რეის-ეფენდის პროტესტი განუცხადა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთის ხელისუფალნი (იგულისხმებოდა ახალციხის ფაშა) ლეკების ამაოხრებელ თავდასხმებს აწყობენ საქართველოზე. ამაზე რეის-ეფენდიმ ელჩს უპასუხა, რომ გურჯები და მეგრელები (იმერლები) არიან ოსმალეთის სახელმწიფოს რაიები და რამდენადაც ყველა სახელმწიფოს უფლება აქვს, დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეშევრდომების საქმეები, რუსეთის ჩარევა ამ შემთხვევაში თვითნებობა და უკანონობაა.

3-4 დღის შემდეგ შედგა სახელმწიფო მეჯლისის სხდომა, სადაც ეგვიპტის საკითხთან ერთად საქართველოს საკითხიც განიხილეს. დაადგინეს, რომ პორტა კატეგორიულად ეწინააღმდეგება თბილისის ხანის რუსეთისადმი დამორჩილებას. თუ თბილისის ხანი თავს არ დაესხმება იმერეთს, რომელიც ოსმალეთის ქვეშევრდომია და — ისლამის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი დაღესტნის ერთმორწმუნე ხალხს, მაშინ ოსმალეთის სახელმწიფოც არ შეცვლის საქართველოსთან თავის ძველ დამოკიდებულებას. ამასთანავე, რადგანაც იმერლებს (მეგრელებს) არ სურთ წინათ მათთან დანიშნული ქაიხოსრო (აბაშიძე) და მოითხოვენ დავითის (იგულისხმება დავით II გიორგის ძე) დანიშვნას, მათი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნეს, ხოლო თუ ხალხმა არც ეს დავითი ისურვა, მაშინ დანიშნული იქნება სხვა პირი. ეს აცნობეს რუსეთის ელჩს.

დიპლომატიური შეხვედრისას რუსეთის ელჩმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქართლ-კახეთის მეფე, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის ვასალია, ამიტომაც იგი ვალდებულია, თავისი ქვეშევრდომი დაიცვას, ახალციხის სულეიმან-ფაშამ კი ლეკები საქართველოზე

© „ᲙᲝᲚᲮᲗᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

სათარეშოდ გაუშვა. ამის გამო რუსმა ელჩმა მოითხოვა ისიც, რომ ოსმალეთმა უარი თქვას ლეკებისადმი მფარველობაზე და აუკრძალოს მათ ქართლის მეფის ქვეყანაზე თავდასხმები.

რეის-ეფენდიმ ელჩს უპასუხა, რომ ლეკები, დიდი ხანია, მტრობენ თბილისის ხანს. ეს უკანასკნელი თვითონაც აწყობს ხოლმე თავდასხმებს ლეკებზე და ამიტომ უსაფუძვლო იქნება, ყველაფერი ჩილდირის ვალს მიეწეროსო. რეის-ეფენდის სიტყვებით, ერეკლე-ხანი ახლაც ავიწროებს და ჩაგრავს აზერბაიჯანში მდებარე განჯის ქვეყანასო. თანაც, — ამბობდა იგი, — ჩვენი ფადიშაჰი არის ყველა მაჰმადიანის ხალიფა, რის გამოც ის ვალდებულია, დახმარება გაუწიოს ლეკეთს და ყველას, რომელნიც ისლამის ქვეყნები არიანო.

ამ მოლაპარაკების შემდეგ პორტამ კვლავ გაუგზავნა ჩილდირის ვალის ბრძანება, თავი შეეკავებინა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევისაგან, მაგრამ რუსეთი ამით არ კმაყოფილდებოდა. პეტერბურგიდან ელჩს კვლავ მიუთითებდნენ, რომ პორტასაგან დაჟინებით მოეთხოვა ახალციხის სულეიმან-ფაშის გადაყენება და მოთარეშე ლეკთა ძალების ახალციხის საფაშოში არდაშვება. მაგრამ პორტა კვლავ არ ასრულებდა ამ მოთხოვნას და, პირიქით, ბრძანებდა, რომ როგორც დუნაის მიმართულებით, ისე ახალციხის საფაშოში გაეძლიერებინათ თავდაცვითი ღონისძიებანი, გაემაგრებინათ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტები, მუდამ სამხედრო მზადყოფნაში ჰყოლოდათ ჯარები და სხვ. ამასთანავე, პორტა არაფრით არ ცნობდა ერეკლე მეორეს რუსეთის ვასალად.

უკანასკნელად რუსეთის ელჩის დავალებით კონფერენცია ამ საკითხზე საელჩოს პირველ დრაგომანს (თარჯიმანს) პიზანის დიდ ვეზირთან ჰქონდა 1785 წ. 5 ნოემბერს. შეხვედრისას დიდმა ვეზირმა სხვათა შორის თქვა, რომ პორტა ხშირად არ ცვლის ფაშებს ზოგიერთ საფაშოშიც, როგორც მაგ., ბაღდადსა და ჩილდირში (ანუ ახალციხეში), რადგანაც იქ ინიშნებიან ადგილობრივი წარმოშობის ფაშები, დიდი ვეზირის აზრით, ახალციხის ფაშა უდანა-

შაულოა ლეკთა თარეშების საქმეში. საქართველოს მეზობლად არიან ყოველი ჯურის მოთარეშენი, რომლებიც მუდამ მზად არიან, მოაწყონ თავდასხმები და სხვა. დრაგომანი უპასუხებდა, რომ თავდამსხმელთა ნაწილი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან და თვით ახალციხის ფაშას სამსახურში მყოფნიც, რასაც დიდი ვეზირი უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ საქართველოზე მოთარეშეთა ყველა თავდასხმას აწყობს იბრაიმ-ბეი — წარმოშობით სპარსელი, რომელიც სპარსელების სამსახურიდანააო გამოქცეული.

საერთოდ, რუსეთის მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან 1785 წ. აპრილში საქართველოზე მოწყობილი თავდასხმის შესახებ ჩიხში იყო მომწყვდეული, თუმცა ახალციხის ფაშას ნაბრძანები ჰქონდა, მორიდებოდა ისეთ აქციებს, რაც რუსეთის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაგრამ, ამასთანავე, აიძულებდნენ, მუდამ მზად ყოფილიყო და, საერთოდ, სამხედრო თადარიგიც დაეჭირა. ლეკების მოთარეშე რაზმების დაშვებაც ახალციხის საფაშოში ნებადართული იყო.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იყო დატოვებული ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი, როდესაც სტამბოლში არზრუმისა და ჩილდირის (ახალციხის) ვალიებისაგან, პორტას მოხსენება მოვიდა, რომ ომარ-ხანმა თავისი ინიციატივით მთელი ლეკეთის ჯარებით უკვე გადალახა მდინარე ალაზანი და აღმოსავლეთ საქართველოს შეესია.

© „ღონისძიებები ათასწლეულზე“

შეიხი მანსური და ოსმალთა კავკასიური ავანტურა



ტყვეთა ბაზარი

რუსეთთან ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლემ დაანგრევინა თბილისში სასახლის წინ მდგარი როსტომ მეფის მიერ აშენებული მეჩეთი. ამ აქტით ერეკლე სიმბოლურად წყვეტდა კავშირს მაჰმადიანურ სპარსეთთან და საბოლოოდ რუსეთს უკავშირდებოდა, რაც, ცხადია, აღიზიანებდა ამიერკავკასიის მაჰმადიანთა თავკაცებს, ამიტომაც რუსეთთან ტრაქტატის დადებას მოჰყვა ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. ტრაქტატმა განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთზე, რომელსაც უკვე 1783 წ. რუსეთმა ყირიმი წაართვა, ახლა კი რუსეთი საქართველოშიც ფეხს იკიდებდა, რის შედეგადაც ოსმალეთი ამიერკავკასიაშიც კარგავდა თავის პოზიციებს. აზერბაიჯანის ხანები და სპარსეთის მფლობელებიც შეძრწუნდნენ, როდესაც რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლა შეიტყვეს. ერეკლე ცდილობდა აღმ. ამიერკავკასიის ხანების ერთგვარ დამშვიდებას, რისთვისაც მათ საჩუქრებს და ზოგჯერ ემისრებს უგზავნიდა, მაგრამ უშედეგოდ.

დიდი შიში დანერგა რუსეთის საქართველოში ფეხის მოკიდებამ, აგრეთვე, საჩეჩნოსა და მთელ ლეკეთში, რადგანაც ქრისტიანული რუსეთი მათ ახლა ქართლ-კახეთი-

დან ზურგში და ფლანგზე მოექცა და ადრე თუ გვიან მათ დამორჩილებასაც მოიწადინებდა. **მაჰმადიანური რელიგიური ფანატიზმი, რომელიც შერწყმული იყო თავისუფლებისაკენ მიდრეკილებასთან, საჩეჩნოსა და ლეკეთის მმართველ ფენებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა. წამოჭრილმა უდიდესმა საფრთხემ ლეკეთის დაქსაქსული ტომების მეთაურები აიძულა, შეკავშირებულიყვნენ ხუნძახის, ანუ ავარიის ომარ-ხანის მეთაურობით, რომელიც ამ მხარის ყველაზე ძლიერი მმართველი იყო.**

ბუნებრივია, რომ ბაბა-ალიც (მაღალი პორტა, ანუ „მაღალი კარი“, ე.ი. ოსმალეთი) ძალიან შეწუხებული იყო რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე განლაგებით, რადგანაც ამით რუსეთის მცირე აზიაში შესაღწევად ახალი პლაცდარმი გაუჩნდა ამიერკავკასიაში.

ამ დროს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ **რუსეთს სურდა, კონსტანტინოპოლსა და მის მიმდგომ მხარეებში აღედგინა ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის მეფედ და იმპერატორად, როგორც აღვნიშნეთ, უნდა დაესვათ ეკატერინე II-ს შვილიშვილი კონსტანტინე, რომელიც ამ მიზნით საგანგებოდ იქნა მონათლული კონსტანტინე დიდის სეხნიად.**

ამ დროს ოსმალეთი, სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთის იმპერიასთან შედარებით სუსტი იყო, ამიტომაც დაკარგა მან ყირიმი და, თუმცა მას მისტიროდა, მაგრამ მაინც ერიდებოდა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას ახალი გართულებების შიშით. ამიტომ ოსმალეთი იმასღა ცდილობდა, რომ ლეკეთსა და საჩეჩნოში შექმნილი დიდი შეშფოთება რუსეთისა და მისი მოყვრის — ერეკლე II-ს წინააღმდეგ და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ფორმალურადაც ბაბა-ალი (მაღალი კარი) რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას არ ცნობდა და საქართველო და ერეკლე II-ც კვლავინდებურად თავის ხელქვეითებად მიაჩნდა.

ამრიგად, ოსმალეთს ერეკლე II თავის მთავარ მტრად თვლიდა ამიერკავკასიაში, რისთვისაც არავითარ საშუალებებს — ფულს თუ საჩუქრებს — არ ზოგავდა ლეკე-

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲛᲬᲔᲚᲘ“

ბისა და აზერბაიჯანელების (იგულისხმება მთელი აზერბაიჯანი თავრიზის მხარითურთ) მის წინააღმდეგ ასამოქმედებლად. რასაკვირველია, მაშინდელი კომუნიკაციების პირობებში, ყოველივე ამას დრო სჭირდებოდა და მხოლოდ 1785 წლისათვის გახდა შესამჩნევი ის დიდი საფრთხე, რომელიც ყოველი მხრიდან ექმნებოდა ოსმალეთის მიერ ქართლ-კახეთს და არა მარტო მას, არამედ იმერეთსაც.

ამ დროისათვის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უკვე მეტად მძიმე იყო. **ახალციხის სულეიმან-ფაშა, ცხადია, სტამბულის მითითებებით, ყველა საშუალებას ხმარობდა, რათა ლეკებისა და საკუთრივ მესხ-მაჰმადიანთა ჯარების საქართველოს სოფლები აეოხრებინა, მოსახლეობა მოესპო და ტყვენიც წაესხა გასაყიდად.** საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის შედეგად, — წერდა პ. ბუტკოვი, — ერეკლესათვის ყველაფერი გაუარესდა. მაჰმადიანური სარწმუნოების მისი ქვეშევრდომები, როგორც შამშადილები, თათართა მომთაბარე ელები და სხვა ადგილობრივი მაჰმადიანები მას უკვე ნაკლებ ემორჩილებოდნენ. აზერბაიჯანში მან დაკარგა თავისი წინანდელი გავლენა და იქიდან საჩუქრების მიღებაც შეწყდა. განჯა უკვე თითქმის გამდგარი იყო. ერევანი ხარკის გადახდაზე უარს ამბობდა, ხოლო მისი მფლობელი ხანი, ახალციხის სულეიმან-ფაშის შუამავლობით, ხოის ახმედ-ხანს დაემოყვრა. ერევნის მაგალითს მიჰბაძა ერთ-ერთი ქურთების ტომის თავკაცმა შამდანაღმა, რომელიც მაჰმადიანი იყო და თავისი ტომის სამი ათასი საბარგულით ერევნის სახანოში მომთაბარეობდა და აქამდის ერეკლეს უხდიდა ხარკს. შუშის იბრაჰიმ-ხანი თავს არიდებდა ეკლესიასთან კავშირს, რომელსაც იგი ოც წელზე მეტ ხანს იცავდა. საქართველოს ვაჭრებს სპარსეთში, ოსმალეთსა და სხვა მხარეებში ძარცვავდნენ, ტყვედ ჰყიდდნენ და კლავდნენ. ამას ისიც დაემატა (სიძვირე), რომ 1785 წელს თბილისში ჩეტვერთი, ე.ი. 7,5 ფუთი პური 7 მანეთად იყიდებოდა. ყველა ამ ზარალის ნაცვლად, ერეკლემ მხოლოდ ის მოიგო, რომ ახლა აღარ აძლევდა ლეკებს ფულს, როგორც ეს წინათ იყო, სამაგიე-

როდ ახლა ისინი მზად იყვნენ, ერეკლეს წინააღმდეგ გამოსულიყვნენ სამსახურში ოსმალებისა, რომლებსაც მეტის გადახდა შეეძლოთ.

ოსმალეთის მთავრობა მოფიქრებულად შეუდგა საქართველოს დასაღუპად მზადებას. ქართველთ წინააღმდეგ ლეკების კომბინირებული ამოქმედებისათვის საჭირო იყო რუსეთისათვის ჩრდ. კავკასიაში რაიმე საფრთხე შეექმნათ, რათა გაჭირვების ჟამს ერეკლეს ველარ შეეძლო იქიდან რუსებისაგან რაიმე დახმარების მიღება. ამ მიზნით ოსმალებმა მოხერხებულად გამოიყენეს ეს ავანტიურისტი მანსური (შეიხ იმამ მანსური).

ამ ამბების თანამედროვის, ინგლისელი ტუკის ცნობით, ეს მანსური იყო ერთ-ერთი პატარა იტალიური ქალაქის მთავრის შვილი, რომელმაც კარგი აღზრდა მიიღო. იგი თავისი სახლიდან ერთ მონასტერში გაიქცა, სადაც ბერად აღიკვეცა. მიმზიდველმა საუბარმა, კეთილშობილმა ქცევამ და სარწმუნოებრივი წესების ბეჯითად დაცვამ მას მალე თითქმის წმინდანის პატივისცემაც კი მოუხვეჭა. შემდეგ იგი გაგზავნილ იქნა ქრისტიანობის საქადაგებლად სპარსეთში, სადაც, როგორც ჩანს, შეისწავლა თურქული და სპარსული ენები. ასურელი ნესტორიანების პატრიარქთან უთანხმოების გამო ის გაიწვიეს რომში ვატიკანის წინაშე თავის სამართებლად, საიდანაც კვლავ სპარსეთში დაბრუნდა, მაგრამ იქ ვერ გაძლო და გაემართა სტამბოლს, სადაც მას აღმოუჩნდნენ მფარველები. ერთ ხანს მანსური იყო ტრაპიზონის ალი-ფაშასთან, შემდეგ კი ისევ სპარსეთში, კერძოდ, თავრიზის მიდამოებში. აქ, როგორც საექიმო საქმის ერთგვარმა მცოდნემ, მანსურმა თავისი მოხერხებით მალე გაითქვა სახელი, ხოლო ქიმიისა და ფიზიკის ცოდნამ მას წინასწარმეტყველის სახელიც მოუპოვა. აი სწორედ ამის შემდეგ შეირქვა მან წინასწარმეტყველ მანსურის სახელი (მანსურ არაბულად გამარჯვებას ნიშნავს) და 1785 წ. ის, ვითარცა ოსმალეთის აგენტი, მოევლინა საჩეჩენოს; ეტყობა, მას ფულადი სახსრებიც ჰქონდა. თავისი გასაოცარი ენერგიითა და ორგანიზატორული უნარით, მან სულ მალე მთიელ ხალხებში — როგორც საჩეჩნოში, ისე ლეკეთში — გაბატონებული მდგო-

© „ღვინისმცოდნე“

პეტრე ნიკოლოზის ძე გრუზინსკი — „მთიელები აულს ტოვებენ“

მარეობა მოუპოვა ისედაც გავრცელებულ ისლამს. მანსური თავის თავს წინასწარმეტყველად აცხადებდა, შეიხად (მეთაურად) და იმამად (ისლამის რელიგიურ მეთაურად). მალე მის გარშემო 12 ათასამდე მეომარი შეიკრიბა.

ეს გასაოცარი ფაქტი — მთელი საჩეჩნოსა და ლეკეთის უმეტესი ძალების კონსოლიდაცია — შესაძლებელი გახდა იმ საფრთხის გამო, რომელიც აქაურმა ხალხებმა იგრძნეს ჩრდ. კავკასიაში რუსეთის გაძლიერების გამო. სახელდობრ, 1784 წლის გაზაფხულზე რუსებმა ააგეს რიგი სიმაგრეებისა მოზდოკიდან დარიალამდე და დარიალის მისადგომზე ძაუგში ციხე ვლადიკავკაზი, რომლის თვით სახელიც კი აგრესიული შინაარსისა იყო (ამ ვლადიკავკაზს ქართველებმა კავკავი შეარქვეს). ყველგან ჩაყენებული იქნა რუსის რაზმები, ვლადიკავკაზში — მთელი გარნიზონი არტილერიით.

ცრუ წინასწარმეტყველ მანსურის მეტისმეტი გაძლიერების საპასუხოდ მის საწინააღმდეგოდ კავკასიის ხაზის უფროსმა გენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა გააგზავნა ჯარით პოლკოვნიკი პიერი, რომელიც დამარცხდა და მოკლულ იქნა (1785 წ. ივლისში). ამ გამარჯვების შემდეგ

მანსური მიადგა ყიზლარს. მაგრამ უკუგდებულ იქნა. მანსურმა ააფეთქა რუსების რედუტი კარგინი მთელი იქ მყოფი რაზმით. მოძრაობა მოედო მცირე ყაბარდოსაც, რომლის მოსახლეობა, რუსების შიშით, აიყარა და გაიხიზნა მდ. სუნჯის ზემო ნაწილის მთებში (1785 წ. ივლ.). მალე ამის შემდეგ მანსური 12 ათასი ჩაჩნით, ლეკითა და ყუმიხით კვლავ ყიზლარს დაესხა თავს, მაგრამ ახლაც უშედეგოდ — მისი აღება მან ვერ შეძლო (1785 წ. აგვ.), თუმცა რუსებს ამ დროს კავკასიის ხაზზე ჰყავდათ 20 ათასი რეგულარული ჯარი და 7-ათასიანი არარეგულარული ნაწილები, მაგრამ ამ ხაზის დაცვა, უზარმაზარი სიგრძის გამო, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. **ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში რუსეთი საქართველოს ვერავითარ ახალ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, თუმცა ერეკლე იქ შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდა დახმარების თხოვნით, ლეკეთში კი უკვე დიდი მზადება წარმოებდა საქართველოს სრული დაპყრობის მიზნით.**

© „ღვინისმცოდნე“

სერგო ხოსიტაშვილი

პირველი ქართულ-რუსული საბრძოლო ოპერაციები

სამსაუკუნოვანი უწყვეტი ბრძოლების შედეგად თურქ-დამპყრობლებმა XVI საუკუნეში საბოლოოდ დაიპყრეს სამხრეთ საქართველო და ზუსტად 250 წელი (1578-1828 წწ.) განუკითხავად იბატონეს ამ მხარეში. მესხეთის საქართველოსთან შემოერთება ქართველ მეფეებს დამოუკიდებელი ძალებით არ შეეძლოთ, ამიტომ ამ საშვილიშვილო საქმეში დახმარებას სთხოვდნენ ერთმორწმუნე რუსეთს.

საქართველოსა და რუსეთის სამსაუკუნოვან დიპლომატიურ ურთიერთობაში პირველი შემთხვევა იყო, რომ ქართველი და რუსი ხალხები დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოვიდნენ საომრად აწყურის, იდუმალასა და ასპინძის სახელოვან ბრძოლებში. ეს ბრძოლები, რომელიც 213 წლის წინათ (1770 წ. აპრილი) მოხდა, შეიძლება ჩაითვალოს რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდად, მის შემადგენელ ნაწილად.

რუსეთ-თურქეთის ეს ომი ორ ფრონტზე (ბალკანეთი და ყირიმი) წარმოებდა. პირველ ხანებში თურქეთის სარდლობამ მთელი თავისი ძალები (მათ შორის ახალციხის საფაშოსიც) ბალკანეთ-ყირიმის ფრონტზე გადაისროლა. ამ მდგომარეობამ მეფის რუსეთი დააფიქრა და გადაწყვიტა, საქართველოში თავისი ჯარი გაეგზავნა და ქართველებთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ მთავრობას საქართველოს შესახებ წარუდგინა გეგმა, რომელსაც პროფ. ვ. მაჭარაძე შემდეგი სახის აყალიბებს:

1. ქართველებს იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ თურქეთთან ზავის დადების დროს რუსეთის მთავრობა გაითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს ინტერესებს.

2. თურქების წინააღმდეგ ომში ჩაბმულ ქართულ სამეფოებს მიეცემოდათ ფულადი დახმარება.

3. თუ ქართველებს არტილერია არ ჰქონდათ, მაშინ საქართველოში გაიგზავნებოდა ქვემეხები არტილერისტებით, ხოლო საექსპედიციო ჯარის გაგზავნის საკითხი, გზების სიძნელის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო საბჭომ ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანული ხალხების ასამხედრებლად 1768 წ. 12 ნოემბერს დაადგინა: „...მორეაში, დალმატებთან, საქართველოში და თურქეთის ოლქებში ჩვენი სარწმუნოების ყველა ხალხებთან გამოცხადებულ იქნეს, რომ რუსეთი იძულებულია თურქეთთან ომი რელიგიისათვის აწარმოოს“. **მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო, თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ყველა ის ხალხი, რომლებიც ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდნენ, არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ და რელიგიურ სფეროშიც.** რუსეთის მთავრობის ნამდვილი მიზნები და მისწრაფებანი ზემოთ მოყვანილ განცხადებაში აღნიშნული არ იყო. რუსეთის პოლიტიკურ მიზანს შეადგენდა შავი ზღვის სრუტეებისა და ამიერკავკასიის ხელში ჩაგდება. რუსეთის „საგარეო საქმეთა კოლეგია ამ დროს უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ჩაება საქართველო თურქეთის წინააღმდეგ ომში“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V).

ეკატერინე II 1769 წ. 27 მარტის ბრძანებით გენერალ-მაიორი ტოტლებენი დაინიშნა იმ ჯარის მეთაურად, რომელიც საქართველოში იგზავნებოდა, ხოლო რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლად — ანტონ მოურავოვი. იმავე წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, სოფ. ხოდასთან (ყაზბეგის რაიონი). მეფე ერეკლე თავისი დიდებულებით შეხვდა ჯარს.

1768 წ. დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომი საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელად მიიჩნიეს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს საარსებო ინტერესები ამ ომში ერთიმეორეს ემ-

© „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ“

თხვეოდა. საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობა იმთავითვე ანტიოსმალურ და ანტიყიზილბაშურ ხასიათს ატარებდა. როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს,

„ქართველ პოლიტიკოსებს ღრმად სწამდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ინტერესების ეს თანხმობა მტკიცე საფუძვლად დაედებოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას, მის გამოხსნას და აღდგენას“.

ქართლ-კახეთის სამეფოს თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შესახებ ერეკლესა და ტოტლებენს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ 1769 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო, მაგრამ თურქეთის სულთანი და ახალციხის ფაშა ცდილობდნენ, როგორმე მიეღწიათ იმისათვის, რომ მეფე ერეკლეს ამ ომში ნეიტრალიტეტი დაეცვა. თურქეთის სულთნისა და ახალციხის ფაშის ყურადღების მოდუნებისათვის ერეკლე ელჩებსა და საჩუქრებს გზავნიდა სტამბოლში და ახალციხეში. ეს ყველაფერი მოჩვენებითი დიპლომატიური ხერხი იყო.

1770 წ. 17 მარტს სოფ. სურამის სამხედრო თათბირზე გადაწყდა, რუს-ქართველთა ჯარს შეტევა დაეწყო ახალციხის საფაშოზე ბორჯომის ხეობიდან, რადგან ამ მხარეში მდებარეობდა საუკეთესო ციხე-სიმაგრეები (ახალდაბის, პეტრას, გოგიას, აწყურის, ახალციხის, ასპინძის, ხერთვისის, თმოგვის, არტაანის, მგელციხე, კოლას ციხე, ყარსი და სხვ.). ახალციხე — ახალქალაქი — არტაანის ციხეები ე.წ. სამკუთხედს ქმნიდა. ფრიად ხელსაყრელი სამხედრო პლაცდარმისა და სტრატეგიული პოზიციის ხელში ჩაგდება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა თურქეთს. ფ. ენგელსი, ეხება რა რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წწ. ომს. აღნიშნავს: **„თბილისისა და არზრუმის შემაერთებელი გზები ორივე მოწინააღმდეგისათვის საოპერაციო ხაზებად გადაიქცევა. არსებობს სამი გზა: ერთი ზემო მტკვარსა და ახალციხის გაყოლებაზე მიდის, მეორე — ქვემო მტკვრისა და ერევნის, მესამე — ორ პირველ გზას შუა მთებსა და ყარსზე... ახალციხის გზით თურქეთის არმიას შეუძლია პირდაპირ კავკასიის მღელვარე ოლქებში შემოსვლა, მაგრამ რუსეთის კორპუსს... შეუძლია წინ-**

წამოწეულ... თურქეთს გზა მოუჭრას... არზრუმსაც კი დაეუფლოს“.

ახალციხისათვის ბრძოლის დროს ქართველი პოლიტიკოსები ორ მთავარ ამოცანას ისახავდნენ მიზნად: მტრისათვის ქართლზე თავდასხმის მარჯვე პლაცდარმი მოეშალათ და მიტაცებული ძველთაძველი ქართული მიწაწყალი შემოეერთებინათ. ახალციხის საფაშოზე გალაშქრებას აჩქარებდა და ხელს უწყობდა ისიც, რომ იქ ოსმალთა ჯარი ცოტა იყო და ნამინ ფაშას არ შეეძლო რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქრისათვის სერიოზული ძალა დაეპირისპირებინა. გარდა აღნიშნულისა, ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ირანში დიდი არეულობა იყო. დიდი მხედართმთავარი და გამოცდილი პოლიტიკოსი მეფე ერეკლე მეორე კარგად ხედავდა და აფასებდა ამ დროს შექმნილ საერთაშორისო სიტუაციას და იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს. იგი მეფის რუსეთს ატყობინებდა: „ვიმყოფებით იმ დროსა შინა, რომელიცა აქუს ყოველთა საქართველოთა გამოხსნისა“. 1770 წ. 14 აპრილს ქართველ-რუსთა ჯარი ქვიშხეთიდან სოფ. სადგერს (ბორჯომის რაიონი) მივიდა, ხოლო 16 აპრილს შემოადგა აწყურის ციხეს. აწყურთან მისულ ტოტლებენს ჰყავდა 600 მეომარი და ჰქონდა 6 მცირე ყალიბიანი ზარბაზანი. მეფე ერეკლეს — 7000 მეომარი და 3 ზარბაზანი; ასეთ ვითარებაში მეფე ერეკლე საკუთარი ძალებით ცდილობდა ახალციხის აღებას, სანამ ოსმალეთი ახალციხის საფაშოს დახმარებას აღმოუჩენდა.

სოფ. აწყურთან მეფე ერეკლემ სახელდახელო ხიდი ააგებინა და მახლობელ სოფლებში მეომართა რაზმები გაგზავნა სურსათ-სანოვაგისა და პირუტყვის საშოვნელად. ერეკლეს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული საომარი გეგმა, რომლის მიხედვით ჯერ ახალციხის ახლოს მდებარე სოფლები უნდა დაეკავებინათ, სურსათ-სანოვაგე და პირუტყვი მოემარაგებინათ და შემდეგ იერიში მიეტანათ პირდაპირ ახალციხეზე და სხვა ციხე-სიმაგრეებზე. როგორც თვით ერეკლე 1770 წ. 10 მაისს გრაფ გოლიცინს წერდა: „...აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, მაგრამ... ესე, არ ჰყო ღერ. ტოტლებენმა“.

© „ღვინისგამოცდილება ათასწლეულ“

თითქმის ასეთივე საომარ გეგმას ურჩევდა მეფის რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი.

მეფე ერეკლეს მიერ შემუშავებული საბრძოლო გეგმა სამხედრო თვალსაზრისით საუკეთესოდ იყო შედგენილი. ერთის მხრივ, ის დახმარების ყოველგვარ საშუალებას მოუწყვეტდა აწყურისა და ახალციხის თურქ მეციხოვნეებს, გადაუჭრიდა საკომუნიკაციო გზებს და მეორე მხრივ, მისი ლაშქარი უზრუნველყოფილი იქნებოდა სურსათით, პირუტყვით. ტოტლებენს რომ ერეკლეს მიერ წარმოდგენილი გეგმა მიეღო, ეჭვგარეშეა, ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

„აწყურის ციხის აღების სხვა საშუალებაც არსებობდა — მტრის ზურგში ღრმად შეჭრა, — აღნიშნავს პროფ. ვ. მაჭარაძე, — მეციხოვნე ჯარის მოწყვეტა მტრის დანარჩენი ჯარებისაგან — აი, რას შეეძლო ციხის გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა. ასეთ პირობებში ციხის ალყა მცირე ძალითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარედან დახმარებას მოკლებული მტერიც წინააღმდეგობას ვეღარ გასწევდა“.

მაგრამ ტოტლებენმა თავისი ჯარი აწყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. თისელში მიმავალ გზასთან ახლოს უგარეთის გორაზე განალაგა და ბევრი იტრაბახა ციხის აღებაზე. **„ესე ვითარი პირობა დაჰსდუა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართმეო, და ესე ვერ შევიტყეთ ვერ შესძლო თუ არ ინებაო,“ — აღნიშნავს ერეკლე. ტოტლებენს სურდა, პირველი მისვლისთანავე მტრის ქვეყანაში ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა რუსეთის იარაღისათვის და ამით თავი უფრო გამოეჩინა რუსეთის სამეფო კარზე. მაგრამ ბედმა უმტყუნა, ციხეს ვერაფერი დააკლო. „მეორე დღესაც კიდევ იგივე პირობა დასდუა, მაგრამ მისნი საქმენი სიმართლით და სისწორით ვეროდეს ვნახეთო“,** — წერს ერეკლე. რადგან ტოტლებენმა აწყურის ციხის მთლიანი ალყა არ განახორციელა, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 18 აპრილს ახალციხის ფაშამ დამატებით 2000 მეომარი ტყვიაწამლითა და სურსათ-სანოვაგით შეგზავნა ციხეში. ეტყობა, ტოტლებენს

დროის გაყვანა უნდოდა, რათა ახალციხის ფაშას უფრო მეტი ძალებისათვის მოეყარა თავი აწყურის ციხესთან. უფრო მეტიც, იგი ახალციხის ფაშას ჯაშუშთა ქსელში გაება და თავისი ასეთი მოქმედებით დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ინტერესებსაც. როგორც ფრანგი კაპიტანი, ტოტლებენის ადიუტანტი დეგრაი დეფუა წერს, „ტოტლებენის მიერ აწყურის ციხის იერიში მეფე ერეკლეს ცუდად ენიშნა. მართლაც ოთხი დღის ამაო ბომბარდირების შემდეგ ახალციხიდან მოვიდა შვიდი ათასი თურქი და ლეკი მეომარი. ტოტლებენმა რომ მტრის მოახლოება შეამჩნია, არტილერია ცხენებს აჰკიდა. ბრძოლის ველი დატოვა და სურამს დაბრუნდა“. ტოტლებენი ბრძოლის ველს იმ დროს გაეცალა, როდესაც აწყურის ციხესთან მოსულ ლეკ-ოსმალთა ჯარიდან ლეკებმა ერეკლესთან შერიგება მოითხოვეს, მას მძევლებიც აძლიეს და სთხოვეს, ნება დაერთო მათთვის ქართველების მხარეზე გადმოსულიყვნენ.

ტოტლებენის ასეთი მოქმედება გაუმართლებლად მიუჩნევია იქ მყოფი რუსი ოფიცრების ერთ ნაწილს და თვით რუსეთის მეფის წარმომადგენელ ანტონ მოურავოვსაც. მათ უცდიათ ტოტლებენის უკან დაბრუნება, მაგრამ ამაოდ, **„მას შემდეგ, რაც გრაფმა მთავარ მიზანს მიაღწია — ერეკლე მეფე ნამდვილად ჩააბა თურქებთან ბრძოლაში და ციხეს კი თავის განკარგულებაში მყოფი ქვემეხებით ვერა ავნო, წავიდა უკან ქრცხინვალისკენ იმ საბაბით, რომ სურსათი მაკლიაო“,** — წერს გერმანელი მეცნიერი გულდენშტეტი.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ირკვევა, რომ ტოტლებენი აწყურიდან უკან დაბრუნდა არა სურსათ-სანოვაგის უკმარობის ან რუსი ოფიცრების შეთქმულების, ან ორსარდლობის საკითხის, ან ჭორების გამო, არამედ აშკარა ღალატით, იმ საქმისათვის, რომლის გულისათვისაც ის იყო გამოგზავნილი საქართველოში. აი რას წერს ამის შესახებ რუსი გენერალი პოტო: **„უფრო მეტიც, მეფე ირაკლის თურქეთის საზღვრებში ყოფნის დროს ხალხში ხმა გავრცელდა, ტოტლებენი სურამში დაბრუნდა იმ მიზნით, რომ მოეყვანა ქართველები ფიცის მისაღებად და**

ბრძანა მათთვის მისი უმაღლესობის (ეკატერინე II ს.ხ.) სახელით, რომ მათ არ ეცნოთ ერეკლე თავიანთ მფლობელად“. ამრიგად, ტოტლებენმა აწყურის ციხესთან უმსგავსო საქციელი ჩაიდინა — მოკავშირე ბრძოლის ველზე მიატოვა და ახალციხის ფაშასთან საეჭვო მიმოწერა გააბა. რუსი პატიოსანი ოფიცრები დაეჭვდნენ და აშკარად გამოვიდნენ ტოტლებენის წინააღმდეგ.

მეფე ერეკლესთვის ყველაფერი ნათელი გახდა. იგი ცდილობდა საქმე ისე წარემართა, რომ ლეკ-ოსმალებისათვის ცნობილი არ გამხდარიყო ტოტლებენის ღალატი. ბოლოს მან პრინციპულად გადაწყვიტა გაამაყებულ და თავზეხელაღებულ მტერს მარტო ქართველთა ლაშქრით შებრძოლებოდა. **„საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — მაგრამ ამ უარესი განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო აუცილებელი განადგურებისაგან, მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით, რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ (აწყურთან — ს.ხ.), შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლიანად მოსპო“.** მეფე ერეკლემ ახალი გარემოებისა და მოვლენების გათვალისწინებით სასწრაფოდ შეცვალა საომარი მოქმედების გეგმა. იმის გამო, რომ რუსეთის ჯარი უკან გაბრუნდა, მოპირდაპირე ძალთა თანაფარდობა და ვითარებაც მკვეთრად შეიცვალა. ერეკლემ უმალ დაიწყო საბრძოლო მოქმედება: გათამამებული მტრის ლაშქარს ქართველთა რჩეული ნაწილები შეახვედრა. დაამარცხა და კვლავ ციხეში შერეკა. ამ მეტად მძიმე მომენტში მეფეს მეორე საზრუნავი გაუჩნდა: მტრისათვის არ მიეცა საშუალება უკან გაბრუნებულ ტოტლებენს ბორჯომის ვიწრო ხეობაში დადევნებოდა და მთლიანად გაენადგურებინა რუსეთის ჯარი. ამიტომ მან გადაწყვიტა, მტრის მთავარი ძალები თავისკენ მიეზიდა, რათა რუსების ჯარს საშუალება ჰქონოდა მშვიდობით გასცლოდა ხეობას და სამშვიდობოს გასულიყო. ბრძოლა 1770 წ. 19 აპრილს დღის პირველ ნახევარში გაიმართა. აი რას წერს ამ ბრძოლის თვითმხილველი ტოტ-

ლებენის ადიუტანტი დეგრაი დეფუა: „ბრძოლა ფიცხელი და დაუნდობელი იყო, ქართველები და თურქები ხმალ-დახმალ იბრძოდნენ. ომი მეტისმეტად გამწვავდა. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა. ამ დროს თავზარდამცემი ყიჟინით მტკვრის მარჯვენა მხრიდან მოვარდა გიორგი ბატონიშვილი მამის დასახმარებლად.

მოულოდნელ დარტყმას ველარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა, ციციანოვი (ალ. ციციშვილი, — ს.ხ.) საფარიდან უთვალთვალებდა საომარ მოქმედებას, თურქებმა ხიდის დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში უკან დახევის უზრუნველსაყოფად ათასი ჯარისკაცი დატოვეს. როცა ციციანოვმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შეკრთა და ერეკლემ მტერი ხიდისკენ უკუაქცია, გამოვიდა საფარიდან, ხიდის მცველთა რიგები არია, ხიდი თვითონ დაიკავა და თურქებს უკან დასახევი გზა მოუჭრა.

სამივე მხრიდან მოეძალნენ ქართველები. შედრკნენ თურქები, მოაწყდნენ ხიდს. ხიდი რომ დაკავებული დახვდათ, მტკვარში ჩაცვივდნენ. ადიდებული მდინარე კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ გადალახა, ახალციხისაკენ ამბის მთხრობელმაც კი ვერ გააღწია. მეფე ერეკლეს გამარჯვება სრული და განუყოფელი იყო“. **აწყურის ბრძოლაში განსაკუთრებით თავი უსახელებია მეფის მცველ ხევსურთა რაზმს და გურჯაანელ ლუარსაბ ოთარის ძე ვაჩნაძეს.** აწყურის გმირული ბრძოლის ამბავი მხედველობიდან არ

ასპინძის ბრძოლა

გამორჩენია იტალიელ მისიონერ ლიონს. იგი წერს: **„...იმდენი გაბედულება მიეცა მეფეს, რომ ხმლით ხელში მტერთან შესახვედრად მივიდა, დაამარცხა, გაფანტა და ისეთი დიდი სასაკლაო გამართა, რომ მეტად მცირენი გადარჩნენ და გაქცეულნი ახალციხეში ავიდნენ. დანარჩენი ბრძოლის ველზე დარჩა, ნაწილი დაჭრილი და ნაწილი დახოცილი. თურქების ბევრი მეთაური ცოცხალი ჩაიგდო ხელში, ჯაჭვითა და თოკით გადაბმულები ტრიუმფით თბილისში ჩარეკა. დახოცილი თურქების გვამი მდინარეში გადააყრევინა ჩალმებიანად და ამ მდინარის (მტკვარის ს.ხ.) წყალი წითლად შეღებილი მოჩანდა“.**

მიუხედავად ქართველების ასეთი გამარჯვებისა, მეფე ერეკლემ ვერ გაბედა, ქ. ახალციხეზე პირდაპირი იერიში მიეტანა. ახალციხის აღების გეგმა ჩაიშალა. ბორჯომის ხეობით კი თბილისში დაბრუნება დამარცხებას უდრიდა და უარეს შედეგს მოუტანდა ქვეყანას. ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ჯერ კიდევ საბოლოოდ განადგურებული არ იყო, მას ახალი ძალები ემატებოდა. ქართველთა ლაშქარი 1770 წ. 19 აპრილს კოდიანის მთის ელაზის საცალფეხო გზით ასპინძის მიდამოებში გადმოვიდა. სოფ. იდუმალასთან ახალქალაქისა და ხერთვისის 1500 თურქი მეციხოვნე შემოეყარათ. **მეფე ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი სოფ. იდუმალასთან ბრძოლაშიც გამოვლინდა.** მან მტერს პირველად ცხენოსანთა გულადი რაზმი შეაგება. მტერი შედრკა, ბრძოლაში მეფემ ახალი რაზმები ჩააბა. მტერი გატყდა და გაქცევით უშველა თავს, მაგრამ ქართველებმა გაქცეულ ოსმალებს გზა მოუჭრეს და ისინი იძულებული გახდნენ ადიდებულ მდ. მტკვარში გადაცვენილიყვნენ. ოსმალებმა ამ შეტაკების დროს 500 მეომარი დატოვეს ბრძოლის ველზე. დარჩენილი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო. ქართველებს მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი“, — აღნიშნავს ანტონ მოურავოვი.

იმავე დღეს, 19 აპრილს, სოფ. იდუმალასთან ბრძოლა დამთავრებულიყო, რომ ახალციხის მხრიდან 4000 ცხენოსანი ლაშქარი გამოჩნდა. მას თანდათან ემატებოდა ახალი რაზმები, არა მარტო აწყურ-ახალციხის მხრიდან, არამედ ადგილობრივი მაჰმადიანური სოფლებიდანაც,

რომლებიც ახალციხის ფაშას ბრძანებით ასპინძის ველზე ქართველების წინააღმდეგ მოდიოდნენ. ასპინძასთან თავი მოიყარა მტრის დაახლოებით 10-15 ათასმა მეომარმა და 5-7 ათასამდე ქართველმა მებრძოლმა. ქართველთა ლაშქარმა სამხედრო თვალსაზრისით საუკეთესო პოზიციები დაიკავა. ჯავახეთის დიდი მოამაგე, მწერალი და პუბლიცისტი ილია ალხაზიშვილი 1898 წ. გაზეთ „ივერიაში“ წერდა: **მეფე ერეკლემ გაითვალისწინა რომ მტრის ჯარის უმრავლესობა ცხენოსანი იყო, იმავე ხიდის ამყრელ რაზმს დავალა ასპინძის ხევზე ადიდებული ღელის წყალი ასპინძის ხნულებში გადაეშვათ, რათა მოწინააღმდეგის ცხენოსანთა არმიას მიმავალ ბრძოლაში ხელი შეშლოდა და მინდორში ლაფში ჩაფლულიყო. მართლაც, ეს ასეც მოხდა.**

გათენდა 1770 წ. 20 აპრილი, არც ქართველებსა და არც ოსმალებს ბრძოლის დაწყება პირველებს არ სურდათ. ორივე მხარეს მოხერხებული საბრძოლო პოზიციები ეკავათ და არ უნდოდათ მოეშალათ. დღის პირველ საათამდე ბრძოლა არც ერთ მხარეს არ დაუწყვია. მრავალ ბრძოლებში გამოცდილმა ერეკლემ მტრის გამოსატყუებლად სამხედრო ხერხს მიმართა, დაახლოებით ასი მებრძოლი ცხენებზე ხურჯინ გადაკიდებულები, ვითომდა სურსათსანოვაგის მოსატანად მიდიოდნენ, თურქეთის ჩასაფრებულ ლაშქარს მიადგა. მტერმა ვერ მოითმინა და ქართელთა რაზმს დაედევნა. ქართველებმა ცხენების ჭენებითა და ხმლების ქნევით უკან უკან დაიხიეს, მტერი ერეკლეს მთავარ ბანაკთან მოიტყუეს. მაგრამ მტერი იმდენად ძლიერი და გათამამებული იყო, რომ ქართველთა ზოგიერთი რაზმი პირველსავე შერკინებაში დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა.

საქმის გამოსწორება კვლავ მეფე სარდალმა ერეკლემ იკისრა: ჯერ ლაშქარი თავისი მგზნებარე სიტყვებით გაამხნევა და შემდეგ პირველი თვითონ გადაეშვა ბრძოლის ცეცხლში, მისმა შემხედვარე ქართველებმა დაივიწყეს ყოველგვარი შიში და გმირ მეფეს ხმალამოწვდილნი კვალდაკვალ მიჰყვნენ მოზღვავებულ ოსმალთა შესამუსრავად.

„... ეკვეთა ძლიერათ და ძალითა ღვთისათა აოტა ოსმალნი: ამისა მხილველნი სპანიცა მეფისანი მოიქცნენ და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა და მრავალნი მოსწყვიტეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“, — წერს ომან ხერხეულიძე.

ასპინძის ველზე ამ პირველი დიდი ბრძოლის შემდეგ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ლეკთა ახალი ძალები, დაახლოებით 100 კაცი ბრძოლის ველზე გამოვიდა, რომელსაც დაღესტანში განთქმული კოხტაბელადი მოუძღოდა. ქართველების მარცხენა ფრთა შედრკა და უკან დახევა დაიწყო, მაგრამ ერეკლესა და დავით ორბელიანის ჯარების გმირულმა შეტევამ მტერი წელში გატეხა.

მრავალომგადახდილმა ერეკლემ იცოდა, რომ მოწინააღმდეგის სარდლის მოკვლით მტერი სულიერად დაეცემოდა. რითაც გამარჯვების სასწორი ქართველების მხარეზე გადაიხრებოდა. მან ნიშანში კოხტაბელადი ამოიღო, მისი ხელით დაეცა დაღესტნის ლეკების სახელგანთქმული სარდალი. ქართველების დაუძინებელი მტერი, ახალგაზრდა კოხტაბელადი. მტერი სასტიკად დამარცხდა და მთლიანად განადგურდა 15 ათასი ლეკ-ოსმალო.

მტერმა ბრძოლის ველზე 4000 მეტი მოკლული დატოვა. დანარჩენი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო, 13 კაცმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო 57 კაცი ტყვედ დანებდა. ასპინძის ბრძოლაში 14 ფაშა და სანჯაყის ბეგი და ლეკთა ბელადი მოკლეს. ქართველებმა ხელთ იგდეს მტრის 25 დროშა, მრავალი სახის თოფ-იარაღი და დიდძალი ოქრო-ვერცხლი.

ქართველების მხრივ ასპინძის ბრძოლაში 25 კაცი მოიკლა. აი რას წერს ამის შესახებ ანტონ მოურავოვი: **„ერეკლეს დანაკლისს შეადგენდა მოკლული 25 კაცი, დაჭრილი - მისი სარდალი-მეთაური, თავადი ალექსანდრე ციციშვილი, იასე ერისთავი და 5 რიგითი ჯარისკაცი“.**

ასპინძის ბრძოლაში ბევრ ქართველ მეომარს გამოუჩენია თავი, მაგრამ განსაკუთრებით ერთხმად ასახელებენ მეფე ერეკლესა და მის სარდალს — დავით ორბელიანს. ამ ბრძოლაში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგე-

ნელმა ისახელა თავი, ხევსურებმა და კახელებმა, ქართლელებმა და თუშებმა და სხვ.

ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გადმოცემით, ასპინძის ბრძოლაში მეფე ერეკლეს ჩაშველებიან სოფ. ხიზაბავრის, საროს, ნიჯგორის, ტოლოშის, ერკოტის მოსახლეობა. სოფ. ხიზაბავრელებს 1770 წ. 22 აპრილს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ლხინი გადაუხდიათ.

ქართველ ჯარს არც დრო ჰქონდა და არც საშუალება, რომ ახალქალაქის ციხისათვის ალყა შემოერტყა და ისე აეღო, ამიტომ იძულებული გახდა, უბრძოლველად გასცლოდა მას და პირდაპირი გზით თბილისისაკენ წასულიყო. ამდენი წვალების, ბრძოლისა და ნატვრა-სურვილის მიუხედავად, ერეკლემ ვერც ახლა ისარგებლა აწყურის, იდუმალისა და ასპინძის სახელოვან ბრძოლებში გამარჯვების ნაყოფით. სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთება არ მოხერხდა, სამაგიეროდ

ქართველ-რუსთა ჯარს გარკვეული წარმატება ხვდა დასავლეთ საქართველოში. მეფე სოლომონმა თურქ-დამპყრობლებს ხელიდან გამოსტაცა ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის ციხესიმაგრეები.

ერეკლე ამის შესახებ ან. მოურავოვს წერდა, რომ „ასპინძას დაიხოცნეს, ის ციხეები იმ მიზეზმა აიღო, შიგ საზრდო ვეღარ შეუტანეს მეშველის უძლურობითაო“. გარდა ამისა, ასპინძაში ბრწყინვალე გამარჯვებამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო რუსეთის ფრონტს ყირიმსა და ბალკანეთში თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ქართველების გამარჯვებას აწყურში, იდუმალასა და ასპინძაში უქმად არ ჩაუვლია მესხი მოსახლეობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველი მოსახლეობის გამათავისუფლებელი პატრიოტული მოძრაობა და მისწრაფება საქართველოსთან კვლავ შეერთებისა. ამის ნათელი მაგალითია 1770 წ. 30 ოქტომბერს ხერთვისის სანჯაყის უფროსის იბრაიმბეგ ვაჩნაძის მეფე ერეკლეს მხარეზე გადასვლა, აჭარაში აჯანყების დაწყება და სხვ.

რუსეთის ჯარის უკან გაწვევის შემდეგ, 1772 წ. საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ამის შე-

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“

სახებ 1774 წ. 21 აგვისტოს მეფე ერეკლე ნ. პანინს წერდა: „...გველებივით პირდაღებული თურქები რკალს გვარტყავენ, სპარსელები მძვინვარე ლომებივით შემოგვყურებენ, ხოლო ლეკები მშიერ მგლებსავით ჩვენზე კბილებს ილესავენ. ყველანი ერთად ბორგავენ შურისძიებით, რადგან ჩვენ, ქართველებმა, დავარღვიეთ ზავი მათ მიმართ“ და ომში ჩავებითო რუსეთის მხარეს.

მეფე ერეკლე, აფასებდა რა საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, მაინც გულს არ იტეხდა. მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენმა ამდენი უსიამოვნება და ზიანი მოუტანა ქართველი და რუსი ხალხების საუკუნოვან მტკიცე მეგობრობას. ტოტლებენი რუსეთში უკან გაიწვიეს და მის მაგივრად გენერალი სუსხოტინი გამოგზავნეს. როგორც ჩანს, ახალი გენერალი ძველი გენერლისაგან არაფრით განსხვავდებოდა, ისიც გაკეთებულ საქმეს აფუჭებდა.

1772 წ. ოქტომბრის თვეში ქართველმა მეფეებმა დალაშქრეს ახალქალაქისა და ყარსის მხარე და დიდი ზიანიც მიაყენეს ახალციხის სულეიმან ფაშა ჯაყელს, რომელიც საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო და მეფე ერეკლეს პირად მოქიშპედ და მემკვიდრეობის შემცილებლად მიიჩნევდა. ახალციხის ფაშის თარეშის საპასუხოდ ერეკლეს არა ერთხელ აუოხრებია სამცხე-საათაბაგო. იგი წერს: **„ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანას სცემს და აოხრებს. არც ახალციხეს აქეთ და არც ყარსს აქეთ სოფლებში შენობა აღარ არის, ახალქალაქის, შორაგალის, აწყურის და ხერთვისის გარდა და ესენიც არტილერიით არიან გამაგრებულნი“.** მეფე ერეკლეს ასეთი მოქმედებით თურქეთის სულთანი იძულებული გახდა, ერეკლეს დასჯის საკითხი ირანის მბრძანებლის — ქერიმხანის წინაშე დაესვა. ამის გამო იყო, რომ ირანის მბრძანებლები დიდ ანგარიშს უწევდნენ ერეკლე მეორეს. **რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის დამთავრების შემდეგაც ერეკლეს ხელი არ აუღია მესხეთის შემოერთების საკითხზე.**

მეფე ერეკლე „ჩვენის სამკვიდრო ქვეყანაში“ პირველ რიგში სამცხე-საათაბაგოს გულისხმობს, „რომელნიც შავი ზღვის გარემო ჩვენი კერძო ადგილნი“ არიანო. აქ ერეკ-

ლე განსაკუთრებით ხაზს უსვამს შავიზღვისპირეთს, მან კარგად იცის, რომ იმდროინდელ მეფის რუსეთს, დიდი ხანია, თვალი დადგმული ჰქონდა შავ ზღვაზე და მის სრუტეებზე, დარდანელისა და ბოსფორის ხელში ჩასაგდებად.

მეფე ერეკლე საქართველოს მიწა-წყლის შემოერთებას, რომელიც მტერმა ძალმომრეობით მოსტაცა, თვლის სამართლიან აუცილებლობად. იგი რუსეთის დიდი მოხელეების სახელზე გაგზავნილ წერილებში არაერთხელ ახსენებს, რომ „ახალციხის ქვეყანა არს ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახალ ხვანთქარსა ძალით. იგი იყო „წართმეული ადგილი, რომელიც დასაბამიდან „საქართველოს მიწა არის“ და „ჩვენი სამეფოს ნაწილი“, „ჩუენი ადგილი იყო“, „რადგან ქართული მიწა არის“. მისი საქართველოსთან შემოერთება საერთაშორისო დიპლომატიური სამართლის მიხედვითაც კანონიერი იქნებაო, — აღნიშნავდა მეფე ერეკლე თავის წერილებში.

მეფე ერეკლესაც და ყველა იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნე ქართველსაც მიაჩნდა, რომ დაკარგული მესხეთის გამოხსნა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირით შეიძლებოდა.

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

ა.ვ. ზახარევიჩი

დონის კაზაკთა ნაწილები ლეკთა თავდასხმებისაგან საქართველოს დასაცავად 1801-1804 წლებში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, არ არსებობდა. ის შედგებოდა ორი სამეფოსაგან — ქართლ-კახეთისა და იმერეთის; სამი სამთავროსაგან — გურიის, სამეგრელოსა და სვანეთის. ესენი ფეოდალური სახელმწიფოები იყო, რომელთაც დამოუკიდებლად მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. ყველა ცდა, გაეძლიერებინათ ცენტრალური ხელისუფლება და ბოლო მოეღოთ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობისათვის, აწყდებოდა უცილობელ წინააღმდეგობას როგორც ადგილობრივი ფეოდალების, ასევე მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც საქართველოს გაპარტახებით იყვნენ დაინტერესებულნი.

დროში გაწელილი კრიზისიდან და იმ მდგომარეობიდან გამოსვლის ძიებაში, რომელშიაც იმყოფებოდა სპარსეთისა და თურქეთის მუდმივი ამაოხრებელი თავდასხმების არენად ქცეული საქართველო, მეფე ერეკლე მეორემ მფარველობის თხოვნით მიმართა ეკატერინე II-ს, თანახმა იყო რა რუსეთის მეფისადმი ვასალურ დამოკიდებულებაზე.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში რუსული გავლენის პრობლემა ცარიზმისათვის იძენს უფრო და უფრო აქტუალურ მნიშვნელობას. რუსეთი ინტერესდება საქართველოთი არა მარტო მისი მდიდარი მიწების გამო, არამედ იმიტომაც, რომ საქართველო იყო პლაცდარმი სპარსეთისა და თურქეთის დასამარცხებ-

ლად. 1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა მოლაპარაკებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი იღებდა ვალდებულებას ქართლ-კახეთის ერთიანობის გარანტიაზე. ერეკლესა და მის შთამომავლობას რუსეთი აღიარებდა ქართლ-კახეთის მეფეებად. მთელი საშინაო მმართველობა, რჩებოდა ერეკლეს ხელში, მაგრამ საშინაო პოლიტიკა მთლიანად რუსეთის ხელში გადადიოდა. ამას გარდა, ტახტზე ასვლისას ქართლ-კახეთის მეფეს საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა რუსეთის ხელისუფლება და მიეღო მისგან შესაბამისი სიგელი.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თბილისში გამოიგზავნა 2 რუსული ბატალიონი, რომლებიც დედაქალაქში 1787 წლამდე ჩამოვიდა. 1787-19 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის ზღურბლზე საქართველოდან გაყვანილი იქნა რუსული რაზმები. საქართველო კვლავ დაუცველი დარჩა. მეფე ერეკლეს არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, ეკატერინე მეორემ, დაკავებული იყო რა თურქეთთან ომით, პოლონეთის დაყოფითა და რევოლუციურ საფრანგეთთან ბრძოლით, ვერ გამოძებნა საშუალება საქართველოს დასახმარებლად. მაგრამ, როგორც კი პოლონეთთან ბრძოლა დასრულდა, ეკატერინე II-ემ გასცა ბრძანება, საქართველოში კვლავ გაეგზავნათ ქვეითთა 2 ბატალიონი, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა.

მაგრამ დახმარებას დააგვიანდა. სპარსული ჯარები აოხრებდნენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, თითქმის მთლიანად დაანგრიეს თბილისი. ერეკლის სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ კვლავ მიემართა თხოვნით ეკატერინესთვის და შეეხსენებინა მისთვის 1783 წელს აღებული ვალდებულებები.

1796 წელს დაიწყო რუსეთ-სპარსეთის ომი. ეკატერინე მეორეს მიერ ვალერიან ზუბოვის მეთაურობით გაგზავნილმა ჯარებმა დაიკავეს მთელი კასპიის ზღვის სანაპირო — ბაქო, შემახი, განჯა და მდინარე არაქსის გადალახვის შემდეგ დაემუქრნენ თეირანს. პავლე პეტრეს ძის ტახტზე ასვლის შემდეგ რუსული ჯარების შემდგომი წინსვლა შეჩერდა და დაკავებული სახანოები გაიწმინდა.

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲜᲘᲡᲬᲐᲛᲘ“

ეს გამოიწვია იმან, რომ რუსეთის წინსვლა სპარსეთში უცილობლად დააჯახებდა რუსეთს ინგლისთან. ამასთან, ზუსტად ამ დროს მიმდინარეობდა ერთობლივი მზადება საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსასვლელად და პავლე I დაინტერესებული იყო, თავიდან აერიდებინა ინგლისთან რაიმე გაურკვევლობა.

1798 წლის დასაწყისში მეფე ერეკლე გარდაიცვალა და სამეფო გვირგვინი დაიდგა მისმა ძემ გიორგი XII-მ. ამავე დროს, 1799 წელს პეტერბურგში, გიორგის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცების პარალელურად, საქართველოში დაინიშნა რუსი მინისტრი-რეზიდენტი და გამოიგზავნა რუსული ჯარები გენერალ-მაიორ ი. ა. ლაზარევის მეთაურობით. ეს ჯარები იყო ეგერთა მე-17 პოლკის შემადგენლობიდან, რომელიც პავლე პირველის ბრძანებით კავკასიის ხაზიდან მოიხსნა. 1799 წლის შემოდგომაზე პოლკთან ერთად თბილისში უფლებამოსილი მინისტრის რანგში ჩამოვიდა, ასევე, სახელმწიფო მრჩეველი კოვალენსკი. მათ ხელთ იგდეს ქვეყნის მმართველობის სადავეები. საქართველოში რუსული ჯარების მეთაური ი. ა. ლაზარევი ერთ-ერთ თავის წერილში იტყობინებოდა: „საქართველოს ფაქტობრივად უკვე კოვალევსკი მართავს“.

რუსეთის ხელისუფლებამ აიღო კურსი ქართლ-კახეთის მთლიანად შემოერთებისაკენ. ამასთან, სპარსეთთან და თურქეთთან გარდაუვალი შეჯახებები აღარ წარმოადგენდა რუსეთისთვის სერიოზულ საშიშროებას, რამდენადაც უკვე აუცილებელი გახდა ინგლისთან დათმობაზე წასვლა, ანტიფრანგული კოალიციის შენარჩუნების მიზნით, რამდენადაც პავლე პეტრეს ძემ ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის პოლიტიკის საერთო მიმართულება, კავშირი დაამყარა რა საფრანგეთთან ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის ხარჯზე (იმედგაცრუებული იყო რა მოკავშირეთა საქციელით ა. ვ. სუვოროვის იტალიური და შვეიცარიული ლაშქრობების გამო და 1799 წელს ფ. ფ. უშაკოვის მეთაურობით შავი ზღვის ფლოტის ხმელთაშუა ზღვის ექსპედიციის პერიოდში).

გიორგი XII, ერიდებოდა რა თურქთა და სპარსთა ახალ შემოსევას, დაყაბულდა თავისი უფლებების შეზღუდვა-

ზე. პავლე პირველისადმი მიმართვაში ის მეფედ დატოვებას ითხოვდა და იღებდა ვალდებულებას, რომ ის და მისი მემკვიდრენი მართავდნენ ქვეყანას „იმ კანონებით, რომლებიც მისი უმაღლესობის გადაწყვეტილებით იქნებოდა მიღებული“. საქართველოს ყველა შემოსავალს მეფე გიორგი წარუდგენდა რუსეთს, გადასცემდა მას ოქროსა და ვერცხლის ყველა საბადოს. ერთადერთი, რასაც ითხოვდა გიორგი XII, იყო საქართველოს შინაური მტრებისაგან დასაცავად 6 ათასი რუსი ჯარისკაცის გამოგზავნა საქართველოში.

1800 წლის ნოემბერში მეფე გიორგის თხოვნა განხილულ იქნა საგარეო საქმეთა კოლეგიაში და მისი გადაწყვეტილება დაამტკიცა პავლე I-მა. მიაღწია რა პეტერბურგში პრინციპულ შეთანხმებას რუსეთთან შეერთების თაობაზე, ქართული საელჩო პავლე I-ის კაბინეტთან ერთად შეუდგა საქართველოს მდგომარეობის შესწავლას. გადაწყვეტილებაში შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების მიღებასთან და სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის შემოღებასთან ერთად გათვალისწინებული იყო საქართველოს სამეფო ტიტულის შენარჩუნება. პავლე პირველმა მოიწონა ქართული საელჩოს „თხოვნის პუნქტები“, მათ შორის გიორგი XII-ს შემდგომ სამეფო ტიტულის შენარჩუნების თაობაზე.

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

პეტერბურგში მომზადებული მანიფესტი მაშინ გამოცხადდა, როცა გიორგი XII გარდაიცვალა და პავლე I კი მოკლეს. შეცვლილი სიტუაცია საკითხის ხელახალ განხილვას მოითხოვდა. 1801 წლის აპრილში ის ორჯერ განიხილეს მუდმივი კომიტეტის სხდომებზე, სადაც გაირკვა, რომ საქართველოს არა მარტო შიდა საშიშროება ემუქრება, არამედ დინასტიური უთანხმოებანი, რამაც განსაკუთრებული ძალით იფეთქა გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდგომ. ალექსანდრე პირველმა გენერალ კ. ფ. კნორინგს დაავალა, წარმოედგინა მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით კ. ფ. კნორინგი გაემგზავრა საქართველოში 1801 წელს, რათა გაერკვია, იყო თუ არა საქართველოს მოსახლეობა თანახმა, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესულიყო.

კ. ფ. კნორინგის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მანიფესტში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო სამეფო ტახტის მართვა საქართველოში და იქ რუსეთის გუბერნიის მსგავსი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება. საქართველოს სწორედ ამგვარი შემოერთება, რომელიც მას აქცევდა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად, რუსეთის მმართველობას, ფაქტობრივად, უფლებას აძლევდა, დაეცვა ქართველი მოსახლეობა არსებული საფრთხეებისაგან და დაერეგულირებინა ქვეყანაში შიდა არეულობა.

შეერთება წარმოადგენდა ობიექტურ პოლიტიკურ შედეგს იმ მდგომარეობისა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, და არა ალექსანდრე I-ის „ფარისევლური“ აქციის შედეგს. მოვლენათა მსგავსი განვითარების გზა მოულოდნელი არ იყო ქართული საზოგადოებისათვის.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში ალექსანდრე პირველმა მეორედ გამოაცხადა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა (1801 წლის 18 იანვარს პავლე I-ის მანიფესტის შემდეგ) და საქართველო სამეფო დინასტიისთვის ყოველგვარი უფლებების ჩამორთმევის თაობაზე. რუსული ძალების მთავარსარდლად საქართველოში დაინიშ-

ნა გენერალი კნორინგი, მმართველად — კოვალენსკი. ი. პ. ლაზარევი უკვე შედიოდა კ. ფ. კნორინგის უშუალო დაქვემდებარებაში, მაგრამ კოვალენსკისა და კნორინგის მმართველობა ალექსანდრე I-ის მუდმივ კომიტეტში განხილვის საგანიც კი გახდა, რომელიც საქართველოში ამბოხების გამოწვევით იმუქრებოდა. კაჩუბეიმ მეფეს განუცხადა, რომ *„ჯარების მთავარსარდალი კნორინგი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი კოვალენსკი უცხოელებს შორის უთანხმოებას თესავდნენ, რათა უკეთ ეძარცვათ ისინი“.* ამასთან, ალექსანდრე პავლეს ძემ აღმოაჩინა, რომ მართალია, „კნორინგი დიდი შესაძლებლობებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მის ქმედებებში არაფერი იყო დასაძრახი“.

როგორც ვხედავთ, დანაშაულობათა ის მარყუჟი, რომელიც კნორინგს დონიდან მოჰყვებოდა კავკასიის ხაზზე და სხვა ნაწილებში, სადაც მას „ხელმძღვანელობა“ მოუხდა, ამჯერადაც თან ახლდა — ახალ ადგილას, სამოქალაქო მრჩეველ კოვალენსკის გვერდით. მაგრამ ხელმწიფე მას კარგი თვალით უყურებდა, ამიტომ მისი ატანა უწევდათ.

ეს არის ზოგადი სურათი იმისა, თუ როგორ გახდა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი.

***

XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოსთვის იყო „სასაზღვრო უღელტეხილი“, რომლის გადალახვას ართულებდა ისეთი ფაქტორები, როგორიც იყო „აჭარის საფრთხე“ (სპარსეთის თავდასხმა), თურქული განცხადებები, დიდი კავკასიის მთიელთა ექსპანსია („ლეკიანობა“ — ლეკთა თავდასხმები), ყოველწლიურად ათასობით ქართველი გლეხის სიცოცხლეს რომ იწირავდა. საქართველოსთვის სხვა ისტორიული პერსპექტივები არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ რუსეთს შეერთებოდა.

ზოგიერთი ავტორი ანალიზისას ამ მოვლენის (ლეკიანობის) პროგრესულობაზე აცხადებდა, რომ:

„ლეკი ფეოდალები, ჩვეულებრივ, თავს ესხმოდნენ ქართველებს მინდვრის სამუშაოების დროს, შემდგომ კი

ამ ადამიანებს ტყვეებად ჰყიდდნენ თურქეთსა და ყირიმში... საქართველოს რუსეთთან შეერთების მომენტიდანვე მათი გაუთავებელი რბევა და თავდასხმები შეწყდა“ (ს. ბ. ოკუნი, თხზ. ტ. I ნაწ. გვ. 155).

არსებობს მოსაზრება, რომ პირიქითაც მოხდა — ლეკებმა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ რბევა-აწიოკებას მოუხშირეს.

უფრო **მართებული იქნებოდა იმის თქმა, რომ ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს გამოუჩნდა შედარებით საიმედო დაცვა რუსული ჯარების სახით, რომლებიც არ აძლევდნენ ლეკებს საშუალებას, თავიანთი თავდასხმებით უკანონობა ეთესათ. მაგრამ თავდასხმები, როგორც ასეთი, გრძელდებოდა!**

საქართველოს რუსეთთან შეერთებაში მონაწილეობდნენ არა მარტო პროგრესული, არამედ რეაქციული ძალებიც, არ ამბობდნენ რა უარს თავიანთ ეგოისტურ მიზნებზე. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში რეაქციული როლი იკისრეს სამეფო სახლის მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც დინასტიურ ამბიციებს ერის ინტერესები შესწირეს; ასევე — ფეოდალურ-თავადურმა წრემ, რომელიც იცავდა თავის „ავტონომიურობას“ ცენტრალური ხელისუფლებისაგან, ამუხრუჭებდა ქვეყნის გაერთიანებას. მოვლენებმა, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა, დაადასტურა, რომ ეს ძალები საკმაოდ შორს იყვნენ ნაციონალური ინტერესების გაგებისგან: **უფლისწულმა ალექსანდრემ, იულონმა და სხვებმა XIX საუკუნის დასაწყისში უღალატეს მეფე ერეკლეს პოლიტიკას, დაივიწყეს სპარსეთის სახანოს მიერ საქართველოს მოსახლეობის სასტიკი ხოცვა-ჟლეტა XVIII საუკუნის 90-იან წლებში და გადაიქცნენ სპარსეთისა და თურქეთის მოსყიდულ დაქირავებულ მებრძოლებად და ღიად ებრძოდნენ თანამემამულეებს. ისინი XIX საუკუნის დასაწყისიდან აქეზებდნენ ლეკებს, დაერბიათ საქართველო, შეეფერხებინათ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის პროცესი**.

დონელ კაზაკებს, რომლებიც რუსული ჯარების შემად-

გენლობაში შედიოდნენ და საქართველოში იმყოფებოდნენ, აქტიური მონაწილეობა უხდებოდათ ამ რბევების წინააღმდეგ ბრძოლებში 1801 წლიდანვე, ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის მიერ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მეორედ გამოცხადებამდე. შჩედროვის დონის პოლკი კავკასიის ხაზიდან საქართველოში 15 მაისს გამოვიდა. ამასთან, ნ. ფ. დუბროვინის მტკიცებით, საქართველოში მთელი რუსული მხედრიონი მხოლოდ დონის პოლკისგან შედგებოდა.

შჩედროვის პოლკი საქართველოში 1801 წელს ჩამოვიდა იმ 6 ათასი კაცის შემადგენლობით, რომლებიც პავლე I-ისა და გიორგი XII-ის მოლაპარაკებაში იყო მოხსენიებული. მათი საქართველოში ჩამოსვლა ზუსტად რომ სულზე მისწრება იყო და ქვეყანაში სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენდა. ტუჩკოვის პოლკი, რომელსაც 2 ქვემეხი ჰქონდა, გორში, სურამსა და ცხინვალში განლაგდა. რუსების მიერ ამ ადგილების დაკავებამ აიძულა იმერეთის მეფე სოლომონი, გაეშვა თავისი ლაშქარი, რომელიც იმ ჭორზე დაყრდნობით შეაგროვა, რომ რუსები საქართველოს ტოვებენო. გაქცეულ უფლისწულთა მიერ წაქეზებული მეფე ფიქრობდა ქართლში შეჭრას, მაგრამ უფლისწულთა განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. მათ იმედები თავიანთი გეგმების რეალიზაციის თაობაზე უფრო მეტად გაუცრუვდათ, როცა ტუჩკოვის პოლკის ფეხდაფეხ გაიგზავნა ლეონტიევის მუშკეტერთა პოლკი და მათთან ერთად შჩედროვის კაზაკთა პოლკი, რომელიც საქართველოში მაისში ჩამოვიდა.

ბოლო პოლკების ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში შეიქმნა რაზმები: ერთი გრენადერთა, ორი მუშკეტერთა, ერთი ეგერთა და ერთი კაზაკთა პოლკისაგან, რომელსაც 18 ქვემეხი ჰქონდა. ამით შესაძლებელი გახდა ქვეყნის დაცვა მეზობელთა შემოსევებისაგან. მუშკეტერთა ერთი ბატალიონი განლაგდა სოფლებში მდ. ალაზნის დინების ქვემოთ, 15 კმ მოშორებით. ციხესიმაგრე ყარაგაჩიდან მდინარე მტკვრამდე განლაგებული იყო შჩედროვის კაზაკთა პოლკის პიკეტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ლეკთა შემოჭრის შემთხვევაში, მუშკეტერთა ამ ჯაჭ-

ვის გამაგრების მიზნით, ხშირი პატრულირება ეწარმოებინა. იმავე პოლკის მუშკეტერთა სხვა ბატალიონს უნდა დაეკავებინა ხაზი სოფლებში მარტყოფიდან კაკაბეთამდე და ამგვარად შეეკრა მეორე ჯაჭვი საზღვრის ამ ნაწილში.

ასეთი ძლიერი კორდონი აუცილებელი იყო იმიტომ, რომ ლეკები საქართველოში უმეტესად მდინარე ალაზნით გადმოდიოდნენ, ძირითადად, სიღნაღთან ახლოს მდებარე დანგრეული ციხესიმაგრის ქვემოდან და შემდეგ ხეობის მეშვეობით გადიოდნენ საგურამომდე, რომელიც მათ დასაყრდენ პუნქტად იქცა. აქედან ისინი ცალკეულ რაზმებს გზავნიდნენ ქართლში და დუშეთიდან მესხეთამდე აფერხებდნენ კავშირს. მაგრამ ერთი მხრიდან ლეკთა შემოჭრის საშუალების შეზღუდვით შეუძლებელი იყო იმაში დარწმუნება, რომ საქართველო მთლიანად დაცული იქნებოდა მათი დარბევისაგან. ლეკებს შეეძლოთ სხვა გზებითაც ესარგებლათ — გადმოსულიყვნენ ალაზნითა და მტკვრით, განჯისა და ერევნის სახანოების გვერდის ავლით მიეღწიათ ახალციხემდე და მაინც მოეხერხებინათ ქართლსა და კახეთზე თავდასხმა. განალაგა რა ქვეითთა ბატალიონი რამდენიმე კაზაკთან ერთად პამბაკსის პროვინციის სოფლებში, რუსულმა სარდლობამ ლეკთა საქართველოში შემოჭრის უკანასკნელი შესაძლებლობაც მოსპო.

ეს ბატალიონი წარმოადგენდა, ასევე, ავანგარდს ბაბახანის სპარსული ჯარების წინააღმდეგ სამოქმედოდ, თუკი ამ უკანასკნელს აზრად მოუვიდოდა, დამუქრებოდა რუსეთის ინტერესებს.

გრენადერთა ერთი ბატალიონი თბილისში დატოვეს, მეორე გორში განალაგეს, თითო ასეულით გაამაგრეს სურამისა და ცხინვალის ციხესიმაგრეები. ეს საგუშაგო აუცილებელი იყო საზღვრისპირა დასახლებისათვის თვალყურის სადევნებლად, ასევე იმ თავდასხმებისა და ძარცვის აღსაკვეთად, რომლებსაც აქ ხშირად ეწეოდნენ ოსები და იმერლები.

ოსები, ემორჩილებოდნენ რა ცალკეულ ქართველ თავადებს, ი. პ. ლაზარევის სიტყვებით რომ ვთქვათ, აკეთებდნენ „გაუგონარ რაღაცებს: იტაცებდნენ ადამიანებს, სა-



ქართველოს სამხედრო გზაზე ძარცვავდნენ მგზავრებს“. ქართველ უფლისწულთა მიერ წაქეზებულნი (რომლებიც იმერეთში იმყოფებოდნენ) დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსული ჯარები, რომლებიც ამჟამად საქართველოში იდგა, მალე დაუბრუნდებოდა კავკასიის ხაზს. ეს თავდასხმები რომ აღეკვეთა, გენერალმა ი. პ. ლაზარევმა ითხოვა მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

მეორე ვარიანტი საქართველოზე თავდასხმისა კარგა ხნის განმავლობაში საკმაოდ რთული იყო ლეკებისათვის, იმდენად, რამდენადაც ახალციხეში იჯდა საბუდ-ფაშა. ის რუსეთისადმი მეგობრულად იყო განწყობილი და აკავებდა ლეკების საქართველოში შემოჭრას, თუ კი, რა თქმა უნდა, შეიტყობდა ამის თაობაზე. მაგრამ 1801 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ახალციხიდან გააძევა საბუდ-ფაშა. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ლეკებს საქართველოში უფრო თავისუფლად შემოსასვლელად. თუმცა, პრინციპში, ამას ყოველთვის ახერხებდნენ, მაგრამ ახლა განუსაზღვრელი შესაძლებლობები მიეცათ თავდასხმების მოსამზადებლად და განსახორციელებლად. ამგვარად, 1801 წლის 29 მაისს ლეკთა პარტიამ გაძარცვა საქართველოს მოსახლეობა მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თბილისთან ახლოს და ტყვედ ჩაიგდო 80 ადამიანი, გარეკა 300 თავი პირუტყვი, 6 ივნისს კი ლეკები თავს დაესხნენ შჩედროვის

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲤᲠᲘᲡ“

პოლკის კაზაკთა ნახირს და გაიტაცეს ცხენები. ნახირი მარტყოფის რაიონში იყო. დაედევნენ რა კაზაკები და მუშკეტერები, ლეკებმა მიატოვეს ნადავლი და ტყვეები, რომლებიც რუსებმა თავიანთ სახლებში დააბრუნეს.

ბრძოლა კაზაკთა ნახირისათვის მარტყოფთან, როგორც ჩანს, დიდი შეტაკება იყო, რადგან ამის თაობაზე ოფიცერთა რამდენიმე სამსახურებრივ ჩანაწერში არა ერთგანაა აღნიშნული. მაგალითად, იასაულ ივანე ივანეს ძე საპუხინთან აღნიშნულია: „801-ში კავკასიის თოვლიანი მთებით გადმოვედით საქართველოში, იმავე წლის 6 ივნისს მარტყოფთან ლეკები პოლკის ნახირს თავს დაესხნენ, რომლის დაბრუნებისას დავამარცხეთ მტაცებლები ბრძოლაში...“ იმავეს ამბობს ვასილ სიმონის ძე კურჩანინსკი, ასევე — ოფიცერი ივანე ივანეს ძე შჩედროვი. **თვით პოლკის მეთაურის მარტყოფთან ყოფნა იმაზე მიანიშნებს, რომ იქ განლაგებული იყო დონელთა მთავარი ძალები და ამიტომ გახდა შესაძლებელი მდევრის სასწრაფოდ გაგზავნა და ლეკების დამარცხება, მათი იძულება — გაქცევით ეშველათ თავისთვის.**

იმყოფებოდნენ რა ახალციხის ფაშას სამსახურში, ლეკები მისი სამფლობელოებიდან სულ უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს საქართველოს. 20 ივნისს მოვიდა ცნობა, რომ ახალქალაქთან ახლოს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ სოფლებს, დარბევის მიზნით, თავს დაესხნენ ლეკთა პარტიები. პოდპოლკოვნიკმა ფ. ფ. სიმონოვიჩმა, რომელიც მეთაურობდა ჯარებს იმერეთის საზღვართან, ერთ ასეულს უბრძანა, დაძრულიყო სოფელ ბრეთიდან ქარელისკენ, ხოლო კაპიტან რეიხს უბრძანა, თავისი ასეულით გორიდან სოფელ დოესში გადასულიყო. წაიყვანა რა ასეული ქარელიდან და მე-17 ეგერთა პოლკის ასეული (მეთაური მაიორი პლესტი) კაზაკებთან და ქართულ საბრძოლო შენაერთებთან ერთად (სულ 79 გრენადერი, 48 ეგერი, 22 კაზაკი შჩედროვის პოლკიდან და 100 ქართველი), სიმონოვიჩი, გადაიარა რა მამიულარისა და გუჯარეთის ქედები, ფიქრობდა, ლეკთა ნაკვალევს გაჰყოლოდა, ხოლო კაპიტან რეიხს დაავალა, ახალქალაქის მხარისათვის ედევნებინა თვალყური.

20-დან 23 ივნისამდე ლეკებთან ბრძოლაში მონაწილეობდა შჩედროვის პოლკის ასეული, იასაულ კლიმ სელიმანოვის ძე კონდრაშოვის მეთაურობით. სწორედ მისი კაზაკები მიჰყვნენ ფეხდაფეხ მტერს და ფ. ფ. სიმონოვიჩს ლეკთა ყველა გადაადგილების თაობაზე ატყობინებდნენ.

22 ივნისს სიმონოვიჩი რაზმით მივიდა გაპარტახებულ ქართულ სოფელ ზღუდერში, გადავიდა რა მდინარე გუჯარეთზე და უკან მოიტოვა თურქეთის საზღვარი, მიაღწია სოფელ საპინსალოს. 24 ივნისს, ავიდნენ რა სოფლის ზემოთ, მან ავანგარში გაგზავნა რაზმი 22 კაზაკის შემადგენლობით შჩედროვის პოლკიდან ასეულის მეთაურის, იასაულ კ. ს. კონდრაშევის მეთაურობით, ისინი ახალციხეში მომავალ ლეკებს დაუხვდნენ. კაზაკებსა და ლეკებს შორის სროლა ატყდა. ლეკები სულ 760 კაცი იყო. არ სურდათ რა ბრძოლაში ჩაბმა, ლეკებმა მდ. მტკვრისკენ დაიხიეს. თავდაპირველად მათ სიმონოვიჩი დაედევნა, მაგრამ შემდეგ შეეშვა და დიდ გზაზე, თრიალეთის ველზე დაიკავა ხელსაყრელი ადგილი. დასვენების შემდეგ იგი ქციის გავლით გაემართა სიმაღლეებისკენ, სადაც თბილისისაკენ, მანგლისისაკენ, მცხეთისაკენ, ახალქალაქისა და ხოვლისაკენ მიმავალი გზები იყრიდა თავს.

ეს მოძრაობა ლეკებმა უკან დახევად მიიღეს და შეუტიეს სიმონოვიჩის ჯარებს, მაგრამ ისინი მოგერიებულ იქნენ და დაბრუნდნენ ახალციხის სამფლობელოში, თავიანთ სამყოფელში, რომელიც სოფელ ხერთვისთან ახლოს მდებარეობდა და სადაც მათ ქართველი ტყვეები და საქონელი ჰყავდათ.

8 და 10 აგვისტოს ლეკები კვლავ შემოიჭრნენ საქართველოში და სოფელ ხერციხიულზე თავდასხმას ფიქრობდნენ, მაგრამ კაზაკებმა და მუშკეტერებმა ისინი მოიგერიეს და საზღვარს იქეთ გადარეკეს.

თუმცა გენერალ-მაიორმა ი. ა. ლაზარევმა ახალციხის ახალ ფაშას — შერიფს სთხოვა, აეკრძალა ლეკებისთვის რუსეთის ტერიტორიის რბევა, ის, მართალია, ისმენდა ამ თხოვნებს, სცემდა სხვადასხვა ამკრძალავ განკარგულებებს, სინამდვილეში კი ამარაგებდა ლეკებს საკვებით, მათ უფროსებს კი საჩუქრებით ანებივრებდა.

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ“

თავს ესხმოდნენ რა რუსეთის საზღვარს, იმავე დროს ლეკები ცდილობდნენ, ალექსანდრე I-ის მფარველობისათვის მიეღწიათ. 1801 წლის სექტემბერში მათ რამდენიმეჯერ მიმართეს მოქალაქეობის მიცემის თხოვნით რუსეთის ხელმწიფეს, და როცა ი. პ. ლაზარევმა დაიწყო კახეთის საზღვრების შემოვლა, მას ორი დეპუტატიც კი გაუგზავნეს ამ თხოვნით და მისგან წერილობითი პასუხის მიღებას უცდიდნენ. ლაზარევი არ დათანხმდა, დეპუტატები კი ჯიუტად მოითხოვდნენ. მაშინ გენერალმა მათგან მძევლები მოითხოვა ერთგულების სანაცვლოდ. წაიკითხეს რა წერილი, ლეკთა მეთაურებს არ მოეწონა და დახიეს, ხოლო თავიანთ დეპუტატებს სახლები დაუწვეს, ერთი მათგანი მოკლეს და უარი თქვეს ლაზარევის მოთხოვნათა შესრულებაზე.

ელოდნენ რა რუსი მეთაურებისაგან საპასუხო ნაბიჯს, ლეკებმა მიიღეს თანადგომის დაპირება შუშის, შემახინის და სხვა სახანოების ხანებისაგან და თავიანთი ქონების დიდი ნაწილი გაგზავნეს დაღესტანში, მცირე ნაწილი კი მიწაში ჩამარხეს და წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. გენერალმა ლაზარევმა კ. ფ. კნორინგს ნებართვა სთხოვა, ჭარ-ბელაქნელი ლეკების მიწებისკენ დაძრულიყო, რათა დარტყმა მიეყენებინა მათთვის, მით უფრო, რომ მთებზე თოვლი იდო, რის გამოც გადაადგილება ჭირდა, რაც ლეკებისთვის დაპირებული დახმარების მიღებას შეუძლებელს ხდიდა. კნორინგმა ეს წინადადება არ მიიღო.

ხედავდა რა, რომ რბევებს ლეკებისთვის დიდი მოგება მოჰქონდა, თურქები შერიფ-ფაშასთან შეთანხმებითა და ლეკებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართლის დარბევებში. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ბრძანება გამოსცა, თურქეთისათვის გადაეცათ მოთხოვნა, რათა ამ უკანასკნელს შერიფ-ფაშასათვის ამის გაკეთება აეკრძალა; ამასთან, ნება არ მიეცათ ლეკებისთვის თავდასხმები თურქეთის ტერიტორიიდან განეხორციელებინათ.

1801 წელს, კნორინგის გამგზავრების შემდეგ, რუსეთთან მთელი საქართველოს მოსახლეობის შემოერთების საკითხის გარკვევის მიზნით, მან სხვაგვარად განალაგა იქ არსებული კავკასიის გრენადერთა, თბილისის მუშკე-

ტერთა, ყაბარდოს მუშკეტერთა და ეგერთა მე-17 პოლკები. 1801 წლის აგვისტოში შჩედროვის დონის კაზაკთა პოლკი განალაგეს იმ ქალაქებსა და ადგილებში, სადაც იდგნენ სხვა ჯარები (გორში, სურამში, ცხინვალში, მანავში, ბორჩალოში, თელავში, ყვარელში, შილდაში, ჯიგანახში, სოკაბში, მოშნარში, ონაგში, დუშეთში, ხორელში, პარსპანში, ქორიში). კაზაკები პატარ-პატარა პარტიებად — 10-დან 40 კაცამდე — იყვნენ დანაწილებული და გამოიყენებოდნენ სხვადასხვა სახის დავალებათა შესასრულებლად.

***

კ. ფ. კნორინგი პეტერბურგში გაემგზავრა და იქიდან ახალი მანიფესტი ჩამოიტანა საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, 1801 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული. ამან გამოიწვია ქართველ უფლისწულთა — ალექსანდრეს, თეიმურაზის, დავითის, ვახტანგის, ფარნაოზის გააქტიურება, რომლებიც ხელმოცარულნი დარჩნენ.

იმერეთში მყოფ უფლისწულთა წაქეზებით რუსებთან საბრძოლველად აღსდგნენ ოსები. კნორინგი იძულებული გახდა, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარები გაეგზავნა. ეს მოხდა 1802 წლის თებერვალში, ხოლო 1801 წლის ოქტომბრიდან 1802 წლის იანვრამდე პერიოდი აღინიშნა ოსთა შემოსევით საქართველოში და საქართველოს სამხედრო გზაზე ძარცვით. ოსთა თავდასხმები საშიში იყო იმით, რომ წყვეტდა ყოველგვარ კავშირს საქართველოსა და კავკასიის ხაზს შორის, რამეთუ ახდენდნენ საქართველოს სამხედრო გზის პარალიზებას. 3 თებერვალს დაიწყო ოსთა წინააღმდეგ გასალაშქრებელი ჯარების კონცენტრირება.

რაზმი შედგებოდა მე-17 ეგერთა პოლკის 2 ასეულის, კავკასიის გრენადერთა პოლკის 3 ასეულის, ორი მსუბუქი საველე ქვემეხისა და შჩედროვის პოლკის 77 კაზაკისაგან. კაზაკებს ამ ოპერაციაში ორი იასაული მეთაურობდა: კ. ს. კონდრაშევი და ი. ი. საპუხინი. აღნიშნული ოპერაციის მნიშვნელობამ განაპირობა დონიდან ოფიცერთა ამ რაოდენობის ჩამოყვანა, თუმცა ჩვეულებრივი საპასუ-

© „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ“

ხო დარბევისათვის საკმარისი იქნებოდა ერთიც. რაზმი კონცენტრირებას ახდენდა სოფელ ცხინვალში. 19 თებერვალს რაზმები ცხინვალიდან გამოვიდნენ და გზად მცირე შესვენების შემდეგ დაიკავეს სოფელი ჯავა. ოსებთან პარლამენტარები გაიგზავნენ. მთიელებმა, შეცბუნებულებმა რუსთა მოულოდნელი მისვლით, უპასუხეს, რომ ოსები, მცხოვრებნი მდინარეების — პატარა და დიდი ლიახვის ხეობაში ქედს იხრიან რუსეთის წინაშე. სიმონოვიჩმა მათ ფიცი ჩამოართვა, აიყვანა მძევლები და შემდეგ დაიძრა სხვა სოფლებისაკენ. ყველგან იგივე მეორდებოდა.

მომავალში ოსთა დამორჩილების მიზნით ფ. კ. სიმონოვიჩმა მათ დაუარსა მმართველობა სამოქალაქო სასამართლოს ფორმით და დაუქვემდებარა მაზრის სასამართლოსა და პოლიციის სამმართველოს, რომელიც გორში მდებარეობდა. ეს სასამართლოები შეიქმნა სოფლებში — ჯავასა და ჩრივში. პირველი — მდინარე პაცისა და დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებთათვის, ხოლო მეორე — მდინარე არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებთათვის.

***

მაგრამ საქართველოში განლაგებული ჯარების მთავარი მოწინააღმდეგე მაინც ლეკები იყვნენ. ისინი ძალიან აქტიურობდნენ და ხშირად ახსენებდნენ თავს რუსულ ჯარს. Aასე, 7 მაისს იასაული ი. ი. საპუხინის ასეული იძულებული გახდა, მოეგერიებინა თავდასხმა სოფლებზე — ხოვლსა და ხიდისთავზე, შემდეგ დადევნებოდა ლეკებს და დაემარცხებინა ისინი. თავდასხმებს აწყობდნენ, ასევე, ის ლეკები, რომლებიც თურქების საზღვრის მხარეს მოძრაობდნენ. 12 ივლისს იასაული კ. ს. კონდრაშევი მონაწილეობდა თავის კაზაკებთან ერთად თურქეთის საზღვართან, ქალაქ ახალციხესთან და ჯავახეთთან თრიალეთის ველზე ლეკების ძებნაში, რომლებიც რუსის ჯარის წარმატებული დარბევის შემდეგ მიიმალნენ. 13 ივლისს ლეკთა პარტიები დამარცხებული და განადგურებული იქნენ.

1802 წლის 22 აპრილს რუსულ ცხენოსანთა გასაძლიერებლად საქართველოში ჩამოვიდა დონის კაზაკთა პოლკი, რომელსაც პეტრე ივანეს ძე ტარასოვი მეთაურობდა.

ეს დადებითად აისახა საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობაზე, რამდენადაც მოფარებული ადგილები ლეკთა გზაზე უფრო მეტი იყო. ოღონდაც ამ წელიწადს რაიმე ნათელი მოვლენა ოფიცერთა სამსახურეობრივ ჩანაწერებში არაა აღნიშნული. ერთადერთი, რაზეც ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ პოლკთან დაკავშირებით, არის ის, რომ ჯარების ზემდეგ ეფრემოვის სამსახურებრივ ჩანაწერში ჩანიშნულია, რომ საქართველოში ის 25 აგვისტოს მოხვდა, მანამდე კი კავკასიის ხაზზე იმყოფებოდა (4 მაისიდან, ე.ი. თითქმის 4 თვე). ასე იყო თუ ისე, ლეკებთან და ოსებთან საომარ მოქმედებებში 1801-1802 წლებში აქტიურად მონაწილეობდა მხოლოდ პირველი პოლკი, რომელიც საქართველოში 1801 წლის 15 მაისს გამოჩნდა, ხოლო ტარასოვისა და ეფრემოვის პოლკები აქ 1802 წლის აპრილ-აგვისტოში ჩამოვიდნენ და დაიკავეს საქართველო-ლეკეთის საზღვრისპირა პოსტები და იგერიებდნენ მთიელთა მცირე რაზმების თავდასხმებს.

1802 წლის ბოლოს განსაკუთრებული ყურადღების ღირსი იყო მოვლენა, რომელმაც კარდინალურად შეცვალა სიტუაცია კავკასიის ხაზზე და საქართველოში. იმპერატორ ალექსანდრე პირველამდე მიდიოდა ხმები ამიერკავკასიის მხარისა და კავკასიის ხაზის მოუწესრიგებელი მმართველობის თაობაზე, არადა, მთავარი ახლა იყო საქართველო. კოვალენსკის უტაქტობამ და ანგარებიანობამ საბოლოოდ განარისხა ქართველები, რომლებმაც კვლავ უფლისწულებს დაუჭირეს მხარი. უკეთესად არც კ. ფ. კნორინგი იქცეოდა. ამიტომ 1802 წლის 8 სექტემბერს მეფის ბრძანებით კნორინგიცა და კოვალენსკიც უკან გაითხოვეს, ხოლო მთავარსარდლად საქართველოში გენერალ-ლეიტენანტი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი დაინიშნა. მან მთლიანად შეცვალა მთიელებთან ბრძოლის ტაქტიკა. თუ კნორინგის მთიელებთან დამოკიდებულება უფრო ფლირტს ჰგავდა, ვიდრე ძალისმიერი მეთოდების გამოყენება იყო, რაც მთიელთა თვალში რუსული ხელმძღვანელობის სისუსტედ აღიქმებოდა, რის გამოც, ყველა მცდელობის მიუხედავად, ძარცვა და თავდასხმები არ წყდებოდა, ციციანოვმა პირიქით — აქტიურად

© „ღვთისგბაძღვნები ათასგაფი“

გამოიყენა ძალისმიერი მეთოდები, რამაც მას საკმაოდ დიდი წარმატებები მოუტანა.

თავადმა ციციანოვმა, ენერგიულმა და მტკიცე ხასიათის ადამიანმა, მიზნად დაისახა, აღეკვეთა საქართველოზე თავდასხმები და ქვეყანაში სიმშვიდე დაემყარებინა, რამეთუ ის გახლდათ ქართული თავადური გვარის წარმომადგენელი და ენათესავებოდა სამეფო კარს. ამ მიზნის მიღწევა კი შეიძლებოდა სამეფო კარზე ინტრიგების აღკვეთით. უფლისწულთაგან ერთი უკვე იმერეთში იმყოფებოდა, სხვებმა რომ შეიტყვეს ალექსანდრე პირველის თანხმობის შესახებ მათი რუსეთში გაგზავნის თაობაზე, სხვადასხვა მხარეში გაიხიზნენ.

სპარსეთში გაიქცა უფროსი უფლისწული ალექანდრე. ისინი, ვინც იმერეთში მეფე სოლომონთან იმყოფებოდნენ, ალექსანდრეს შეეკრნენ და ცდილობდნენ, ერთობლივად რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ აღმოსავლეთ საქართველო. არც ამას სჯერდებოდნენ — უფლისწული ალექსანდრე ჭარ-ბელაქნელ ლეკებს საქართველოში შეჭრისკენ და იმ ქვეყნის აოხრებისკენ მოუწოდებდა, რომლის მართვასაც თვითონ აპირებდა და რომელიც მისი სამშობლო იყო. ის ცდილობდა ქართველთა დარწმუნებას, რომ რუსეთს არ შესწევდა ძალა, დაეცვა საქართველო. მისი თხოვნითა და მოწოდებით, ლეკები მცირე პარტიებით განუწყვეტლივ იჭრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რუსული ჯარები ვერ ახერხებდნენ ლეკთა ყველა მცირე დაჯგუფებისათვის თვალის მიდევნებას და ამიტომ პ. დ. ციციანოვმა ბრძანება გასცა, რომ ტყიან და შედარებით მოფარებულ ადგილებში ჩასაფრებულიყვნენ ერთი საჟენის სიგანეზე, ხოლო გაშლილ ადგილებზე ამოეთხარათ თხრილები სამ რიგად, ჭადრაკისებურად.

იმდენად, რამდენადაც პ. ციციანოვი გახლდათ საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ის ცოლის, მარიამ ციციშვილის ნათესავი, მათ ერთმანეთში ნათესაურად მოილაპარაკეს და 1803 წლის დასაწყისში მარიამი გაემგზავრა რუსეთში. მაგრამ უფლისწული ალექსანდრე, იულონი და თეიმურაზი აგრძელებდნენ ანტირუსულ საქმიანობას.

დარგევის მიზნით ჩერქეზები მთებიდან ეშვებიან

1803 წლის იანვარში ელოდნენ ლეკთა დიდი ძალების შემოტევას, მაგრამ შემდეგ შეიტყვეს, რომ ჭარ-ბელაქნელი ლეკები არ დაიძვრებოდნენ, სანამ არ მიიღებდნენ დაღესტნიდან დაპირებულ დახმარებას და თავდასხმა გაზაფხულზე ადრე არ განხორციელდებოდა, რადგან მთები თოვლით იყო დაფარული, ეს დიდ სირთულეს უქმნიდა ჯარებს წელიწადის ამ დროს მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, განსაკუთრებით კი ცხენოსნებს. ლეკთა გეგმებზე კი ურთიერთგამომრიცხავი ხმები დადიოდა.

მმართველი, რომელიც სინგახში იმყოფებოდა, იტყობინებოდა, რომ ჭარელი მეთაურები, თანახმა იყვნენ რა რუსეთის დაქვემდებარებაში შესულიყვნენ, მზადყოფნასაც კი გამოთქვამდნენ, რომ უფლისწული ალექსანდრე გადაეცათ რუსებისთვის. სინგახის სამხედრო უფროსი, პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი კი პირიქით — იტყობინებოდა ჭარელთა მხრიდან თავდასხმის მზადებაზე, ხოლო გენერალ-მაიორი ვ. ს. გულიაკოვი აცნობებდა, რომ კახეთში უფლისწულმა ალექსანდრემ გამოგზავნა თავისი ხალხი, რომლებიც მოუწოდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ლეკებთან გაერთიანებისკენ და რომ ბევრი თავადი და მემამულე კახეთისა უკვე ბელაქანში გარბოდა უფლისწულთან.

უფლისწულის მიერ გათამამებული ლეკები დარტყმებს აყენებდნენ საქართველოს საზღვრებს. ერთ-ერთ თავდასხმაზე მოთხრობილია სიმონ სტეფანეს ძე ეფრემოვის სამსახურებრივ ჩანაწერში, რომელიც მსახურობდა ეფრემოვის პოლკში: „803-ის 22 თებერვალს ლეკთა პარტიის დამარცხებისას, რომელიც საქართველოში შეჭრას ლამობდა, დავიჭერი გამჭოლი ტყვიით მარჯვენა ლოყაში...“.

სურდა რა, გაეგო, რა ხდებოდა ჭარ-ბელაქნელ ლეკებთან სინამდვილეში და მოსალოდნელი თავდასხმისთვის წინააღმდეგობის გასაწევად მომზადებულიყო, თავადმა ციციანოვმა დაავალა გენერალ-მაიორ ვ. ს. გულიაკოვს, რაზმთან ერთად გადაადგილებულიყო ურდოსკენ მდ. ალაზანზე და გზად შეერჩია ადგილი რედუტისათის, რაც ხელს შეუშლიდა ლეკებს, საქართველოში შეჭრილიყვნენ. ამ ღონისძიებით შესაძლებლად მიაჩნდათ, მოეჭრათ პირდაპირი გზა ახალციხისაკენ და აეძულებინათ ლეკები, შემოევლოთ ყარაგაჩიდან.

ჭარ-ბელაქნელი ლეკები სახლობდნენ ალაზნის იქეთ. სწორედ ისინი უხსოვარი დროიდან აოხრებდნენ კახეთს. ამ დროისათვის 29 სოფელში მდინარის დინების მიმართულებით დაითვლებოდა მათი 80 ათასი სახლი. 29 სოფლიდან 6 იყო მთავარი. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, რაც არსებითად ართულებდა მათთან ნებისმიერ შეხვედრას. ლეკებთან შებრძოლებისა და მათი დამარცხების შემთხვევაში, გულიაკოვს უნდა გაეგრძელებინა წინსვლა მათ სამფლობელოში და მოეთხოვა მათგან უფლისწულ ალექსანდრეს გადმოცემა და ჭარსა და ბელაქანში რუსთა ჯარის შესვლაზე თანხმობა.

1803 წლის 2 მარტს გენერალი ვ. ს. გულიაკოვი დაიძრა რაზმთან ერთად ჭარის ოლქისაკენ. მის სამხედრო ძალას წარმოადგენდა 3 ქვეითი ბატალიონი (1482 კაცი), 8 ქვემეხი და ორასი კაზაკი. უფრო დაწვრილებით კი კაზაკები იყვნენ შემდეგი პოლკებიდან: ეფრემოვისგან — 3 შტაბს-ოფიცერი, 1 — ობეროფიცერი, 3 — ურიადნიკი, 100 — კაზაკი; ტარასოვისგან — 2 შტაბს-ოფიცერი, 2 — ობეროფიცერი, 2 — უორიადნიკი, 59 — კაზაკი; შჩედროვის-

გან — 2 შტაბს-ოფიცერი, 1 — ობერ-ოფიცერი, 20 — კაზაკი. ამას გარდა, რაზმის შემადგენლობაში შედიოდა 4500 ქიზიყელი, ქართველი თავადი, მემამულე და გლეხი. რაზმის ოფიცრებს დავალებული ჰქონდათ, დაეცვათ ეს საჯარისო შენაერთი ძარცვისგან ლეკთა სოფლებში, რათა არ გაეღვივებინა ურთიერთსიძულვილი ლეკებსა და ქართველებს შორის, ამასთან, ჰქონოდათ შესაძლებლობა, თუნდაც რაღაც შეთანხმებისთვის მიეღწიათ.

რაზმის გადაადგილებას ამინდი არ სწყალობდა. ვ. ს. გულიაკოვი იტყობინებოდა: ***„ჩემდამი დაქვემდებარებული ადგილიდან, ქალაქ სიღნაღიდან ჩემი გამოსვლისას ჭარის ოლქში, 5 მაისიდან გამუდმებით თოვლჭყაპია, რის გამოც მე ვერანაირი საბრძოლო ოპერაცია ვერ განვახორციელე...“.***

მაგრამ ამ სიძნელეთა მიუხედავად, რაზმი გადაადგილდებოდა და უახლოვდებოდა მდინარე ალაზანს. ურდომდე ორ ადგილას გაათიეს ღამე, 4 მარტს კი რაზმი ურდოდან 3 კილომეტრის მოშორებით დაბანაკდა. აქედან გენერალ-მაიორმა ვ. ს. გულიაკოვმა გაგზავნა პოლკოვნიკი დრენიაკინი *„ეფრემოვის პოლკის დონელთა რაზმის რამდენიმე კაზაკთან ერთად როგორც საომარი ფლანგების მხარეს, ისე საქართველოს მოსახლეობის მხარეს ტყისკენ მიმავალი გზის დასათვალიერებლად. აქ მათ მისვლისთანავე შეამჩნიეს, ლეკები მოპირდაპირე მხარეს თუ როგორ ამზადებდნენ მიწაყრილს, ხოლო ორ ადგილას უკვე ყველაფერი მომზადებული ჰქონდათ საბროლველად. მიწაყრილების უკან ცხენოსანთა დიდი პარტიები იდგა, საიდანაც იარაღიდან ისროდნენ მოწინააღმდეგის მიმართულებით. ამის გამო პოლკოვნიკ დრენიაკინს არ შეეძლო კაზაკებთან ერთად ალაზნის გადალახვა წინასწარ მითითებულ ადგილას, სადაც გრუნტისა და წყლის სიღრმე გადასასვლელად ხელსაყრელი იყო“.*

ცეცხლმა, რომელიც ლეკებმა რეკოგნოსცირებულ რაზმს გაუხსნეს, აიძულა გენერალ-მაიორი გულიაკოვი, წაეყვანა ყაბარდოს პოლკის ერთი ბატალიონი, რომლის შეფიც თავად იყო, სამი ქვემეხი, ქართულ ცხენოსანთა რაზმი და ქვეითები და გაეხსნა ქვემეხებიდან ცეცხლი. შე-

დეგად „ლეკთა თავშეყრის ადგილი ცეცხლში გაეხვა, სადაც ქვეითი და ცხენოსანი ლეკების არც თუ მცირე რაოდენობა დაიხოცა“. ვ. ს. გულიაკოის პატაკი პ. ციციანოვისადმი სინამდვილეს ყველაზე რეალურად წარმოაჩენს. ამ საბრძოლო მოქმედებათა ადგილას მდინარე ალაზნის ნაპირი ციცაბო იყო, 80 მეტრი სიგანის. კოკისპირული წვიმებისგან ადიდებული მდინარე კი არ იძლეოდა მისი გადალახვის საშუალებას უკანდახეული მოწინააღმდეგის დასადევნებლად. კაზაკებმა კიდევ ერთხელ სცადეს ფონის მონახვა, მაგრამ ფეხის წყალში ჩადგმისთანავე, ცხენები დინებას მიჰქონდა. ამიტომ გენერალმა გულიაკოვმა გადაწყვიტა, შეჩერებულიყო. ბრძოლა მხოლოდ 2 საათს გაგრძელდა და მხოლოდ სროლით შემოიფარგლა. დაიჭრა 6 რუსი ეროვნების ადამიანი, ქართველთაგან მოკლულ იქნა 1, დაიჭრა — 5, ასევე, დაიჭრა კაზაკთა 2 ცხენი, ხოლო თვით კაზაკებს შორის დანაკარგს ადგილი არ ჰქონია.

გულიაკოვის ანგარიშში ნათქვამია, რომ კაზაკები, რომლებიც პოლკოვნიკ დრენიაკინის რაზმში იყვნენ, ეფრემოვის პოლკში ირიცხებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათ მესამედს ტარასოვის პოლკის კაზაკები შეადგენდნენ (70 კაცი), რომელთაც იასაული ი. კ. ერკოვნიკოვი მეთაურობდა.

ამ ბრძოლაში ასევე მონაწილეობდა თვითონ პოლკის მეთაური ვასილი ივანეს ძე ეფრემოვი. როგორც ჩანს, ის იყო კაზაკთა სამივე პოლკის მეთაური. ის ხელმძღვანელობდა კაზაკებს 1803 წლის 22 თებერვლის ბრძოლაშიც. მისი პოლკი ყველაზე ბოლოს, 1802 წელს ჩამოვიდა დონიდან, ამიტომ იყო ყველაზე სისხლსავსე, რის გამოც გაიგზავნა ყველაზე სახიფათო მიმართულებით. ტარასოვის პოლკის შტაბ-ბინა თბილისში გადაიტანეს, ხოლო შჩედროვის პოლკი იცავდა საქართველოს საზღვრებს ლეკთა დარბევისგან, რომლებიც ახალციხიდან ლამობდნენ შემოჭრას.

თავის მხრივ, ამ პოლკებმა ეფრემოვის პოლკის დასახმარებლად თავისივე შემადგენლობიდან გამოყვეს გარკვეული რაოდენობა კაზაკებისა. როგორც ვხედავთ, ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჭარ-ბელაქნელ ლეკთა მხრიდან საფრთხის წარმატებით ლიკვიდაციაში.

4 მარტს დონელებმა ბრძოლაში დიდი გმირობა გამოიჩინეს, ორჯერ შეეცადნენ რა ფონის მონახვას ალაზანში, მაგრამ მთიელთა ცეცხლისა და მდინარის დინების სიჩქარის გამო მათ ეს ვერ შეძლეს. იმას, რომ ყველა მთიელი არ იქნა გამოყვანილი სიმაგრიდან, ასაბუთებს გენერალ გ. ა. ლეერის რედაქციით დაწერილი ნაშრომი. იქნებ გერმანული პედანტობისა და პუნქტუალობის გამო არ დაწერა და რუსულ პატრიოტიზმს თამაშობდა, როცა იმის ნაცვლად, რომ მთიელებმა სრული შემადგენლობით უკან დაიხიეს ფონიდანო, სინამდვილეში სათქმელი ასე ჩამოაყალიბა: 1) ჩვენი იარაღის ცეცხლის წყალობით იქაურობა გადაბუგული იქნა და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ცოტათი დაეხია, მაგრამ დარჩა მდინარის მეორე მხარეს ჩვენი რაზმის თვალსაწიერზე“.

ამდენად, შემოიფარგლნენ რა ორსაათიანი სროლით, ვ. ს. გულიაკი დაბრუნდა თავის ღამისგასათევ ადგილას და დადგა რეალობის წინაშე — მოეძებნა სხვა გადასასვლელი ადგილი, მით უფრო, რომ კახეთის ადგილობრივი თავადებისა და მცხოვრებთა ჩვენებით, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე არსებული ყველა სოფელი დაცარიელებული იყო, რაც უკიდურესად მოუხერხებელს ხდიდა საკმაოდ დიდი რაზმის გადაადგილებას. გაითვალისწინეს რა შემდგომში თავადთა რჩევები, რომ ყველაზე კარგი გადასასვლელი სოფელ ანაგასთან არისო, გულიაკოვი, მართალია, დაიძრა იქითკენ, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მოატყუეს, რადგან გზა იყო ძალიან რთული, ჭაობიანი, გაუვალი ტყეებით, გადასასვლელი კი იყო სამ დიდ მდინარეზე. ასე თუ ისე, 8-ში მიაღწიეს მდინარე ცენიეკევს, საიდანაც უთენია გაემართნენ ბელაქნისკენ. გულიაკოვის რაზმის შემადგენლობაში შემავალი ჯარები შედგებოდა ყაბარდოელთა პოლკის ორი ბატალიონის, ტიფლისის ერთი ბატალიონის და 200 კაზაკისგან. 8 მარტის დილას ციციანოვმა მას უბრძანა, გადალახეს რა ალაზანი, მხოლოდ მდინარის მარცხენა სანაპიროზე არსებული სოფლები აეღოთ, მაგრამ არ გაემართათ ბრძოლა ჯავის ან ბელაქნისთვის, რათა ხალხი არ შეეშინებინათ.

ოღონდ როცა გენერალ-მაორმა გულიაკოვმა ნახა, რომ

სოფლები, როგორც მას ადგილობრივი მოსახლენი ეუბნებოდნენ, ცარიელი აღმოჩნდა, გადაწყვიტა, მოწინააღმდეგისათვის შემოევლო და პირდაპირ ბელაქნისკენ დაძრულიყო. მიუახლოვდა რა ამ სოფელს პოლკოვნიკმა დრენიაკინმა დილით დატოვებული ბანაკიდან 6 კმ-ის მოშორებით ტყეში შენიშნა ლეკთა სიმაგრეები, სადაც მოწყობილი იყო ჩასასაფრებელი ადგილები, შემოფარგლული ირგვლივ ჭაობით, რომელსაც 250 კვ. მეტრის ფართობზე მეტი ეკავა. აღმოაჩინა რა ეს, დრენიაკინი უღრან ტყეში შევიდა, წინ გაგზავნა ფლანგელები (ეფრემოვის კაზაკთა პოლკი). სწორედ ისინი გადააწყდნენ ლეკთა გამაგრებულ ადგილებს.

გამაგრების მიღმა მოჩანდა ლეკთა დიდძალი ჯარები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ არა მხოლოდ ჭარ-ბელაქნელები. „ტყვედ ჩავარდნილი ლეკები უფლისწულის ამალის თავადები ადასტურებდნენ, რომ უფლისწულ ალექსანდრესა და თეიმურაზს ჰყავდათ დაღესტნიდან, ნუხიდან და აქაური ლეკური სოფლებიდან შეგროვებული 10 ათასი კაცი“, ე.ი. ჭარ-ბელაქნელთა მოსალოდნელი დამხმარე ძალა დაღესტნიდან უკვე მოსული იყო და ახლა მზად იყო იერიშზე გადმოსასვლელად. მათ შესახებ ხმები რუს მეთაურებამდე წლის დასაწყისიდან მოდიოდა. აქვე იყვნენ ქართველი უფლისწულები ალექსანდრე და თეიმურაზი, რომლებიც ამხნევებდნენ მთიულებს დიდი დარბევის მზადების პროცესში. იმის გამო, რომ გულიაკოვმა თავისი ინიციატივით წაიყვანა თავისი რაზმი ბელაქანზე, ჩანაფიქრი ჩაიფუშა!

ვასილი სიმონის ძემ, გამაგრების პირადად შემოწმებისა და გარემოს გაცნობის შემდეგ, დატოვა რა თავდაცვისათვის ქართული მხედრიონი, ჯარების ნაწილი გამოჰყო მოწინააღმდეგის ფლანგების დასაზვერად, დანარჩენებით კი შეუტია მოწინააღმდეგეს პირდაპირ ცენტრალურ სიმაგრეში. *„პირველი ცეცხლი არტილერიამ გახსნა, მაგრამ, როცა ტყე არ იძლეოდა მოქმედების საშუალებას და უკვე სიმაგრესთან საკმაოდ მიახლოებულნი იყვნენ, ატყდა შაშხანიდან სროლა. მოწინააღმდეგე ძლიერი ცეცხლით შეხვდა, მაგრამ რუსული ჯარების სიმამაცისა და ხიშტების სიძ-*

ლიერის წყალობით ლეკთა ჯარები მთლიანად განადგურდა და ქართველ ფეხოსანთა ნაწილის მიერ განდევნილ იქნა ტყისა და ჭაობის მთელი ტერიტორიიდან გასაოცარი სისწრაფით, ბელაქნის ლეკებისაგან გასუფთავებულ ველი თითქმის სამ ვერსზე იყო გადაჭიმული; დონელმა კაზაკებმა და ქართულმა მხედრიონმა სხვადასხვა მხარეს გაფანტეს ლეკები, ამასობაში დროზე მოუსწრო მათ ჩვენმა ავანგარდმა მსროლელებით და ქართველმა ქვეითებთან ართად ბელაქნიდან მთლიანად გაყარეს ლეკები".

თვითონ ბელაქანში ლეკები ცოტანი იყვნენ, რამაც გარკვეულწილად ეს წარმატება განაპირობა. მაგრამ სხვა სიტუაცია რომ ყოფილიყო, საქმე შეიძლება სხვაგვარად შემობრუნებულიყო. სოფელი მდებარეობდა საკმაოდ ძნელადმისასვლელ ადგილას და ყველა სახლი ქვის ღობით იყო გარშემორტყმული, რასაც შეიძლებოდა მთიელებისათვის საუკეთესო დაცვა უზრუნველეყო, მაგრამ სიმაგრეებიდან ტყეში გაყრილმა და კაზაკთა და ქვეითთა მიერ დროულად დევნილმა ლეკებმა ვერ მოასწრეს სოფლის დაკავება და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. რუსული რაზმის ნაწილი, რომელიც შედგებოდა ქართველი ქვეითებისა და ცხენოსნებისგან, შეიჭრნენ რა ბელაქანში, შეუდგნენ ლეკთა სახლების ძარცვას ლეკებზე შურისძიების მიზნით. მათი შეჩერება შეუძლებელი შეიქნა, მაგრამ ციციანოვის მიერ მიცემული ინსტრუქცია რაზმის ოფიცერ გულიაკოვს უნდა შეესრულებინა. გარდა ამისა, გამწარებულმა ქართველებმა არა მარტო გაძარცვეს ბელაქანი, არამედ მთლიანად გადაწვეს იგი. ლეკები ისე სწრაფად იხევდნენ უკან, რომ ყველაფერს ტოვებდნენ, მათ შორის უფლისწულ ალექსანდრეს ნივთებიც და მისი წერილებიც კი დარჩათ".

ამასობაში რუსი ქვეითები და კაზაკები სოფლის იქეთ განლაგდნენ. ყაბარდოს პოლკის ბატალიონი, მაიორ ალექსეევის მეთაურობით, ბელაქნის მარჯვენა მხარისკენ დაიძრა, რათა ლეკებისათვის მთებისკენ მიმავალი გზა მოეჭრათ, მაგრამ შეძლეს მხოლოდ მათი უმნიშვნელო რაზმებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

ორსაათიანი ბრძოლის შედეგად, ტყეში სიმაგრის აღე-

ბითა და თვით ბელაქნის დაპყრობით რუსებმა დაკარგეს 7 ადამიანი, 33 კი — დაიჭრა; მათ შორის — 3 კაზაკი ეფრემოვისა და ტარასოვის პოლკებიდან. ლეკებს ჩამოერთვათ 3 ალამი, მოუკლეს 500 კაცი, უფლისწულ ალექსანდრეს ამალიდან ტყვედ აიყვანეს ორი თავადი — ვიღაც გურგენიძე და ნოშრევან ქორქაძე, ასევე ლეკები: 44 მამაკაცი და 92 ქალი.

გენერალ-მაიორმა ვ. ს. გულიაკოვმა სთხოვა პ. დ. ციციანოვს, ჯილდოზე წარედგინა ის ოფიცრები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. მათ შორის დონის კაზაკთა პოლკის ზემდეგი ეფრემოვი, რომელიც კაზაკებთან და ქართულ მხედრიონთან ერთად დაედევნა მოწინააღმდეგეს და თავისი სიმამაცით მაგალითს აძლევდა თანამებრძოლებს. ასევე წარდგენილ იქნენ უფრო დაბალი ჩინის ოფიცრები და მეთაურები, რომელთა შესახებ გულიაკოვი აღნიშნავდა: „მაქვს პატივი, თქვენს ბრწყინვალებას წარვუდგინოთ განსახილველად ქვემოთ მოხსენიებული ოფიცრები და უმორჩილესად გაუწყოთ, რომ, მართალია, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, საოცარი გმირობა გამოეჩინათ, მაგრამ თავიანთი გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, სადაც იყვნენ, იცავდნენ წესრიგს და იმსახურებენ ყურადღებას... ესენი არიან: იასაული ეფრემოვი, ურიადნიკები: პერფილოვი, ტერენტევი, პოლკის მწერალი ფროლოვი...“.

თუკი გულიაკოვი ციციანოვისადმი გაგზავნილ პატაკში წერდა, რომ მათ ვერაფრით შეაკავეს შურისძიებით გამძვინვარებული ქართველები ბელაქანში, ამ ფაქტთან დაკავშირებით **ვასილ პოტო** აღნიშნავს, რომ ***„ბელაქანი უბრძოლველად იქნა აღებული. რამდენადაც ადგილობრივი მცხოვრებნი ფეხდაფეხ მისდევდნენ ლეკებს, ამიტომ გულიაკოვმა გასცა ბრძანება ისინი ნანგრევებში დაებრუნებინათ“.***

მოტივების ინტერპრეტაცია განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ჩანს, გულიაკოვს უნდოდა, თავის პატაკში ეჩვენებინა ჯარების მიერ ციციანოვის მითითებათა შესრულების თაობაზე ლეკებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამოჩენის შესახებ, რათა მათთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა ჰქო-

ნოდათ; ვ. ა. პოტომ კი, აღწერა რა ეს მოვლენები უკვე 80 წლის შემდეგ და ამასთან, ხელთ ჰქონდა რა საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი დოკუმენტები და მოგონებები, იპოვა გულიაკოვის პირდაპირი ბრძანება ბელაქნის დანგრევის თაობაზე, მაგრამ შესრულებული „პოლიტიკურად“: რუსები სოფელთან ახლოს იდგნენ, ქართველები კი წვავდნენ და ძარცვავდნენ. ასეთი სურათი ომის პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არა მარტო კავკასიაში, — ევროპაშიც. წვავდნენ ფრანგებიც, ინგლისელებიც, სპარსებიც, ავსტრიელებიც, თურქებიც და სხვა ხალხებიც. მაგრამ რამდენი გადაწვეს თვითონ ლეკებმა?! ხოლო იმის უფლება, რომ „უპასუხო“ იმავე მეთოდებით, რასაც ლეკები აკეთებდნენ მათ სოფლებში, ქართველების მხრიდან იყო მხოლოდ სამართლიანი შურისძიება“!

ბელაქნის განადგურების შემდეგ ვ. ს. გულიაკოვმა რაზმი ჭარისაკენ შემოატრიალა, მთავარი სოფლისკენ — ჭარ-ბელაქნელი თავისუფალი ლეკების საზოგადოებისაკენ. ამასთან, პარალელურად გზაზე განადგურდა ნურის ხანის ჯარები 2 ქვემეხით, რომლებიც ჭარელთა დასახმარებლად მოვიდნენ. ჩვენ ნურელები ვნახეთ ლეკთა 10-ათასიანი ჯარების შემადგენლობაშიც, როცა ისინი იცავდნენ ბელაქნის წინ, ტყეში, სიმაგრეს. ისინი, როგორც ჩანს, იყვნენ მეწინავე რაზმები, ხანის ბრძანების შესასრულებლად მოსულნი. ესენი კი მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ნურელებისათვის.

ვ. გულიაკოვი შეუპოვარი ბრძოლისთვის ემზადებოდა. შემდგომ ვ. პოტო წერს: „***ბელაქნელთა განადგურების თაობაზე ხმა ისე სწრაფად გავრცელდა მთელს შემოგარენში, რომ, როგორც კი კაზაკთა მეწინავე რაზმები კახეთის სოფლებში გამოჩნდნენ, ნურელები წავიდნენ და ჭარელებმაც, მიტოვებულებმა მოკავშირეებისაგან, ქედი მოიხარეს“.***

წარმატებულ მოქმედებათა უპირველესი შედეგი უნდა ყოფილიყო, როგორც გვახსოვს, მოთხოვნა, ჭარსა და ბელაქანში შეეყვანათ რუსული გარნიზონი. ახლა, გამოიყენეს რა წარმატება, ციციანოვს არ უნდოდა ამით შემო-

© „ღვასუბლისწინდა ალექსანდრე“

ფარგლულიყო, მაგრამ ვ. გულიაკოვს დაავალა, მოეთხოვა, რომ ლეკებს რუსეთის ქვეშევრდომობაზე ფიცი დაედოთ, ხოლო რუსები აღარ უნდა ჩარეულიყვნენ მათ შინაურ საქმეებსა და მართვის სისტემებში, თუკი ისინი დათანხმდებოდნენ, გადაეხადათ ის ხარკი, რომელსაც უხდიდნენ საქართველოს მეფეებს. ასევე, ჭარელებს უნდა გადაეცათ უფლისწული ალექსანდრე, რომელსაც რუსები ჰპირდებოდნენ შენდობას.

ნურის ხანმა, არ მონაწილეობდა რა ამ ბრძოლებში, გადაწყვიტა, დახმარებოდა ლეკებს, თუნდაც შუამავლობით რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად. ჭარელებმა გენერალ გულიაკოვს აცნობეს თავიანთი მზადყოფნის შესახებ — რუსეთის ქვეშევრდომობას დათანხმებოდნენ. სანამ მიმდინარეობდა მოლაპარაკებებისთვის მზადება, უფლისწულმა ალექსანდრემ, ეშინოდა რა, ლეკები ციციანოვის მოთხოვნებს შეასრულებდნენ მასთან დაკავშირებით, ყარაბაღში გაიქცა. რაკი ლეკებმა თავად ითხოვეს მშვიდობის დამყარება, ციციანოვმა გულიაკოვის მეშვეობით მათ შემდგომი მოთხოვნები წაუყენა, რომლებიც შემდგომ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ პატაკშიაც იყო ჩამოყალიბებული: ***„ჩემი მოთხოვნები და სამშვიდობო პირობები შედგება 5 პუნქტისაგან:***

პირველი. რადგან უფლისწული ალექსანდრე წავიდა ყარაბაღში, ის აღარ იქნას შემოშვებული ჭარსა და ბელაქანში;

მეორე. ორივე ქალაქში დატოვებულ იქნას რუსული გარნიზონი;

მესამე. ხარკი გადახდილ იქნას აბრეშუმით, რომელსაც უხდიდნენ საქარველოს მეფეებს;

მეოთხე. მოსახლეობის პატივდებული წარმომადგენლებიდან რამდენიმე მძევლად მიეცათ;

მეხუთე. იროას ვიძლევი, რომ მათ შინამმართველობაში არ ჩავერევი, რომელსაც ყველა თავისი უფლება და უპირატესობა შეუნარჩუნდება“.

ჭარელები ამ მოთხოვნათა შესრულებაზე არ დათანხმდნენ და გენერალ-მაიორი გულიაკოვი დაიძრა სოფელ ჭა-

რისკენ. 27 მარტს რაზმმა დაიკავა კახეთის სოფლები, ხოლო 29-ში თვითონ ჭარელები, ადგილობრივთა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ითხოვდნენ შეწყალებას და თანახმა იყვნენ ყველაფერზე, რასაც კი შესთავაზებდნენ. ლეკთა საზოგადოებამ თბილისში თავად ა. ციციანოვთან დეპუტატები გაგზავნა, რომელმაც მათთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ადრე წარდგენილ პირობებზე. დაზუსტებულ იქნა, რომ ჭარ-ბელაქნელები ვალდებული იყვნენ, ყოველწლიურად 22 ფუთი აბრეშუმი გადაეხადათ ხარკის სახით.

იცოდნენ რა მთიელთა ხასიათი, რომ პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში შეეძლოთ დაერღვიათ შეთანხმება, ციციანოვი, ლეკთა დარბევისაგან ქართველთა უსაფრთხოების მიზნით, შეუდგა მდინარე ალაზანზე, ურდოს ფონთან რედუტის გაკეთებას, რაც დაავალა გენერალ გულიაკოვს ჯერ კიდევ ექსპედიციის დასაწყისში, და კაზაკებისა და ფეხოსნების პოსტები განალაგა მდინარის ზემოთ და ქვემოთ. რედუტმა მიიღო სახელწოდება „ალექსანდროვის რედუტი ალაზანზე“. იქ გათვალისწინებული იყო კავკასიის გრენადერთა პოლკის ბატალიონის დატოვება „ჭარელთა თავისუფალი საზოგადოების მოქმედებაზე თვალყურის სადევნებლად“.

ჭარის აღებისას ვ. ს. გულიაკოვი მოიქცა იმის საპირისპიროდ, რაც გააკეთა ბელაქანში. **მან სამხედრო დისციპლინის მთელი სიმკაცრე გამოიყენა, რათა ქართველებს ძარცვისგან თავი შეეკავებინათ და ჭარელები არა მარტო ხელშეუხებელნი აღმოჩნდნენ, არამედ ამან ის შედეგიც გამოიღო, რომ მთიელებს რუსების მიმართ ნდობა და სიმპათია გაუჩნდათ**. გულიაკოვმა სოფელი 31 მარტს დატოვა და ურდოს ფონთან დაბრუნდა, სადაც იმ დროს პოლკოვნიკმა დრენიაკინმა მოაწყო ალაზანზე გადასასვლელი. ყოველივე ამან ნამდვილად შეცვალა ჭარელთა დამოკიდებულება რუსებისადმი და დააჩქარა რუსეთთან შეთანხმებაზე ხელისმოწერა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლეკების ფიცის დადება მთელ თვეს გაგრძელდა, და მხოლოდ 28 აპრილს დასრულდა. ამ

აქციაში მონაწილეობდნენ ეფრემოვისა და ტარასოვის პოლკების დონელი კაზაკები. მაგრამ მასში თუ მონაწილეობდა შჩედროვის პოლკის კაზაკთა ჯგუფი, ძნელი დასადგენია, რამეთუ იგი დატოვებულ იყო გადასასვლელის დასაცავად ურდოსთან, ამასთან, ეს მოვლენები შჩედროვის პოლკის ოფიცერთა სამსახურებრივ ჩანაწერებშიც არაა ასახული.

ერთი რამ ნათელი იყო, რომ ჭარ-ბელაქნელთა მიცემული ფიცი დროებითი იყო. რუსეთისადმი მათი თავდადება და მის დაქვემდებარებაში შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ლეკთათვის ხელსაყრელ და საჭირო მომენტამდე, ზუსტად ისე, როცა ერთი წარუმატებლობით, დიდი წინააღმდეგობის გარეშე დათანხმდნენ ქვეშევრდომობას. როგორც იოლად და მარტივად მიიღეს ჭარ-ბელაქნელებმა მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ისევე მარტივად და მალე — ორ თვეში დაარღვიეს ისინი. როგორც ნ. კ. დუბროვინმა განაცხადა, „აქ ადგილი ჰქონდა მხოლოდ აზიურ ეშმაკობასა და ღალატს“.

მარცხი, რომელიც იგემეს ლეკებმა, ჯერაც ვერ უზრუნველყოფდა მთელს საქართველოზე მტაცებლური თავდასხმების აღკვეთას, მით უფრო, რომ ქართველ უფლისწულთა ინტრიგებს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ინტრიგები არ შემოიფარგლებოდა ერთეული მთიელი ტომების რუსეთის საზღვრებში შეჭრით, არამედ ცდილობდნენ, აემხედრებინათ იმერეთსა და სამეგრელოს მფლობელებიც. ციციანოვმა მოითხოვა უფლისწულების ლეკთა ტერიტორიიდან გაძევება და თავისიც გაიტანა. ასევე, მოლაპარაკებათა შედეგად რუსეთს სამეგრელოც შეუერთდა, და ეს მეფე ალექსანდრე I-ის უმაღლესი სიგელით იქნა დადასტურებული 183 წლის 4 ივლისს.

გაქცეულ უფლისწულებს იმერეთის დატოვებაც მოუხდათ. მათ თავი შეაფარეს სპარსეთის ხანებს. ერთ-ერთმა პირველმა ისინი მიიღო განჯის ხანმა ჯევანმა, რომელიც რუსეთის აშკარა მტერი გახლდათ. ის უფლისწულ ალექსანდრეს მხარში ამოუდგა და თავად წერდა წერილებს შვილებს, რათა დახმარებოდნენ საქართველოს გათავისუფლებაში რუსული მმართველობისაგან.

ციციანოვის მოთხოვნას, რომ ჯევათ-ხანს შეეწყვიტა ინტრიგები და არ ჩაეყო ცხვირი სხვის საქმეებში, წარმატება არ მოჰყოლია. მაშინ კაკასიის მთავარსარდალმა გადაწყვიტა, ძალით გაეკეთებინებინა ხანისთვის ის, რასაც მისგან თხოვნით ვერ მიაღწია. ჯარების ნაკლებობა საქართველოში და საბრძოლო საშუალებების გაძლიერების საშუალების არ ქონა თავად ციციანოვს იძულებულს ხდიდა, ის რეზერვები გამოეყენებინა, რაც მის ხელში იყო. 9 ბატალიონს ეკავა გარნიზონები სხვადასხვა პუნქტში და არ შეიძლებოდა მათი ჩართვა ჯარების საბრძოლო მოქმედებებში. ამ ჯარებით შეიძლებოდა მხოლოდ ლეკთა და ჯევათ-ხანის სამძებრო ოპერაციების ჩატარება. მეტისთვის ძალები საკმარისი არ იყო.

ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის შეფს, გენერალ-მაიორ უ. ს. გულიაკოვს, რომელიც ასე წარმატებულად მოქმედებდა ჭარის ოლქში, ებრძანა, რომ სამ ბატალიონთან ერთად დაძრულიყო ჭარელთა მოსაზღვრე სამურის ბეგების მიწებისაკენ და დაექვემდებარებინა ისინი რუსეთისათვის. ამავე დროს, მას ამით ევალებოდა, მდინარე მტკვარზე მოეძებნა ხელსაყრელი ადგილი გადასასვლელად, რომელსაც, თბილისიდან დაწყებული, ჰქონდა ციცაბო ნაპირები და მოითხოვდა გადასასვლელის მოსაწყობად დიდ დროს. მოაწყო რა მდინარის მარცხენა სანაპიროზე გადასასვლელი, ციციანოვი ფიქრობდა, დაძრულიყო მარჯვენა სანაპიროსკენ, რათა თავს დასხმოდა განჯას და ამით ჯევათ-ხანისთვის საბოლოოდ მოეღოთ ბოლო. ამ ოპერაციის ჩატარება მან ორ პოლკს უბრძანა: ნარვისა და ეგერთა მე-9 პოლკებს კავკასიის ხაზიდან.

მაგრამ, როცა ჯარები მზად იყვნენ განჯაზე გასალაშქრებლად, პ. ციციანოვი მცირე ხნით ლეკებმა შეაკავეს, რომლებიც ქართლის მხრიდან გამოჩნდნენ. ეს ის მიმართულება იყო, რომელიც ლეკებმა გამოიყენეს ახალციხისა და თურქეთის მხრიდან საქართველოზე თავდასხმის შეუძლებლობის შემთხვევაში მდ. ალაზნის დინების მიმართულებით. ამგვარი მოქმედების შეუძლებლობა გულიაკოვის რაზმისთვის შეიქნა 1803 წლის მარტში. ამან კი უბიძგა სხვა მხრიდან თავდასხმებისკენ. თუმცა ციცია-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

ნოვმა ლეკთა თავდასხმებისგან თავდასაცავად გორისა და დუშეთის მემამულეებს დაავალა, ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეეკრიბა დაცვა, მაგრამ ეს დაცვა არ გამოდგა ამ საქმისთვის შესაფერისი. ამიტომ დონის კაზაკთა შჩედროვის მეორე პოლკი პატარ-პატარა ნაწილებად განაწილდა საზღვარზე და, ამდენად, მასაც ბევრი არაფრის გაკეთება შეეძლო.

ციციანოვის ბრძანება — გაეწმინდათ და მიმოსვლისათვის უხიფათო გაეხადათ გზა გორიდან წალკამდე — გახდა საბაბი ლეკებთან შეჯახებისა, რომლებიც ახალციხის მხრიდან შემოიჭრნენ საქართველოში. ამ გზის გასაწმენდად გაგზავნილ კაპიტან ენოხინს 108 ქართველ მუშასთან, 10 ეგერთან და შჩედროვის პოლკის 9 კაზაკთან ერთად 12 ივნისს ლეკები დაესხნენ თავს წალკიდან 20 კმ-ის მოშორებით. მუშათა ჯგუფი გაიფანტა, თვითონ ეროხინმა გადარჩენილ 6 კაზაკთან ერთად სამ საათში 70 კმ. გაირბინა და იმავე დღეს, საღამოს 10 საათზე თავდასხმის შესახებ აცნობა პოლკოვნიკ ცეხანსკის, მიუთითა რა, რომ ლეკები მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მოდიან მაღლა დინების საწიანაღმდეგოდ სოფელ ხოვლისკენო.

იმავე ღამეს ქალაქ გორიდან გაგზავნილ იქნა რაზმი შჩედროვის პოლკიდან შტაბს-კაპიტნის — ბორდნოვის მეთაურობით. რაზმში შედიოდნენ: ორი უნტეროფიცერი, 30 რიგითი და 10 კაზაკი. გადაცურეს რა მდინარე მტკვარი ტივებითა თუ გაბერილი ტყავებით, რაზმს სამი კილომეტრიც არ გაუვლია, რომ პოლკოვნიკმა ცეხანსკიმ მიიღო შეტყობინება, რომ ლეკთა იგივე რაზმი უკვე ქარელს მიადგა, სადაც რუსთა ერთი ასეული იდგა. თავის განკარგულებაში უკვე რაკი არ ჰყავდა მეტი ხალხი, მათგან რომ ახალი რაზმი შეედგინა, პოლკოვნიკმა ცეხანსკიმ შტაბს-კაპიტან ბორდნოვის რაზმი უკან დააბრუნა და უბრძანა ქარელისკენ წასვლა, მაშინ შეიტყო, რა რუსთა ასეულს ლეკებთან ბრძოლა უკვე გადაეხადათ.

ამ ასეულის მეთაურმა კაპიტანმა სეკერინმა, ხედავდა რა, როგორ მიერეკებოდნენ ლეკები ქარელის მკვიდრთა საქონელს, არ იცოდა მტრის მრავალრიცხოვნების შესახებ, ამიტომ გადაწყვიტა, დადევნებოდა მათ. სეკერინს არ

ჰქონდა მეთაურის ის თავშეკავება და სიფრთხილე, რომელიც საჭიროა ტყიან, მთიან და მსგავს ადგილებში, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეუძლია მოწინააღმდეგეს მიმალვა. მოუზომავი ნაბიჯი ასეთ შემთხვევებში ყოველთვის დამღუპველია. ასე იყო ამჯერადაც!

გაიარა რა თავისი ასეულით (რომელშიც მხოლოდ 44 კაცი და 15 დონელი კაზაკი იყო შჩედროვის პოლკიდან) 7 კილომეტრი სოფლიდან, სეკერინი ლეკთა ალყაში მოექცა და მოწინააღმდეგის პირველი გასროლისთანავე დაიჭრა. ხელმძღვანელობა პორუჩიკმა რეგულისკიმ გადაიბარა. იგი გაცხარებით იბრძოდა და ორჯერ მიადენა ლეკები ტყისკენ. მაგრამ მეორე შეტევისას მან სეკერინის შეცდომა გაიმეორა, დაედევნა მტერს და სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაიღუპა. ჯარისკაცებმა დაკარგეს რა ყველა ოფიცერი, აღმოჩნდნენ ტყის პირას კაზაკებთან ერთად (სადაც 35 კაცი დაიღუპა).

კაპიტან სეკერინის ასეულისა და 15 დონელი კაზაკის გმირულად დაღუპვის ადგილას XX საუკუნის დასაწყისში, გენერალ-მაიორ ვ. პოტოს ინიციატივით, დაიდგა ძეგლი, რუს მებრძოლთა გმირული თავდადების უკვდავსაყოფად, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შეაჩერეს ლეკთა დაგეგმილი შემოსევა.

ამ ბრძოლის შემდეგ ლეკები კვლავ ახალციხისკენ გაბრუნდნენ. თავადმა პ. ციციანოვმა გენერალ-მაიორი, თავადი ორბელიანი დანიშნა კორდონის უფროსად სურამიდან წალკამდე და უბრძანა, გამოეძახებინა ქართველი თავადები და მემამულეები და მათგან შეეგროვებინა მონადირეები, რათა დადევნებოდნენ ლეკებს და აუცილებლად განედევნათ საქართველოდან. იმავე დროს ციციანოვმა წერილი გაუგზავნა რეჯიბ-ფაშას ახალციხეში, რომლის სამფლობელოზე გავლითაც წავიდნენ ლეკები. წერილში ატყობინებდა ახალციხის ფაშას, ამიერიდან აღარ გაეტარებინა ლეკები მის ტერიტორიაზე, თუკი არ უნდოდა გაეწყვიტა როგორც პირადი ურთიერთობა რუსებთან, ასევე, — რუსეთსა და თურქეთს შორის სახელმწიფოებრივი კავშირი.

გენერალ-მაიორი, თავადი ორბელიანი, გააერთიანა რა

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲗ“

მე-9 ეგერთა პოლკის 9 ასეული, კავკასის გრენადერთა 2 ასეული და 135 კაზაკი შჩედროვის პოლკიდან (14 ქვემეხით), გამოუდგა ლეკებს, რომლებიც ზემო ქართლის საზღვრებში შეიჭრნენ, მათთან ერთად შევიდა ახალციხის საფაშოში და 3 ივლისს ტაბაწყურის ტბასთან დაბანაკდა. აქედან მან წერილი გაუგზავნა რეჯიბ-ფაშას, ახალციხის საფაშოდან ლეკების განდევნაში მისგან თანამონაწილეობას მოითხოვდა. ფაშამ უპასუხა, რომ ის მზადაა, შეასრულოს თხოვნა, თუკი რუსული ჯარები დატოვებენ ახალციხის საზღვრებს და კვლავ ქარელში დაბრუნდებიან.

გენერალ-მაიორმა ორბელიანმა უკან დაიხია და დაბანაკდა ცხრაწყაროს რაიონში, საქართველოს საზღვრებში და იქ ელოდებოდა რეჯიბ-ფაშასაგან პირობის შესრულებას.

ახალციხის გარდა, ლეკთა თავდასხმა დაღესტანის მხრიდანაც ხდებოდა, რამდენადაც ჭარელებმა, თუმცა პირადად არ მონაწილეობდნენ ამ თავდასხმაში, მაგრამ დაარღვიეს მათთან დადებული ხელშეკრულების პირობები. ლეკთა 1000-კაციანმა პარტიამ, გაიარა რა დაღესტნის მხრიდან ჭარისა და კახეთის სოფლებზე, 9 ივლისს, დღის 2 საათზე გადალახა მდ. ალაზანი მოფარებულ ადგილას, 6 კმ. მოშორებით თბილისის ბატალიონის ბანაკიდან და ხის ტოტებითა და რიდეებით შენიღბული თავს დაესხა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის მეწინავე პიკეტს, რომელიც 20 კაცისაგან შედგებოდა და რომელსაც უნტერ-ოფიცერი მეთაურობდა. წააწყდნენ რა ძლიერ წინააღმდეგობას, მთიელები ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთი ალაზნის იქეთ გაბრუნდა, მეორე კი, შედგებოდა რა 300-მდე შედარებით უკეთესი ცხენოსნისგან, იმავე ყაბარდოს პოლკის რემას დაესხა თავს, რასაც დაუპირისპირდა რუსული იარაღი.

ლეკებმა დაინახეს რა, რომ აქაც არ გაუმართლათ, ჯერ თბილისის ბატალიონის რემას დაესხნენ თავს, შემდეგ კი იქვე, საძოვარზე გაშვებულ ეფრემოვის პოლკის დონელ კაზაკთა რემას.

ამის შესახებ გენერალ ციციანოვს 9 ივლისს გაგზავნილ

პატაკში გულიაკოვი ატყობინებდა, რომ ორმხრივი სროლის შედეგად ცხენები დაფრთხნენ და მათი შეკავება შეუძლებელი გახდა, ხოლო მტაცებელმა ლეკებმა მოახერხეს მთელი რემა ალაზნის მეორე მხარეს გადაერეკათ.

ლეკთა თავდასხმის თაობაზე რომ შეიტყო, გენერალმა გულიაკოვმა მაშინვე გაგზავნა ჯარების ზემდეგი ეფრემოვი რეზერვისტებთან ერთად, რათა კვალში ჩასდგომოდნენ გამტაცებლებს, მაგრამ მთელი რიგი ბუნებრივი პირობების გამო ეს ვერ მოახერხეს.

ლეკთა მხარეს დაიღუპა 12 კაცი და საკმაოდ ბევრი დაიჭრა. მათ სულ გაიტაცეს 211 ცხენი, მათ შორის ტარასოვის პოლკიდან — 65, რის შემდეგაც პოლკს მხოლოდ 62 ცხენი დარჩა.

ლეკთა ეს შემოტევა ნათელს ჰფენდა იმას, რომ ჭარელები არ აპირებდნენ აპრილში დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებულებას იღებდნენ, რომ საქართველოში დაღესტნის მხრიდან არ შემოეშვათ ყაჩაღები. თავადმა ციციანოვმა გენერალ-მაიორ გულიაკოვს უბრძანა, რომ კახეთისა და ჭარის სოფლებიდან შეეკრიბა მეთაურები, წაეკითხა მათთვის დადგენილება, რომელიც აპრილში მათ დაუდეს და განემარტათ მათთვის, რომ ხელშეკრულების დარღვევისა და ფიცის გატეხვისათვის მათი მძევლები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას ჰყავდა ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, დაისჯებოდნენ, თუკი მთიელები გატაცებულ კაზაკთა ცხენების საფასურს არ გადაიხდიდნენ. ციციანოვი ხელმწიფეს სწერდა, რომ ეფრემოვის პოლკის კაზაკებს, რაკი ცხენები აღარ შერჩათ, ნება მივეცი კავკასიის ხაზზე წასულიყვნენ ცხენების შესაძენადო.

მაგრამ ჭარელები არ ასრულებდნენ მოთხოვნებს და დუმილსაც არ არღვევდნენ. ციციანოვი საყვედურობდა მათ, რომ დაივიწყეს ფიცი, არ იხდიან ფულს, რისი პირობაც მათ ყურანზე დაფიცებით დადეს. მან ლეკებს მოუწოდა, გონს მოსულიყვნენ, არ დაეჯერებინათ დაღესტნელებისათვის, რომლებიც ღუპავდნენ მათ თავიანთი ანგარებით. ის ჭარელებისგან მოითხოვდა მათგან წარმო-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

მადგენლების გამოგზავნას ბოდიშის მოსახდელად და 110 ფუთი აბრეშუმის მოტანას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ციციანოვი მათ ცეცხლითა და მახვილით ანგარიშის გასწორებას ჰპირდებოდა.

ჭარელებმა არც ეს ბოლო მოთხოვნა შეასრულეს. ისინი თავს იმართლებდნენ იმით, რომ ღარიბები არიან, არ აქვთ აბრეშუმი და ამიტომ ვერ გადაიხდიან ხარკს. მაშინ მთავარსარდალმა მათგან მოითხოვა 11 ათასი რუბლი, რომლის გადაუხდელობას მათი დასჯა მოჰყვებოდა.

რამდენს არ ემუქრებოდა პ. ციციანოვი ჭარელებსა და ბელაქნელებს, მისი მოთხოვნები მაინც უპასუხოდ რჩებოდა — ლეკები ხარკს არ იხდიდნენ და კვლავაც აწყობდნენ საქართველოზე თავდასხმებს.

21 ოქტომბერს 10 ათასი ლეკი ყაზიყუმუხის სურხაი-ხანისა და ავარიელთა მეთაურის ალისკანდის წინამძღოლობით გადავიდნენ ალაზანზე სოფელ მოგალოსთან. 22 ოქტომბერს, ღამის 3 საათზე, დიდი ჯგუფებით ისინი თავს დაესხნენ გენერალ-მაიორ გულიაკოვის ბანაკს, რომელიც დაბანაკებული იყო სოფელ ფეიქაროსთან. ეს რაზმი შედგებოდა ყაბარდოს პოლკის, გრენადერთა ბატალიონის, თბილისის მუშკეტერთა პოლკისა და ეფრემოვის კაზაკებისაგან. კაზაკთა პიკეტებმა გააფრთხილეს რა გენერალ-მაიორი გულიაკოვი მონინააღმდეგის მოძრაობის თაობაზე, გულიაკოვმა ძლივს მოასწრო ჯარების ბრძოლისთვის მომზადება, რომ ლეკები ყვირილით ყოველი მხრიდან თავს დააცხრნენ მას. ერთსაათიანი სროლის შემდგომ ლეკებმა უკან დახევა იწყეს. ღამის სიბნელე მათ დადევნებას ხელს უშლიდა. განთიადის დადგომისთანავე გულიაკოვმა თავისი რაზმი 2 ნაწილად გაყო: მან ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ერთი ბატალიონი და 200 მსროლელი მაიორ სებასტიანის მეთაურობით გაგზავნა ლეკების კვალზე, დანარჩენებთან ერთად კი თვითონ წავიდა, დააყენა რა ქვეითთა წინ კაზაკები, რომლებმაც ალაზანთან მთიელ მონადირეებს ერთბაშად შეუტიეს. შემდეგ მივიდნენ ქვეითები და დაიწყეს ლეკთა ხოცვა, რომლებიც გაქცევით თავის გადარჩენას ცდილობდნენ, ჩქარობდნენ, სადაც შეძლებდნენ, იქ შედიოდნენ მდინა-

ერთ-ერთი ბრძოლის ეპიზოდი

რეში და ფონს აღარ ეძებდნენ. მაგრამ რაკი ხშირი წვიმების გამო მდინარე ადიდებული იყო, ისინი ხშირ შემთხვევაში იხრჩობოდნენ. ამ ბრძოლაში მთიელებმა დაკარგეს 325 კაცი, რუსებს მხოლო 11 ადამიანი მოუკლეს და დაუჭრეს. ჯარების ზემდეგი ვ. ი. ეფრემოვი გამოჩენილი სიმამაცისთვის დააჯილდოვეს წმ. ანას მესამე კლასის კავალერიის ჯვრით.

ციციანოვმა შეიტყო, რომ ლეკთა შორის იყო ავარიის ხანის ჯარებიც, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ბრძანა, მისთვის ხელფასის მიცემა შეეწყვიტათ, მანამ, ვიდრე არ გადასცემდა ალიკსანდს (ალესხანტს). ავარიის ახმედ-ხანი იფიცებოდა, რომ რუსეთისათვის თავდადებული იყო, მათთვის არ უღალატნია და ითხოვდა, მისთვის ხელფასი არ შეეწყვიტათ. მაგრამ ციციანოვი მტკიცედ იდგა თავისაზე, არ მიდიოდა არანაირ კომპრომისზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელფასებითა და საჩუქრებით მიეზიდა ხანები და როგორმე მიეღწია ხარკის გადახდევინებისათვის, ციციანოვმა კავკასიაში თავისი მოქმედების მთავარ იარაღად გაიხადა ძალა და სიმტკიცე. ეს იყო რადიკალურად განსხვავებული ხაზი, რომელსაც კ. ფ. კნორინგი ეწეოდა კავკასიაში და რომელიც ციციანოვ-

მა შეცვალა იარაღითა და ძალით. ყოველივე ამან შეცვალა თვით მთიელთა დამოკიდებულებაც რუსეთის ადმინისტრაციისადმი: მათ იგრძნეს ციციანოვის რკინის ხელის ძალა.

გადაწყვიტა რა რიგი საკითხებისა ლეკებთან დაკავშირებით, ის დაუბრუნდა განჯის საკითხს და ნოემბრის ბოლოს ლაშქრობა მოაწყო. 1804 წლის 3 იანვარს, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, აიღო ქალაქი. ბრძოლაში დაიღუპა ჯევად-ხანიც. განჯა კი შემოუერთდა რუსეთს და დაერქვა ელისავეტოპოლი. ამასთან, მთავარსარდალმა განაცხადა, რომ ერთი თვის შემდგომ დაპყრობილ ქალაქს ხელშეკრულებაში ან წერილობით აქტში დაარქმევდა განჯას და არა ელისავეტოპოლს. ამასთან, იმავე დროს, სანამ ციციანოვი განჯას აიღებდა, ლეკები კვლავ აგრძელებდნენ ალაზნიდან თავდასხმებს. ჭარ-ბელაქნელებისგან ხელშეკრულების შეუსრულებლობამ მთავარსარდალს სერიოზული ღონისძიებების განხორციელებისკენ უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ ჭარ-ბელაქნელებმა ვალდებულება აიღეს, საქართველოში დაღესტნიდან ლეკები არ შემოეშვათ, არა თუ არ ასრულებდნენ ამას, პირიქით — მიიწვიეს ისინი გამოსაზამთრებლად თავიანთ მიწაზე და მათთან ერთად ახორციელებდნენ თავდასხმებს რუსეთის საზღვრებზე. ამასთან, ჭარელები არც კი ფიქრობდნენ მათთვის დაწესებული ხარკის გადახდას.

ციციანოვმა საჭიროდ ჩათვალა, სხვებისთვის სამაგალითოდ, აეძულებინა ბელაქნელები დადებული ხელშეკრულებისთვის პატივი ეცათ და გაეთავისუფლებინა საქართველო გამუდმებული გაჩანაგებისაგან. იმყოფებოდა რა ისევ განჯაში, ციციანოვმა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის შეფს, გენერალ-მაიორ გულიაკოვს ალაზნის გადალახვა და ჭარელების მათსავე სოფლებში დასჯა უბრძანა.

პ. ციციანოვი შემდგომ მეფეს აუწყებდა: *„1803 წლის 30 დეკემბერს, შეიტყო რა ქიზიყში მცხოვრები ქართველისაგან, რომ სურხაი-ხანი (იგივე კაზიკუმუხის ხანი) თავისი 6-ათასიანი ჯარითა და მასთან შეერთებული სხვადასხვა ხალხის ჯგუფებით გადმოვიდა ალაზნის მარჯვენა ნა-*

პირზე ლეკთა სოფელ ბაიმალუს საპირისპირო მხარეს, ბანაკის ქვემოთ, 40 ვერსის მოშორებით, გენერალ-მაიორმა გულიაკოვმა მეორე დღეს, 31 დეკემბერს, ყაბარდოელთა 10 ასეულით, თბილისის გრენადერთა ბატალიონით, მე-15 ეგერთა პოლკის 2 ასეულით, არტილერიის 5 ქვემეხითა და ფრემოვის დონელი კაზაკებისა და ტარასოვისა და შჩედროვის პოლკებით იერიში მიიტანა მათზე".

1804 წლის 1 იანვარს რუსული ჯარები მოწინააღმდეგეს მიუახლოვდნენ. დაზვერვის შედეგად რუსებმა დაადგინეს, რომ ლეკებს საკმაოდ ძლიერი პოზიციები ეკავათ, ფლანგებიდან ჭაობებით იყვნენ დაცული. რეკოგნოსცირების შედეგებმა აჩვენა, რომ *„მთიელები განლაგებულნი იყვნენ ტყის მასივებში და ბუჩქნარებში, რაც ყოველგვარ საშუალებას სპობდა ქვემეხთა გადასატანად, მხოლოდ კახელი მსროლელების გამოყენებაღა შეიძლებოდა"*.

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, გენერალ-მაიორმა გულიაკოვმა პოზიციის შეტევისათვის შეარჩია 240 საუკეთესო მსროლელი ყაბარდოს პოლკიდან, 80 — ტფილისის პოლკიდან, მე-15 ეგერთა ასეული და ეფრემოვის კაზაკები და ყველა მათგანის უფროსად დანიშნა პოდპოლკოვნიკი გ. ე. ერისთავი. შეხვდნენ რა სასტიკი ცეცხლით ლეკები, რუსთა ჯარი მიხვდა, რომ სროლით ისინი მოწინააღმდეგეს ვერ დაამარცხებდნენ, რომლებიც ბუჩქებში იმალებოდნენ. ერისთავმა ბრძანა, მოემარჯვებინათ შუბები და სამჯერ გადავიდა შეტევაზე. მთიელებზე ზეწოლით კაზაკები ეხმარებოდნენ თანამებრძოლებს მტრის შუბებით განგმირვაში. არტილერია ჭაობის მხრიდან მოქმედებდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ყოველ ჯერზე მთიელები უკან იხევდნენ და გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ კვლავ იმალებოდნენ ტყის მასივში, ხოლო რუსი ქვეითები კვლავ შუბებით ხოცავდნენ მათ, სანამ ალაზანს იქით არ გადარეკეს, გადასვლისას კი ადიდებულ ალაზანში ბევრი მთიელი ჩაიხრჩო.

ამ დროს, ლეკთა მხარეს შეამჩნიეს სურხან-ხანის მხედრიონის 3 ათასი კაცი, რომელიც მთებიდან ეშვებოდა ველზე. ამ პარტიის წინააღმდეგ წავიდა თვითონ გენერალ-მაიორი გულიაკოვი კაზაკთა დანარჩენ რაზმებთან

© „ᲙᲝᲚᲮᲗᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲬᲐᲤᲘᲡ“

ერთად, რომლებიც პირველ ბრძოლაში მონაწილეობდნენ, მიადგნენ რა მდინარის გადასასვლელს, იძულებული გახდნენ, მეორე ბრძოლაც გადაეხადათ. გულიაკოვმა მთიელებს მდინარეზე გადასვლის საშუალება არ მისცა. ლეკები გაიქცნენ, გაქცევის დროს კაზაკებმა მათ 22 კაცი მოუკლეს.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა 5 საათს გრძელდებოდა. მთიელთა 500 კაცი დაიღუპა, რომელთა შორის ცნობილი მეთაურებიც იყვნენ. ტყვედ 6 ლეკი აიყვანეს, რუსებმა კი ბრძოლაში 1 ოფიცერი და 17 რიგითი დაკარგეს, დაიჭრა 2 ოფიცერი და 69 დაბალჩინოსანი. არც ერთი კაზაკი არ დაშავებულა, მაგრამ ცხენებს კი ცუდი დღე დაადგათ: 2 მოკლეს, 5 — დაიჭრა.

ახლახან განხორციელებული თავდასხმა მოითხოვდა შურისძიებას და 9-10 იანვრის ღამით გენერალ-მაიორი გულიაკოვი ალექსანდროვის რედუტთან გადავიდა ხიდზე და 13-ში, შუადღისას, დაიძრა ჭარელთა სოფლისკენ. ჭარსა და სოფელ თალს შორის, როცა რაზმი ღია სივრცეში გადაადგილდებოდა, ლეკებმა შეუტიეს მას. ისინი რამდენიმე ათასი იყვნენ. მთიელებმა ძლიერი ცეცხლი გახსნეს, მაგრამ რუსთა საპასუხო ცეცხლმა უკუაგდო მოწინააღმდეგე, რომელმაც გაქცევით უშველა თავს და ბრძოლის ველზე დატოვა 100 მოკლული. რუსთა მხარეს კი რამდენიმე კაცი დაიჭრა. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა ვ. ი. ეფრემოვიც თავის კაზაკებთან ერთად.

მაგრამ ვინ უნდა დაესაჯათ ამ სოფლებში — იგი მცხოვრებლებისგან დაცლილი იყო. კავკასიის ომის პირველ წლებში მთიელები არჩევდნენ ბრძოლას რუსული ჯარების ექსპედიციებთან და რამდენადაც მათთვის ცნობილი ხდებოდა რუსული სარდლობის მხრიდან აქციის სამზადისის შესახებ, ისინი დაუყოვნებლივ ახდენდნენ თავიანთი სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაციას კარგად დაცულ და მიუვალ ადგილებში, შემდეგ ერთიანდებოდნენ რაზმებად და რუსების მოსვლას ჩასაფრებული მოელოდნენ.

და ასე მოქმედებდნენ ისინი ომის დამთავრებამდე. ასე იყო მოცემულ შემთხვევაშიც: რუსული ჯარები მოვიდნენ, უბრძოლველად აიღეს ჭარი და ოლქის სხვა სოფლები,

მაგრამ ისინი ცარიელი აღმოჩნდა, ერთი დღის შემდეგ კი ეს ჯარები ალყაში აღმოჩნდნენ, გარეგნულად ყველაფერი ტრიუმფალურად გამოიყურებოდა, იქამდეც კი, რომ ციციანოვიც შეცდომაში შეიყვანა, და 1804 წლის 1 იანვარს გულიაკოვს სწერდა: ***„შევიტყვე თქვენი ახალი გამარჯვების თაობაზე და, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ამჯერადაც მინდოდა, მქონდა პატივი თქვენი სამხედრო ღირსებებისთვის მაღალი შეფასება მიმეცა, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა. თქვენს უდიდებულესობას, როგორც ჩანს, წილად ხვდა, უკვდავყოს რუსული იარღის სახელი ამ ახლადშეძენილ მიწაზე, მე კი — თქვენი სიხარულის გაზიარება. შევიტყვე, რომ თქვენი უდიდებულესობა ჭარში შევიდა, გისურვებთ წარმატებით დაგესრულებინოთ თქვენ მიერ წამოწყებული კამპანია, მთელი წელი რომ გაგრძელდა, რაც აქამდე არასდროს მომხდარა“.***

მსგავმა ამაღლებულმა განწყობილებამ რუსულ ჯარში მოადუნა სიფხიზლე. ჭარის უბრძოლველად აღებამ, მოსახლეობის გაქცევამ ჩვენი ჯარების მიახლოებისთანავე გაიტაცა გამარჯვებებს დაჩვეული გენერალ-მაიორი ვ. ს. გულიაკოვი. მან გადაწყვიტა, დადევნებოდა ლეკებს ყველაზე მიუვალ ხეობებში, რომლებიც ლეკებისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა და კარგად ნაცნობი ადგილები იყო. 15 იანვარს ის ზაქათალისაკენ დაიძრა. როგორც ჩანს, მთელ ხეობაში იყო სახლები, მაგრამ რუსების მიახლოებისთანავე ისინი ცარიელდებოდა. რაზმი ასეთი განრიგით მოქმედებდა: წინ მიდიოდა ცხენოსანი და ფეხოსანი ქართველები, მათ უკან — ეფრემოვის კაზაკები, შემდეგ 140 მსროლელი ეგერთა მე-15 პოლკიდან, რომელთაც 1 ქვემეხიც ჰქონდათ, აქვე იყო თვითონ გენერალ-მაიორი გულიაკოვი, რომელსაც მოჰყვებოდა კოლონა ყაბარდოელებისა და თბილისის ბატალიონებისა. და ბოლოს, არიერგარდში მოდიოდა მე-15 ეგერთა პოლკი.

ის იყო ჯარებმა შეაბიჯეს ქვის შემორაგულში, რომ ლეკებმა, რომლებიც აქამდე ლოდების უკან იმალებოდნენ, გახსნეს ძლიერი ცეცხლი და გაჩაღდა ბრძოლა. *„მარცხენა მხრიდან მოწინააღმდეგის დიდი ტალღა მოაწყდა ქვე-*

© „ᲙᲝᲚᲘᲡᲔᲣᲛᲘ“

მეხს და პირველ გასროლაზევე მოკლულ იქნა გენერალ-მაიორი გულიაკოვი... წინ მდგომი ქართველები და კაზაკები უკან გაქანდნენ, კოლონებისკენ...“, ჯარში არეულობა შეიქნა, დაიწყეს უკან დახევა. ჭორომთან დაღუპულთა შორის იყვნენ გენერალ-მაიორები: თავადი დ. ზ. ორბელიანი და ა. ა. ლეონტიევი, ასევე — პორუჩიკი, გრაფი მ. ს. ვორონცოვი. ამ უკანასკნელის ციციანოვისათვის გაგზავნილი წერილებით ჩვენ შეგვიძლია მარცხის მიზეზები გავაანალიზოთ: *„ის (გულიაკოვი) წინ მიდიოდა, მხოლოდ ქართველები იყვნენ მასზე წინ და ეს იყო მისი მთავარი შეცდომა. როგორც კი ლეკები შეესივნენ ქართველებს ხმლებით, ეს უკანასკნელნი უკან გაიქცნენ და ჩვენ დაგვეჯახნენ. ადგილი არ იძლეოდა განლაგების საშუალებას. ვასილი სიმონის ძე პირველ ქვემეხთან მოკლეს, მეც მასთან ვიყავი და იგივე დამემართებოდა, როცა უკან გამოქცეულ ქართველთა ბრბო და ლეკები რომ შეასკდნენ ციცაბო კლდეს, საიდანაც, მე „გამოვფრინდი“ და სასიკვდილოდ დავილეწებოდი, სხვებს რომ არ დავცემოდი, რომლებიც ჩემზე ადრე ასევე ხალხის ტალღამ გამოაგდო იქიდან“.*

სწორედ ამ შეცდომამ მიგვიყვანა სავალალო შედეგებამდე. რუსთა დანაკარგი მოკლულებისა და დაჭრილების სახით 300 კაცს აღწევდა, მათ შორის ბევრი იყო ოფიცერი.

გულიაკოვის სიკვდილის შემდეგ მეთაურობა თავადმა, გენერალ-მაიორმა დ. ზ. ორბელიანმა ჩაიბარა. არ იცოდა რა გულიაკოვის ჩანაფიქრის თაობაზე, მოაწყო ჯარები და, რაკი გარშემორტყმულნი იყვნენ ტყეებით, ბაღებით, სახლებით, ქვის ღობეებით, დაიწყო უკან დახევა.

უკან დახევისას ბრძოლა 8 საათს განსაკუთრებული სისასტიკით მიმდინარეობდა. რამდენჯერაც კი მიუახლოვდებოდნენ ლეკები რუსულ კოლონას, ჯარისკაცები ხიშტებით იგერიებდნენ. რაზმი უკან იხევდა ისე, რომ არანაირ ნადავლს არ უტოვებდა მოწინააღმდეგეს. მთიელთა დანაკარგმა, მათი მეთაურების მონაცემებით, 1000 კაცი შეადგინა.

რუსთა არახელსაყრელმა მდგომარეობამ და იმან, რომ ისინი პირველად იხევდნენ უკან ჭარელების წინაშე, ბრძოლა ისეთი გააფთრებული გახადა, რომ ლეკთა დანაკარ-

გი უზომოდ დიდი იყო, რის გამოც რამდენიმე დღის შემდეგ ბევრმა სოფელმა გამოაგზავნა დეპუტატები დ. ორბელიანთან შეწყალების სათხოვნელად. 17 იანვარს რაზმმა დატოვა ჭარი და სოფელ მუხრანში გადაინაცვლა, სადაც დარჩა 2 დღე, გადაწვა სოფელი. რამდენიმე სოფლიდან აქ, ორბელიანთან მოვიდნენ ლეკთა წარმომადგენლები „მორჩილების“ გამოსახატავად. აქვე მიიღეს წერილი კაზიკუმუხის სურხან-ხანისგან, რომლითაც ის იუწყებოდა, რომ ბოლომდე იბრძოლებდა რუსთა წინააღმდეგ, სანამ ისინი ჭარ-ბელაქანში იქნებოდნენ. და თუ საზღვარზე სურდათ სიმშვიდის დამყარება, მაშინ უნდა გადასულიყვნენ ალაზანს იქით. ყოველ შემთხვევაში ეს მხოლოდ დაპირება იყო, ხანი კი განსაკუთრებული მტერი იყო რუსეთისა მრავალი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, დონელ ოფიცერთა სამსახურებრივ ჩანაწერებში ნათქვამი იყო, რომ გენერალ-მაიორ გულიაკოვის სიკვდილში დამნაშავე და ასევე იმ მახის მომწყობი, რომელშიც რუსული ჯარები ზაქათალაში აღმოჩნდნენ, იყო სწორედ ის სურხან-ხანი. ამას ადასტურებს ჩანაწერიც, რომ გულიაკოვი „15 რიცხვში ქალაქ ჭარსა და კავკასიის მთების ხეობებში იმავე სურხან-ხანისა და მისი ჯარების, ასევე ავართა მეთაურის ალესხანტის წინააღმდეგ წარმოებულ „ტყის ექსპედიციაში“ ნამდვილად მონაწილეობდა“.

აქ ჩნდება ერთი კითხვა: რატომ უწოდეს ამ ოპერაციას „ტყის“? მიუხედავად იმისა, რომ ჯარები გარშემორტყმული იყო ტყის მასივით, ბაღებით, მათ გზაზე მხოლოდ ხეობა იდო, სახლები და ქვის ღობეები. ასე რომ, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ამ ოპერაციისთვის დაერქმიათ „ქვის“ ან სულაც „ხეობის“ ოპერაცია.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ამ ტრაგედიაში დამნაშავენი იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ დონელი კაზაკებიც გარკვეულწილად, რომლებიც დაბრუნდნენ ჯერ კიდევ 1803 წლის 9 ივლისს ლეკების მიერ გატაცებული ეფრემოვის პოლკის ცხენების რემის გატაცების მიზეზების გასარკვევად. ამ საქმის გარჩევა ჯერ კიდევ 1803 წლის ნოემბერში დაიწყო, როცა პ. ციციანოვმა პატაკე-

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“

ბის დაწერა უბრძანა ამ მოვლენების მონაწილე ოფიცრებს. ამ პატაკთა შორის ყველაზე მეტად საყურადღებოა პოდპოლკოვნიკ სევატოპოლსკის პატაკი, რომელიც მან 1803 წლის 19 ნოემბერს შეადგინა უკვე ვლადიკავკაზში, როცა პოლკი საქართველოდან გამოყვანილი იყო, მაგრამ ციციანოვის მიერ წამოწყებულმა საქმის გარჩევამ აიძულა ეს ქვეითთა მეთაური, ლეკებთან ბრძოლის ზოგიერთი დეტალი გაეხსენებინა, რაც არ არის სხვა პატაკებში. აი, რას წერს იგი: *„სევასტოპოლის ბატალიონი ბანაკის წინ იდგა, მასთან ახლოს იყო ცხენების რემა, რომელსაც სიმაღლიდან იცავდნენ. კაზაკთა რემაც იქვე ახლოს ძოვდა, იქვე იყო ოციოდე კაზაკიც. ამას გარდა, 10 კაზაკი იდგა მაღლობზე. როცა ველურები გამოცვივდნენ, ბიკეტზე (მაღლობზე) მდგარი კაზაკები რომ დაინახეს, სროლა აუტეხეს. სევასტოპოლის ბატალიონმა რომ გაიგონა სროლის ხმა და დაინახა ცხენების რემისკენ მიმავალი მოწინააღმდეგე, არაფერი გაუკეთებია, ერთი გასროლაც კი არ ყოფილა მათი მხრიდან. სევასტოპოლის ბატალიონის ბანაკში კი აყვირდნენ: „იარაღთან!“, დაბალჩინოსნებიც გამორბოდნენ პალატებიდან, იღებდნენ იარაღს, ვინც მოასწრო, გაიქცა საშველად, სხვები შეაჩერეს მეთაურებმა და შეუდგნენ ფრონტის მოწყობას. ამით კი დრო მისცეს ლეკებს, დაეჭრათ რამდენიმე კაზაკი, შემოებრუნებინათ ცხენების რემა და გაერეკათ. ხედავდნენ რა, რომ სევასტოპოლის ბატალიონი მათ არ ესროდა, ლეკები შეიჭრნენ რემაში; მაშინაც კი, როცა კაზაკებს დაერივნენ, მათთვის არავის უსვრია, და რომ სევასტოპოლის რემა კაზაკთა რემასთან ერთად დადიოდა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათი რემიდან მხოლოდ შვიდი ცხენი დაიკარგა“.*

მოცემული მონაკვეთიდან ჩანს, რომ კაზაკები არ იყვნენ დამნაშავენი თავიანთი ცხენების დაკარგვაში, რამდენადაც ერთობლივი მოქმედების გეგმა არ ჰქონდათ შემუშავებული. კაზაკებმა თავიანთი ცხენები ისე დაიცვეს, როგორც შეეძლოთ. გარდა ამისა, იყო მომენტები, როცა სევასტოპოლის პოლკის რიგითები კაზაკთა დახმარებას ცდილობდნენ, მაგრამ ისინი ოფიცრებმა შეაჩერეს. ამის შემდგომ სასამართლო გარჩევაც მოეწყო, რისი შედეგე-

ბითაც კაზაკები გამართლდნენ, ხოლო სევასტოპოლის პოლკის ოფიცრები პასუხისგებაში მიეცნენ.

გარდა ამისა, თვითონ პოლკოვნიკი ასტაფიევი წერდა თავის პატაკში, რომ იასაული ეფრემოვი კაზაკებთან ერთად დაედევნა მთიელებს, ერთი სიტყვით, კაზაკები ცდილობდნენ, თავიანთი ცხენები წაერთმიათ მთიელებისთვის.

პოლკოვნიკ ასტაფიევის პატაკში ქვეითთა წინააღმდეგ არის ერთი ბრალდება, რომ მათ აღნიშნული აულების მოსახლეობას წაართვეს პირუტყვი, რისი გაკეთებაც აკრძალული ჰქონდათ, ასტაფიევი წერს: *„რაც შეეხება ცხოველების წართმევას, მე ამის გაკეთება არ მიბრძანებია“*. მსგავსი ახსნა-განმარტებანი იყო კაპიტან ნიპოპანოვისა და სხვა ოფიცერთა პატაკებშიც.

ციციანოვი რუსების მიერ აღებულ განჯის ციხესიმაგრეში იმყოფებოდა. როგორც თავადმა გამოარკვია, დონელები თავიანთი ცხენების დაკარგვაში დამნაშავე არ იყვნენ, მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც მაშინ სამხედრო წესდებით იყო გათვალისწინებული ანალოგიური შემთხვევებისთვის. ამ დასკვნამდე მივიდა სასამართლო გარჩევაც, ამიტომ დასაჯეს არა კაზაკები, არამედ კაპიტანი ნიპოპალოვი და პოდპოლკოვნიკი ასტაფიევი. ყველა ეს სამუშაო შესრულებულ იქნა 1804 წლის იანვრამდე.

პარალელურად მიმდინარეობდა ჭარ-ბელაქნელებთან ურთიერთობის გარკვევა. დ. ზ. ორბელიანმა ისარგებლა მასთან დელეგაციების მისვლით და განუცხადა მათ, რომ, თუ ისინი რუსულ მმართველობას არ დაემორჩილებოდნენ, მოუწევდათ თავიანთ მიწების სამუდამოდ დატოვება და ამ სიტყვებით უკან გააბრუნა, დაიტოვა რა თავისთან 4 „ამანათი“ (მძევალი); 21 იანვარს ზურგში, რუსეთის მხარეს ავადმყოფები და დაჭრილები გაგზავნა, რაზმის მთელი ძალები კი ფეიქაროს გზაზე გადაიყვანა. აქ 30 იანვარს ორბელიანთან კვლავ მოვიდნენ ჭარის ოლქის სოფლების რწმუნებულები შეწყალების სათხოვნელად, ხოლო 31-ში მასთან გამოცხადდა სამი ლეკი მეთაური სოფელ ბელაქნიდან.

შემდეგ თებერვლამდე მიმდინარეობდა დავა პირობე-

ბის თაობაზე, მაგრამ ციციანოვი და ორბელიანი თავისაზე იდგნენ. თავადმა ორბელიანმა დაიტოვა რა თავისთან თითო დეპუტატი ყოველი სოფლიდან, სხვა დანარჩენი თავის საცხოვრებელ ადგილებზე დააბრუნა იმ მოთხოვნით, რომ ჭარელებს კვლავ დაეფიცათ ქვეშევრდომობაზე და სასწრაფოდ შეეგროვებინათ და გადაეხადათ 1803 წლის ხარკი აბრეშუმით ან ფულით.

11 თებერვალს რუსულ ბანაკში 23 უხუცესი გამოცხადდა, რომელთაც კვლავ გაუმეორეს მოთხოვნა, რომ ოთხ დღეში ჩაებარებინათ წინა წლის ხარკი და ეფრემოვის პოლკის 211 ცხენიც დაებრუნებინათ. უხუცესებმა ყველაფრის შესრულება აღუთქვეს, ოღონდ ამისათვის 10 დღის ვადა მოითხოვეს. შეთანხმდნენ რა ამაზე, დ.ზ. ორბელიანმა ამავე დროს მიიღო ბრძანება პ. ციციანოვისაგან, რომ, მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჭარისკენ დაძრულიყვნენ და ქიზიყელი ქართველების (სულ 1000 ნაჯახიანი ადამიანის) დახმარებით გაეჩეხათ ტყე ალექსანდროვის რედუტიდან კატეხამდე, გზის ორივე მხარეს 600 მეტრის მანძილზე. გადაიხადეს რა ხარკის გარკვეული ნაწილი ფულის სახით, ჭარელმა უხუცესებმა სიტყვა მისცეს, რომ დანარჩენსაც უმოკლეს დროში მიაწვდიდნენ და ამით შეაჩერეს გარკვეული დროით რუსული ჯარების შესვლა მათ სოფლებში. ჭარ-ბელაქნელებმა ქედი მოიხარეს რუსული ადმინისტრაციის წინაშე, რაკი შეხედეს, რომ წინააღმდეგობას მათთვის განადგურების მეტი არაფერი მოუტანია; ალისკანდმაც (ალესხანტი) — ჭარელთა მეორე ხელმძღვანელი ზაქათალის ხეობაში მიმდინარე ბრძოლისა, რომელიც გენერალ გულიაკოვის სიკვდილით დასრულდა — ასევე მიმართა თავად პ. ციციანოვს შეწყალების თხოვნით. მთავარსარდალმა მას ავარიაში წასვლა შესთავაზა უხუცესთან — ავარიის ახმედ-ხანთან, რათა მას მიეღო ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. ეს იყო უკვე 1804 წლის 2 აპრილს, ხოლო 3 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ დეპუტატები ჭარ-ბელაქნელთა კავშირის ყველა ლეკთა საზოგადოებისაგან და ელისეის სულთნის სამფლობელოდან. მათთან, ბოლოსდაბოლოს, 17 აპრილს მოხდა შეთანხმება,

რომლითაც ისინი ვალდებულნი ხდებოდნენ, ყოველწლიურად გადაეხადათ ადრე დაწესებული ხარკი — 220 ფუთი აბრეშუმი; რომელიც მათი მრეწველობის ძირითად ნაწარმს წარმოადგენდა. ამასთან, ლეკებმა პირობა დადეს, რომ აღარ იტყოდნენ უარს რუსეთის ქვეშევრდომობაზე.

1801-1804 წლებში რუსთა შეტევები ლეკებმა მოიგერიეს. ლეკები ორი გზით ცდილობდნენ საქართველოში შეჭრას: პირველი იყო ალაზანზე გადასვლით, ახალციხის მხრიდან, რასაც დროებითი სიმშვიდე მოჰყვა საქართველო-ლეკეთის საზღვარზე. ამ ოპერაციებში ყველა საჯარისო შენაერთთან ერთად მონაწილეობდა დონელ კაზაკთა სამი პოლკი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რუსულ მხედრიონს საქართველოში. ესენი იყო: შჩედროვის, ტარასოვისა და ეფრემოვის მხედრიონელები. ნარვის დრაგუნთა პოლკი აქ მოგვიანებით ჩამოვიდა, ამიტომ მთელი სირთულე სასაზღვრო სამსახურისა მათ დააწვა კისერზე. ისინი დისლოცირებულნი იყვნენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებებზე, იცავდნენ რა რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც ჯერჯერობით დაუცველი იყო ლეკების ხელყოფისაგან საზღვრის საკმაოდ ვიწრო მონაკვეთებზე. ეფრემოვის პოლკი ტარასოვისა და შჩედროვის პოლკების მცირე ნაწილებთან ერთად ჭარ-ბელაქნელ ლეკთა საზოგადოებისა და ელისეის სულთნის საზღვართან იყო, რომელიც ასევე 1803 წლის ბოლოს თავს ესხმოდა საქართველოს; სანამ ეს კაზაკები და ქვეითები არტილერისტებთან ერთად ამ უბანზე მათ შემოტევას უმკლავდებოდნენ, ისინი იმედიანად იცავდნენ ამ მიმართულებას; შჩედროვის პოლკი ქართლში იმყოფებოდა და საზღვარს ახალციხის მხრიდან იცავდა, რაც ასევე ვიწრო იყო და დონელები ახერხებდნენ მის გაკონტროლებას. ტარასოვის პოლკი კი დისლოცირებული იყო ძირითადი ძალებით თბილისში, აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქის დაცვის მიზნით.

რუსული ჯარები საკმარისი იყო მხოლოდ 1804-1813 წლებამდე, რუსეთ-სპარსეთის ომამდე. შემდეგ კი მოხდა მთიელთა საქართველოზე თავდასხმების არეალის

© „ღვანლისმცოდნე ათინათლი“

გაფართოება და დონიდან აუცილებელი გახდა კაზაკთა ახალი ნაწილების გამოძახება, რამეთუ იმ დროს მთიელები იქცნენ მეორეხარისხოვან მოწინააღმდეგეებად. კავკასიაში არსებული ძირითადი ძალები და მთელი რუსული ჯარები, ასევე დონელი კაზაკები ამჯერად მიმართული იყვნენ სპარსეთისაკენ. თუმცა ამ პერიოდში არც მთიელები უშვებდნენ შემთხვევას ხელიდან, რომ თავი შეეხსენებინათ საქართველოსთვის, ამიტომ ძალების ნაწილი ყოველთვის იყო მომზადებული მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Окунь С.Б. История СССР. ч. 1. (конец XVIII - начало XIX века).
2. Блиев М.М. О некоторых проблемах присоединения народов Кавказа к России. // История СССС, 1991.
3. Кавказско-персидская война в царствование императора Александра 1. (1801-1852 гг.) // Обзор войн России от Петра Великого до наших дней. Пособие для изучения военной истории в военных училищах. Составлено генерал-майорами: Дубровиным, Куропаткиным и Гудим-Левковичем, полковниками Сухотиным и Пузыревским. Под общею редакциею генерал-лейтенанта Леера. ч. 2, СПБ, 1886.
4. Захаревич А.В. Донские казаки в первые годы Кавказской войны (1801-1802 гг.) Исторические этюды. Вып. 2. Ростов-н/Д, 1997.
5. Дубровин Н.Ф. История войны и владычества русских на Кавказе. т. 3. СПБ, 1886.
6. ГАРО, ф 344, оп. 1, документы.
7. Потто В.А. Кавказская война. т. 1. Ставрополь, 1994 .
8. РГВИА ф. ВУА, д. 6166, ч. 1, л. 31; Дубровин Н.Ф. Указ. соч. т. 4.
9. Зубов П.П. Подвиги русских воинов в странах Кавказских с 1800 по 1834 год. Т. 1, ч. 1-я, СПБ, 1835.

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში

დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური ანარქია შეუნელებლად გრძელდებოდა. სათავადოების სისტემა აქ შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემულიყო. სამეფო-სახანო ქვეყნები, ციხესიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცნათ: „არამედ პირველითვე მიეღოთ ესოდენთა ბოროტებათა შინა მთავართა კერძონი, თავისნი აზნაურნი, დაბანი და ციხენი: ერისთავს — რაჭა-გლოლა ჯაფარიძითურთ, იაშვილს — კვარა, წულუკიძეს — ხოტევი, აბაშიძეს — სვერი, ლიპარტიანს — ლეჩხუმი და საჭილაო სამიქელაოთურთ, გურიელს — საჯავახო და ჩიჯავაძენი მარადის იყუნენ წინაშე მისსა“. ქვეყნის ნამდვილი ბატონპატრონნი მთავართა და თავადთა „სახლები“ იყვნენ. უპირველესნი იყვნენ: ლიპარტიან-დადიანი (გიორგი, ბეჟან, ოტია), გურიელი (მამია, გიორგი), აბაშიძე (გიორგი, ზურაბ, ლევან) რაჭის ერისთავი (პაპუნა, შოშიტა, გრიგოლ, როსტომ), ამათ მისდევდნენ მიქელაძე, წერეთელი, წულუკიძე, ჩხეიძე, ჩიჯავაძე და სხვ.).

ამ „სახლებს“ შორის ბოლომოუღებელი მიხდომ-მოხდომა იყო. რა თქმა უნდა, არც თითოეული „სახლის“ შიგნით იყო მშვიდობა და „სახლისშვილები“ ხშირად არანაკლების ენერგიით არბევ-აოხრებდნენ ურთიერთს. მოწინააღმდეგენი ყოვლად დაუნდობელნი იყვნენ. აქცევდნენ ციხეებს, სასახლეებს, ძარცვავდნენ ეკლესიის საგანძურებს, ბუგავდნენ ურთიერთის სოფლებს, ატყვევებდნენ მოსახლეობას და ჰყიდდნენ ოსმალეთში. საუკუნოვან ანარქიაში გახვეულ საზოგადოებას გადაგვარების საშიში ნიშნები ახლდა: „გარყვნილნი, ფიცის-მტეხელნი, ტყვის-მსყიდველნი, მხდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი არათუ წარჩი-

ნებულნი, განა მდაბიურნიცა მოქმედნი ამის ყოველთა“.

ამ საყოველთაო დაცემა-გაველურებისას ტყვის სყიდვა უკიდურესობამდის მისულიყო. ტყვეებს ჰყიდდნენ ყველანი: მეფეებიც, მღვდელმთავრებიც, მთავრებიც, თავადებიც, აზნაურებიც და გაყაზახებული გლეხებიც. „იყო ესე ალექსანდრე მეფე (1683-1695 წწ.) მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი და უხვი, არამედ ხელად მქცევი, ცუნდრუკი, უღთო ტყვის მსყიდველი“. „ხოლო გურიელი მამია თუცა იყო მეფედ (1701-1702 წწ.), გარნა წარსაგებლითა თვისითა, რამეთუ ჰყიდდა ტყვეთა გურიელთა და აძლევდა იმერთა“.

გიორგი აბაშიძის მთავრობის დროს (1702-1707 წწ.), იმერეთში „ვერავინ იკადრებდა განყიდვად ტყვისა, თვინიერ მისსა“. „არამედ ოდიშს და გურიას იყიდოდა ტყვენი ფრიად და უმეტეს ოდიშს ლიპარტიანისაგან“.

„გაბრიელ ჭყონდიდელი იყო უღვთო, მეძავ-მემრუშე, სოდომია, და ტყვის მსყიდველი და სავსე ბოროტითა“. ეს მღვდელმთავარი მარტო არ იყო. სვიმონ ქუთათელი „გარნა თუ იყო მღვდელმთავარი, არამედ ტყვის მსყიდველი, მეძავ-მემრუშე, კაცის მკულელი, ცრუ-ფიც, უწირავ-ულოცავი“.

ხარაგეულელი აზნაურები კიკნაძეები ათეული წლების მანძილზე XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში ტყვის მსყიდველთა ბრბოს მეთაურობდნენ და არა მარტო იმერეთის, ქართლის სოფლებსაც იკლებდნენ.

გაყაზახებული გლეხები ბურჯანაძეები დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯელად მონაწილეობდნენ ტყვის სყიდვაში.

ტყვე დასავლეთ საქართველოში თანდათან უმთავრესი „საქონელი“ გახდა. ტყვეებში ამოგებული ფულით იძენდნენ იარაღს, სამკაულს, ტანისამოსს, ისტუმრებდნენ სამეფო თუ სამთავრო ხარჯებს, იხდიდნენ სახვანთქრო ხარკს, გაიღებდნენ ქრთამს.

ამ პირობებში საბატონყმო ურთიერთობის რაიმე საერთო წესები, რაღა თქმა უნდა, არ იყო. „ხელმწიფე-ბატონის“ უფლებას საზღვარი არ ჰქონდა. ბატონყმობის წესისა და რიგის მეთვალყურე გამკითხავი აღარავინ იყო.

ასეთ წესს მხოლოდ მებატონის სამეურნეო საზრისიანობა განსაზღვრავდა და მებატონის მძლავრობას აქ საზღვარს მხოლოდ გლეხთა ბრძოლა უდებდა. გლეხები თავს არ უდებდნენ მებატონეთა მძლავრობას და ყველა საშუალებით ბატონყმობის ძველ წესებს იცავდნენ, ხოლო სადაც ეს არ ხერხდებოდა, იყრებოდნენ, იკარგებოდნენ, სხვები კიდევ იარაღით ხელში „ყაზახობდნენ“. მებატონეთა მძლავრობის და გლეხთა განუკითხაობის შედეგი საშინელი იყო: მთელი ქვეყანა სიღარიბეში იხრჩობოდა. გლეხები „განგებ ზარმაცობენ. მართლაც ძალიან ბეჯითად რომ იმუშაოს იქ კაცმა, მაინც იმისი ხარბი ბატონი ძალდატანებით წაართმევს იმის ოფლით მონაგარს. ძალიან რომ ეშრომნა, მაინც ისეთივე ღარიბი იქნებოდა, როგორც ეხლაა და ზარმაცობს იმიტომ, რომ თავის თავსაც მოაკლოს და თავის სისხლისმწოველ ბატონსაც არ შემატოს რა“.

ყველა ამ აურაცხელ ომში, ურთიერთის ხოცვა-ჟლეტაში, მეფე-მთავართა დაუსრულებელ დასმა-გადაგდებაში (1690 წლიდან — 1720 წლამდის, ესე იგი ოცდაათი წლის მანძილზე დადიანმა, გურიელმა, აბაშიძემ და რაჭის ერისთავმა თერთმეტჯერ აიყვანეს მეფე იმერეთის ტახტზე. ამათგან სამი მოკლეს, დანარჩენი განდევნეს) ოსმალეთის ხელი გარკვევით ჩანდა. ოსმალეთის აგენტი, ახალციხის ფაშა სულ იმას ცდილობდა, რომ დასავლეთ საქართველოში მტკიცე ხელისუფლება არ შექმნილიყო. ოსმალეთი დიდის ხალისით ეხმარებოდა ურთიერთშორის ფეოდალურ ბრძოლაში დამარცხებულ ამა თუ იმ მთავარს, თავადს, მეფეს. ოსმალთა მოხელეებისათვისაც ასეთი რამ ფრიად სასურველი იყო. დამარცხებულ-გაგდებული იმერელი ფეოდალი „სამართალს“ ფაშისაგან მხოლოდ სათანადო „ქრთამით“ იშოვიდა. და ფაშაც ხელს უწყობდა ასეთები არ გადალეულიყვნენ.

მაგრამ თუ დასავლეთ საქართველო დაცემულ-დასუსტებული იყო, არც აგრესორი ჩანდა ძველს ჯანზე. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალებმა დასავლეთ საქართველოს დაპყრობა განიზრახეს. აჯანყებული თავადების საშუალებით მათ ხელთ იგდეს იმერეთის ციხეები

© „ᲥᲝᲜᲐᲡᲬᲠᲘᲚᲘ“

(შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდათის) და იქ ოსმალო მეციხოვნეები შეაყენეს. ქუთაისიც ხომ 1667 წლიდან მათ ხელშივე იყო. მართლაც და, პირობები დასავლეთ საქართველოს დაპყრობისათვის მეტად ხელსაყრელი იყო. მეფესა და თავადებს ურთიერთის წინააღმდეგ თვითონ შემოჰყავდათ ოსმალები (ქუთაისის ციხეში, როგორც ვიცით, თავადმა ჩხეიძემ შეიყვანა იენიჩარები XVII საუკუნის 70-იან წლებში. 1720 წელს ალექსანდრე მეფემ ოსმალთა დახმარებით წაართვა ზურაბ აბაშიძეს ცუცხვათის ციხე. ამის შემდეგ იქ ოსმალთა მეციხოვნეები იდგნენ. 1732 წელს ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა მეციხოვნეები შორაპნის ციხეში შეიყვანა: აბაშიძეს ეშინოდა, რომ ალექსანდრე მეფე მას ამ ციხეს წაართმევდა. ამავე ხანებში ოსმალებს ხელში ჩაუვარდათ ბაღდადის ციხეც). მიუხედავად ამისა, ოსმალები ქვეყნის უშუალო დაპყრობის საქმეში საკმაო ენერგიას ვერ იჩენდნენ და არც იმერეთის მეფესა და თავადებს წარმოედგინათ ოსმალთა მიერ ქვეყნის დაპყრობა უშუალო საფრთხედ. 1738 წელს ალექსანდრე მეფე დარწმუნებული იყო, რომ „იმერეთში შემოსვლა თათართა ჭკუაში არა აქვსთ, თუმცა ნაპირისა ადგილები უჭირავსთ, იმერეთში ვერ შემოვლენ, ამისთვის რომ ყოვლის კუთხით მაგარია და გზები ავი არის“.

უფრო მტკიცე და ენერგიული ჩანდა ოსმალეთის პოლიტიკური ხაზი შავი ზღვის საქართველოს სანაპიროების მიმართ. 1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს და აქ ციხე ააგეს, ძველი რუხის ციხე დაანგრიეს და ანაკრიის ციხე ააგეს. ფოთში ფაშა დასვეს და ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს. ოსმალთა ხელში იყო ამავე დროს ბათუმი, ციხისძირი, ქობულეთი, სოხუმი.

1751 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. ამ დროს იმერეთში უძლიერესი თავადები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი — ხსენებული თავადები მთავრობას იჩემებდნენ: აბაშიძე — არგვეთისას, ერისთავი — რაჭისას და ამ ნიადაგზე სასტიკი მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამა ალექსანდრესთან. ახალგაზრდა სოლომონი მამის ნაკვალევს გაჰყვა და ამ თავადების დამორჩილებას ცდილობდა. გამეფე-

ბის მეორე წელსვე სოლომონს მათთან ომი მოუხდა. „რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე დიდი ჯარით იმერელ მეფეზე წამოვიდნენ. სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით. შეიყარნენ, შეიბნენ, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი, ბოლოს რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს გაემარჯვათ. მეფე სოლომონ გაიქცა. ახალციხის ფაშას შეეხვეწა. მეფის მამული ააოხრეს“. ლტოლვილმა მეფემ ხონთქართან იჩივლა. ხონთქარმა სოლომონის თხოვნა შეიწყნარა. მისი ბრძანებით ახალციხის ფაშა ჯარით შემოვიდა იმერეთში, სოლომონი ტახტზე აღადგინა და ერისთავ-აბაშიძეს შეარიგა.

მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების საქმეს დღის წესრიგში სვამდა. უკანასკნელი საქმე ეკლესიას უნდა ეკისრა. ამისთვის კი აუცილებელი იყო ჯერ საეკლესიო საკითხების მოწესრიგება. ეკლესია ლიხთიმერეთში მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. საეკლესიო ყმა-მამულის დიდი ნაწილი საერო ფეოდალებს დაეტაცნათ. მრავალი მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა გაუქმებულ-დაყრუებული იყო, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ოსმალებს ფეხი მოეკიდათ, ეკლესიების განახლება თუ ახლად აგება აკრძალული იყო. მაღალი სამღვდელოების დიდი უმრავლესობა მთავრების ან თავადების სახლიკაცები იყვნენ და ფეოდალების ურთიერთშორის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ. მრავალი მათგანი ტყვის სყიდვით, გლეხთა მიხვეჭით, ვერაგობა-უზნეობის არც ერთს თავზედხელაღებულ თავადს არ ჩამოუვარდებოდა. ომი, ნადირობა, ფეოდალური ლხინი და სხვა განცხრომანი შეადგენდა ამ „სულიერ მამათა“ „მოღვაწეობის“ შინაარსს. საღვთისმეტყველო საკითხებში ისინი უმწეონი იყვნენ და ეს საქმე მათ არც აინტერესებდათ. დაბალი სამღვდელოება იგივე გლეხები იყვნენ, მძიმედ დაბეგრილები, უუფლებონი, არა თუ საღვთისმეტყველო საკითხების ყოვლად უვიცნი, წერაკითხვის უცოდინარნიც კი. ცხადია, ასეთი ეკლესიის მორალური ავტორიტეტი ფრიად დაცემული უნდა ყოფილიყო. და მართლაც ასე იყო.

© „ღვთისმეტყველება“

იმერეთის მეფე სოლომონ I

ამავე დროს სოლომონ მეფე დამხმარე ძალას დასავლეთ საქართველოს გარეთაც ეძებდა. 1758 წელს ლეკთა დიდი ჯარის უეცარი შემოსევისას თეიმურაზ-ერეკლემ დავით ქსნის ერისთავი გაგზავნეს იმერეთს და სოლომონ მეფეს დახმარება სთხოვეს. სოლომონმა სწრაფად მოაშველა ლაშქარი. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც გადმოვიდა. „ნახა მეფენი გორს. დახვდნენ საყვარლად და გაისტუმრეს ისევ მიცემითა და შერიგდნენ პირითა მტკიცით; რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1770 წლამდის არ დარღვეულა. სოლომონი 1759 წელსაც მოეშველა ერეკლეს ლეკებთან ომში (ატოცის ომი). კიდევ უფრო ეფექტური აღმოჩნდა ეს კავშირი 1760 წელს, როცა ერეკლეს მოწვევაზედ სოლომონის ლაშქართან ერთად დადიანის რაზმიც წამოვიდა ქართლ-კახეთის მეფის დასახმარებლად. თავის მხრივ, ერეკლეც მტკიცედ იცავდა პირობას. ერეკლე ოსმალეთთან ომს ერიდებოდა (ასეთი ომი მის ირანთან დამოკიდებულებასაც გაართულებდა), ამიტომ სოლომონ მეფეს ოსმალთა წინააღმდეგ ომში ჯარით აშკარად ვერ ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ერეკლე რაზმების ფარულად მიშველიებით თუ ოსმალეთთან დიპლომატური შუამდგომლობით სოლომონ მეფეს მძიმე ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდა.

1758 წელს ოსმალეთსა (ახალციხის ფაშა) და სოლომონს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ოსმალეთი ხარკისა და ჯარიმის ანგარიშში დიდძალ ფულს ითხოვდა. ამას გარ-

და, აგრესორი ზავის პირობად ტყვის სყიდვის აკრძალვის გაუქმებას აყენებდა. უკანასკნელ მოთხოვნას სოლომონი არ დაეთანხმა. ამ დროს ხუნძახის ბატონი ლეკთა დიდი ჯარით ქართლში დარბევის შემდეგ ახალციხეს ასულიყო. ფაშამ დაიქირავა ეს ლეკები და ოსმალთა დიდ ჯართან ერთად იმერეთს გაუსია. მტერი ერთობ დიდი იყო. პირისპირ შებმა არ ეგებოდა. სოლომონი მოერიდა. ოსმალ-ლეკებმა „ქუთაისის ზევით და ქვევით სულ დაატყვევეს. გააოხრეს იმერეთი, მრავალი იშოვეს... გელათის ეკლესია მაშინ წახდა“. სოლომონმა აქ შემდეგი გამოსავალი იპოვა: ქვეყანა რბევისაგან რომ ეხსნა, მეფე დაეთანხმა ოსმალთა პირობებს. ტყვე-ალაფიანი მტერი ხალისით უკუიქცა. სოლომონი თვით ავიდა ახალციხეს, ფაშას მოურიგდა. დადებული პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად ფაშამ მეფეს სამი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გამოატანა. მეფემ მოახერხა და საჩქაროდ თავის ლაშქარს მოუწოდა. იმერთა ჯარი ღამით თავს დაესხა ოსმალთა რაზმს და სულ ერთიანად გაწყვიტა. ოსმალებს საქმე თავიდან უნდა დაეწყოთ. სოლომონის მიერ მოტყუებული ახალციხის ფაშა ოსმალებმა სიკვდილით დასაჯეს. სოლომონ მეფის სახელი და გავლენა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა.

ამრიგად, 1759-სა და მის მომდევნო წლებში მეფის ამ თაოსნობის შედეგად დასავლეთ საქართველოს ეკლესია შესამჩნევად აღდგენილ იქნა. ეს სოლომონის დიდი გამარჯვება იყო: განახლებული ეკლესია დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებაში მეფის გავლენის გამტარებელი იყო. თუმცა მეფისათვის სასურველ მდგომარეობამდის აქ ჯერ კიდევ შორს იყო. უმთავრესი საეპისკოპოსო კათედრები და თვით საკათალიკოსო ტახტი მეფის მოქიშპე მთავრობის (დადიანის, გურიელის) ან თავადების (ერისთავის) სახლისკაცების ხელთ იყო, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბრძოლას იმერეთის მეფე ჯერჯერობით ვერ წამოიწყებდა.

ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება ტყვის სყიდვის აკრძალვა იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. ბესარიონ კათალიკოსის „დამტკიცებით“

და მთელი დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების „შუაობით“ სოლომონ მეფეს „ერთპირობით“ „ხელწერილი“ მისცეს კაცია დადიანმა, მამია გურიელმა, როსტომ რაჭის ერისთავმა და მთელი ლიხთიქითის თავადებმა და აზნაურებმა. ფეოდალები აღნიშნავდნენ, თუ რა საშინელი და საზარელი სიტყვა შემოეთვალა ახალციხის ფაშას, რომ „ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო“ და ფიცი დასდვეს, რომ „სანამდის სული გვედგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მიუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთო“. ამ „ხელწერილის“ დამტკიცებით ნაწილში მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესია კათალიკოსის მეთაურობით შეაჩვენებდა ყველას, ვინც ამ საქმეში „მეფეს უსუსტოს ან ამ ხელწერილს გარდახდეს“. კიდევ უფრო საყურადღებო იყო, რომ ეკლესია ამ საქმეში მეფის ერთგულ კაცს განსაკუთრებით მფარველობდა და საშინელ შეჩვენებას თავს დაატეხდა ყველა იმას, ვინც ამ საქმეში გარჯილ კაცს ან მის მემკვიდრეებს უსამართლოდ რასმე აწყენდა. აქ, უეჭველია, მეფე და მისი გავლენით მთელი კრება ითვალისწინებდ-



ნენ იმ შემთხვევასაც, როცა ესა თუ ის დიდი ფეოდალი არა თუ თვითონ არ მიიღებდა მონაწილეობას საერთო საქმისათვის ბრძოლაში, არამედ მის ხელქვეით ხალხსაც კი ასეთ საქმეში მონაწილეობის ნებას არ მისცემდა.

ასე რომ, 1759 წლის კრებაზედ სოლომონ მეფე მთელი ლიხთიმერეთის საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა და მთავრები (დადიან-გურიელი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელნი“ იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო (თუ როგორ ღრმად წავიდოდა და განმტკიცდებოდა ქვეყნის ფეოდალური გაერთიანება, ეს დამოკიდებული იყო მომავალი ვითარებისაგან. ამ საქმეში სოლომონის პირადი ზრახვები კი კარგად ჩანდა სამღვდელოების მიერ „ხელწერილის“ დამტკიცების იმ ნაწილში, სადაც კათალიკოს-ეპისკოპოსები ითვალისწინებდნენ და განსაკუთრებით მფარველობდნენ ისეთ პირებს, რომლებიც საკუთარი ბატონის ნებართვის გარეშე და, შეიძლება მისი სურვილების წინააღმდეგაც, საქვეყნო საქმეში მეფეს მიუდგებოდნენ და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მასთან ერთად იბრძოლებდნენ. ასე რომ, კრება ხელმწიფე-მეფეს უფლებას აძლევდა, მთავრობის თუ თავადების ყმები, მათი ბატონების სურვილის წინააღმდეგაც კი, საქვეყნო საქმეზე მოეწვია).

სოლომონმა რუსეთის მეფეს მიმართა. „ქრისტიანთა მფარველს“ სოლომონი მოუთხრობდა იმ ომების შესახებ, მას რომ ჰქონდა ამ დროს ოსმალებთან, აუწყებდა თავის მძიმე მდგომარეობას და თავშესაფარს სთხოვდა იმ შემთხვევისათვის, უკეთუ დამარცხებულ მებრძოლს უკიდურესი გარემოება სამშობლოს დატოვებას აიძულებდა. მეორე მიმართვით იმავე წელს ოსმალთა მიერ დევნილი სოლომონი რუსეთის მეფეს ხვანთქრის წინააღმდეგ შუამდგომლობას სთხოვდა, რათა ოსმალეთი იმერეთის მორჩილების ძველ პირობებს დასჯერებოდა და ტყვეებით ხარკისა და ტყვის სყიდვის თავისუფლების მოთხოვნისაგან ხელი აეღო.

© „ღვინისმცოდნე ათინათი“

აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარში

საქართველოს წინაშე ერთი მეტად მძიმე საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ამიერკავკასიის ბარისა და, უპირველეს ყოვლისა, „საქრისტიანო“ საქართველოს რბევისაგან ხელის აღება ლეკებს არ სურდათ და ადვილად არ შეეძლოთ: უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე დაღესტნის ხალხთა მეურნეობაში ნადავლს (უმთავრესად ეს იყო ტყვე), მეტად დიდი ადგილი ეჭირა. ვერც ირანმა და ვერც ოსმალეთმა ლეკებს ამ „საქმისაგან „ხელი ვერ ააღებინეს, თუმცა, უნდა ითქვას, ამ სახელმწიფოთა მმართველი საზოგადოების ინტერესები არც კი მოითხოვდა ლეკთა ამ „მეურნეობის“ საბოლოოდ აკრძალვას: ისინი თვითონ იყვნენ „ლეკური საქონლის“ (ტყვის) პირველი მომხმარებლები. მეორე მხრივ, საქართველოს გასანადგურებლად მიმართულ ბრძოლაში აგრესორები ლეკებს თავიანთ მოკავშირეებად უყურებდნენ. საქართველოსათვის კი ლეკთა საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საკითხის გადაჭრაზე დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს მომავალი განვითარება.

XVI-XVIII საუკუნეთა განმავლობაში ლეკთა საკითხი საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მაგრამ არც კახეთისა და ქართლის თავადური სინამდვილე, არც ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობა და არც ირანისა და ოსმალეთის ბატონობა ამ საკითხის გადაჭრის საშუალებას არ იძლეოდა.

1749-1750 წლების ქართლ-კახეთის წარმატებებმა ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემები“ შეაშფოთა. ქართველთა გაძლიერებაში ისინი თავიანთ უშუალო საფრთხეს ხედავ-

დნენ და მართალიც იყვნენ: ლეკთა საკითხის გადაჭრისათვის ქართველებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობა და მათი ისევ კახეთისათვის შემოერთება. „უბატონო თემების“ მოციქულებმა ადვილად დაარწმუნეს თავიანთი მთიელი თანამოძმეები საქართველოს წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის საჭიროებაში. ჭარ-ბელაქნის დაპყრობით საქართველო დაღესტნელებს ამიერკავკასიაში მთავარ საოპერაციო ბაზას მოუსპობდა და „თუ ჩვენ არ გადავალთო, ქართველთა ჯარი აქ დაღესტანში გადმოვაო“, — შიშობდნენ ლეკები.

ლეკთა დიდი ჯარი (შვიდი ათასი მხოლოდ მხედარი იყო, ქვეითი კიდევ სხვა იყო) 1750 წელს ჭარში ჩამოვიდა. მათ აქ ჭარელები შეუერთდნენ და საქართველოზე გაემართნენ. ჯარის ერთი ნაწილი კახეთს დაეცა: მთავარი ძალები კი ყაზახს შეესივნენ და სასტიკად დაარბიეს. ერეკლემ კახელებით მთელ რიგ ბრძოლებში უკუაგდო ისინი. ამის შემდეგ ის ფიცხლივ ქართლს მიეშველა. ქართველთა ჯარი აედევნა ნადავლით დატვირთულ ლეკთა მთავარ ძალას და დანღინს (ალაზან-იორის შესართავთან) აიძულა ის ბრძოლა მიეღო. ლეკები დამარცხდნენ. მათ დიდძალი დაჭრილ-დახოცილი თუ ტყვე და ათასობით ცხენი დატოვეს და ილტვოდნენ.

ქართველი ჯარი ჭარს გავიდა. ქვეყანა სულ გახიზნულიყო. აქ გამოირკვა, რომ აჯი-ჩალაბი ჯანს შექი-შირვანი და მთელი პირაქეთი ლეკობა ფეხზედ დაეყენებინა. ქართველებმა ჭარს თავი დაანებეს და აჯი-ჩალაბს მიმართეს. მტრის სამხედრო ხერხმა (ჯარის ნაწილის ჩასაფრება), ფეოდალური ჯარის უდისციპლინობამ და განჯის ხანის ბრძოლის ველიდან მოღალატურად გაქცევამ ომის ბედი გადაწყვიტა. მძიმედ დაზარალებული ქართველები უკან დაბრუნდნენ (თებერვალი, 1751 წ.).

ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება. ამასთანავე, გამოირკვა, რომ ლეკთა საკითხის გადაჭრა გაცილებით უფრო მძიმე და რთულია, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ.

გამარჯვებამ ლეკები გაათამამა. მარბიელთა დასტები

© „ᲥᲝᲜᲐᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲘ“

მოედვნენ ქვეყანას. ასე რომ, „ქართლი მტრით სავსე იყო, ალაგი არ იყო, რომ ლეკი არ იდგა“.

ლეკთა ამ გამარჯვებამ მხოლოდ ლეკები როდი გაათამამა. „წამოთამამდნენ ყიზილბაშნი და მოინდომეს მტერობა ქართლისა“. მაგრამ რადგან განჯა და ერევანი ქართველთ ბატონის „მოდგომილი იყვნეს, ჯერ იმ ქვეყნების დაჭერა მოინდომეს“.

ამავე დროს აზერბაიჯანის მფლობელმა აზატ-ხანმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დამორჩილება განიზრახა. მან ნახჭევნის სახანო დაიპყრო და თეიმურაზ მეფის ყმა ბაამან-ხანი ქართველთა რაზმით ნახჭევნიდან გამოაძევა. ამის შემდეგ მან ლაშქარი მისცა ამას წინათ ქართველების მიერ დამარცხებულ და ერევნიდან განდევნილ მაჰმად-ხანს და კვლავ ერევნის სახანოს დასაპყრობად გამოისტუმრა.

...რუსეთი სულ უფრო და უფრო მეტი აქტივობით გამოდიოდა და ჩამორჩენილ მეტოქეებთან ბრძოლაში ახალი-ახალ პოზიციებს მტკიცედ იპყრობდა. ამიერკავკასიის ხალხებში ეს მესამე ძალა, დიდი ხანია, მოკავშირეებს დაჟინებით ეძებდა. ახლაც პეტერბურგის დიპლომატები ირან-ოსმალთა დამპყრობლებისაგან განთავისუფლებასა და მფარველობას აღუთქვამდნენ კავკასიის ყველა ხალხს (და უპირველეს ყოვლისა — ქრისტიანებს). რუსეთის გამოსვლა კავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე ადგილობრივ ძალთა გადაჯგუფებას იწვევდა. ირანელი „ფოცხვერისა“ და ურუმელი „ბაბრის“ თანაბრად მოძულე ქართველები, ბუნებრივია, ამ ახალ ძალაში თავიანთ მოკავშირეს ხედავდნენ.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იწყებოდა. ჩრდილოელი მოკავშირე ამიერკავკასიიდან ჯერ კიდევ ერთობ შორს იყო...

...მეფეები მოკავშირეებს აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ გალაშქრებას შეეპატიჟნენ. შექიშირვანის მფლობელი აჯი-ჩალაბი ხანს საკუთარი ლაშქარი და, აგრეთვე, პირაქეთელი ლეკის ჯარი ფეხზე დაეყენებინა და მტრის დასახვედრად ენერგიულად ემზადებოდა.

მდინარე ალაზანი ადიდებულიყო. „მოკავშირეთა“ ლაშ-

ქრობა შეყოვნდა. ამასობაში აჯი-ჩალაბის აგენტები მაჰმადიან ხანებს შორის ქართველების ღალატს წარმატებით სთესდნენ. ირანის სახელმწიფო საქმეთა მოგვარების გაბედულმა გეგმამ, თეიმურაზ-ერეკლემ რომ გაუზიარეს თავიანთ „მოკავშირეებს“, უკანასკნელთ შორის შეშფოთება და შიში გამოიწვია. ერეკლე მეფეს ირანში გახელმწიფების სურვილი შესწამეს. ერეკლეს აგენტებმა ჩქარა გამოარკვიეს, რომ ხანებს შექის მფლობელთან მიმოწერა გაემართათ და ქართველთა საღალატოდ ემზადებოდნენ. ასეთ პირობებში ლაშქრობაზე ფიქრი აღარ შეიძლებოდა. თეიმურაზ-ერეკლემ მოღალატე ხანების დაპატიმრება და თბილისს დაბრუნება გადაწყვიტეს. ხანები, გარდა ერევნის ხანისა, დააპატიმრეს და ის იყო წავიდნენ, რომ ანაზდეულად აჯი-ჩალაბი ხანი მთელი თავისი ძალით ქართველებს წინ დაუდგა. ომი თორმეტ აპრილს მოხდა. მეტად ცხარე ბრძოლაში ორივე მხრივ მრავალი დაიხოცა. შუა ომში ერეკლემ ერევნის ხანს მისი ჯარით მტერზედ მისვლა უბრძანა. ეს ხანიც მოღალატე აღმოჩნდა. მან უომრად მტერს ზურგი შეაქცია და ილტვოდა. ამან ქართველთა მწყობრები არია. ქართველები მძიმედ დამარცხდნენ. ლტოლვილები მრავლად ძარცვეს და ხოცეს შამშადილუს თურქმანებმა. მეფეები ძლივს გადარჩნენ დატყვევებას და დიდის გაჭირვებით თბილისში დაბრუნდნენ.

გამარჯვებულმა შექი-შირვანის მფლობელმა ტყვე ხანები გაათავისუფლა და ერთგულებაზე შემოიფიცა ისინი. აჯი-ჩალაბმა განჯაში თბილელი ვაჭრები გაძარცვა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ახალ ძალებს იკრებდა და საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა. ახლა საქართველოს წინააღმდეგ აჯი-ჩალაბი ხანმა ყველა მაჰმადიანთა გაერთიანება დაიჩემა. შექის ხანმა მოუწოდა ქართლ-კახეთში მცხოვრებ მაჰმადიანებს და მათ ქრისტიანი მეფეების ურჩობა უბრძანა. ყაზახის, ბორჩალოს, ბაიდარისა და დემურჩი-ასანლუს თურქმანებმა შექის ხანს ერთგულება შეჰფიცეს, თავიანთ ქვეყნებში ამ ახალი მფლობელის მოხელეები მიიღეს და ქართველთა წინააღმდეგ მტრული მოქმედება იწყეს.

საქართველოს გართულებული მდგომარეობით მყისვე

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

ისარგებლა აზატ-ხანმა. ქართველების მოღალატე ერევნის ხანი თვით ეახლა მას. აზატ-ხანმა ერევანში მის ნაცვლად ვინმე ასან ალი-ხანი გამოგზავნა, რომელმაც ერევანი დაიჭირა და სახანოც აზატ-ხანს დაუმორჩილა.

ამავე დროს ლეკები მრავლად მოედვნენ ქართლ-კახეთს. მდგომარეობა მეტად გართულდა. თეიმურაზ-ერეკლემ აჯი-ჩალაბთან შერიგება სცადეს. გამარჯვებულმა ქართლ-კახეთის მეფეებს მძიმე პირობები დაუდო: ქართლ-კახეთის მაჰმადიანური მოსახლეობა შექის ხანის ქვეშევრდომი უნდა დარჩეს; **თეიმურაზ-ერეკლე ამიერკავკასიის მაჰმადიანი ხანების საქმეებში ამიერიდან არ უნდა ჩაერიონ. ეს პირობები იმას ნიშნავდა, რომ საქართველო ამიერკავკასიაში აჯი-ჩალაბის ჰეგემონიას აღიარებდა. ზავი არ მოხდა და შექის მფლობელი ქართლზედ წამოვიდა.**

ამავე დროს მეფეებმა რუსეთში მიავლინეს ელჩები: მიტროპოლიტი ათანასე და თავადი სიმონ მაყაშვილი და ატეხილი მტრების წინააღმდეგ დახმარება ითხოვეს (1752 წ. მაისის 30).

ამასობაში აჯი-ჩალაბი ხანის შვილი აღა-ქიში და განჯის ხანი შავერდი ქართლის საზღვრებში შემოვიდნენ. ქართლის მაჰმადიანური მხარეების უფროსი კაცები მტერს მიუვიდნენ. აღა-ქიში ბაიდარში დადგა და ქართლის სოფლებს მარბიელები გაუსია. შექის მპყრობელს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს, თუ მთლად არ დაიპყრობდა, თავისი ნებისამებრ დაიმორჩილებდა და დიდ ხარკსაც გადაახდევინებდა.

მაგრამ სწრაფად მიღებულმა ენერგიულმა ღონისძიებებმა ქართლ-კახეთის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა შეანელა. გივი ამილახორი და კონსტანტინე მუხრანბატონი წარმატებით ებრძოდნენ შიდა ქართლში ლეკთა ბელადის — ბუზეიდულას დასტებს. თბილისსა და მის გარშემო სოფლებს ლეკთა და ყიზილბაშ მძარცველებისაგან მხნედ იცავდნენ მოქალაქეთა რაზმები. კახთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ჯარი თეიმურაზ მეფეს ახლდა აღა-ქიშის წინააღმდეგ. ერეკლე მეფე ამ დროს ხევს იყო და ამიერკავკასიაში ჯარების დაქირავების საქმეს წარმატე-

ბით ხელმძღვანელობდა. ამავე წლის აგვისტოს დასასრულისათვის მან უკვე ოთხი ათასი მეომარი გადმოიყვანა საქართველოში.

ლეკთა საკითხი კი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

პეტერბურგის კარზედ ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩების ვედრებით მისვლას იქ ინტერესი და კმაყოფილება უნდა გამოეწვია. ელჩმა სიმონ მაყაშვილმა დაწვრილებით მოახსენა კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინს თავისი ქვეყნის გასაჭირი და მეფეების სახელით ითხოვა, რათა ხელმწიფემ „ხელი დასდოს“ (ე.ი. მფარველობის ქვეშ აიყვანოს) თეიმურაზ-ერეკლე. მეფეები ჯარის მიშველებას სთხოვდნენ ხელმწიფეს. მაგრამ, თუ ამჟამად საკუთარ ჯარს ვერ მიაშველებს, ხელმწიფემ თავის ქვეშევრდომ ჩერქეზებსა და ყაზახებს უბრძანოს, რათა ესენი გადაეშველნენ მოაჯეებს, ხოლო „რუსეთის ულუფის მჭამელ“ გადამთიელ ლეკებს ხელმწიფემ აუკრძალოს საქართველოს რბევა. თეიმურაზსა და ერეკლეს ოცი ათასი მეომარი ჰყავთ, მაგრამ სულ ერთთავად ომში არიან. მეფეებს საშუალება არა აქვთ, ჯარი მუდამ მზად ჰყავდეთ, „რომ ხარკის მიცემა არ შეუძლიათ“, ხოლო თუ ხელმწიფე ჯარს მიაშველებს, — ურთავდა მაყაშვილი, — მეფეებს შეუძლიათ მეზობელი სპარსეთის ქალაქებიც დაიჭირონ.

ელჩებისაგან რუსეთის სამეფო კარმა სხვა საჭირო ცნობებიც მიიღო. ერთ-ერთი ელჩთაგანი — ათანასი თბილელი — ვახტანგ მეფის მემკვიდრეთა მომხრე და თეიმურაზ-ერეკლეს ორგული აღმოჩნდა. ის მოსკოვს დარჩა და, მიუხედავად თეიმურაზ-ერეკლეს მოთხოვნისა, უკან არ დაბრუნდა. 1754 წელს საქართველოში ორი წლით „სამუშაოდ“ მოვლინებულ იქნა საიდუმლო აგენტი ოთარ თუმანიშვილი, რომელსაც სხვა საქმეების გვერდით განსაკუთრებით ევალებოდა, გაეგო და საგარეო საქმის კოლეგიისათვის შეეტყობინებინა, თუ როგორ მიიღეს თეიმურაზმა და ერეკლემ რუსეთის კარის პასუხი და საჩუქრები, დარჩებიან მეფეები რუსეთის მოიმედეებად თუ ოსმალეთის მფარველობის მოპოვებას შეეცდებიან.

© „ღუნარეულები“

ალექსანდრე ორბელიანი

დაღისტანიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები

ალექსანდრე ორბელიანი

დაღისტანსა და ახალციხეს შუა შემოსვლა ჯარისა საქართუელოში, ახალციხეს გასავლელად დაღისტნიდგან, რასაკვირველია, ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ შეუძლებელი ადვილი შესაძლებელი შეიქნა — დაღისტნის ჯარების ქურდულად შემოსვლა საქართუელოში და საქართუელოდგან ქურდულად გასულა ახალციხეში. თუმცა **ადრიდგანვე მეფის თეიმურაზის მეორისა და იმის ძის მეფის ირაკლიმდისინ ეტანებოდა ლეკი საქართუელოს, მაგრამ არა ისე თავმოხელებით, როგორც ამ მეფეების დროსა**. მიზეზი ამისი ეს იყო: 1724–სა წელსა ოსმალომ რომ ჯარები შემოიყუანა საქართუელოში საქართუელოს დასაპყრობლად, აი აქედგან დაიწყო ოსმალ-ლეკებისაგან საქართუელოს გაოხრება, რომელმაცა იმავე წელსვე სომხით ქართლი დაიჭირა და კახეთისაკენ გაიმართნენ დასაპყრობლად ლეკების წინმორბედობით, სადაც ჩავიდნენ და ქიზიყიც დაიჭირეს. მაგრამ ამ დროს მეფე თეიმურაზ მეორე კახელებით დაესხა და ძალიან გაიმარჯვა ოსმალებზე. ამით რომ ვერა გახდნენ რა ოსმალები და კარგა ხანიც გამოვიდა, ბოლოს ჭარბელაქანში მოუყარეს თავი დაღისტნელებს, იმათვე დიდი შემწეობა მისცეს საქმის დაწყობითა და ამათის შემწეობით ისევ დაიჭირეს ქიზიყი და კავკასიის ძი-

რი, კახელებიც დაიპყრეს სრულად. ამის გამო მეფე თეიმურაზ ვეღარ დადგა კახეთში და ფშავის სიმაგრეებში დაიხიზნა. ზევითი კახეთი კი თელავის მხრისა დიდი და პატარა სულ სიმაგრეებში შევიდნენ და ყოველი შემოსასვლელი ადგილები გაამაგრეს. მაშინდელი ზევითი კახელების სახელი დაუვიწყარი იქნება მარადის. წამხდარი ქიზიყი და კავკასიის ძირი კახელები კი დამორჩილდნენ. დამორჩილებაზე ვიღა რას იტყვის, სარწმუნოებაც შეიცუალეს გლეხებმა, თავად-აზნაურების გარდა, რომლებიცა ვერაფრით ვერ გადაიბირეს ოსმალების მეტყუელებმა.

ამ დროებში ბატონიშვილი ირაკლი (შემდეგ მეფე) ფშავითგან ალავერდში ჩამოვიდა და აქედგან დაეხმარა ქიზიყ კავკაზიის ძირის კახელებსა, რომლებიცა აღარ დამორჩილდნენ მტერსა და ბოლო დროს კიდეც გაიყუანეს თავის მამულიდგან. თუმცა ისტორია მეფე ირაკლიზედ სხუა რიგათ ამბობს, მაგრამ მე ეს ასე ასეთებისაგან ვიცი, რომ ეს უფრო მჯერა — ფშავითგან ალავერდში გადმოსვლა ირაკლისა. ამისთანა კარგი საქმე აცნობა თავის მამას, მეფე თეიმურაზს, რომელიცა მაშინვე ჩამოვიდა ხიზნით და თელავში დაჯდა კვლავად მეფედ, სადაც შეიკრიბნენ დახიზნულნი ყოვლის მხრიდან და სოფლები ისევ ისე გააშენეს, როგორც იყო, მაგრამ ქ. ტფილისში ოსმალებმა ეს არ დასთმეს, ჭარბელაქნელების და დაღისტნის ჯარები შეიყარეს ალაზნის პირზე ამ განძრახვით, რამდენიმე დასტა წამოვიდნენ, ქიზიყის ბოლო მოარბიეს, ტყუე, საქონელი წაიღეს და კარგის დავლით მივიდნენ თავის დიდ ჯარში, მაგრამ ამ დროს ზედატანებით მეფეს თეიმურაზს მოხსენდა: ალაზნის პირზედ დიდი ლეკის ჯარები იყრება ქიზიყის წასახდენათაო. მაშინ ირაკლი თხუთმეტის წლისა საჩქაროდ ამხედრდა ზევითი კახეთისა ჯარით და ქიზიყში ჩაიჭრა. მტრისაგან შეძრწუნებულებმა რა ქიზიყელთ ესე ნახეს, ამ პატარა ბატონიშილის გაგულისება მძლავრსა მტერზედ, დიდი და პატარა, ვინც კი ხელის გამომავალი იყო, ყუელანი ცხენთა გაუსხდნენ ირაკლის და ალაზნისაკენ გასწიეს. იმ ომში დამსწრეთ, ვისთვისაც უანბიათ იმ ომის ამბავი, მეც იმათგან გამიგონია ასე: ***„პატარა ბატონის ირაკლის ჩასვლა რომ***

გაუგონიათ ქიზიყში, დედაკაცებს კაცებისათვის აღარ დაუცლიათ, იმათ გამოუყუანიათ ცხენები და იარაღიც იმათვე შემოურტყამთ ქმრებისათვის ამ სიტყვით: „წადით, დაიხოცენით მამულისთვის, დღეს თუ ხუალე სულ ერთია სიკვდილიო, იახელით პატარა ბატონს ირაკლის და იმის წინ დაანთხიეთ თქუენი ერთი მუჭა სისხლიო“.

ნეიშინის მინდორი იყო პირველი ომის მოწამე პატარა ირაკლისა, ესეც უთქუამსთ: პირუელად ოსმალ ლეკების ჯარი რომ დაუნახამთ ქართუელებსა, ბევრით ქართუელებზედ მომატებული, შეშინებულან: დედის ერთას ირაკლისა მოგვიკვლენო. ასე ელაპარაკათ პირუელ კაცებს ერთმანეთში. მაგრამ ყმაწვილის ირაკლისთვის და იმის დამშვიდებულის ლამაზის სახისათვის რომ შაგეხედათ, ბედაურს ცხენზედ მკერდგამოჭიმულისთვის, რომელსაცა თუალი მტერზედ ეჭირა და უშიშრად შეჰყურებდა იმათ, მოწყენილობა გულიდგან გადაგუეყარა და მაშინვე გავსწორდით ცხენებზედაო. ბოლოს ჩუენკენ მოიხედა და ესეც რომ გვითხრა: დღეს აქ უნდა დავიხოცნეთ, ამ ნეიშინის მინდორზედ ან გამარჯუებული გამოვიდეთო. ამ სიტყუამ ხომ ერთი კაცი ათი გაგვხადა და ერთიანად დავიძახეთ: „დედა შეირთოს ცოლად, ვინც აქედგან უსიკვდილოთ წავიდეს შინ, თუ არ გავიმარჯვებთ“.

თუ არ დიდ გაჭირებაში, ასე ადვილად არ დაიფიცავდნენ უწინდელი ქართუელები და, როდისაც ამას იტყოდნენ, ან თავი უნდა გაეტანათ, ან არა და უთუოთ გაწყუეტილიყვნენ. ბევრი მაგალითიც მომხდარა, რომ სრულებით გაწყუეტილან, ერთი ქართუელი ჯარისკაცი ცოცხალი აღარ დარჩენილა. ამ სიტყუასთანავე შეუტევიან იმთენის ჯარისთვისა გულთამამად, მაგრამ ისინიც მაგრა დახუედრიან, სადაც ხმალ და ხმალი კაფა მომხდარა და ქართუელებს გასჭირებიათ იმთენის ჯარის პირდაპირობა. ირაკლის რომ ეს უნახავს, თვითონ თავის დასით დასძგერებია იმათ შუაგულში და ტორტმანით წაუყვანიათ უკან. მეორეთ უფრო შიგ შეჭრილა იმათ შუაგულის ჯარში და აქ ასე დაუმარცხებიათ გათამამებული და დარწმუნებული მტრის ჯარი: უთუოთ იმ ცოტას ქართუელებსა ასე გავწყვეტთ, მოამბეც ვეღარ წავიდეს შინაო. ნაცვ-

ლად ამისა თვით ისინი ასე დამარცხებულან, რომ ვინ წინა და ვინ უკან. ომიდგან გამობრუნებული ქართუელები მოსულან და დიდის სიხარულით მოულოცნიათ გამარჯუება ირაკლისათვის.

ეს პირველი ომი ირაკლისა ასეთი განმაძლიერებელი იყო ქართუელებისა, რომ ვეღარსად ვეღარ შეიკავებდა მტერი თავსა, თუ ირაკლი იქ იყო, მაშინვე დაამარცხებდენ. არამც თუ ირაკლი იქ იყო ხოლმე, მტრის წინამძღომელი რომ გამოიხედავდა, ირაკლის ბაირახს იცნობდა, იმათ დასამარცხებლად იმის ბაირახიც საკმაო იყო.

ამ ირაკლის გამარჯუებასა ნადირშაც ზედ მოესწრა და ოსმალები საქართუელოდან გაიყუანა. თუმცა ოსმალებმა საქართუელო დაცალეს ნადირშამაც მეფე თეიმურაზს და იმის შვილს, ირაკლის საქართუელო მოსცა და თან დიდი შემწეობა თავის ჯარებითა, მაგრამ ამასთან ასეთი ხარკი დასდო საქართუელოს, რომ დიახ დასამძიმებელი, როგორც ოსმალებისა. ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო. მაგრამ ამ ხარკს ვიღა დასდევდა, რაც უნდა დიდი ხარკი დასდებოდათ ქართუელებსა, ფიქრი არ იყო, ასე რიგათ თავგამოდებით ეწეოდა საქართუელოს ნადირშა, მაგრამ შინაურმა მტერმა გააჭირა, დიდი უბედურება დამართა საქართუელოს.

მარტო ნეიშინის მინდორზე გამარჯუება რა სარგებლობას მოსცემდა, ანუ როგორ გამოიხსნიდა საქართუელოს, მაგრამ მაინც იყო რამე შემწეობა საქართუელოსი. პატარა ირაკლიმ ესენი ცხადათ დაინახა. მაშინვე, ხანი რომ აღარ გამოსულიყო, კარგი კაცები გაუგზავნა ჭარბელაქნელებსა, ქართუელების და იმათი გაერთება შეუთვალა, მაგრამ ნაცვლად ამისა გაგზავნილს კაცებსა უკან ჯარი მოაყოლეს ლეკებისა და ირაკლიზედ მოუშვეს. ირაკლიმ ესენიც დაამარცხა, მესამე და სხუებიც უფრო ძალიან, მაგრამ მაინც კიდევ არ გაუერთდნენ ქართუელებსა ჭარბელაქნელები. ჭარბელაქნელებთან რომ ვერა გახდა რა ირაკლი, მასუკან მთების სახლსა, დიდოელებს და ანწუხელთ გაუგზავნა კაცნი ერთობისა, რომელთაცა დიდის სიამოვნით მიიღეს, მაშინვე პირუელი კაცები გამოუგზავნეს და ერთობა მოახდინეს. შედგომ აღარც უღალატებიათ საქართუელოსთვის იმათ მეფის გიორგის მეფობამდი-

© „ეროსაბაძისეული“

სინ. დიდოელებში და ანწუხელებში დღესაც თურმე იპოება მეფის ირაკლის წიგნები წყალობისა. რამდენჯერ შეყრილან დაღისტნის ჯარები, მოუნდომიათ, რომ დიდოელებზედ და ანწუხელებზედ გადმოვიდნენ და კახეთი სრულიად წალეკონ, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუშვიათ. მართლა იტყვიან: ბარში დაკარგულსა ჭკუასა მთაში იპოვიო. ეს როგორღაც მართალსა ჰგავს ჭარბელაქნელებზე. **მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ყოვლის ღონით დაუცხრომელად ცდილობდა, რომ ჭარბელაქნელები როგორმე გაეერთა ან როგორმე შეერიგებინა, მაგრამ არ ეშველა რა.** მაინც კიდევ უკანასკნელად თავის მოხუცებულობაში, აღამაჰმადხანის მოსვლის ოთხის წლის წინათ პირუელის ოჯახებიდგან მოხუცებული კაცები, შუახნისა და ყმაწვილები თუთხმეტ-თუთხმეტი წლისა ან ცოტა მეტ-ნაკლებნი მოიპატიჟა ჭარბელაქნიდან სიღნაღში და კარგად დაუხვდა. სადილ უკან თვითეულად ყველას ხალათები უბოძა და ამასთან ლაპარაკი დაუწყო ასე: „***ჩემის ყმაწვილობით აქამდისინ არ დავმცხრალვარ თქუენსა და ქართუელების გაერთებასა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევიძელ, ყოველი ჩემი ღონისძიება დავასრულე თქუენზე. არ არის კარგი, არ უნდა შვრებოდეთ ამას, რომ თქუენი ძმები — ქართუელები გამოგიმეტებიათ, გინ-***

დიდოელები

დათ, ძირიანად ამოთხაროთ და ჩუენ მაგიერათ ოსმალები დაასახლოთ საქართუელოში. ამისთანა საძაგელსა საქმეს არც ერთი გუარი არა იქს არსად ქუეყანაზედ, თქუენა ხართ ამისი პირუელი მაგალითი. თუ სარწმუნოებას იტყვით, თქუენ მაჰმადიანები ხართ, ოსმალებთან ერთი თანა მორწმუნე, ეს დიახ კარგი, ვინ შეეხება თქუენს სარწმუნოებასა? ვინც კი თავის სარწმუნოებაში აღზრდილია, იყავით იმ სარწმუნოებაზედ და ჩუენც ვიქნებით იმის პატივის მცემელი ჭეშმარიტად. კარგად დაიხსომეთ, რასაც მე ეხლა გეუბნებით, თუ ამ ჩემს რჩევას გაიგონებთ, თქუენც ბედნიერი იქნებით და ჩუენ, ქართუელებიც, და თუ კიდევ ასე მოჰყუებით, როგორც აქამდისინ აოხრებდით და აოხრებინებდით საქართუელოს ოსმალებსა, უნდა კარგათ იცოდეთ, თქუენი შვილები, ანუ თქუენი შვილიშვილები ასეთ ვაებაში ჩაცვივდებიან, რომ თქუენი დედაკაცები მწარედ ტიროდნენ, გლოვა და თავში ცემა ჰქონდესთ და მშუელელი კი აღარავინ იყოს იმათი. ამისთანა უწყალოება მოივლინება იმათზედ, ეს კარგათ იცოდეთ. მე რომ ეხლა მოხუცებული, შუახნის კაცები და ყმაწვილები მოგიპატიჟეთ, მიზეზი ეს არის, რომ მოხუცებულებმა ურჩიოთ თქუენს ჯამაათს, დასცხრენ, ნულარ მოდიან ჩუენზედ, ნულარც ოსმალებს მიეკარებიან და ჩუენთაც გაერთდნენ ერთ ძმათა. თქუენ შუახნისას კი ამას გეუბნებით, თვითონ თქუენა ხართ ამღელებელი მთელი თქუენი ხალხისა ჩუენზედ. გეუბნებით, კარგია, ამდენს ავკაცობაზედ ხელი აიღევით, თორემ ბოლო დროს ჭარბელაქანი ინანებს. მე ეს წინათვე მიწინასწარმეტყუელებია თქუენთვის და თქუენ, პატარა ყმაწვილებო (მასუკან იმათ მიუბრუნდება), ამას თქუენ, ნუ დაივიწყებთ, თუ ამ ჩემს სიტყუას ესენი არ დაისწავლიან და კიდევ თავისებურათ მოჰყვებიან ჩუენზედ, მაშინ მამიგონეთ, როდისაც თქუენს ცოლ-შვილში საშინელება იყოს უწყალოებისა“.

ყოვლის ფიცით დარწმუნებული მეფე ირაკლი კმაყოფილი შეიქნა იმათგან და გამხიარულებული წამოვიდა.

შარშან, 1863-სა წელსა, ზაფხულს ჭარბელაქანში აღრეულობა რომ მოხდა, ერთი მოხუცებული ლეკი იჯდა თურმე თავის სახლის კარებთან და თან ამას ამბობდა ცრემ-

ლით: ***„რაც მეფეს ერეკლესგან მე გავიგონე, ისინი ბევრი აგვიხდა და ეხლა ხომ სრულებით დავიქცევით ჩუენ. რაც ჩუენმა მამა-პაპებმა ქართუელებს უყვეს, ახლა ჩუენ უნდა გადაგვხდეს ის ჩუენი მამა-პაპების უწყალოება ქართუელებზე. ეს არის ღვთის განგება ჩუენზედ მოსული, სხუა არაფერი“.***

მართლა, რაც მე ვიცი და ვჩხრეკ, ჩუენ, ქართუელების, მდგომარეობასა, ძუელს თუ ახალს, ჩუენს უკანასკნელს მეფეებამდისინ, ვისაც კი ჩუენი ქართუელებისათვის ავი უქნია, ანუ იმ ჩუენი მამა-პაპების დაცემა მოუნდომიათ გარეშე მტრებსა, იმათი, ანუ იმათი შვილიშვილებისა საბოლოვო კარგი არა ყოფილა რა და ძლიერ გადახდენიათ. მე ესები ძალიან კარგად ვიცი. ესეც ვიცი, რომ კრიტიკოსები ამ ჩემს სიტყუას გაატრიზავებენ და ბევრსაც გაიცინებენ თაკილობით.

ეს ხომ **ცხადად დავინახეთ იმ პირველს მეფის ირაკლის დროებში,** მთის ხალხი — ანწუხ-დიდო საქართუელოს გაუერთდა და **ჭარბელაქანი კი ვერაფრით ვერ გაიერთა, არამც თუ ვერ გაიერთა, ვერც შემოირიგა, რომელიცა საქართუელოს მტრების ბუდე გახადეს იმ გაუგებელთ და ჭკვის დამკარგავთა ჭარბელაქნელებმა, სადაც საქართუელოს მტრები სულ ამას ფიქრობდნენ, საქართუელო როგორ დაეღუპათ ფესვით.** უთუოდ ასეც მოხდებოდა, თუ იმ დროს ირაკლი არ გამოსულიყო, იმისთანა კაცი და იმისთანა მომვლელი თავის მამულისა. მაგრამ ესეც არ უნდა დაიმალოს, რომ რაშიაც შესცდა ირაკლი, ისიც უნდა გამოცხადდეს, მოვალენი ვართ სიმართლისა. მეფე ირაკლი არამცთუ საქართუელოს ამაგრებდა, ამაგრებდა საქართუელოს ყოველს სოფლებს და სახიზრებს აკეთებდა. როგორცა ვთქვით, ყოველი ძიება მოიხმარა ჭარბელაქნის შემორიგებისათვის, მაგრამ ვერაფრით ვერ შეიძლო. ამის საშუალება ამის მეტი არა იყო რა, რომ ჭარბელაქნის პირდაპირ ალაზნის პირებზედ, სადაც ფონები იყო გამოსასვლელი, იქ ციხეები უნდა გაეკეთებინა, შიგ ხუთას-ხუთასი ქართუელი მეომარი დაეყენებინა, ანუ მეტნაკლები, თავის ორის თუ სამის ზარბაზნითა, რომელსაცა დიახ ადვილად შეეძლო ეს, მაშინ დაინახავდა, რაც

სარგებლობა იქნებოდა, თუ არა და ეს ფონები გახსნილი დააგდო და მთელს დაღისტანსა, სადაც ყრილობა ჰქონდათ ხოლმე ჭარბელაქანში, იმათ თავისუფალი გზები დარჩათ საქართუელოზე შემოსასვლელ-გასასვლელი და რაღას ინაღვლიდნენ. თუ ეს ციხეები მოეგონებინა, ასე შეჰკრავდა მთელს ჭარბელაქანსა, რომ მეტი ღონე აღარ ექნებოდათ, უნდა ირაკლისთვის თაყუანი ეცათ და დამორჩილებოდნენ. მაშინ ახალციხე დასუსტდებოდა ლეკის ჯარით, დანარჩენს ლეკებს ოსმალო აღარ შეინახავდა და და უთუოდ ისინიც იქიდგან გამოვიდოდნენ. თუ მე ამას ფაკტით არ დავამტკიცებ, ბევრნი არ დაიჯერებენ, რომ **ალაზნის პირებზედ ციხეები უთუოდ საჭირო იყო**.

პირუელი. ოცდა ხუთის თუ ოცდა ათი ათასის ლეკით დიდი ომარხან ყუარელის ციხეს რომ შემოადგა უეცრათ, რომელშიაც ძლივს შეასწრეს მცხოვრებთა, რა ქნა, რა შეიძლო იმთენის ჯარითა ომარხანმა? არამც თუ შეიძლო რამე, რამთენსამე დღეს უკან სირცხვილეული შემოეცალა ციხეს და გაქცეულსავით წავიდა თავის ქუეყნისკენ. თუ როგორმე ყუარელის ციხე აეღო ომარხანსა, დღეს ქართუელის სინსილა აღარ იქნებოდა. ამისთვის, რომ მთელი დაღისტანი კახეთზე უნდა მოხეთქილიყო და საქართუელო სრულიად გაექროთ. ომარხანის მრჩევლების პლანი ასე ყოფილა, მაგრამ ყუარელის ციხე რომ ვეღარ აუღიათ, იმათი პლანებიც სულ ჩაშლილა. აი, რა არის ციხე, რომელსაცა დიახ ადვილათ შეეძლო მიწური ციხეები გაეკეთებინა ყოუელს სამძღვრებზედ, არამც თუ მიწური ციხეები — ქვითკირებისაც.

მეორე. მეფე ირაკლი თავის სამეფოს კუალობაზედ ძლიერი იყო. იმას ჰქონდა ოცდაოთხი გაწყობილი ზარბაზნები თავის ჩამოსასხმელის სახლითა, რომელსაცა, საითკენაც უნდოდა, იქით წაიღებდა იმ ზარბაზანებს, მაგრამ უფროსი ერთი სულ ადგილობრივ ეწყო და თვითონ კი თავის ქართუელებით მტერს სდევდა ხან სომხითში, ხან ქართლში და ხან კახეთში, მაშინ, როდესაც რომ სადაც კი ზარბაზანებსა წაიღებდა ხოლმე, მტერსა რეგუდა. ამასთან, დიახ ადვილად შეეძლო ოცი ათასი კარგი მეომარი გამოეყუანა საქართუელოდგან, დადგრომილი რამდენი-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

მე წლობით ხოლმე. იმ ზარბაზანებით და იმ ჯარით, რომლის მტერს ღა შემოუშუებდა საქართუელოში? არამც თუ შემოუშუებდა, სხუა ქუეყნებსაც შეიძინებდა. თუ ერევანი იმ თავის გაუწყობელის და მცირედის ძალით ისე ადვილად შეიძინა და ოცდაოთხი წელიწადი მეტი ხელში ეჭირა, სხუას რას არ იქმოდა იმ ძალით და იმ დაწყობილობითა, რომელიცა ზევითა ვთქვი ეხლა. აი, როგორც ეხლა მოვიტანთ მაგალითსა: მეფე ირაკლიმ მორიგე რომ შემოიღო, ოთხი ათასი კაცი კახეთის სამძღვრებს ინახავდა, ოთხი ათასი — ქართლისას და ოთხი ათასი — სომხითისას. რა დააკლდა საქართუელოს? დაკლებით არაფერი, შეძინებით კი ბევრი. შეძინება ეს იყო, რომ, როგორც ჩუენში იტყვიან, გარეშე ფრინუელიც ვეღარ გადმოფრინდებოდა, არამც თუ მტერი ღა შემოსულიყო საქართუელოში, სადაც გაოხრებულს სოფლებს შენება დაუწყეს ქართუელებმა: ის მორიგე ექვსი თუ შვიდი წელიწადი იყო და ამ ცოტას ხანში საქართუელომ კიდევ გაღიმება დაიწყო ცოტათ.

მესამე. ამ მესამის მეფის ირაკლის შეცდომინებასა დავეხსნათ, ამაზედ ნურას ვიტყვით, ეს ღვთის კერძია, იმან იცის...

მეოთხე. იმთენი წინააღმდეგების ამბები როგორ არა იცოდა რა, მარკოზაშვილის დარბაზში რომ შეიყრებოდენ ჩუმათ და იქ უთხრიდნენ ძირსა, საიდგანაც ყოუელი დაფარული წინააღმდეგობა იყო საქართუელოში მეფე ირაკლიზედ. თამამად ვიტყვი: ჩუენი საქართუელოს პირუელის ოჯახებიდგან თითო გუარში ორი და სამი მაინც იყო მეფის ირაკლის მტერი და იმათი კუდები ხომ რავდენი... საწყალს მეფეს ირაკლის ძალიან გვიან შეუტყვია ეს ანბები, სწორედ სიკვდილის წინა დროებში. კიდეც იმ მარკოზაშვილის დარ-

ბაზელებს დაულუპავსო საქართუელო, რომლებსაცა ის მორიგეც იქიდგან მოუშლიათ, ის ბედნიერება საქართუელოსი! არამც თუ მარტო ის მორიგე, რასაც კი კარგსა რასმე მოინდომებდა საქართუელოსათვის მეფე ირაკლი, ყოვლის ღონის ძიებით, ყოვლის ცბიერებით ეცდებოდნენ, როგორმე მოეშალათ. ის მეფის ირაკლის დრო იყო გამყიდუელობის დრო, რომლისაგანაცა საქართუელო უნდა დამხობილიყო, არა იმდენი ქართუელების სისხლის დაღვრითა ცხადის მტრებისაგან, არამედ პლუტობით და აზარქროობით გამყიდუელებისაგან. როდისაც რომ კარგათ დავფიქრდებით იმ წინააღმდეგებზედ, იმათ საზიზღარს საქმეებზედ, აღარ ვჯავრობთ და არც გვიკვირს.

უცოდინარები იყვნენ, ამასთან მეტი გულწრფელები და არ იცოდნენ, რას შურებოდნენ. უფრო სწორეთა ვსთქუათ, რას ტუტუცობდნენ სულელები: მიუტევე, მამაო, და სხუანი. აი ასე იყო მაშინდელი დრო საქართუელოსი, ასე დაუწყნარებელი და ამისთანა დაუნდობელი დრო. რაღა უნდა ვსთქვათ? **მეფის ირაკლის იმთენს უბედურებასთან ერთი რიგიანი საქუეყნო გამგე არავინ არა ჰყუანდა, სულ თვითონ იყო. ასე გაშინჯეთ, არც შვილი და არც შვილისშვილი უვარგოდა, რომელსაცა შეძლებოდა მეფობის რიგის მიცემა. ერთი იყო ლევან და ისიც უეცრათ მოკვდა და უბედურს ირაკლის ისიც ხელიდგან გამოაცალეს.** უთქვამსთ: სხუა დედაკაცზედ მოკლესო. ტყუილია, მაშინდელი წინააღმდეგების ჭორია. სწორეთა ვსთქუათ, დაფარუა აღარ უნდა: მოწამლეს. ამისათვის, რომ მეტი კარგი რამ რომ იყო, ჯიღა საქართუელოსი და შურით უყუეს, რომელიცა ოცდაოთხს საათში გაქრა, ის საკვირუელი მეფის ირაკლის შვილი ლევან, რასაცა მთელი საქართუელო იგლოვდა მწარეთ. თუმცა ეხლა ზევითა ვთქვით, მეფეს ირაკლის ერთი რიგიანი საქუეყნო გამგე არავინ არა ჰყუანდა-მეთქი. როგორ იქნებოდა, რომ არა ჰყოლოდა!

დიახ, ჰყუანდა ოთხი თუ ხუთი, მაგრამ ისინიც ყუელასაგან ამოჩემებული იყუენ და ყოუელთვის ქუეშ უთხრიდნენ იმათ. მაშასადამე, მეფეს ირაკლის კაცი არა ჰყოლია. ნეტავი როგორიც ვაჟკაცნი კი იყვნენ მაშინდელი ქართუ-

ელები და მართებული გულწრფელი დარბაისლები, იმის მეასედი ქუეყნის მართუელობა სცოდნოდათ იმათ.

ვინ ამბობენ, დავით ბატონიშვილი კარგი იყოვო. დავით ბატონიშვილი მინამ პირუელად სხუაგან წავიდოდა (ესე იგი — რუსეთს), მართლად კარგი ყოფილა და, როდესაც იქიდგან მოსულა, სულ გადარეულა. მეორედ რომ სრულებით წასულა იქ, ერთიც მაშინ დასტყობია სამეფოს კაცობა, ამისთვის რომ მოუფიქრია და ჭკუაზედ მოსულა. არამც თუ მარტო დავით ბატონიშვილი მოსულა ჭკუაზედ – ვინც კი ბატონიშვილები იყვნენ, იმათაც დაუნახამთ თავიანთი რეგუენობა, მაგრამ რაღასა დროსი იყო: ოთიდან საღრა ნაღარა. ბევრი ჭკუა დაკარგული ანდაზებია დავით ბატონიშვილზე. გარდა ამისა, დიდი წინააღმდეგობა ჰქონიათ მამა-შვილსა მეფის გიორგის. დავით ბატონიშვილის ძმა ივანე სჯობნებია დავითს, არამც თუ მარტო დავითს, მთელ სახლეულობას სულ ერთიან. თუ კიდევ ყოფილა რამე, ისევ ბატონიშვილი, სხვანი — ნაკლები იმაზედ.

გასაშტერებელია, იმისთანა ფიქრარეული, ანუ ფიქრგამოცვლილი კაცი, როგორც დავით ბატონიშვილი შეიქნა შორი გზიდგან მოსული პირუელში, ისე უზომოთ რაღათ სცემდა პატივს თავის პაპას, მეფეს ირაკლის და ან ყოველთვის საკურვლად რათ მიაჩნდა იგი. ჰგავს ასე ყოფილა, რომ ყოუელი დიდი კაცის საკვირუელება არავის თუალში არ უნდა დაიკარგოს.

ასე და ამ სახით ყოვლისფრით უბედური იყო მეფე ირაკლი. იმდენს უბედურებაში ჩავარდნილი, იმდენს საიდუმლოს მტრების მახეში გაბმული და იმდენის მოსეულის მტრების დევნით მოუსუენებელს ცხოვრებაში იყო ჩაღუპილი, ასე რომ, ერთი ბეწო მცირედი მოცლა არ ჰქონდა, თავისი ქუეყანა გაემართა.

მინამ მეფე თეიმურაზ იყო მეფის ირაკლის მამა, კარგი შემწე იყო თავის შვილის ირაკლისა, სამეფოს საქმესაც კარგად წამყუანი და, როდესაც იგი აღარ იყო, მაშინ ლევან მოესწრა, ირაკლის შვილი, რომელმაცა მტერი იმას დაანება და თვითონ კი ქუეყნის მართველობას შეუდგა სრულის გულით, მაგრამ დიახ ცოტას ხანს. ის კარგი მეფის ირაკლის შვილი ლევან ოცდამეხუთეს წელიწადში აღარ

იყო და მეფე ირაკლი ისევ იმ პირუელს ვაებაში შეცურდა დასანთქმელად (ლევანის სიკვდილი ზევითაც ითქუა).

ლევან ბატონიშვილი ასეთი კარგი რამ გამოსულა, რომ მართლა მარჯუანა მხარი მეფის ირაკლისა, თითქმის თავის მამას ჯობნებია, რომელსაცა სწორედ იმას ცოდნია თავის ქუეყნის მოვალეობა რა არის. იმის დროსა მეფე ირაკლიმ კარგად დააწყო საქართუელოს საქმე, რომელიცა ზევით დავინახეთ, მორიგე დიდი ანტონი კათალიკოზი რა რიგად ხელს უმართავდა იმათ, როგორ ეწეოდა იმათ და რა რიგად წესიერად აწყობდნენ საქართუელოს საქმეს ეს სამი საკვირუელი კაცი! ამ სამის კაცისაგან ეს ანბები რომ დაინახეს, გუარის ღირსება და ადგილობის მოთაობაც შეეწეოდა იმათ, რომლებიცა ყოუელი წინააღმდეგნი წინააღმდეგობიდან მეფობის ერთგულებაში და მორჩილებაში შემოვიდნენ, ეს სამი კაცი ისე განძლიერდნენ საქართუელოში, რომ სულ ხელში დაიპყრეს ყუელა. უფროსი ერთი ესენი სულ ერთად იყვნენ და ერთად არჩევდნენ საქართუელოს საქმეს. მეფობის წინააღმდეგობას საქმით ვეღარავინ ივლებდნენ გულში, ასე შეკრეს ყუელა. **მეფე ირაკლი ქუეყნის გამართუას შეუდგა, ანტონი კათალიკოზი ეკლესიების საქმეს და ლევან ბატოიშვილი გარეშე მტერსა სწყლავდა,** მაგრამ ამ საკვირუელმა კაცებმა ვერ მოიგონეს, ჭარბელაქნის პირდაპირ ალაზნის პირზედ ციხეები გაეკეთებინათ. ამ სამს კაცსა კარგა ხანი რომ დასცლოდათ ერთად, პირუელს მეფობის ხარისხზე დაადგენდენ საქართუელოს. ამათ ძალიან ცოტა დრო დასცალდათ ერთად. ლევან ბატონიშვილი იმ ყმაწვილ კაცობის ხანში აღარ იყო და ანტონი კათალიკოზიც იმის ცოტა ადრე მოკვდა. წარმოიდგინეთ, ამ ორი კაცის დაკარგუა რა საშინელი ზარი იქნებოდა მეფის ირაკლისათვის! ოო! ბედო, ბედო! ჩუენში უბრალოთ კი არ არის ნათქუამი: *„ბედმა გვიყო ყუელაკაი, ჩემო, რამცა დაგუემართა“*.

თავად ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი საქართუელოს ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სოლომან მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექს მგოსნობა საუცხოვოა, მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება. მინამ აღამაჰმადხან მოვიდოდა საქართუელოზე, სა-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

მი წლის წინათ დაუთხოვნია თავისგნით და ძალიან გასწყრომია და აღამაჰმადხანის შემდგომ ისევ შეურიგებია, რომელისაცა სოლომონ მსაჯულის ორი წიგნი მე მაქუს, თვითონ სოლომონ მსაჯულისაგან შავათ დაწერილი მეფე ირაკლისთან დიახ დიდი მადლობისა, რომ მეფე ირაკლიმ შეირიგა. პირუელი წიგნი არის დაწერილი ზ-ს მარტს ქორონიკონს უპდ-სა და მეორე ე-ს აგვისტოს ქორონიკონს უპე-სა. გახსოვთ, ზევით რომ ვთქვით: ოთხი თუ ხუთი ჰყუანდათ მეფეს ირაკლის და ისინიც ამოჩემებული იყუნენ ყუელასაგანმეთქი. იმათგანი ერთი ის სოლომონ მსაჯული იყო ყუელასაგან ამოჩემებული, რომელზედაც ამთენი ტყუილი ამბები უზიდიათ მეფის ირაკლისთვის, რომ ბოლოს იძულებული ქმნილა, ძალიან გასწყრომია და თავისგნით დაუთხოვია. თავადს ნიკოლოზს ეს ამბავი რომ სცოდნოდა, იმის დათხოვნაში უფრო საგანგებოს აზრებს გამოხატავდა, მინამ საქართუელოს ბედში. იმ დროს სოლომონ მსაჯული სიონის ეკლესიის მახლობლათაც მდგარა ერთს სახლში, მტკუარის პირზედ, სიონიდგან ჩრდილოეთის მხარეს.

იმ ორის საკვირუელი დაკარგუა მეფის ირაკლისთვის ბოლო მისაღები იყო, თუმცა კიდევ თავის გულსა არა ჰკარგავდა და მოუსუენრად ცდილობდა საქართუელოსათვის, მაგრამ იმ წინააღმდეგებმა კიდევ თავი აიწიეს და

მოჰყვნენ თავისებურათ საქართუელოს ძირის ამოთხრასა. თუ მეფეს ირაკლის იმისთანა ორი კაცი აღარ ჰყუანდა, ვითარცა ანტონი კათალიკოზი და ლევან, ევროპიის გუარზედ განათლებული რომ ყოფილიყო, მაშინ იმისმა ბუნებითმა ჭკუამ იცოდა, რასაც იქმოდა, მაგრამ ეს რომ არა ჰქონოდა, შეჩენილი წინაამდეგები სულ სხუა გუარათ აჩუენებდნენ საქართუელოს საქმეს და ურევდნენ იმის ბუნებითსა ჭკუასა. ყოვლის ფრით დაობლებულსავით დარჩა მეფე ირაკლი შემდგომ დიდი ანტონი კათალიკოზისა და იმის შვილის ლევანისა.

...მეფის ირაკლის არეული დრო არის რაღაც ღელვის ხაოსი გამყიდუელობისა, ბრძოლის, ომებისა და აოხრების დრო, რომელსაცა არც ერთს ქუეყანასა ის ვაებანი არ გამოუცდია და მგონია, არც რომელიმე გამოსცდის ოდესმე. გარდა გამყიდუელობისა, ერთზე რომ ათი მტერი მოდიოდეს, სად არის ეს? მომსწრე ჩუენი ძუელები ასე ანგარიშობდნენ. მერე რავდენი წელიწადი? სამოცდასამი და დაუცხრომელად ყოუელ დღე (მეფე ირაკლის დრო) სულ ამისთანა დროები იყო, სულ სხუა და სხუა გუარი ამბები, რომელსაცა გამოკლებით მოკლეთ წავიკითხამთ ამის ქუემოთ იმ ამბების გარდა, რაც რომ ადრით დამიწერია.

მე რომ ზევითა ვთქვი, საიდგან როგორ მიდიოდნენ ლეკები-მეთქი. რაღა საიდგან — ჭარბელაქნის გამოსასულელს გზებსა, ანუ ალაზნის ფონებსა პირი ღია ჰქონდათ ყოუელს ადგილს და, საითკენაც უნდოდათ, იქით წავიდწამოვიდნენ, იცოდნენ გამოსასვლელებზედ არავინ დახვდებოდათ, მაგრამ, როდისაც კი საქართუელოში შემოვიდოდნენ, ანუ იყუნენ ხოლმე, ამ დროს ქართუელები ცეცხლსავით ეკიდებოდნენ, ასე მღვიძარებდნენ თავიანთ ქუეყანაში თავის მამულისთვის!

ოსმალ-ლეკების ბინა ვინ იცის, რავდენ ადგილს იყო საქართუელოს ტყის სიმაგრეებში, რომლებსაცა ხიზნებიცა თანა ჰყუანდათ ზოგიერთებს და ოსმალო ინახავდა ქართუელების დასაღუპათ. დიახ, ხშირათ მოხდებოდა, რომ მდევრის კაცი ქართუელები წაეპარებოდნენ და დიდს ვნებას აძლევდნენ იმათ, მაგრამ ლეკი ტყეში მაგარია, რაკი ბინას მოიკიდებს, თავის ნებით აღარ გავა იქიდგანა,

საიდგანაც ჩუმათ გამოდიოდნენ და სცემდნენ საქართუ-ელოს. **იმ ტყის სიმაგრეებში ჩამდგარი წვრილ-წვრილი ესე ნაგლეჯები დიდს ვნებას აძლევდნენ ქართუელებ-სა, ამიტომ რომ აღარ იყო იმათაგან მოსუენება და ყოუ-ელი ქართუელი შეიარაღებული იყო დღე და ღამე შეკ-რული. როგორ იქნებოდა, ტანისამოსი არ გაეხადათ, სა-ცუალი მაინც არ გამოეცუალათ, ანუ ცეცხლზე არ დაე-ბერტყათ, მაგრამ ძალიან ცოტა ხანს. ისევ საჩქაროთ უნ-და ჩაეცოთ. უეცრათ მდევარი არ დაეძახათ, რომ მდე-ვარში არ დაგვიანებულიყვნენ, რომელისაცა ამის რამ-დენიმე მაგალითები მოვიტანოთ, უფრო კარგათ დავი-ნახამთ მაშინდელს დროსა.**

პირუელი, შუადღის შემდგომ ქ. ტფილისის ავლაბრის მხარეს, სადაც ეხლა რიყეზე მცხოვრებნი დგანან, იქ, მტკუარის პირზედ, მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფე-ნილი და წყალით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩუღურე-თისა და ავლაბრისა შუა ხევიდგან დაქვეითებული ლეკე-ბი წამოეპარნენ, უნდოდათ, მჩითავები დაეჭირათ, მაგ-რამ ისინი საჩქაროთ მტკუარში გამოცურდნენ და ამით მოირჩინეს თავი. ამაზედ ერთი ძახილი და ერთი ყოფა შე-იქნა ქალაქიდგან. არიქა მდევარი, მდევარიო. ლეკებმა მჩითავები რომ ვეღარ მოახელეს, ჩითები დაიტაცეს და გაიქცნენ, რაც შეეძლოთ დიახ ჩქარა. დაქვეითებული ლე-კი ცხენიანს მდევრის ქართუელს სადღა წაუვიდოდა, იქ-ვე მახათას იქით მოასწრეს, ზოგი დახოცეს და ზოგი ტყუ-ეთ წამოიყუანეს. ეს ამბავი სწორეთ მეფის ირაკლის სა-სახლისა პირდაპირ მომხდარა. აი ასე გაკადნიერებული ყოფილან ლეკები, რომ სიკვდილისაც აღარ ეშინოდათ არ-სად, ასე მოდიოდნენ საქართუელოზედ.

მეორე, რომელიმე დაუდევნელი ქართუელი თავადი ვახ-შმის შემდგომ გამოვიდა კარზე მასკვლავებიანს ღამეში, დადგა ლოცუაზედ და ღმერთს ევედრებოდა (უწინ ჩუეუ-ლობა ჰქონდათ, ბევრი კარზე ილოცავდა ვახშმის შემდგომ თუ გათენებისას). ყუელას ეძინათ იმის ცოლის მეტსა. ამ დროს ლეკები მიეპარნენ, პირი აუხვიეს და მოინდომეს წა-ყუანა, იცოდნენ, დიდს ფულს გამოართმევდნენ. იმის ფორ-თხალში იმის ცოლი გამოვარდა ხანჯლით ფეხშიშუელა, ნა-

ხა, რომ იმის ქმარსა ეხუევიან წასაყუანად, დაიკივლა: გვიშველეთ, ლეკებიო. ამასთანავე გაშიშულებულის ხანჯლით მიუარდა, ორი ლეკი მოკლა და თავისი ქმარი გამოიხსნა. ამ ქალის დაკივლებაზედ მთელი იმათი სახლეულობა გამოცვივდნენ, იმათი სოფლებიდგანაც სულ ერთიან, მაგრამ მანამდისინ ლეკებმა თავი მოირჩინეს, საითკენ რომელს მხარეზედ წავიდნენ, ვეღარა გაიგეს რა.

ეს არაფერი. შეხედავდით ერთი ბაირახის ასი კაცი, ანუ ასზე მეტი ერთის მხრითგან მოდიოდა საქართუელოზე, მეორეს მხრიდგან ორი ბაირახის კაცი, მესამეს მხრიდგან სამი ბაირახის კაცი და შემდგომნი უფრო ბევრნი. **ამ ნაწყუეტ-ნაწყუეტის ბაირახის ლეკებით სავსე იყო საქართუელო, როგორც კალიებსავით და გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ საქართუელოს.** ახლა ამისი მაგალითებიც მოვიყვანოთ დასანახათ.

პირუელი. ყაფლანიანთ ჩუენს ფიტარეთის სოფელს ცხრა ბაიარახების ლეკის ჯარი შემოადგა უეცრათა, რომელნიცა დაეშურნენ, მდევარმა არ მოგუასწროსო. იმ ღამესვე ერთმანეთში თითო მასრა წამალი მოკრიფეს და ხანჯლებით ამოთხრილს გალავნისა ძირში შეყარეს დიახ ფრთხილათ და გათენებისას კი ცეცხლი მისცეს, რომელმაცა ერთი მხარე კედელი ჩამოაქცია. ამასთან, იჟივლეს ლეკებმა, ხმალდახმალ შიგ შეცვივდნენ. თუმცა შიგნით ძალიან ხელი გამოიღეს ქართუელებმა, ასე გასინჯეთ დედაკაცებმაც ხანჯლებითა თავი იზღვიეს, მაგრამ გაჯავრებულმა ლეკებმა ბოლოს დასძალეს ფიტარეთელები. დიდი და პატარა ასე ამოწყვიტეს, რომ ერთი ცოცხალი აღარ გაუშვეს. ჩუენი სასაფლაო ხომ, რასაკვირველია, აიკლეს, ის იმისი იმთენი სიმდიდრე და დიდის დავლით ოსმალოსაკენ წავიდნენ დიახ ჩქარა, კიდევ მდევრისა ეშინოდათ. სამხრობის დროსა მდევარიც მოვიდა, მაგრამ სავალალოს მეტი ვეღარა ნახეს რა.

მეორე. გორიდან წამოსული მეფე ირაკლი მოეშურებოდა ოცის ცხენიანის კაცით, საჩქაროთ ქალაქში ჩამოსულიყო. ამ დროს, როდესაც ჭალას დაუახლოვდნენ, ორი ბაირახის ლეკი გამოვიდა ტყიდან და ამათზე წამოვიდნენ მინდურად. ლევან ბატონიშვილიც იმ დროს იქ ხლებია მა-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულებში“

მა მეფეს და ოთხი ზაალიც თანა: თავადი ზაალ ანდრონიკაშვილი (კუზიანი), თავადი ზაალ ბარათაშვილი (დიანბეგი), თავადი ზაალ მაჩაბელი (ბოროტი) და თავადი ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი). თურმე მეფე ირაკლი იტყოდა ამ ოთხის ზაალისას: **ოთხი ზაალი ჩემთან რომ იყოს, ოთხი ათას მტერსა არ დავერიდებიო**. ასეთი გულოვანი ვაჟკაცნი ყოფილან ეს ოთხნი, მაგრამ ბოლოს ზაალს ორბელიანს მეფის ირაკლის ღალატი შემჩნევია, რომელსაცა დაუჭერინებია და კარგა ხანი ხუნდ ქუეშ ჰყოლია დაჭერილი. ამაზე რაღა გავაგრძელოთ, ესენი დამდგარან და რჩევა უკითხამს მეფეს, რა ვქნათო? ზოგს რა უთქვამს და ზოგს — რა. მასუკან ლევანისთვის უკითხამს: შენ რაღას იტყვიო. ამას მოუხსენებია: თუ თქუენ აქ არა ბრძანდებოდეთ, მე ვიცი, რასაცა ვიქმოდი, მაგრამ თქუენ რომ აქა ბრძანდებით, მე აღარა მეთქმის რა. მეფემ მეტის სიამოვნით გაიცინა და მასუკან მიუბრუნდა იმათ: ამ წუნკალებზედ თოფი რომ გავცვალოთ, სირცხვილი არ არის ჩუენთვის? ეხლავ ჩახმახიდგან წამალი გადუყარეთ თოფებს. მაშინუე გადუყარეს, ამასთანავე დაისუეს ხმლებს ხელი და შუა ლეკებში დაეძგერნენ, რომელთაცა იმ წამსვე მოშალეს იმათი დასი და წინ წაიყარეს. მეტი გაიქცა, ტყეში შეცვივდნენ, სხუა ზოგი დახოცეს, ზოგი გადაკინძული ტყუეთ წამოიყუანეს და გამარჯუებული წამოვიდნენ. უფროსი ერთს შემთხუევაში ყოუელი ცოტა ქართუელი სულ ასე ომობდა. წახდებოდნენ თუ დაამარცხებდნენ, არას დასდევდნენ. დრო იმისთანა იყო, რომ უთუოთ ასე უნდა ექნათ, ამისთვის, რომ ამით უფრო სტეხდნენ და თუალებს უბამდნენ საქართუელოში სამსეს მტერსა.

მესამე. ბატონიშვილი ლევან სამშაფათის აბანოში იყო რამდენსამე არჩეულის ამალითა. ამ დროს მეფეს ირაკლის კაცი მიუვიდა: საგურამოს ტყიდგან ლეკის ჯარი წამოვიდა, ავჭალაზედ მოდიან, უნდა წაახდინონ. ლევან მაშინვე გამოვარდა, იმის ამალაც თან გამოჰყუა და და სირბილით კუკიაში გავიდნენ გზაზე ტანისამოსის ჩაცმით, სადაც შეკაზმული ცხენები და იარაღი მოართუეს, რომლებიცა სულერთიან და საჩქაროთ გასწიეს. რა გლდანისა მხარეს გავიდნენ, იქ ექუსასი ლეკი დაინახეს ავჭალა-

ზე მომაუალი ექუსასის ბაირახით. ბატონიშვილმა ლევან ბრძანა: მამიჩემის მეფის ბაირახი გაშალეთო. იქიდან ბელადმა დურბინდში გამოიხედა და, მეფის ირაკლის ბაირახი რომ დაინახა, დაიძახა: „ის ძახლი ერეკლე აქ არისო“. ამასობაში ქართუელები კიდეც დაერივნენ და გამარჯუებული ბევრის ტყუებითა ქალაქი შემოიარეს. დიდი და პატარა ბატონიშვილი ლევანის დღეგრძელობას ღმერთსა სთხოვდნენ გულმხურვალედ, მაგრამ ღმერთმა არ შეისმინა ქართუელების, საუბედუროთ.

ამ ამბებში შახედავდით, რომ ოსმალოს მხრიდგან დიდი ჯარი გამოვიდა საქართუელოზე. ეს კიდევ არაფერი. შეხედავდით, რომ ჭარბელაქნის მხრიდგან — უფრო ბევრი. ეს კიდევ არაფერი. ზოგჯერ და ზოგჯერ ხანების ჯარები რომ წამოესეოდნენ თავის ხანებით და ერთიან საქართუელოს დანთქმას უპირებდნენ, ის კიდევ არაფერი. სპარსეთის ხელმწიფეები დიდრონის ჯარებით რომ წამოვიდოდნენ და მთელი საქართუელოს ჩაყლაპა უნდოდათ, როგორც ვეშაპს — პატარა ბატკანი.

ეს ამდენი უსაშინლესი ამბები სულ მეფეს ირაკლის და იმის ქართუელებსა აწუათ კისერზე, მინამ მეფე ირაკლი მოკვდებოდა. ამას ასე ვანბობ, მაგრამ ტანში ჟრიალი მივლის იმ ამბების საშინელებით. წარმოიდგინეთ ის გარეთი იმთენი მოსეულობა, იმთელი მტრები, ის იმთელი დაცემულობა ვერას უზამდა ირაკლის და იმის ქართუელებსა, თუ ის დაფარული მტრები არა ჰყოლოდათ. იმ დაფარულმა მტრებმა მეფის ირაკლის ოჯახი დააქციეს და საქართუელოც საფუძუელზე დაიყვანეს.

აბა, ახლა ამისი პასუხი მამეცი, კეთილგონიერო და დიდსულოვანო, მართალო კრიტიკო, იმ ჩუენი მამა-პაპების იმდენის მამილის მსხუერპლისთვისა, ერთობ იმათი შვილები, ანუ შვილიშვილები დიდი პატივისცემის ღირსნი არიან თუ არა, ანუ საუკეთესო დიდი ჯილდოსი?

სიმართლეო, იმედი მაქუს, შენ ამას არ დაიდუმებ, ერთს დროში ამაზედ მართალს დაიძახებ...

დეკემბერს 1865-სა წელს
ქ.ტფილისისს.

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

პაატა გუგუშვილი

ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში

ჩვენ აქ ვერ შევუდგებით საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის განვითარების მიზეზთა საფუძვლიდან გამოკვლევას. ამისათვის საჭიროა აღებული ეპოქის მთელი სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის განხილვა. აქ შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ ყველაზე ძირითად მომენტზე და ისიც გაკვრით. საქართველოსა და კავკასიაში ტყვეებით ვაჭრობის განვითარების მიზეზები იმ პერიოდში, რომელიც ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს შეადგენს, უნდა ვეძიოთ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, როგორც შინაური, ისე საგარეო ხასიათის მოვლენებში.

ტყვეებით ვაჭრობის განვითარების მიზეზები

ცნობილია, რომ საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეკონომიურად დაჩიავებულ და გამოფიტულ ქვეყანაში ცხოვრებას, განსაკუთრებით უმწეო, არათავისუფალი მოსახლეობისათვის, ყმა-გლეხობისათვის, უფრო აუტანელს ხდიდა მთლიანი სახელმწიფოებრივი წყობილების დარღვევისა და საქართველოს ცალკე სამთავროებად და სამეფოებად დაქსაქსვის, მაშასადამე, სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად დაუძლურების პირობებში **გარეშე მტერთა ხშირი, თითქმის განუწყვეტელი შემოსევა-თარეში.** ამას ზედ ერთოდა **შინაგანი შუღლი და მტრობა თავაშვებულ თავად-აზნაურთა შორის,** რაც მტრის შემოსევაზე უფრო მეტად ანადგურებდა და ავერანებდა ცალკეულ კუთხეებს. მეურნეობის დარგების დაქვეითების გამო ყოველგვარ მარაგს მოკლებულ ფეოდალებს ისღა

დარჩენოდათ, რომ უცხოეთიდან მოტანილი საქონლის შესაძენად გაეცათ ადამიანები, ე.ი. დაეწყოთ **ცენტრალური ხელისუფლების უძლურების** გამო, ყოველგვარი მფარველობისა და მზრუნველობის გარეშე დარჩენილი გლეხობის გატაცება და გაყიდვა.

ეს მდგომარეობა მე-19 საუკუნემ უცვლელი მემკვიდრეობის სახით მიიღო. ამას ზედ ერთოდა **თურქეთიდან და ირანიდან არაიშვიათად შემოსული შავი ჭირი (ჟამი), რომელიც მუსრს ავლებდა უმწეო მოსახლეობას, წყალდიდობა ან გვალვა, სარწყავ არხთა სისტემის მოშლა, ფეოდალური ექსპლოატაციისა თუ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობა და სხვ. ყველა ამას შედეგად მოსდევდა შიმშილიანობა, რაც წლობით გრძელდებოდა.**

1810-12 წლები, მაგალითად, მრისხანე იყო საქართველოსთვის, განსაკუთრებით კახეთისთვის, სადაც თითქმის ყველა ზემოხსენებული მოვლენა ზედიზედ დაატყდა თავს მოსახლეობას. მაგრამ ნაკლებ გაჭირვებას არც იმერეთი განიცდიდა. თვით საქართველოს მთავარსარდალი გენ. ერმოლოვი 1817 წელს წარდგენილ უქვეშევრდომლის მოხსენებაში, იძულებული გახდა, ეღიარებინა:

„ამ ხალხის მიერ ორი წლის განმავლობაში განცდილ იმ უბედურების შემდეგ, რაც მას ეწვია მტერთა შემოსევის, შინაური აჯანყებების, არაჩვეულებრივი წყალდიდობის, შიმშილობისა და ჟამის შედეგად, საჭიროა საკმაო დრო, რომ უამისოდაც ღარიბმა ხალხმა შესძლოს თუნდაც საშუალო მდგომარეობამდე მიღწევა. განსაკუთრებით შიმშილმა და ჟამმა ამოსწყვიტა თითქმის მესამედი იმერეთის მოსახლეობისა, მეორე მესამედზე მეტმა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავი შეაფარა თურქეთის სამფლობელოებს და გაიფანტა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში“.

იმ დროს, როდესაც იმერეთში „მძვინვარებდა ძლიერი ჟამი და საშინელი შიმშილიანობა“, ცხადია, პოხიერი ნიადაგი შეექმნებოდა ტყვეებით ვაჭრობის საქმესაც. გენ. ერმოლოვიც თავის მოხსენებაში პირდაპირ სწერს, რომ მოსახლეობას საქმე ისე გაუჭირდა, რომ *„მამები პურის*

ნატეხისათვის ჰყიდდნენ შვილებს სამუდამო მონობაში, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებში და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან დაუძლურებულ თავიანთ ბავშვებს“. ამ წლებში შიმშილობდა გურიაც. დ. ბაქრაძეს შემოქმედის „გულანში“ არშიაზე მიწერილ ქრონოლოგიურ შენიშვნებში ამოუკითხავს: *„ჩყიბ (1812) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდგომ ჟამი გამოჩნდა იმავე წელში“.*

საშინელება იყო თურქეთიდან შემოსული ეს ჟამი (1810 წელს). იგი თითქმის მთელ კავკასიას მოედო. პირველად გაჩნდა დაღესტანში, ქ. დერბენტის მახლობლად. შემდეგ ალავერდის სპილენძის ქარხანაში მუსრი გაავლო მუშებს, მოედო ქართლ-კახეთს, განჯას, მთელ იმერეთს, ყველა ქალაქს. ჟამიანობამ მარტო აღმოსავლეთ საქართველოში იმსხვერპლა 2.042 კაცი, 1.646 ქალი და 567 ბავშვი და ეს მხოლოდ ოფიციალური ცნობების მიხედვით. მოსახლეობა გარბოდა ქალაქებიდან. ტფილისი და სხვა ქალაქები დაცარიელდა.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით სავალალო იყო მდგომარეობა **იმერეთში**. იქ არაჩვეულებრივმა წყალდიდობამ და უამრავმა თაგვმა გაანადგურა მთელი მოსავალი. ამას გარდა, წყალმა ბევრ ადგილას წაიღო საცხოვრებელი სახლები და დაარჩო დიდძალი პირუტყ-

დიუგუა დე მონპრეს ნახატი „გლეხის კარ-მიდამო იმერეთში“

ვი. ამგვარად **ჯერ წყალდიდობამ და შიმშილობამ, შემდეგ ჟამმა მუსრი გაავლო მოსახლეობას. მეტად მცირე დროის განმავლობაში იმერეთში ამოწყდა 12.000 ოჯახი. ეს ოფიციალური ცნობების თანახმად, რაც, ცხადია, სრული არ იქნებოდა. შიმშილმა და ჟამმა მარტო 1812 წელს 1 მარტამდე იმსხვერპლა 32.750 ადამიანი. ამას გარდა, ლუკმაპურისთვის იმერეთიდან მეზობელ სამფლობელოებში გადავიდა 7.450 კაცი და გაყიდულ იქნა სამუდამო მონობაში 2.000 კაცი ორივე სქესისა. შიმშილი მშობლებს აიძულებდა, „პურის ნატეხისათვის მონად გაეყიდათ თავიანთი შვილები“.**

ჩვენ დრომდე მოაღწია მეტად საინტერესო დოკუმენტმა. ეს დოკუმენტია „ქრონიკონს ქ-ეს აქეთ ჩყიბ (1812) წელსა იანვრის ლ. (30)“ გაცემული ნასყიდობის ბარათი, სადაც ვკითხულობთ:

„ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე, ქრიშობედ კოსტავამ თქვენ თავადს თარხანს დავითს, ასე რომ გამიჭირდა და შიმშილით მიკუდებოდა ჩემი შვილი დარიჯანა და მოგყიდე ეს ჩემი შვილი დარიჯანა და ფასიც სრული გამოგართვი, როგორც გული შემიჯერდებოდა. და ვინც ამისი მოდავე მოგადგეს, პასუხი ჩვენ გავსცეთ. არის მისი მოწამე და გამრიგე ქაქუჩა პაპიძე ამირეჯიბი, მოურავი სიმონა, მე მღვდელს დავითს დამიწერია ამ ქრიშობედას სიტყვით და მოწამე ვარ ამ წერილისა“.

იმავე 1812 წელს იმერელი პ. ჭანტურიძე და მისი მეუღლე მარიამი ნასყიდობის წიგნს აძლევენ იოსებ ციხისთვიშვილს და მის ნაშიერთ: *„...ასე რომა გამიჭირდა და შვილი მოგყიდე... თევდორე და ფასიც სრულად ავიღე, როგორც გული შემიჯერდებოდა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ამაში მოდავე და მოლაპარაკე არავინ გყავდეს“.* ქვემოთ ჩვეულებისამებრ ხელს აწერენ მოწმეები. 1895 წელს ციხისთავს ამ საბუთისთვის მიუწერია: *„როგორც გადმოცემიდან ვიცი, ეს კაცი უყიდიათ ექვს კოდ ფეტვად, რადგან იმ დროს პურძვირობა ყოფილა... ეს ნაყიდი კაცი სიკვდილამდის ემსახურებოდა ჩემს მამა-პაპასაც და გამოცვლილს სახელს ბუჭველას ეძახოდნენ“.*

იმ ხანებში ძალზე ძვირი იყო პური მთელს ა/კავკასია-

© „ᲙᲝᲚᲮᲗᲐᲛᲬᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲜᲘᲡᲯᲐᲤᲝᲡ“

ში. ტფილისში ერთხანს პური სულ არ იყიდებოდა. ბამბაკისა და შურაგელის მცხოვრებნი შიმშილმა აიძულა, დაფანტულიყვნენ მეზობელ პროვინციებში.

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ხშირი თარეში ლეკებისა და თურქებისა, რომელთაც მიჰყავდათ ტყვეები, მიჰქონდათ პური და მიერეკებოდნენ პირუტყვს.

ხელისუფლებას გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად 10.000 მანეთი გადაუდვია. ამ ფულით ყირიმში პური შეუძენიათ. მაგრამ ბიუროკრატიული აპარატისა და მექრთამე მოხელეების წყალობით დამშეულ მოსახლეობამდე ძალიან გვიან და ძალიან მცირე ნაწილს მიუღწევია. ამასთან, ამ მცირე ნაწილის სესხად გაცემის დროს ათასნაირად ატყუებდნენ ზომასა და წონაში და თანაც მორალურად ამცირებდნენ მოსახლეობას.

ტყვეებისა და ყმების ყიდვა-გაყიდვის საქმეში დიდ როლს თამაშობდა სავახშო კაპიტალი. მევახშეობა დამოუკიდებელ წვრილ-მწარმოებლებსა და ყმა-გლეხებს განსაკუთრებით ანადგურებდა ა/კავკასიის მუსლიმანურ პროვინციებში. მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ამ მხრივ საქართველოში.

წარტყვევნის ორგანიზაცია, პირობები და ბრძოლა მის წინააღმდეგ

კავკასიის შესახებ „უახლეს გეოგრაფიულ და ისტორიულ ცნობათა“ შემკრები და გამომცემელი ს. ბრონევსკი საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის შესახებ 1810 წელს სწერდა, რომ ლეკებს ტყვეები ჭარიდან გაჰყავთ (საქართველოზე, ტყეებსა და მთებში დაფარული გზებით) ახალციხეში და აქედან შავი ზღვის ნავთსადგურებში — ბათომსა და ფოთში“.

„მაგრამ იმ მიზნით, — განაგრძობს იგი, — **რომ გაიმრავლონ ტყვეები საქართველოს მცხოვრებთა გატაცებით, ისინი რაზმებად იყოფიან: ერთნი ტყვეებს აცილებენ, მეორენი ცდილობენ ახლების წარტყვევნა-მოტაცებას. ისინი ახერხებენ იმავე ზაფხულს ან შემოდგომამდე ჭარში დაბრუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ**

ზამთარი მოუსწრებთ ახალციხეში სამსახურში უდგებიან ახალციხის ფაშას იმ პირობით, რომ მათ ნება მიეცეთ, ძარცვა-თარეშები მოაწყონ ქართლში, იმერეთში და სამეგრელოში, რაზედაც ისინი ფაშისაგან უარს არ ღებულობენ. ამ სახით ლეკებმა განამტკიცეს თავიანთი კავშირი თურქებთან, დააწესეს რეგულარული მიმოსვლა, საქართველოზე გავლით, დაღისტანისათვის ტყვეების მთავარ სავაჭროებს — ჭარსა და ახალციხეს — შორის, ისე, რომ საქართველო თავისი მძვინვარე მტრების უმწეო მსხვერპლად გადაიქცა".

ს. ბრონევსკი დასძენს, რომ ლეკობა 1800 წლიდან შეწყდაო. ნამდვილად კი იგი, როგორც დავინახავთ, უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა.

თუ რამდენად უძლური აღმოჩნდა პირველ წლებში რუსეთის ხელისუფლება იმისთვის, რომ აღეკვეთა ლეკთა თარეში, ამას მშვენივრად ადასტურებს თვით მეფისავე ოფიცერი **ლოფიცკი**, რომელიც 1806 წ. სწერდა:

„სოფლის მოსახლეობას, რომელიც თავს იიმედებდა იმით, რომ რუსეთის ჯარი უზრუნველჰყოფს მას ლეკებისაგან, რომელნიც იტაცებდნენ, მეტადრე ზაფხულობით მინდვრად მუშაობის დროს, ოჯახებს, ქონებასა და არაიშვიათად სიცოცხლესაც, ვერ გაუმართლდა იმედები, რადგან რუსეთის ჯარის მთავარი ძალები ყოველ ზაფხულობით გადადიოდნენ საზღვრებს (ირან-თურქეთისა) ხოლო მცირე საყარაულოებით არ შეიძლება ამ მტაცებელთათვის გზების შეკვრა ისეთ ვრცელ თავშესაფარ ბუნაგებში, რომლებიც საქართველოს საზღვრებს ყოველმხრივ აკრავენ. ამასთან, ფარული გზები საუკეთესოდაა ცნობილი ლეკებისათვის, რის გამოც მათი თარეში არ სწყდება. ამ ბარბაროსებს ძველებურად მოაქვთ უბედურება საქართველოს ხალხისათვის".

ლეკების თარეშისა და ტყვეთა ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის **პლ. იოსელიანი**:

„მთა ზედაძნისა, არაგვისა პირზედა დამყარებული, პირისპირ მცხეთისა და ღართისკარისა, ანუ ძველად კანონიერად ქართლისა კარისა, იყო კლდედ და კარად დაღეს-

ტანისა, და აქედამ დაეცემოდიან ლეკნი ღართისკარსა და, დატაცებით ტყვეთა, განვლიდნენ ქართლსა და ავიდოდნენ ახალციხეს. დაბრუნებული მუნით, აქავე (ზედაძენს) მოვიდიან და დაბინავდებიან უშიშრად. ესრეთ მდგომარეობასა შინა იყო საქართველო დროთაგან მეფისა ვახტანგისა 1710-გან, როგორც სჩანს წერილთაგანაცა, და ვიდრე 1817-მდე. ამა წელიწადმა შეაწუხა ლეკი და შევიდა თვისთა კლდეთა შინა და ხეობათა, სადაცა ეწია მას ძალი რუსეთისა და შემდგომად გრძელჟამითისა ბრძოლისა დაამორჩილა და დაამშვიდა, დაიმონა და შეაერთა კვალად ქართველთა ვაჭრობითა“.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თავის დროზე, როგორც იგივე პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, გიორგი მეთორმეტემ დაავალა ქიზიყელთ ლეკების განდევნა ზედაზნიდან, მაგრამ მოუხერხებელი გახდა შებმა „ლეკთა 600 კაცთა მუნ მარადის დაბუდებულთა“, რომელთაც იქ ეჭირათ კოშკიანი გალავნით შემორტყმული ციხე.

მაგრამ თარეშს მარტო ლეკები როდი აწყობდნენ.

1817 წელს გენ. ერმოლოვი ბარონ სტროგანოვს, რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს კონსტანტინეპოლში, სწერდა, რომ ყარსის, ახალციხისა და ტრაპიზონის ფაშები აწყობენ **„განუწყვეტელ თარეშს ჩვენს მიწებზე, ეწევიან მტაცებლობას, ატყვევებენ და მიყავთ მოსახლენი, მიაქვთ მათი ქონება და იქამდეც კი მიდის მათი თავხედობა, რომ თავს ესხმიან ჯარისკაცებს და იტაცებენ მათ; თავიანთთან იწვევენ და აწყობენ ლეკებს, ჩვენი ქვეშევრდომი ოლქების მცხოვრებლებს, და აქეზებენ მათ ძარცვა-გლეჯისთვის. ისინი დაასახლეს ჩვენი საზღვრების მახლობლად, რის გამოც არ არის მოსვენება და მყუდროება“.**

ატყობინებს რა ამ გარემოებას, ავალებს სტროგანოვს, ყოველივე ეს აცნობოს პორტას.

მაგრამ, როგორც ეტყობა, პორტა ყურსაც არ იბერტყავდა და თურქეთის საფაშოებიდან თარეში არ სწყდებოდა. 1819 წლის 6 მაისს ერმოლოვი კვლავ სწერს სტროგანოვს, რომ **„ახალციხის საფაშო ღებულობს ლეკებს და ეს უკანასკნელნი იქ ცხოვრობენ მთელ სოფლებად; ისი-**

ნი განუწყვეტლივ ეწევიან მტაცებლობას და თარეშს, რაც მოსახლეობის სითხელის გამო სწვდება ამ ქვეყნის თვით სიღრმეშიო“; ერმოლოვი განსაკუთრებით გაჯავრებულია ამაზე, რომ ახალციხე თავშესაფარს აძლევს „ყველა ჩვენს დამნაშავეს და ბოროტმომქმედს“.

თავის მხრივ, ბარონი სტროგანოვი იტყობინება (1819 წ. 1/5), რომ უშედეგოა ყოველი მისი ცდა, რათა სულთანს შეასმინოს რუსეთის მოსაზღვრე ფაშების თავგასულობა: **„არა მაქვს არავითარი იმედი, მივაღწიო პორტაში რაიმე წარმატებას ჩემი დარიგებითო“**-ო. შემდეგ, როდესაც თვით რუსეთის იმპერატორმა მიმართა სულთანს ამ უწესობათა შესახებ, რუსეთის მთავრობას უპასუხეს: **„მოვლენები, რომლებიც ხდებიან აზიელ მცხოვრებთა შორის, წარმოსდგებიან ადამიანთაგან, რომლებიც დარჩნენ უსახსროდ; რადგან რუსეთი უფრო და უფრო აგვიანებს საზღვრების დაცლას, ასეთი ადამიანები სარგებლობენ ამ შემთხვევით, რომ აწარმოონ ძარცვა-გლეჯა. ხოლო როდესაც ეს საზღვრები სავსებით დაცლილი იქნება და პორტა იმ მხარეში დანიშნავს თავის მოხელეებს, მაშინ ამ მოვლენებს იგი საბოლოოდ აღკვეთს**“. ამგვარად, **თურქეთის მთავრობა მოითხოვდა, დაეცალათ რუსებს იმერეთი, სამეგრელო და გურია, რომლებიც მას თავის სამფლობელოებად მიაჩნდა, და მხოლოდ ამის შემდეგ ჰპირდებოდა წარტყვევნისა და შემოსევა-თარეშის აღკვეთას, საქართველოს მოსაზღვრე ფაშების მოთვინიერებას და ახალციხიდან ლეკების განდევნას. გრ. ნესელროდეც (საგარეო საქმეთა მინისტრი) ატყობინებს ერმოლოვს, რომ თურქეთი მოითხოვს შავი ზღვის სანაპიროების დაბრუნებას და მხოლოდ ამის შემდეგ გვპირდება ყოველგვარი თარეშისა და წარტყვევნის აღკვეთასო.**

ყოველივე ამის შემდეგ გენ. ერმოლოვი თვითონაც აღარ უკრძალავს ჩვენს მოსაზღვრე მოსახლეობას, გამოიტაცოს თურქების ჯოგები და ადამიანებიც კი, თუ ისინი ჩვენს ტერიტორიაზე სათარეშოდ გადმოვლენ. ერმოლოვი, გენ. ველიამინოვს სწერს: „**შეიძლება ასევე მათი წამოყვანა ტყვეებად და გამოდენა ჯოგისა, რომელიც ზამთრობით ჩვენი საზღვრების მახლობლად იმყოფება. ჩვენ ფიქრიც არ შეგ-**

ვიძლია, ავინაზღაუროთ მთელი მათგან მოყენებული დანაკარგი, მაგრამ არ დაგვეძრახება, თუ თარეშის აღკვეთის მიზნით პირველ შემთხვევისთანავე სასტიკად დავსჯით ყაჩაღებს და მტაცებლებს“. რუსეთი არა თუ არ ფიქრობდა, მიეცა თურქეთისათვის შავი ზღვის სანაპიროები, არამედ სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს ართმევდა თურქეთს და, გარდა ამისა, ყოველნაირად ცდილობდა, გადმოებირებინა ხალხი თურქეთის სამფლობელოდან და შეექმნა იქ თურქეთის მთავრობის საწინააღმდეგო სიტუაცია. ასე გენერ. ერმოლოვი 1818 წელს ავალებს ველიამინოვს, გადმოიბიროს ხერთვისის ბეგი მამედ-ალი, რომელსაც თან უნდა გადმოეყვანა 100 ოჯახი, ხოლო სხვა მისი ხელქვეითნი შემდეგ უნდა გადმოსულიყვნენ.

მეორეს მხრივ, ერმოლოვი მუქარით და ლანძღვა-გინებით სავსე წერილებს უგზავნის თვით ახალციხის ფაშას, რადგან ეს უკანასკნელი ინტრიგებს აწყობდა საქართველოში, აქეზებდა და ეხმარებოდა 1820 წელს აჯანყებულთ, გურიასა და იმერეთში, თავშესაფარს აძლევდა მათ. ერმოლოვი ალი-ფაშას სწერს: **„თქვენ არა გაქვთ სიტყვა, გარდა უშვერი სიცრუისა, არა გაქვთ მოქმედება, რომელიც არ ხასიათდებოდეს საძაგელი უნამუსობით. ყველა ვერაგისა და მუხანათისა თქვენ ერთგული მეგობარი ხართ. თავშესაფარს აძლევთ ყაჩაღ ლეკებს, რომლებიც თარეშობენ“ საქართველოშიო.** ყველა ამის გამო ერმოლოვი ემუქრება ალი-ფაშას, „ჩვენც გვნახავთ თქვენს საზღვრებშიო“. თუმცა იმ ხანებში რუსებმა დაამარცხეს და განდევნეს დაღესტნის მფლობელი სურხაი-ხან კაზიყუმუხელი და მის ნაცვლად იმპერატორის ერთგული ხანი დასვეს. მაგრამ დაღესტნელთა შემოსევა-თარეშს მაინც ბოლო არ ეღობება.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, **ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ დაღესტნელი ლეკები და თურქეთის საფაშოებიდან გადმოსული ყაჩაღები. ისინი სძარცვავდნენ ხალხს, ერეკებოდნენ პირუტყვს და ადამიანებს იტაცებდნენ გასასყიდად.** რათა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმ შფოთიან დროზე, მოვიყვანთ თავდასხმის რამდენიმე ფაქტს.

1818 წელს, 7-8 ივნისს ახალციხელ და აჭარელ თურქთა რაზმი იმერეთში შეიპარა და მოულოდნელად თავს დაესხა მახლობელ სოფელს. რაზმი დაეშვა ძალზე დაქანებული მთიდან და შეუმჩნევლად შემოუარა სოფლელთა ყარაულს. ასეთი ყარაულები იმ ხანებში ზაფხულობით დაყენებული ჰყავდათ თურქეთის სამფლობელოებიდან მომავალ გზებზე. მოთარეშეებმა გაიტაცეს გლეხთა ოთხი ოჯახი. ორი ეკუთვნოდა თავად ჩიჯავაძეს, ხოლო ორი — თავ. ლორთქიფანიძეს. ოთხივე ოჯახი შესდგებოდა 20 მამრისა და 19 მდედრისაგან. ამას გარდა თავდასხმის დროს მოკლულ იქნა ორი იმერელი და ორი მოთარეშე თურქი. მოთარეშეთა თავდასხმა მალე გაიგეს და თუმცა ადგილობრივი მცხოვრებნი დაედევნენ, დაეწივნენ კიდეც, მაგრამ შემოსულთა სიმრავლის გამო, ტყვეები ვერ დააგდებინესო, — ატყობინებდა გენ. ლ. ველიამინოვი საქართველოს მთავარსარდალს.

იყო შემთხვევები, როდესაც დადევნებული მცხოვრებნი დაეწეოდნენ მოთარეშეთ და წარტყვევნილებსაც დაადებინებდნენ ხოლმე. მაგალითად, 1819 წლის 9 აპრილს სოფ. ასკანას დაესხა ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, თურქეთის ქვეშევრდომი. იგი შემოიჭრა მთელი რაზმით და გაიტაცა რამდენიმე კაცი. მაგრამ სწრაფად თავმოყრილი გურულები დაედევნენ, დაეწივნენ და ცხარე ბრძოლის შემდეგ ტყვეებიც დაატოვებინეს და დიდი ზარალიც მიაყენეს, როგორც ამას გურიის მთავარი მამია გურიელი გენ. ერმოლოვს ატყობინებდა.

ან კიდევ: 1822 წლის ივლისში „ახალციხელი ყაჩაღები 200 კაცის რაოდენობით“ შეიჭრნენ ვაკის მაზრაში (იმერეთში), მაგრამ უკუიქცნენ, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი „ნამდვილი სამხედრო სიფრთხილით დაუხვდნენ“.

იმავე წლებში ქართლს დიდად აზარალებდნენ ლეკი-ყაჩაღები ბაშაღას მეთაურობით, 1821 წელს მათ გაიტაცეს 4 ყმაწვილი, რომელთა ძებნასაც დიდი დრო შეალიეს პოლკ. ლადინსკიმ და პოლკ. თავ. სავარსამიძემ.

მთელი ამ ბოროტების თავშესაფარი და წამქეზებელი, ადგილობრივი მთავრობის აზრით, იყო ახალციხე და მი-

სი ფაშა, რის გამოც ველიამინოვი 1822 წლის 7 აგვისტოს ახალციხის ფაშას სწერდა: **„განა შეიძლება მეგობრულ განწყობილებად ვიცნოთ ის, რომ ყარსისა და ახალციხის საფაშოებს თავს აფარებენ მტაცებელი ლეკები, რომლებიც, იტაცებენ რა საქართველოდან ადამიანებს, ჰყიდიან მათ ტყვეობაში, ამასთან არა მარტო იტაცებენ აშკარად და თურქეთის მთავრობის მხრივ დაუსჯელად, არამედ თვით გამგებლები ამ სამფლობელოებისა... მოითხოვენ ჩვენგან გამოსასყიდელს“** წარტყვევნილთა დასახსნელადო. მართლაც, ახალციხის ფაშამ სოფ. ყვარლიდან წარტყვევნილი ერთი ყმაწვილის გამოსასყიდლად 3300 ყურუში მოითხოვა. გენ.-ლეიტ. ველიამინოვი, სასყიდლის გაცემის ნაცვლად, ემუქრება ახალციხის ფაშას: თუ მალე უსასყიდლოდ არ დააბრუნებთ იმ ყმაწვილს და ბოდიშსაც არ მოიხდით, იძულებული ვიქნები, უბედური მამის დასამშვიდებლად, შემთხვევა მივსცე მას, გამოისყიდოს თავისი შვილი თურქეთის ქვეშევრდომთა ხარჯზე; ვუბრძანებ აქ ან იმერეთში შეიპყრან ახალციხელი ვაჭარი ან სახელმწიფო მოხელეო.

მაგრამ მუქარა ნაკლებად მოქმედებდა და თურქეთის ფაშები ძველებურად განაგრძობდნენ მოთარეშეთა მფარველობას. 1829 წელს გენ. პასკევიჩი, ირანთან ომში მიღწეული დიდი გამარჯვების მიუხედავად, იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება საქართველოში ჯერ კიდევ შეუძლებელი ხდებაო. არ იყო უზრუნველყოფილი ტფილისის მშვიდობიანობაც კი, სადაც ინახებოდა ჯარის „მთელი მარაგები და საშუალება“. უფრო მეტიც — **პასკევიჩი** გრაფ ნესელროდეს სწერს: **„თურქეთის მხრივ ჩვენი საზღვრები ისე უახლოვდებიან ტფილისს და ადგილმდებარეობა იმდენად ხელს უწყობს ყაჩაღთა ბრბოების თარეშს, რომ არ შეიძლება მოველოდეთ მოსახლეობის გამრავლებას, არც მიწათმოქმედების, მრეწველობისა და ვაჭრობის გაუმჯობესებას მთელ მოსაზღვრე ზონაში, ქართლიდან დაწყებული ჰაჯიბაირამამდე (სომხეთის ოლქში), სანამ თრიალეთში, სომხეთში, შულავერსა და ბამბაკში სათარეშოდ შემოჭრილი მთიელები თავიანთი ნადავლითურთ**

ყარსისა და ახალციხის საფაშოში პოულობენ თავშესაფარს და სანამ ლეკებს, რომლებიც დაღისტნიდან იქითკენვე მიემართებიან, შესაძლებლობა ექნებათ, იქ გაჰყიდონ შირვანიდან, შექიდან და კახეთიდან გატაცებული ნადავლი და ტყვეები, ამას გარდა, თვით ჩვენი საზღვრებიდან გაქცეული ლეკთა და სხვა მთიელ ხალხთა ჯგუფები თავს აფარებენ ახალციხეს, ხერთვისს, აწყურს და ახალქალაქს".

ყველა ამის გამო პასკევიჩს საჭიროდ მიაჩნია თურქეთის ზემოხსენებული სამფლობელოების დაპყრობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანობა საქართველოში და ალაგმულ იქნას თარეში და ტყვეებით ვაჭრობა. პასკევიჩი ამავე მიზნით მოითხოვს ანაპის დაპყრობის ნებართვას. რადგან იგი „შავ ზღვაზე ამჟამად ყველაზე მეტად უწყობს ხელს ტყვეებით ვაჭრობას".

ადამიანებზე „ნადირობის" განვითარებას ხელს უწყობდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მე-19 საუკუნის პირველ წლებში იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს, როდესაც ძალზე საშიში ხდებოდა ცხოვრება უმწეო გლეხობისათვის. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ამა ქვეყნისა ძლიერნი ერთმანეთს არ ებრძოდნენ, საკმაო ხელსაყრელი პირობები არსებობდა იმისათვის, რომ ყოველი სამთავროს შიგნით თავადებსა და აზნაურებს ჩამოეგდოთ ურთიერთშორის შუღლი და მტრობა ან შესეოდნენ მეზობელ სამთავროს. ორივე შემთხვევაში ფართო გზა ეხსნებოდა გატაცებას.

...ტყვეებით ვაჭრობის მთავარი ბუდე მაინც ჩერქეზეთი იყო. მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში „ანაპა იყო ბუდე თურქეთის ყველა საიდუმლო ზრახვებისა. ეს ნავთსადგური გადაიქცა მთავარ, ანუ, უკეთ, ერთადერთ ბაზრად ჩერქეზეთის პროდუქტებისა, ბაზრად, რომელიც კონსტანტინეპოლის ჰარამხანებს აწოდებდა ესოდენ ნაქებ მზეთუნახავებს, ჩერქეზ ქალებს, რომელთა შეძენას ასე სცდილობდნენ ჰარამხანის პატრონებიო", — გადმოგვცემს დიუბუა. აქედან ტყვეების დიდი ნაწილი გაყავდათ ქაიროში, სადაც

ისინი **„ყველაზე საწყალი ადამიანების მდგომარეობიდან ზოგჯერ იმდენად მაღლდებოდნენ, რომ იჭერდნენ პირველ ადგილებს და იქცეოდნენ სულთნებად, ადმირალებად და სხვ“.**

ადამიანებს იტაცებდნენ რუსეთის მეფის სამხედრო სამსახურში მყოფი ადგილობრივი თავადებიც. ამ ჯურის ადამიანთა შორის აღსანიშნავია მაიორი თავ. მაჭუტაძე და მისი შვილი ალექსანდრე, რომელთაც ყაჩაღებისა და გარეწრების მთელი ბანდა ჰყავდათ და რომელნიც სისტემატიურად ეწეოდნენ თარეშებს და წარტყვევნილთა მონებად მიყიდვას ფოთში მოსული მუსლიმანი ვაჭრებისათვის. 1828 წელს გენ. სიპიაგინი პასკევიჩს სწერდა, რომ მაიორი მაჭუტაძე თავისი რაზმით სისტემატიურად „თავს ესხმის მეგრელებს, ხოლო 31 მაისს მათ ტყვედ გაიტაცეს 13 კაციო“. თავ. მაჭუტაძესაც თავისი მფარველი ჰყავდა — გურიელის დედა, სოფიო გურიელი, რომელიც იმ დროს გურიას განაგებდა.

ამგვარად, **საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ადამიანთა წარტყვევნა-გატაცებაში და მონებად გაყიდვაში დიდ როლს თამაშობდნენ არა მარტო გარედან შემოსული მოთარეშენი, არამედ — შინაური თავადაზნაურებიც. სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში მთელი ორგანიზაციები არსებობდა, რომელთა ხელობასაც ადამიანთა წარტყვევნა და მონებად გაყიდვა შეადგენდა.**

ტყვეებით ვაჭრობა და ხელისუფლების ღონისძიებანი მისი აღკვეთისათვის

ქრისტიანთა მფარველობის რუსულ ოფიციალურ პოლიტიკას დიდი მორალური და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ლეკიანობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხისათვის. ლეკთა თარეშმა და ფართომასშტაბიანმა რბევა-აწიოკებამ ათასობით სიცოცხლე შეიწირა, ტყვეთა ბაზრები სავსე იყო საქართველოდან გატაცებული ადამიანებით.

იმ პერიოდში კავკასიისათვის მებრძოლ სახელმწიფოებს შორის რუსეთი შედარებით ძლიერი, ცენტრალიზე-

ბული, საქართველოსთან სოციალურ-ეკონომიური წყობილებითა და სარწმუნოებრივი ერთიანობით დაახლოებული ქვეყანა იყო. ამასთან, მართლმადიდებლური რელიგია ზოგჯერ „უცხოობის“ ზღვარსაც კი შლიდა ერთმორწმუნეთა შორის და ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორიც იყო დასაახლოებლად.

სამეგრელო-აფხაზეთი-ფებელდა-სამურზაყანო

საუკუნეების განმავლობაში თურქეთი წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც ხელს უწყობდა და ყოველმხრივ აქეზებდა ტყვეებით ვაჭრობას დასავლეთ საქართველოში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც, გურიასა და სამეგრელოს გარდა, ტყვეებით ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული აფხაზეთში და, განსაკუთრებით, ჩერქეზეთში. თურქეთიდან მოსული მეხომალდენი ამ სანაპიროებზე ყიდულობდნენ ტყვეებს, როგორც ფულით, ისე უფრო მეტად ადგილობრივი მოთხოვნილების საქონელზე გადაცვლით. მაგრამ ისინი არა მხოლოდ ყიდულობდნენ ადამიანებს, არამედ შესაფერ შემთხვევებში ყაჩაღთა რაზმების (მეკობრეების) სახით გადმოდიოდნენ ნაპირებზე და, ხშირად ადგილობრივი თავადაზნაურობის დახმარებით აწყობდნენ თარეშს — იტაცებდნენ უმწეო მცხოვრებლებს და წარტყვევნილი მიჰყავდათ თავიანთ გემებზე. შავი ზღვა მთავარი გზა იყო თურქეთში და საერთოდ მუსლიმანურ ქვეყნებში ქართველი ტყვეების გასაყვანად.

...რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალით, თურქეთი ვალდებული იყო, რუსეთის მთავრობისთვის დაებრუნებინა აქედან წარტყვევნილნი, და აი რუსეთის კონსტანტინეპოლელი ელჩიც აქეთკენ ჰგზავნის ტყვეობიდან გამოხსნილ ქართველებს. მათ შესახებ იმპერატორი ალექსანდრე I ბრძანებას სცემს (1801 წ. 26 სექტ.), რომ თურქეთიდან დაბრუნებული ქართველები უზრუნველეყოთ „შესაფერი მდგომარეობით“ რუსეთში ან თვით საქართველოში, ხოლო ამ საქმეზე გაწეული ხარჯები, როგორც

იქვე განმარტავს შენიშვნა, უნდა დაფარულიყო საქართველოს შემოსავლიდან.

თვითმპყრობელობა, ერთის მხრივ, იბრძოდა კანონებით ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ — კანონებითვე აწესრიგებდა ტყვეებით ვაჭრობას. 1802 წელს ალექსანდრე პირველმა ნება დართო შოტლანდიელებს, მოეწყოთ ჩრდილოეთ კავკასიაში კოლონია: იმავე დროს მათ უფლება მისცა, ეყიდათ ჩერქეზებისაგან და ყუბანის იქითა მხარეს მცხოვრები თურქებისაგან ტყვეები, რათა ამ გზით გაეჩინათ ყმები. ამასთან, იმპერატორი უკრძალავდა მათ, „ეყიდათ რუსები და ქართველები“, რომელთაც „იტაცებდნენ ჩერქეზები და მონებად ჰყიდიანო“-ო.

ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმპყრობელობა ეხმარებოდა, აგრეთვე, ადგილობრივ მთავრებსა და მეფეებს. დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთისათვის განსაკუთრებით იღვწოდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. მაგრამ ტყვეებით ვაჭრობა იმდენად მომგებიანი ყოფილა, შემოსავლის სხვა წყაროს მოკლებულ ვერაგ თავადაზნაურობისათვის, რომ პოლიტიკურად უძლური მეფის მუქარა მათზე ვერ მოქმედებდა. 1805 წელს იმპერატორისა და დადიანის სახელით ლიტვინოვმა სამეგრელოში გამოაქვეყნა ბრძანება და მოწოდება ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამავე დროს განზრახული იყო ტყვეებით ცნობილი მოვაჭრის — ბეჟან მხეიძის დაპატიმრება. მაგრამ ეს მოუხერხებელი გახდა, რადგან მხეიძე მუდამ ტყეებში ცხოვრობდა თავის რაზმითურთ. ერთი წლით ადრე, 1804 წლის 16 ივნისს სამეგრელოში გამოქვეყნებულ ბრძანებაში ლიტვინოვი აცხადებდა, რომ ტყვეების გამყიდველები დაისჯებიან რუსეთის კანონთა მიხედვით, ე. ი. მთელი ოჯახის წევრებთან ერთად — სიკვდილით. როდესაც ამ დროიდან მათი პარპაში რამდენადმე საშიში გახდა, ტყვეებით მოვაჭრეებმა თავი ფოთის ციხესიმაგრეს შეაფარეს. ფოთი კარგახნის წინათ თურქეთმა იყიდა დადიანისაგან, ე. ი. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, დაეთმო იგი. თურქებ-

მა იქ იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ციხე ააგეს და შიგ თავიანთი გარნიზონი მოათავსეს, რათა ამ სიმაგრის მეშვეობით, ერთის მხრივ, გაბატონებული დამოკიდებულება დაეჭირათ სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან; ხოლო, მეორეს მხრივ, საიმედო დასაყრდენი ჰქონოდათ აფხაზეთში, ჩერქეზეთში და ჩრდილოეთისაკენ შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებ სხვა მუსლიმან ხალხებში თავიანთი გავლენის განმტკიცებისათვის. ფოთი იმთავითვე თურქეთთან ტყვეებით ვაჭრობის ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა გურია-სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროებზე და, რაკი ტყვეებით მოვაჭრენი თავს ფოთს აფარებდნენ, ცხადია, დადიან-ლიტვინოვის მუქარისაგან თავს უზრუნველყოფილად გრძნობდნენ.

სწორედ ასეთი ვითარების გამო, 1805 წლის 29 ოქტომბერს პეტერბურგს გაგზავნილ მიმართვაში პ. ციციანოვი ნებას თხოულობს, „სამეგრელოში ტყვეებით ვაჭრობის საბოლოო ალაგმისათვის“, ჩამოერთვათ დადიანის სასარგებლოდ ადგილ-მამულები ფოთში გადასახლებულ ტყვეებით მოვაჭრე აზნაურებს, რომელთაც „მამულები აქვთ დადიანის სამფლობელოებში, სამეგრელოს ტერიტორიაზე, და რომელნიც აქ მოსავლის ასაკრებად მოსულნი, გაბრუნებისას იტაცებენ ტყვეებს, დაპატიმრების შემთხვევაში ისინი გადაეცეს სამხედრო სასამართლოს დასასჯელადო, მაგრამ პ. ციციანოვის ცდებმა უეფექტოდ ჩაიარა.

როდესაც **1809 წელს გენერალმა ორბელიანმა სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრობის დახმარებით ფოთი აიღო, გახარებული გენერალი ტორმასოვი, საქართველოს მთავარსარდალი, პეტერბურგში გრაფ რუმიანცევს, სხვათა შორის, სწერდა, რომ ფოთის აღებით „აღიკვეთა ყოველგვარი ბატონობა, რომელიც აქამდე არსებობდა ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით; მათი წარტყვევნა ხდებოდა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან; მიჰყავდათ ისინი გასაყიდად ირანში, თურქეთსა და ეგვიპტეშიო“.**

ფოთის აღებით წაქეზებული ტორმასოვი პეტერბურგში ჰგზავნის ახალციხის აღების გეგმას, რაც იმპერატორ-

მა „მეტად მოიწონა“ და რის გამოც გენ. ბარკლაი დე-ტოლი 1810 წლის 14 თებერვალს დარიგებას აძლევდა ტორმასოვს, რომ „საჭიროა ახალციხის საფაშოს მალე აღება... რათა მომავლისათვის მისი მეშვეობით აღკვეთილ იქნას ყველა საშუალებანი საქართველოში (ქართლ-კახეთში) ლეკთა, ოსთა, იმერელთა და თვით ირანელთა თარეშისაო“.

ფოთის აღებამ შესამჩნევად ვერ შეამსუბუქა მდგომარეობა, სწორედ იმ წლებში, როდესაც ფოთში რუსის გარნიზონი იყო დაბანაკებული, სამეგრელოს დედოფალი საქართველოს მთავარმართებელთან გაგზავნილ წერილში ჩივის, რომ „მეგრელი თავადები გიორგი და ბეჟან მხეიძეები გამუდმებით ჰყიდიან ქრისტიანებს თურქებზე და ურწმუნოებზეო“. უფრო მეტიც: როდესაც 1812 წელს სამეგრელოს ადგილობრივმა მთავრობამ ბეჟან მხეიძე დაატყვევა და გადასცა გენერალ რიკჰოფს, ამ უკანასკნელის სიკვდილის გამო, მის ადგილზე მოსულმა გენერალმა ორბელიანმა, ნაცვლად იმისა, რომ გამოეძებნა საშუალება მეორე ძმის დასაპატიმრებლად, თავისუფლება მისცა დაპატიმრებულ თავადსაც, „რომელიც თავისი საქმეების მიხედვით სიკვდილით დასჯას იმსახურებსო“, — ჩიოდა მთავარმართებლის წინაშე სამეგრელოს დედოფალი.

სულ მალე ცარიზმი იძულებული გახდა, ფოთი უკანვე დაებრუნებინა თურქეთისათვის, რასაც მოჰყვა ტყვეებით ვაჭრობის უფრო მეტად გამოცოცხლება. 1813 წლის 16 მარტის თარიღით გენერალ რტიშჩევისადმი გაგზავნილ მიმართვაში ლევან დადიანი იტყობინება, რომ ფოთისა და ანაკლიის დაბრუნებით გათამამებული თურქები აქეზებენ აფხაზებს ტყვეებით ვაჭრობისათვის და რომ „ჯერ კიდევ ხუთი თვეც არ იქნება, რაც თურქებმა დაიბრუნეს ფოთის ციხე და უკვე თურქთაგან წაქეზებულმა აფხაზებმა იქ ჩაიყვანეს და გაყიდეს ჩვენი სარწმუნოების 200-300-მდე კაციო“.

1814 წელს გენერალი მ. სიმონოვიჩი გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევს ატყობინებს, რომ „ამჟამად ფოთში მყოფი სერასკირი სეიდ-სულეიმან-ფაშა და ახალციხელი სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი) აქტიურად მონაწილეობენ და-

სავლეთ საქართველოდან გატაცებული ადამიანებით ვაჭრობაშიო“. ამგვარად, სამეგრელოს მთავრობისათვის რუსეთის სამხედრო ხელისუფლების დახმარებამაც ვერ გაჭრა, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე ალაგმულიყო ტყვეებით ვაჭრობა; აქეთკენ იყო მიმართული, აგრეთვე, მეზობელ თემთა მებატონეებზე ლევან დადიანის გავლენა. მაგალითად, 1815 წლის 29 ნოემბრის თარიღით ლევან დადიანისათვის მიცემულ პირობისა და საფიცარის წიგნში „წებელდის თემის ბატონები თავადი მარშანიები“ — მისოსტ უჩარდიას-ძე, სარალუფ ფულაფსის-ძე, ზერეფსუ ომერის-ძე, რომელთაც წერა-კითხვა არ ცოდნიათ და რომელნიც ამის გამო ლ. დადიანის კარის დეკანოზს, იოანე იოსელიანს აწერინებენ ხელს თავიანთ მაგიერ ბარათზე, პირობას სდებენ, რომ ამიერიდან მათგან არ იქნება: „არცა ტაცება ტყვისა, არცა სხვა რაიმე“ ავის მოქმედება.

მაგრამ როგორ შეეძლო დადიანს მოეთვინიერებინა და ტყვეებით ვაჭრობა აღეკვეცა მეზობელი, თითქმის სავსებით დამოუკიდებელი მთავრებისათვის, როდესაც საკუთარ სამთავროში ვერ მოესპო ტყვეებით ვაჭრობა? სწორედ იმ ხანებში, სახელდობრ 1818 წელს, ლევან დადიანისათვის მირთმეულ „დასტურ-ლამას“ ავტორი ნიკოლოზ დადიანი იძულებული იყო, მთავრისათვის შემდეგი საყვედურისებური დარიგება მიეცა:

„დასდევ ესე კანონი სრულიად სამფლობელოსა თქვენსა, რომელ საზღვარ გარეთ ნურვინ გაჰყიდის კაცსა, რომელიც დამაბრკოლებელი ექმნა მამულსა და სამფლობელოსა თქვენსა. თუმცა-ღა ესე ორჯერ ბრძანეთ, ერთი 1812 და ერთი 1816 წელსა, და აღთქმა დასდევით, არავინ გაყიდოს კაცის სული საზღვართ გარეთ, გარნა არა აღსრულდა აღთქმა იგი და დარღვეულ იქმნა და ყიდიან ისევ კაცსა საზღვარს გარეთ. ხელმწიფევ ჩემო, აღთქმისა და ბრძანებისა შინა იყავ მტკიცე და შეურყეველ“, რადგანო, — დასძენს ბრძენი მთავრის კარისა, — „აღთქმა თვინიერ აღსრულებისა არს შვენიერი ხე თვინიერ ნაყოფისაო“.

ამგვარად, დადიანს სამეგრელოს შიგნით არა თუ ვერ მოესპო ტყვეებით ვაჭრობა, არამედ ყველაზე განთქმუ-

© „ᲙᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ“

ლი ტყვეებით მოვაჭრენი, როგორიც იყვნენ მაგ. ბეჟან მხეიძე და სხვები, თავისუფლად თარეშობდნენ დადიანის საკუთარ სოფლებშიაც კი. დიდხანს დაუსჯელი რჩებოდა მთავრის ხელისუფლებისაგან მეორე ცნობილი მოვაჭრე ტყვეებით და ადამიანთა მტაცებელი აზნაური ბეჟუკი გამსახურდია, რომელიც ბოლოს ოთხი გოგოს მოტაცებისა და თურქებისათვის მიყიდვისათვის, როგორც იქნა, გადაასახლეს ციმბირში. როგორ შეეძლო დადიანს, როდესაც საკუთარი თავადები და აზნაურები ვერ დაემორჩილებინა, რეალურ შიშს ქვეშ დაეყენებია წებელდის მთავრები? და, მართლაც, როგორც ჩანს, მარშანიებისათვის ხსენებულ საფიცარის წიგნს ხელი არ შეუშლია, განეგრძოთ თავიანთი ჩვეულებრივი მესარეწეობა. როდესაც ოციოდე წლის შემდეგ 1837 წ., ურჩმა წებელდელმა თავადებმა მარშანიებმა ბარონ როზენს გადასცეს 40 კაცი ტყვე, რომელთაგანაც ზოგიერთს მათს ტყვეობაში გაუტარებია 15 და 25 წელიწადი, ხოლო ერთ კაცს — 30 წელიწადიც. მარშანიები ხელახალ აღთქმას დებენ, რომ წებელდაში ტყვეებით ვაჭრობა ამიერიდან მოისპობაო...

თვითმპყრობელობა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ იბრძოდა არა იმდენად თავისი საერთო „ცივილიზაციური როლის“ გასამართლებლად, არამედ იმისათვის, რომ ცარიზმი, სხვათა შორის, ზრუნავდა შავი ზღვის სანაპიროებზე რუსული კოლონიების მოწყობისათვის. სანამ იქ ადამიანთა გატაცება და ტყვეებით ვაჭრობა მძვინვარებდა, ცხადია, კოლონიების მოწყობა შეუძლებელი იყო. მაგრამ ცარიზმისათვის არა ნაკლები სტიმულის მიმცემი იყო ის გარემოება, რომ სამხრეთ რუსეთის ვაჭრები იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებს: მათი მიზანი იყო, შეეძინათ აქ ის პროდუქტები, რასაც მათ ანატოლიელი ვაჭრები აწვდიდნენ. მეორეს მხრივ, უნდოდათ ამ სანაპიროებზე შეექმნათ ბაზარი თავიანთი ვაჭრობისათვის და გაეტანათ აქიდან ნედლი მასალა.

ცხადია, ყოველივე ეს შეუძლებელი იყო, სანამ ამ ქვეყანაში არ იქნებოდა უზრუნველყოფილი უშიშარი მიმოსვლა და თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ე.ი. სანამ არ

აილაგმებოდა თვითნება და ყაჩაღი ფეოდალების შეუვალობა, სანამ არ მოისპობოდა თარეშები და მტაცებლობა. სწორედ ამას ისახავდა ერთ-ერთ მიზნად რუსის გენერლების მიერ შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებზე ციხესიმაგრეთა და ნავთსადგურთა დაპყრობა.

მაგრამ ეს ციხესიმაგრეები რუსებმა მალე ისევ დაჰკარგეს და კვლავ დადგა დრო, „როდესაც ფოთი, ანაკლია და სოხუმი თურქეთის ხელში იყო და იმერეთთან, სამეგრელოსთან და გურიასთან მათი ვაჭრობის მთავარ საგანს წარმოადგენდნენ ბიჭები და გოგოები, რომელთაც ისინი (თურქები) ხან ყიდულობდნენ, ხან ცვლიდნენ თავიანთ პროდუქტებზე და ხანაც იპარავდენო“, — გადმოგვცემს 1811 წელს წარდგენილი ოფიციალური ცნობა.

ჩანს, საერთო ეკონომიური დაქვეითების გამო, ადგილობრივი ნაწარმოების მარაგს და ფულად თანხებს მოკლებულ გაბატონებულ წოდებას სხვა არა დარჩენოდა რა, თუ არა საკუთარი ყმების გატაცება და გაყიდვა, რაშიაც მათ აქეზებდა თურქეთის პოლიტიკური ბატონობა და ეკონომიკური გავლენა, რისგანაც დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ვერ შეძლო ცარიზმმა.

ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლებას საზრუნავი გაუხდა ისიც, თუ რა საარსებო საშუალება უნდა გაეჩინა ადგილობრივი გაბატონებული წოდებისათვის მას შემდეგ, რაც ტყვეებით ვაჭრობის მესარეწეობის მოსპობით მას შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო წაერთმეოდა. ცარიზმის მოხელეები აღნიშნავენ, რომ ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთის შემდეგ „ჩერქეზებმა და აფხაზებმა უნდა დაჰკარგონ საარსებო საშუალებათა მოსაპოებელი წყაროო“. იგივე მოხელეები ცდილობენ, „გაუხსნან მათ სხვა გზები არსებობის საშუალებათა მოპოებისა“, რათა არ „იქნან მიყვანილი იქამდე, რომ თავზე ხელი აიღონ, რაც შეიძლება გამოიხატოს ქრისტიანეთა, უპირატესად რუსთა, წარტყვევნასა და ამ ტყვეებით ვაჭრობაში, რაშიაც უკან არ დაიხევს ეს მხეცური ჩვეულების მატარებელი ხალხი“-ო. ხოლო იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია სამხრეთ რუსეთის ვაჭართა წარმომადგენელს, ბრონევსკის ისეთ

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

საშუალებად, რითაც არსებობის ახალი ასპარეზი უნდა შეექმნას ამ ხალხებს, იქვეა ნათქვამი, რომ ეს არის „რუსეთის სანაპიროებთან (იგულისხმება ა/კავკასიის სანაპიროები. — პ.გ.) თავისუფალი ვაჭრობა (ეს არანაკლებად საჭიროა ჩვენი გარნიზონების ამუნაციით მომარაგებისათვის), რაც შეიძლება გახდეს მათთვის ამნაზღაურებლად (დანაკლისისა), მისცემს რა მათ მაგალითს, დასაშვები ღონისძიებებით მოიპოვონ საარსებო საშუალებანი და მოგებაც კი“. ხოლო ყოველივე ამისათვის რუსეთის ვაჭრები ხელისუფლებისაგან მოითხოვენ შავი ზღვის სანაპიროებზე თავისუფალ, ე.ი. ყოველგვარ საბაჟო საფასურისაგან განთავისუფლებულ ვაჭრობას, მაშასადამე, თავიანთთვის პირდაპირ მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას.

არსებულ საერთო პირობებში ამაო იყო ხელისუფლების ყოველგვარი ღონისძიება აფხაზეთში ტყვეებით ვაჭრობის მოსპობისათვის. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში იმ დროს და თვით რეფორმამდეც კი არა თუ ყვაოდა ტყვეებით ვაჭრობა, არამედ ადათ-ჩვეულებით განმტკიცებული იყო აშკარა, პირდაპირი მონობაც, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. კერძოდ, 1861 წელს შედგენილ ოფიციალური მიმოხილვის თანახმად, აფხაზეთში არსებობდა მთელი წოდება ტყვეებისა, უკეთ, მონებისა — აშახალა (აფხაზ. — „ზედმეტი“), რომელნიც, როგორც ადამიანები, არ შედიოდნენ საზოგადოების შემადგენლობაში.

ახაშალა გადადიოდა აგრივას, ახუვეს (გლეხის, მოჯალაბის) წოდებაში, როდესაც პატრონ-მფლობელის ნებართვით ითხოვდა ცოლს და შეძლებდა ცალკე მოსახლკარედ დასახლებას. აგრივა გადადიოდა ანაივას (თავისუფალ, მაგრამ ბეგარა-ვალდებულ მოსახლკარის) წოდებაში, ხოლო მებატონის ყოველგვარი ბეგარისაგან განთავისუფლებული ანაივა იქცეოდა აზატად.

პოლკოვნიკ კონიარის მიერ 1860-1861 წლებში ადგილობრივ წარმოებული გამოკვლევის თანახმად, აფხაზეთში ჩვეულებრივი (ადათობრივი) სამართლით დაშვებული იყო მონად გადაქცევა: 1) თავისუფალ მოსახლკარისა, 2)

გამოსყიდული ტყვისა, 3) შეუძლო მოვალისა 2, 4) გაუსწორებელი ბოროტმოქმედისა, 5) მოღალატეებისა, 6) ნაცთუნები ქალებისა და სხვათა. დამოკიდებული ოჯახები, რომლებიც მონებად იქნებოდნენ გადაქცეული, თავიანთი შრომის მთელ პროდუქტს აძლევდნენ მფლობელ-პატრონს; მათ არ შეეძლოთ წინააღმდეგობა შვილების გაყიდვის დროსაც კი. უცოლქმროებს მათ შორის არ ჰქონდათ საკუთრების უფლება. „ახაშალასთვის, როგორც ნივთისთვის, ინიშნებოდა უბრალო გასასყიდი ფასი“. ახაშალას გასასყიდი ფასი ისაზღვრებოდა მისი სიმაღლით არშინის ჩარექობის მიხედვით. მხოლოდ გოგოს ემატებოდა ფასი სილამაზის შესაბამისად. საერთოდ ახაშალასათვის 450 მანეთი მაქსიმალურ ფასად ითვლებოდა. იმ დროის (1861 წ.) ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, აფხაზეთში 1905 კაცი ახაშალა იყო ორი სქესისა. კონიარს ყველაზე რადიკალურ ღონისძიებად ამ მონათა (ახაშალათა) მდგომარეობის შესამსუბუქებლად, თუკი ხელისუფლება ამის გატარებას მოახერხებდა, მიაჩნდა: „ყოველ მონათმფლობელს ევალებოდეს, მისცეს მონას ცოლი და მიწა და არ მოითხოვოს მისგან ყოველ შემთხვევაში სხვა ბეგარები, გარდა იმათი, რომელნიც დადგენილია აგრივასათვის“.

ეს „რადიკალური ღონისძიებაც“ კი, რომელიც მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ მონები ყმებად გადაექციათ, არ იქნა ცხოვრებაში გატარებული. ჯერ კიდევ 1868 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის თანახმად, სოხუმის ოლქში ითვლებოდა მონათა წოდება:

1) ოჩამჩირის რაიონში 474 მამრი და 243 მდედრი, სულ 717 კაცი; 2) ბიჭვინთის რაიონში 357 მამრი და 204 მდედრი, სულ 561 კაცი. საერთოდ — 831 მამრი და 447 მდედრი — სულ 1278 კაცი.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ჩატარებულმა რეფორმებმა მოუღო აფხაზეთში ბოლო ამ სამარცხვინო მონობას, ისიც მოჩვენებითი სახით; სინამდვილეში კი იგი მერეც კარგა ხანს განაგრძობდა არსებობას, როგორც ფარული, საოჯახო მონობა.

აფხაზეთს დიდად არ ჩამოუვარდებოდა ამ მხრივ სამურზაყანო. 1827 წელს გენერალ სიპიაგინისათვის წარ-

დგენილ მოხსენებაში სამურზაყანოს ვითარების შესახებ პოლკ. ბებუთოვი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოელი თავადები, აფხაზთა მახლობელი მეზობლები, „ტყვეებით ვაჭრობით, ქურდობითა და ყაჩაღობით სავსებით ემსგავსებიან უკანასკნელთო“. შემდეგ ბებუთოვი დასძენს: „მცხოვრებნი სამურზაყანოისა, რომელიც დასტოვა ჩვენმა ჯარმა, ნელ-ნელა ისევ უბრუნდებიან ტყვეებით ვაჭრობას და სხვა არამისატევებელ საქმეებს, რადგან არავისი არ ეშინიათო“.

სამურზაყანოელი თავადები ადამიანებს იტაცებდნენ არა მხოლოდ მეზობელ სამეგრელოსა და იმერეთში, არამედ ერთმანეთშიაც. სამეგრელოს მთავარი ადამიანების გატაცებასა და ტყვეებით ვაჭრობაში ბრალს სდებდა სამურზაყანოელ თავადებს: თემუყვა ანჩაბაძეს, დათა ანჩაბაძეს, ალ. შერვაშიძეს, სესირყვა ემუხვარს და ჯამულეთ მარღანიას. მაგრამ ამათი დაპატიმრება და დასჯა რუსეთის ხელისუფალთ საშიშრად მიაჩნდათ: ***„რადგან თითქმის ყოველ სამურზაყანოელ თავადს, აქვს რა ნათესაური კავშირი აფხაზეთისა და წებელდის თავადებთან, რომ არა ვსთქვათ რა მათს მეზობლობაზე, მეტად ადვილად შეუძლია გააღრმაოს უკმაყოფილება ხალხისა და, ისარგებლებს რა ხელსაყრელი შემთხვევთ, გამოიწვიოს მღელვარება სამურზაყანოში; ხოლო ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც იქ არა ჰყავს სამხედრო ძალა, მეტად გაუჭირდება აღმოფხვრას ბოროტება და აღადგინოს წესრიგი“.***

ამგვარად, თვითმპყრობელობა ყველგან, ემყარებოდა რა თავის უშუალო მოკავშირეს, ადგილობრივ თავადაზნაურობას, ამ უკანასკნელის ინტერესთა სადარაჯოზე იდგა, რამდენადაც ეს ინტერესი, ტყვეებით ვაჭრობა, არ უქმნიდა საფრთხეს თვით ცარიზმის ბატონობას და მიმართული იყო მხოლოდ ადგილობრივი უმწეო მოსახლეობის წინააღმდეგ.

პოლკოვნიკი ბებუთოვი მოითხოვდა სამურზაყანოში საჩქაროდ რუსის ჯარის შეყვანას, რასაც შეეძლო დაებადა შიში და შეექმნა მყუდროება; **ამის შედეგად, დასჯის მოშიშარნი, ხელს აიღებენ „ტყვეებით ვაჭრობაზე, ყაჩა-**

ღობა-მტაცებლობაზე და, ალბად, დაუბრუნდებიან სამეურნეო საქმიანობას“-ო. ხოლო თვით თემუყვა ანჩაბაძე ბებუთოვს სწერს, რომ სამურზაყანოში პირდაპირ ყვავის ტყვეებით ვაჭრობა, რადგან **„ამ ქვეყანაში არ არის უფროს-უმცროსობა, ვინაიდან დადიანს არ გააჩნია საშუალებანი მცხოვრებთა მოთვინიერება-დამორჩილებისათვის“** და არც შერვაშიძეებიდან შეუძლია ვინმეს წესიერად განაგოს ეს ქვეყანაო. თვითონ შერვაშიძეები, ოთხი ოჯახი, რომელიც იქ სახლობს, ერთმანეთს ჰპარავენ და იკლებენ. ბეჟან შერვაშიძემ თურქებს მიჰყიდა ერთი ჩვენი კაციო. თუ როგორ ყვაოდა აფხაზეთსა და სამურზაყანოში მე-19 საუკუნის პირველ ოც წელიწადს ტყვეებით ვაჭრობა და ადამიანთა მოტაცება, აღწერს გადასახლებული ჰასან-ბეგ შერვაშიძე აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორისათვის 1826 წლის 30 აპრილის თარიღით გაგზავნილ ბარათში.

ცარიზმის ხელისუფლება ცდილობდა, შავი ზღვის სანაპიროების „ველური ხალხისათვის“, ჩერქეზებისათვის, აბაზგებისათვის და სხვებისათვის, დაენახვებინა „ევროპული მრეწველობისა და ვაჭრობის“ უპირატესობა მონებით ვაჭრობის ბარბაროსობის წინაშე.

გურია

გურიაში ტყვეებით ვაჭრობა, როგორც ჩანს, თითქმის უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე სამეგრელოსა და სამურზაყანოში, რაც, ცხადია, აიხსნებოდა თურქეთის უშუალო მეზობლობით. დ. ბაქრაძეს მოჰყავს ცნობები გურიის მდივანბეგთა, თავად სვიმონ გუგუნავასა და გიორგი ერისთავის მიერ 1818-1822 წწ. მიღებულ გადაწყვეტილებათა ოქმებიდან ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. მაგ., ოტიელა და კაკაბა კანდელაკიშვილები უჩივიან გოგითაიას, რომ ამ უკანასკნელმა მიიტყუა მათი ნამზითვი გოგო, გარყვნა იგი და მერე გაჰყიდა. სასამართლო ადგენს: თუ გოგითაია 24 მოწმით არ გააბათილებს ბრალდებას, მაშინ ვალდებულია, გადაუხადოს გოგოს გაუპატიურებისათვის და გოგოს მაგიერ მისცეს გოგო სართით;

© „ღვთისგმაცნე“

ან კიდევ: ივანე ჩანტლაძე უჩივის იესელა რამიშვილს, რომ ამ უკანასკნელის შვილმა, გაბრიელმა იესელას დახმარებით მოიტაცა მისი (ჩანტლაძის) გოგო და გაჰყიდა თურქეთში. სასამართლომ დაავალა რამიშვილს, 24 მოწმით გააქარწყლოს მომჩივანის ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისცეს მომჩივანს მეორე ისეთივე გოგო ან გადაუხადოს მისი ფასი, ხოლო თუ იგი ამას ვერ შესძლებს, დამნაშავე გადაეცეს მღვდელ-მთავრის განკარგულებაში და მან განაკანონოსო.

როგორც ხედავთ, ტყვეებით ვაჭრობა გურიაში სავსებით ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ზემოხსენებულ ოქმებში მრავლადაა აღნუსხული ასეთი მოვლენები. ტყვეებით მოვაჭრე სასამართლოში გამოდის როგორც მოპასუხე და იმ შემთხვევაში, თუ მან 24 „მოწმე“ ვერ იშოვა, რათა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მას ეკისრება მომჩივნისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ეს მაშინ, როდესაც იმავე გურიაში და იმავე ხანებში უბრალო ქურდობისათვის — საოჯახო ნივთების, ხარის, ცხენის მოპარვისათვის უფრო დიდი სასჯელი იყო ადათით დაკანონებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ ოქმებიდან მტკიცდება, თუ რა სასტიკი იყო ხალხის განა-

ოზურგეთი, 1830 წ. დიუბუას ნახატი

ჩენი საქვეყნოდ გამოაშკარავებული ტყვეებით მოვაჭ-რეების მიმართ: მათ კოცონზე წვავდნენ. სამწუხაროდ, ეს ოქმები არ დაუბეჭდია დიმ. ბაქრაძეს თავის „არქეო-ლოგიურ მოგზაურობაში“. მაგრამ, აი რას წერს იგი ამის შესახებ: „Что особенно важно в Грурийских протоколах, так это то, что два решения вполне подтверждают факт сожигания живых людей, всенародно изобличенных в пленопродавстве“. მღვდელ გიორგი დუმბაძის მოთხრობიდანაც ჩანს, რომ იმდროინდელ გურიაში კაცისკვლისა და ტყვეებით ვაჭრობისათვის, როგორც მძიმე დანაშაულისათვის, ბრალდებულის გამოსატეხად ხშირად მიმართავდნენ, ე.წ. შანთისა და მდუღარე წყლის დახმარებას, ბრალდებულის სურვილზე იყო დამოკიდებული ამათში ერთ-ერთის არ-ჩევა: კერძოდ, შანთი იწონიდა 1 ოყას, სიგრძით უდრიდა 7 ვერშოკს, ხოლო სიგანით — ადამიანის ხელის გულის სიფართოვეს. ამ შანთს სამგზის გაახურებდნენ ვაზის (და არა სხვა რომელიმე ხის) ანთებული ნახშირით, შემდეგ გა-ხურებულს სდებდნენ მიწაში ჩარჭობილ ორ პალოზე. ბრალდებულს ხელებზე ჩამოაცმევდნენ სათანადოდ გა-მოჭრილ ქაღალდს, რომელზედაც ეწერა მისი ბრალდე-ბა. მას ხელები ქვემოდან უნდა ამოედო და ისე აეღო გა-ხურებული შანთი, რომელსაც სამი ნახტომის მერე დააგ-დებდა. შემდეგ ხელს უხვევდნენ გურიელის მიერ ბეჭედ-დასმული სუდარით და მიჰყავდათ მახლობელ ციხეში, სა-დაც რამდენიმე დღეს დაჰყოფდა. მერე უსინჯავდნენ ხელს და თუ იგი დამწვარი აღმოჩნდებოდა, ბრალდებულს დამნაშავედ იცნობდნენ და გადასცემდნენ დასასჯელად. თუ ხელები დამწვარი არ ექნებოდა, ათავისუფლებდნენ და ასაჩუქრებდნენ თოფით ან ტანისამოსით გურიელი და სხვა თანამდებობის პირნი. დამნაშავის გამოაშკარავების ეს წესი, აგრეთვე, ადუღებული წყალი და ხმალში გასვლა საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც უჭეშმარიტე-სი გზა სიმართლისაკენ. იგი ვახტანგ VI-ის კანონებშიაც არის მიღებული.

დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა ერთი დოკუმენტი, რომელიც მიეკუთვნება 1821 წელს და ეხება ბრალდებულის მიერ შანთის აღებას. ბრალდებულს ბრალად ედებოდა მონა-

წილეობის მიღება ადამიანთა (მთელი ოჯახის) თურქეთში გატაცებაში. ამ ქაღალდს დასტყობია კიდეც გახურებული შანთის კვალი. აი მისი შინაარსი:

„სასწორო და სამართალო, ღმერთო მამაო, ღმერთო ძევო, ღმერთო სულო წმინდავო! გეაჯები მე საწყალობელი აბდურამან ქათამაძე: მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწამება იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი: შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა მოთხარავო: თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი ჩემი სიტყვით და საქმობით მოთხრობილიყოს, ან თავშიდ, ან ბოლოშიდ გამამტყუნე და, რაც მტყუანს უნდოდეს, ის მიქენი; თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი, გამამართლე და ამ რკინის ცეცხლიდამ უვნებლად გამომიყვანე და სხვას ჩემს ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ. შენი სწორმოუფერებელი სამართალი გამოაცხადე ჩემს ცოდვილ თავზე... უფალო ამინ“.

ასეთია ამ საინტერესო დოკუმენტის შინაარსი. შემოქმედელმა მღვდელმა გიორგი დუმბაძემ, ღრმა მოხუცებულმა, მოუთხრო დ. ბაქრაძეს (1873 წელს) ისეთივე მაგალითები, რომლებსაც თვითონ დასწრებია და რომლებიც გამოიხატებოდა შანთის გამოყენებაში.

გურიაში იმდენად გავრცელებული ყოფილა ტყვეებით ვაჭრობა, რომ იქ არა მარტო გურიიდან გატაცებულ უმწეო ადამიანებს ჰყიდდნენ ტყვეებად თურქეთში, არამედ ხშირად იტაცებდნენ თურქებსაც და ჰყიდდნენ მათ გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში. გურიის მდივანბეგთა ზემოხსენებულ ოქმებში (1818-1821 წწ.) ერთგან აღნუსხულია ბეჟანას (გვარი არ არის მოხსენებული) ძიება ონისიმეს წინააღმდეგ, რომ მომჩივანის მამამ მოპასუხის მამასთან ერთად მოიტაცა სამი თათარი, რომლებიც ღირდნენ 1000 მარჩილად და რომლებიც მიითვისა მოპასუხემ. სასამართლო ადგენს: თუ მოპასუხემ მაძიებლის მიერ წამოყენებული ფასის ყოველ ოც მორჩილზე თითო მოწმე არ მოიყვანა თავის გასამართლებლად და თუ მომჩივანის მიერ წამოყენებული ძიება გამართლდა, მოპასუხემ გადაუხადოს ბეჟანას მოტაცებული თათრების ფასის ნახევარი.

გურიაში ტყვეებით ვაჭრობა დიდხანს არ შეწყვეტილა.

ოღონდ ორმოციანი წლებიდან ის თანდათან შევიწროვებას განიცდის. ჰაქსტჰაუზენი, გერმანელი მოგზაური, რომელმაც 1843 წელს მოიხილა გურია, წერს, რომ გურია თხლადაა დასახლებული, შედეგად „თურქთა გამანადგურებელი თარეშებისა და ბავშვებით ვაჭრობისა, რაც ახლაც გრძელდება“-ო.

იმერეთი

იმერეთსა და ქართლში, განსაკუთრებით ახალციხის ყოფილ საფაშოს მოსაზღვრე ნაწილებში, მე-19 საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მოსახლეობა მუდამ საშინელი შიშის ქვეშ იმყოფებოდა, ისე იყო გახშირებული მოტაცება, მოპარვა და წარტყვევნა ადამიანთა, რომელთაც შემდეგ ახალციხეში ჰყიდდნენ. თურქეთ-ეგვიპტის მონათა ბაზრებს უშუალო კავშირი ჰქონდა ახალციხის ტყვეებით ვაჭრობით განთქმულ ბაზართან. ახალციხეში ტყვეებით ვაჭრობის საქმეს თვით ფაშა აწესრიგებდა. ის ღებულობდა მნიშვნელოვან საბაჟო შემოსავალს ამ მესარეწეობიდან.

მრავალი გადმოცემაა ჩვენს დრომდე დაცული იმის შესახებ, თუ რა სიფრთხილეში უნდა ეცხოვრა მოსახლეობას. ყანაში სამუშაოდ მიმავალ გლეხებს, სოფლის მეურნეობის იარაღის გარდა, თან მიჰქონდათ საომარი იარაღიც: თოფი, ხანჯალი, ფარი. ღამე ძილიც არ იყო უზრუნველი. არაფხიზელსა და გაუფრთხილებელს კი მოელოდა თავდასხმა და, თუ მთელი ოჯახის არა, ოჯახის რომელიმე წევრის გატაცება. **მოთარეშე ყაჩაღები ხშირად თავს ესხმოდნენ ფეოდალთა ციხე-დარბაზებსაც, რომ გაეტაცათ ადამიანები და ძვირფასი განძეული.** ამიტომ მზის ჩასვლისთანავე მაგრა იკეტებოდა ციხე-დარბაზებში შესასვლელი კარები. ფხიზლობდნენ დარაჯები. თვით 60-იანი წლების დამლევამდე, მთავრობის მხრივ თურქეთისა და დაღესტნის საზღვრების დაცვის არა საკმაოდ უზრუნველყოფის გამო, საქართველოს თითქმის ყველა სოფლებში შემოღებული იყო სოფლის ყარაულების დაყენება თემში შემავალ გზებსა და ბილიკებზე.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, იმერეთი განსა-

კუთრებით აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა მე-19 საუკუნის მეორე ათეული წლის დასაწყისიდანვე. ამ პერიოდში ძალზე გაახშირეს ფეოდალ-მემამულეებმა გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ აღებ-მიცემობის საგნად გადაიქცნენ არა მარტო ყმები, არამედ თავისუფალი გლეხებიც, რომელთაც ხან ძალით, ხან „ნებით“ ყიდულობდნენ.

1816 წელს წარდგენილ „უქვეშევრდომილეს“ მოხსენებაში გენერალი რტიშჩევი აღნიშნავს, რომ იმერეთში „დღემდე გაბატონებული სიზარმაცისა და უთაურობის“ შედეგად „თავადაზნაურობამ და საერთოდ იმერელმა მემამულეებმა“ ყმა-გლეხები საექსპორტო საქონლად გადააქციეს. ისინი თავიანთ ყმებს ჰყიდდნენ როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე სამეგრელოში, საიდანაც ეს საქონელი „გაჰქონდათ“ თურქეთში.

რათა სავსებით არ „გატიალებულიყო იმერეთი“ მოსახლეობის საზღვარგარეულ ასე ინტენსიური დენით, გენერალმა რტიშჩევმა სპეციალური ბრძანებით აუკრძალა იმერელ თავად-აზნაურობას ყმების საზღვარგარეულ გაყიდვა, ცალობით თუ ოჯახობით. იმავე დროს რტიშჩევმა იმერეთში აღმოაჩინა „მეორე აღმაშფოთებელი ბოროტებაც“, სახელდობრ: მემამულენი თავიანთ ქრისტიან გლეხებს ებრაელებს აძლევდნენ საწინდრად (გირაოდ) ვალში და შემდეგ, რაკი ვალს დიდი სარგებელი ემატებოდა და ვერ იხდიდნენ, დაგირავებულ გლეხებს ჰყიდდნენ ებრაელებზე და „ამგვარი კანონის საწინააღმდეგო გაყიდვა ქრისტეანეთა ისეთ ადამიანებზე (ებრაელებზე), რომელნიც აღვსილნი არიან მტრობით ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ, ჩემის მხრივ მთელის სიმკაცრით იქნას დაუყოვნებლივ აღკვეთილი,“ — დასძენს რტიშჩევი იმპერატორისათვის მირთმეულ მოხსენებაში.

თუ რამდენად უძლური და უნიადაგო იყო მთავრობის ბრძოლა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე იმერეთში, ტყვეებით ვაჭრობა არ მოსპობილა თვით რეფორმამდეც კი. ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს არქივში 50-60-იან წლებშიაც კი გვხვდება პროცესები

ტყვეებით ვაჭრობის თაობაზე. 1859 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის ნამესტნიკის მთავარმმართველობის უფროსთან გაგზავნილ საიდუმლო ბარათში აღნიშნავს, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში, გავრცელებულია „ცხენის ქურდობა, ტყვეებით ვაჭრობა, ქურდობა, კონტრაბანდისტობა და მძარცველობაო“, რაც ხშირად დაუსჯელი რჩება ადგილობრივი პოლიციის უღონობის გამო, რადგან „ცნობილი ქურდები, მძარცველები, კონტრაბანდისტები და ტყვეებით მოვაჭრენი ყოველთვის ნახულობენ დასაყრდენს მოსახლეობაშიო“. გასაგებია, თუ რომელ მოსახლეობაზეა აქ ლაპარაკი. საპასუხო მიმართვაში (1859 წ.) ნამესტნიკის მოადგილე გრიგოლ ორბელიანი მოითხოვს, რომ სასტიკად იქნას დასჯილი და ციმბირში გადასახლებული ის პირები, რომელთაც მძარცველობა, კონტრაბანდისტობა და ტყვეებით ვაჭრობა გადაუქცევიათ „კერძო მესარეწეობად და არსებობის საშუალებად“. ასეთ პირობებში სამოციანი წლების დასაწყისში ხელისუფლება იძულებული გამხდარა, ტყვეებით ვაჭრობისა და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური საყარაულო დაეარსებინა მდ. ნატანებზე, თურქეთში გადასასვლელ ფონთან.

აღმოსავლეთ საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტყვეებით ვაჭრობას ხელს უწყობდა, ერთის მხრივ, თურქეთის, ხოლო მეორეს მხრივ, ლეკეთისა და ოსეთის მეზობლობა. ჭარი და ბელაქანი მთავარი დასაყრდენი პუნქტები იყო ქართლ-კახეთიდან ახალციხეში ტყვეების გადამყვანი ლეკებისათვის. პ. ციციანოვის მიერ 1804 წ. ჭარის აღების შესახებ აკად. ნ. დუბროვინი სწერს: **„ციციანოვი ჭარის აღებით იმედოვნებდა, რომ ამ გზით რამდენიმე ხნით მაინც მოისპობოდა ქართველთა მთელი ოჯახებისა და სოფლების წარტყვევნასა და ძარცვა-გლეჯას, რაც მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებაო“.** მაგრამ პ. ციციანოვის მერეც მთელი რი-

გი მთავარსარდლების ღონისძიებანი დიდხანს ვერ იძლეოდა რეალურ შედეგებს, რადგან ცარიზმის მიერ ყოველმხრივ შევიწროებულ დაღისტნის გაბატონებულ წოდებას არ გააჩნდა არსებობის სხვა საშუალება, თუ არა საკუთარ და მეზობელ ქვეყანაში მოტაცებული გლეხების გაყიდვა. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ მან ქართლ-კახეთში აღკვეთა ლეკთა და ოსთა თარეში და წარტყვევნა, მაგრამ ნამდვილად იგი მთელი ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ზოგჯერ 50-იანი წლების (დაღისტნის დაპყრობის) შემდეგაც იჩენდა ხოლმე თავს.

საქართველოს ე.წ. უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი სასამართლოსა და სასჯელის ექსპედიციის არქივში უხვად მოიპოვება მასალა ამ ტაციობისა და წარტყვევნის შესახებ. მაგ., 1807 წელს მოთარეშენი დაეხსნენ სოფ. გუდამეთას (გორის მაზრა) და ტყვედ წაიყვანეს 3 კაცი და 12 ქალი, რომლებიც ახალციხეში გაჰყიდეს თურქებზე. იმავე წელს დაესხნენ სოფ. ხიდისთავს და სხვ. მარტო ცენტრალური ორგანოს მასალებში ასეთი თავდასხმა და წარტყვევნა აღნუსხულია წელიწადში საშუალოდ 40-50-მდე. მოთარეშენი თავს ესხმოდნენ არა მარტო სოფლებსა და გლეხთა ოჯახებს, არამედ გამაგრებულ ადგილებსაც. მაგალითად, 1857 წელს ლეკები მოულოდნელად თავს დაესხნენ დავით გარეჯის უდაბნოს, გაძარცვეს მონასტერი და თან წაიღეს დიდძალი სიმდიდრე, განძი; გარდა ამისა, ტყვედ წაიყვანეს ბერი მიტროფანე, მორჩილი მიხეილ სერგიშვილი, ორი ყარაული და ერთი რუსი ყმაწვილი.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა მოსატაცებლად თარეშს აწყობდნენ და ახალგაზრდებს იტაცებდნენ ოსებიც, რომელთაც ქართლიდან ტყვეები გასაყიდად ახალციხის საფაშოში გაჰყავდათ. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღნიშნული, რომ ოსები არიან „ტყვის მყიდველნი, განა არათვისთა ჰყიდიანო“, — თითქოს ქართველი თავადაზნაურობის საყურადღებოდ დასძენს ავტორი. მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ქართლში, კახეთში და ოსეთში განთქმული იყო ოსი ავაზაკი გო-

და — „კაცისა და ტყვის მყიდავი, რომელიც მეფე ირაკლიმ გარდააგდებინა ავაზაკობისაგანო“, — სწერდა იოანე ბატონიშვილი.

ჩვენს დრომდე დაცულია მრავალი გადმოცემა და ლეგენდა ამ საშინელ წარტყვევნათა შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა შეეხება დაახლოებით გასული საუკუნის 30-40-იან წლებს. იგი რუსულად ჩასწერა ვ. პოტომ 900-იან წლებში.

შუა ქართლში იყო ერთი უკაცური სოფელი — ზვოლეთი. იქ დარჩენილა მხოლოდ რამდენიმე დანგრეული სახლი და ეკლესია, რომლის კარებთან იდგა მიწაში ჩარჭობილი ორი ქვა. ქვები გარეგნულად ადამიანის ფიგურებს ჰგვანდნენ და მლოცველთა ყურადღებას იქცევდნენ. როგორც ეტყობა, სწორედ ეს გარემოება შექმნილა უშუალო საბაბად ტყვეობათა შესახებ ხალხში მრავლად დარჩენილ გადმოცემათა ლეგენდარულ ფორმაში ჩამოყალიბებისა. ჩვენ ვიძლევით მის შემოკლებულ და თავისუფალ თარგმანს მით უმეტეს, რომ ქართულად ის არსად არ გამოქვეყნებულა:

ოდესღაც ზვოლეთში განთქმული იყო ერთი შეძლებული ოჯახი: ბარძიმის და კეკეს კარ-მიდამო. მათს ბედნიერებას აქარწყლებდა ერთი გარემოება: ცოლქმრობის თხუთმეტი წელიწადი ისე გავიდა, რომ მემკვიდრე არ ეყოლათ. მაისის ერთ მშვენიერ დილას თავისი დარბაზის კარიბჭეზე გადმომდგარ კეკეს მიუახლოვდა დაკონკილ ტანისამოსში ჩაცმული, მხარზე ჩანთაგადაგდებული მოხუცი და მათხოვრის ხელი გაუწოდა. კეკემ თეფშით ფქვილი გამოუტანა. მოწყალების მიმღებმა იგი ღრმად დალოცა. მოხუცებულმა მათხოვარმა თავისი არაჩვეულებრივად კეთილი სახით და გულთბილი დალოცვით კეკეში დასტოვა აზრი: ხომ არ იყო იგი იმ წმინდანთაგანი, რომელთაც დრო და დრო უფალი ჰგზავნის ამ ქვეყნად, რათა გამოსცადოს ადამიანთა გულისთქმანი და აზრები? ეს აზრი დიდხანს აღელვებდა კეკეს და არც თუ ამაოდ: ცხრა თვის შემდეგ მას შეეძინა ტყუპი — ვაჟი და ქალი. ორმა წელმა გაიარა. ბავშვები იფურჩქნებიან, მშობლები ცქერით ვერა ძღებიან.

ერთხელ, პეტრე-პავლეს მარხვის წინ, საერთო ჩვეულე-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

ბისამებრ, ბარძიმის სახლში უხვი სუფრის გარშემო მრავალი სტუმარი შეყრილიყო. ნასადილევს დაღლილი კეკე წამოწვა. მას ეჩვენება ერთი მეორეზე საშინელი სიზმრები. მათი უზარმაზარი დარბაზი ცეცხლშია გახვეული და ვერავითარი ღონისძიებით ვერ ჩაუქრიათ... ამ მარხვის წინ გრძნეული სიზმრები იცის...

დასაღამოვდა და ბარძიმის ოჯახში ალიაქოთი ატყდა: მათი შვილი დათიკო, რომელიც, დედის გაუფრთხილებლობის გამო, გვიანობამდე კარში დარჩა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჯერ ბავშვი სოფელში ეგონათ. როცა იქაც არ აღმოჩნდა, ბარძიმმა თორმეტიოდე ვაჟკაცის თანხლებით ზვოლეთის ტყეს მიაშურა. ეს ტყე ძველიდანვე მტაცებელ ოსთა თავშესაფარს წარმოადგენდა; დაათვალიერეს ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყოველი ასავალ-დასავალი, მაგრამ ბავშვი არსად არ აღმოჩნდა.

სოფელში სხვადასხვა აზრი დაირხა. ერთნი ამბობდნენ, რომ ბავშვი მოიტაცა გველეშაპმა, წმ. გიორგის მონამ, იმიტომ, რომ ბარძიმი უწყალოდ ხოცავდა ირმებს ზვოლეთის ტყეში და არასოდეს არ სწირავდა წმინდანს მსხვერპლად მოკლული ცხოველის რქებს. მეორენი იმ აზრისა იყვნენ, რომ ბავშვი მიწამ ჩანთქა. მაგრამ უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ბავშვი ოსებმა გაიტაცეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მშობელთა მწუხარება მინელდა. ეს ოჯახი მთელი თავის ზრუნვასა და იმედებს ერთადერთ ქალიშვილზე — მართაზე — ამყარებდა. მართას უკვე მეოცე გაზაფხული უდგებოდა და საქმროები მოსვენებას არ აძლევდნენ. მაგრამ მისი გული თავისუფალი იყო. ამ ხანებში ზვოლეთში გაჩნდა ვიღაც უცხო კაცი, რომელიც ამბობდა, რომ ოდესღაც იგი ოსებმა გაიტაცეს და ახლა დაბრუნდა სამშობლოში, რომლის შესახებაც დაწვრილებით არასოდეს არაფერი არ სმენია, რადგან იგი ბავშვობაში წარტყვევნეს... ახალგაზრდები ერთმანეთს შეხვდნენ და მათს გულში ჩასახული სიყვარულის სხივებმა ისინი მალე საკურთხეველთან მიიყვანა, როგორც საცოლე და საქმრო.

ჯვრისწერის დღეა. დამსწრეთა თვალს იტაცებს სილამაზითა და სიყმაწვილით გაბრწყინებული წყვილი. მაგრამ

ყველა ამჩნევდა, რომ ისინი თავდახრილნი, ჩაფიქრებულნი და გაფითრებულნი იდგნენ. ჯვრისწერა გათავდა და როგორც კი ახალგაზრდა წყვილმა გადააბიჯა ეკლესიის ზღურბლზე, ერთბაშად რაღაც უხილავმა ძალამ, როგორც ელვამ, დაჰკრა მათ: — ისინი თვალის დახამხამებაში ქვად იქცნენ და დარჩნენ მარადჟამს მდგომად სწორედ იმ ადგილზე... ღმერთმა არ დაუშვა საზარელი ცოდვა. ეს ჩამოსული უცხო ყმაწვილი იყო უბედური მართას ძმა, სწორედ ის დათიკო, რომელიც ოსებმა გაიტაცეს.

მაგრამ არა ნაკლებ ამაზრზენი და შეუბრალებელი იყო ოსეთის გლეხობას დაპატრონებული ქართველი ფეოდალების თარეში ოსეთში. 1811 წელს ცენტრალური ხელისუფლებისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში არქიმანდრიტი დოსითეოსი აღნიშნავს, რომ თავადები და ერისთავები ოსეთში იტაცებდნენ გასასყიდად ბავშვებს და ამ თავადებისაგან ოსები „терпят неслыханные доселе на Кавказе жестокости; сии владельцы отнимают и продают у них детей, лишая всякого имущества. От того осетинцы ненавидят грузин с их верою, от того и прочие жители Кавказа вооружаются против правительства, думая, что ежели Россия завладеет ими, то они впадут также во власть грузинских князей и будут испытывать ту же бедственную участь“.

1815 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი აფრთხილებს პოლკოვნიკ მიხეილ ერისთავს, რათა „ამ ოსებს არა მხოლოდ თქვენ, არამედ არავინ თავად ერისთავთაგან და თავად მაჩაბელთაგან ამიერიდან არ გაუბედოს ზედმეტი დაბეგვრა და შევიწროვება და მით უმეტეს — მათი შვილების გაყიდვა თურქებზე, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი მათი მემამულეები, რაც, თავის მხრივ, იწვევს ოსთა შემოსევას და თარეშებს ქართლის სოფლებშიო“.

1813-1828 წლებში დაწერილი „კალმასობის“ ავტორი აგვიწერს სოფ. ჭალას თავად აბაშიძეების მიერ ტყვე ოსების გასასყიდად წაყვანის მეტად დამახასიათებელ ეპიზოდს.

ოსეთში იმდენად იყო გავრცელებული ტყვეებით ვაჭრობა, რომ როგორც მეთვრამეტე საუკუნეში, ისე მეცხ-

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

რამეტის პირველ ნახევარში ტყვე-მონა შეადგენდა გაცვლა-გამოცვლის ჩვეულებრივ საგანს. ეს უუფლებო ადამიანები, საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით, საოჯახო მონების კატეგორიაში უნდა იქნან ჩარიცხული. ბარონი ჰაქსტჰაუზენი წერდა (1843 წ.), რომ „ოსებს ჰყავთ მონები, რომელთაც ექცევიან როგორც ოჯახის წევრებსო“.

60-იანი წლებიდან ტყვეებით ვაჭრობა და მონობა ნელ-ნელა წყდება.

დასკვნა

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა საკმაოდ ნათელ სურათს გვიშლის ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. როგორც დავინახეთ, ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში განვითარებული იყო მე-19 საუკუნეშიაც. მე-17 და მე-18 საუკუნეებში ტყვეებით ვაჭრობა, ადამიანთა გაცვლა სხვა პროდუქტებზე ატარებდა სავსებით სისტემატიურ ხასიათს. იგი მესარეწეობის გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებსა და ნორმებში ჩამოყალიბებული დარგი იყო და, როგორც ჩანს, უცხოეთის საქონლის შეძენისათვის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა; ამდენადვე ტყვე საექსპორტო ვაჭრობის ძირითადი საგანიც უნდა ყოფილიყო. ქართველი ტყვეებით ვაჭრობაში განთქმული იყო ანაკლიის, ფოთისა და ახალციხის ბაზრები, როგორც მთავარი საექსპორტო პუნქტები. საქართველოდან წარტყვევნილი და გასასყიდად გაყვანილი ადამიანები უმთავრესად იყიდებოდა თურქეთში და ირანში, გაყავდათ ისინი ეგვიპტის ბაზრებზედაც.

სამეფოებად და სამთავროებად დაქსაქსული საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენელნი ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ უშედეგო ბრძოლას ეწოდნენ. გარემოებამ ისინი ტყვეებით ვაჭრობის მომწესრიგებელ ღონისძიებათა გამომუშავებამდე მიიყვანა, რაც გამოიხატა გარკვეული ბაჟების დაწესებაში ტყვეებით ვაჭრობაზე, ექსპორტსა და იმპორტზე.

იმ დიდმა პოლიტიკურმა ცვლილებამ, რაც საქართვე-

ლომ განიცადა მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე, ხელუხლებლად დასტოვა და ერთხანად უფრო აუტანელი გახადა მისი სოციალურ-ეკონომიური პირობები. ეს გარემოება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ადამიანებით ვაჭრობისათვის. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს პროვინციების დაპყრობა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის უკიდურესობამდე გაღატაკება და დაუძლურება. იმ დაუნდობელ ძარცვასა და ექსპლოატაციას, რომელსაც ეწეოდნენ ადგილობრივი მებატონეები, ჩარჩ-ვაჭრები და მევახშეები, ზედ ერთვოდა ცარიზმის გათახსირებული სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეების პარპაში, — მასების უკანასკნელ საარსებო საშუალებათა ამოქაჩვა ბეგარებისა და ქრთამების სახით.

ხანგრძლივსა და განუწყვეტელ ომებს, ლაშქრობასა და თარეშს, ქვეყნის დაქსაქსვასა და დაბეჩავებას შედეგად მოჰყვა, სხვათა შორის, ოდესღაც განთქმული სარწყავი არხების მოშლა, უმეთვალყურეოდ მიტოვებულ მდინარეთაგან კალაპოტების ხშირი გადალახვა და, მაშასადამე, გამანადგურებელი გვალვიანი და წყალდიდობიანი წლების ზედიზედ განმეორება. ხოლო უკონტროლოდ მიტოვებული და გაუმაგრებელი საზღვრებიდან სხვადასხვა გადამდები სენის (შავი ჭირის, ჟამის) შემოსვლა და გავრცელება — რაც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. იშვიათი არ იყო ისეთი წლები, როდესაც მთელი ეს უბედურება და კიდევ დამპყრობელის მიერ აჯანყებათა ჩასაქრობად და ურჩთა გასანადგურებლად ამოწვდილი სისხლიანი მახვილი შემაძრწუნებელი სისასტიკით დაატყდებოდა ხოლმე თავს საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას.

ასეთი იყო, მაგალითად, 1810-1812 წლები მთელს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, როდესაც, თვით უმაღლესი ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლის ამაზრზენი სიტყვებით რომ ვთქვათ, იმერეთში „მამები პურის ნატეხისათვის სამუდამო მონობაში ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან არაქათგამოლეულ ძუძუმწოვარა ბავშვებს“. ამ დროს მთელი იმერეთის მოსახლეობის მესამედზე მეტი ამოწყდა. ეს არ იყო ამ

© „ღამისფრთიანი ანგელოზი“

მხრივ არც პირველი და არც უკანასკნელი მოვლენა... ათეული წლების განმავლობაში ნადგურდებოდნენ საწარმოო ძალა, უშუალო მწარმოებელი მოსახლეობა. დანახარჯის აღდგენა უფრო და უფრო მცირე ზომით ხდებოდა. ადგილობრივი ნაწარმისა და ფულადი კაპიტალის ყოველგვარ მარაგს მოკლებულ გაბატონებულ წოდებას ისღა დარჩენოდა, რომ ფეოდალური ექსპლოატაცია უფრო მეტად გაეღრმავებინა და სხვათა შორის — ტყვეებით ვაჭრობითაც.

უკუღმართი ისტორიული ვითარების პროცესმა საქართველოს ძველი მონასტრები და ციხე-დარბაზები, რომლებიც ოდესღაც, საუკუნეთა წინათ, წარმოადგენდა თავის დროის მსოფლიოსათვის უმწვერვალესი კულტურის ცენტრებს, ისე დასცა, დააქვეითა და გაანადგურა, რომ მათი ნანგრევები, ხეებითა და სუროთი დაბურული, ქვეწარმავლებთან და ღამურებთან ერთად, ტყვეებით მოვაჭრეთა და წარმტყვევნელ-გამტაცებელთა თავშესაფრებად გადაიქცა.

ტყვეებით ვაჭრობასა და წარტყვევნაში მე-19 საუკუნეშიაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა მეზობელი მუსლიმანური სამფლობელოებიდან წარმოებული შეუნელებელი თარეში. სწორედ ამიტომ შეხვდნენ დიდის თანაგრძნობით მაშინდელი საზოგადოების პროგრესული ელემენტები კაინარჯის სამშვიდობო ტრაქტატს, რომელიც თურქეთში ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას მოითხოვდა. მაგრამ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატმა მოსალოდნელი ეფექტი ვერ მოახდინა. თურქეთი, მართალია, თავაზიანად აწერდა ხელს ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ყოველგვარ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მაგრამ ამავე დროს თურქეთის თითქმის მთელი წარჩინებული წოდება ცბიერი ღიმილით ხელს აფარებდა ტყვეებით ვაჭრობას: ბეგებს და ფაშებს არ შეეძლოთ ასე ადვილად აეღოთ ხელი საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ჩვეულებაზე, ადამიანთა შესყიდვაზე როგორც ჰარამხანების, ისე სამხედრო რაზმების (იანიჩრების შესავსებად. მაგრამ თურქეთზე არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ეგვიპტესაც. ახალციხეში და შავი ზღვის სანაპი-

როებზე იმ ხანებში გავრცელებული ეგვიპტური ფულის სიმრავლე, ჩვენ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ზომით შეესაბამებოდა აქედან ეგვიპტეში გაყვანილ ტყვეთა რაოდენობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის დამდეგს ეგვიპტეში მამელუკების მილიციის შევსება მეტწილად შავი ზღვის ა/კავკასიის სანაპიროებიდან გაყვანილი ტყვეებით ხდებოდა. 1804 წ. 25 აპრილის თარიღით დაწერილ ბარათში საქართველოს მთავარსარდალი, პავლე ციციშვილი, რომელიც არ შეიძლება საქმის კურსში არ ყოფილიყო, ირწმუნება, ***„რომ მთელი მამელუკები ტყვედ ნაყიდი ქართველებისაგან შესდგებიანო“.*** მამელუკები თავის დროზე ისე ძლიერნი იყვნენ, რომ კაპიტალისტური ევროპის ჯარი ძრწოდა მათ წინაშე. ეგვიპტეში ნაპოლეონის ცნობილმა ლაშქრობამ გაანადგურა მამელუკთა სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება. ამ გარემოებამ უმნიშვნელო გავლენა არ იქონია საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის საქმეზე.

როგორც დავინახეთ, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობა შეუძლებელი გახდა ცარიზმის მთავრობის მიერ გამოცემული კანონებისა და მიღებული რეპრესიების მეოხებით. ტყვეებით ვაჭრობა მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა იმ დრომდე, სანამ ქვეყნის საერთო სოციალ-ეკონომიურმა განვითარებამ არ გამოაცალა მას ძირითადი საფუძვლები.

მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან საგრძნობლად მინელდა და მერე თანდათან მოისპო კიდეც ჩვენში წარტყვევნა და ტყვეებით ვაჭრობა. მაგრამ საქართველოს მოსახლეობაში მას შემდეგაც დიდხანს არ აღმოფხვრილა მწარე მოგონებები, ადამიანთა მოტაცებასა და ყიდვა-გაყიდვას რომ დაუტოვებია.

© „ღვინისფერი ბინა ათენში“

ბეჟან გიორგაძე

სამი ქართველი ქალის ამბავი

(ფრაგმენტი)

XVII საუკუნის ფრანგი ანონიმი ავტორი 1695 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში — „ვეცნობით მსოფლიოს. აღმოსავლური მოგზაურობანი. ისტორიული ამბები. სულთნის მიერ შერისხული ქართველი რეტიმას, მისი ჰარამხანელი ამხანაგის მეგრელი რუსპიას, აგრეთვე, სახელოვანი ჩერქეზი ქალის ზისბის თავგადასავალი“ სარწმუნო წყაროებს ეყრდნობა და აგვიწერს სამი ტყვე ყმაწვილი ქალის თავგადასავალს. ავტორის მონათხრობს ხატოვანება და მხატვრულობა აკლია, რადგან შეთხზულ ამბავს როდი გადმოგვცემს. ამ წიგნში გამოყვანილი სამი საბრალო ქალი იმდროინდელი საქართველოს ტიპიური წარმომადგენელი გახლავან. წიგნში მოტანილი ფაქტები ნათლად გვიხატავს, თუ როგორ იტაცებდნენ ბავშვებს მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოდან და როგორ ჰყიდდნენ მონებად მაჰმადიანურ ქვეყნებში. თანახმად ისტორიული წყაროებისა, თურქების ხომალდებს საქართველოდან, მისიონერთა ცნობით, ყოველწლიურად სამი ათასი რჩეული გოგო-ბიჭი გაჰყავდა. შარდენის რწმუნებით, ეს ციფრი ექვსი ათასამდე იზრდება, ხოლო ანონიმი ავტორის მოწმობით, თერთმეტ ათასამდე აღწევს. ისინი საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგული იყვნენ და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე დიდ ფასად იყიდებოდნენ. ასე ემატებოდნენ ქართული მოდგმის საუკეთესო წარმომადგენლები ისედაც მრავალრიცხოვან სხვა ხალხებს. ამრიგად, ანონიმი ავტორის მიერ შემონახული სამი ყმაწვილი ქალის მძიმე ხვედრი ჩვეულებრივი მოვლენაა ისტორიული სინამდვილისა.

XVII საუკუნეში ვერაგი მტრებისგან გაუკაცრიელებულ საქართველოში ასი ათასი კაცი ძლივსღა გადარჩენილა ცოცხალი.

თორმეტ-ცამეტი წლის სამი ასული მძიმე ეპოქის მსხვერპლია და მათ თავზე დამტყდარი უბედურება სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა იმ განუკითხავ ხანაში. ამ წიგნის ცალკეული მაგალითები შედეგია იმ დიდი უბედურების, რამაც ჩვენი ქვეყანა გააჩანაგა და ერის რჩეული შვილები ხელიდან გამოაცალა. იმ დროს, როცა ევროპის სხვა ქვეყნები კულტურულ-ეკონომიკური აღორძინების გზაზე იდგნენ და მრავლდებოდნენ, საქართველო თანდათან კნინდებოდა. ამის მიზეზი კი თურქეთისა და სპარსეთის ბარბაროსული ტირანია იყო.

თითქმის ყოველ ეპოქაში ევროპელები დიდ სურვილს იჩენდნენ, რათა ჩაწვდომოდნენ დიდი სულთნის საიდუმლოებით მოცული ჰარამხანის, ანუ სერალის კარჩაკეტილ ცხოვრებას.

ფრანგი ანონიმი ავტორი ბევრს ეცადა, ეს საიდუმლოება შეეცნო და ნაწილობრივ კიდეც მიაღწია მიზანს. ამ წიგნის მიხედვით, ანონიმი ავტორი სამხედრო საქმის ძალზე გამოცდილი და კარგი მცოდნე ჩანს. იმ დროს ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთს შორის ომი იყო გაჩაღებული. ავტორი ამ თავისებურ ვითარებაში ჩინებულად ერკვევა და, როგორც ამ ამბების მომსწრე, ომის ყველა წვრილმანს აშუქებს და აანალიზებს. ამიტომაც არ გასჭირვებია, გაერკვია და სააშკარაოზე გამოეტანა საგულისხმო ისტორიული ამბები.

ანონიმმა ავტორმა კარგად გამოიყენა სარა შელბის ცნობები. ეს ის ქალია, ვინც მოახერხა, შეეღწია სასახლეში და ამ გზით სულთნის კარის მრავალ საიდუმლოს აჰხადა ფარდა. განსაკუთრებით ნათლად არის გადმოცემული ჰარამხანის ამბები და მაჰმადიანური ადათ-წესები. სულთან მაჰმუდის კერძო ცხოვრებას ავტორი აღწერს რეტიმას, რუსპიას, სარა შელბისა და ანა ბონა გრაციას მონათხრობის მიხედვით. ესენი დაახლოებული იყვნენ სულთნის ტახტთან და ჰარამხანის ყოველ კუნჭულს იცნობდნენ. ავტორმა ძირფესვიანად შეისწავლა სტამბოლის კარის საქმიანობა ზემოთ ხსენებული ქალების დახმარებით, მერე ეს ყველაფერი დაწერა და ევროპაში უთვალა-

© „ღვინისფერი ოინბაზები“

„ჰარემი“ — ნ. კიკალიშვილის ნახატი

ვი მკითხველი გაიჩინა, ალბათ, იმიტომ, რომ ყველა აღუწერელი ამბავი სინამდვილეა და ჰარამხანის საიდუმლოებას ეხება, ავტორმა თავისი ვინაობა დაუმალა საზოგადოებას, რათა საკუთარი თავიცა და სხვებიც ხიფათისაგან გადაერჩინა. ეგებ ქალების სახელები და გვარებიც გამოგონილი იყოს სხვადასხვა მოსაზრების გამო. მაგრამ ერთი რამ ცხადია, აქ მოთხრობილი ამბავი ჭეშმარიტებაა. ჰარამ არაბულად ნიშნავს ხელშეუხებელს, წმინდას. ჰარამხანა მაჰმადიანების სახლის იმ ნაწილს ეწოდება, სადაც მამაკაცებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ ქალები. მუსლიმანების შეხედულებით, ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს, სასულიერო პირი იქნება ის თუ საერო, არც გარეშე მამაკაცებს, შინაურებსაც კი, გარდა სახლის პატრონისა და მისი შვილებისა, ნება არ აქვთ, ჰარამხანის ზღურბლს გადააბიჯონ. გამონაკლისი არიან სულთანი და შაჰი. აღმოსავლეთში გავრცელებული თვალსაზრისით, სამეფო ტახტის მფლობელის ჰარამხანაში შესვლა ბედნიერების საწინდარია.

როგორც წესი, ჰარამხანის სარკმლები ეზოში გადიოდა და ხშირად მაღალი გალავნით შემოზღუდულ ბაღს გადაჰ-

ყურებდა. თითოეულ ცოლს, მოგეხსენებათ, ჰარამხანაში ისინი მრავლად იყვნენ, ცალკე ბინა ჰქონდა.

საუკუნეთა განმავლობაში კონსტანტინოპოლის სულთნის ჰარამხანაში უმეტესად ჩერქეზი და ქართველი ქალები იყვნენ. ქალებს ზანგი საჭურისები დარაჯობდნენ. სულთნის მთავარ შვიდ ცოლს კადუნები ერქვა. ჰარამხანაში რანგის მიხედვით კადუნებს მოსდევდნენ სულთნის მოსამსახურე ქალები, ანუ გედიკლიკები, დანარჩენებს ოდალისკები ეწოდებოდათ. ჰარამხანაში უმაღლესი ხელისუფლება სულთნის დედას, ანუ ვალიდეს ჰქონდა ჩაბარებული.

ანონიმი ავტორის მიერ მოტანილი სარწმუნო ცნობები და ისტორიული ფაქტები ნათელს ხდის წარსული ეპოქის სიდუხჭირესთან ერთად თუ რაოდენ ბარბაროსულად ეპყრობოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს ხელისუფალნი. უუფლებობა და უმწეო მდგომარეობა სასოწარკვეთილ ვითარებას უქმნიდა ყოველ მათგანს. რაღა მოეთხოვება გარეწარ აბრაგს, ცხოვრების ერთადერთ შემოსავლის წყაროდ ტყვეების მოტაცება და გაყიდვა რომ გაუხდია? განა მარტო XVII საუკუნეა ტრაგიზმითა და ყოველგვარი ბოროტებით სავსე, ამგვარივე იყო ადრეული და შემდგომი ხანაც.

სამი ქართველი ასულის გარდა ამ წიგნში საუბარია სხვა ეროვნების ქალებზეც; ისინი მოწმენი ყოფილან სხვათა ფატალური თავგადასავლისა და თავიანთი სიცოცხლეც ტრაგიკულად დაუსრულებიათ. ერთი იმათგანია იტალიელი გოგონა, ვისი სვე-ბედიც ძალზე მძიმე იყო.

იტალიელი მხატვრის ქალიშვილი, სახელად ანა ბონა გრაცია, კატანიაში (სიცილია) დაბადებულა. მართალია, ულამაზო ყოფილა, მაგრამ მინიატურების ხატვის დიდი ნიჭი დაჰყოლია თურმე. თუმცა ის მამის შეგირდი გახლდათ, მაგრამ შემდგომ ბევრად სჯობნიდა მშობელს. თანაც ღვთაებრივი ხმა მიემადლებინა ბუნებას, რითაც ყველას აჯადოებდა. ზღვის სანაპიროდან ეს გოგონა ტრიპოლელმა მეკობრემ მოიტაცა სწორედ იმ დროს, როცა შეიარაღებულმა თურქებმა ქალაქი კანდია ალყაში მოაქციეს. ეს მოხდა 1680 წელს.

გოგონას გამტაცებელს ფულის სიხარბე უფრო ამოქ-

© „ღვთისმეტყველება ათასწლეულ“

მედებდა, ვინემ ავხორცული ჟინი. ტყვე გოგონას, ვისაც ჯერ თხუთმეტი წელი არ შესრულებოდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. უბედურებაში მყოფმა გონება იმდენად მოიკრიბა, რომ თავისი ბატონ-პატრონი კეთილად განაწყო. გოგონა ფიქრობდა, თუ გაყიდვაა, კარგი პატრონის ხელში მაინც მოვხვდეო, ამიტომაც მოასმენინა თავისი მშვენიერი ხმა. მეკობრე იმდენად მოხიბლა გოგონას ხმამ, რომ თავის სუფრასთან დასვამდა ხოლმე და ცდილობდა, მისთვის პირველი ტყვეობის ხვედრი შეემსუბუქებინა.

როცა გოგონა ტრიპოლში ჩაიყვანა, ყაჩაღმა ჰკითხა: რა ხელობა იცი, რომ თავი გაიტანოო.

გოგოს გაგონილი ჰქონდა, მაჰმადიანებს ეზიზღებათ ნახატებიო და ამიტომ არ გაამხილა, ხატვა რომ იცოდა. მეკობრემ იგი მიჰყიდა ტრაპიზონის სანჯაყს, თავისი ჯარით კანდიაში რომ მიდიოდა. სანჯაყი მეკობრისაგან განსხვავებით ავხორცი იყო, თანაც მდიდარი. მან ჯერ ჟინი მოიკლა, შემდეგ გაიარა პირეა, ათენის ნავსადგური და კონსტანტინოპოლისკენ აიღო გეზი. ტყვე გოგონას ამ ხნის განმავლობაში ტყუპი ბავშვი ეყოლა და კინაღამ მუცელს გადაჰყვა. სანჯაყს გოგო აღარ იზიდავდა და გემის ერთ-ერთ მეზღვაურს მიჰყიდა. მეზღვაურმა კონსტანტინოპოლს წაიყვანა ერთადერთი შვილის ძიძად, რადგან ბავშვის დედა იმხანობას მშობიარობას გადაჰყოლოდა.

ასე იქცა ჩვენი ტყვე გოგონა უბავშვო დედად და უქმრო ცოლად. იტალიელი გოგო ბავშვს უვლიდა, მაგრამ ბავშვმა დიდხანს ვერ იცოცხლა, ამიტომაც პატრონმა ზედმეტ ტვირთად ჩათვალა იგი.

ერთ დღეს სასახლის აივანზე გამოსულ ებრაელ ქალს ზღვაზე გადამდგარი ერთი უხეირო ბანიდან სიმღერა შემოესმა. ვიღაც ისე მომხიბვლელად მღეროდა, მსმენელს მალამოდ ედებოდა გულზე. ებრაელმა ქალმა მაშინვე მოისაზრა, ეს გოგო გამომადგებაო. მისმა დიასახლისმა, ბერძენმა ქალმა, უამბო მას ამ ტყვე ქალის უბედური თავგადასავალი. მერე ორთავენი მივიდნენ, როგორც მეზობლები, მეზღვაურის ბინაზე და კარზე დააკაკუნეს. აივანზე გადმოდგა მომღერალი ტყვე ქალი. აქამდე არც ერთ

მათგანს არ ენახა იგი. რადგან იტალიელ გოგონას უკვე შეესწავლა თურქული ენა, უპასუხა, ჩემი პატრონი შინ არ არის, მე კი დამწყვდეული ვარ და, რომ მოვა, შემიძლია გადავცე თქვენი სურვილიო. მომღერალ ქალს ჰკითხეს, რა ყოფაში ხარო. იმანაც უპასუხა. ამ დროს მეზღვაურიც მოვიდა. მან პირდაპირ უთხრა: თუ იმდენს გადამიხდით, რაც ეს ქალი დამიჯდა, თქვენთვის დამითმიაო. მაშინვე შეთანხმდნენ. ებრაელმა ქალმა გოგო იმავე საღამოს წაიყვანა.

ეს ებრაელი ქალი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე მეზღვაური. მყისვე ივარაუდა, რომ ასეთი ხმის პატრონი სასახლეში ადვილად შეაღწევდა. ტყვე ქალმა, თითქოს განზრახვას მიუხვდაო, უთხრა: ჩემო პატრონო ქალბატონო, იქნებ როგორმე ხელი შემიწყოთ, რომ ადამიანს დავემსგავსო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერს წაგებთო.

ებრაელი ქალი გაახარა მისმა გულახდილობამ. მან უამბო, რა საცოდაობაც ხდებოდა სულთნის სასახლის კარზე, არც ის დაუმალავს, რომ ფრიად საშიში იყო იტალიელი ქალის იქ გამოჩენა. საფრთხე რომ აეცდინათ, ჭკვიანურად უნდა ემოქმედათ. იტალიელ გოგოს უნდა განეცხადებინა, მე ამ ქალის დისწული ვარ, წარმოშობით ებრაელიო. ამასობაში გოგონას ებრაული ადათ-წესებიც უნდა შეესწავლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა იტალიელი ანა ბონა გრაცია ცოტათი მომჯობინდა, სრასასახლეში მივიდა, როგორც იმ ებრაელი ქალის დისწული. სარა შელბი ძალიან აქებდა თავისი დისწულის, მომხიბლავ ხმას და კარგ ყოფაქცევას. ამას იმ მიზნით აკეთებდა, რომ სასახლეში მყოფ ქალებს მოესურვებინათ, შესულიყო ანა სერალში, სადაც დიდი საჩუქრებით აავსებდნენ. ამ დროს სულთნის ჰარამხანაში შემოიყვანეს ორი ახალი მშვენება. ამათ შეძლეს მოეხიბლათ ყველაზე ანჩხლი საჭურისიც კი, ვისაც უამრავი ლამაზმანი ენახა.

ახლა საჭიროა, გავეცნოთ, თუ როგორ მოხვდა სულთნის ჰარამხანაში ეს ორი უმშვენიერესი ქართველი ასული.

* * *

© „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲡᲙᲐᲚᲘ“

თურქების შემოსევებმა გააჩანაგა მთელი შავი ზღვის სანაპირო, მეოტიის ჭაობები დონისა და დუნაის მთელ სიგრძეზე, ასტრახანის ზემოთ ვოლგის შესართავამდე, მთელი ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და ჩერქეზთა მხარე. თუმცა აღნიშნული ქვეყნები იმ დროს ხარკისაგან თითქოს თავისუფალი იყვნენ, მაინც უნდა გაეღოთ მსხვერპლი — რჩეული ტყვეები უნდა წარეგზავნათ თურქეთის დიდი სულთნისათვის, ხოლო სპარსეთის შაჰისათვის — ფული, ზოგჯერ კი პირუკუ — სულთნისათვის ფული და სპარსეთისათვის — რჩეული ქალ-ვაჟები. ჩერქეზეთს თავზარი დასცა ამ უჩვეულო ხარკმა, სულთნის კარისთვის მიეცა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ასულები, მზესავით რომ ნათობდნენ მთელ დედამიწაზე.

მართალია, იმხანობას კასპიის ზღვის მეკობრეების თარეში რამდენადმე შემცირდა ჩერქეზეთში, რადგან სხვა პროვინციებთან შედარებით ის უფრო დაშორებული იყო შავ ზღვას. მეკობრეები ძნელად უდგებოდნენ ჩერქეზეთს, ამიტომ მისი ძარცვა-რბევა კასპიის ზღვის აბრაგებს მიანებეს.

თურქების თარეშმა ზისბის დედა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რადგან მისი ქალი ჩერქეზეთის ულამაზეს ასულად ითვლებოდა. მან იცოდა, რომ თურქეთის დიდ სულთანს პირველ ზვარაკად მის ასულს შესწირავდნენ გაისად. ამის გამო გადაწყვიტა, თავისი ქალი ზემო ქართლში წაეყვანა. ზაპოროჟიეს კაზაკები უფრო ხელგახსნილები იყვნენ შავ ზღვაზე, ვიდრე კასპიის ზღვის მეკობრეები, რადგან ისინი შეეკრნენ ორივე მხარის ზღვის აბრაგებს — გურია-იმერეთისა და სამეგრელოს ყაჩაღებს, მრავალ ლამაზ გოგოს რომ იტაცებდნენ. მათ ეს ამბავი შეატყობინეს კაზაკთა ატამანს — დოროშენკოს, კონსტანტინოპოლის ძლიერი კარის მხარდაჭერას რომ ეძიებდა პოლონეთის სამეფოს წინააღმდეგ აჯანყებისთვის. სამაგიეროდ ჰპირდებოდა, კავკასიის ქვეყნებს — საქართველოსა და ჩერქეზეთს დაგიმორჩილებო. კაზაკთა მეთაურს დიდ სულთანთან დასაახლოებლად ძღვენი სჭირდებოდა და, რაკი იცოდა, რომ მისი ყმები მოხეტიალე აბრაგებად იქცნენ და კავკასიელ ყმაწვილებსა და მომხიბვლელი სილამაზის გოგო-

ებს იტაცებდნენ, გამოგზავნა თავისი ხელქვეითი კუნიშკი. მას უნდა მოეკლა კაზაკთა გენერალი და მასთან მყოფნიც, გამოეტაცებინა გოგოები და დიდი სულთნისთვის საჩუქრად მიერთმია. ამასთან, კუნიშკის სხვა საიდუმლო დავალებაც უნდა შეესრულებინა.

კუნიშკიმ ყირიმის სახანოს (მცირე სათათრეთის) პასპორტი მიიღო და დამშვიდებული გაუდგა გზას. თან მიჰყავდა სამი ლამაზი ტყვე გოგო. დარწმუნებული იყო, რომ მათ კონსტანტინოპოლში ჩაიყვანდა, მაგრამ მაინც შიშობდა, იცოდა, რაოდენ ძნელი იყო, ისე მიეგვარა დიდი სულთნისთვის უმშვენიერესი ქალწულნი, ვინმეს არ მოეკრა თვალი ან არ გაეგო. ამიტომ გადაწყვიტა, მგზავრობა ტრაპიზონიდან გაეგრძელებინა.

მალე ყირიმის ხანის უმცროსმა შვილმა, სულთანმა გალგამ ბრძანება მიიღო, თავად წასულიყო, შავი ზღვის მთელ სანაპიროზე აღეკვეთა ყირიმის თათრების თარეში და მათი ურდოებიც გაენადგურებინა, რადგან ხალხის ჩივილმა უკვე კონსტანტინოპოლს მიაღწია. გალგამ სასწრაფოდ განამზადა მცირე ხომალდები.

კაზაკები ვერაფრით ვერ მოახერხებდნენ სულთან გალგასათვის თავის არიდებას. მის წინაშე უსათუოდ უნდა წარმსდგარიყვნენ. ხომალდის დარაჯად ერთი კაზაკი დატოვეს, სამნი კი სულთან გალგას ეახლნენ. სულთანს წინდაწინ შეატყობინეს, თუ ვის მალავდნენ ხომალდზე. გალგამ ცივად მიიღო კაზაკები. შემდეგ ჰკითხა: ვინ ხართ ან საით მიდიხართო. მათ პასპორტები უჩვენეს, სხვა არაფერი უპასუხნიათ. სულთანმა გალგამ თქვა: თუმცა მამაჩემის მოხარკემ დოროშენკომ გამოგგზავნათ, მაინც უფლება არ გაქვთ, ამ ქვეყნის გოგოები მოიტაცოთ და ოსმალეთის სამეფოს კანონიც შებღალოთო.

მათ უპასუხეს, ჩვენ ეს საქმე არ გვეხება, რადგან ვაჭრები არ ვართო. გალგამ ბრძანა, ხომალდი გაეჩხრიკათ. ასეც მოიქცნენ და — სამი ლამაზი ტყვე გოგო ნახეს. ისინი სულთან გალგას მიჰგვარეს.

სულთანი გალგა გაოცებული უყურებდა, მთელი თხუთმეტი წუთი ხმა ვერ ამოეღო, იმდენად მოაჯადოვა მათმა უჩვეულო სიტურფემ. როცა გონს მოვიდა, გაოგნებულ-

© „ᲙᲝᲚᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ“

მა ესღა იკითხა, სად იპოვეთ ეს სამი უმშვენიერესი ასული, რომელთა მსგავსი ჯერ ჩემს თვალებს არ უხილავსო.

კაზაკებმა უპასუხეს, ორი გოგო ყაჩაღებმა მოიტაცესო იმერეთ-ქართლში, მესამე კი — სამეგრელოში. თავი იმართლეს, ჩვენ არ მოგვიტაცნია, ჩვენ მხოლოდ ვიყიდეთ ისინი, რათა დიდ სულთანს საჩუქრად მივგვაროთო.

მათ ეგონათ, რომ სულთან გალგას ეს პასუხი სავსებით დააკმაყოფილებდა. მაგრამ ცბიერმა სულთანმა ხერხი იხმარა და უთხრა: მოტაცებამდე უსათუოდ ეს გოგოები ტახტის მემკვიდრისათვის უნდა გეჩვენებინათო. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ასულების სილამაზისაგან რეტდასხმულს თვითონაც არ გაეგებოდა, რას ლაპარაკობდა.

კაზაკებმა სულთან გალგას პირველად ჩერქეზი ასული, მშვენიერი ზისბი აჩვენეს, მეორედ — მეგრელი გოგო ანა რუსპია, თერთმეტ-თორმეტი წლისა. მოგრძო პირისახეზე ვარსკვლავებივით უბრწყინავდა ცისფერი თვალები; ქერა თმა, ძალიან პატარა ბაგე-პირი და მარგალიტივით კბილები ჰქონდა, თეთრი მარმარილოსავით ყელი. წლოვანებასთან შედარებით დიდი ტანისა იყო. უზადო კანი ჰქონდა მთელ სხეულზე, სიარულის დროს ისე სასიამოვნოდ ირხეოდა, ზედ ეტყობოდა კეთილშობილური წარმომავლობა. სულთანი გალგა დაჟინებით შესცქეროდა პირველს, მეორე ნაუცბათევად შეათვალიერა, მხოლოდ ერთხელ ამოიოხრა, თან იმ მხარეს გასცქეროდა, საიდანაც მესამე შემოჰყავდათ.

ეს მესამეც ქართველი გოგო იყო, სახელად ფედე რეტიმა, თორმეტ-ცამეტი წლისა, უზადო სიტურფის პატრონი. ისეთი დიდებული სახე ჰქონდა, ისეთი გამოხედვა, რომ თვით სულთანსაც კი რეტი დაასხა. მისი დიდრონი შავი თვალები ცეცხლს აფრქვევდა. ფედე რეტიმას თეთრი პირისკანი ჰქონდა და კუპრივით შავი თმა. არც ერთ კალამს არ ძალუძს მისი სილამაზის აღწერაო, განცვიფრებული ამბობს ანონიმი ფრანგი ავტორი, ვისაც პირადად ჰყავდა ნანახი ფედე რეტიმა.

როცა სულთანი გალგა თავს მოერია, ამოიოხრა და თქვა: ჰოი, დიდო ბატონო, ოსმალეთის იმპერიის დიდად

ბედნიერო ხელმწიფევ, რომ იცოდე, როგორ მშურს შენი!

შემდეგ მიუბრუნდა კაზაკების წარმოგზავნილს და უთხრა: სიამოვნებით გრთავ ნებას, წაიყვანოთ ესენი, ხოლო ეს, მან ზისბის დაადო ხელი, უმჯობესია ჩემთან დარჩეს, იგი ჯერ ცხრა წლისაც არ არის. თავისი სამშობლოს მაცოცხლებელ ჰაერზე იგი უკეთ შეინარჩუნებს თვალწარმტაც სილამაზეს, ვინ იცის, იქნებ სხვა ქვეყანაში ვერ გაიფურჩქნოს მისი მშვენება. გავა წლები, მომწიფდება და დიდ სულთანს შემდეგ ეახლებაო.

თუმცა კაზაკების გამოგზავნილები სულთან გალგას უმტკიცებდნენ, დიდი სულთნისათვის სხვადასხვა ასაკის ასულნი საგანგებოდ შევარჩიეთო, მან აინუნშიაც არ ჩაგდო მათი სიტყვა, ზისბი და დედამისი თავისთან დაიტოვა, ორი გოგონა კი აბრაგებმა იალქნიანი ხომალდით კონსტანტინოპოლისაკენ წაიყვანეს.

როგორც კი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, რუსპია და რეტიმა მაშინვე სასახლეში მიიყვანეს.

თვრამეტი თვე გაატარეს რუსპიამ და რეტიმამ სრასასახლეში და დიდ სულთანს ჯერ კიდევ არ ენახა ისინი. ეს საცოდავი არსებანი, არნახული სილამაზის მქონენი, განთქმული კადუნის მაიუმას ხელში მოხვდნენ. ეს ქალი დაბადებით ხიოსელი ბერძენი იყო, ძალიან კარგად მიღებული დიდი სულთნის კარზე. ორმოცდაათი წელი ერთგულად იმსახურა სრასასახლეში და ყველაზე უფრო მშრომელი კადუნი იყო სულთნის სერალში.

ახალი ტყვე გოგონების გამოჩენამ სულთნის ჰარამხანაში ცნობისმოყვარეობა აღუძრა იქ მყოფ ქალებს. ჰარამხანის გამგე ქალმა მაიუმამ სულთანს აცნობა ახალი ამბავი და აუწერა ჯერ კიდევ ნორჩი გოგოების არაჩვეულებრივი სილამაზეც.

მაჰმუდმა მოითხოვა, თავისი სასახლის ფანჯრიდან დაენახვებინათ ისინი. როცა მან თვალი მოჰკრა მრავალ ქალს შორის სილამაზით გამორჩეულ რუსპიასა და რეტიმას, დიდხანს ვერ მოსწყვიტა მზერა, მაიუმას კი უბრძანა, საგანგებოდ ეზრუნა გოგონებზე.

როგორც ითქვა, ანა რუსპია და ფედე რეტიმა ჯერ თორმეტ-ცამეტი წლისანი იყვნენ. ჰარამხანის წესდების მი-

© „ღვთაებრივი სილამაზე“

ხედვით კი ესენი სიმწიფის ასაკს მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიაღწევდნენ. სწორედ ამ ასაკში გაიფურჩქნებოდა სრულად მათი მშვენებაც.

იმხანობას საიდუმლოებით მოცული ჰარამხანის სასახლეში მაიუმას ნებართვით გზა ხსნილი ჰქონდა ებრაელ ქალს — სარა შელბის და მასთან მყოფ იტალიელ გოგონას, ანა ბონა გრაციას. თუმცა ანა ბონა გრაცია ულამაზო იყო, სამაგიეროდ არაჩვეულებრივად მომაჯადოებელი ხმა და მხატვრობის ნიჭი მიემადლებინა ბუნებას. ამიტომ ყვავილებს ამოფარებული წკრიალა ხმით მომხიბვლელ იტალიურ სიმღერებს მღეროდა, თან სხვა ქალებისაგან მალულად ხატავდა ღვთაებრივი სილამაზის რუსპიასა და რეტიმას. გარეთ გამოტანილ სურათებს სარა შელბი ჩუმად ჰყიდდა ძალიან დიდ ფასად. იტალიელი ყმაწვილი ქალი ანა ბონა გრაცია რამდენჯერაც შევიდოდა ჰარამხანაში, იმდენჯერ გამოჰქონდა ლამაზი რუსპიასა და რეტიმას სხვადასხვა სურათი, ახლო აღმოსავლეთის ყველა ბაზარზე სილამაზის მოტრფიალე მუშტარს რომ პოულობდა. ასე გრძელდებოდა ორი წელი. მაგრამ ერთხელაც ფედე რეტიმას პორტრეტი სარა შელბის ნათესავმა ალეპოს ფაშას უფეშქაშა. იგი იმდენად მოაჯადოვა ამ სურათმა, რომ განიზრახა სულთნის გულის მოგება და მას გაუგზავნა. სტამბოლის სულთანი მაჰმუდი ძალიან გააოცა ულამაზესი ასულის სურათმა და ნახატი დიდხანს გულისყურით ათვალიერა. სულთანს ეცნაურა ქალის ჰაეროვნება თუ სინატიფე და მის მრავალრიცხოვან ჰარამხანის მობინადრეთა შორის ფედე რეტიმას მიამსგავსა, მაგრამ მაინც ვერ დაიჯერა, რომ ულამაზესი რეტიმას სურათი ასე შორს, ალეპოს ფაშას ხელში შეიძლებოდა მოხვედრილიყო. თავისი ეჭვების შესამოწმებლად სულთანმა უხმო საჭურის ბაშს — მას ევალებოდა ქალებზე უხმო თვალყურის დევნება და ჰარამხანის საიდუმლოების დაცვა — და ჰკითხა საჭურისს: სურათზე გამოსახული ქალი ხომ არ გეცნობაო. კიო, უპასუხა საჭურისმა, ეს სწორედ ლამაზი ფედე რეტიმაა, ღვთის სწორი! — მერედა როგორ მოხვდა შორეულ ქვეყანაში ჩემს ჰარამხანაში მყოფი ქალიშვილის სურათი? — მძვინვარებდა სტამბოლის სულთანი მაჰმუდი.

შეძრწუნებულმა საჭურისმა სიკვდილისაგან თავის დასახსნელად გამოძებნა სიმართლესთან მიახლოებული მიზეზი: სანამ რუსი კაზაკები თქვენი უდიდებულოსების ჰარამხანაში ამ ორ ოდალისკს მოიყვანდნენ, ალბათ, მანამდე დაუხატიათ ეს სურათი და ფულის მოსაგებად მთელ ქვეყნიერებაზე გაუვრცელებიათო. ეს სურათიც ერთი იმ მრავალთაგანი იქნებაო.

ეჭვით შეპყრობილი სულთანი ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა. მოიხმო თავისი ჰარამხანის უერთგულესი ქალი მაიუმა და მასაც იგივე კითხვა დაუსვა, რაც საჭურისს. სულთანმა სასახლის საიდუმლო ფანჯრიდან გადაახედა მაიუმა და უბრძანა: აბა, შეხე იმ მშვენიერ რეტიმასა და ამ სურათს, ხომ სწორედ მისი ასლია და სხვა არავისიო! გულგახეთქილი მაიუმა, სიკვდილის მოლოდინში პირქვე დამხობილი, ეამბორებოდა სულთნის ფეხებს, აქვითინებული შესთხოვდა შეწყალებას და ეფიცებოდა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და ჰარამხანის საიდუმლოება არსად არ გაუმჟღავნებია, არც მხატვარი შემოსულა ვინმე, რომ პირმშვენიერი რეტიმა დაეხატოსო. შესაძლებელია ვინმემ აქ მოყვანამდე დახატაო. სულთან მაჰმუდმა უთხრა: როცა ფედე რეტიმა მოიყვანეს, მაშინ ის თორმეტ-ცამეტი წლისა იყო, ამ სურათზე კი იგი უკვე თოთხმეტი-თხუთმეტი წლისაა და სილამაზითაც მზის სადარიო.

კადუნმა სიკვდილს რომ გადაურჩა, უბრძანა ებრაელ ქალ სარა შელბის, შემოეტანა სურათები (ესენი იყო დიდი ვეზირის, ევროპის უფლისწულების, სულთნის ჯარის სარდლებისა თუ ოფიცრების სურათები 25 წლის ასაკიდან 50 წლის ასაკამდე). მაგრამ ვაფარი ებრაელი ქალი განა ასე ადვილად დაეხსნებოდა სარფიან საქმეს? ერთხელაც საჭურისმა ბაშმა შეამჩნია, რომ ებრაელ ქალს ჰარამხანაში შემოჰქონდა მამაკაცების პორტრეტები და მაშინვე დაიჭირა. ახლა კი მიხვდა იგი, რა გზით გადიოდა ჰარამხანიდან პირმშვენიერ ასულთა სურათები მსოფლიო ბაზარზე. ჰოდა, თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ჩვეული სისასტიკე გამოამჟღავნა. როცა დიდი სულთანი შიდა ანატოლიაში ნადირობით ერთობოდა, ღამის

© „ღამისფრთიანი ობოლი“

ორ საათამდე დაამწყვდია სარა შელბი სერალის ერთ გუმბათში ზღვის პირას. შუაღამისას სამმა ბოსტანჯმა მიახრჩო ქალი და წყალში გადააგდო იმავე კარიდან, საიდანაც გაბრძანდებოდა ხოლმე დიდი სულთანი სრასასახლიდან ზღვის სანაპიროზე სასეირნოდ.

სარა შელმის ხელზე აღმოაჩნდა კონსტანტინოპოლის მამაკაცების უცნობი პორტრეტები, ევროპის გარეთ მყოფი უფლისწულებისა და დიდებულთა სურათები, რომიდან და სხვა ქალაქებიდან რომ უგზავნიდნენ, რათა სამაგიეროდ მასაც გაეგზავნა ბერძენ ლამაზ ქალთა სახელწოდებით ცნობილი რეტიმასა და რუსპიას პორტრეტები. სწორედ ეს პირველი ყუთი ჩაუვარდა ხელში საჭურისს, რაც გახდა მიზეზი ებრაელი ქალის დაღუპვისა. ამ გზით შეიძინეს თურქებმა სურათები ევროპის ყველა სახელოვანი პიროვნებისა და უფლისწულისა. მეორე ყუთში ეწყო საფრანგეთის დედოფლისა და მეფის პორტრეტები. ამ სურათებით იცნობდნენ რეტიმა და რუსპია თურქეთის იმპერიის პირველ ოფიცრებს. რუსპიას მოეწონა საჰერცოგოს ფაშას ძმა, ვისი ცოლიც გახდა იგი შემდგომში. ყველა ამ პორტრეტთა შორის გამოირჩეოდა ყარა მუსტაფას სურათი, შემდეგში დიდი ვეზირი და ყაიმაყამი რომ შეიქნა. რეტიმას ის მოეწონა, მაგრამ რადგან ამაყი ბუნება ჰქონდა და თან ძალიან ლამაზი იყო, თავისი ბედი მას არ დაუკავშირა.

იტალიელი მომღერალი და მხატვარი ანა ბონა გრაციანა სარა შელბის დაღუპვის დღიდან სერალში აღარ შეუშვიათ. ანა ბონა გრაციამ ქრისტიანული სარწმუნოება ებრაულზე გაცვალა და ებრაელზე გათხოვდა კიდეც.

დიდი სულთნის ხელისუფლებმა ანა ბონა გრაციას ჯაშუშობა დასწამეს, ვითომცდა იგი სასახლეში ყოფნის დროს ცნობებს აწვდიდა ევროპის მთავრობებს ოსმალეთის სახელმწიფოს შინაგან ვითარებაზე, რისთვისაც ცოლ-ქმარი ჯურღმულში ჩააგდეს. ერთდროულად ებრაელთა სინაგოგის ხელმძღვანელებსაც დასწამეს ცილი, უცხოეთის დაზვერვას უწყობთო ხელს. ეს მეტად მძიმე ბრალდება მეჯლისში განიხილეს. სანამ განაჩენს გამოიტანდნენ, ებრაელთა თავკაცებმა ფული დაატრიალეს და

ამგვარად საბედისწერო განაჩენი აღარ გამოატანინეს.

როცა დიდი სულთანი ანატოლიიდან დაბრუნდა, საჭურისმა ბაშმა მოახსენა სარა შელბის ჩადენილი დანაშაული, უამბო მისი დაპატიმრების, დახრჩობისა და სერალიდან ზღვაში გადაგდების ამბავიც, რის გამო დიდმა სულთანმა შეუქო საჭურის ბაშას ერთგულება და სამართალიც მოუწონა.

ამ ხნის განმავლობაში ქართველი გოგო ფედე რეტიმა უკვე თხუთმეტი წლისა შესრულებულიყო და დიდი სულთნის საყვარელი ცოლი გამხდარიყო. ებრაელებმა საიდუმლო გზებით მიმართეს რეტიმას, რათა მას ეშუამდგომლა დიდი სულთნის წინაშე და დაპატიმრებული და ჯურღმულში ჩაგდებული ცოლ-ქმარი შეეწყალებინა. რეტიმამ უაღრესი გულმოდგინებით შეასრულა მათი თხოვნა და ასე მიმართა დიდ სულთანს: დიდო ხელმწიფევ! კარგად მოგეხსენებათ ებრაელთა საქმიანობა. ისინი დაინტერესებულნი არიან ფულის მოხვეჭით. თუ სასახლეში შემოჰქონდათ სურათები გასაყიდად და თან გაჰქონდათ დახატული პორტრეტები, ეს მხოლოდ ფულის სიხარბით მოსდიოდათ და არა რაიმე პოლიტიკური მიზნით. ამიტომ ჯურღმულში ჩაყრილი ცოლ-ქმარი ღირსი არ არის ასეთი სასჯელისა. მათ მხოლოდ უნდა აეკრძალოთ სასახლეში შემოსვლა და აკრძალული სურათების შემოტანაო. სულთანს ჭკუაში დაუჯდა რეტიმას რჩევა და ბრძანა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ცოლ-ქმარი.

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

სარჩევი

წინათქმა	**5**
დ. მეგრელაძე: დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან	**9**
ერეკლე მეორე – წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ	**28**
წარდგინება რუსეთის იმპერატორ პავლე პირველისადმი	**31**
თ. ბოცვაძე: საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII ს.ს.)	**33**
ვ. ითონიშვილი: უცხოტომელთა აგვაზაკობა საქართველოში	**65**
პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი	**73**
მრისხანე XVIII საუკუნე: ყიზილბაშობა და ლეკიანობა	**86**
მოხსენებითი ბარათი რუსეთის მხედართმთავრის გრ. პოტიომკინის მიმართ	**114**
ლეკიანობა კახეთში	**116**
კათოლიკე მისიონერები საქართველოში	**147**
რუსეთის ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში	**154**
შამილი და ლეკთა თავდასხმები	**158**
ჰაჯი-მურატი და მ. ს. ვორონცოვი	**165**

რუსეთის პროტესტები პორტასადმი ლეკ-ოსმალთა ქართლზე თავდასხმის გამო **172**

შეიხი მანსური და ოსმალთა კავკასიური ავანტურა **175**

სერგო ხოსიტაშვილი: პირველი ქართულ-რუსული საბრძოლო ოპერაციები **181**

ა.ვ. ზასარევიჩი: დონის კაზაკთა ნაწილები ლეკთა თავდასხმებისაგან საქართველოს დასაცავად 1801-1804 წლებში **195**

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში **242**

აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარში **251**

ალექსანდრე ორბელიანი: დაღისტანიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები **257**

პაატა გუგუშვილი: ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში **275**

ბეჭან ბიორგაძე: სამი ქართველი ქალის ამბავი (ფრაგმენტი) **313**